

114
971



გეტოგო

114

9

79

1971

გნეოთოგო

საქართველოს
საზოგადოებრივი-კულტურული
და სასწავლებლო-მეცნიერო ცენტრი

სოციალ-დემოკრატიული ლიბერალ-სოციალისტური
და საზოგადოებრივი-კულტურული ცენტრის

წელიწადი 47-ე

№ 9

სექტემბერი, 1971 წ.

საქართველოს საზოგადოებრივი-კულტურული ცენტრის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|---|-----|
| ალექსანდრე ქუთათელი — სათვალთვალე, რომანი, ნაწილი პირველი | 3 |
| მხინჯი ღვინო — ლექსები | 32 |
| მტრის იმსოლიანი — ტრეპტა ტრეპი, რომანი, ნაწილი პირველი | 34 |
| ნელი გაბრიელი — ლექსები | 93 |
| კოლინაკოვი კაკაბაძე — მუხე დემეტრე მემოი, პიესა | 95 |
| ნინო აბაშიძე — მუხე და მცნება, მოთხრობა | 108 |
| თინათინ კაკაბაძე — ლექსები | 123 |

კულტურისტიკა

| | |
|---|-----|
| ბროზინი მამიაძე — პარტიის XXIV ყრილობა და საზოგადოების ცხოვრებაში კომუნისტური პარტიის როლის უზღვევითი მნიშვნელობის კანონიერების | 124 |
|---|-----|

კრიტიკა და ლიბერალ-სოციალისტური მემორია

| | |
|--|-----|
| მეორე ცივიზილიზაცია — ქართული დემოკრატიზაცია და თეატრი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში | 133 |
| მხინჯი ღვინო — ქართული დემოკრატიული საკულტურო ტაქტიკის კანონ- კანონები | 145 |
| საბრძოლო კანონების თაობაზე — სიბრძნე ახმედის გვერდზე | 153 |
| ალ. კალანდარიანი — ერთი „საზოგადოებრივი-კულტურული“ გამოცემა | 163 |
| მხინჯი ღვინო — რამდენიმე საკითხი ქართული ბიზნესის შესახებ | 170 |



საქართველოს კულტურული ცენტრის ორგანო



ილია მელაძე — გამარჯობათ, უსირო ტყეებო!

3. მატარებელი — ნაწარმი ილია მელაძის იურიდიული სამსახურის შტო.
სახვ.

184
187
საქმის № 187
საქმის № 187



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მალარაძე

საკრედიტო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბანაშვილი, დ. ბაშიზარაშვილი, მ. ლეხანიძე, ბ. მღვინე, ა. სულაძე-
რი, ა. ქუთათელი, ბ. ურუიანი (პ/მკ. მღვიანის), ს. შარვაშიანი, დ. შინგელაია, ვ. ვაღ-
აიძე, მ. შილაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

აქრედაქტორი რ. ჩაბობაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი,
ჩუხთაძის ქროსტეტი № 18.

გადაეცა ასაწყობად 28/VI-71 წ., ხელმოწერი-
ლია დამატებულად 25/IX-71 წ., ანაწყობის ნომრი
7 1/2 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/16,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16,8. საიდ.-საგამომცემლო
თაბაში 18.

ბილეთების: რედაქტორის — 98-55-11-უფ 02150. ტირაჟი 13000. შეკვ. № 2777.
პ/მკ. მღვიანის — 98-55-18, განყოფილებულად — სს. კ. ცკ-ის გამოცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
თბი — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.



სათჳალთჳალო

არმაანი

ნაწილი პირველი

1

პირველი მსოფლიო ომი მძევინვარებდა. მეფის რუსეთის ჯარებმა ყარსი, არზრუმი, ტრაპიზონი დაიკავეს და თურქეთის შუაგულისაკენ მიიწევედნენ.

ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ზურაბ გარსევანიძემ 1915 წლის გაზაფხულზე სომხეთიდან თბილისში თავისი ძმის, შტაბსკაპიტნის გრიგოლის დეპეშა მიიღო: „მძიმედ დაჭრილი ალექსანდროპოლისა პოსპიტალში ეწევა. თბილისში სანიტარული მატარებლით ათ აპრილს ეიქნები“.

გრიგოლის დეპეშამ ძირბუღიანად ააფორიაქა გარსევანიძეთა წარჩინებულო, ბედნიერი და მანამდე უშფოთველი ოჯახი. გრიგოლის დედა ოღლა, ძმები — ზურაბი, პედაგოგი კოტე, თბილისის გიმნაზიის მოწაფე რევაზ, რომელსაც ყველა რეზოს ეძახდა, დები — თამარი, მაიკო, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ნათესაეები სანიტარული მატარებლის შესახვედრად ნავთლედის სადგურისაკენ გაეშურნენ. მატარებელს აგვიანდებოდა, რევაზი დაჭრილ ძმაზე ფიქრებმა წაიღეს. მას გრიგოლი — უფ-

როსი კლასის მოწაფე, გრიგოლი — იუნკერი და ბოლოს ახალგაზრდა ოფიცერი აგონდებოდა, გრიგოლის ოფიცრად გაბდომა ყველასათვის მოულოდნელი რამ იყო. არავის არ ეგონა ქართველი საზოგადო მოღვაწე და პატრიოტი ელიზბარ გარსევანიძე ცოლის ძმის — პოლკოვნიკ სანდრო ერისთავის წინაშე ფარხმალს თუ დაჰყრიდა და თავის შვილს გრიგოლს მეფის რუსეთის სამხედრო სასწავლებელში შეიყვანდა. მოსკოვის სამხედრო სასწავლებლის დამთავრების მერმე პოდპორუჩიკა გრიგოლ გარსევანიძე ერევნის სამხედრო გარნიზონში განაწესეს. 1912 წელს სპარსეთის ჩრდილო და სამხრეთი ნაწილი ინგლისისა და რუსეთის ჯარებმა დაიკავეს. ერევნის გარნიზონის სამხედრო ნაწილებთან ერთად გრიგოლის პოლკიც სპარსეთში შეიჭრა, ჯულფა, ხოი გაიარა და გეზი თავრიზისაკენ აიღო. თავრიზი რუსეთის ჯარს არ დანებდა. მასინ კავკასიის მეექვსე მსროლელი პოლკის უფროსმა — პოლკოვნიკმა ვიორგი ახვლედიანმა, ზორბა, ლამაზმა, წვერულვაშინამა კაცმა თავრიზს ქვემეხები დაუშინა. მალე თავრიზის ციხესიმაგრეზე თეთრი დროშა გადმოეფინა. შეიკრებმა პოლკოვნიკ ახვლედიანს შე-

1. ახლანდელი ლენინკანი.

ატყობინეს, თავრიზის ციხე გნებდებათო. „ჩემ წინაპართა სისხლის აღწვას მოვესწრა და ცეცხლს ასე მალე არ შევწყვეტ“, — უჩუროხულა ახვლედიანმა გრიგოლ გარსევანიძეს. მაგრამ მალე რუსი ჯარების უფროსის გენერალ ვოროპანოვის ბრძანება მოვიდა და პოლკოვნიკმა ახვლედიანმა ქვეშევრდების ცეცხლი შეაჩერა. მას თავრიზის დღეუგაცია მიეგება, პურშარილი მიართვა და ქალაქის ციხის გასაღები ჩააბარა. ცოტა ხნის მერმე გრიგოლ გარსევანიძემ სათარხანის მეთაურობით დაწყებული ქურთების აჯანყების ჩაქრობაში მიიღო მონაწილეობა. რევანს კარგად ახსოვდა რუს ოფიცრებთან ერთად გრიგოლის მიერ სათარხანის სასახლეში დატაცებული და მშობლებისა და ნათესავებისათვის გამოგზავნილი ნივთების ამანათები: ხალიჩები, ოქროს საათები, ძვირფასი სამკაულები, ლარნაკები, სურები... რევანს კარგად ახსოვდა აგრეთვე 1912 წელს სპარსეთიდან გრიგოლის მიერ დედისადმი მიწერილი ერთი წერილი. აი ისიც:

„საყვარელო დედა! ამას წინათ შენი მოლოცვის წერილი მივიღე. როგორ გაითენეთ აღდგომა, გიორგობა? მე, სპარსეთის პირიბაზე, აღდგომის დღეები კარგად ვაეჭარე. ზურაბისაგან ნამცნვრები (კულიჩები) მომივიდა. თორმეტ მაისს ბანაკად ვავედით. ოც მაისს კი ჩვენი პოლკის დღესასწაულია და დიდ მზადებაში ვართ. იქნება აღლუმი, დოლი, ვარჯიში და ახალბედა ოფიცრების მონათვლა და მათთვის ჭილდოების გადაცემა, მერმე გაიმართება ბანკეტი. ჩვენი პოლკის ბანაკი ძალიან ცუდ ადგილას არის გაშლილი. უტყეო, მოშიშველებული ტაფობი მზეზეა მიშვერილი და სპარსეთის თაკარა მზისაგან უთუოდ დავიხრტყებით, მე კარავის გარდა, მიწის ქვეშ ქობს, მიწურს ვიშენებ, სპარსეთის უმოწყალო მზეს რომ თავი შევაფარო. კარავში აუტანელ სიცხეს იჭერს და ისეთი დახუთული ჰაერი დგება, კაცს ნამდვილად ვააფიყებს. უკვე გამოჩნდნენ მორიელები და ფალანგები.

რამდენიმე ცალი დაეკვირე. მაღლობა დმერთს, ჯერ სამინელი შეამყინა: გველი: „გიურხა“ არ შემყრია. ბანაკში მთაბრუნის ხუთ თვეს დავყოფთ, ქურთების ბელადის სათარხანის აჯანყება ჩავაქრეთ და აქეთ ახლა ჯერ მშვილობაა. მხოლოდ ეს არის, უკვე აუტანელი სიცხე დაიჭირა და მიძნელდება, რადგან დილიდან საღამომდე ჭარისკაცებს ვამეცადინებ, თავისუფალ დროს კი პარიზიდან გამოწერილი წიგნების დახმარებით ფრანგულ ენას ვსწავლობ. იქნებ სამხედრო ატამედ გამგზავნონ! ბიძია არჩილმა და სანდრომ ჩემგან გამოგზავნილი ხალიჩები: შაშხანები და რეეოლეკრები ამდენ ხანს რისთვის არ მიიღეს?! აკი ზურაბს უნდა გადაეცა! ზურაბს რომ იაპონური მოკლე კარაბინი დაუტოვე, სერგოსათვის მინდა, მაგრამ იარაღს არჩილი, ზურაბი და სერგოც ვერ მოუვლიან და ისა მწყინს. ყველა ჩემიანი-სათვის საჩუქრის გამოგზავნა ადვილი როდია. ვაეივე ზურაბი ცოლშვილით ამ ზაფხულს მანგლისში მიემგზავრება, რეზოცოც თან მიჰყავსო და იცოდე გაუშვი, რადგან რეზოცოც გამოცდების მერმე ვალახული იქნება და მანგლისის ჰაერი მოუხდება, ხალხსაც ნახავს, თორემ კორომეთში გატყუორდება. უცნაური, ნიჭიერი ბიჭია და იგი განსაკუთრებულ ყურადღებას და მოვლას საჭიროებს. ალბათ კოტე და ანეტა, ჩვეულებებისა-მებრ, ბორჯომს წავლენ. ასე რომ ამ ზაფხულს კორომეთში ისევ მარტო დარჩები. მე ეგ არ მომწონს: ჩვენებს რამდენიმე ხანს მაინც მანდ უნდა მოეყარათ თავი. უმეცრები არიან და რა ვუყო: კარგი ცუდისაგან ვერ გაუჩრვივია, თორემ კორომეთს და მის ჰაერს რა სჯობს?! ენათი აქ, ხოიში დაჰყონ ცოტა ხანს, რომ გაიგონ, თუ რა ყოფილა „კორომეთის სამეფო!“ გუშინ ხოიში ჩვენი სერგო ელენტი ჩამოვიდა ჩვენს პოლკში დაუნიშნიათ სამხედრო ექიმად. არ უნდოდა თურმე სპარსეთში წამოსვლა, მაგრამ ბრძანება მიიღო და რას იზამდა! ხშირად დაიარება ჩემთან და თანდათან ეჩვევა სპარსულ ცხოვრებას. ნაცნობი

ქართველი კაცი რომ აქ ჩამოვიდა, ძალიან გამეხარდა. დამიკოცნე ზურაბი, კოტე, რეზიკო, ანიკო, ანტა, მაიკო, თამარი, მახლობლები და მეზობლები.

შენი გრიგოლ გარსევანიძე“.

მატარებელი დავვიანებით, სადამო უკან მოვიდა. ძმებმა — ზურაბმა, კოტემ და რევაზმა დაჭრილი მეთმრებით სავსე ვაგონები მოიარეს, მაგრამ გრიგოლი არსად ჩანდა. ბოლოს ვაგონის ქვედა საწოლზე ჩონჩხადქცეულმა ერთმა დაჭრილმა გადახოტრილი თავი ასწია და „ზურაბო“ დაიძახა. იგი უდაბნოს ხეატიტ გატრუსულ კაცსა ჰგავდა. მის გამხდარ, ვალეულ სახეზე მხოლოდ დიდრონი, შუვი თვალები და ბროლივით თეთრი კბილების რკალი ელვარებდნენ. ზურაბმა, კოტემ და რევაზმა ძლივს იცნეს თავისი ძმა გრიგოლი და თავზარი დაეცათ. გრიგოლი მართლაც ჩონჩხსა ჰგავდა. საკვირველი იყო, ეს ნაომარი, მძიმედ დაჭრილი და ნაწამები მებრძოლი სიცოცხლე რომ ახერხებდა, მაგრამ გრიგოლს მამაცი ოფიცრის სახელი ჰქონდა დაეარდნილი კავკასიის ფრონტზე მოქმედ მთელს არმიასი.

ომის დაწყებისას, როცა პოდპოდჩიკი გრიგოლ გარსევანიძე ჯერ კიდევ მზევრავი რაზმის უფროსი იყო, თურქეთთან მოსაზღვრე მთის ვიწროებმა და ხეებში მისი ოპერაციები — მამაცი თავდასხმები და საარაკო რეიდები განცვიფრებას იწვევდნენ. იგი იმ თავდასხმებით მტერს არ ასვენებდა, ძილს უფროსობდა და დიდ ზიანსაც აყენებდა. ერთ-ერთი ასეთი პარტიზანული თავდასხმის დროს მან ზამთრის თოვლიან დამით მთაში თურქეთის დივიზიის შტაბს ალყა შემოარტყა, შიგ შეიჭრა და დივიზიის უფროსი და ოფიცრები დაატყვევა, თურქეთის სარდლობამ გრიგოლის მოკვეთილი თავის მომტანს ათასი ოქროს თუმანი შეჰპირდა. რუსეთის ჯარის სარდლობამ კი გრიგოლს პორუჩიკობა მიანიჭა, ხოლო წმინდა გიორგის ორდენის კავალერთა უმაღლესმა საბჭომ ოფიცერთათვის დაწესებული წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ჯვარი ებოძა.

გრიგოლის ასეთი გამბრტყობა და წარმინება დიდად ეამაყებოდნენ მისი ქვეყნის მეტადრე — გმირობის წყურვილით იმედა მად შეპყრობილ მეოცნებე ქაბუეს რეზოს — რევაზს, ხოლო მამაცი და სასიქადელუო ძმის მძიმე ტრილობა კი გულს უღონებდათ.

შტაბსკაპიტანი გრიგოლ გარსევანიძე თურქეთის ფრონტზე უდაბნოში იერიშის დროს დაიჭრა, როდესაც გამიშვლებული ხმლითა და ნავანით, თავისი ნაწილის წინ მდგარი, ლაქაშიანი და ძეძვიანი ტრამალით მტრისაკენ გარბოდა. მას სავლელ ქვემების ყუმბარის ნატეხი მოხვდა და მარცხენა ფეხის ბარძაყის ძვალი მარბილივით დაუშხხვრია. გრიგოლმა ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ბარძაყში გადატეხილი ფეხი მოეკეცა და უმაღვე მიწაზე გაიშხლართა. ძლივსძლივობით გახსნა ინდივიდუალური პაკეტი, ფეხი შეიხვია და მყისვე ცნობაც დაქარგა. ჯარისკაცებმა მტრის არტილერიის ცეცლის შეწყვეტის მერმე იპოვეს მწველი უდაბნოს ქვიშაზე გაშოტილი და სისხლში გათხვრილი, საყვარელი უფროსი. ბრძოლის ველიდან ზურავით გამოიჩანეს და შამბნარში დამალეს. მერმე ორ შამბნარზე ბრუნენტის მოსახსნამი გადასქიმეს და მახლობელ სანიტარულ ნაწილამდე იმ სხელდახელო საკაცით ატარეს. აქ ტრილობა მოჰბანეს, ფეხზე ხის ტყეჩები დაადეს, მაგრად შეუხვიეს და, მასთან ერთად სხვა მძიმედ დაჭრილნიც აქლემებს საკაციოთურთ ზურგზე დააკრეს და ჭარავანი რკინიგზის მახლობელ სადგურისაკენ გაისტუმრეს. აქლემის ზურგზე დაკრულ გრიგოლს ბარძაყის დამსხვრეული ძვლები ერყეოდა და არაადამიანური ტკივილი სტანჭავდა. დიდი ვაი-ვაგლახისა და ტანჯვის მერმე იგი ჯულფიდან სომხეთში, ქალაქ ალექსანდროპოლში — ეხლანდელ ლენინჯანში მატარებლით ჩაიყვანეს და იქ პოსპიტალში მოათავსეს. პოსპიტლის ექიმებმა გრიგოლს ფეხის ამპულტირება შესთავაზეს და, რადგან მან უარი განაცხადა, სანიტარული მატარებლით თბილისს გადაგზავნეს.

გრიგოლი რუსეთის მეფის ნიკოლოზ მეორის ქალიშვილის — ტატიანას სახელობის სამხედრო ჰოსპიტალში მიიყვანეს ვაკეში. ჰოსპიტლის მთავარმა ექიმმა, ცნობილმა ქირურგმა, პროფესორმა ძირნემ აქლემით უდაბნოსა და მთა-ღრეში ნატარებსა და ალექსანდროპოლის ჰოსპიტალში ნაწილ მებრძოლს რთული ოპერაცია გაუკეთა: ბარძაყის დამსხვრეული, უსწორმასწოროდ შეზრდილი ძვლები ჩაქუჩით გაუტეხა, წესისამებრ დაუღავა, ერთმანეთს მიუსადაგა და ფეხი თაბაშირში ჩაუდო. მერმე, ფეხი რომ არ დამოკლებოდა, მის გააჭიმად ერთფეფითანი გირა დაჰკიდა. ეს მეორედ განიცადა გრიგოლმა არა-ადამიანური ტყვილი და ტანჯვა. საბედნიეროდ, ოპერაცია კარგად ჩატარდა, გრიგოლს განგრენა არ დაწყებია და მალე გამოჯანსაღების გზას დაადგა.

გრიგოლის სანახავად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ნათესავები კარგა ხანს დარჩნენ ქალაქში და ჰოსპიტალს არ შორდებოდნენ. მათი განჯავრების მერმე კი გრიგოლის ძმა — თბილისის გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე — რევაზი, ყოველ საღამოს დაიარებოდა ჰოსპიტალში.

ტრამეიას ხაზი მაშინ ქართულ გიმნაზიასთან, ახლანდელ სახელმწიფო უნივერსიტეტთან თავდებოდა, ქართული გიმნაზიიდან სასულიერო სემინარიის შენობაში მოთავსებულ ჰოსპიტალამდე არც ერთი სახლი არ იდგა და ორ კილომეტრზე გაქიმული ის მოუკირწყლავი და უხეირო გზა რეზოს ყოველ დღე ფეხით უნდა გაეგლო. მაგრამ მას უკვე საულვაშზე ახლად ამოწვერილი პირველი ჭავილი ადგა, იგი სპორტსმენი, ღონიერი ჰაბტუკი იყო და არამცთუ ორი, ათი კილომეტრის გავლაც კი მაკონიად მიაჩნდა.

თაბაშირში ჩასმულ ფეხზე გრიგოლს ისევ ერთფეფითანი გირა ეკიდა, მაგრამ მან შესაძრწევად მოიკეთა, სხორცი შეი-

სხა და მალე ადამიანს დაემგვანა. პალატაში ახლა იგი მასზე მიჩნეულ მრწყელების დას, რუსი თავადის ~~ახსნაკაზრ~~ და, ლამაზ ქალს — ლუდმილა ტრუბეცკიას მადლობას უხდოდა საჩუქრებს თავაზობდა და უყვავებდა. იმ ქერა და ლამაზი ქალისადმი გრიგოლის სიყვარულში რეზოს ეცვიც კი არ ეპარებოდა. მისი აზრით ის ქალიც არ იყო გრიგოლისადმი გულგრილი, ვინაიდან დღისითა და ღამითაც სასთუმალთან ეჭდა და საწოლზე გამოტილ ახოვან ვაქკაცს, წმინდა გიორგის ორდენის კავალერს ნახად უღიმოდა და ვნებით მინაბულ, მოციხფრო თვალებს არ აშორებდა.

სამი თვის მერმე გრიგოლმა ყავარკნით სიარული სცადა, მაგრამ სიარული და სიარულის დროს წონასწორობის დაქერა, თანაც ქეჩისწალიანი მოკაუქებულ, შემუშებული მარცხენა ფეხის ტარება უჭირდა.

აგვისტოს დამდეგს ქუთაისიდან გრიგოლის დედაშვილი, მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის მეოთხე კურსის სტუდენტი სერგო სლავინსკი ჩამოვიდა. სერგოს დედა კატო ერისთავი ქუთაისის ოლქის გუბერნატორის პრინც ოლდენბურგსკის ნათესავ ოფიცერს პეტრე სლავინსკის მისთხოვდა. გადამდგარი პორუჩიკი პეტრე სლავინსკი გუბერნატორისაგან მისი მამისათვის ნაბოძებ მარელისის სამეცვიდრო მამულს დაეპატრონა. პეტრემ ქერა წვერ-ულვაში მოუშვა, იმერული გრძელი ჩოხა ჩაიცვა, ხმალი, სატევარი, სმიტისა და ვისონის სისტემის რევოლვერი დაიკიდა და ზემოიმერელ თავადებსა და აზნაურებში ვაფრია, მათი და თავისი ცოლის გავლენით, ჩინებული ქართულა ისწავლა და მალე სრულიად გაქართველდა კიდევ. უცნაური რამ იყო, როდესაც პირწავარდნილი რუსი კაცის სახის მქონე პეტრე სლავინსკი ზემოიმერულ კილოზე უქცევდა და ქართულ პატრიოტიზმზე დებდა თავს. მისი

შეილი სერგო და სერგოს დეიდაშვილი გრიგოლი ტოლები იყვნენ, მათ ძმებსავეთ უყვარდათ ერთმანეთი. ისინი ხარობებივით მუდამ ერთად დაიარებოდნენ. მხოლოდ ეს იყო: შავთვალწარბა, შავულვაშიანი და ცხვირკეხიანი გრიგოლ გარსევანიძე ქართველ წინაპარსა აგავდა, ქერაულვაშიანი და ცისფურთვლება სერგო სლავინსკი კი — სუფთა რუსს. მიუხედავად იმისა, რომ 1915 წლის ბოლოს სერგო ჯარში გაიწვიეს და მან პეტროგრადის სამხედრო-საინჟინრო სასწავლებელი დაამთავრა, ოფიცერი გახდა და ისიც ომში გაგზავნეს, თრივენი: გრიგოლი და სერგოც რუს ხელმწიფის ტახტის მტრები, საქართველოს წარსული დიდების აღდგენისათვის მეოცნებენი და სამშობლოს ბედუქულმართობით გულდამწვარი იყვნენ. ილია ქავეჯავახის ჯაღონსურსა და გულსმომცველ სიტყვებს თვალცრემლიანი მღეროდნენ:

კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანა,
ლამაზად მორთულ და მოკაზმული,
მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ,
იღვინად უფრო მიკვდება გული. —

მამულიშვილობა, ერისადმი სიყვარული გრიგოლს მამისაგან — ცნობილი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის — ელიზბარ გარსევანიძისა და დედისაგან, ტრადიციული დიდი ოჯახის შვილის, განათლებული ქალის ოლღა ერისთავისაგან მოსდევდა, სერგოს კი — დედისა, დიდედისა და ამათი ნათესაებისაგან. ელიზბარ გარსევანიძე — ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგი დარწმუნებული იყო, ქართველი ბავშვებისა და ქაბუკების აღზრდით ეროვნულ საქმეს რომ ემსახურებოდა. იგი თბილისში გადასვლაზე და კარიერის გაკეთებაზე არ ფიქრობდა. ქუთაისში დარჩა, იქაური პედაგოგი ქალი ოლღა ერისთავი შეირთო და ერისთავთა სამეცხვიდრო მამულია ნაწილს სოფელ კორომეთში, სერგოს მამის პეტრე სლავინსკისამებრ, დაეპატრონა.

სერგო, ჩამოსვლისთანავე, გრიგოლის სანახავად ჰოსპიტლისკენ გაემართა. სერგო და გრიგოლი მამის ოლღა დედას წლისა თუ იქნებოდნენ. სერგო, როგორც უკვე ვთქვით, მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი იყო, გრიგოლი კი — ჯარში სამაგალითო სამსახურისა და ომში ჩადენილი გმირობისათვის ადრე დაწინაურებული შტაბს-კაპიტანი და წმინდა გიორგის კავალერი. დარღმინდი, ქეიფისა და ლხინის მოყვარული სტუდენტი სერგო სლავინსკი ჰოსპიტალში შეიჭრა და მძიმედ დაქრილი დეიდაშვილი გულში ჩაიკრა.

ერთხელ სერგომ, გრიგოლი, რეზო და ჰოსპიტალში გრიგოლთან დამეგობრებული, ახლად გამოჩეკილი ოფიცერი, პოდპორუჩიკი ანატოლი სტრელცოვი ვერის ბაღში დაჰპატიჟა. გრიგოლს ქალაქში გასვლის უფლებას ჯერ კიდევ არ აძლევდნენ, ამიტომ საღამო ეამს გრიგოლმა სამხედრო მუნდირი ჩაიცვა და ჰოსპიტლის უკანა ეზოდან გაიპარა. იგი ჯერ კიდევ არ იყო ყავარჯნებით სიარულს შეჩვეული. მარცხენა ფეხს მიწაზე ვერ აბიჯებდა. სერგომ, ანატოლიმ და რეზომ ეტლში გაჭირვებით ჩასვეს.

ეტლი ახლანდელ ზოოლოგიურ პარკთან გაჩერდა. პირველი მსოფლიო ომის დროს ვერის ბაღში რესტორნები და კაფეშანტანი „ედემი“ გაეხსნათ, სადაც ოფიცერთა მისაზიდად შანსონეტები მოეწვიათ. „ედემისაკენ“ წიწვიანი ხეების ხეივანი მიიმართებოდა. ბაღის კარებთან ლივრეიში გამოწყობილმა, წვერულვაშიანმა, ახმახმა შვეიცარმა რეზო შეაჩერა, ბაღში არ გაატარა და უთხრა:

— ნუთუ არ იცით, კაფეშანტანში მოწაფეების შესვლა რომ აკრძალულია? — ეგრე კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსმა რედოლფმა გაიგოს „ედემს“ უმაღლე დახურავენ.

რეზო პირველად გაერია კაცებში და აბრუნდი რომ გააკეთებინეს, გული და-

წყდა. გრიგოლს დარცხენით შეაპარა თვალი, სურდა მის სახეზე ამოეკითხა, ჰკიცხავდა თუ არა, მოწაფემ უფროს ძმასთან, შტაბსკაპიტანთან ერთად კაფეშანტანში შესვლა რომ მოინდომა! „უხერხულია, შინ გაუშვი“, — უჩურჩულა გრიგოლმა სერგოს. სერგოს იხტიბარგატეზილი, დარცხენილი ქაბუჯი დეიდაშვილი შეეცოდა, გაუღიმა და ასწავლა:

— წადი, ბიჭო, ქალაქში, სამოქალაქო ტანისამოსი იშოვე და ისე მოდი!

რეზომ ყორღანოვის ქუჩაზე მცხოვრები ვეჭილის, ჩეხის — ანტონ ვახეკის ბინაზე მიიბრინა, მის შვილს — გიმნაზიელ მეგობარს ფრანტიშეკს სამოქალაქო ტანისამოსი გამოართვა, მისი პიჯაკი, შარვალი ჩაიცვა, კები დაიხურა და „ედემისაკენ“ მოჰკურცხლა. ცდუნებით საესე კაფეშანტანი „ედემი“ ახლა მისთვის უცნობ, მიმზიდველ სამყაროს, მართლაც აღთქმის ქვეყანას წარმოადგენდა. სანატრელი ნეტარების მოლოდინში გული ისევ ძალუმაღ უცემდა, თითქო ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა.

გრიგოლი, სერგო და ანატოლი შუშაბანდიან დარბაზში ისხდნენ, გვერდზე სამი შანსონეტი მოესვათ და უკვე შამპანურით შეზარბოშებულიყვნენ. ქერა ქალებმა რეზოს გაუღიმეს, იმ დიმილში რეზომ დაცინვა დაიჭირა, გაწითლდა, დაირცხენა და თავი ჩაჰკიდა. ქალებმა გადიესკისეს. ერთმა ხელი წაავლო ქორჩორში, თავი ააწვეინა და შესძახა:

— რა მორცხვი ყოფილხარ, რისა გრცხვენია?!

ამ შეძახილმა, ქორჩორში ხელის წაველებამ ქაბუჯი გამოაფხიზლა და შვება იგრძნო. ირგვლივ მიიხედ-მოიხედა. დარბაზში უიარაღო ოფიცრები მაგიდებს უსხდნენ და ქეიფობდნენ. კაფეშანტანში იარაღით შესვლა ოფიცრებს აკრძალული ჰქონდათ და მორიგეს უტოვებდნენ.

ნაშუალამევს იქვე მაგიდასთან მჯდარმა რუსმა ოფიცრებმა გრიგოლის, სერგოსა და ანატოლის ქალებს თვალ

დაადგეს, აშიკობა და გადაპატიყება დაუწყეს. განსაკუთრებით ცაგალერიის ერთი ახმაზი, გრძელლულვაშიანი, რომლისა შტაბროტმისტრი ჩააცოდა შანსონეტებს. სკამი მისწია, სერგოს დამას ხელი მოჰხვია და შიშველ მკლავზე აკოცა. რეზო გაოცდა, ქალმა რომ არ გაჰკიცხა და პირიქით: მელოტ თავზე ხელი გადაუსვა, გაუღიმა. „ეგრე როგორ იქნება“, — გაიფიქრა რეზომ და ჯერ ძმასა და მერმე დეიდაშვილს შეხედა. სერგომ ქერა ულვაშები გრძელი, ტაბია თითებით გადაიგრინა, თავისი დამის აშიკს გაავეებული ვეფხვის თვალები შეანათა და აგდებულად და გოროზად უთხრა:

— შტაბროტმისტრო, ჩემ ქალს თავი გაანებეთ, ფორმაში ჩადექით და თქვენს სუფრას მიხედეთ!

— ენა დაიმოკლე, წვინტილიანო სტუდენტო! — უყვირა მთერალმა შტაბროტმისტრმა სერგოს, — გიცნობთ, გიცნობთ, რა ფრინველებიცა ბრძანდებით მეფის ტახტის მოძულე და მემამბოხე სტუდენტებო!

— ენა თქვენ თავად დაიმოკლეთ, უწიგნუროდ და რეგვენო ფელდფებელი! — შესძახა სერგომ და სკამიდან წამოიჭრა.

— ეს მე ვარ უწიგნური ფელდფებელი, კავალერიის შტაბროტმისტრი, შე ძაღლის შვილო! — განრისხდა შტაბროტმისტრი. ისიც წამოდგა და მის წინ მდგარ სერგოს მკერდში მუშტი დაჯახა, მაგრამ ადგილიდან ვერ დასძრა. სერგო ძაღოსანი იყო, რკინის ზელები ჰქონდა. არა ერთი ყოჩი და ფალავანი გაულახავს. ერთი შემოკერით მოცელა ის ახმაზი, გოლიათი კაცი.

„მამიკოს სცემენ“, — დაიძახა ვილაკამ და ყველანი შტაბროტმისტრს მიეშველნენ. გრიგოლი კედელს ზურგით მიაწვა და ყავარჩენი მოიძარცვა. რეზო უღმალვე გადაეფარა, შეშინდა: ძმა არ წააქციონ და ახლად შეზრდილი ბარძაყის ძვლები არ დაუშხვრიონო. იგი ჩინებულად იცავდა დასახიჩრებულ ძმას. არც ერთი კაცი არ გააქარა. ხო-

ლო მასზედ მოსულ ერთ ოფიცერს მუშტი ნიკაპის კუთხეში დააჯახა, ყბა ჩამოუვდო და ვალახული ნოკაუტში აღმოჩნდა. სწავლაში წარჩინებული ჩვიდმეტი წლის რეზო, ამავე დროს, მზარდი სპორტსმენი და მაკრივეც იყო. იგი პირველ ვაჟთა გიმნაზიასთან ჩეხი ლუკემის მიერ დაარსებული სპორტსაზოგადოების — „შევარდნის“ წევრად ითვლებოდა და, როგორც საუკეთესოთაგანი, პირველ ჯგუფში ვარჯიშობდა. ერთი წლის მერმე რეზო სტუდენტი გახდებოდა და უთუოდ მწვრთნელთა ჯგუფში მოხედებოდა. ერთმა ჩოხიანმა ოფიცერმა ანატოლი სტრელცოვი დასჯახა, ფეხქვეშ ამოიღო და მუშტები დასცხო. სერგომ მიუსწრო, ძლიერად მოუქნია სტრელცოვის მეტოქეს, მაგრამ ვერ მოზომა, მეტოქემ თავი დახხარა და თავს აცდენილი მუშტი შუშაბანდის საარკმლის მიწას მოახვედრა, მინა ჩაღწეა და ზედ ხელი შეაქრა. მინის ნამსხვრევებმა შუბლი და ცხვირიც გაუქარეს. გრიგოლმა დაქრილი დეიდაშვილის სისხლი რომ დაინახა, ყავარჯენი შეაბრუნა, მოიმარჯვა და ოფიცრებს დასცხო. სერგო დაქრილი ხელითაც კი სასწაულს ახდენდა.

„ელემი“ ჯოჯოხეთს დაემგვანა. ბოლოს კაფე-შანტანში თბილისის გარნიზონის მორიგე ოფიცერი, მისი ჭარისკაცები შეკვივდნენ და წესრიგი დაამყარეს.

მოჩხუბარ ოფიცერთა დაპატიმრებისა და საკომენდანტოში გამოძიების ჩატარების მერმე სერგომ და რეზომ გრიგოლი და ანატოლი ჰოსპიტალში ეტლით მიიყვანეს, თვითონ კი მთაწმინდაზე ავიდნენ.

რეზოს უფროსი ძმა ზურაბი პატარა ბაღის პირას არსენას ქუჩაზე ცხოვრობდა. რეზომ სადარბაზო კარი შეაღო, სერგოს კიბეზე ასვლაში მიეშველა და მეორე სართულზე ზარი გაუბეღავად დაწვია. სჯობდა კი არ დაერეკა, რადგან ზურაბმა უზომოდ ნასყამი და დასახირებული სერგო რომ დაინახა, ქვა და კოხი დააყარა.

— რასა ჰგაგებარ, არა გრცხენინა?! რამ გაგალოთა სტუდენტო კაცოვამრიგად! მალე უნივერსიტეტო უნდა დადამთავრო. ჩვენი ბედშავი ერი თქვენ — სტუდენტებს იმედით შემოგვკვირის, თქვენგან მოელის იგი შველას, თქვენ კი ჰქუა, გონება და ზნე დაქარგეთ. ღვინოში იღრჩობით და ფეხზე გკიდით სამშობლო! დეიდა კატომ მამასისხლად ნაშოვნი ფულით მოსკოვში გაგისტუმრა, შენ კი იმ ფულს თბილისში აბნევ. კვიცი გვარზე ხტისო, შენზედ არის ნათქვამი. მამაშენმაც სამემკვიდრო მამულში აღებული ფული, ქართველ თავადებთან ერთად, ქეიფში შექამა. მამაშენი ნიჭიერი და კეთილი კაცია, მაგრამ რად გინდა: საცოდავი, ღვინომ გააფუჭა!

სერგო მძიმედ დაეშვა სკამზე და მოწაფესავით ჩაჰკიდა თავი. გიმნაზიის ინსპექტორი — გოლიათი კაცი ზურაბი კი საცვლების ამარა თავს დასადგომოდა და მის თავზე სახარების კითხვას აღარ ათავებდა. ზურაბის მეუღლემ — ორი შვილის დედამ, წესიერმა და ეშხიანმა ქალმა ანიკომ ლამა აანთო, სერგოს გვერდზე მიუჯდა, დააქებდა, შეძრწუნდა და უმაღლე დაუყვავა:

— ეს რა მოგსვლია, ბიჭო! ვინ დაგასახიჩრა ამრიგად!

— ისევ იჩხუბე? ღმერთო ჩემო, — შეშინდა ზურაბი. — რას გიგავს შუბლი და ცხვირი? რად არ შეიხვიე? სისხლი მოეწამლება ამ უბედურს!

ანიკო და ზურაბის დაი — პედაგოგი თამარი ხელზე შემოხვეულ, სისხლით გაყვნილ ხელსახოცზე დაამტერდნენ. ნელა მოხსნეს კანზე მიწებებული ხელსახოცი და შეძრწუნდნენ: მინაზე შეჭრილი ხელის გულზე გაწოლილი, პირღია იარა გახეთქილი მწიფე ბროწეულივით გადახსნილიყო, ზურაბი დერეფანში გაიქრა, კარის მეზობელი, ქორუტგი ვიგო გელაშვილი გააღვიძა და შეელა თხოვა. ქორუტგმა შუბლის, ცხვირისა და ხელის ჰრილობა მარგანეცის ხსნარში გაყვნილი ბამბით მო-

ბბანა სერგოს და იოდი წაუცხო, ხელი კი ბინტით შეუხვია.

ამოდ ღელავდა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ღვთისნიერი, კეთილი ადამიანი ზურაბ გარსევანიძე: სერგო მეტად ჯანსაღი ჭაბუკი იყო და იარებიც მალე შეუხორცდნენ. ზურაბის ნოტაციებმა ვერ მოარჩულეს სერგო. სერგო ისევ ყოველდღე აკითხავდა ჰოსპიტალში გრიგოლს და მასთან ერთად ქეიფობდა. მოწაფე რეზო კი ზურაბმა დატუქსა და რევიში, კალაპოტში ჩააყენა. რეზოს გაგიყვებით უყვარდა უფროსი ძმა. მისი რიდი და პატივისცემა ჰქონდა. მას ადრე გარდაეცვალა მამა და ზურაბმა ბავშვი თბილისში წამოიყვანა, გიმნაზიაში მიაბარა, გახარდა, ნამდვილი მამობა გაუწია.

მოსკოვში სამგზავროდ და საცხოვრებლად დედის მიერ მიცემული სტუდენტური ქურთუვის გულჯიბში გამოყვარული ფული სერგომ თბილისში დაამღერა. მაგრამ, როდესაც მოსკოვში სერგოს გამგზავრების დრო მოვიდა, სამაგიერო დეიდაშვილს გრიგოლმა ჩაუჯიბა.

გრიგოლმა და რეზომ მოსკოვს მიმავალი სერგო სადგურზე გააცილეს. მოეხვივნენ და ჩაპოყნეს. ახოვანი, ტანადი სტუდენტი დაძრულ მატარებელს შეახტა, გავონის კიბეზე გაჩერდა, დეიდაშვილებს მოღიმარი, სიყვარულით სავსე თვალები მიაპყრო და ჯერ კიდევ გაბინტული ხელი ასწია და დაუქნია. გამცილებლები კი მანამდე იდგნენ ბაქანზე, სანამ მატარებლის უკანასკნელი ვაგონი თვალს არ მიეფარა.

ყვარჯნებიანი ოფიცერი, შტაბსკაპიტანი გრიგოლი და მისი უმცროსი ძმა — თბილისის გიმნაზიის ამჟამად უკვე მერვე კლასის მოწაფე რეზო დამწუხრებული მიდიოდა ბარგით მარბენალ და ახმანებულ ხალხისაგან უკვე დაცარიელებულ ბაქანზე. მათ მასავეთ უყვარდათ დეიდაშვილი სერგო სლავისკი და შორეულ რუსეთში მისმა გამგზავრე-

ბამ გული დასწყვიტათ, რეზომ ცრემლივც კი გადმოჰყარა. მაღალმა, ნახევანმა მხედარმა შავი, ლამაზი, აქვანდობი გაახვდა მას, გაიღმა და გაიფიქრა: რეზო ყველაზე უფრო უმცროსი არის ჩვენს ოჯახში. იგი ყველას უყვარდა. მას ყველა გულში იხუტებდა, უყვარებდა, ანებივრებდა და გრძნობამოჭარბებული და გულჩვილიც ალბათ ამიტომ გახდა! გრიგოლი ცდებოდა: მიუხედავად იმისა, რომ რეზო ბავშვობის ქამს უფროსებს გამორჩევით უყვარდათ, თავს ევლებოდნენ, ანებივრებდნენ, იფიცებდნენ და ოჯახში მისი კულტი სუფევდა. იგი ამის გამო გულქვა, ეგოისტი, შეუბრალებელი და კაცთმოძულე ტირანი მაინც არ გამოსულა. ალბათ თბილისში სხვის კარზე უდებოდ ცხოვრებამ და გაჭირვებამ გამოაწროთ, გარანდა და კაცად გახადა.

რეზო მხარზედაც კი ვერ წვდებოდა თბილისის სადგურის ბაქანზე ყავარჯნით მიმავალ გოლიათ ვაჟაკს, რომელიც მას ასლაც ბავშვად თვლიდა, „რეზიკოს“ ეძახდა. თუმცა გაგონილი ჰქონდა, ძმა რომ ჩინებული მოვარჯიშე დამდეგარიყო, ხოლო მწი კრივის შნო და ლაზათი საკუთარი თვლით ნახა „ედემში“ გამართული ჩხუბის დროს. სწუხდა, კაფე-შანტანში რომ წაიყვანა მოწაფე და უფროსების უმსგავსობა დაანახებდა ასეა ყოველთვის: რვა და ათი წლით უფროს ძმას უმცროსი დიდხანს ბავშვი ჰგონია.

რეზო კი, მომავალ წელს, სიმწიფის მოწმობას აიღებდა და განა მასზე ბავშვი ითქმოდამ! იგი, თავისი ასაკის კვილობაზე, მეტად ნაკითხი ჭაბუკი იყო. სული მისი, ჯერ კიდევ წმინდა, შეუბრალებელი დარჩა. იგი ქალში სილამიზეს, მაღალ ზნეობას, დედობრივ გრძნობას აფასებდა. „ედემში“ გამართული ქეიფი, ლოთობა, სქესობრივი აღვირავლილობა, ეკხანაღია რომ ნახა, გაოცდა. გაუკვირდა, ოფიცრებმა, მისმა ღვიძლმა ძმამ, დეიდაშვილმაც რომ ადამიანის სახე დაჰკარგეს და, როსკიბების გამო, ერთმანეთი ძაღლები-

ვით დახიეს და დაპვლიჯეს, ამან დაამწყურხრა და ადამიანის გამო მწარედ ჩააფიქრა. მას უკვე თავისი აზრი, ვაგება და შეხედულება შეუმუშავდა და ამ კუთხით უყურებდა ქვეყანას, თითქოს თავისი სამხერი და სათვალთვალო ადგილი მოსძებნაო.

რეზომ გრიგოლი ჰოსპიტალში მიაცილა და მერმე ეტლით მთაწმინდაზე ავიდა.

გრიგოლი ძორჩა, ყვარჩნები ვადავდო და ჯოხი დაიბიჯვა. იგი ჯერ კიდევ კოჭლობით დადოდა, მაგრამ ის ოდნავი კოჭლობა ტანადსა და ახოვან ვაჟკაცს ვი არ ამახინჯებდა, არამედ ერთგვარ შნოსა და იერს ჰმატებდა: მისი სიარული კავალერიის ოფიცრის უდარდელ სიარულს მოგაგონებდათ.

გრიგოლ გარსევანიძე ქუთაისის გარნაზონის ჯარისკაცთა სამხედრო სამოწველო ჯგუფის უფროსად დანიშნეს. ქუთაისის გარნაზონში მან ექვს თვეს იმსახურა, იქაური ლამაზი და განათლებული ქალი, ახალგაზრდა პედაგოგი თანა ვახეიშვილი შეირთო და მღვინვე თურქეთის ფრონტზე გაგზავნეს. გრიგოლმა ბრძოლებში ისევე თავი ისახელა, ხარისხები და ორდენები ზედიზედ მიიღო და, 1917 წლის პირველი რევოლუციის მერმე, ოცდარვა წლის ახალგაზრდა კაცი სამშობლოში პოლკოვნიკის ხარისხით დაბრუნდა. რეზომ კი 1916 წელს თბილისის გიმნაზია დაამთავრა, სიმწიფის მოწმობა მიიღო, ესოდენ სანატრული სტუდენტური ტანი-სამოსი ჩაიცვა, რას შემდეგ მას ნაცნობნი და უცნობნიც რევაზს და არა რეზოს ეძახდნენ.

2

რევაზ გარსევანიძე თავისი უფროსი ძმების — ზურაბისა და კოტეს კვალს გაჰყვა: ისიც წმინდა ელადიმირის სახელობის კიევის უნივერსიტეტში შე-

ვიდა, მაგრამ არა ფილოლოგიურსა და ბუნებისმეტყველების უნივერსიტეტში, არამედ სამედიცინოზე. კიევის უნივერსიტეტში მძებნივით კიევეში ფუნდუკავევის ქუჩაზე, მდიდარი ებრაელის ბორმანის ხუთსართულიანი სახლის ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა. კიევის უნივერსიტეტში ისიც ცნობილ პროფესორებს უსმენდა, ბევრს მეცადინეობდა და პროზექტურაშიც დაიარებოდა. მერმე კი რუსეთში დიდი ამბები დატრიალდა და რევანიც სხვა გზას გაჰყვა.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებნა და სამოქალაქო ომის დროს რევანიც კიევეში ჯავშნიანი ნაწილების უფროსს — ივლიანე აბუაშვილს ახლადუქრსდამთავრებულმა ექიმმა გენო ბეზარიშვილმა გააცნო. კიევის მახლობელი რეინიგზის სადგურის ყოფილი ტელეფონისტი, ზემოიმერელი დარბი ვლენის შვილი ივლიანე აბუაშვილი ჩია, ოდნავ კოჭლი კაცი მაშინ ჩობას ატარებდა, წელზე ქამარ-ხანჯალი ერტყა და მალხერი ეკიდა. ქართულ კილოზე რუსულად მოლაპარაკე, მცირე განათლების მქონე ის ჩია და შეუხედავი კაცი, ამავე დროს სახრიანი, გაბედული, მამაცი მებრძოლი იყო. სწორედ იმ მამაცობამ, სახრიანობამ და ხერხიანობამ გაუთქვა მას რუსეთში სახელი. ივლიანე აბუაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა უკრაინის რადის, პეტლიურას, ვერმანელებისა და თეთრ-გვარდიელების ჯარების დამარცხებისა, კიევიდან და მისი ოლქიდან მათი განდევნის საქმეში. გადამწყვეტი ბრძოლის წინ აბუაშვილმა კიევის რეინიგზის მაგისტრალიდან ტყეში გაყვანილ შტოზე ოსტატებს ლიანდაგი დააგებიანა, შიგ თავისი ჯავშნიანი მატარებელი ჩააყენა და შენიღბა. ცხარე ომისას კი ის მატარებელი ტყიდან მოულოდნელად გამოიყვანა, უკან დახეულ მტრის ჯარს ზურავში მოექცა და ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ქარიშხლისებური ცეცხლით გაანადგურა. ამ საქმისათვის მას წითელი დროშის ორდენი ჩამოჰკიდეს და სამხრეთ რუსეთის ჯავ-

შინაინ ნაწილების უფროსად დანიშნეს.

ერთხელაც ივლიანე აბუაშვილმა ახლად კურსდამთავრებული ექიმი ბეზარიშვილი ეტლში ჩაისვა და, როგორც ქალაქ კიევის მცოდნეს, თავისი ნაწილის შტაბის დაბინავებისათვის კარგი სახლის არჩევა თხოვა. ბეზარიშვილმა კიევიდან გაქცეული ერთი თავადის სახლი უჩვენა. ბაღში ჩადგმული აგარაკისმაგვარი, მეტად ლამაზი ცალკე სახლი ძალიან მოეწონა აბუაშვილს, მაგრამ იგი წითელი არმიის რომელიღაც ნაწილს მანამდე დაეკავებინა. აბუაშვილმა მაინც დაათვალიერა ის სახლი. მან ძვირფას სავარძლებში მოკალათებულ, უხეიროდ ჩაცმულ, უქამრო ჯარისკაცებს და მათ მეთაურებს ამცნო, ვინც იყო და უბრძანა:

— მამ ასე, ბიჭებო, ეს სახლი მე მჭირდება. თქვენ სხვა სახლში გადადით. ცარიელი სახლი ახლა კიევში რამდენიც გინდა იმდენია. ორი საათის განმავლობაში დასცალეთ, თორემ ძალით დავიკავებ!

იმ შევეკრებთან, შავულვაშიან, ჩოხიან ჩია კაცს ისეთი იერი, რიხი და მოქცევა ჰქონდა, თითქო მთელი ქვეყნის გამგებელი იგი იყო და ყველა მას უნდა დამორჩილებოდა. ემორჩილებოდნენ კიდევ! ბეზარიშვილის სახეს ამაოდ არ შორდებოდა დამცინავი ღიმილი. მეჩხერკბლებიანი, ახალგაზრდა ექიმის ის ღიმილი აბუაშვილს არ გამოპარვია:

— შენ ჩემს რუსულს ნუ დასცინი და ნუ იკრიჭები ჩხარელი ყველის ვაჭარივით, თორემ ერთ წუთში გაგაქრობ! ჭკუით იყავი, — დაარიგა ჭკუაზე აბუაშვილმა ეტლში მის გვერდით მჯდარი თავისი სოფლის მეზობელი გენო ბეზარიშვილი და მრისხანედ შეხედდა. ამ წუთიდან ექიმის სახეზე ის დამცინავი ღიმილი სამუდამოდ გაქრა. ზემოიშვრელი მეღვინის შვილმა, შინაინაჰამმა ტანმორჩილმა კაცმა აბუაშვილის პირში ქება, მის წინაშე მლიქვნელობა, ქლესაობა დაიწყო. და რაღა ფასი ჰქონდა მერმე ზოგიერთ კიველ

ქართველთან, სტუდენტთან ირონიული ღიმილით მის ჩურჩულს: *ერკინეშული*!

— ვერ გამიგია, თანაც მიკვირებს! მკვება ქვეყანაში ამ ქონდრის კაცმა თავი ამრიგად რომ გამოიჩინა, მას ასე აფასებენ, მასზე ასეთი დიდი წარმოდგენა აქვთ.

— ასეთი წარმოდგენა რუსეთის ჯარში წინათ ნამსახური ქართველი მხედრების მამაცობისა და გმირობის გამოძახილს წარმოადგენს, — აღესნა რევანმა და დასძინა: — ამაოდ დასცინი აბუაშვილს! ამ ლატაკი გლეხს შვილში — ივლიანე აბუაშვილში დაუსრულებელი ომებისაგან ქართველი კაცის მიერ მიღებული ისტორიული გამოცდილება, სიმხნევე და სიმამაცე გლინდება.

სავალალოდ გაზვიადებულმა ქებამ ბოლოს აბუაშვილსაც თავბრუ დაახვია, ხოლო განდიდების სენით შეპყრობილმა კაცმა ახლა ექიმის ბეზარიშვილის ხოტბასაც დაუჭერა და იგი თავისი ჯანვანი ნაწილების სანიტარული განყოფილების უფროსად დანიშნა, ბეზარიშვილმა კი თავის თანამემყუდ მედიცინის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი რევან გარსევანიძე მიიყვანა და ასე აღმართა კიევში მცხოვრებ ქართველთაგან აბუაშვილისაგან მიმავალი კიბე და მისი საფუხურები, რომელზეც თვით ის სახელოვანი მებრძოლი აბუაშვილი კინაღამ არ დააგორეს, ზევში არ გადაჩეხეს და სახელი არ შეუღანძღეს. და მერმე რა გახდა ამის მიზეზი? სულ უბრალო რამ: ქართული სუფრა, ღვინო და ხათრი.

კიევში გათხოვილმა და ამ ქალაქში ავტო უკვე ორმოც წელს მცხოვრებმა ქვრივმა მოხუცმა ქალმა — ივლიტე ერისთავმა, რომელსაც თვალწარმტაცი სილამაზისა და ეშხის ნაშთი ახლაც შერჩენოდა, გენადი ბეზარიშვილს ჭირი მოსჭამა ივლიანე აბუაშვილი როგორმე სადილად დამიპატიყევო. აბუაშვილმა თავადის ქალთან სტუმრად მისვლა ითაკილა და მოციქული რიგინა-

პირიანად გაჯორა, მაგრამ სიტყვა-ტკბილი ექიმი არ მოეშვა და შეაცდინა.

ოდესღაც მზეთუნახავი, განათლებული, ენამზე ქალი სტუმარს ფიანდახად გაეფინა, ქებით გააბრუა, დაათრო. სასიკბედლო სტუმარს საქართველოდან ჩამოტანილი ქინძით, ზაფრანით, ხმელი სუნელითა და ნიგვზით შექმავული და შენელებული, მართლაც იშვიათად ნახელავი საცივით, თეთრი სიმინდის ქათქათა ღომითა და ჩინებული ღვინით — ხვანჭკარით გაუმასპინძლდა. რუსეთში დიდ ხანს ნაცხოვრებ, მშობლიურ კერძებს და ღვინოს დანატრებულ ქართველს, მეტადრე სამოქალაქო ომის შიმშილიანობის ქამს, ძალიან მოეწონა საცივი, ღომი და ხვანჭკარი. შეზარხოშებულმა სტუმარმა გულუხვ მასპინძელს დიდი მადლობა გადაუხადა. აი, სწორედ მაშინ შეაპარა მასპინძელმა სტუმარს სათხოვარი: ნათესავის, პენსიაში გასული მოხუცის, პოლკოვნიკი ღულაძის განთავისუფლება პატიმრობიდან და რუსეთიდან მისი გასახლება.

— რაო, — საშინლად გაოცდა სტუმარი. — ის მამალი, შუმი მონარქისტი გავანთავისუფლო? — იყვირა აბუაშვილმა და, უარის ნიშნად, ხელები გაასავსავა.

— ბატონო ივლიანე, ნუ გამიბრაზდებით, — დაუტკბა ერისთავის ქალი და მწუხარე ღვთისმშობლის სახით შევედრა: — მაჩუქეთ ღულაძე. იგი მაშინვე დასტოვებს რუსეთს და ევროპაში წავა.

— მაგ თხოვნას ვერ შეგისრულებთ! ბადეში ძლივს გავახვიეთ ის ეეშაპი და ახლა ისევ მის მიერ ნანატრ ზღვაში ჩაეუშვათ! რას ამბობთ? ეგ შეუძლებელია. ღულაძე მამალი მონარქისტია, — გაიძახოდა სტუმარი. მასპინძელი კი შიშისაგან გაღიორდა და ისქვ შეევედრა:

— ღვთის გულისათვის!

— რომელი ღვთის, ნიკოლოზის და მონარქისტების ღვთის გულისათვის? — გააწყვეტინა მუდარა აბუაშვილმა და

უსაყვედურა: — ეს რა მიყავით, ეს რა თხოვნა შემომპარეთ? ეს გეშინებათ? სადილი და ტკბილი ღვინო რადი ჩამამწარეთ?

ბოლოს ივლიტე ერისთავის ცრემლებმა, ბეზარიშვილისა და კიევეში მცხოვრებ სხვა ქართველთა თხოვნამ, მუდარამ გასჭრა. ხოტბითა და ქებით გაბრყვებული, ნაშუსზე შეგდებული აბუაშვილი „ჩეკის“ უფროსთან მივიდა, ღულაძის განთავისუფლება და რუსეთიდან მისი გადასახლება თხოვა, რაზედაც ცივი უარი მიიღო. შათი მოლაპარაკებიდან არაფერი არ გამოვიდა გარდა იმისა, რომ ერთმანეთს აწყენინეს. მაშინ პატივმოყვარე აბუაშვილი უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესთან — ლიტვინოვთან მივიდა.

— რასაც თქვენ ითხოვთ, მისი შესრულება შეუძლებელია და არც შეგფერით, — უთხრა ლიტვინოვმა. ერთხელავე გაბრყვებული, გაქვზებული და ამის გამო უზერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი აბუაშვილი კი ხათუნგიდან გასაძვრენ ზერელს ეძებდა.

— რად არ შემფერის? განა კონტრრევოლუციის წინაშე დათმობაზე მივდივარ! ნუთუ მე სამხრეთ რუსეთის ჯავშნიანი ნაწილების უფროსს არ მენდობიან, რომ ერთი კაცი მაჩუქონ, რათა იგი რუსეთიდან გავაძვეო და გავასახლო? — ჰკითხა ლიტვინოვს აღშფოთებულმა აბუაშვილმა.

— თქვენ ბევრ რამეს გენდობიან და გაფასებენ — მიუგო ლიტვინოვმა, — სწორედ ამის გამო გიბოძეს წითელი დროშის ორდენი, მაგრამ ღულაძე იმდენად ცნობილი და თვალსაჩინო პიროვნებაა, რომ მისი დასჯა თუ განთავისუფლება მარტო თქვენი და ჩემი საქმე როდია.

— მაშინ მე ამას ჩაეთვლი ჩემდამი უნდობლობად და ჯავშნიანი ნაწილების უფროსობას თავს გავანებებ, — გაცხარებით განაცხადა აბუაშვილმა.

ლიტვინოვი შეშფოთდა. რა ახირებულ კაცს გადაევიდო, გაიფიქრა მან

და აბუაშვილს მოსკოვთან დაკავშირება და მის მიერ დასმული საკითხის მოგვარებას შეპირდა.

„ჩეკის“ უფროსის კაბინეტში წვერულვაშმოშვებელი, ჰალარა, გამხდარი კაცი შემოიყვანეს. მას ნაცრისფერი კოსტუმი ეცა, პიჯაკის საყელო აწნია, იგი დახერტის მოლოდინში, შეშინებული, ზეზეულად გათავებული კაცის თვალეებით იხედებოდა. აბუაშვილმა ზიზღით შეხედა და მაშინვე მიასალა:

— შენ მონარქისტი, კონტრარევილუციონერი ხარ და დახვრეტა გეკეთვნის...

პატიმარი ცარიელი ტომარივით ჩაიკეცა სკამზე და თავი ჩაჰკიდა.

— ჩემი ზელოთ დაგხვრეტავდი კიდეც. — განაგრძო აბუაშვილმა, — მაგრამ ახლა გადაწყვეტეთ საზღვარზე მიგიყვანოთ და შენს დასავლეთურ ბატონებთან პანღურის ცემით გაგისტუმროთ, რომ შენი და შენისთანების მყარალი სული არ სწამლავდეს საბჭოთა ქვეყნის წმინდა პაერს.

მიხაკისფერ ფრენში გამოწყობილი, მალალი, ქერა კაცის „ჩეკის“ უფროსისათვის გაუგებარი იყო ლულაძისადმი აბუაშვილის გამოსარჩლება, მაგრამ მისი ბოლო სიტყვის მოსმენისას მან თავისი ნაღვლიანი, წყლისფერი თვალები შეანათა ჩობიან, განრისხებულ ჩია კაცს და უნებლიედ გაელიმა. მერმე პატიმარს ჩაცმა და მომზადება უბრძანა, მაგრამ მოშვებული ტომარივით სკამზე დაგდებული პატიმარი ადგილიდან არ იძროდა, თითქო დამბლა დაეცაო. იგი უაზრო თვალეებით ერთ წერტილს დაშტერებოდა. ღია ხაზიდან ნერწყვი თავისთავად სდიოდა. ეტყობოდა, ტვინის ცენტრი მოშლოდა, დახერტის შიშის გამო მთლად წამხდარიყო. აბუაშვილს მოეჩვენა, თითქო პატიმარი ზეზეულად ჰყარდა.

— ფუი, — გააფურთხა აბუაშვილმა და თითები ცხვირის ნესტოებზე მიიჭირა.

1919 წელს, რუსეთში სამოქალაქო ომის მძვინვარების ეამს, რეჟიმს ვაკსეკანიძემ ოც ქართველ სტუდენტთან ერთად კიევიდან საქართველოში გამოსწვია. ხარკოვში ამ გგუფს ათი ქართველი სტუდენტი შეუერთდა. სტუდენტებმა საბარგო ვაგონებიან მატარებლით კიევიდან თბილისამდე ორი კვირა იმგზავრეს და დიდი გაჭირებაც გამოიარეს.

რკინიგზის სადგურ ტიხორეცკიაშია წითელი არმიის რომელიღაც ნაწილის ჯარისკაცებმა მატარებელი გააჩერეს და გაჩხრიკეს. ოთხი ქართველი სტუდენტი, რომლებსაც სამხრეებიანი სტუდენტური ქურთუკი ეცვათ და ზედ ორთავიანი არწივით ამოტიფრული, ოქროსფერი ღილები ეკერათ, მონარქისტებად სცნეს და დაამატიმრეს. სტუდენტებს ამხანაგები გამოეგარჩლნენ.

— რას ერჩით მათ? — ჰკითხა რევაზმა ჯარისკაცებს.

— ისინი მონარქისტები არიან, — აღშფოთებით მიუგო ერთმა ჯარისკაცმა.

— მონარქისტობა შუბლზე ხომ არ აწერიათ? — ჰკითხა სამოქალაქო ტანი-სამოსში გამოწყობილმა მეოთხე კურსის სტუდენტმა დათა ნანობაშვილმა ჯარისკაცს.

— შუბლზე კი არა ღილებზე აწერიათ, — მოუჭრა ჯარისკაცმა.

— მეც სტუდენტი ვარ, მოდიოთ და დამამატიმრეთ, — მიუგო დათამ.

— ვინა ხარ? — ჰკითხა დაგლეჯილ მახარაში გახვეულმა, ქერაულეაშიანმა, გამხდარმა გლეხმა და თოკგამომბული შაშანა მხარზე გადაიკიდა.

— სტუდენტი. — მიუგო დათამ.

— ეგა რომელ გუბერნიიდანა?

— გუბერნიიდან კი არა, უმაღლეს სასწავლებელიდან, უნივერსიტეტიდან. უნივერსიტეტში მოსწავლეს სტუდენტი ეწოდება, — აუხსნა დათამ გლეხს, რომელმაც არ იცოდა, თუ ვინ იყო „სტუდენტი“, მაგრამ გლეხმა ძალიან კარგად იცოდა ერთი რამ: საბჭოთა მთავ-

რობამ მიწა რომ მიანიჭა და იგი ახლა მას ბატონს აღარ დაუბრუნებდა. მეორე ჯარისკაცი ვაბრაზდა, დათას შეუტია:

— იმათ ძველი სამხრეებიანი ქურთუკი აცვიათ, ღილებზე ორთავიანი არწივი ახატიათ, ორთავიანი არწივი და მეფის გვირგვინი კი მონარქიული რუსეთის ღერბია. უკვე ორი წელი გავიდა, რაც ოქტომბრის რევოლუცია მოხდა, თუ ეს ვაებატონები მონარქისტები არ არიან, რად არ გადააგდეს ამდენხანს ის ქურთუკები! — იგი პირველ ჯარისკაცებზე უფრო განათლებული აღმოჩნდა.

— ვერ მოვასწართ ტანისამოსის გამოცლა — მიუგეს შიშისაგან გაფითრებულმა პატიმრებმა, — სხვა ტანისამოსი არა გვექონდა. სამშობლოში რომ ჩავალთ, გადავაგდებთ.

— მთელმა ქვეყანამ იცის, რომ სტუდენტები მონარქიულ წესწყობილებას ებრძოდნენ და ახლაც მას ებრძვიან სტუდენტები მუდამ რევოლუციის მხარეზე იდგნენ და ახლაც მის მხარეზე დგანან. — უთხრა ჯარისკაცებს დათა ნანობაშვილმა.

ერთმა ჯარისკაცმა ჯიბის დანა ამოიღო და დაპატიმრებულ სტუდენტს ოქროს ღილები შეაჭრა. ჯარისკაცებმა პატიმრებს ალყა შემოარტყეს, ბაქანიდან ხელის კერით გარეკეს და ღიანდაგს იჭით, მინდორში დასაწვრტად წაიყვანეს. სტუდენტები გამოუდგნენ და არ დაანებეს. შეიქნა მიწვევა-მოწვევა...

აი სწორედ ამ დროს სადგურზე გავშნიანი მატარებელი შემოგრიალდა, ვაკონის სარკმლიდან ბუბრი ქელიანი, შეწვევრულვაშებიანი, ლამაზი ჰაბუკის თავი გამოჩნდა. იმ ჰაბუკმა ბაქანზე ჯარისკაცებსა და სტუდენტებს შორის შეხლა-შემოსლა რომ დაიხაზა, ვაკონიდან ჩამოვიდა, იგი მაღალი და მკბაღ ლამაზი ჰაბუკი იყო, ტყავის შავ ქურთუკსა და შარვალში გამოწყობილი. წელზე ხის ბუდეში ჩადებული მაუზერი ეკიდა. ჯარისკაცებსა და სტუდენტებს

შორის ატეხილი დავა, შეხლა-შემოსლა შეწყდა. რევან გარსევანიძემ ჯავშნიანი მატარებლიდან ჩამოსული ჰაბუკი მაშინვე იცნო და გაშტერდა. იგი თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილი მოწაფე შალვა კოლუაშვილი იყო. ისინი თბილისში მეგობრობდნენ ერთმანეთს, კოლუაშვილმა რევან გარსევანიძე გადაკოცნა და ჰკითხა:

— რა ხდება აქ?

— ქართველი სტუდენტები კივიდან და ხარკოვიდან საქართველოში მიემგზავრებიან. ჯარისკაცებმა მონარქისტებად მოგვნათლეს, მატარებელი დააკავეს და ოთხი ამხანაგი, აგერ დასაწვრტად მიჰყავთ — მიუგო რევანმა.

კოლუაშვილი ჯარისკაცების უფროსს მიუბრუნდა და უბრძანა:

— აქ მომგვარეთ ის პატიმრები!

როდესაც პატიმრები სადგურზე მიიყვანეს, კოლუაშვილმა თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილი მოწაფე გია გოგატიშვილი იცნო, ხელი ჩამოართვა გადაკოცნა, გაუღიმა და მერმე ჯარისკაცებს უთხრა:

— არა, ამხანაგებო, ესენი მონარქისტები არ არიან.

— თუ მონარქისტები არ არიან, ორთავიანი არწივით შემკულ ოქროს ღილებს რად ატარებენ? — ჰკითხა ერთმა ჯარისკაცმა კოლუაშვილს, კოლუაშვილმა ქელი მოჰხადა, ქოჩორზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა:

— აი შენ მეფის ოფიცრის უეპოლერო ქურთუკი გაცვია, კოკარდიანი ქელი გხურავს, მაგრამ განა მონარქისტია ბარ?

ჯარისკაცები უმაღლეს მხიარულ გუნებაზე დადგნენ და გადაიხარხარეს. კოლუაშვილმა განაგრძო:

— ეხ, თქვენ ჰკუის კოლოფებო, მტერი და მოყვარე ერთმანეთისაგან ვერ გაგიჩივიათ! არა, ამხანაგებო, ესენი სტუდენტები არიან, ესენი რევოლუციის უქრენ მხარს. მე ვიცნობ მათ. — ესა თქვა და სადგურის უღროსს მიუბრუნდა და უბრძანა: — გავშნიანი მატარებლის გასვლის მერმე

ეს სამგზავრო მატარებელიც გაუშვი! ასე გადაარჩინა ტიხორეცკიაში კოლუაშვილმა დახვერტას კიევიდან და ხარკოვიდან მომავალი ქართული სტუდენტების ერთი ჯგუფი.

რუსეთის ჯარში პირველი მსოფლიო ომის დროს ნამსახურა ოფიცერი შალვა კოლუაშვილი ოქტომბრის რევოლუციის მერმე წითელ არმიასი შესულიყო. მას თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში თავი უსახელებია და მალე დივიზიის კომისრობაც მიეღო. შალვა კოლუაშვილი რუსეთში კომაროვის გვარით მოქმედებდა. კომაროვი ახლა დივიზიის შტაბის ოფიცრებთან ერთად ჩრდილო-კავკასიის კონტრრევოლუციური ჯარების წინააღმდეგ მოქმედი წითელი არმიის დასახმარებლად მიემგზავრებოდა. ამრიგად კიევიდან მომავალი სამგზავრო მატარებელი ბრძოლის უბანში აღმოჩნდა.

მგზავრებმა დიდი გაჭირვება, შიმშილი, შიში და ხიფათი გაიარეს, მაგრამ შალვა კოლუაშვილის — კომაროვის წყალობით სამშობლოში ცოცხალი ჩავიდნენ.

3

საქართველოში ჩამოსვლისთანავე რევანმა მედიცინას თავი მიანება და, რადგან მწერლობით გატაცებული ქაბუკი იყო, თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიური დაკულტეტი აირჩია, რომელიც 1924 წელს წარმატებით დაამთავრა. ერთ-ორ წელს იგი შრომის სკოლაში მასწავლებლობდა, მერმე კი სამხედრო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის ლექტორად მიიწვიეს, მაგრამ სამხედრო სკოლაში რევანი მარტო ლექტორის მოვალეობას როდი ასრულებდა. სად არ ნახავდით მას?! ლექციებზე, სკოლის ბიბლიოთეკაში, კლინიკაში, კლუბში, თეატრსა და სპორტდარბაზში... ყველგან.

ერთხელ სამხედრო სკოლის თეატრში, რომელიც ყოფილი სასულიერო სემინარიის ეკლესიაში მოეწყობო,

რევანი საარტილერიო განყოფილების კურსანტის შაქრო პაპუაშვილს მიერ მიაიკოვსკის ცნობილი ლექსის „მარცხენა მარშის“ კითხვას დაესწრო. შაქრო პაპუაშვილს ლომის ბუხუნის მსგავსი ხმა ჰქონდა; მაგრამ მისი დეკლამაცია, ექსტ-მიმიკა და მიზანსცენები რევანს არ მოეწონა. სცენაზე ავიდა და პაპუაშვილს ასწავლა, თუ როგორ უნდა წაეკითხა „მარცხენა მარში“. მესამე დღეს კონცერტის მოსასმენად თეატრში შეკრებილ კურსანტებს, მეთაურებსა და ლექტორებსაც ძალიან მოეწონათ პაპუაშვილი, განსაკუთრებით კი სამხედრო სკოლის უფროსს — ფანატიკოსსა და ნერვიულ კაცს. იგი ალტაცებაში მოიყვანა პაპუაშვილის მიერ წაკითხულმა სტრიქონმა, რომლის დროს დეკლამატორმა, თითქო წელზე დაკიდებული ბუდიდან მათუბერი ამოიგლიჯა და უხილავ მტრებს დაემუქრა: „Тише ораторы! Ваше слово, товарищ маузер!“ („ჩუმად ორატორებო! სიტყვა თქვენ გეკუთვნით, ამხანაგო მათუბერო!). სკოლის უფროსმა რევანს გარსევანიძე მოიხმო, მადლობა გამოუცხადა და უთხრა: —

— რა კარგად მოგიმზადებიათ პაპუაშვილი, ვერც კი ვიცანი: ვილაც ცნობილი მსახიობი მეგონა. ვერ წარმომედგინა, ჩვენი როყო და რეგენი პაპუაშვილი მიაიკოვსკის იმ ცნობილ ლექსს ასე ჩინებულად თუ წაიკითხავდა! რა წამალი შეუშხაპუნეთ ისეთი, რამაც ყველაზე უწიგნური ჩვენი კურსანტი ჭეშმარიტ მსახიობად აქცია! — გაკვირვებას გამოსთქვამდა სკოლის უფროსი.

— „ჭეშმარიტი მსახიობისა“ რა მოგახსენოთ, მაგრამ პაპუაშვილს მსახიობისათვის საჭირო მონაცემები გააჩნია: ხმა აღნავობა, სხის ნილაბი... — მიუგო რევანმა: სკოლის უფროსი გაოცებული მიშტერებოდა მას. ბოლოს თავისი გაოცება ვერ დამალა და ჰკითხა:

— თქვენ ვინ ბრძანდებით: ლექტორი თუ რეჟისორი?

— ლექტორი, — მიუგო ღიმილით რევაზმა.

ერთხელაც რევაზი სკოლის სპორტ-დარბაზში ჩავიდა, მისი მეგობარი, ცნობილი სპორტსმენი ვასო ბერუაშვილი კურსანტთა ჯგუფებს იარაღებზე ავარჯიშებდა. ვასო და რევაზი ოდესღაც სპორტსაზოგადოების „შეგარდნის“ მწვრთნელთა ჯგუფში ვარჯიშობდნენ. რევაზმა სპორტული ტანისამოსი ჩაიცვა და ლერძზე, ორძელზე და რგოლებზე მრავალი ნაწილებისაგან შემდგარი, რთული ვარჯიში ჩინებულად შეასრულა. იმ დღიდან კურსანტებს შორის რევაზის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა. ხანდაზმული ლექტორები კი დასცილდნენ: „ვერ გავვიგია, გარსევანიძე ლექტორი, რეჟისორი, მსახიობი თუ სპორტსმენია?“

ერთხელაც, კვირა დღეს, ვასო ბერუაშვილმა კურსანტები გაფრენაზე წაიყვანა. კურსანტებს რევაზი, ახალგაზრდა ლექტორები და კურსის მეთაურებიც მიჰყვნენ. კურსანტები შავნაბადიდან ბოტანიკურ ბაღში ჩავიდნენ. ბაღში მაღალი წყალვარდნილის ზემოდ აგებული ხიდის მოაჯირზე რევაზმა ყირა ასჭიმა, რისთვისაც გაფრენაზე წამოსული ლექტორების განკიცხვა დაიშახტრა:

— სიკვდილთან ასეთი თამაში, სწორედ რომ გაუგებარია! ნუთუ ამ თვალუწვდენ ხევში გადაჩეხისა არ შეგეშინდა?

— ორი წლის წინათ — ღიმილით მიუგო ხიდზე დამხტარმა რევაზმა, — ასეთივე განკიცხვა დაიშახტრე სერგო ორჯონიკიძისაგან კოჯორში.

სერგო ორჯონიკიძის სხენებზე კურსანტებმა, მეთაურებმა და ლექტორებმა რევაზს წრე შემოარტყეს.

— იმ ზაფხულს, — დაიწყო რევაზმა, — ჩემი უფროსი ძმის ზურაბის ოჯახთან ერთად კოჯორში ვისვენებდი. სერგო ორჯონიკიძისა და ჩემი ძმის აგარაკებს საერთო ეზო ჰქონდათ, დილის

საუხმის მერმე სერგო საზაფხულს, თეთრი ხალათითა და შარვლით, შიშველ ფეხებზე წამოგებული თაჩუნებით ბინიდან ეზოში გამოვიდოდა, ცაცხვის ქვეშ ხალიჩას გააგებდა, ზედ მუთაქას დააგებდა, მხარეთქოზე ხალვათად წამოწებოდა და დილიდანვე დიდტანიანი წიგნის კითხვას დაიწყებდა. მოხლებოდა ისე, რომ ხანდახან დამიძახებდა და ჩემთან საუბარს გააბამდა. სერგოს ძალიან უყვარს ახალგაზრდობა და მასზე სოციალიზმის მშენებლობის საქმეში დიდ იმედს ამყარებს.

— ბედნიერი კაცი ხარ: ისეთი დიდი ადამიანი, მგზნებარე რევოლუციონერი და განათლებული ბოლშევიკი რომ შენი ნაცნობი ყოფილა, მას შენთან უსაუბრია, — შენიშნა ცისფერთულება, აღტაცებულმა დომენტი შეგარდნაძემ და ჰკითხა: — მიინც როგორ დაიშახტრე მისი განკიცხვა?

— ერთხელ 1925 წელს თბილისიდან კოჯორში ჩემი მეგობრები ამოვიდნენ, — დაიწყო რეზომ, — საღამო ეამს კოჯორის ციხეზე ავედით თქვენ რომ შეცდომით „ქოროლლის ციხეს“ ეძახით. მე იმ ციხის თავზე ყირა აესჭიბე. შინ რომ გამოვსწიეთ, მუხიანში სერგო ორჯონიკიძე და მისი თანმხლები პირები შეგვეყარნენ. სერგომ შორიდანვე წყრომით შემოგვძახა:

— ვინ იყო, ჰაბუკებო, თქვენს შორის ის თავზნებულადებული, ციხის კოშკზე ყირა რომ გააკეთა?

— მე გახლდით, — მივუგე მას.

— როგორ გაბედე იმ ციხის კოშკზე ყირის გაკეთება! წონასწორობა რომ დაგეკარგა, კლდეზე გადაიჩეხებოდი, დაილუპებოდი. სიცოცხლე მოგბეზრდა? — დამტუქსა სერგომ.

— არა, — მივუგე მას, თანაც განუმარტე: — ციხის ეზოდან ნაპრალისაკენ კი არ ამიჭიმიო ყირა, არამედ პირიქით: ნაპრალიდან ციხის ეზოსაკენ, იმ ვარაუდით, რომ წონასწორობას თუ დაგეკარგავდი ხტომს ეზოში გავაკეთებდი. ასეც მოვიქციე.

11636

სერგოს ის ჩემი ხერხი მოეწონა და ახლა შემაქო:

— ყოჩაღ, — დაიძახა მან და მკლავის ძალა გამისინჯა, — ოპო, — აღმოხდა მას, როდესაც ჩემს ამობურცულ, მაგარ კუნთს ხელი შეახო. — უამბობდა რევავი მსმენელებს და ბოლოს დასძინა: — ახლაც იმგვარად მოვიქციე: ხიდიდან წყალვარდნილისაგენ კი არ ამიჭიმია ყირა, არამედ პირიქით: წყალვარდნილიდან ხიდისაგენ, იმ ვარაუდით, რომ წონასწორობას თუ ვერ დავიჭერდი, ხტომს ხილზე გავაკეთებდი.

— მაინც ძალზე სახიფათოა, — იძახდნენ ლექტორები, და ხიდის ქვეშ მოგრიალე მდინარის წყალვარდნილსა და თვალწვედნ ხევს შიშით გადასცქეროდნენ. ისინი რევავს ეხვეწებოდნენ:

— გვიამბეთ კიდევ რაიმე სერგო ორჯონიკიძეზე.

— რა გვიამბოთ? — ჰკითხა რევავმა ცნობისმოყვარე მსმენელებს და განზე გაიხედა, თითქო მოგონებათა წიგნში იხედებოდა და ასე დაიწყო: — ერთხელაც კვირა დღეს თბილისიდან კოჯორს სერგო ორჯონიკიძის ღირსეული მეგობრები ამოვიდნენ: შალვა ელიაძე, მამია ორახელაშვილი, მამიას მეუღლე — მარიამი, ნესტორ ლაკობა. ცნობილი რუსი ჟურნალისტი ალექსანდრე ნიკიტინი და სხვანი. სერგო ორჯონიკიძე და მისი ჰეშმარიტი მეგობარი და მფარველი, ციმბირში გადასახლებისას შერთული ქალი ზინაიდა სტუმართმოვლობას როდი შეუშინდნენ. მასპინძლებიც და სტუმრებიც ჰეშმარიტი რევოლუციონერები, გაჭირვებულ, სპარტანულ ცხოვრებას შეჩვეული ადამიანები იყვნენ და მცირედითაც კმაყოფილდებოდნენ. მარიამ ორახელაშვილი, ჩემი რძალი ანიკო ზინაიდას მიეშველნენ, სტუმრებს ცაცხვის ჰეშმ სუფრა გაუშალეს და ჩინებული სადილით გაუმასპინძლდნენ.

— სერგო და თბილისიდან ამოსული მისი სტუმრები ნაკითხი, განათლებული ადამიანები, მოღვაწეები არიან. ისინი

ნაიკარგად იცნობენ შობლიურსა და უცხოურ მეცნიერებას, ფილოსოფიას, ხელოვნებას, მწერლობას და ამიტომ წარმოიმდგენია, რა საინტერესო საუბარი გაჩაღდებოდა სუფრაზე, — ისევ ალტაცებით შენიშნა მეთაურმა დომენტი შევარდნაძემ.

— დიახ, მაგრამ მე იმ სუფრას შორიდან, ჩემი ძმის აგარაქის აივნისაგან ვუთვალთვალავდი, — უთხრა რევავმა და განაგრძო: — პურის ჭამის დროს ეზოში ნაბღიანი რაჭველი მესტვირე შემოვიდა. სერგომ დაუძახა, სუფრაზე მოიწვია და რუს მეგობრებს იმ რაჭველი მესტვირის შაირი მოასმენინა. მოხუცმა ილიაში ამოჩრილ გუდას ჩაჰბერა, ფირუზის თვლებითა და ვერცხლით მოჭედით-მოსველებულ სტვირზე დაუკრა და ზედ სალაღობო, პუმორული შაირი დაამღერა. სერგო ხარხარებდა და რუს მეგობრებს იმ შაირს უთარგმნიდა. ბევრი იცინეს. ახლა მესტვირემ 1921 წელს აჯანყებულ ქართველ მუშებისა და გლეხების დასახმარებლად წითელი ჯარის ნაწილებით მოსულ სერგო ორჯონიკიძეზე შეთხზული შაირი დაამღერა. ბოლოს მასპინძლებმა ასვეს, აჭამეს, უხვად დაასაჩუქრეს და ისე გაისტუმრეს, — დაამთავრა სერგო ორჯონიკიძეზე თავისი მოგონება რევავმა.

რევავ გარსევანიძე იმ დღიდან ყველასათვის ერთითად საყვარელ ლექტორად იქცა და მათ შორის მკიდრო მეგობრული კავშირი გაიბა, რასაც ის გარემოებაც ხელს უწყობდა, რომ რევავსა და მსმენელებს შორის, ასაკის მხრივ, არც თუ ისე დიდი განსხვავება იყო. მამინ იგი ოცდარვა წლისა თუ იქნებოდა. კურსანტების გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა გაიგეს, რომ ლექტორი რევავ გარსევანიძე და მწერალი რევავ კვეზერელი ერთი და იგივე პირი იყო. იმ ხანად რევავმა ზედზედ გამოაქვეყნა ჟურნალში თავისი მოთხრობები: „ჯავშნოსნების უფროსი“, „რკინიგზაზე“ „ოცნების მსხვერპლი“. რომელთაც მკით-

ხველის მოწონება დაიშახტურეს. რევ-
ზი მართლაც ბედნიერი, ჯანსაღი და
უკეთესი მომავლის იმედით სავსე ჰა-
ბუკი იყო, მაგრამ ბედმა ზედიზედ უმ-
ტყუნა.

4

1932 წლის მაისი იყო. სამხედრო
სკოლა იმჟამად ვაკიდან პლენხანოვის
პროსპექტზე, თავის ძველ ბინაზე გა-
დაეტანათ. ლექციების ჩატარებისა და
რესტორან „სიცოცხლეში“ სადილის
მირთმევის მერმე, რევზი შინ მივიდა.
იგი ვარდისუბნის ქუჩაზე ცხოვრობდა,
ალაყაფის კარები შეაღო, ეზო გაიარა,
კიბეზე ავიდა და ღერეფანში თავისი
პატარა, სტუდენტური ოთახის კარებს
მიადგა. კარებში შერკობილი ბარათი
დაუხვდა, ბარათი ზურაბის მომყოლ
ძმას — ბათუმის მხარეთმცოდნეობის
ინსტიტუტის დირექტორს — კოტეს
გამოგზავნა. რევზი გაოცდა, რადგან
კოტე ათასში ერთხელ თუ გამოუგზავ-
ნიდა ბარათს, ან კი რად უნდა გამოე-
გზავნა ასე მალე ბარათი, როცა ამას
წინათ, ვაზაფსტლის არდადეგებზე, დე-
დის გულის გასახარებლად ყველა და-
ძმამ მშობლიურ სოფელ კორომეთში
მოიყარა თავი. კოტეც იქ იყო. იქნებ
დედა ვაზაფსტელს — გაუელვა თავში
და მაშინვე მოაგონდა, დედის სიგამ-
ბნდრე და მუცლის ღრუში ტკივილი
რომ არ მოეწონათ. აქი ამის გამო წა-
იყვანა კოტემ დედა ბათუმში საექი-
მოდ! — გაიფიქრა რევზმა, ოთახში
შევიდა, კეპი წიგნებით სავსე საწერ
მაგილაზე დააგდო, დაჯდა და კოტეს
ბარათს კითხვა დაიწყო:

ძვირფასო ძმავო რეზო! აქაურმა ექი-
მებმა დედის კიბოთი დაავადება და-
დასტურეს. დედა ხელიდან გვეცლება.
მერმე რა დედა!? ვონიერი, ვანათლე-
ბული, სპეტაკი და გრძნობით სავსე
ქალი. უბედურება ის არის, რომ სა-
ბრალო, საშინელი ტანჯვისა და წამე-
ბის წინაშე დგას, რა ვშველება ახლა
მას? ვფიქრობ — არაფერი მაჭაურ

აქიმობა მხოლოდ მორალურ ხასიათისა
თუ იქნება! თბილისში დედას ვიქნამ
დღეში გამოვიხატებოდა. ვიქნამ
მის ღროს დაისწართო ჩემი მეგობარი
ექიმები — პროფესორი შალვა მიქა-
ბერიძე და გიორგი ლაზრიშვილი. თუ
ვინიცოცხლა დედა კლინიკაში მოათავ-
სეს, ხშირად უნდა ინახულოთ, რადგან
გონიერი, გრძნობით სავსე ქალია,
ყველაფერი ესმის, ვერაფერს ვერ გა-
მოაპარებ და იტანჯება. დაიხმარე ჩვე-
ნი ბიძაშვილები, დედაშვილები და
მამიდაშვილები — დაეითი, ანდრო,
ნუცა და ნატო. თბილისში დედას დი-
დხანს ნუ ვაჩერებთ. დააკვირდით სა-
ქმის ვითარებას და ისე მოიქცეთ. ის-
ეთი სენი შეეყარა უბედურს, რომ
პროგრესულად და ჩქარა ვითარდება
და მიმდინარეობს. ზაფხულის არდა-
დეგებზე თავი აიშვით და ზურაბმა და
შენ დედა სოფელში ჩაიყვანეთ. მანდ
მალე დიდი სიციხეები დაიწყება. იქნებ
ჯერ ბათუმში ჩამოყვანა სჯობდეს, მე-
რმე კი სოფელში? საშინელი დღეები
გველის, ხელიდან გვეცლება ჩვენი ერ-
თგული, შეილებისათვის თავდადებუ-
ლი მშობელი და ჩვენ კი მისი საშინე-
ლი ტკივილებისა და ტანჯვის შემსუ-
ბუქებასაც ვერ შევძლებთ. კონსილიუ-
მის მერმე გერმანელ პროფესორს მა-
იერსაც უჩვენეთ.

შენი კოტე გარსევანიძე.

რევზს თავზარი დაეცა. და წელი
მოსწყდა. ბარათი რამდენჯერმე გადა-
იკითხა. მოულოდნელი უბედურებით
გაოგნებული ჰაბუკი საჩკელიდან მთის
წვერს მიმტკრებოდა. როდესაც გონს
მოეგო, უმაღლე კეპს ხელი დაავლო და
მთაწმინდაში ზურაბისაკენ გასწია.

სამოცდათოთხმეტი წლის მოხუცი ქა-
ლი ოლღასადგურიდან მთაწმინდაზე პა-
ტარა ბაღის პირას აგებული სახლის ბინ-
აში შეილებმა და რძლებმა საღამო ყამს
მანქანით მიიყვანეს. ამ ბინაში რე-
ვზის უფროსი ძმა, წინათ პედაგო-
გი, ამჟამად კი თბილისის უნივერსი-
ტეტის დოცენტი, პროფესორი ზურაბ
გარსევანიძე ცხოვრობდა. მისმა შეუ-

დღემ — გონიერმა და კეთილმა ქალმა ანიკომ ავადმყოფი დედამთილი მზიან ოთახში მოათავსა.

რევაზი შუა ოთახში იდგა და გაფითრებულ და ჩამოშხმარ დედას დამწუხრებულ მიშტერებოდა. იგი ყველაზე უმცროსი შვილი იყო და ოლღამ გამორჩევით უყვარდა, რევაზსაც ყველაზე მეტად უყვარდა ამქვეყნად თავისი ერთგული, მზრუნველი და მისი სულის მესაიდუმლე მშობელი. ოლღამ ოთახში მწუხარებისაგან გაშვებულ შვილს უხმო, მიუაღერსა, მისი ხელი აიღო, მუცლის არეში, ღვიძლზე დაადებინა და უთხრა:

— ხომ გრძნობ, შვილო, გამაგრებულ სიმსივნეს? კიბო უნდა იყოს, ყველანი კი მიმაღავთ...

— აბა, კიბო საიდან მოიტანე, დედაჩემო! არავითარი კიბო ეს არ არის, — ცნობილი ონკოლოგის სახით მიუგო რევაზმა, მაგრამ დიდხანს თვალთმაქცობა ვერ შესძლო, რადგან სიმსივნე ხელის შეხებით, ხელის გასინჯვითაც კი შეიმჩნეოდა და თავზარდაცემულმა მაშინვე გველნაკბენივით უშვა ხელი. რევაზი ძმისა და რძლის ზურგს ამოეფარა და, დედას მის თვალზე ცრემლი რომ არ დაენახა, უკანა აივანზე გავიდა, დაჭირვილი კაცივით წელმოწყვეტილი ბოძს მხრით მიეხრინა, სახე დაღლილი და მწარედ აქვითინდა: „დაილუბა, დაილუბა უბედური დედა!“ — გაიძახოდა იგი თავის გულში და თვალთავან თავისთავად დადგნილი ცრემლი დაწვებზე უმწეო ბავშვსავით, ნაკადულივით სდიოდა. მას ისეთი განცდა ჰქონდა, თითქო დედის საშოსთან ჰიპით მიკრული მომყოლი ხელახლა შეაჭრესო.

როდესაც გონს მოვიდა, ცხვირსახოცი ცრემლი მოიწმინდა: ყრუდ ამოიგინა და მაღლა, ცისაკენ აიხედა. სიფრიფანა ბუმბულისებრ თეთრ ღრუბლებში მცურავი, მღუმარე მთვარე დაინახა და ისე მოეჩვენა, თითქო მკვდარი პლანეტა მოუთხრობელ შორეთიდან დედაბრის დამცინავი ღმილით ეღმი-

ვებო. რევაზმა მთვარეს თვალი მისწყვიტა და ახლა აივნის წინ ეზოში გაუშენებულ ბაღს გახედა. მადლი ცეცხლად აყვავებული აკაცია იდგა და ტოტებით აივანს წვდებოდა.

„მარადეამ გაშტერებული მთვარე, თეთრი, ბუმბულისებრი ღრუბლები, აყვავებული აკაცია — გულგრილი ბუნება რას დაეძებს აღამიანს, ამ შემთხვევაში, საბრალო დედაჩემის ტანჯვას, წამებასა და გარდაცვალებას — ფიქრობდა რევაზი. — რა ფასი აქვს აღამიანის დაბადებას, მის ზრდასა და განვითარებას, განვიღო ცხოვრებას, თუკი სიკვდილის მერმე ყველაფერი და ყოველივე ქრება, არაად იქცევა და ქამთა მსვლელობაში სამუდამო დავიწყებას მიეცემა? ნუთუ დიდებული რუსი მგოსანი პუშკინი მართლა სულიერ სიმშვიდეს ჰპოვებდა, როდესაც ამბობდა:

И пусть у гробового входа
Младая будят жизнь играть,
И равнодушная природа
Красою вечною сиять.

ასეთ კითხვას სვამდა ახლა რევაზი, მაგრამ ფიქრის დენა აივანზე გამოსულმა ძმამ გრიგოლმა დაურღვია. გრიგოლს ეს-ეს არის დაემთავრებინა მოსკოვში სამხედრო აკადემია და რუსეთში დივიზიის უფროსად დაენიშნათ. ახოვანმა მხედარმა რევაზს შეხედა და სპორტსმენისა და ვაჟაკის თვალზე ცრემლი რომ დაინახა, ძალიან გაუკვირდა:

— რას ატუზულხარ ამ აივნის ბოძთან და იცრემლები. არა გრცხვენია? დედამ ცრემლი არ შეგნიშნოს, თორემ იმედს დაჰკარგავს.

— დაილუბა, დაილუბა უბედური დედა, — ცრემლმორეული ხმით ამოიგმი-

ნა რევამა, თითქოს იმ გმინვას მთავარი სულიც თან გაატანაო.

— კარგია ერთი, რეზო, დამშვიდდი: ვაქცაი არა ხარ, — შენიშნა გრიგოლმა და მწუხარებისა და უბედობის ქამს ყველა ქართველის ენაზე მიკრული რუსთაველის შეგონება წაუკითხა: — „არას გარგებს სიმძიმელი, უსარგებლო ცრემლთა დენა“... დამშვიდდი. ოთახში შედი და დედას დაენახვე. გიკითხა. ხომ იცი, უმცროსი შვილი ხარ და შენზე ამოდის მზე და მთვარე.

— ეგ არის ჩემი უბედურება, — აღმოხდა რევამს და ღრუბლებში მავალ მთვარეს შესულივით მიაშტერდა.

— რას იზამ. თავს ზევით ძალა არა გვაქვს, — მიუგო გრიგოლმა და მაშინვე მამაც მხედარსაც „ჭირთა თმენამ“ ულალატა, ხმა აუკანკალდა და თვალუბზე ცრემლი მოადგა. მართლაც რას იზამ?! ასე ყოფილა მოწყობილი ეს ქვეყანა: დედის გარდაცვალების გამო გამოწვეული მწუხარება ვის არ აატირებს! ახლა ორივენი: გრიგოლიცა და რევამიც ობოლი ბავშვებივით იდგნენ აივანზე, ერთმანეთს აღარ უეჭვრდნენ, და დამწუხარებული დუმდნენ. დედაზე გლოვამ კიდევ უფრო დაახლოვა, შეაყვარა ერთმანეთი დვიძლ ძმებს. ბოლოს რევამა თავი ასწია და ისევ ბაღში გაიხედა. ბაღში აკაციის ყვავილების დამათრობელი სურნელება იდგა. რევამი აივანიდან აკაციის მტევნებიან შტოს წაებოტინა, მოსწია, მოტეხა და ოთახში დედასთან შევიდა. ოლლას უყვარდა ბუნება, ვარდ-ყვავილები, ხეხილი და ამიტომ სოფელში ჩინებულ ბაღი გაეშენებინა.

რევამი ლოგინში ჩაწოლილ დედასთან მივიდა, გაუღიმა და აკაციის ყვავილების მტევნები სახესთან მიუტანა. ოლლამ დაჰყნოსა, შვილს ლამაზი, სათნო, შავი თვალები შეანათა და უთხრა:

— იმერეთში აკაციამ უკვე დაჰყარა ყვავილები, ამერეთში კი ახლა იწყებს აყვავებას.

— ჰო, — დაუდასტურა რევამა, — ამერეთში ვაზაფხული უფრო დაგვიანებით მოდის.

— ჩემთვის კი, შვილო, სულ მალე არასოდეს აღარ მოვა, — კაეშნით ჩაილაპარაკა იმედგადაწყვეტილმა ქალაქმა.

— აბა რად გინდა, დედა, ასეთი ლაპარაკი! ისეთი რა გჭირს, მრავალ ვაზაფხულს ისევ რომ ვერ მოესწრო, — უსაყვედურა რძალმა, საამო სახის მქონე ქალმა, ზურაბის მეუღლემ ანიკომ დედამთილს.

— ეხ, ჩემო კარგო ანა, განა მარტო „სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია!“ მე სხვა რამ ჭირი შემეყარა, უკურნებელი და საზარი, — მიუგო ამოხვებით დედამთილმა.

— ეგ უკურნებელი ჭირი რად დაგიჩემებია? ის, რაზედაც შენ დიქრობ, არა გჭირს! თბილისში კარგი ექიმები არიან, ყველანი ჩემი მეგობრები, ჩინებულ მკურნალობას ჩაგიტარებენ და, აგერ ნახავ, სულ მალე ფეხზე თუ არ დაგაყენონ. — უთხრა საიმედო, საფიცარმა უფროსმა შვილმა, მაღალმა, გოლიათმა, ზორბა კაცმა ზურაბმა და გული ჩაწყდა, მართალს რომ არ ეუბნებოდა, ცრუობდა. ოლლას შვილიშვილები — ზურაბისა და ანიკოს ქალვაჟი: ხუთმეტი წლის გივი და თორმეტი წლის თინა თვალცრემლიანი მიშტერებოდნენ-საყვარელ დიდდა ოლლას. ანიკომ ხელი მოჰხვია ორთავეს: ხვალ დილით სკოლაში უნდა წახვიდეთ, უკვე ძილის დრო არისო, უთხრა და საწოლ ოთახში წაიყვანა, მაგრამ შვილები ხელიდან გაუსხლტნენ, დიდდას მისცვივდნენ. ჩაპკოცნეს, ძილი ნებისა უსურვეს და მერმე დედას გაჰყენენ. რევამს ძალიან გაუკვირდა, დედამ შვილიშვილებს ჩვეულებისამებრ რომ არ გაუღიმა და თვალიც კი არ გააყოლა. იგი დარწმუნდა, რომ მიუხედავად სიბერისა, მშობელი ახლა მხოლოდ თავისთავზე, თავის საშინელ სენზე, სიკვდილზე შემფოთებული ფიქრობდა, ის სტანჯავდა,

ანელებდა და სხვისი თავი არა ჰქონდა. მოხუცმა ქალმა იცოდა, რომ ბედისწერას მისთვის სიკვდილი უდანაშაულოდ მიესაჯა და მის შემფოთებულ სულს ახლა არც სულის ცხოვნება და არც შეილებაში, შვილთაშვილებში და შათგვარში თავისი სახის განმეორება — ბიოლოგიური უკვდავება ამშვიდებდა. ეს იგრძნო რევანმა. იგი დედის საწოლის წინ, სკამზე იჯდა, წინათ მორწმუნე, კეთილსა და განათლებულს. ხოლო სიკვდილის წინაშე აწ ურწმუნო, უსასოო მშობელს შეძრწუნებული მისჩერებოდა და მასთან ჩვეულებრივ, ტკბილსა და გაბმულ საუბარს ვერ ახერხებდა; დუმდა. შექფარიანი ნათურა, მცირე ძაბვის ელდენის გამო, ოთახში მკრთალად ბუუტავდა. მოხუც ქალს სახეზე ბალზამირებული გვამის ფერი მიჰფენოდა. რევანს ტანში გააყრეოლა და თვალი დედის მიერ ჩაქვში ნაყიდსა და ახლა მაგიდაზე ლარნაკში ჩასმულ ჩაისა, მაისის წითელსა და ყვითელ ვარდების თაიგულზე გადაიტანა. ყვითელმა ვარდებმა მისი გონების თვალს კუბო, ცხეღარი, სასაფლაო წარმოუსახა და ლილიენტალის ლექსი მოაგონა:

მაგრამ დარბაზში, შეე სარკოფაგზე
ყვითელი ვარდი განისვენებდა.

ლარნაკში ჩასმული ის ყვითელი, უკვე დამკვნიარი ვარდი და დედის სახეზე მიფენილი ბალზამირებული გვამის ფერი და სიკვდილის შიშით გამოწვეული შემაზრხენი გრძნობა მერმე მთელ მის სიცოცხლეში აღარ მოშორებია რევანს და ადამიანის გაჩენის, ადამიანის არსებობისა და ცხოვრების დანიშნულების თაობაზე მწარედ ჩააფიქრა. სახეზე გამოხატული ის შემაზრხენი შიში და შემფოთება დედას რომ არ დაენახა, რევანი სასთუმალთან სკამზე დალაგებულ — კარლსბადის მარილს, წამლის ფხვნილებსა და შუშებს მექანიკურად წაეტანა და რეცეპტებზე ლათინური წარწერების კითხვა ხმამაღლა დაიწყო, თუმცა

კარგად იცოდა, რომ ის წამლები დედას უკვე ვალარ არგებდნენ და დედა, თითქო მიუხვდა გულოსტქმას:

— თავი გაანებე რეცეპტების კითხვას. ეს წამლები ჩემს საშინელ სენს, სკლეროზს, ჰიპერტონიას, სისხლძარღვების გადაგვარებას, უჯრედების დაშლას და სიბერეს რომ შევლოდნენ, კაცობრიობის ბედს ძაღლიც კი ვერ დაპყვედა.

რევანს გაუკვირდა დედის სიტყვები, თუმცა პედაგოგისა და განათლებული ქალისაგან ასეთი შენიშვნა რეზოსათვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო.

ოთახში ამ დროს გრიგოლმა შემოალაჯა. მაჯის საათს დახედა და მხედარმა ბრძანება გასცა:

— უკვე ძილის დროა. მოასვენეთ ეს ქალი: ნამგზავრია, დაღლილი და ამდენ საუბრით ნუ ჰქანცავთ!

ზურაბი დაეთანხმა. კიბეაში წამალი ჩააწვეთა, წყალი ჩაასხა და დედას შეასვა

— დავლევ, შენ კარგი ხელი გაქვს. — უთხრა მოხუცმა და წამალი გადაპკრა, — მწარეა, — თქვა ოღლამ, ~~ახხე~~ დაეღმიკვა, სასთუმალთან მდგარ სკამზე რკინის კოლოფიდან შოკოლადის ნატეხი ამოიღო და პირში ჩაიდო.

ძმები — ზურაბი, გრიგოლი, რევანი, ამათი დები — თამარი, მაიკო და ზურაბის მეუღლე ანიკო კაბინეტში შევიდნენ და ხვალისათვის ონკოლოგის, თერაპევტისა და რენტგენოლოგის მიწვევის თაობაზე თათბირი გამართეს.

5

რევანი მთაწმინდიდან რუსთაველის პროსპექტზე გვიან ღამით ჩავიდა. გულმოკლულმა ქაბუქმა ხელები უკან შემოიწყო და უკაცრიელ ქუჩას ბარბაციით გაჰყვა, თითქო მთვრალია და ფეხი ეშლებო. პროსპექტზე მეგობრები — ღამის მუღმივი გულშეგები შემოეყარნენ. ისინი რუსთაველის პროსპექტისა და ა. ჭავჭავაძის ქუჩის გადა-

საკვეთთან, ნათურებით გაშუქებულ წიგნის მალაზიის ვიტრინის წინ იღვანენ და ჩვეულებისამებრ კამათობდნენ. რევანში მათ თავისი გასაჭირი უამბო. მეგობრები შეწუხდნენ. მწერალმა მიტო მდინარაძემაც რუსთაველის შაირი გაუმეორა: „არას გარგებს სიმძიმეილი“, მაგრამ ბოლომდე ვერ ჩაათავა, შეეშალა. რუსთაველის პოემის ეს ტაეპი, მწერლის მდინარაძის სამარცხვინოდ, დარდიმანდმა, ძალოსანმა ჭაბუკმა. ეკონომისტმა გიგა გოგატიშვილმა შეუმცდარად წაიკითხა:

არას გარგებს სიმძიმეილი, უსარგებლო
 კრემლთა ღენა.
 არ გარდავა გარდუვალი მომავალი საქმე
 ზენა.
 წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა,
 არის ძალუმს ხორციელსა განვებისა
 გარდავლენა.

— ვიცი ეს ყოველივე, — შენიშნა ნაყვავილევ ბრვე ქართველ ვაჟკაცს რევანში, — ვიცი, სიკვდილი რომ გარდუვალია, სიკვდილის შიშის დაძლევა კი, მამაცობა. მაგრამ ეს მაინც თეორიაა, რომელიც გონიერ ადამიანს ვერ დაამშვიდებს. მოისმინეთ რას ამბობს ჰეგელი სიკვდილის გამო: ადამიანის სიკვდილის მერმე მის გეამში მაშინვე მილიარდი მიკრობი იღვიძებს, ცოცხლდება, ვითარდება და ახალ ცხოვრებას იწყებს, მაგრამ ის ცხოვრება, სავალალოდ, მატლების უბადრუკი ცხოვრებააო.

შუალამით თქმული ის სიტყვები წყევასავით გაისმა ქალაქის უკაცრიელ ქუჩებში. შიშნაქამი და სასომხიდილი ჭაბუკები დადუმდნენ, მაგრამ გიგა გოგატიშვილმა გამოსავალი პპოვა:

— ჩემი აზრით. — განაცხადა მან, — ადამიანის გარდაცვალების მერმე მისი გეამის დაწვა, ფერფლად ქცევა მართებულია, კრემაცია მეც კულტურის ნიშნად მიმაჩნია.

— ამ გზით დავაღწევთ თავს ხრწნას, აყროლებსა და მატლებს, — დასძინა გეოგრაფიის მასწავლებელმა, თვალე-

ბგადმოკარკულმა, თავგოდორა, ავზნებულმა და სასოწარკვეთილმა ჭაბუკმა გიგო თავაძემ.

— იხრწნება გეამი, კვდება ხორცი და არა ადამიანის სული, — იყვირა გერმანიიდან ამასწინათ დაბრუნებულმა, ჩამომხმარმა, ფერმკრთალმა, ახალგაზრდა მეცნიერმა იოსებ ბაქანიძემ. თავაძემ შენიშნა:

— რა არის სული? სული ჩვენს ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების შედეგია. კვდება გეამი, ხორცი და, მისი ორგანოების ფუნქციების შეწყვეტასთან ერთად, მაშინვე ქრება სულიც, ამას ამბობს ბუნებისმეტყველი ჰეგელი და არა ჰეგელი.

— ვიცი, ვინც ამბობს და იზიარებს მაგ უმეცრებას, — იწყინა ფილოსოფიის ახალგაზრდა დოქტორმა იოსებ ბაქანიძემ, კეხიან ცხვირზე რჭისჩარჩოიანი სათვალე გაისწორა და განაგრძო: — კვდება გეამი და მასთან ერთად კაცის გეამში მოთავსებული სული, ქრება სუნთქვა და არა უკვდავი სული, რუსულად — „Дух“, გერმანულად „Geist“ რომელიც სამყაროს ყოველ არსსა და ქმნილს, მის გაჩენას, განვითარებას, ზრდას, სიბერესა და სიკვდილს განაგებს და მისი მცირედი ნაწილაკი, ემანაციის სახით, ყველაფერში და, მათ შორის, ადამიანშიც არის გადასული.

— შენ „მსოფლიო სულთან“, „მსოფლტურ იდეასთან“, ღმერთთან მიიტუბრებ, მაგრამ ის სული, იდეა, ღმერთი ცდისა და დაკვირვების საგნად ვერ გახდება, იგი დროისა და სივრცის მიღმა განისვენებს და, მსგავსად განგებისა, შეუცნობელია და რადგან შეუცნობელია, ადამიანის მცდარი შემეცნების ნაყოფს წარმოადგენს და მოისი არსებობაც არა მჭერა, — შენიშნა გიგო თავაძემ.

— განა ადამიანის გონებას, ცდისა და დაკვირვების მეშვეობით, ყველაფრის შეცნობა შეუძლია? — აღშფოთებით ჰკითხა ბაქანიძემ.

— რისი შეცნობაც შეუძლია, იგი

შევიცნოთ, — მოუგო თავაძემ, მაგრამ ამ დროს გიგა გოგატიშვილმა ხელები ასწია, მოკამათოთა შორის ჩადგა, თითქო საჭიდაო წრეში შეიჭრა, გაათრებულ ფალანგებს აშველებსო და შესძახა:

— არ გვინდა ისეთ საკითხებზე კამათი და ჩხუბი, რომელიც თბილისის ქუჩაზე თქვენ კი არა, მსოფლიოში ცნობილ მოაზროვნეებს ვერ გადაუჭრიათ. რა დროს იმ წყეულ და გადაუჭრელ საკითხებზე კამათია. უკვე შუალაგემ მოატანა, შიმშილით კუჭი მეწვის. მოდი, ფული შევაგროვოთ და ვივახშმოთ, — შემოიტანა საქმიანი წინადადება გიგა გოგატიშვილმა, რაც უმრავლესობის მიერ მიღებული იქნა.

მეგობრები პურის საქმელად ვერის დაღმართისაკენ გაეშურნენ. მაგრამ ისინი გზადაგზა ჩერდებოდნენ და ისევ ცხარე კამათს იწყებდნენ. ახლა უკვე იოსებ ბაქანიძე და ახალგაზრდა კრიტიკოსი კახა კურცხალია შეიბნენ და, გიგა გოგატიშვილს რომ არ ემარჯვნა, რესტორან „გემოს“ ალბათ დილაამდე ვერ მიაღწევდნენ.

ვერის დაღმართის პირდაპირ იქ სადაც ახლა რუსთაველის ძეგლი დგას სახლის ქვეშ — სარდაფში ჩინებული რესტორანი „გემო“ გაეხსნათ. „გემოში“ მართლაც გემრიელ კერძებს ამზადებდნენ. რევაზმა და მისმა მეგობრებმა ლაზათიანი ქეიფი გასწიეს, პურის ქამამ დიდხანს გასტანა.

დღის მძიმე ავადმყოფობის გამო დაჯვრანებული რევაზს ღვინო მალე მოეკიდა. ვახშმის ფული — ათი მანეთი თავად გადაიხადა, რადგან დღეს სამხედრო სკოლაში ერთი თვის ჰონორარი — ორასი მანეთი აედო. ნახევარი — ასი მანეთი დედას ბალიშის ქვეშ ამოუდო, ნახევარი კი — ათი მანეთის გამოკლებით — ოთხმოცდაათი მანეთი, ქალაღის ფულის დასტა გადაეცა და, რადგან აბრეშუმის თეთრი, უჯიბო ხალათი ეცვა, შარვალში ჩაიდო. ის ფული მაშინ დიდ თანხას შეა-

დგენდა. აბა თქვენ თავად განსაჯეთ, ხუთი კაცის გამასპინძლებად, უკამათო ქეიფი რევაზს ათი მანეთი თუ დაუტყდა!

• • •

რესტორნიდან ნაშუალამევს გამოსული მეგობრები ერთმანეთს დაემშვიდობნენ. რევაზმა იქვე, პატარა ბაღს შემოუარა და ვერისაკენ იზმაილოვის, ახლანდელი ჭავჭავაძის ქუჩის დაკიდებულ აღმართს შეუდგა, მაგრამ რიგიანპირიანად დამთურალიყო და დამძიმებული ფეხები აღარ ემორჩილებოდნენ. იგი ბარბაცებდა. სახლის კედლებს ეჯახებოდა და მიწას რომ არ დაჰხეტებოდა, ერთი სახლის სადარბაზოს კიბეზე ჩამოქდა, მალე იმ კიბეზე მიწვა, თავქვეშ კეპი ამოიდო და მყისვე მეკვარსავით დაეძინა.

რევაზს განთიადის წინ, ორთქლმავალთა საყვირზე გამოეღვიძა. თავი საშინლად ტკიოდა. ჭაბუკი ძლივს წამოღდა, კეპს ხელი დაავლო და ნაცემ-ნახევარი კაცივით წელმოთრეული ქუჩას მძიმე ნაბიჯით გაჰყვა. ბელისკის ქუჩა გადასტრა, ყაზბეგის ქუჩაზე ჩამოიტოვა და ვარდისუბანს მიაშურა. ეზოებიან პატარა სახლებს ჩაუარა. ერთი ბაღის წინ, ღობესთან აყვავებული ალუბლები ჩარახმულიყვნენ. დამენათევემა და ნამთვრალევემა ჭაბუკმა ქუჩასთან ახლო მდგარი ალუბლის შტო მოზიდა, ყვავილები დაყნოსა, დილის ნამით დაცვარული ალუბლის ყვავილები სახეზე, ცხვირის ნესტოებზე უღიტინებდნენ და ხეს თეთრი ყვავილით დახუნძლული პაწია შტო შეატება და საკინძე-გახსნილ ხალათის დილის შესაკრავში ჩარკო. დადგა და ცას აჰხედა. ცაში ნათელი ჩამდგარიყო და მკრთალი ვარსკვლავები ციმციმებდნენ. რევაზმა ფეხქვეშ მიწა იგრძნო და ობოლი მგოსნის გლოვისა და აღმაფრენის ხმა შემოესმა: „რად მრისხანებ ჩემი ბედის ვარსკვლავო? მინც გეტრფი, თუმცა ხშირად მკლავო“. დილის ნიავმა შუბლი გაუტარილა და შვება აგრძნობინა. მაგ-

რამ უმაღლეს ძალი აედევნა და აღუბ-
ლის ყვაილები ქურდს ყფა აუტეხა,
არ მოეშვა. „ეხ, საცოდავო ქოფა-
კო, ამ ბალის პატრონის მონავ და
მცველო, შენ ყველა ქურდი და ბაცაცი
გგონის! აბა საიდან ვაიგებ კაცის სი-
ხარულს, დარდას და მწუხარებას.“ —
გაიფიქრა რევანმა და ახლო მოჭრილ,
განჩხლებულ და მიწაზე გართხმულ
მყეფარს ბრანზორეულ თვალეში
შვიდად ჩააქურდა. მაშინვე, თითქო
სასწაული მოხდა: ძალი დაიბნა, მოი-
ნუსხა, „ქურდს“ შერცხვენილი თვა-
ლები მოარიდა, თავი ჩაპკიდა და კედ-
ამოქუებული განშორდა. რევანმა
თვალი გააყოლა, გაიღიმა და გაიფიქ-
რა: „ნეტავ იმ ქოფაკის სირცხვილ-ნა-
მუსი ზოგ ჩვენს უგემოვნო უგნურ,
სხვისი ბრძანებითა და დავალებით
მაყეფარ ადამიანს მისცა. იცოდეს მა-
ინც, თუ ვის და რისთვის უყუფეს! თუ
იცის, — მით უარესი“

რევანი ვარდისუბნის ქუჩაზე ორ-
სართულიანი სახლის ალაყაფის კა-
რებს მიადგა და ეზოში შევიდა. იგი
მეორე სართულზე მიდგმულ კიბეს აპ-
ყვა, კარი შეაღო და შუშაბანდიან ვი-
წრო დერეფნით თავის პატარა სტუ-
დენტურ ოთახში შევიდა. ტახტზე ქანც-
მიღებული, გაუხდელი დაგდო და უმა-
ღლეს ჩაეძინა.

განთავისას წრუწუნის, წრიბინისა
და ჩხაკუნისმაგვარი ხმა ჩაესმა და მან
გამოაღვიძა. კარები ღია დარჩენოდა.
ოთახში არავინ ჩანდა. ის ხმა შუშაბან-
დიან დერეფნიდან მოისმა. რევანი გა-
იტრუნა, სმენად იქცა. ის ხმა თავის
წრიბინსა და ჩხაკუნს არა ჰგავდა. ვი-
ლაც აშკარად შუშაბანდის სარკმლის
მინას აწვალებდა და ნელინელ ახანჯა-
რებდა. რევანმა თავი ასწია და ცარცის
ხნაჩით შეღებილი სარკმლის მინაზე
გაჩხაპნილ ჭუჭრუტანაში გაიჭვრიტინა.
უსახლკარო, მაწანწალა ქერა ბიჭი —
სახეგამურული „პაცანი“ კიბეზე იდგა.
შიშველ ტანზე მარუთში ამოთხვრილი
ქურთუკი ეცვა და გულდაგულ მუშა-
ობდა. სარკმლის მინის ირგვლივ აღმა-

სი შემოატარა. მინა სუფთად ამოიღო,
კიბის საფეხურზე დასდო და კარებს
მიასუდა. მერმე მინამოღებულ სარ-
კმლის ჩარჩოში ხელი შეჰკყო და სარ-
კმლის ქვედა საყეტი ასწია. მაგრამ სა-
რკმელს ზედა საყეტიც ჰქონდა და იგი
იჭვრდა. რევანმა მაგიდიდან თავისი
ძმის გრიგოლის მიერ ნაჩუქარი ჯიბის
მარუბერი აიღო, ფეხაყრფით წავიდა,
ღია კარებთან კედელს აეკრა, ჩაესაფ-
რა და გაიტრუნა. იგი მაინცდამაინც არ
ლეღავდა, რადგან ომში ნატარი ყოფი-
ლი მხედარი სპორტსმენი, მამაცი ჭა-
ბუკი იყო. სიკვდილისა არ ეშინოდა.
პირიქით, ამ ბოლო დროს თვითონვე
ბრიყვეულად ეტანებოდა მას. განსაკუთ-
რებით მის მერე რაც სატრფო ახ-
ალგაზრდა მოქანდაცე ქალი — მარინე
ავალიშვილი მოულოდნელად გარდაე-
ცვალა. მაშინვე მოქმედების გეგმა
შეადგინა: ქურდს სარკმიდან დერე-
ფანში შემოსვლას ვაძლი, მერმე კი
მარუბერს გულზე დავადებ, ხელებს ავა-
წევინებ და „დილაშვილობისა“-ს ვეტ-
ყვიო. რევანს თავისი გეგმა მოეწონა
და კარგ გუნებაზე დადგა. ქურდი
იარაღით შებრძოლებას თუ არ დააპი-
რებდა, რა თქმა უნდა, რევანი მას არ
მოჰკლავდა: ისედაც მოერეოდა, დას-
ვამდა, ჭკუაზე დაარიგებდა, მილიციას
ჩააბარებდა, ან გამასწორებელ სახლში
მიიყვანდა. ქურდი კი თავის საქმეს გა-
ნაგრძობდა: ცალი ხელით კიბის სახე-
ლურს ჩაეჭიდა, მარჯვენა ფეხი მინა-
მოღებულ სარკმლის თვალში შემოჰკყო.
მაგრამ როდესაც კიბეს მარცხენა ფეხი
მოსწყვიტა, ფეხი კარებზე მიყუდე-
ბულ მინას წაჰკრა. მინა კიბეზე დაეცუ-
რდა, ასფალტმოსხმულ ეზოში დაეცა
და მარილივით დაიფშვნა. ქურდი კი-
ბეზე მაშინვე კისრიტეხით დაეშვა, შუა
კიბიდან ისკუბა, ეზოში ჩახტა და მოუ-
სვა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ სარ-
კმელს მიმწყვდარმა რევანმა გამურულ
ქურთუკში გამოწყობილი ბიჭის ზუ-
რგს-ღა მოჰკრა თვალი. გაჩერდით, გა-
დასძახა და ესროლა, ესროლა შესა-
შინებლად, დასაპატიმრებლად და არა

მოსაკლავად. გასროლაზე სახლმართველს, მოხუცი ქალის შვილმა, ლეიტენანტმა სტეფანე ჩაყვლია ეზოს იქითა მხარეს, რევანის ოთახის პირდაპირ შუშბანდის სარკმელი გამოაღო და მეზობელს გასძახა; — რა მოხდა. რისთვის ვაისროლო?

რევანმა მოკლედ უამბო რაც მოხდა და მინაამოლბული სარკმელი უჩვენა. ლეიტენანტმა შარვლის ჯიბეში ნაგანი ჩაიღო და მაისურის ამარა მგლისმახრობელა თავისი გერმანული ჯიშის ნაგახით კიბეზე დაეშვა. მან და რევანმა მეზობლად მდგარი სახლების სადარბაზო შესასვლელები, ეზოები გასინჯეს, მთელი უბანი შემოიჩინეს, მაგრამ ქურდი ვერსად ვერ იპოვეს, თითქოს იგი დედაშიწამ ჩაყლაპა. მღვერები პირში ჩალაგამოვლებული შინ მობრუნდნენ.

ვარდისუბნის ქუჩის შეშინებული ბინადრები ეზოში და ქუჩაში გამოფენილიყვნენ. ყველანი ერთხმად და ერთხმად ლაპარაკობდნენ, ქოთქოთებდნენ და ათასგვარ ჭორს ავრცელებდნენ. როცა ყაყანიტ გული იჭერეს, თავიანთ ბინებში შეიხიზნენ და ძილი ჯანაგრძეს.

რევანმა მინაგამოცლილი სარკმელი დაათვალიერა, მომხდარი ამბავი თავის კარის მეზობელს შოთას და მის მეღლეს ათინას უამბო და თავის ოთახში შევიდა. ჯიბის მალურჯი მაგიდის უჯრაში ჩასლო, უცბად წიგნებზე მალურჯი ამოთხერილი კეპი დაინახა. „ეს კეპი აქ საიდან გაჩნდა? ნუთუ ჯავახიშვილის ქუჩაზე ერთი სახლის სადარბაზო კიბეზე რომ მეძინა, პაცანებმა ჩემი ახალი კეპი ააცოცეს და თავისი სანაგვე ქული დამიტოვეს! როგორი ნსევამი ვყოფილვარ, ეს დადგეპილი, მალურჯი ამოსვრილი კეპი თუ მთელი გზა ვატარე. მაგიდაზე დაფაგდე და ვერ შევნიშნეო? — გაიფიქრა რევანმა და მაშინვე შარვლის ჯიბე მოისინჯა და მოიჩხრიკა. შარვლის მარჯვენა ჯიბეში ოთხმოცდაათი მანეთი ეგულეობდა. ფული არ ჩანდა. ჯიბეები გადმოიბრუნა და მხოლოდ ახლა შენიშნა, შარვლის მარჯვე-

ნა ტოტი და მარჯვენა ჯიბეც რომ სუფთად იყო ოთხი თითის დადებამდე სამართბლით გაჭრილი. რევანმა ჯიბეები ჭურდი ამედევნა, სარკმლიდან გადმოძვრომას და ოთახში შემოჭრას რომ აპირებდა! — გაიფიქრა მან. ახლა კი შეშინდა: — „ესეც ჩემი ბედი, ჯიბიდან ფულის ამოცლის დროს რომ არ გამომეღვიძა და ჯიბეშია ყელი არ გამომჭრა! ნაშუსიანი ჯიბეები ყოფილა!“ — გაეღიმა რევანს, თუმცა მაშინვე მიხვდა, ღიმილი ასეთ დროს უადგილო რომ იყო. ერთი თვის ჯამაგირის ნახევარი ლოთობის გამო დაჰკარგა. მერვე რამდენი? ოთხმოცდაათი მანეთი, რომელიც მაშინ დიდ თანხას შეადგენდა. ფული კი იმეამად ძალიან სჭიროდა, ავადმყოფი დედის მოვლა და მკურნალობა ხარჯს მოითხოვდა. უნდოდა თავისი წილი, ძმებთან ერთად, მასაც გაეღო. მიუხედავად იმისა, რომ ფულის ყალბი არ იყო და მისი ხარჯვაც არ ენანებოდა, ფულის დაკარგვა ახლა მაინც ძალიან ეწყინა.

* * *

როცა შინმა და წყენამ გაუარა, მაგიდას მიუჯდა. ლექციები სამხედრო სკოლაში დილის საათებში ჰქონდა. მართალია, სამხედრო სკოლაში იგი ქართული ენისა და ლიტერატურის ქრესტომათიულ კურსს კითხულობდა, მაგრამ ლექციების ჩატარებას მაინც წინასწარი მომზადება სჭიროდა. მით უფრო რომ კურსანტებისათვის რევანს წიგნზე მუშაობა, წაითხული მასალის კონსპექტის, მოხსენებისათვის თეზისებისა და საქმიანი ქალაქის შედგენაც უნდა ესწავლებინა. მაგრამ რევანში ნიჭიერი ჰაბუკი იყო და ხშირად მოუშვადებლად ჩატარებულ: მისი ლექციებიც კი საინტერესო გამოდიოდა და, როგორც კურსანტების, აგრეთვე ლექტორების მოწონებას იმსახურებდა. პედაგოგიური ჩვევები, მეთოდი და გამოცდილება მას მამისა და უფროსი ძმებისაგან მოსდევდა. მაგრამ იგი არ იყო გაჩენილი პედაგოგი, მი-

სი სულიერი წყობა ქვეყნის მხატვრული აღქმისაკენ იხრებოდა. იმ აღქმისათვის კი სათანადო ცოდნა, რწმენა, თვალსაზრისი და თვალთახედვა სჭირდებოდა. იგი ფიქრობდა, რომ მისი მეობა მრავალი გავლენის შედეგად ყალიბდებოდა — მემკვიდრეობით გადმოსული გენების, ოჯახური აღზრდის, სასკოლო სწავლებისა და იმ წრისა, რომელშიც იგი ტრიალებდა. ის გავლენები თითქო შრეებად ელაგნენ მისი მეობის გარშემო, როგორც წაბლის ბუდის გარსები ნაყოფის გარშემო. საჭირო იყო ამ გავლენების — შრეების გარღვევა და მოშწიფებული პიროვნების მწიფე ნაყოფივით ბუდიდან გამოსვლა, დამოუკიდებელი პიროვნების შინაგანი მეობის დაბადება და იმ მეობაში მოქცეული საკუთარი „მეს“ ხმის მოსმენა. მაშინ ყოველგვარი ფილოსოფია, მათ შორის ხელოვნების ფილოსოფიაც მისი დამხმარე გახდებოდა. აი ასეთ მოძღვრებას იზიარებდა იმეამად რევაზი და მისი მიხედვით მწერლობაში თავის სამხერსა და სათვალთვალის ეძებდა.

გონების ასეთმა წყობამ, ფსიქოლოგიურმა ექსკურსებმა რევაზი იმ დასკვნამდე მიიყვანეს, რომ იგი სინამდვილის მეთვალთვალე უფრო იყო, ვიდრე მისი გარდაქმნისათვის მებრძოლი და პრაქტიკული მუშაკი. ეს გარემოება საზოგადოებრივ ცხოვრებაში სათანადო ადგილის დაჭერისათვის საჭირო უნარს ართმევდა, ნებისყოფას უღუნებდა და სინამდვილისადმი დაუინტერესებელ ესთეტიკურ ჰერეტას უფითარებდა.

აი ახლაც, სალექციო მასალების ქექვას თავი გაანება, ღია სარკმელში გაიხედა. სარკმელში ახლად ამოსული მზისაგან გაშუქებული თრიალეთის მთის ქედი ჩანდა, მის ზევით — ლურჯი ცის ტატნობზე ვარდისფერი, ხეჭუქა ღრუბლების ქულები მისცურავდნენ, თითქო ცხვრის ფარას მიერეკე-

ბიანო და ღედის ავადმყოფობის გამო დაჯავრიანებულმა, წუხელ ნასვამმა და გაქურდულმა ჰაბუქმა თავისი ტკბილი ხმით უნებლიედ წაიზღერა:

На Воздушном океане,
без руля и без ветрил,
Тихо плавают в тумане
Хоры стройные светил,
Средь полей необозримых
в небе ходят без следа
Обликов неуволнимых
Волокнистые стада.

მეზობლები — შოთა და ათინა ჰყონიები და სხვანი გაოცდნენ: რა უცნაური და უღარდელი კაცია, ამ უთენია არიებს რომ მღერისო! ხოლო რევაზის გულს კი ნაღველი შემოაწვა. ღრუბლების უჩინარი დენა დრო-ჟამის უსაზღვროებისა და ამოების სიმბოლოდ წარმოუდგა და ეტიუდი — „ღრუბლები“ დასწერა.

მერმე ისევ ავადმყოფი დედა მოაგონდა და შერცხვა: დედა სასიკვდილო სარეცელზე წევს, მე კი არიას ვმღერი და ეტიუდს ვწერო, — გაიფიქრა, თავი ჩაჰკიდა, შეძრწუნდა. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქო მას პირადი თავისუფალი ცხოვრების გზა ჩაეკეტა და იგი ავი ბედისწერის კლანჭებში მოექცაო.

• • •

რევაზი მთაწმინდაზე საღამო ეამს ავიდა. მალე კონსილიუმზე მოწვეული ექიმები — ონკოლოგი, თერაპევტი, ქირურგი და რენტგენოლოგიც მოვიდნენ. მათმა დიაგნოზამაც ღვიძლის კიბო დაადასტურა. ექიმებმა ავადმყოფს რადიო, რენტგენით მკურნალობა, სხივური თერაპიის ჩატარება დაუნიშნეს.

რევაზს და მის დას მაიკოს ყოველდღე დაჰყავდათ დედა მანქანით რკი-

ნეგზის საავადმყოფოს კლინიკაში რენტგენო-თერაპიის ჩასატარებლად. რევმაზის მეგობრის, პედაგოგის მიხეილ ადამაშვილის და ექიმი ქალი მარო ავადმყოფს მაგიდაზე აწვევდა, ღვიძლის არეზე რენტგენის სხივებით დასახივებას უკეთებდა. ამ სეანსებს ნაყოფი არ გამოუღია, პირიქით: ავადმყოფი უფრო გახდა, დასუსტდა, მაჯისცემამ წუთში ასოცს მიადღწია, ნაღვლის ბუშტის გაღიზიანების გამო, ოლღას სახე და თვალის გუგაც გაუფვითლდა. მუცლის ღრუში აუტანელი ტკივილი დაეწყო. ღვიძლისა და თირკმელების ფუნქციები დაიჭრა. ყავისფრად შარდავდა. ორგანიზმი მართლაც მოეშალა. იგი სპეციალურ დიეტაზე დასვეს. მოხარშული ხორცის, ცოცხალის ჭამა უჩივის, ოლღას ცოცხალი უყვარდა, ამიტომ აბანანაში მუდამ მურჩა ცურავდა.

რევმაზი საათობით უჯდა ღედას საწოლთან. მაჯას მალიმალ უსინჯავდა. ღედის მისუსტებული, საოცრად აჩქარებული ძაფისებრი მაჯისცემა აოცებდა. ეშინოდა, მშობელი ხელში არ ჩაკედომოდა. მაინც ნუგეშს აძლევდა, ატყუებდა, მაგრამ ღედამ ყველაფერი იცოდა არ ტყუედებოდა და მისთვის უჩვეულო ქართულით უჩიოდა:

— მართალია, მოვხუციდი და ჩემზედ არის გამოჭრილი ერთი ანდაზა: აკაკაჩია, ბაკაკაჩია, ვისვამს, გიჭამია, გზა გავაჩნიაო, მაგრამ რა ისეთი მიხრწინილი და ბოროტი ვიყავი, ბედმა ასეთი საშინელი ჭირი რომ შემყარა? ჭირი მართალსო — სწორედ უთქვამს ძველ ქართველს, რა ავი და ცუდი საქმისათვის დამატყუდა თავზე ღვთის რისხვა! არა სჯობდა, ლახვრის ერთი დარტყმით გავეთაყუებინე! მაგრამ გული მწყდებოდა: მსურდა შვილებისა და შვილიშვილებისათვის კიდევ ცოტახანს მეცქირა. ნეტავ შენს ცოლშვილს მოვესწრებოდე, მერე სიკვდილსაც უფრო ადვილად შევხვდებოდი, — ეუბნებოდა ავადმყოფობით დაღუული ოღლა შვილს. მაგრამ იგი არ ამბობდა მართალს, რადგან სიკვდილის შიში ზარავდა და იმ შიშს ახ-

ლა ვერავითარი ძალა და ვერც შვილებისა და შვილიშვილების სიყვარული განუქარებდა. რევმაზი გრძნობდა, ამას და კიევში, სტუდენტობის ემს გაჩენილი შვილის საიდუმლოს ისევ არ უცხადებდა. ეს რევმაზისათვის საშინელი ტრაგედია იყო.

— ნუ გეშინია დედა, შენ ისეთი ექიმების ხელში აღმოჩნდი, რომ უთუოდ ღებზე დაგაყენებენ, — უთხრა რევმაზმა.

— შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, — მიუგო ოღლამ და განაგრძო: — თუ კაცის ჯანმა სენს თავად არ შეებრძოლა და აჯობა, ექიმები ველარ უშველიან, მით უმეტეს — ჩემს საშინელ და გუნუქურნებელ სენს.

„კიბოს“ მაგიერად ღედა და შვილიც ყოველთვის „სენს“ ამბობდნენ.

— ვიცი, რა სენსაც გულისხმობ, დედაჩემო, მაგრამ იგი შენ არ გჭირს — უთხრა რევმაზმა, მოეფერა და აკოცა.

— აბა რად მკოცნი, არ გადაგედოს! — გააფრთხილა ამრეზილმა ღედამ და შუბლი შეჭკრა.

— აკი ვითხარი, ის სენი შენ არ გჭირს მეთქი. გარდა ამისა, ის სენი გადამდები არ არის და არც შემკვიდრობით გადადის — შენიშნა რევმაზმა.

ღედის ავადმყოფობის განმავლობაში რევმაზმა კიბოზე მისთვის მისაწვდომი მთელი ლიტერატურა გადაიკითხა მაგრამ ის „სენი“ — კიბო თუ გადამდები იყო და აღამიანს შემკვიდრობით გადაეცემოდა იმდროინდელ ლიტერატურაში არაფერს ამბობდნენ, თუმცა ერთი ევროპელი მეცნიერი კიბოზე წარმოებულმა ცდებმა და დაკვირვებებმა აიძულეს განეცხადებინა, რომ კიბო გადამდებია და შემკვიდრობით მისი გადაცემის საკითხიც გამოირიცხული არ არისო. რევმაზი იმ მეცნიერის აზრს იზიარებდა და მისთვის ცნობილი შემთხვევაც ამას მოწმობდა. ოღლას დაი — მიიყო კიბოს დაავადებით გარდაიცვალა, ხოლო მათი ღედა რუხოს დიდდაც კიბომ იმსხვერპლა. გარდა ამისა, რევმაზს სჯეროდა, რომ

ზოგ ადამიანში ჩასახვისთანავე მოიბო-
გება თვალთ უხილავი ის მიკროსკო-
პული დაზიანებული უჭრედი, რომე-
ლიც მერმე რაიმე მიზეზის გამო ვითა-
რდება, დიდი სისწრაფით იზრდება, ავ-
თვისებთან სიმსივნედ იქცევა და, რო-
დესაც გამოვლინდება, ადამიანის დღე-
ებიც დათვლილია. ასე ფიქრობდა რე-
ვაზი და დედას თავზარდაცემული მიშ-
ტერებოდა. დედა კი ისევ სიკვდილმის-
ჯილი კაცივით საუბარს განაგრძობდა:

— გუშინ სიზმარი ვნახე, კორომე-
თის ტალავარში ჩოხა-ახალუსში გამო-
წყობილი მოხუცი მამაჩემი შემოვიდა
და ღვინო მთხოვა. არ მივეცი, მიცვა-
ლებულს სიზმარში რომ რაიმეს არ მი-
სცემ კარგია, — თქვა და გაიღიმა. სა-
ბრალო მოხუცი ხავს ეკიდებოდა, თუ-
მცა მაშინვე დასძინა: — ექიმებმა ვერ
მიშველეს, სიზმრები და საფლავში ჩა-
სული მამა რაღას მიშველიან? — ოლ-
ლამ ამოიოხრა და ტკბილი და საამო
ხმით წაიღიღინა: — „საყვარლის სა-
ფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე, დაჯარგუ-
ლიყო“, ე, შვილო, — მიმართა მან
რევასს, — ყური დაუგდე რუსთაველს,
რას ამბობს მიჯნურობაზე, არა მგონია
მთელს დედამიწაზე ისეთი ადამიანი
აღმოჩნდეს, ვისაც ყველა ის თვისება
სრულად გააჩნდეს, რომელსაც რუსთა-
ველი მიჯნურის აუცილებელ კუთვნი-
ლებად და პირობად აცხადებს: მზეო-
ბის მსგავსი „სიტურფე“, „სიბრძნე“,
„სიმდიდრე“, „მძლეოთა მებრძოლთა
მძლეობა“. მე მგონი ადამიანი შეიძლე-
ბა არ იყოს მზეებრ ტურფა, მძლეოთა
მძლე, მდიდარი, მაგრამ იმდენი სული-
ერი სიმდიდრე, სილამაზე და სიკეთე
გააჩნდეს, რომ ამ თვისებით მოხიბ-
ლოს ქალი და მას მისდამი მიჯნურო-
ბის გრძნობა გაუღვიძოს. ასეთი ქა-
ლები თავის მიჯნურთან ერთად მარ-
მარილოს სრა-დარბაზში კი არა, ხის
ძირას, ქოხში რომ დასახლდნენ, მაინც
ბედნიერები იქნებიან. ჩემი აზრით რუ-
სთაველის გმირებს ქრისტიანული ზნე-
ობა, სიკეთე აკლდათ. ტარიელს ნეს-
ტანი ერთი ნახვით შეუყვარდა, მისი

შერთვა განიზრახა და ვინც მის გან-
ზრახვას გადაუდგა, ყველა დახოცა და
სისხლის ზღვა დააყენა. ტარიელის მი-
ჯნურობა სიშმავეში გადადის, მისი მი-
ჯნურობა ხვადი ვეფხვის ძე ვეფხვისა-
დმი სიყვარულსა ჰვავს, იქნებ ვეფხვის
ტყავიც ამიტომ მოსავს! ერთი სიტყვით
რუსთაველის გმირებს სიყვარული წა-
რმართულია და არა ქრისტიანული.
რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გმი-
რები თავის გონებით, გრძნობითა და
ზნეობით ქრისტიანულ სამყაროს არ
ეკუთვნიან? მაგრამ რუსთაველი ქარ-
თული სიტყვის ჯადოქარია და ამით
გეჯადოებს, — დასძინა ოლლამ. —
რუსთაველის სიტყვამ შეგვინახა ენა და
გვიხსნა გადაჯვარებისა და გადაშე-
ნებისაგან, თორემ ამდენხანს ჩვენი
ხსენებაც აღარ იქნებოდა.

„ღედაჩემს რუსთაველის კრიტიკა
დაუწყია. კიდევ კარგი, სამარის პირას
მდგარი დედა თავის მოსაზრების თქმა-
სა და გამოქვეყნებას ველარ მოას-
წრებს, თორემ უთუოდ ჩაჰქოლავ-
დნენ“, — გაიფიქრა რევაზმა და დედას
კამათი აღარ დაუწყო.

რევასს ნალევი შემოაწვა და თავი
ჩაჰკიდა. დედა დააქქერდა და შეეცო-
და. მან კარგად იცოდა, მის შვილს გა-
გიყებით რომ უყვარდა სამშობლო,
დედა და სატრფო. დანიშნული ახალგა-
ზრდა მოქანდაკე ქალი მარინე ავალი-
შვილი ამას წინათ ტრაგიკულად
გარდაეცვალა, დედაც სულ მალე ხე-
ლიდან გამოეცლებოდა და რევაზი განა
საცოდავი არ იყო!

— ე, შვილო, — ამოიოხრა ოლლამ
და არაადამიანული ტკივილის გამო
დაღლილმა და სასომიხდილმა მოხუც-
მა შვილს ისეთი რამ უთხრა, რამაც
რევაზი გააოცა: — სიყვარულიც აჭი-
ვრებს საქმეს. მიჯნურობა კაცს აშმა-
გებს, ხოლო მიჯნურის დაჯარგვა კი
გონებას ურევს და სტანჯავს, სჯობს
არაფინ არ გიყვარდეს, გული მგლისა
გქონდეს და გონება ეშმაკისა. მაშინ
ცოდვით სავსე ამ წუთისოფელს უდა-

რდელად და ადვილად მოსჭამ. სიყვარულს სიძულველი სჯობნებია...

— არა, დედა, — თავი ასწია და ისე მიუგო რევანმა, — რაც სიძულველს ამ ქვეყნად დაუნგრევია, იგი სიყვარულს უშენებია.

დედას ნათელი ჩაუდგა თვალში. იგი განზრახ ჰკილავედა სიყვარულს. იცოდა, ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა მოქანდაკე ქალისადმი, მშვენიერი მარინე ავალიშვილისადმი მიყნურობა დღესაც რომ სტანჯავდა რევანს. ოდესღაც ლამაზი, შავი, გონიერი, აწკი ბაიასავით ვაყვითლებული თვალები მიაპყრო რევანს და მიუღერსა. კარგად იცოდა, საბედისწერო სიყვარულით გულდამწვარ შვილს, თავისი ავადმყოფობით, ახლა რომ მეორე იარას უჩენდა, ისიც კარგად იცოდა, მასა და შვილს შორის საარაკო სიყვარული რომ არსებობდა. ამიტომ ერიდებოდა, არ უხსენებდა „კიბოს“, აღარ ჩიოდა, აღარ წუწუნებდა და ტიროდა. ეშინოდა, ჯავრითა და გლოვით შვილი არ დაეჩაგრა და ამას წინათ თუ სასოწარკვეთილი, ახირებული ქართულით ესაუბრებოდა, ამის მიზეზი აუტანელი ტკივილებისაგან გამოწვეული გონების აღრევა, დაბნელება იყო. ოღონდ გონიერი, დინჯი, ჩვეულებრივი საუბარი არაფრით არ ჰგავდა არაადამიანური ტკივილებისაგან სასოწარკვეთილებამდე, სიცივემდე მისული ავადმყოფი ქალის დღევანდელ, აბნეულ და ულოგიკო საუბარს. როდესაც ღვიძლის ტკივილი ოდნავ დაუამდა, მაშინვე ჩვეულებრივ, ნორმალურ ადამიანს დაემგვანა, იგი ლოგინზე წამოჭდა, პატარა ლამაზი, შიშველი ფეხები ფაჩუჩებში შეადგა და ღია სარკმელში გაიხედა. სარკმელი ჩრდილო-დასავლეთისაკენ იყო გაჭრილი. საღამო ყამს სარკმლიდან ნათლად ჩანდა ლურჯი ცის ტატნობზე მიხატული, მარადი თოვლით დაფარული ბუმბერაზი — ყაზბეგო. მერცხლები ყვილით მიმოჭორდნენ და ისე მიარღვევდნენ ცის ლაყვარდს. ოღონდ თავისი „სენი“ მიაეიწყდა, სოფელი

კორამეთი, ბავშვობა მოაგონდა და კარგ გუნებაზე დადგა. „გაუბრუნდეს შერეო მერცხალო“ წამოიწყა დაიღივინა. მას ჩინებული სმენა, გულში ჩამწვდენი, ტკბილი ხმა ჰქონდა. თავად სიკვდილის სარეცელზე მწოლარე, იგი შვილის ნაღვლისა და დარდის განჭარვების ცდილობდა. შვილიც ცდილობდა მხიარული, ალერსიანი ყოფილიყო, მის ცრემლიან თვალში დედას სიკვდილის განაჩენი რომ არ ამოეკითხა, თუმცა დედისა და შვილის ის მსახიობობა და შენიღბვა ორივესათვის მძიმე სიტანჯველს წარმოადგენდა. დედა იყო რევანისათვის ყველაზე უფრო სიყვარული, მახლობელი, დამხარე ადამიანი, მისი მეგობარი, მესაიდუმლე და ახლა იგი ხელიდან ეცლებოდა. დედა სასიკვდილო სარეცელზე იწვა, ცეცხლი ეეიდებოდა, ღვიძლი ეწოდა. მაგრამ რევანმა ბათუმიდან თბილისში ჩამოყვანისთანავე, მთვარიან ღამით ამ ბინის უკანა აივანზე გამოიტირა იგი და ყველასაგან მალულად თვალითაგან ცრემლთა ნაკადულიც დაღვარა. ეს სიქაბუჯის ხანაში მისი პირველი ტირილი და ცრემლები იყო. მის უკან მის გამშრალ თვალზე ცრემლი არავის დაუნახავს.

რამდენიმე დღის მერმე რძალმა — ანიკომ აუტანელი ტკივილის გასაყუჩებელი საშუალების — პანტაონის კეთება დაუწყო ოღონდ. ბოლოს ექიმებმა ზაფხულის სიცხით დახუთულ თბილისიდან სუფთა, გრილ ჰაერზე, მთის კალთაზე მდებარე სოფელ კარომეთში ავადმყოფის წაყვანა ურჩიეს ჭრისუფლებს და ავადმყოფს განაჩინც გამოუტანეს: დიდი, დიდი, კიდევ ორი, სამი თვე, აჰა, ოთხი თვე იცოცხლოსო. ოღონდ ზურაბმა, გრიგოლმა, რევანმა ვაგონში ხელით შეიტანეს და კუბეში დააწვინეს. მაიკომ სარკმლის ქვევით მაგიდაზე წამლები დააღვია, გულისგასამაგრებელი წამალი შეასვა დედას და ფეხებთან მიუჭდა. ზურაბი, აგრეთვე მისი და გრიგოლის ცოლშვილიც; აგარაკის ნაცვლად ოღონდთან

ერთად იმავე ვაგონით კორომეთს გაემგზავრნენ. ბინა მთაწმინდაზე და გასალენიც ზურაბმა და ანიკომ რეზოს დაუტოვეს და მას ჩააბარეს.

რევაზი ძმის ბინაში ღამით მივიდა. იგი დედის ოთახში ცარიელ საწოლს დამწუხრებული დაამტერდა. სასთუმალთან სკამზე კარლსბადის მარილის ცარიელი ყუთი დაინახა, ხელი ჩაიქნია და გაიფიქრა: „კარლსბადის მარილი კი არა, ვერაფრითარ წამალი ვედარ უშველის უბედურს“. გლოვით ვაოგნებულმა ცარიელ და სიჩუმით მოცულ ბინაში ბორჩილი დაიწყო. ისევ დედის ბნელ ოთახში აღმოჩნდა, საწოლს დააკეჭრდა და ისე მოეჩვენა, თითქოს ბალიშზე ბალზამირებული გვამის მაგვარი საბე განისვენებს, ცხედრის წინ მღვდელი დგას ოლარით და მიცვალებულს სულთათნას უმღერისო. ტანში გააქრყოლა. ბოლოს გონს მოეგო, ზუ-

რაბის კაბინეტში შევიდა და სარკმელი გამოაღო. მის წინ ნათურები იყო გაქვავებული მდუმარე ქალაქი გადაშლილიყო. ნათურების მოძალებული და განუწყვეტელი ციმციმი მოახლოვებული უბედურების ნიშნად ეჩვენა, თავებზე დაესხა, სარკმელს მოშორდა, საძინებელ ოთახში შევიდა და საწოლზე მოცულილივით დავარდა და მაშინვე მკვდარივით დაეძინა.

დღეს თბილისში ცოტა ხნით ზურაბი ჩამოვიდა, ხოლო მისი ბინის საგუშაგოდ დარჩენილი რევაზი კი სოფელ კორომეთში გაემგზავრა. დედა ოდნავ მოკეთებელი ეჩვენა. მთის ჰაერმა თუ არგოო, — გაიფიქრა მან. კორომეთში რევაზი ერთი კვირა დარჩა, მერმე კი ზურაბის მომყოლი, მეორე უფროსი ძმის — კოტეს სანახავად ბათუმში ჩავიდა.

• • •

ერთად ვიაროთ მესხეთის მთვარე,
მე აქ სხვაგვარი მინდა მეგზური.
წინაპრის კვალი ვთვალე და ვთვალე,
ვერ მივითვალე მიწა მესხური.
ვით ამირანი, რაშით, ზღაპრულით,
ოდეს მზაკვრობას მიუხვდა ყამარს —
აბა, ისარი, მთაში დაკრული,
ისევ ამ წყვეულ ჭიუხთან ვდგავარ.
ვერ გადავლაზე, ვერა და ვერა
მკერდმოსისხლული მიწა, მისხალი.
ვარძიის კართან, ვით ბედისწერა,
წამომეყუდა ხიხანის კარი.

ორივ ერთია, ორივ მამაცი,
ორივეს დედის სხენა აცხია.
მთვარე, ვინ მოკვდა უფრო ლამაზად,
ჩემი ხიხანი?... ჩემი ვართია?...
ხმლებით სავსეა ეს ლაც ეს მხარე,
აივსე შენი ქორფა ჯიქნებიც.
ირმებს სამშვილდე რქებს ახერხავენ
შაფროხიანი შოთას ბიჭები.
მთვარე, მომენტე და მომენტე,
ყური არ უგდო არც ხმას, არც ექოს —
რომ აქ ჭაქები არ მომეღანდონ
და სადმე კლდეზე არ გადამჩნებონ!

თვითმფრინავში

ღრუბლებზე მალლა,
ღრუბლებზე მალლა,
კაცს, ლაქვარდებში მონავარდესა —
მიწავ, რა უნდა მიჭირდეს ახლა,
კლდის არწივების ძმას და ნათესავს.
ცოტაც და... ლურჯი ზღვა მიიღევა,
ცოტაც და შხარას მივუალ დღესა...
ბალღივით მღერის სკანი „ლილეოს“
და იღამება სტიუარდესა.

ქ ე ლ ა ს



ლექსს ძალა ვინ მისცა წმიდანთა დიდების,
ან სიტყვას საკადრისს შეილთაგან ვინ
გულობს.

მე ახლაც შენს სახეს ვეხები თითებით
და სიბრძნის სტრიქონებს ბრმასავეთ
გკითხულობ.

რანდენის სახე და ხსენება რამდენის
განძივით მოსტაცე არყოფნის არშიებს.
შენ ერთხელ სიცოცხლეს აუნთე სანთელი
და მის წინ მარადის წაშება არჩიე.

დღეს კაცი ღმერთია და ლოცვა არ უნდა,
ფიქრადაც უცხოა ის, რაზეც ვშიშობდით.
შენ ერთხელ სიცოცხლეს სანთელი აუნთე
და ძველად დაგიდგა მან ხატი
ღვთისმშობლის.



ოზია იოსელიანი

ტყვეთა ტყვე

აოზანი

პროლოგის მახივირ

ამ წიგნში მოთხრობილი ამბავი სულ ახლახან შევიტყვე და უფრო ადრე ამის დაწერა არ შემეძლო. მართალია, ხალხმა თავშეკავებულად, ძუნწად მიაშბო, მაგრამ ბევრი რამ თეთრმა მთებმა მითხრეს, ზოგი კიდევ საჯიხვეებს წამოვაცდენინე და ბოლოს, ჩემი თვალით ვნახე ის ორი გამოქვამული, სადაც ეს ცოდვა-ბრალი დატრიალდა.

ომის შემდეგ აგერ ოცდახუთი წელი

გავიდა და იქნებ აღარ ღირდა ძველი ტკივილების გახსენება, მაგრამ ეს ომი დედამიწის იმოდენა ტრილობა იყო, რომ ჯერაც არ შეხორცებულა.

ჰოდა, მინდა გიამბოთ მშვენიერ გუცაზე, სვან ვოგონა თავიზე და ბიჭების: თუთარის, ვახოს და გუას შურისძიებასა და გამბედაობაზე, ჯარისკაც სიოშზე, უჩინარ აბი ნანსყანზე და თერთმეტ გერმანულ დესანტზე...

ავტორი

ნაწილი პირველი

თავი პირველი

განუწყვეტელი შეტაკებებითა და დაბომბვით განახევრებულ საშთო მსროლელ რაზმში გერმანულის მცოდნე ვერაგინ აღმოჩინათ. ფერდობზე გამოთხრალ მიწურში, სადაც დაბალი კაცოც თავდახრილი შედიოდა, ხელფეხშეკრული მწვანე მუხღირიანი ორი ჯარისკაცი ეგდო და ხმის გამცემი არაინ იყო.

გამთენისას უღელტეხილზე სამკედრო-სასაიცოცბლო შეტევა უნდა დაეწყოთ და ამ ენააშოუდგმელი „მოენეების“ ყოველი სიტყვა ოქროს ფასი ღირდა.

პოლკის შტაბში გერმანულის მცოდნე როგორ არ ჰყავდათ, მაგრამ იქ

კაცი დილაამდე ვერ მიაღწევდა, მერე-და მცოდნეს აქეთ ვინ გამოგატანდა. იქეთ წაგეყვანა და ამ ცატეხია მწვერვალების ბილიკებზე ორი გაკოჭილი ახმახი როგორი სათრევი იყო.

მიწურში რომ წითელარმიელი შემოვიდა და გასწორდა, თავი ზემოდან მიწადაყრილ ნედლ მორებს მიაბრტყა და მეთაურთან მისასალმებლად ზევით აწეული ხელი კვინიხზე იტაცა.

მიწურის კედელთან, მსხვილ მორზე, ჩამოქდარი უმცროსი ლეიტენანტი ჩაჩოჩდა და შემოსულს ხელით ანიშნა. ჩამოქეჩო.

ჯარისკაცი დაიხარა, მაგრამ უფრო-

სის ნებართვას დაუცადა, მანამდე მანც არ დაჯდა.

— აბა, გაბულდანიც მოსულა... — სქელულვანებთანმა მეთაურმა, რომელსაც მხოლოდ შუბლზე ჰქონდა ნაოქები, თვალბში შეხედა და ჯარისკაცს თავი დაუქნია, დაჯეჟიო.

ორი საათის დაღამებული იყო, როცა ეს ჯარისკაცი ცხენზე ამხედრებული შემოვარდა კოშკებსა და მანუბებს შორის ღორების ნაკელით და შარდით აქოთებულ ვიწრო ორღობეში და ძაღლებს ყუფა-გნიასი აატეხინა.

პირდაპირ დაბარებულებით მიადგა მაღალი კოშკის ძირას მიდგმული ფიქალის სახლს. არ დაუძახია, არც ქოფაკის ღრენა ჩაუგდია რამედ, მაშინვე ჩამოქვეითდა, შქერის წყნელით გამოღობილი ჭიშკარი შეაღო და ცხენს ეზოში შეუძღვა.

ქორა მახვშმა მდგმური ქალის ამ შუღამისას საღდაც დასაკარგავში გაშეება შორს დაიჭირა. სიოშ გაბულდანს კარგად იცნობდნენ და ენღობოდნენ, ენღობოდნენ რას ჰქვია, იგი ამ სოფლის შვილი იყო, მაგრამ მახვში მზად იყო შვილიშვილები გაეგზავნა, სტუმარს კი ვერ ურჩევდა წასვლას.

სიოში ხელცარიელი უკან გაბრუნებას არ აპირებდა და მოითხოვდა თვითონ უცხო ენის მასწავლებლისათვის ეკითხათ.

ბაბუა ბესლანს ეწყინა. ქვედა ყბა აუქანჯალდა და ჯარისკაცს გაუჯავრდა.

— რა, ის რომ თანახმა იქნეს...

სიოშს ხმა არ გაუღია, მაგრამ ადგილიდან ფეხი არ მოიცივლა.

მძიმე, უხერხული დღემილი ჩამოწვა, მერე ფეხის ხმა მოისმა. ფეხის ხმას კარების ჭრიალი მოჰყვა. გუცა თავისი ოთახიდან გამოვიდა.

— ხოჩა ნებობ, — სვანურად თქვა ქალმა.

ჯარისკაცი მიტრიალდა და წუთით თვალბი გაუშტერდა.

ქალმა სახე ნაუცბათევად აარია, წინ წამოვიდა, მოხუცის ახლოს დადგა.

მახვშს მასწავლებლის შემოსვლა არ ეამა, სახის ნაოქები დაედრმავდა, მდგმურს შეხედა და ჯარისკაცის გავსაგონად თქვა:

— ეს არ შეიძლება.

გაბულდანი შეიჩხა. მარჯვენა ხელის თითები წამოსწია და ფეხის ქუსლი ქუსლს მიუახლოვა. მოხუცისადმი ლატივისცემა ჯარისკაცს მეთაურთან ლაპარაკის წესებში აერია, მაგრამ ხელი აღარ აუღია და არც რაიმე უთქვამს.

— ბაბუა ბესლან, გამოუშვიოთ თავი და წავალ, — თქვა ქალმა.

გუცას თანხმობა მოხუცმა ისე მოისმინა, თითქოს ამ ამბავთან არაფერი ესაქმებოდა. მახვში იმიტომ კი არ იყო წინააღმდეგი, რომ სტუმრის თანხმობის იმედი არ ჰქონდა, საფიქრალი და ანგარიშგასაწევი სხვა იყო: თვითონ ქორა მახვშის უფლებები.

— ხელ მე თვითონ ჩამოვიყვან, — თქვა სიოშმა.

გუცამ ამ ჯარისკაცის ხმა თავის ოთახში რომ გაიგონა, მის ნათქვამში ეს ხვეწნისმავგარი კილო მაშინ არ ერია. მახვშს ეს არ შეუძნევიდა.

გუცამ ისევ გაუმეორა მოხუცს, თუ თავის გააყოლებდა, წავიღოდა.

მახვშს თითქოს ისევ არ გაეგონოს, თავი აიღო და ჯარისკაცს სახეში შეხედდა:

— სოფელს მე უნდა ვუპასუხო.

— თქვენ ჩემთან გექნებათ საქმე, — თქვა ჯარისკაცმა, ქალს თვალბში შეხედა და ფიცივით დაუმატა: — მე თუ ცოცხალი ვიქნები.

მოხუცი არ განძრეულა, მაგრამ გუცა მიხვდა, რომ ამ სიტყვას ენღობოდა მახვში. თანხმობა მაინც არ თქვა, ყალიონი გატენა, მოუკიდა, სიოშს ახედდა და თუთარი იხმო.

სირბილით მოიჭრა რუხი ნაბდისჭუდიანი წითელლოყება ბიჭი

— შენს ძმას დაუძახე!

თუთარი ბოძაშვილის მოსაყვანიად გაუშვა. ბიჭი გაიქცა, სანამ ვახოს მოიყვანდა, ბაბუა ყალიონს ეწეოდა და არავის არაფერი უთქვამს.

ცოცხალთვალემა. ყელწაგრძელებული მკვირცხლი ბიჭი წარსდგა მოხუცის წინაშე და სმენად იქცა:

— ცხენები შეკაზმეთ!

ბიჭებმა უსიტყვოდ დააპირეს გაბრუნება.

— ფაშატს ჩემი უნაგირი დაადგით, გრძელი აღვირი გაუკეთეთ.

ბიძაშვილები რომ გაიქცნენ, ქალიშვილიც ჩქარი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან, კარი მიიხურა.

მახვში ფანჯარასთან მივიდა და პირიდან ყალიონგამოუღებლად ბნელს მიამტვრდა.

წასვლისას ცალკე გაიხმო ორივე შვილიშვილი, დაარიგა, ცხენებს თვითონ გაუსინჯა მოსართავეები და თავისივე ხელით შესვა მდგმური უწყინარ ფაშატზე. წინ სიოშს უბრძანა წასვლა, უკან თავი გაუშვა და გუცას მერე მისცა ნება, გაპყროლოდა. თავისი ლულახაზიანი თოფი თუთარს გადაჰკიდა მხარზე, ვახო გააფრთხილა, ყოარილე კარგი გახედნილი არ იყო და ლაგამი არ მიეშვა.

თავი მხორა

პირველ გასროლაზე მხოლოდ ბოლო, მეხუთე ცხენი დაფრთხა და ქალმა შეჭკვილა. ერთხანს ხევში ჩავორებულნი ქვის ხმა ისმოდა. მერე წამით ყველაფერი გაყუჩდა.

ბნელოდა. ბილიქზე ძლივს ჩანდა ხუთი ცხენისნის ლანდი. უკან მდგომმა ორმა ახალგაზრდამ არ იცოდა ამ ღროს როგორ მოქცეულიყო, მაგრამ ასე ამხედრებული ყოფნა, როცა ჩასაფრებული მტერი ტყვიას გიშენს, შეუძლებელია.

მათ წინ მდგომ, ორ ნაბიჯს ამ ამბის სულ არაფერი გაეგებოდა. ცხენიდან ძირს ჩამოხტომმა რომ ყოფილიყო საჭირო, ერთი მათგანი სხვის დაუხმარებლად ვერც ამას მოახერხებდა.

ყველა მიჩერებული იყო მეწინავეზე. მან განგებ შორი, უხიფათო გზა აირჩია, აქამდე ისე მოვიდა, ხელში თოფი არც კი სჭერია, როცა ტყვიამ ყურთან

უწვილა, მოუფიქრებლად იტაცა ხელი იარაღზე, შემართა, მაგრამ არც გაუსვრიდა — ბნელში ჩასაფრებულ მტერს ნიშანში ვერ ამოიღებ.

მეწინავეს შეეძლო ხელის ერთი დაკვრით გადმოხტარიყო ცხენიდან და კლდის პირს გაჰკვროდა. თუ მტერს სამიზნედ ვერ ჩაიგდებდა, არც თვითონ გაიხდიდა თავს ორბების საძიძვანად, ამჯერად შეეწია ღმერთი და დააცილეს, მაგრამ მაინც გაუნძრევლად იღვია, თითქოს და ელოდა იმ მეორე გასროლას, რომლისაგან კვლავ სასწაული თუ დაიფარავდა.

ჩასაფრებულთ უთუოდ უკვირდათ მხედრების უმოქმედობა და მორიგ სროლას ალბათ ამიტომ აგვიანებდნენ.

ხსნა არ ჩანდა, ხუთივე განწირული იყო. ელოდათ სიკვდილი, ან ტყვედ ჩაეარდნა.

საიდან ვაჩნდა აქ მტერი?

ეს უთუოდ დესანტის ახალი ჯგუფი იყო, რომლის არსებობაც აქ ჯერ არავინ იცოდა.

ხელახლა არ გაუსვრიათ. მათ ცოცხალი კაცი სჭირდებოდათ, მაგრამ ერთი, ან ორი, დანარჩენებს ახლავე ამოიღებდნენ ნიშანში და გზიდან ჩამოიცილებდნენ.

— არ გაინძრეთ! — ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით თქვა მეწინავემ.

არავინ განძრეულა.

— თუთარ!

არ უბასუხეს, მაგრამ სიოშმა იცოდა, ვისაც ეუბნებოდა, კარგად ესმოდა — შენ და ვახო გაწეკით ცხენებზე, მიატრიალეთ და მოუსვით!

მეწინავეს აზრით, ეს იყო ყველაზე უკეთესი, რისი გაკეთებაც ახლა მოხერხდებოდა — ხუთიდან ორი მაინც გადაერჩინა.

უკან მდგომთაგან არავინ იძვროდა.

— სიოშ! — მოისმა ზურგს უკან მუდარით.

ამ ერთ სიტყვაში ყველაფერი იყო: ასე სამარცხვინოდ გაქცევა არ შეეძლოთ პირტიტველა, მაგრამ კარგ მსროლელ და უშიშარ ბიჭებს.

არქონული

— კი არ გაიქცევით, უკან დაიხვეთ, კარაბინს მარჯვნივ ჩავაგდებ, დილით იპოვით.

ჯარისკაცმა იცოდა, ბიჭებს ხელ აქცოცხალი არავინ დახვდებოდათ.

უცრად ორი მხედარი ადგილიდან მოწყდა და ნალებს ქაბანთან ერთად ზედიზედ გასროლაც გაისმა. სიოში გადაიწია და ადგილზე დასობილმა ცხენმა ფეხი განზე გადგა, რომ წონასწორობა დაეცვა. კარაბინი ხრიალით დაცურდა ქარაფზე.

წინ, საიდანაც წელან ცეცხლის ენები გადმოეყიდა, ვილაკები წამოფოფხდნენ, ერთი, მეორე... ცხენმა დაიჭიბვინა, დაჭრილი უნაგირს გადაკვიდა, ეტყობოდა ფეხი წინდაწინ ჰქონდა გამოღებულ უზანგიდან და მაშინვე გადავარდა.

დანარჩენი ორი ნაბღიანი მხედარი არ იძვროდა. ახლა მათ გადაუარეს თავზე ტყვიებმა, ცხენები ადგილზე ცემდნენ ტორებს, მერე ვილაკამ იქვე წამოიყვირა გაზეპირებული ორი ღერი რუსული სიტყვა:

— ხელები მაღლა!

ხელები არავის აუწევია.

— დაყარეთ იარაღი!

არც იარაღი დაუყარია ვინმეს.

ისევ გაისროლეს და თავზე გადაუტარეს ტყვიები ნაბღიანებს, მერე ფეხდაფეხ მიეჭრნენ და ზედ ცხენების ცხვირწინ დაცალეს ამჯერადაც ჰაერში.

— ჩამოყარეთ ძირს! — მოისმა ბრძანება გერმანულად. ცხენებზე მჯდომთ წვდნენ ახლოს მოსულები, ძირს ჩამოთრევა დაუპირეს. ქალის შეკვლევა აიტაცეს მთებმა.

თავდამსხმელებმა ერთი წუთით ხელი უშვეს ტყვეებს და მოულოდნელობისაგან გაშეშდნენ, მერე ვილაკას გასძახეს:

— ქალები ყოფილან!

— ქალები? — მოისმა პასუხად.

— ჰო, ქალები!

— შეიკოვეთ!

— ქალები?!

დადევნებულმა ტყვიამ დაეხვეწა, დან ისე ახლოს უწივლა, ეგონა საღეთქელში გამიარათ. დაფრთხა ულაცი. ყალბზე შეიმართა. შეშინებულმა ბიჭმა სადავე მიუშვა და ქუსლი ჰკრა. ცხენი წინ გახტა და ბილიყს გაეკიდა.

მაღე გამოსცდნენ ვიწროებს და თავვე დაეშენენ. ჩამონაშალი ქვა და ღორღი უკან ფეხდაფეხ მოსდევდათ.

მდინარეს ნაპირთან ჩავიდნენ, ახალგახედნილმა ულაცმა ვახოს თავი წაართვა და ბიჭმა შევაკებაზეც ვერ დაიმორჩილა.

— ჯგერავის მაღლი გაეიწყრა, თუ რამ გადაგრია!... — დაუყვირა პატრონმა.

— დაჭრილი ხომ არაა! — მიამხა თუთარმა.

ულაცისათვის ტყვიას ყური გაეხვრიტა.

— შორს გამოგვიტაცეს! — თქვა ვახომ, როცა ჩამოქვეითდნენ, — ისევ ცხენებით უნდა გავბრუნდეთ, თორემ ვერცერთს ცოცხალს ვერ მივუხსრებთ. თუთარს არაფერი უთქვამს. სანამ ამ სახიფათო ჰენებით იყო გართული. არ უჯრძენია ის უბედურება, რაც ელოდათ ქალებს, რომელთაც დამცველად და უკან ჩამოსაყვანად გააყოლა ის და ვახო ქორა მახშმმა. თუთარს სიოში არც აგონდებოდა. კაცი კაცია, ომსაც აიტანს, ტყვიასაც და სიკვდილსაც.

„ქალს არ ესროდნენ“ — გაიფიქრა, ის კი აღარ უნდოდა დაეჭვებინა, რომ ნაბაღში გახვეულთ მამაკაცებსაგან ვერავინ გაარჩევდა.

— ქალებს არ ესროდნენ! — ხმამაღლა გაიმეორა, რომ ვახოს გაეგონა და ბიძაშვილის ლანდს ისეთი მოუთმენლობით შეაჩერდა, თითქოს ამ ბიჭის პასუხზე ყოფილიყოს დამოკიდებული მათი ბედი.

— არა, არ ესროდნენ! — თქვა ვახომაც, იმ წუთში სხვანაირად ვერც მას წარმოედგინა, — მავრამ ტყვედ წაიყვანდნენ...

თუთარს მდუღარე გადაესხა, რაღა ჰქნან, რა ამბავი ჩაუტანონ ქორა მახვს, გვარში თავი არ გამოეყოფათ, სოფელში არ გაველებათ და ხალხში ხმა არ ამოვლებათ. ღმერთო, რა საშინელება დატრიალდა: რა მოხდა, ვინ ესროლათ, ქალები სად მიატოვეს და თვითონ სად არიან, ან ახლა რა გზას დაადგენენ?

სიომშა დაღუპვას გადაარჩინა ბიჭები, მაგრამ ისე მოჭრა თავი, ახლა სიკვდილიც ვეღარ უშველით.

სამშველი არ იყო, უკან იმ ბილიკით უნდა დაბრუნებულიყვნენ, რომლითაც ჩამოვიდნენ.

უმალ უნაგირს მიეჭრა და თუთარმა ფილთა თოფი ისე ჩაბლუჯა, თითქოს ეს ძველისძველი იარაღი იყო მარტო მათი კი არა, განსაცდელში ჩავარდნილი ამოდენა ქვეყნის მხსნელი.

ცხენს ქუსლი ჰკრა. ფეხდაფეხ მიჰყვა ვახოც და ფლოქვების თქარათქური კვლავ აიტაცა ხევიძა.

წინ უკვე კლდოვანი აღმართი იყო. ბნელი ღამე და უიმედობა.

სინამ მთას წვერში არ მოექცნენ, არცერთს სადავე არ მოუწვდია. იქ, სადაც ბილიკი იწყებოდა, უნდა ჩამოქვეითებულიყვნენ, ისევ გაჭირდა ოფლში გაჭურჭული ცხენების დამორჩილება.

ჩამოქვეითდნენ. თუთარს ბევრი არ უფიქრია. თოფი მხრიდან ჩამოიღო, ჩაბმაში შეაყენა და ფეხით ბილიკს განი მოუსინჯა.

ვახოს შამისეული ყამის მეტი თან არაფერი ჰქონდა, რომელიც ამ საღამოს, სანამ ქალებსათვის ცხენებს კახშავდნენ, საგანგებოდ ალესა. ახლა დანა ხელში დაიჭირა და წინ წასულ თუთარს მიჰყვა. ბილიკი მაღლა მიდიოდა, ბნელში ცაღ აჭრილი მყინვარები ილანდებოდნენ.

თუთარი ჩქარობდა. თავდასხმის ადგილს გუჟანით უნდა მიხვედრილიყვნენ, თვალთ არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა.

მიხვეულ-მოხვეული გზა ქვევით ჩაჰყვა. თუთარი შეჩერდა და მიაყურა.

საღდაც, იქვე წყალი წვეთავდა გაიზომილად.

მალე აღმართი დაიწყო. მთებში მდებარე შუშუნა გაისროლეს, ბიჭები მგლური ტუნძლით გაუყვნენ, არ შეჩერებულან, სინამ თუთარს არ მოუხვება, თბილი სისხლოს სუნი მეცათ. გაწვენენ და სული განაბეს.

არავითარი ხმა, გარდა საკუთარი გულისცემისა.

თუთარი გაფოფხდა, უიარაღო ვახო უკან ჩამოიტოვა. ფრთხილად გადაჰქონდა თოფი, რომ ქვაზე ხმაური არ გაეღო. უკან რაღაცამ ცივად გაიწყარუნა.

— ვაი! — წასცდა ვახოს, მერე გამოფორთხდა და თუთარს ცხვირწინ ხელი მიუტანა. ბიჭს ღენთის სუნი ეცა. ვახოს შამხანის ცარიელი მასრა ეპოვა.

შეტაკების ადგილზე იყვნენ და ბაიბური კი არ ისმოდა.

თუთარი დიდხანს გაუნძრევლად დარჩა, მერე წამოიმართა და გაიქცა. უკვე აღარც ბილიკიდან გაღანეხვისა ეშინოდა, არც მტრისა.

უკან დარჩენილმა ვახომ, ქვითინი რომ მოესმა ბნელს გასძახა:

— თუთარ!

თუთარს არ უბასუხია, იგი იჭდა და ტიროდა.

— თუთარ!

საღდაც ისევ ავარდა შუშუნა. ბიჭებს ახლა არ დაუნახავთ, რა ფერის იყო, იჭდნენ გაუნძრევლად, როცა აღმოსავლეთით ოდნავ, სულ ოდნავ ინათა, ერთბაშად სიცივემ აიტანა ორივე.

ვახოს მოავგონდა, რომ სიომშს კარაბინი უნდა ჩაეგდო ბილიკს ქვევით. უკან გამოსწიეს. გადაწყვიტეს ცივაბოს ჩაჰყოლოდნენ, მაგრამ ხევიში ჯერ ისევ ბნელოდა და უნდა დაეცადათ.

როგორც კი ლოდები გამოილანდა, იქ სადაც ვახომ მასრა იპოვა, ბილიკის პირას ჰქნს შვერილს მოეჭიდა და ჩაეშვა. ფრთხილად ჩაინაცვლა, მაგრამ მაინც დაუტურდა ქვა და ხევიში გაეჭ-

ცა, ლოდზე გადაჯდა და ის იყო ქვე-
ვით ფეხი ჩადგა, რომ იყვირა:

— ვაი!

— ავაი! — აყვირა ზევით თუთა-
რიც და ისიც ვახოსთან ჩახტა. ლოდის
ძირში კაცის გვამი ეგდო.

— სიოს! — წამოიძახეს, როცა წი-
თელი სამხრეები გაარჩიეს. მერე და-
აველეს ხელი და წამოყენება დაუპირ-
ეს, მაგრამ მოწყვეტილი ვაკეცო ვერ
ზიდეს და კინაღამ უფსკრულში გადა-
უვარდათ.

გასისხლიანებულ ცხვირპირს და ბე-
ჭთან მომტვრეულ მარჯვენას, რომელ-
იც მივაროვით ეკიდა, სიცოცხლის ვე-
რაფერი ნიშანი ვერ შეატყვეს.

ვახო მალა ამოცოცდა. უკვე იმ-
დენად მოთენებულებო, შეიძლებო-
და გზის გარჩევა და უკან, ცხენე-
ბისკენ გაქცა. ულაცი ბილიკის პირს
მიდგომოდა და მალლიდან ჩამოდენილ
წყლის წვეთს ლოკავდა. დაჭრილ ყურს
ნერვიულად ატოკებდა.

ვახო ზედ მოველო და გამობრუნდა.
როგორც კი ადგილზე მიიჭრა, ცხენის
გაჩერებას არ დაელოდა, ჩამოცურდა
და სადავე წაპყარა.

— თუთარი! — ჩასძახა ქვევით.

— მკვდარი არ უნდა იყოს — მოეს-
მა პასუხად.

ცხენის აღვირს ერთი ბოლო მოხსნა,
მეორე ზედ შეატოვა, უნაგირს მოსარ-
თავი აღშვა, ძირზე მიაჭრა, სადავეს
გადაანასკვა, მერე ქამარი შემოიძრო, ის-
იც წააბა და ქვევით ჩააგდო. თუთარმა
დაჭრილს წელში ამოსდო, ვახომ ცხენს
დაახეენა, თვითონაც მთელი ძალით
მიეჭიდა და მომაკვდავი წვალებით ბი-
ლიცზე ამოათრიეს.

ახლა გონდაკარგულის ცხენზე გადა-
დება გაჭირდა.

ბილიკის პირას მოხერხებული ადგი-
ლი მოძებნეს, მკვდარ-ცოცხალი ზედ
იტანეს, ცხენი მიუყენეს, გადაკიდეს,
უნაგირზე დააკრეს და გზას გაუყენეს.

თავი ბოლოა

უკან გაქცეული ცხენების ფეხის ხმა
ჭერ კიდევ ისმოდა, როცა გერმანელებ-

მა ქალებს ნაბდები ჩამოაგლიჯეს, ერ-
თი წამით ელექტროფარანი გაანათეს.
თავიმ შეუქს სახე აარიდა და თავი უფს-
კრულისაკენ მიაბრუნა.

— სრულიად ქორფა! — თქვა ხმა-
დაბლა ფარნის პატრონმა.

— პანს, ავი იქნება, არა? — მოისმა
წამღერებასავით ხმა.

— ცოცხლად! — იძლეოდა ბრძანე-
ბას ვილაცა ბნელში ჩასაფრებული და
კი არ ყვიროდა, რაღაცნაირად ხლიჩი-
ნებდა — ცოცხლად, შეჭკარიტ, შე-
კოკეთ-მეთქი! — სულმოუთქმელად ლა-
პარაკობდა. კაცს ეგონებოდა სამი
დღის მშვიერს პირში ცხელი კარტოფი-
ლი ჩაუდვია, ვერც გადაუყლაპავს და
ვერც უკან გამოსაგდებად შელევიაო.

— რა შეკოკება უნდა... წყნარად თქვა
ფარნიანმა.

— პანს შტუტე!

— დროის დაკარგვა არა ღირს! —
ისევ იუარა პანსმა და ახლა ფარნის
შუქი უკან მდგომ ცხენოსან ტყვეს
თვალეში შეანათა.

— ოჰო! აღმოხდა უცებ, როგორც კი
ქალს სახეში შეხედა.

— საოცარ ქვეყანაში მოვხვდით, პანს!
გაფითრებული გუცა უნაგირზე გაუ-
წმრევლად იჯდა.

— სად დადიან ეს ქალები ამ შუალა-
მისას, როცა აქ შუადღითაც ვერ გაივ-
ლის ჩვენებური ეშმაკი. — მოისმა ის-
ევ წამღერებასავით ხმა.

— ჩვენი ქალი ჩვენებურ ეშმაკზე
უფრო ეშმაკია, აქაური ქალები კი,
ღმერთმა იცის...

— უიარალოა? — გაისმა ისევ ხლი-
ჩინი სადარიდან.

ფარნიანმა ტყვეს ხელებზე მიანათა.
ერთხანს უქქირა გუცას აჯანკალებულ,
სუსტ თითებს და სინათლე ჩააჭრო.

— არც არასოდეს ჰერია იარადი.

— მაინც შეკოკეთ!

— რატომ უნდა შეგკოკოთ! პანს?
— იკითხა მაშინვე წამღერებასავით
ხმამ.

— დროის დაკარგვად არა ღირს, —
ისევ გაიმეორა ნათქვამი შტუტემ.

— მართლაც ქალები ყოფილან. — ვიდაც მესამე გამოილანდა ბნელში და ახლოს მოვიდა. — ძირს ჩამოვყაროთ და ცხენებს იარაღი აეკიდოთ.

— უარესად გაგვაწვალებენ! ამას გარდა, რას იტყვიან, ამ ქვეყანაში მამულებს რომ მიიღებ, კარლ, ჩვენს ბატონს ქალის პატივისცემა არ ცოდნიაო.

კარლმა გადაიხორხოცა, მერე, სული რომ მოითქვა, მამლარი კაცის ხმით დაუმატა:

— ვის რად უნდა აქაური მამულები!

— რუსული იციან? — იკითხა ისევ კარტოფილიანმა, რომლის ლანდიც ჭერ არსად ჩანდა.

— ფულიანებო, რუსული იციო? — თქვა კარლმა რუსულად.

არავის ხმა არ გაუღია.

— არაფერიც არ იციან.

ჰანსმა ტყვეებს ისევ მიანათა სახეში ფარანი და კარლს გადაუღაპარა:

— თქვენ, თუ იციან, თორემ უფსკრულში გადაეყრით.

ჰანსმა შენიშნა, რომ მის ნათქვამზე შეკრთა უკანა ცხენზე ამხედრებულ ქალი, მაგრამ როცა რუსულად გაუმეორეს, წარბიც არ შეუხრია.

— რუსული არ იციან, — ხელი ჩაიჭნია კარლმა.

— არ იციან, რადგან აქაურებია და ჩვენ ხომ აქაურები უნდა დაგვეჭიროს, ჰანს? — ისევ იკითხა წამლერებასავით ხმამ.

— წინ ვარკვეთ!! — იყო ბრძანება.

— გზა, გზა! — დაიძახა შტუტემ და ბილიცი წამით ისევ გაანათა ფარანს შუქმა. — დანიელ, ცხენებს გაუძეხი! პრიალა, შეგმა იარაღმა და მწვანე მუნდირების უჩვეულო სუნმა ცხენები დააფრთხო, გაქცევა დააპირეს, მაგრამ წინ გადაუდგათ ჯარისკაცი, რომელსაც აქამდე ხმა არ გაუღია, აღვირს ხელი ჩაავლო და საბიფათო ბილიკს ბორძიკით გაჰყვა.

— სირბილით! — იყვირა უფროსმა — სადაცაა თავს დაგვესხმებიან — მოისმა ზურგს უკან, როცა ჯარისკაცები და ტყვეები იქაურობას გასცდნენ.

— თუ რუსული არ იციან სად მივართვეთ! ჩაილაპარაკა კარლმა, გადმევყაროთ და ცხენებით ვერაფერი შევძლოთ. აჰ, ისიც ასეთ ღამეში, როგორ გაივლის ადამიანი!

— გაიელი! — თავი მოაბრუნა ჰანსმა და „დაამშვალა“: — უკან უნტერ-ოფიცერი მოდის.

გერმანელები ფაცა-ფუციით მიყვებოდნენ ბილიკს, ერთმანეთს ებლაუქებოდნენ, კლდეს ეპოტივნებოდნენ, ფეხქვეშ ქვა უგორდებოდათ, ეცემოდნენ, მაგრამ იმის შიშით, რომ გაქცეულებს შეეძლოთ თავისიანები წამოეყვანათ და დასწეოდნენ, მაინც გარბოდნენ.

შტუტემ ფარანი წინ მიმავალ დანიელს გადასცა და თვითონ ცხენებს დაჭერებულად გაჰყვა. ეტყობოდა მისთვის მთები და ბილიკები უცხო არ იყო. უკან ბორძიკით მოჰყვებოდა ერთი ჯარისკაცი, რომელსაც ხელს ხშირად აშველუბდა.

— ჰანს, აქაური ომი ომი არაა! — მოისმა, როცა წორობები აიარეს და წუთით სული მოითქვეს.

— კლასს, ხომ იცი, რომ უკან უნტერ-ოფიცერი მოდის, — დამრიგებლურად თქვა შტუტემ.

— შნაიდერი შენ ვერაფერს გაგიბედავს, უშენოდ ყველანი ხვეში გადაიჩეხებიან.

გუცამ თავი მოაბრუნა, მაგრამ ბნელში ქარაფზე მობოროილედ ლანდებს გარდა ვერაფერი გაარჩია.

ცხენები გაშლილ ფლატზე გავიდნენ. წინ მიმავალი გერმანელი შეჩერდა და თავის ცხენს აღვირი დაუჭირა.

— რა ვქნა, მე უბედურმა, ჰანს?

— დაიცადე, ნამეტანი ჩამორჩნენ, არაფერი ისმის.

შეჩერდნენ. შტუტეს ატორდიალებული ჯარისკაცი მაშინვე ჩაიკეცა და ისევ თავის ბავშვური, სასიამოვნო ხმით იკითხა?

— ჰანს, კაცმა რომ თქვას, რად გვიწვინდა ეს ქალები?

— კლავს, ოჰ, რა ცნობისმოყვარე ბაღლი ხარ!

— არა, ვიცი, ჩვენ საბრძოლო დავალებას ვასრულებთ, მაგრამ, აი რუსეთში სხვაა, თუ ჩვენ არა, გერმანიაში გავგზავნი, აქ კი ტყუილად უნდა დავხოცოთ.

— ომია, ომის დროს ბევრს ვერაფერს გაიგებ, პატარა ბიჭო! უნდა დახუჭო თვალები და რასაც გეტყვიან, გააგეთო. როცა იბრძვი, სისხლი რომ წითელი ფერისაა ვერ უნდა დაინახო. შენ ჯერ პარაშუტით ნტომა ვასწავლეს და ისიც უხეიროდ... მაგრამ მოვეშვათ, მგონი მოდიან...

ხვევიდან ოხვრა და გინება მოისმის.

— ვიარათ! — თქვა შტუტემ და ფეხებთან ჩამჯდარი ჭარისკაცი წამოაყენა. წინ წავიდნენ. კლავსი კვიცივით გაეკიდა. ფლატზე კარლი მოდიოდა და ბუზღუნებდა, უკან უნტეროფიცერი მოსდევდათ და ისე სუნთქავდა, გეგონებოდათ დასტვენა უნდა და თითების პირში ჩადება არ ცოდნიაო.

დაღმართი აღმართზე უფრო აუტანელი გამოდგა. ცხენსა და კაცს ფეხი უცდებოდა. კლავსს მუხლებში წყალი ჩაუდგა და მთლად ჰანისის სათრევი გახდა. ჭარისკაცებს ახსოვდათ, ამ დაღმართების მერე ისევ ციყაბოს უნდა შედგომოდნენ. აქ რომ გზას გაივლი შენს სიცოცხლეში არ დაგავიწყდება, მერე კლდოვანი მთისთვის უნდა მოეკლოთ და ისევ აღმა უნდა ეფორთხათ, და ჯანდაბას, ვინ გაიგებს აქ რამდენი აღმა და დაღმაა. სულ ბოლოს სადღაც გადასაჯარგავში ფრჩხილით და კბილით უნდა აცოცებულაყვენენ იმ მწვერვალზე და მიელწიათ იმ გამოქვამულამდე, სადაც მათი სადესანტო ჯგუფი იყო დაბანაკებული.

თავი მესამე

ახლად ჩამოყალიბებული ნაწილები და შენაერთები სასწრაფოდ გადაის-

როლეს კავკასიონის უღელტეხილს დასაყვავად, სამთო მსროლელთა ედიფიხია და ალბური რაზმებმა (ხემო) სტანკოთის ციყაბო მწვერვალებში განლაგდა და არმიის სარდლად გენერალი ლესელიძე დაინიშნა. დამატებით გაიგზავნა შინაგან საქმეთა მსროლელი ბატალიონი და ჩამოყალიბდა სევანთა მოხალისე რაზმები.

ურმით, მარბილით, ჯორით და ვირით აიხიდა ტყვია-წამალი, საომარი საჭურველი და კავკასიონის უღელტეხილებზე და ხეობებში ოცდაათი ათასამაქათველმა მხედარმა მოიყარა თავი.

გერმანელთა სარდლობამ მალაღმთიან ადგილებში ომისათვის საგანგებოდ გაწვრთნილ სამთო მსროლელ კორპუსს კბილებამდე შეიარაღებული დივიზიები მიაშველა. ზედიზედ რამდენიმე უღელტეხილიც დაიკავეს, მაგრამ ფაშისტური გენერალური შტაბის, კავკასიის დაპყრობის „ედელვაისის“ მრისხანე გეგმა მაინც ჩაიფუშა. უღელტეხილებზე გადაარეკილი რაიხის შიშით დამფრთხალი გერმანელები ღობე-ყორეს მოედნენ. საგანგებოდ გაწვრთნილი სამთო ნაწილები პირქუშ მთებს უშედეგოდ რომ მიაწყვიტეს, მერე სახელდახელო დესანტის ჯგუფები შეაკოწიწეს და მწვერვლების გადმოღმა თვითმფრინავებიდან გადაპყარეს, ვითომ ეს ჯგუფები კავკასიონის დამცველთა ზურგში არეგ-დარეგას, დაბნეულობას შეიტანდა და არარუს მთიელებს მიიმხრობდა.

შიშველ მწვერვალებში, სადაც ხავსიც არ ხარობს, დესანტებს ორი გამოთქვამული ეკირათ, ოთხივე მხრიდან შვეული კლდეებით დაკეული. ამ კლდეებს გადაღმა კაცისაგან ფეხდაუდგმელი თეთრი მყინვარები იდგნენ საიმედო დარაჯად. სამხრეთით, გამოქვამულების წინა შევაკებიდან, ზელისგულივით ჩანდა მალა ამომავალი ბილიცი, რომელიც ეწერო ხეობაში მოძვრებოდა, მაგრამ ამის მეტს აქედან ვეღარას დაინახავდი, როგორც ქვაბში ჩაყრილი თევზები ვერაფერს უყურებს.

ჰანს შტუტეს რომ არ ემარჯვა, დესანტების ნახევარს ვერ იპოვიდნენ, ერთი კაცი მონც დაელუპათ. პარაშუტი არ გაიშალა, თუ გვიან გაიშალა, საცოდავი ახლაც ხევის გაღმა კლდის ქიმზე ჰქილია უმოძრაოდ, მაგრამ უფრო დიდი უბედურება ის იყო, რომ რადიომიმღები და გადამცემი აპარატურა, სურსათისა და ტყვია-წაშლის მარაგი, თვითმფრინავიდან პირველად რომ გადმოჰყარეს, ჭერაც არ ჩანდა. ასეთ დროს ძნელია ყველაფრის გათვალისწინება, მაგრამ რაღაც ნამეტანი უთავბოლოდ მოუვიდათ. ჭერ არც კი ელოდნენ, ისე მოულოდნელად გაჩნდა ბრძანება, მერე მფრინავი მეტისმეტად ღლაპი და ყვეყჩი გამოდგა, ეშმაკსაც წაუღია, დაკალა თვითმფრინავი და თავს უშველა, აწი ვის რას მოჰკითხავ!

გერმანელებისათვის აუცილებელი იყო ვინმე აქაურის ხელში ჩაგდება. უამისოდ გზის გაყვლევა კი არა, მხარეების გაგება ჰქირდა. იმის ფიქრი, რომ სხვა რომელიმე სადესანტო ჯგუფი მოგძებნის, ან შენ გადაეყრები — ტყუილი იმედია. აქ შეიძლება წლობით იყოს თერთმეტი კი არა, ასჯერ თერთმეტი კაცი და მათი არსებობა ვერავინ გაიგოს.

კიდევ იბზალი, რომ შტუტეს წყალობით ისეთ ბუნებრივ სიმაგრეს მიაგნეს, რომ თუ ტყვია-წაშალი და პური არ მიაკლდებოდა, შტუტეს იოლად გაუმკლავდებოდა.

ჯგუფის უფროსს, გერმანელისათვის შეუფერებელი სიმაღლისა და ფერის ობერლეიტენანტი, კინაღამ გული გაუსკდა, რადიომიმღები და გადამცემი აპარატურა ასე უჯზო-უკვლოდ რომ დაკარგა და მთელი გუშინდელი დღე ამოიძებნას გადააყოლა, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს. საღამოს კაპრალს დაავალა ამ ეშმაკის გზებზე გადასვლა-გადმოსვლის პასუხისმგებლობა. ცოცხალი ან მკვდარი, თვით სოფლამდე რომ ჩასულიყვნენ, აქაური ვინმე უნდა ჩაეგდოთ ხელში. რაკი ამ ჯოჯოხეთში ტყვის წამოყვანა გაჭირდებოდა, სამი ჯარისკაცი

გააყოლა. მეთაურად უტეხი და დაუნდობელი ათისთავი შნაიდერტი გაატანა.

ობერლეიტენანტმა იცის, ჰანს შტუტეს იქით გზა არა აქვს, კაპრალი კარგი მთამსვლელია, თორემ ერთ ნაბიჯზე არ ენდობა. ობერლეიტენანტი ყველა მებრძოლისაგან ძაღლის ერთგულებას მოითხოვს. მან ისიც იცის, რომ ათისთავი ჭკუით ვერ დაიკვებნის, გაფრთხილებული ჰყავს, ამ მიუვალ მთებში ტყვია და სახარობელა არ გასჭრის, მომთხოვნის უნდა იყო, მაგრამ ნაპრალის პირას მღვარმა მეთაურმა ისიც უნდა იცოდეს — შეიძლება გვერდით ჩაგვიაროს შენმა ჯარისკაცმა, „შებანდალდეს“ და შენმა ცისფერმა თვალებმა ცა მეტად ველარ იხილოს.

ათისთავი შნაიდერს ის ნიჭი დაამატა მამაზეციერმა, როცა ამქვეყნად მისი მოვლინება ბრძანა, — თავისი არ სცოდნოდა, მაგრამ სხვისი დაეჯერებინა. ღმერთს ეს საიდუმლოდ არ შეუნახავს და შნაიდერი გაფაციცებული იყო, ვინ რას იტყოდა, მარტო უფროსი კი არა — უმცროსიც. შტუტეს იგი რჩევას არ ეკითხებოდა, როგორც დაბალი ჩინის მქონეს, მაგრამ უსმენდა და ეგონა ყველაფერი საიდუმლოდ რჩებოდა, მაგრამ ჰანსი კი არა, კლაუს ბაუმანი ვერ ცხრამეტი წლისაც არაა და ხვდება, რომ ამ ჯოჯოხეთურ ქვეყანაში შტუტეს წონა დიდია. ქვეყანაში, სადაც შუადღითაც ვერ გაივლის გერმანული ეშმაკი.

ჰანსმა კლაუსი ამ ერთი კვირის წინ გაიცნო. რომელიღაც სახელდახელო სადესანტო სკოლიდან გადმოისროლეს. შეეცოდა ეს გამოუცდელი, წრფელი, ლურჯთვალა ბიჭი და რამდენიმე დღეში დაიახლოვა, ალბათ იმიტომ, რომ ამ უმიზნო, უთავბოლო ხოცვა-ყლეტაში საქმე გაიჩინა. მისდა უნებურად ამ სუსტი ბიჭისადმი მამაშვილური სიყვარული გაუჩნდა, იქნებ წინასწარ ხედვითა, რომ ეს გრძნობა მეტად აღარ ეღირსებოდა.

თავი მუხამსი

ინათა.

უნტეროფიცერი ისევ ყველაზე ბოლოს მოდიოდა და მაინც ყვიროდა.

— ჩქარა, თქვე წყევლებო!

სამინლად ციოდა, მაგრამ ჰანსიც კი ოფლად გაიწურა. კლასი ისე დაიქანცა, ცხენის კუდსაც მიწვდა, — აღმართში ამათრევსო, მაგრამ ცხენმა იფიცხა და კინალამ ვადმოაგლო გამოუცდელი მხედარი ქალი. კარლი მისსა და ამ მთების გამჩენს არ აყენებდა ზეცაში, რომელიც ალბათ არც ისე შორს იყო ამ მწვერვლებიდან. ცხენების გამძლოლი მუხლმავარი, ამტანი კაცი ჩანდა. მიდიოდა და მიდიოდა თავდადუნული. ერთგან ღრანტეში კინალამ რომ გადაიჩენა მაშინ ამოვიგინა: — „ვაი მე უბედურსო“. თორემ სხვა დროს ხმა არ ამოუღია. მერე ჭკუა იხმარა, თავის ცხენს აღვირში ჩაჰკიდა ხელი და მას აქეთ აღარ გაუშვია.

კარგად მოთენდა, მაგრამ სიარული კიდევ უფრო გაჰირდა. უკვე ბილიც აღარ ჰგავდა ბილიც. ყოველ ნაბიჯზე ფეხქვეშ ჰქა გორდებოდა. დაიწყო კოცაბოები და ისე საშიშრად დაალო პირი უფსკრულებმა, ჰანსცაწყვეტილები წინ ძლივს მილასლასებდნენ.

შტუტე სახიფათო გადასასვლელებზე შეჩერდებოდა, ბაუმანს ხელს მიაშველებდა და მერე ორივე ერთად მისდევდნენ ცხენებს.

— ჰანს!

— რა გინდა. ბიჭო, კიდევ გაქვს ლაპარაკის თავი?

— არა, მაგრამ მეციანება...

— იცინე მერე, აქ ახლა შენისთანა რძემეუშრობელი თუ დადგება სიცილის გუნებაზე.

— მისმინე. ჰანს, რაზე მეციანება, იცი? დედაჩემი თუ სწუხს... ჩვენთან ჭერ გათენებული არ იქნება ხომ?

— არა.

— ჰოდა, დედაჩემს ალბათ გაეღვიძა და დარდობს: ვაი თუ ჩემს ბიჭს საბანი გადაეძრაო.

— არ იცის დრონტზე რომ გამოგვანენს?

— მივწერე, მაგრამ რა, იცინის, იმეოთი რომ გადაბრუნდე, მერე სულ თბილად იქნები...

— ჰო, მერე აღარ შეგცივდება.

ერთხანს ისევ გაჩუმდნენ.

— ჰანს! — ახლა რაღა ნახე სასაცილო?

— აგერ, — გუცას მიათითა, — ამ ქალებზე მეციანება, — თუ ჰგონიათ მოვიტაცეთ და ახლა მონასტერში მიიყვანთ ჯვარსაწერად.

გუცამ მოიხედა და ახლადიარებულმბლულ ჯარისკაცს თვალი ზიზღით მიაშტერა.

— ჰანს! — იყვირა ბაუმანმა.

ქალმა თავი მიაბრუნა.

— ჰა, ჰა, ჰა, — გერმანული სკოდნია.

შტუტესაც გაეცინა.

— აბა რატომ მაინც და მაინც მაშინ მოიხედა, თანაც ისეთი თვალით...

— იქნებ ალერსიან მხერას ელოდი?

— არა, მაგრამ ისე კარგი თვალები აქვს, აჰ, რას იტყვი... აუჰ, რა დავიღალეთ!

უკან ყვირილი მოისმა, მერე ვინება.

— კარლია, რა აყვირებს?

— რა ვიცი, რაღა არ აყვირებს!

— მიშველეთ! — აღრიალდა ახლა უნტეროფიცერი.

— კლას, აქ მოიცადე!

შტუტე უკან გაბრუნდა.

ბაუმანი გაოფლიანებულ ცხენებთან ახლოს მივიდა. ზურგზე მოგდებული ავტომობილი წინ გადმოიტანა და კლდეს მიეყრდნო.

— დანიელ, — გაესაუბრა აღვირში ჩაფრენილ ჯარისკაცს, — შენ მორწმუნე კაცი ხარ და მითხარი, ამ ქალებს რომ მიუძღვები და მიგყავს, ღმერთს რა პასუხს აძლევ, სასუფეველში კარებს რომ გავიღებს — მობრძანდი, ჩემო ერთგულო დანიელო!

ხანშიშესულმა ჯარისკაცმა თავი გადააქნია და ცას ახედა.

— შენ ზომ გყავს შვილები?

— კი.

— ჰგონი, ოთხი ქალიშვილი.

დანიელმა ისევ ცას შეხედა.

ფეხს ხმა მოისმა, შტუტე დაბრუნდა.

— რა მოხდა ჰანს?

— არაფერი, შნაიდერი ჩავარდნილა.

— ცოცხალია?

— რა მოკლავს, ხელი გადაუჭრია ქვის ქიმზე, არაფერი უჭირს.

— ჩქარა იარეთ! — მოისმა უკან.

— ხმაზე ვერცხობა... — თქვა კლაუსმა და ავტომატი ისევ ზურგზე გადაიღო. დანიელმა თავი დახარა და ცხენს გაუძღვა.

მზე მალე იყო წამოსული. ბანაკიდან ხუთ ვაგზავნილ ჯარისკაცში ორი ცხენოსანიც შენიშნეს. ობერლეიტენანტი, ისე რომ ქვეშევრდომებს არ დაენახა, უღვაშებში ჩაიღიმა და გაიფიქრა: ყველაზე ავაწყობ საქმეს, ხანამ თავი მხრებზე მადვას, ხშირად ბედი არ მწყალობს, მაგრამ ჭკუას არ ვემდური. ყოველ შემთხვევაში ბედნიერი სულელის არ შემშურება.

ორჯერ დაკარგა ობერლეიტენანტი ჩინის მომატების შანსი და ამ ბოლო დროს ბედზე აღრენილი იყო. ორჯერვე მისი მოგებული ბრძოლით უფროსები დაწინაურდნენ, თვითონ კი ობერლეიტენანტის ჩინს და ჯილდოდ ჯვარს ძლივს ეღირსა. მერე საგანგებოდ გაწვრთნილ სამთო მსროლელ კორპუსში ჩარიცხეს, მაგრამ აქ სულ არ გაუმართლა. ბასას ციცაბო უღელტეხილზე პირველად მისმა მებრძოლებმა შედგეს ფეხი და ეს ალბათ აღარ დაიმალებოდა, ერთ დღით... ნეტავ არ გათენებულყო ის დღია, მაქსის დაცვის ზოლში ისე შემოიპარნენ აქაური ჯარისკაცები, ტყვია არც გაუსვრიათ. კონდახებით დაუხეთქეს თავები საგანგებოდ გაწვრთნილ მებრძოლებს და ობერლეიტენანტს ახლაც სიზმარი ჰგონია, რა სასწაულით გადარჩა თუნდაც ამ ერთი ათეულით. ახლა კიდევ აიღეს და აგერ, ამ მწვერვალებში გადმოაგდეს, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, მაქსს

მაინც აქ ურჩევნია, რაც არ უნდა იყოს ბატონიც თვითონაა და ბატონიც, დეურერისადმი მისი ერთგულება იქნება აქ მაინც გამოჩნდეს.

კინალამ ტყვია იკრა შუბლში, ის ჯარისკაცი დესანტის გადმოსხმისას რომ უმიზნოდ დაკარგა ამ ჯოჯობეთში. ადრე ასობით მებრძოლი დაბოცვია, მაგრამ იქ სხვა იყო, ახალი შევსება მოდიოდა. აქ კი, შევსება ცას უნდა თხოვო. ახლა ეს ჯარისკაცები მისი არმიაა. თერთმეტი კაცი თერთმეტ დავიზიას უდრის მისთვის და ობერლეიტენანტიც თვითონაა და ფელდმარშალიც. ასეთ დროს ერთი კაცის დაკარგვაც ომის სანახევროდ წაგებას ნიშნავს. ბედი არ სწყალობდა მაქსს, ბედი, რომელმაც დედამისი მამამისს გააყარა, მის ცოლს სხვა შეაყვარა და მასაც ორჯერ დაწინაურების შანსი წაართვა. ობერლეიტენანტი და ბედი ყოველთვის ასე მტრულად იყვნენ, მაგრამ ფარხმალი არცერთს არ დაუყრია. აგერ ორი ტყვე მოპყავთ ცხენებით, ეს ობერლეიტენანტ მაქსის გამარჯვებაა. რას იხამ, ახლა მაქსია ზევით და ბედი უთუოდ ახალ ფანჯზე ფიქრობს.

— ჰამპელ!

კნოპი გაიქიმა მეთაურის წინ და რადგან თავი უკან ჰქონდა გადაწეული, მასზე ბევრად დაბალ უფროსს ვერ ხედავდა.

— ვისმენთ, ობერლეიტენანტო!

— შეხვდი და დააჩქარე!...

— არის!

კნოპი შეტრიალდა.

— ცხენები წყაროსთან დატოვონ, ტყვეები ახლავე აქ ამოიყვანეთ. დრო, დრო ძვირფასია!

— არის!

ჰამპელი სირბილით აპირებდა გამოქვაბულის წინა მოედნიდან ბილიკზე ჩასვლას, უნდოდა მეთაურს დაენახა, რა ჯარისკაცს არ მისცა კაპრალიბა და შტუტე დაწინაურა, რომელიც უფროსის ბრძანებას ცალი ყურით ისმენს.

მაქსს გაეცინა, როცა მაღალი კნოპის ბილიკზე ჯერ მოიკაცა, მერე ბე-

ლები მოიშველა და წყაროსაკენ ფორ-
თხვით ჩაუყვა. ობერლეიტენანტი იც-
ოდა ვისთვის რა მიეცა. პანსის გულის
მოგება იყო საჭირო, თორემ კნოპსი
ამ ბილიქს კი არ ჩაყვებოდა, პირდაპირ
თავით გადაეშვებოდა თუ მეთაური
ბრძანებდა. მაქსი წინდახედულებას
იჩენდა, როცა ჰამპელს თავიდან არ იშ-
ორებდა. იგი არავის არ უყვარდა და ამ
ჯოჯობეთის გზებზე შეიძლება კნოპსის
კოცას წყალი ყოველთვის ვერ მოეტანა.
სიმართლე რომ ითქვას, გულზე არც
ობერლეიტენანტს ეხატებოდა იგი, მაგ-
რამ მაქსი გრძნობების ამჟღავნებელი
არ იყო. ჰამპელი და უნტეროფიცერი
შნაიდერი მისთვის პური და წყალი
იყო.

კნოპსი რომ წყაროსთან ჩაფორ-
თხდა, ქვევიდან მომავალნიც მოახლოვ-
დნენ. ჰამპელმა ხელი მოიხრდილა,
ფუმცა მზე უკვე ღრუბლებს იყო მო-
ფარებული, მერე წინ წაიწია, დანიელ-
თან მიიბრინა, გამოელაპარაკა და უკან
კისრისტებით გამოიქცა.

ობერლეიტენანტი მიხვდა, რომ რა-
ღაც უჩვეულო მოხდა, მაგრამ რა?
ტყვეები, ტყვეები არ იყო?..

კნოპსი დაოთხილი ამობოდა ცი-
ცაბო ბილიქზე.

აქედან მაქსი წავიდა და მალა ამო-
სულს წინ შეეფეთა.

— ობერლეიტენანტი! — წამოღგომა
და ხელის ალება დააპირა ჰამპელმა, მა-
გრამ დაბარბაცდა და ისევ კლდეს მო-
ებლაუჭა, — ტყვეები ქალებია.

- რა თქვი?
- ტყვეები... — სული მოითქვა.
- ხმა ამოიღე!
- ტყვეები ქალებია.
- როგორ თუ ქალები?
- ორივე ქალია.
- ამ წუთში აქ ამორეკეთ! და... —

— უკან გამობრუნდა, — ეშმაკმა წა-
გილოთ, ქალები, ვის რად უნდა აქ ქა-
ლები... არაა ახლა აქ ქალების დრო...
მე აქაური კაცი მჭირდება, რომელმაც
ხუთი თითივით იცის რამდენი კენჭია ამ
უფსკრულებში.

— ჩამოყარეთ! — თუხუხებდნენ ქვე-
ვით უნტეროფიცერი და ქალებს უჩაბ-
დებს გლეჯდა.

თავი ცოცხალი თავით ჩამოსვლას არ
აპირებდა და ფეხიც კი გაუქნია ათის-
თავს.

ათისთავს ცოფი მოერია, ყველაფერ
ამას ობერლეიტენანტი უყურებსო...
თავის წვივი ეცა და უნაგირიდან გა-
დმოათრია. თავიმ მეორე ფეხი უზან-
გიდან გამოიღო, არ უდარდია ქვალ-
რღზე როგორ დაეცემოდა და სახეში
ფრხილებით ეცა მოძალადეს. შნაი-
დერს საშინელმა ტყვიელმა თავგზა აუ-
ბნია, წონასწორობა დაკარგა, წაიქცა
და ცხენიდან გადმოვარდნილი ტყვე
ზედ დაეცა.

თავიმ დაცემისას ხელის მტევანი
ქვას დაატყა და მაჯა იღრბო.

უნტეროფიცერის ქული ქვევით გა-
გორდა, თავგატეხილი ათისთავი კარ-
ლმა წამოაყენა.

შნაიდერმა ხელი რევოლვერზე იტა-
ცა და ალბათ მიწაზე გართმულ გო-
გონას იქვე სულს გააფრთხოებინებდა,
მაგრამ შტუტემ ზევიდან გადმომდგარი
ობერლეიტენანტი დაანახვა, იქიდან
რომ სვავის ტოლა ჩანდა.

უნტეროფიცერმა ახლა გუცა დაინა-
ხა ცხენიდან ჩამოუსვლელი. ჭკუა კი-
ნადამ დაკარგა. პანსი ახლაც წინ გა-
დაეღობა და კლაუსს თვალით ანიშნა,
ქალი ცხენიდან ჩამოსვლა.

ბაუმანი მივარდა და წელზე ხელის
მოვლება დაუპირა ჩამოსაყვანად, მაგ-
რამ ტყვე არ დანებდა და სუსტ დაღ-
ლილ ბიჭს გაუჭირდა ქალის უნაგირი-
დან აგლეჯა.

— ჩამოდი, ფროილიან, თორემ უნ-
ტეროფიცერი რევერანსს გაგიკეთებს,
— ჩაილაპარაკა კლაუსმა, რომ შნაი-
დერს არ გაეგონა.

გუცამ თვითონ დააპირა ჩამოჭევი-
თება.

— ამ ქალმა გერმანული ისევე კარ-
გად იცის, როგორც ჩემმა ენის მასწა-
ვლებელმა, — წაცდა ბიჭს.

გუცას ფეხი ჩამოუცდა უზანგიდან

და ისიც თავის გვერდით დაენარცხებოდა, ბუნებრივად რომ არ მიშველებოდა. ქალს ხელი თემოებზე მოხვია, მაგრამ მაშინვე მოეშვა, როგორც კი ჩამოქვეითებული ფეხზე დადგა.

— ფროილან, მე არ დაგამადლით ამ საშახტურს.

ქარლი დაიხარა, პირქვე დამხოვილ თავის თმებში ხელი დააელო და წამოაყენა. გუცა ხელეზში ეცა გერმანელს და ბოროტად თვალუბდაცეცებულ გოგო ხელიდან გამოგლიჯა. შნაიდერმა ტყვეებს მუჭლუგუნნი ჰკრა და წინ გაიგდო.

ბედზე აღრენილი ობერლეიტენანტი მაქსი გამოქვეითების წინა შევაკებაზე ცოფმოორეული ბოლოს სცემდა.

თავი მუხვიძა

მდინარესთან მოდარებული ადგილი მოძებნეს და დაჭრილი წყლის პირას დაუშვეს. საყელო შეუხსნეს და ჭრილობა მობანეს. ტყვია მკერდში მოხვედროდა და უკან ზეგის ძვალი გაემტრია. მკლავი ალბათ გადმოვარდნიხას ჰქონდა მომსხვრეული. სისხლდაქარგულს სახეზე მკედრის მოყვითალო-მოლურჯო ფერი ედო. ქამარი შეხსნეს, რომელზეც ტყვიებით სავსე ორი სავაზნე და ხელუშვარები ეკიდა.

ცივმა წყალმა და დილის სიგრილემ გონება დაუბრუნა მომავლადეს და თვალი გაახილა.

— სიოშ! — ჩასძახეს ბიჭებმა.

დაჭრილი დიდხანს დაჟინებით უცქერდა ჯერ ერთს, მერე მეორეს, ბოლოს რაღაცის თქმა დააპირა.

— სიოშ!

მდინარეს ლოდებში გზის გაკვლევა უჭირდა და ხეირიანად არაფერი ისმოდა.

— წყალი! — მშრალად ამოიგმინა ბოლოს სიოშმა, მაგრამ ეს ერთი სიტყვაც ძიარად დაუქდა. დიდხანს მეტი ვერაფერი თქვა და თვალუბიცი სივრცეს მარტყრებული დაურჩა.

ვახომ ქულზე იტაცა ხელი, მაგრამ

არ მოუხდია. წყალი დაჭრილისათვის საწამლაგია. ეს ბიჭებმა კარგად იცოდნენ.

უკვე მზე ამოდოდა და შორს დევის ხევში, სროლის ხმა არ წყდებოდა. თვითმფრინავების გუგუნნი და აფეთქების ყრუ გრუხუნნი ისევ მოჰქონდათ ხევებს.

დაჭრილს პირიდან სისხლი წამოუვიდა და გონება დაკარგა. თუთარმა მომავლადეს სახე აარიდა. თვალუბზე ცრემლი მოაწვა. ასე ემართებოდა, როცა გამოსავალს ვერ პოულობდა, მერე თავის თავზე ბრახობდა, რომ გოგოსავით ტიროდა და კიდევ უფრო უსივდებოდა გული.

— ჰმ, ატირდა ახლა... ჩაილაპარაკა ვახომ და უკან დაიწია — ჩააბარა ბაბუამ თოფი...

— მე შენ ენას ამოვავლევ! ცრემლით ავსებული თვალეები შეანათა თუთარმა.

— კი იხამ, მაგრამ მერე იმისთვის იტირებ, რომ ენა ამომგლიჯე!

— მაგრამ როცა კაცი კვდება, ვინმემ ხომ უნდა უშველოს, ასეთი გიყი ვინმეს უნახავს?

— მაგას გუა უშველის...

— რა თქვი? — შეაწყვეტინა თუთარმა და ფეხზე წამოვარდა.

— გუა! — გაიმეორა ვახომ და თავმოსაწყლებით ჩაბურტყუნა — მაგრამ მე ხომ სულელი ვარ...

— რა გელაპარაკო, — თუთარი დაჭრილის ფეხებთან ლოდზე ჩამოჯდა, ვახო მართალი იყო.

ვახომ წინ წამოიწია, დაუდასტურა.

— პო შტერი ვარ, მაგრამ ვიცი ჩვენ უკან ვერ დავბრუნდებით. შენ კი სტირი, მშოშარა მაინც იყო... არ ვინდა ტირილი და ტირი.

— შენ იცი რომ არსად წასასვლელი არ გვაქვს და არ ტირი...

— ეს როგორ არ ვიცი, აგერ კაცი ხელში გვაკვდება, ესეც ვიცი... მაგრამ ჩვენ რას ვუშველით.

თუთარმა სახელოთი ცრემლები მო-

იწმინდა, მოტრიალდა და ბიძაშვილს მხსნელივით შეხვდა.

— შე მართლა მტერო, შე მართლა... ისევ ცრემლებმა მოუსწრო და თავის თავზე გამწარდა — შე შენზე მეტი სულელი ვარ თუ სიმართლე გინდა.

წუხანდელი სამარცხვინო გამოქცევის შემდეგ, როცა ქალები მტერს მიუტოვეს, თუთარისათვის სოფელი ისე შორეული გახდა, თავისიანებზე ფიქრის ნებაც კი არ ჰქონდა და ვერაფრით ვერ მოისაზრა, რომ იქ იყვნენ ადამიანები. რომლებიც ხელს გამოუწვდიდნენ.

გუა თათარყან გაბულდანის შვილი-შვილი იყო, ვახოზე ცოტათი უფროსი. გვარლიანების ბიჭებს ცხენების დაჭერა ნდომოდათ. ცხენი ღიღინის გამშვებელი ჰყოლოდათ, გაველურებულიყო და ვერაფრით ხელში ჩაგდება ვერ მოეხერხებოდათ, ბოლოს მთელი რემა ხევის პირას მიემწყვდიათ. დამფრთხალიყო, თუ ხეირიანად არავინ იცოდა, თათარყან გაბულდანის ჩერქეზული ხეში გადაჩეხილიყო. მაშინვე რომ ეთქვათ, იქნებ ამდენი დავისა და უსიამოვნების მიზეზი არ გამხდარიყო, მაგრამ დროზე არ გაუმხელიათ. გვარლიანებთან კვიციანების უგერგილო ბიჭი ჩეფეც ყოფილა. ჩეფე დაუნამუსებიათ და მაშინ კრინტიც არ დაუძრავს. ორიოდ თვის შემდეგ ბიჭები ერთმანეთში წაყინვლავებულან და ჩეფეს თვით თათარყანთან წამოუყრანტალებია: ასე და ასე გვარლიანებმა შენი ცხენი გადააგდესო. ერთი ვაიჟშველებელი ამტყდარა. გუას ბაბუას თათარყანს წორი¹ მოუთხოვია. შედიატორეებს ხუთი ცხენის საფასური დაუღვიათ გვარლიანებისათვის გადასახდელად. გუას მამა, ბეთქილი ორს დაჭერებია. ამაზე თათარყანი ვანრისხებია და ისე მოკვდა, ომის წინა წელიწადს, შვილისათვის ხმა არ გაუცია. უწლოვანი შვილისშვილისათვის უსწავლებია იმ ბალახების საუკუნოვანი საიდუმლო, რომლებიც სვანეთში ქრილობის უებარ წამლად ითვლება.

¹ წორი — ზარალის ანაზღაურება.

თათარყანი გუას ბავშვობიდანვე იარაღის ხმარებას და თოფის სტოლვასაც აჩვევდა.

მამას ბიჭი დარიგებული ჰყავდა, ბაბუასათვის ყველაფერი უსიტყვოდ დაეჭრებინა, თორემ შვილზე გულაყრილ ბერიკაცისათვის რომ შვილიშვილსაც წინააღმდეგობა გაეწია — ოჯახს ცეცხლს მისცემდა.

ეს ყველაფერი იცოდნენ ბიჭებმა. ისიც იცოდნენ: სიოშ გაბულდანი თათარყანის გვარისა იყო და მის სისხლს გუა მტერს ვერ შეარჩენდა.

— შე რაიმე რომ მეკითხებოდეს, ვიტყვი, სანამდე ვიდგეთ აქ?

ზარი მანც გვეთქვა... — აწრიალდა ვახო და თვალი ცხენისაკენ გაქცა.

ულაყი შორეულ გრუხუნის გაგონებაზე გახვრეტულ ყურს ატოკებდა და წინა ფეხით მთიდან ჩამონამულ ღორღში ბალახს ტორავდა.

— წავალ — მოულოდნელად და გადაჭრით თქვა ბიჭმა.

— ჰკუის კოლოფი! — წამოიძახა თუთარმა — სად წახვალ!

— არსად, არსად! — იუარა ვახომ და სადაც იდგა, იქვე ჩაქდა. დავებდები აქ და ვირტყამ თავში ხელს — მუშტი მოიღერა და სვანურ ქულზე ძალუმად დაიბრაგუნა.

ვახომ ძმას შიში შეატყო. ვაი თუ ღრთხილად ვერ შეპარულიყო სოფელში და გუას ძებნისას თავი გაეცა. სოფელში მის ხელცარიელ გამოჩენას მკვდარი ჩეტანათ ჯობდა.

სიოშის სისხლი შერჩა მტერს. ეს კიდევ არაფერი. იმავე მოსისხლეს ჩააბარეს ქალები და თვითონ უბრალო ქრილობაც კი არა აქვთ.

და ახლა სოფელ-ქვეყანაში მათი გამოჩენა...

ვაი სიკვდილო!...

სიკვდილიცაა და სიკვდილიც... მათ ახლა ვერც სიკვდილი იხსნიდათ. თქმულებებსა და ზღაპრებშიც არ გაუგონიათ ისეთი თავლაფდასხმა. მათი გვაროვანობა დღეს ჩამორეცხავს ამ ხორცხვილს.

— თუთარ, — დაჯერებით თქვა ვახომ, ვერავეინ დამინახავს, მიწაში ჩავძვრები.

ბიჭი გაიქცა. უნაგირის ტახტაზე ჩამობმული ლაგამი ახსნა და ცხენს მოეცლო. სადაც მთუშვა და ქუსლი ჰკრა. ბედაური უფეროდ მოწყდა ადგილს, წაიფორხილა და კინალამ გადმოავდო მზედარი.

— ვახო! — მიაყვირა თუთარმა, — ფრთხილად, შე გამოთავყვანებულო!

სხვა დროს ბიჭი გაქანებული ცხენიდან რომ გადმოვარდნილიყო ისე არ შეაფრთხებდა, როგორც ახლა ცხენის წაფორხილებამ შეაშინა. მათ სიკვდილით ბევრი რამ უნდა გამოესყიდათ, სიცოცხლე ახლა ნამეტანი ძვირად ფასობდა.

თავი მარტი

იმ საბედისწერო ზაფხულს თუთარს თექვსმეტი წელი შეუსრულდა. თექვსმეტი წელი ცოტა არაა, ვისაც პატარაობიდანვე ცხენისა და ხარის ხედნას ასწავლიან, ცელსა და იარაღს აჩვევენ. მთაში კი სხვანაირად არ შეიძლება ცხოვრება.

თუთარი მაშინ პატარა იყო, თავი სულ პატარა, როცა მათი დედა გადაბრუნებულმა თივიანმა მარხილმა დაიტანა. ობლები ქერივი მამისა და ჯანმოკლებული ბაბუას ამარა დარჩნენ. მამა ზამთრობით ბარში მიდიოდა ბარზე სამუშაოდ. ბავშვები უმეტესად მოხუცთან რჩებოდნენ. ბაბუა ბესლანი, მთის კანონების შეუბღალავი დამცველი, თავის დროზე კარგი ცხენოსანი და იმ ახლომახლო განთქმული მონადირე ყოფილა. ფიცხი და გულამაყი იყო, მაგრამ თუ თავკაცად დაასახელებდნენ, სიმართლეს მოსისხარ მტერს არ დაუკარგავდა.

ომი რომ დაიწყო, მამა ჯარში გაიწვიეს, მაშინ ბევრი წაიყვანეს: ვახოს უფროსი ძმები, სხვა მოზობაშვილები, გუას მამა, სიოში და ვინ მოთვლის... თუთარს მაინც ყველაზე უფრო ახსოვს

გერგილ ნანსყანმა რომ მათთან იქნებოდა თავი და აბი ერთად აღდგურძელდა, თავიმ არ მოუსმინა და სუფრადიქცე იქცა. ბაბუა ბესლამს ეწყინა, მაგრამ გერგილმა დაამშვიდა: — არაფერია, დრო იქნება თავისი ფეხით მოვაო. თუთარს მას აქეთ აბისათვის თვალბეში არ შეუხედავს.

თავი აკვნიდანვე დანიშნული იყო აბიზე, მაგრამ აღრე უფროსები ბავშვებთან ამხე არ ლაბარაკობდნენ, ომში მიმავალმა გერგილმა კი სადღეგრძელოში ყველაფერი დაფქვა და თუთარს აბიზე გული მოუვიდა.

აბი ძმის დასანახავად დანიშნულს ერიდებოდა, მაგრამ სხვა დროს გოგონს აზრდილივით დასდევდა. ჯიუტმა, თავნება თავიმაყ შეიძულა აბი. დასცინოდა და ეკინკლავებოდა... ბაღობიდანვე ნაადრევი, შეუცნობელი სიყვარულით გაჯიუტებულ ბიჭს სისხლი ემღვრებოდა, მაგრამ ყოველთვის უთმობდა და მაინც მის სიახლოვეს ტრიალებდა, ან ღობე-ყორეს მოფარებულ უთვალთვალებდა და ვინმეს რომ რამე გაეხებდა, თუ იქ თუთარი არ იყო, მაშინვე წაესარჩლებოდა.

თუთარმა ყველაფერი იცოდა და ახლაც ეს აფიქრებდა. აბი მაშინვე გაიგებდა თავის დაკარგვას და ატყობებულად ძებნას დაუწყებდა. ვახო სოფელში ისე როგორ უნდა შეპართლიყო, რომ აბის თვალბეშს დაშავებდა. ამხე ვახოს წასვლამდეც ფიქრობდა, მაგრამ ვერ თქვა. თუთარი სხვასთან აბიზე სიტყვის ჩამოგდებას ყოველთვის ერიდებოდა.

დაქრილმა ამოიხროტინა.

ბიჭი სახეში ჩააჩერდა. სიოში ხიხინებდა. ჩალურჯებულ ტუჩებზე სისხლი მოდგომოდა. მარჯვენა ხელის თითები გამავეებოდა და შეშუპებოდა.

— სიოშ, სიოშ! — ჩასძახა შეშინებულმა თუთარმა და შეანძრია. მერე ჯიბეში ნარმის ცხვირსახოცი უპოვა, მაგრად გარეცხა მდინარეში, წყლიანი წამოიღო და პირი მოწმინდა.

ვახოს რაც არ უნდა ჩქარა ეცლო.

აქეთ-იქით ნახევარი დღის გზა მინც ჰქონდა. მერედა გუას ნახვას მაშინვე მოახერხებდა?

ვინმეს თვალი რომ მოეკრა, ხომ დაკარგავდნენ ჰქუას, ჭალები ვის დაუტოვეთო.

გუცა?..

გუცა — უცხო ენის ლამაზი მასწავლებელი.

გუცა ერთი წელიც არაა, რაც მათ ოჯახში ცხოვრობს. საბჭოს თავმჯდომარემ საგანგებოდ ბესლანის ოჯახი შეუჩინია. მის სახლში დამეგათუელს სოფელში ძალიან ვერ შეჰყვარესო და თუთარმა ვერმანელებს დაუტოვა, დაუტოვა და თვითონ თავს უშველა.

არა, არა, თუთარი მოკვდებოდა და ამას არ ჩაიდნენ. ყველაფერში სიომია დამნაშავე.

თუთარის ბრალია, რომ დაუჭერა.

სულთმობრძავეს ჩაახერხა.

— რატომ, რატომ ჰქენი, სიომ!

სიომს არ ესმოდა მისი საყვედური, მართო მობალახე ცხენმა ცქიტი აურები და მოიხედა.

ბიჭი შურით უყურებდა გონიხდღის. მას უკვე აღარაფერზე პასუხი არ მოეტხოვებოდა. იგი ახლა ყველასთან მართალი იყო.

უნდა მიატოვოს დაჭრილი და გაიქცეს, დაედევნოს გერმანელებს. დაეწევა. ის ბალოკი საჭიხვეებზე მიდის, საჭიხვეებს იქით კი გზა არაა.

უნდა წავიდეს, ახლაც უნდა წავიდეს, დაეწიოს და შეაკლას თავი! მერე თუთარიც მართალი იქნება. მერე აღარც თუთარს მოეკითხება პასუხი... ვაბო?

ვაბო უმცროსია. ყველაზე მეტი დანაშაული მინც თუთარს ეკისრება, ახლაც უნდა წავიდეს და პასუხი აგოს, აგერ სიომის ტყვეები წაიღოს და სადღაც ხევში გადაადგებულ კარაბინი მოქებნოს, სანამ დროა, სანამ შეიძლება მტრის კვალს კიდევ მიაგნოს და თუ ერთი მოსიხსლე მინც გაიძლოლა წინ, ხომ კარგი, თუ არა და ერთ ტყვიას მისთვისაც ნუ დაიშურებენ.

ტირლი მოერია.

დაჭრილს კისერთან დღელი შეუკრა, ზედ თავისი გახუნებულ და გაქმნილი ჯუბა გადაადგარა და ახლუქუნებულ უნაგირზე მოექცა. ცხენმა მაშინვე იგრძნო პატრონის სურვილი და აღმართს ქენებით შეუყვია.

• • •

თუთარმა ლულახზიანი თოფი უნაგირის ტახტაზე ჩამოკიდა და ბილიკიდან ქვევით ჩაეურდა...

კარაბინი ლულითა და კონდახით გახიდულყო ლოდებში, როცა ხელში აიღო, გულმა არ მოუთმინა, ბეჭზე მიიღო და სამიხნეს გახედა ისე, რომ ჩამახისათვის თითი არ მიუკარებია. მერე საეკტი გახსნა. შიგ ხუთი ვახნა იღო. თოფს ტყვია პირში მისცა და ლულაზე სახელო გადაუსვა, მტვერი მოაცილა.

მალა რომ ამოფოფხდა, ბილიკზე ჩამოვდა ცხენის ფეხებთან. თოფი მუხლებზე დაიღო, სული მოითქვა. ახლა დაჭრილის ბედი აღარ აწუხებდა. იგი ახლა აღრენილიც კი იყო ამ ქარისკაცზე. უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ის მათ ოჯახში გამოჩნდა, წამოვიდა და ისეთ გზას დაადგა, სადაც გერმანელები ყოფილან. ბოლოს ბიჭები თავიდან მოიცილა და თვითონაც ვერაფერს გახდა.

წამოდგა, უხანგში ფეხი გაუყარა და ცხენზე გადაჯდა. თავისი თოფი მხარულიც გადაიკიდა, კარაბინი ხელში დაიჭირა და ლაგამი მიუშვა. ბიჭს თვალი ოთხივე მხარეს ეჭირა და სმენად იყო გადაქცეული. უღელტეხილიდან გრუბუნნი აღარ ისმოდა.

ხევგალმა მთიდან სვავი გადმოფრინდა და ქვასავით დაეშვა.

მხედარი შეჩერდა. შავი ფრთოსნები ლეშს წაწყდომოდნენ და გარს უვლიდნენ.

— დახოცეს! — აღმოხდა ბიჭს და სისხლი გაეყინა. თვალებზე ბინდი გადაეფარა.

მალა რომ ავიდა, ხევისკენ ჩამოკ-

ყვა და უფსკრულს ჩახედა. ქვევით, ჩამონახალ ქვებსა და ლოდებში ცხენის ლეში ეგლო და სვაეების გუნდი ეხვია.

— სიოშის ცხენი გადაჩენილა! — თქვა ბიჭმა. იქაურობას გაეცალა და იმ მხარეზე მეტი აღარც მიუხედავს.

იქ, სადაც ბილიკი ორად იყოფოდა, შეჩერდა. მალე იპოვა ცხენების ნაკვალევი. ტყვეები მწვერვალებისაკენ წაყვანათ. ბიჭმა ბილიკს თვალი გააყოლა. ამ გზაზე ორი ცხენოსანი ერთმანეთს გვერდს ვერ აუქცევს. ერთმანეთზე სამტროდ წამოსული ორი კაციდან უკან ერთი უნდა დაბრუნდეს. ეს ერთადერთი ბილიკი შორს არ მიდის, წინ თუ მტერია, როგორც კი ზედ ფეხს შედგამ ბრძოლას იწყებ. ამ გზას არ უნდა დაადგე, თუ დაადექი, უკან ვერ დაბრუნდები ან გამარჯვებული დაბრუნდები.

ბიჭს ბევრი არ უყოყმანია. კარაბინი ფეხზე შეაყენა, ცხენს ქუსლი ჰკრა და ბილიკზე ჰენებით შევიდა.

თავი მესამე

ობერლეიტენანტი ლოდივით უძრავად იდგა, გამოქვამულის წინ აღარებულ ბრეზენტთან კნობს ჰამპელი რომ გამოეჭიმა და აღრე ნათქვამი ისევ დაადასტურა.

— ჰერ ობერლეიტენანტ, ქალებია! მაქსმა არაფერი უთხრა. კნობსი მიხვდა: იქაურობას უნდა ვასცლოდა. გაიძურწა, ოთხიოდ ნაბიჯი გადადგა და მერე, მომცრო გამოქვამულთან აიტუზა, სადაც ორი ჯარისკაცი სპირტის ალზე კონსერვს ათბობდა.

ქალებიაო რომ გაიგონეს, ჯარისკაცებმა საქმეს თავი ანებეს და ჰამპელს გვერდით ამოუდგნენ, ორმა ბრეზენტის იქიდან ამოაყო ნამძინარევი თავი. სახედაკაწრული, თავგატეხილი უნტეროფიცერი მოედანზე ამოიჭრა და მეთაურის წინ დაესო.

მაქსმა თითი მოწყვეტით გაიქნია. შნაიდერი გვერდზე გადგა, მაგრამ ხელი არ ჩამოუშვია, რითაც აგრძნობინა, განუკითხავად ნუ განმსჯიო.

ობერლეიტენანტმა მოსმენა შეინდარ მოისურვა.

ქალებს ბაუმანი მოუფლდნენ, შტუტე მოყვებოდა. თავის ნახევარ სახეზე ცეცხლი ეკიდა. გზად უნტეროფიცერს სილა გაეწნა. გუცა ბილიკზე სანახევროდ ფორთხვით ამოვიდა და ხელუბი სულ დასისხლიანებული ჰქონდა, გამოქვამულთან რომ ააღწია.

ობერლეიტენანტი თვალებს არ უჩერებდა, როცა ეს გაცრეცილი, მეოცნებე ქალიშვილი და ამღვრეული, სახეაღწეილი გოგონა წინ დაუყენეს. ჯერ ტყვეებს უყურა თვალმოუცილებლად, მერე საითთაოდ შეათვალეირა ხუთივე ამ ჭგუფის მონაწილე ჯარისკაცი, ბოლოს შორეულ გრუხუნს მიუხედო უკრი.

— ყორნები აქ შიმშილით არ კვდებიან...

ხმა არავის ვაუღია. მაქსის ირონია რისხეას ნიშნავდა, ეს ყველამ კარგად იცოდა.

— ან იქნებ ფიურერმა აქ იმისათვის გამოგზავნათ, გერმანელი ქალების აღერსი მოზებრებული გეგნებით და კავკასიელი მთის ასულების გემოც იცოდეთო?

გუცამ ზიზლით შეხედა გერმანელის ფართო მხრებზე დაკოსებულ მრგვალ სახეს.

— თქვენთვის მოგიტაცებიათ, — გესლიანად თქვა მეთაურმა, — მე არ მოვეწონე.

— ჰანს, — გადაულაპარაკა კლაუსმა, — დაინახე?

შტუტემ თვალთ ანიშნა, დაჩუმდითო.

უნტეროფიცერმა იცოდა, რომ მამაკაცის დაჭერა იყო საჭირო, მაგრამ თუ ქალები მთლად უსარგებლო იქნებოდნენ არ ეგონა.

ობერლეიტენანტმა ჯარისკაცებს ჩამოუარა და ბოლოს უნტეროფიცერის წინ შეჩერდა.

— აჰ, შნაიდერი!...

შნაიდერი კონაღამ გაწყდა, ისე გაიჭიმა.



— ენჭი ვყაროთ, თუ როგორც უფროსს, ერთი ისედაც მეკუთვინს?

— ჰერ ობერლეიტენანტ...

— კაპრალი გვეტყვის, — გააწყვეტინა და ახლა ჰანსის წინ დადგა.

შნაიდერი ჰვალ იქცა.

— მოულოდნელად შევეფეთეთ, სხვა გზა არ იყო, გვერდის აქცევა არ შეიძლებოდა... — შტუტე ეცადა აეხსნა ქალების დატყვევების მიზეზი.

— ვის შეეფეთეთ, ეს ქალები ღამით მარტო დასერილობდნენ ბილიკებზე?

— არა, ჰერ, მათთან სხვებიც იყვნენ.

— ქალები?

— არ ვიცით, — დაასწრო ათისთავმა.

— მე მგონი...

— არაფერი იცის ვინ იყვნენ, — ისევ არ აცალა კაპრალს შნაიდერმა.

— ხმა! — იყვირა ობერლეიტენანტმა და ჰანსს მიუბრუნდა, — ჩვენ თერთმეტნი ვართ, სად არიან დანარჩენი ქალები?

— ერთი მოგვკალით.

— სხვები!

— ორი გაიქცა.

— გაიქცა?..

— გაიქცა.

— ქალები გაგეჰცათ? ხა, ხა, ხა, ხა! ქალები გაგეჰცათ? რაიხსტაგს იმედი აქვს, რომ ბაქოს ნავთს გავუგზავნით გერმანიას ნავთქურებისათვის,

— მე მგონია ქალები არ იყვნენ, ესენი არც განძრეულან...

— ქალები არ იყვნენ?

— არა, არა, არ იყვნენ.

— იქნებ ქალები იყვნენ?

ჰანს სიწითლე მოაწვა სახეზე.

— არა, ჰერ!

ობერლეიტენანტი მობრუნდა და ათისთავს მიუახლოვდა.

— რას იტყვი, უნტეროფიცერო შნაიდერ?

შნაიდერს ხმა არ გაუღია.

— როგორ გახსოვს, ქალები იყვნენ თუ...

— იქნებ არ იყვნენ... — ამოიბლუკუნა ფერწასულმა შნაიდერმა.

— იქნებ შტუტეს მოეჩვენა?

— არ ვიცი, ჰერ.

მერე ერთბაშად მოტრიალდა.

— გაიქცენენ?..

ახლა ყველა დუმდა.

— იქნებ გგონიათ გაიქცენ და... არა, მაინც თქვენი ქეთით სადამდე ირბენენ? ისევ არ გაუღია ხმა არავის.

— შნაიდერ, შენ გეცოდინება სადამდე ირბენენ? აქეთ რაღას მოდიოდი, თქვენი თავისთვის მაინც გეშველათ?

— ჰერ! — თქვა შნაიდერმა, — დაეკითხოთ, ესენიც აქაურებია.

— მერე?

— მერე... — ათისთავს ხმა ჩაუწყდა.

— ეთქვათ გითხრეს, რომ ისინი, ვინც გაგეჰცათ, მამაკაცები იყვნენ, ან ისიც, რაც ჩვენ გვიანტერესებს და საერთოდ, არავითარი საიდუმლო არ დაფარეს, თუ აქ გამოგვიწყვდოდეს, ჰქუის კოლოფო, ამათი დაკითხვა რის მაქნისია, მე მგონია ისინი აქ თვითონ მოვლენ და შუამავალი შენ იქნები.

— როგორ უნდა მოქცეულიყავით, ჰერ, თუ სხვა გზა არ იყო? — იკითხა კაპრალმა.

— როგორ უნდა მოქცეულიყავით? — გაიარ-გამოიარა და ისევ უნტეროფიცერს მიუბრუნდა. — როგორ უნდა მოქცეულიყავით, შნაიდერ? — მერე ერთხანს გაჩუმდა. ალბათ აქაც ბედი იყო, თორემ მართლა სად გადაეყარენ ამ შუალამისას ქალებს, ისიც იქ, სადაც დღისითაც არაფრის მაქნისია აღამიანი, მაგრამ ახლა ფიქრის დრო აღარ იყო.

— რას იტყვი, შნაიდერ, დრო აღარ იცდის, აქ დარჩენას სამუდამოდ ზომ არ აპირებთ.

— ჰერ, ამათაც ეცოდინებათ აქაური გზები. — გაბედა ისევ ათისთავმა.

— ჰკითხე და გეტყვიან. მერე გუცას მიუბრუნდა — ფროილიან, შნაიდერს უნდა აქაური გზები და ბილიკები ასწავლოთ, იქნებ ისიც უნდა იცოდეს, რამდენი ჯარისკაცი მოადგება ახლა ამ გამოქვაბულს? უთხარი, ფროილიან.

— ბევრი, თქვენი სახსენებლი რომ

გაწყვიტოს იმდენი,—თქვა ტყვემ გერმანულად.

ობერლეიტენანტი შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა, მერე ჰანს დააშტერდა.

— მე ხომ ვთქვი! — წამოიყვირა კლაუსმა.

— რა თქვი შენ! — პირში ეცა მე-თაური.

კლაუსი დაიბნა.

— თქვი!

— ის რომ, ჩვენი ენა იცის-მეთქი.

— ვინ იცის?

— აი, ამ...

გუცაზე მიათითა.

— შენ მართლა ლაპარაკობ ჩვენებურად?

ქალმა ხმა არ გასცა.

— ხმა ამოიღე! — თვალეში ჩახედა შაქსმა და ხელი რევოლვერის ბუღისაკენ წაიღო, — შენ თუ გგონია მე არ მესმის ჩემი უბედურება და ბოდიშებისათვის მცალოა, ამოიღებ ხმას თუ არა!

გუცამ უკან დაიწია, რადგან გერმანელის ამონასუნთქმა სული შეუხუთა, თქმით კი მაინც არადგერი თქვა.

— მე შენი დაკითხვა ახლა არ მჭირდება, რადგან კარგად ვიცი რა ზაფანგშიც ვარ, მაგრამ თუ მართლაც იცი, თუნდაც ორიოდ სიტყვა ჩვენებური, ნებას მოგცემ იმ ჯარისკაცებს ეფერო, ვინც აქ დაგხვდა, ამათ კი შნაიდერს, ჰანსს და კარლს ცერად გადახედა — ეყოფათ შენი ყურება?

— შენი ჯარისკაცები, გარდა ამ ქალათისა და... — შნაიდერზე და კარლზე აჩვენა, — თუმცა შენთან ესენიც ანგელოზებია.

— მომწონს, მომწონს, შენ კარგი აზრისა ხარ ჩემს ჯარისკაცებზე. — შტუტეს თვალი დასო, უკვე მოასწარი? ჰანსმა წარბი გღუნა, შაქსმა ბაუშმანს შეხედა, შენც? — ბიკი გაწითლდა.

ბრეზენტთან ატუხულ თავდახრილ დანიელისათვის აღარაფერი უთქვამს, ისევ ქალს მიუბრუნდა:

— ჩვენც მოგვეჩვენე, — შნაიდერს ცერად ახედა, — რაო, არც შენ მოეწონე?

შნაიდერმა გაიღიმა.

ობერლეიტენანტი განრისხდა, რას იღრვიჭებო.

— ეს უთუოდ ამის ოინები იქნება,

— თავის თითი ნიკაში ამოსღო, —

ეს ჯერ პატარაა, ახედ-დახედა და მხრები აიჩეჩა, არ უნდა შეაშინოთ, ისე არა უჭირს რა... — და გუცას ჰკითხა, — ამასაც ესმის გერმანული?

— ნეტა ისე დამაყრუა, მეც არ მეს-მოდეს... გუცამ ზურგი შეაქცია.

კნოში წამოიწია.

მაქსმა თითით შეაჩერა აყლაყულა ჯარისკაცი და კბილებში გამოსცრა:

— ვიცი, ჰამბელ, შენ ერთგული ხარ, მაგრამ მე ეს ერთგულება მალე დამ-ქირდება.

მიტრიალდა და იქექა:

— აჰყარეთ ბანაკი!

თავი მათი

გააეებული, მღვრიე, ვიწრო მდინარის ნაპირს ქენებით მოსდევდა ორი ცხენოსანი. ოფლად გატბარული ცხენები გაუფალ ხეობაში ხან მდინარის გაღმა გადიოდნენ, ხან გამოღმა, ხანაც, როცა გავლა არცერთ მხარეზე არ შეიძლებოდა, წყალ-წყალ მიყვებოდნენ. მხედრები მუხლს ქვემოთ სველები იყვნენ. წყალი პირუტყვს წვივებს ძლივს უფარავდა, მაგრამ დუქმორეული ტყვიისფერი, ცივი ტალღები მაინც ფხებებს უბორკავდათ.

ვახომ უკან ჩამოიტოვებინსლა ცხენი, როცა მარჯვენა ნაპირზე გადავიდა, უნაგირიდან ჩამოცურდა.

— აი, აქ დავტოვე, — თავის მართლებასავით თქვა მან, როცა მეორე მხედარიც მოიჭრა და ჩამოქვეითდა.

ახალმოსულმა იქაურობას თვალი მოავლო. მხრები აიწურა, აქ კაცი-შვილს რა უნდოდაო და თქვა:

— ჰოდა, აქ იქნება.

ვახომ ცხენი მიატოვა, ლოდებს გადაახტა, წყლის პირას მოდარებულში გაუჩინარდა და მაშინვე მოისმა მისი ხმა:

— აქეთ გუა, აქეთ

გუამ ქვებზე გადაალაჯა, იგი არც ხნით და არც სიმაღლით ვახოზე უფროსი არ ჩანდა, მაგრამ მის სიღინჯეს, ნაღრვევი ქეუა და თავშეკაფება ეტყობოდა. იგი უფრო იმ ბავშვს ჰგავდა, რომელსაც სერიოზული საქმე მიანდეს და შეიფერა, მართლა შეიფერა, მერე ეს „სერიოზული თამაში“ თვითონაც დაიჭერა და ახლა არაფის მისცემს უფლებას მის ბავშვურ გარეგნობას დაუჭეროს.

ბიჭს თავისი ნისლისფერი ფაშატიც თან გაჰყვა და ზოგჯერ სახეში კაცივით უყურებდა.

მოთარებულში ლოდებს შორის გულაღმა ესვენა დაჭრილი, მაგრამ თეთარი არსად ჩანდა.

სიოში გონსმოსული დაუხვდათ, მაგრამ სიკვდილის წინ მოხედულს ჰგავდა.

— თუთარის ჯუბა! — თქვა ვახომ, როცა გუამ ჯარისკაცს ვახუნებულნი მოსაცვამი გადააძრო.

გუამ დაჭრილს მაშინვე გულისპირი გაუსხნა, მერე დანის წვერი ფრთხილად შეაპარა, სამხედრო გიმნასტუკა და პერანგი ილლიამდე ჩაუჭრა.

ტყვიას მარჯვნივ გაეცლო, თორემ ჯარისკაცი ამოსუნთქვასაც ვერ მოასწრებდა.

მსხვილი ქეები მოზიდეს კლდის შერმავეებულ კედელთან და ერთმანეთს მიუწყვეს, ზედ ორი გაკეცილი ნაბადი დააგეს და დაჭრილი გადაიყვანეს, თავქვეშ ქვა დაუმატეს, რომ სისხლი პირში არ წამოსვლოდა. ჭრილობა გაიხსნა და ნაბადზე ტბორი დადგა.

— წყალი! — დაიბახა მეურნაღმა იმ ხმით, რომელმაც იცის რით უწყალოს. თავზე დამდგარ ცხენს ზურჯინი მოხსნა და ხელით ანიშნა დაწეულაყო. ფაშატმა ერთი ნაბიჯი უკან გადადგა.

ვახომ ქუდიით წყალი მოარბენინა.

გუა პირმოკუთმული, კბილიკბილზე მაგრად დაჭერილი საქმიანობდა. ჩქარობდა, მაგრამ რასაც აყვებდა მეტისმეტად სჯეროდა. ვახოს იმედი

მიეცა და მაშინვე თუთარზე დაიწყო დიქრი: წაეიდა? არ დაეღწეოდა, თუ ისიც მოჰკლეს?

— გუა!

გუამ ერთი გამოხედა.

— თუთარი არ ჩანს ე უბატრონო, მე წაველა?...

გუამ არ უპასუხა. გრძელი სახვევი აიღო და ანიშნა დაჭრილი მხრებით ასწიეთ.

ვახომ მომაკვდავს ფრთხილად ამოსდო ხელი ილლიებში და ნელ-ნელა წამოაყენა, მაგრამ სანახევროდ არ იყო შეხვეული, რომ ნაბადზე დაუშვა და თქვა:

— წაველა!

— გაგეღდი! — ისე იყვირა გუამ, ცხენმა ორი ნაბიჯით კიდევ დაიწია უკან და ყურებდაცქვეტილი დაელოდა, რა მოყვებოდა პატრონის ასეთ გაბრაზებამ.

ბიჭს ხმა არ ამოუღია, გუაც ხომ თან უნდა გაჰყოლოდა და ახლა ეს აჩქარება საქმეს აფერხებდა. ისევ დაწვდა დაჭრილს მხრებში და ასწია.

შეხვევა განაგრძეს.

ცხენმა იგრძნო პატრონს სიბრაზემ გაუარაო და ის ორი ნაბიჯი ისევ წინ გადმოიდგა.

თავი მეთერთმეტი

ბედი და ობერლეიტენანტი ისევ დანასისხლად იყვნენ. მაქსს რომ ეგონა სასწორი ჩემსკენ გადმოიხარაო — შეცდა, ამჯერად ბედი უფრო მუხანათი გამოდგა. როცა ტყვეები მოჰყავდათ, თურმე იცინოდა და მაქსიც იცინოდა. ყველაზე ძნელი ისაა, როცა სატირლად გაქვს საქმე და იცინი. მეთაურს ახლა ისიც არ შეეძლო, ნაღველი ამოენთხია და ჯავრი ეყარა. თვალი უნდა დაეხუჭა. ობერლეიტენანტს ახლა ყველაზე მეტად ჭირდებოდა ჰეუა. აჰ, ამ ელდეებში გამომწყვდევას თვითონ ვერ დაიბრალებდა. თავს ბნელ ვარსკვლავზე დაბადებულად თვლიდა, ვერ იქნა და წარბი ვერ გაახსნევინა ამ დელი-

ნაცვლივით გესლიან წუთისოფელს. ობერლეიტენანტს არ უცდია ქალები დაეკითხა. უკან დასახევი გზა არ იყო და ტყვეებს როგორი კარგი ჩვენებაც არ უნდა მიეცათ, მაქსი მაინც იმ ბილიკით უნდა დაბრუნებულყო, რომლითაც ამ ორწოხებში შემოვიდა. კი უნდოდა გაეგო შუალამისას რა უნდოდათ ქალებს ამ ჟანდაბის გზაზე, მაგრამ მაქსი ცნობისმოყვარეობას და გრძნობას აყოლილი კაცი არ იყო, მით უმეტეს ახლა ყველაზე სულწასულსაც არ მოუფიქროდა აზრად ასეთი წერილმანისთევის დრო დაეკარგა.

ზანაყის აშლას მაინც კარგა ხანს მოუნდნენ.

შნაიდერი დაბნეული იყო, იცოდა, რომ ობერლეიტენანტი, ბრალს დებდა, მაგრამ მეთაურს ორიოდე ირონიული ფრაზის მეტი არაფერი უთქვამს. ამან კიდევ უფრო დააფრთხო უნტეროფიცერი. აქეთ-იქით უთავბოლოდ აწყდებოდა, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა და ჯარისკაცებს თვალების ბრიალით აჩქარებდა. შტუტეს თავს არიდებდა. ამ კაცის სიახლოვე გულმუცელს უღუღებდა. კაპრალს არაფერი უთქვამს, როცა ტყვეები წამოიყვანეს. ტყვეები რომ ქალები აღმოჩნდნენ შნაიდერს დიდად არ აუტყვიებია თავი. მას ევალდებოდა აქაურები ჩაეგდო ხელში და შეასრულა. აი ისინი, ვინც გაექცათ არ უნდა გაეშვათ, მაგრამ გაექცათ და რა უნდა ექნათ. ახლა კი საჭმე სხვანაირად შეტრიალდა და რაც ამას უბედურება შეიძლება მოჰყვეს, მას დაატყდებოდა თავზე. შტუტეს კი არაფერი. ჭგუფში ყველამ იცის, რა ძვირად უღირთ ჰანსი. იგი ბავარიის მთებშია გაზრდილი და იმისთანა მთამსვლელი გერმანიაში ბევრი არ მოიძებნება. ის შნაიდერივით ორ კვირაში კი არ გაუწვრთნიათ!

უნტეროფიცერს სიცოცხლის ფასად რომ დაჯდომოდა, უნდა მოეგო უფროსის გული. მას ახლა არ გაუცვია ობერლეიტენანტი, აქამდეც ბევრ ბრძოლაში ახლდა და ნანეტანი უკვირდა რა იყო მიზეზი, რომ არაფერ დასაჯა და ქა-

ლების მიმართაც ლმობიერება და თავაზიანობა გამოიჩინა.

— შნაიდერი! გაისმა ობერლეიტენანტის ცივი ხმა, როცა სამზადისი დათავრდა.

უნტეროფიცერს იმედის ნაპერწკალი გაუჩნდა და მზად იყო, ახლაც პირდაპირ უფსკრულში გადაშვებულყო.

უფროსს უსიტყვეოდ გამოუქიმა.

— შენ ჩაუძღვები!

შნაიდერი მიტრიალდა და გაქცევა დააპირა.

— მოიცა, ფრთხილად ჩაყვევი... სირბილი არაა საჭირო, ჩვენ გვეჩქარება!

წყაროსთან რომ ჩაეიდნენ, მზე გადახრილი იყო. ცხენები ქვებში ამომძვრალ ბალახს წიწკინდნენ. ზევიდან ნელა ეშვებოდნენ დესანტები. ტყვეებს წინ კლაუსი მოუძღოდა, უკან ჰანსი მოყვებოდათ.

წყაროსთან ქალები ცხენებზე შესვეს. ეს თვითონ უფროსმა ბრძანა. და შნაიდერს ისევ გაუკვირდა.

ობერლეიტენანტმა ორი საგანგებო მსროლელი გამოიყვანა. მათი ტვირთი ცხენს აკიდა და უბრძანა წინ წასულიყვნენ. ამ ორ სნაიპერს, ვალტერსა და იოჰანსს, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მეთაური დღესაც, როცა შნაიდერმა დამე ათია და მთელი დილა ამ ღვთისაგან შეჩვენებულ ბილიკებზე იწანწალა. ობერლეიტენანტს სნაიპერები გამოქვამულში ეწევა. მაქსმა იცოდა, ზარბაზნებით ვერ დაანგრევ ამ მთებს. აქ ერთი ზუსტად ნასროლი ტყვია მეტს გააცეთებს, ვინემ მთელი სატანკო დივიზია.

ობერლეიტენანტი თითქოს არ ჩქარობდა და არც ნერვიულობდა. ჰანსს უკვირდა, მისგან ამდენ წინდახედულებას არ ელოდა. იგი ხაფანგში მოექცა. მაგრამ არ დაბნეულა. მან იცოდა ბრძოლა და, მისი გულისტყვიელი — ობერლეიტენანტის ჩინს რომ ვერ ასცილდა, ახლა ჰანსს სამართლიანად მოეჩვენა და თავისი თავი გააფრთხილა.

ამ კაცს მორიდებოდა. იგი უფრო ობერლიტენანტის ტყვეებთან დამოკიდებულებამ დააიჭვა. ქმარს გაყრილმა დედამ და მოლაღატე ცოლმა მაქის შეაზიზლა მშვენიერი სქესი. მას ქალისადმი პატივისცემა არ გააჩნდა. ახლა ეს დამოკიდებულებაჲ კუჩის ნაყარნახევი იყო.

გზას რომ დაადგნენ, წინ წასულმა მხვერავმა სნაიპერებმა ბილიკს შემოუარეს. იქ ორივე შეჩერდა. მერე ერთი გაწვა და გასახედს ხოხვით მიუახლოვდა. ერთხანს უთვალთვალა, უკან წამოვიდა, რაღაც მოილაპარაკეს, ქვის კედელს ააყოლეს თვალი, რომელიც მარჯვნივ მისდევდა ბილიკს. ბოლოს ერთი უკან წამოვიდა, მეორე ისევ გასახედთან ჩასაფრდა.

ნაადრევად გამელოტებულმა ქოსა ჯარისკაცმა ამბავი მოიტანა, რომ ვიღაც შენიშნეს.

— რას იტყვი, როგორ მოვიტყუო, ვალტერ? — მაქსი არც ახლა აღელვებულა.

— ბილიკზე ვერ ავალთ, ჰერ!

— მაგრამ აქაც ვერ დაერჩებით.

— ჯერჯერობით...

— ბერს ვერ დავაგვიანებთ. — ობერლიტენანტი ჩაფიქრდა, — შნაიდერ!

ათისთავმა ფეხი ფეხს შემოკრა და ხელი აუღო.

— გისმენთ!

— როგორ გახსოვთ, რამდენი კაცი ვაგეჰქათ წუხელ?

— ორი, ჰერ!

— რამდენი მოჰკალით?

— ერთი.

— მოჰკალით?

— კი, ჰერ! ცხენიდან გადავარდა და გადაიჩეხა.

— ვალტერ!

— გისმენთ!

— რა გინდოდა გეთქვა, როგორ მოვიტყუო?

ობერლიტენანტს წესად ჰქონდა, ეკითხა ჯარისკაცისათვის რას აპირებდა. იცოდა, მებრძოლი თვალს რომ

მოგაცილებს, მაინც თავისას იზამს, თანაც თავის არჩეულ გზას. მეტი ვალტერის მოდგინებით აღგას, მეტი მოსახრებელი და მონდომებულია!

— კედელზე უნდა ავიდეთ, ობერლიტენანტო, ზევიდან უნდა გავწმინდოთ გზა! — ვალტერი შეჩერდა და თვალთ დაუწყო ძებნა ვილაცას.

— რა გვიშლის ხელს?

— შტუტე უნდა დაგვეხმაროს.

— ჰანს, — რბილად თქვა მაქსმა.

ჰანსმა ფრთხილად აუარა გვერდი ქალებს და წინ წამოვიდა.

თავი მეთორმედი

ბასყა ჩქარა მიყვებოდა კლდეზე სახიფათო ბილიკს. თუთარმა იცოდა ამ ერთადერთ გზაზე უკვე ყოველ წუთს შეიძლებოდა შეჩეხებოდა გერმანელებს. ეს შეხვედრა ცხენის ყოველი ფეხის გადადგმაზე ახლოვდებოდა.

თუთარს მოფიქრებული ჰქონდა: მტერს როგორც კი შენიშნავდა უკან უნდა დაეხია, ჩასაფრებულყო და დალოდებოდა. იცოდა, გერმანელები სულელები არ არიან თავი სამიზნეზე დადონ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც წინ უნდა წამოსულიყვნენ, რაკი უკან ერთი გაუვალი ბილიკის მეტი გზა არაა, რომელიც საჯიხვევებზე მიდის, იქიდან ჩრდილოეთით გადასვლა კი არავის გაუგია.

იცოდა საჯიხვევების ძირში წყარო იყო, წყაროს ზევით გამოჭებაულები, სადაც ომამდე მონადირეები ათევენდნენ ღამეს.

თუთარს კარგად ახსოვდა იქ ღამის გათევა. გამოჭებაულში შეშის კონა დახვდათ, დაწვეს და სამაგიეროდ თავიანთი მოტანილი დატოვეს. ასეთია ნადირობის წესი. იქნებ ჯიხვევს გადაეყარე და რომელიც თვალში მოვიდა, ესერი. მონადირე მეწინავე, მეთაურს ჯიხვს არ ესერის, მტერს კი, მეთაურს უნდა ესროლო, მაგრამ ჯერჯერობით არც მეთაური ჩანდა და არც ჰვეშევროლოში.

გზა კი... დასწყევლოს ეშმაკმა სადაა გზა, ჯოჯოხეთზე გაკიდებული ბეწვის ხილია. დალოცვილი აქაური ცხენი თუ არა, აქ მოხეტიალე კაციშვილს ტყვია რად უნდა, სიყვდილი ყოველ ნაბიჯზეა ჩასაფრებული.

შეჩერდა უკვე ძალიან მოახლოებული იყო, ჯობდა კლდეს მალა აპყოლოდა და იქიდან გადაეხედა. მისი ვარაუდით გამოქვაბულებს დაინახავდა. წყარო დაბლაა, არ გამოჩნდება.

ჩამოქვეითდა, აღვირი ლოდს მოახვიდა, ბაბუამისის სანადირო ლულახაზიანი ტახტაზე ჩამოკიდა, კარაბინი მხაროდლოვ მოიგდო. ბილიკიდან კლდეზე ხელის მოსაკიდი რომ ვერ იბოვა, ამხედრდა, უნაგირზე ფეხით შედგა. მალა მოეჭიდა და აპყვა ციკაბოს. ნელა, მიიწვდოდა, ორივე ხელით ებლაუქებოდა პიტალის ნაბზარებს. ზედ გვეროდა, ეწებებოდა და მიბობდავდა. რამდენი ზევით და ზევით აიწია იმდენი გაუჭირდა, მაგრამ მალე კლდის ქიმებს შორის გაფორტხდა. მეორე მხარეზე გადავიდა და ქვევით, საიდანაც წყლის ხმა ძლივს აღწევდა. გადაიხედა. გული შეუქანდა. მდინარის მხრიდანაც დაკიდებული ციკაბო დაინახა.

ახლა გვერდზე გაცოცება დააბირა, მაგრამ იგრძნო, რომ მორყეულ ლოდს მოეჭიდა, მაშინვე ხელი უშვა, ქვა მაინც მოწყდა, ჯერ იქვე ჩავიროდა, თითქოს შეჩერდაო, მერე იქიდანაც მოიძრვა და მდინარისაკენ ზათქით გადაეშვა. ბიჭმა თვალი ჩააყოლა. გაღმა, კლდის წაწვეტებულ შვერილზე პარაშუტი ეკიდა. პარაშუტის ყურს ხევში მონახერი ნიავი ბერავდა. ბაწრებს კაცი ჩამოკონწიალებოდა. თუთარი მოეფარა, თოფი გადმოიღო და ცალი თვლით გაიხედა.

პარაშუტისტი არ იძვროდა.

იქნებ მტერს ჰგონია ბიჭი გამოუცდელია და მოატყუებს. არა, არც ის იფიქროს, თუ სული უკვე ჯგერაგა!

¹ ჯგერაგი — წმინდა გიორგის ეძახიან სვებო.

ჩააბარა, თუთარმა ტყვია გაისროლოს და თავი გასცეს.

ჩაწვა, ქული წაიძრო და თოფის ლულით მალა დაიჭირა: ვნახო ერთი აბარას იზამსო. იწივლა ტყვიამ და მის გვერდით კლდეს ნათხვენები ჩამოცვივდა.

— რას ერჩი კარგად უსვრია! — ჩაილაპარაკა და გახვრეტილი ქული დაიხურა — თვალებს მიხვევენ, ეს მისი ნასროლი არაა — გახედა. პარაშუტისტი ისევ უძრავად ეკიდა. ტყვია სულ სხვა მხრიდან იყო წამოსული.

აღვილი გადაინაცვლა. ხელში მოზრდილი ქვა დაიჭირა და კედელს მიადო. მარტო ცალი, მარცხენა ხელი უჩანდა იმ მხრიდან, საიდანაც მისი ვარაუდით, ესროლეს. ქვასა და კლდეს შორის დრიკო დატოვა, შიგ გაიჭვრიტა და სანამ ვინმეს ან რამეს დაინახავდა, ისევ ესროლეს. იმ ქვას, ხელში რომ ეჭირა, ყური ჩამოამტვრიეს.

— კარგად ისვრია, წყევულები! — თქვა და ქვა გადაავდო. გული დაწყდა. მე ალბათ ასე კარგად ვერ მოვარტყამ. ძალიან ფრთხილად უნდა იყო...

ჩაბოხდა. ხელახლა გამოიყვალა ადგილი.

ორად გაცოფილ ქიმებს შორის მოზრდილი ქვა ჩაქვილიყო. იქეთ წაჩოჩდა, გულზე საკინძე გადაიღლიტა, მაგრამ იქამდე მიადწია და გვერდით მიუწვა. ჩაქვილი ქვის ქვეშ გასახედი იბოვა.

ექვი არ იყო გამოქვაბულების მხრიდან ისროდნენ, უთვალთვალა, ვერავინ შენიშნა. მერე გასახედში თოფის ლულა გაპყო და მოუთმენლად დაელოდა. ახალი სამალავიდან კლდეზე დაკიდებული პარაშუტისტი აღარ ჩანდა.

ბიჭმა იცოდა, რაკი მტერმა გაისროლა, აწი ყველა საეჭვო წერტილს დაუშენს. თუთარს სხვა გზა არ რჩებოდა, მათი ზუსტი ადგილსამყოფელი არ იცოდა და უნდა დალოდებოდა.

ვახო და გუა თუ მაშინვე წამოვიდოდნენ, დიდი-დიდი ახლა ამოედწიათ იქამდე, სადაც სიოში დატოვეს. თუ ცოც-

ხალი დახვდათ, კარგახანს დაქრილის შეხვევას და დავიდარაბას ვერ მორჩებოდნენ.

მტერს შეეძლო წყაროდან ზევში ბაწრებით ჩასულიყო, მაგრამ ხევგაღმა კედელზე ასვლას კი ვერ მოახერხებდა. ისინი ისედაც შორს შეჰყენენ ამ ბილიკს, ალბათ გამოქვაბულის მიუვალობამ აცდუნათ, ახლა იმის შიშით არ გამოვემწყვდეთო, ყოველ ღონეს იხმარდნენ, რათა აქედან გააღწიონ.

ბილიკზე ვავლილი მომხედური კი ვერ უნდა გაეჭყეს თუთარის ტყვიას. ქალები...

თუთარმა თავი გააქნია, ქალებზე ფიქრი უნდოდა მოეშორებინა.

ცხენებს ვერ შელეოდნენ — ბარგის სათრეგად დაქირდებოდათ. გარდა ამისა, თუ ამ ვიწრო გზაზე წინ გაიძლოლებ, თითოეული ცხენი თითო ტყვიას მაინც გააციებს.

ლოდებში ჩამხობილმა ბიჭმა იგრძნო, რომ საშინლად დაღლილიყო, მეტი ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა და ბედს მინდობილივით ჩაიქნია ხელი, მოხდეს რაც მოსახდენიაო.

დადგა ჩუმი, დაძაბული წუთები, ასეთ დროს არც სიკვდილზე ფიქრობ, არც სიცოცხლეზე, ფიქრობ არ შეგამჩნიონ, ყოველი ძარღვი დაჭიმულია, ყოველი კუნთი მომქანცველად მუშაობს, რომ არ გაიჩნდეს.

ბიჭმა დაინახა. ზევდიან ქვა ჩამოვარდა და ბილიკზე დაეცა. იქ, საიდანაც ქვა დაგორდა, ვილაც წამოიწია, გადახტა და თვალთავან დაიკარგა. ან უფრო მოხერხებულ ადგილას ჩასაფრდა, ან ქვევით, თავისიანებთან დაბრუნდა. თუთარი არც განძრეულა. ამ ერთ წამში თოფის დამიზნება და სროლა არ მოესწრებოდა. ახლა ერთი რამე ცხადი ვახდა: მხვერავი ბილიკს ზევით იყო ჩასაფრებული და დანარჩენები ქვევით, წყაროდან ამოსასვლელში იცდიდნენ.

თუთარი დარწმუნებული იყო, მალე ვილაც გამოჩნდებოდა და უნდა დავცხო, მაგრამ ზომ შეიძლებოდა გერ-

მანელებს წინ ტყვეები გამოეშვათ? აქედან კი ძნელი გასარჩევია მტერი და მოყვარე.

ნაბღიანებისათვის არ ესროლა? ნაბაღი ზომ შეიძლებოდა სხვასაც მოეხურა...

იქნებ თუთარს თავისი სტუმრის ან დის სისხლი დაეღვარა თუ აქამდე კიდევ ედგათ სული!

— რა ჯანდაბა გქნა? — ხმაძლლა წამოიძახა ეგონა და თავისი ნათქვამი კი არ გაუგონია, — ვახო მაინც არ გამეშვა...

მყინვარს გადაღმა თვითმფირნავეები გამოჩნდნენ. ქვევით ალბათ სროლა აუტეხეს. ყრუ გუგუნე მოისმა.

მზე გადავიდა და ღრუბლების თეთრ ქულებში გაეხვია. მტერი მეტს ვერ მოითმენდა. იგი თავდასხმას ელოდა და უნდოდა ჩასაფრებული დახვედროდა, რომ ნაკლები მსხვერპლი გაეღო, მაგრამ ერთი კლდე-კლდე მოხეტიალე ბიჭის მეტი არაფერს გამოჩენილა და იმასაც ჯერ არ გაუსვრია.

ცივმა ქარმა წამოუბერა, ლოდებში უძრავად ჩაწოლილს შეაქრყოლა.

ბილიკის თავში რაღაც გაილანდა. ბიჭი ისევ არ განძრეულა. მას მოთმინებით მტრისათვის უნდა ეჯობნა. ყოველგვარ მოძრაობას შეეძლო გაეცა და მისი „ჭარი“ ერთი სროლით გაუნადგურებინათ.

წყაროს მხრიდან აღმართზე ამოდიოდა რაღაც ნელა, ნება-ნება. ცოტაც და ცხენის თავი და ფაფარი გამოჩნდა.

ცხენი ბილიკზე ამოვიდა და ბიჭს არ გაჭირვებია ამოდენა მანძილზე ეცნო წაბლისფერი ფაშატი, რომელზეც ბაბუამ მასწავლებელი ქალი თავისი ხელით შესვა.

ფაშატზე ახლა არაფერ იჯდა. ქალები, თუ კიდევ ცოცხლები იყვნენ, წინდახედულმა მტერმა სხვა დროისათვის შემოინახა. რაკი დუმილმა დაღალა და მოთმინების ძაფი გაუწყვიტა, ბილიკზე ჯერ ცხენი ამოდენა, უნდა გაიგოს ვინ, საიდან ესვრიან, რამდენი ესვრის

და როგორ. აქედან სამი-ოთხი თოფი რომ ერთად გავარდნილიყო და ნიშანში არცერთი არ მოხვედროდა, მტერი თავის გამოყოფას ვერ გაბედავდა, რადგან სადაც სამი-ოთხი თოფი ერთ წერტილში უმიზნებს, იქ ათი და ოცი ღუმს.

მომხდური ისევ უნდა დაეჭვებულიყო გამარჯვებაში და მოთმინება გაუჩნდებოდა. ბიჭს ძვირად უღირდა დრო, მაგრამ ღუმელიც აღარ შეიძლებოდა. უნდა ესროლა თავისი ცხენისათვის და მოეკლა. ამით ის მტერს თავსატეხს გაუჩენდა და აფიქრებინებდა: აქ ერთ სანიშნეს ორი არ ესვრის, რადგან ტყვიას მიზანს არ აცილებენო და უკან დაიხევდა. ამასობაში, თუ სხვა არავინ, იქნებ ვახო მაინც გამოჩენილიყო...

— ოო, მაღლიანო უფალო, მთავარანგელოზო... — თქვა ბიჭმა ნადირობისას გავონილი სიტყვები და ცხენს შუბლში დაუმინა, მაგრამ არ ესვრია, მკერდში არჩია დამიზნება. იქ მოხვედრება უფრო ადვილი იყო. იქნებ მაშინვე ვერ მოეკლა, მაგრამ თუ წმინდა გიორგი შეეწყო და სადმე მაინც მოახვედრებდა, ტყვიანაკრავი დაფეთდებოდა და, ერთი რომ მიტრიალებულიყო, გადაიჩეხებოდა.

ჩახმაბი გამოუშალა და თვალები დახუჭა.

თვალის გახელა ვერ მოასწრო, რომ პასუხადაც გავარდა, გავარდა ზედიზედ და ლოდებზე აწივლდა ტყვიები, მაინც გახელა ბილიკს, იქ ცხენი აღარ იყო.

თავი მეცამედი

ერთადერთმა ტყვიამ, რომელმაც ცნენი ბილიკიდან გადააგდო, ობერლეიტენანტი დააფრთხო. მაქსის ათეული რომ წინ წასულიყო, იმ კლდეში ჩასაფრებულს სულ თერთმეტი გასროლა დასჭირდებოდა.

მაქსს გამჭირაბი ჰქუა დაეზნა და ახლა ერთადერთი რაც იცოდა, ის იყო, რომ საქმე საშიშ მოწინააღმდეგესთან

ჰქონდა და ობერლეიტენანტს ახრად მოუვიდა ტყვეებს გამოლაპარაკებულა, მაგრამ არამც და არამც უხვმოხდა არ ჩადინა. თუ ისინი აქაურები იყვნენ და გატაცებული ქალებისათვის ებრძოდნენ, ადვილად შეიძლებოდა ამ ტყვეებზე ყოფილიყო დამოკიდებული გერმანელების ყოფნა-არყოფნა.

გუცა და თაჯი ბილიკის კედელს თოჯინებივით მიყუდებოდნენ, ობერლეიტენანტი უკან წამოვიდა. პანსი ბილიკის პირზე იჯდა, ავტომატი კალთაში ედო და კლაუსის ჩურჩულით ნათქვამს ისმენდა. ობერლეიტენანტი მიხვდა, შტუტე არ წამოდგებოდა, როცა უფროსი ჩაუვლიდა და ხელით ანიშნა მკდარიყო.

პანსს გაეღიმა.

— ფროილანი! — მიმართა ქალს მაქსმა, და კაპრალის ზურგს უკან დარჩენილ ბილიკზე გაიარა.

გუცამ ირიბად გამოხედა ისე, რომ თავი მისკენ არ მიუბრუნებია.

თაჯიმ უკან დაიწია.

— თქვენი... პატარა ფიცხია! — თქვა მაქსმა.

გუცამ თაჯის შეხედა.

— მე ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ, — დაიწყო ობერლეიტენანტმა უფრო ცივად, რადგან შეატყო თბილი სიტყვით ქალებს ერთი-ორად დააფრთხოზოდა, — თქვენ იცით, ჩვენ იმიტომ არ ჩამოვსულვართ თქვენ ქვეყანაში, რომ ველური ყვავილების გვირგვინი დაგოწნათ, ქალი მაინც ქალია, მაგრამ რა ეუყოთ, ჩვენ ხომ მტრები ვართ.

გუცამ შუბლს ქვემოდან გამოხედა.

— ვატყობ სიმართლე გითხარით.

ქალმა თავი შეაბრუნა.

— გამიგონია, ქართველები მამაცი ხალხიაო, მაგრამ წავიდა ამის დრო, ახლა ომის ბედს იარაღი წყვეტს, გერმანული იარაღის წინაშე კი ისეთმა ქვეყნებმა დახარეს თავი... თქვენ განათლებული ქალი ხართ, კი გეცოდინებათ. რას იზამ, მე ბრალს კი არ ვდებ თქვენს ხალხს, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ თქვენს პატარა ქვეყანას ერთი გერმა-

ნული დივიზია შემუსრავს. ფიურერი მე არ მეკითხება ჰელსს და არ ვიცი რას გიზადებთ ისტორია, მაგრამ ვიცი, სული ტკბილია და ის, ვინც ასე კარგად ისერის თუ მარტო თქვენი გამოხსნისათვის დებს თავს ჩემი ჯარისკაცების სამიზნეზე მე თქვენ გაგანთავისუფლებთ.

ქალმა მოხედვა დააპირა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა.

— არ მოგჩვენებიათ, მე ეს მართლა ვთქვი. თქვენ ჩემთვის საჭირო არა ხართ. მართალია, მოხდენილი გარეგნობა გაქვთ, მაგრამ ახლა, სანამ ვიბრძვით, ჩვენთვის ესეც ფუჭია. რა თქმა უნდა, იმიტომ არ გაგანთავისუფლებთ, რომ თქვენზე ეზრუნავ, არა, ამით მე არაფერს არ ვკარგავ, გარდა იმისა, რომ თქვენი ლეშით ყორნებს არ გავაძღობ.

მაქსს ბრაზი მოერია.

— ხმას რატომ არ იღებთ, გეუბნებით გაგიშვებთ, ოღონდ ეს აღქაჯები გზიდან ჩამოგვეცალონ. ამისათვის არც დიდ ცერემონიას მოვიტხოვ, წადი გადაეცი, რაც მე გითხარი, ეს გოგონა აქ დაგიცდის.

არც ახლა უპასუხა არავინ.

ოზერლეიტენანტმა გაიციანა.

— ჭკვიანი ქალიშვილი ჩანს. — მიუბრუნდა იქვე ატუხულ კნობს — ეშინია სამიზნეზე არ გავიყვანოთ, როგორც მისი ცხენი. არა, ეს რომ გვინდოდეს, შენს უკითხავადაც მოვახერხებდით, მაგრამ თქვენი თანამემამულენი ისე კარგად ისერიან, როგორც კი მიზანში ამოგიღებენ, თქვენი წამწაების ჩეროს იოლად ვაარჩევენ... ვარდა ამისა, ეს თქვენი მატყლის მოსახურავი არ აერევათ გერმანულ მუნდირში.

მაქსი გააუშვა და ჩაფიქრდა. ბოლოს გადაწყვიტა: თუ ნამდვილ მიზეზს ვაუშხელდა, ქალი დაიჭერებდა, წინ ნაბიჯი გადადგა და დაუმატა.

— ასწიეთ თავი, თქვენ ვიკვირთ ჩვენი გულუხვობა. მართალია, ჩვენ არა ვართ გულსაწყვალნი, მაგრამ არ დავიშვებთ, გვინდა დროზე გავიდეთ აქედან, რადგან ჩვენ უფრო დიდი საქმე

გვაქვს გასაყეთებელი, ვინემ თქვენი თვალების ლაციცია.

მაქსმა არ იცოდა, ტყვეებს ყოველ რამე დაეჭვებინათ, მტერს გზას არავინ გაუხსნიდა. მტერს, რომელსაც მთელი ქვეყნის სისხლი ემართა და წუხელ სიოშის სისხლიც დაემატა.

თავი მეთორმეტი

თუთარს თავზარს სცემდა იმის გაფიქრება, რომ მალე ჩამოლამდებოდა და ხაფანგში მოქცეული გერმანელები ყოველნაირად ეცდებოდნენ თავი დაეღწიათ. მარტო თუთარი კი ბნელში ვერაფერს ვაწყობდა. ახლა ბილიკზე რომ ყოფილიყო ჯობდა, საიმედო საშუალებას მოძებნიდა და ვიწრო გზაზე სათითაოდ წამოსულ მტერს, სანამ ცოცხალი იქნებოდა, წინსვლის საშუალებას არ მისცემდა.

ბილიკზე ჩასვლა სადამომდე არ მოხერხდებოდა. მტერი კი იმ დროს აირჩევს, როცა თუთარი ნიშანს დაკარგავს. მით უმეტეს, ეს ბილიკი ქვევითაა და იქ უფრო ადრე დაბნელდება.

მზე მწვერვალების ქიმებს ჯერ კიდევ ანათებდა და შორს თეთრ მყინვარსაც წითელი ღრუბლები ეხვია.

მოგვიანებით ცა სულ გადაიწმინდა, თუთარს იმედი მიეცა — კარგ ამინდში გვიან ლამდება — იქნებ ჩემიანებმა მომისწრონო.

ხევეში რომ სადამოს თხელი ბინდი ჩაწვა, ბიკი შეშინდა. ვახო კერპია, მაგრამ ჩქარია. იგი ხშირად ჯერ აკეთებს და მერე ფიქრობს. თუმცა მისი ცხენის პატრონს ყოველთვის ჰქუავ ვერ გიშველის. გუა კიდევ ვინ იცის, როგორ შეხვდა ამ ამბავს, მაგრამ გაცემით, ცოცხალი თავით არ გასცემდა... აბი? იმის იმედი, რომ ვახო ამის თვალებს დაემალებოდა თუთარს არ ჰქონდა.

ხევეში მუქი ფერი გახშირდა, როცა მყინვარს ოქრო მოაკლდა. უკვე გაჭირდებოდა ერთი გასროლით ბილიკიდან ცხენის ვადაგდება.

მრუმე ბინდით აივსო ხევი და მალა, ბილიკის პირამდე ამოვიდა. მტერი აღარ დააყოვნებდა და როგორც კი გამოჩნდებოდნენ, თუთარსაც უნდა ესროლა, მაგრამ აღარ ეცოდინებოდა ვის მოჰკლავდა.

ის იყო პირველი აჩრდილიც გამოჩნდა, კლდეს აეკრა და ბიჭმა დაუმიზნა, მიხვდა, ეს აჩრდილი გერმანელი იყო. იძულებით გამორეკილი ტყვეები ვხას თავდალუნული დაადგებოდნენ, მტერი უკან ჰყავდათ და წინ ვილას დემალეობოდნენ? თუთარს ჩახმანს უნდა გამოეშალა, რომ აჩრდილმა ნახტომი გააქეთა, გამოიბინა, ბილიკის პირზე გადაკიდებულ ლოდს შეაფარა თავი და თვალთავან დაიკარგა.

ბიჭმა თვალები სახელოთი მოიწმინდა და მოწოლილი ცრემლები მოიშორა. ისევ ქვევით ჩაახრდა: ერთი რომ გაუჩინარდა, უკან კიდევ ამოძვრა მეორე, ისიც კლდეს აეკრა. ბიჭმა ახლა იქით გადაიტანა ნიშანი, მაგრამ უკვე ხეირიანად არაფერი ჩანდა.

როცა დაიჭრა, რომ მისი ნასროლი მიზანს ვეღარ მიადწევდა, ქვევით ჩასვლა დააპირა, ის იყო წამოიწია, რომ იწივლა ტყვიამ, მაშინვე თავდაღმა დაემხო. ზევით, საიდანაც პირველად ესროლეს, იქვე იყვნენ ჩასაფრებულნი და გზაზე გამოსულებს იცავდნენ. ერთის მეტი აღარ უსვრიათ. ბინდი მწვერვალზეც ამოვიდა.

თუთარი თითქოს ხედავდა, როგორ უახლოვდებოდნენ ბილიკზე წამოსული აჩრდილები მის ცხენს, რომელსაც დაინახავდნენ თუ არა, ესროდნენ. ცხენი მათთვის საშიში არ იყო, მაგრამ რა იცოდნენ მის უკან იღვა ვინმე თუ არა.

დაბნელდა. აღარაფერი ჩანდა. ბიჭმა თოფი მხარბილივ გადაიკიდა და ჩაფრთხიდა, ფრთხილად ჩაუყვა კედელს, რომ ზედიზედ გავარდა. ბიჭი შეშინდა და გაილურსა. ეს ორი თოფის გასროლას ჰგავდა და ერთი... არა, ორივე სანადირო თოფი იყო. სანადირო თოფის ხმა სხვაა, შაშხანისა და ავტომატის სხვა. მაშინვე ქვევით დაგორე-

ბული ქვესავით ჩაცურდა, ლობლი აიყოლა და როცა ბილიკს მიუახლოვდა, სადაც ბასყა ეგულებოდა, ძირს ჩაიხედა.

ცხენი არ ჩანდა. მალლიდან ისევ ცვივოდა კანტი-კუნტად კენჭები ბილიკზე.

— თუთარ! — მოესმა, მაგრამ ყურებს არ დაუჭერა, არადა ნამდვილად გაიგონა თავის სახელი.

— ვახო!

— ჩუუ! — მოისმა პასუხად — ჩქარა ჩამოდი! — ეს გუას ხმა იყო.

თუთარი მაშინვე ჩასრიალდა, მერე სულ გამოეცალა კლდე და სიმზე დაენარცხა, მაგრამ არაფერი უგრძენია.

— ვიძე, ბიჭებო!

— დაწეი! — შეუღრინა ვახომ — და არ აღშლუკუნდე!

თუთარი მაშინვე დაემხო, მაგრამ ახლა ვინმესი კი არ ემშონდა, შიში რა იყო აღარ იცოდა, უთხრეს და დაწვა.

თოფი ჩამოიხსნა და წინ ჩასაფრებულ ბიჭების თავებს ზევით გაიხედა. ბილიკის გადმოსასვლელზე ვარსკვლავებით მოქედელ ფონზე კარგად ჩანდა.

თავი მახუთმობი

ცივი ღამე ჩამოწვა.

ორი ჯარისკაცის დაღუბვამ მტერს განზრახვაზე ხელი ააღებინა. ობერლეიტენანტს დანა კბილს არ უხსნიდა. მისი ყოველგვარი ვარაუდი დაინგრა.

— ჰანს, მომყევი! — თქვა მაქსმა და უკან ვაბრუნდა. გვერდი აუქცია ბილიკის პირზე ჩამწკრივებულ გონებადბნეულ ჯარისკაცებს და იქაურობას გაცდა, ბილიკის პირზე ჩამოსაჯდომი იპოვა, დაჯდა და დაფიქრა.

— ჰანს, — თქვა ობერლეიტენანტმა იმ ხმით, რომლითაც მეგობარი ეტყვის მეგობარს, — როგორ ფიქრობ, ამ დაწყვეტილი ბილიკის გარდა სხვა გზა მართლა არაა?

შტუტე მიხვდა, ამ წუთში ობერლეიტენანტი დაწინაურებაზე აღარ ფიქრობდა და პასუხი დაუგვიანა.

— სახელით მომმართე, — თქვა ისევ უფროსმა, — როცა ჩვენ მარტო ვართ სახელით მელაპარაქე! — მაქსმა იცოდა, ჰანსი ამ სიტყვებში დაინახავდა იმას, რისი დანახვაც ხელქვეითისათვის არ შეიძლება, მაგრამ გულახდილობა ერთადერთი პირობაა მეგობრობისა და არასოდეს ისე არ დაქირვებია მაქსს მეგობარი, როგორც ახლა.

— ჩამოგექი! — მიიწია და ლოდზე ადგილი დაუთმო.

კაპრალი დაჯდა.

— მეც ისე ვიცი, როგორც თქვენ, — დაიწყო ჰანსმა, — მაღლა რომ ბილიკი ადის, თუ ამას ბილიკი ჰქვია, იქ ყველა ჩვენი ჯარისკაცი ვერ ივლის, მაგრამ მაინც რომ ავიდეთ, ის გზაც, უტყობა, შორს არ მიდის.

— ქვევით, ქვევით არ შეიძლება დაშვება?

— ქვევით ბაწრებით თუ ჩავალთ, მაგრამ იქ შეიძლება უარეს დღეში ჩავვარდეთ, რადგან ხევი იმ ბილიკიდან, საიდანაც ისვრიან, კარგად ჩანს.

— ჩვენ დაგვარგეთ იმაზე მეტი, რაც უნდა დაგვეკარგა.

— თუ ხევი გამოგვაწყვედის, წვენი არ ვიციტ კიდევ რამდენს და ჭის დაგვარგავთ.

ობერლეიტენანტი მიხვდა, მის სიცოცხლეზე პასუხისმგებლობას შტუტე არ აპირებდა. უფროსმა ეს აქამდეც იცოდა, მაგრამ ენდობოდა თუ არ ენდობი, ამ მწვერვალეებში გზის გაგნება მაინც ამ კაცს უნდა ჰქონო, რაკი ახლა იმანაც ამ გზაზე უნდა გაიაროს და თუ ის მაინც ფიქრობს, რომ გასაძეროში არსადაა, მაშინ მართლა წამხდარა საქმე.

— ტყვეები რას ლაპარაკობენ?

— ჭალები?...

— მე ვხედავ, ისინი შენთან თითო-თოროლა სიტყვას ამბობენ.

— კარგს არაფერს.

— ეი მაგრამ რომ გავათავისუფლოთ?

— გავათავისუფლოთ?!

— ჰო, არ ჰკითხე, რომ გავუშვათ გზას მოგვეცემენ თუ არა? უარესულში

— ეს რომ ვუთხრა დაიჭერებენ?

— უნდა მოელაპარაკო, მაგრამ ჭერ-ჭეობით რაღაც გზას უნდა დაეადგეთ, იქნებ სჯობს ისევ მაღლა გამოქვაბულში ავიდეთ?

— ავიდეთ, — თავი გადააქნია ჰანსმა, — მაგრამ შეიძლება იქაც გამოგვეკეტონ...

— ჰო, შეიძლება, სამაგიეროდ მიუცვალ სიმაგრეში ვიქნებით და ახლოს ვერაგინ მოგვეყარება. ამ ახლო-მახლო არცერთი მოქმედი ჯარის ნაწილი არაა, თუ მაინც მოისურვებს ამ უბნის გაწმენდა, გამოგზავნიან ათეულს, დიდ-დიდი ოცეულს, რაც ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს. გადასასვლელებზე, ან უღელტეხილებზე რომ ვიყოთ, მაშინ თავს არ დაზოგავენ, მაგრამ სადღაც მიუცვალ გამოქვაბულში ჩაკეტილ ცხრა გერმანელისათვის ვის ცხელა. ამ დღეებში დამთავრდება კავკასიონის დაპყრობა და მალე გზა თავისთავად ხსნილი გვექნება.

ობერლეიტენანტი ამას დაბეჯითებით ამბობდა. შტუტემ იცოდა, რაშიც ის დარწმუნებული იყო, იმისათვის რჩევას არავეს ჰკითხავდა, მაგრამ ამ წუთში კაპრალის აზრითაც სხვა გზა მაინც არ იყო.

— წყაროდან გამოქვაბულამდე თოკს გავჭიმავ. — თქვა ჰანსმა, როცა ობერლეიტენანტი წამოადგა — ზედ გორგოლაქს მოვაწყო, ქვაბუნას დავეიდებთ და, საქირო რომ გახდეს, წყალს მაღლა ავიტანთ.

— ჰანს, როგორც ვინდა. მე შენ მოქმედების სრულ თავისუფლებას ვაძლევ.

კაპრალი გაბრუნდა. მან იცოდა, როდემდე ეძლეოდა ეს „მოქმედების“ სრული თავისუფლება, — მაგრამ ახლა ორივე ერთ ბედში იყო და ტყვიამ, თუ ის კარგადაა დამიზნებული, არ იციან ვინაა დამნაშავე და ვინ არა.

გერმანელები დიდ გამოქვაბულში დაბანაკდნენ.

— ჰანს, — იხმო კაბრალი, როცა ობერლეიტენანტმა გვირაბის სიღრმეში აღდგლი მიიჩნია.

მალალი შტუტე უფროსს მოხრილი მიუახლოვდა.

— გისმენთ.

— როგორ ფიქრობთ, ქალები... — მოაგონდა მისი ნათქვამი სხვასაც ეს-მოდა და ხმა ისევ ცივი გაუხდა — ტყვეები მეორე გვირაბში მოათავსე! ხელ-ფეხი ხომ არ გავუტყართ?.. როგორც საჭიროდ ჩათვალთ! ერთი ჯარისკაცი იქნება შენს განკარგულებაში, — არ დასახებლა ეს ჯარისკაცი და ჰანსი მიხვდა, შეეძლო თავისთან კლაუსი დაეტოვებინა. ამით მაქსი კაბრალს ნდობას უტყუებდა და მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდა.

— გასაგებია — დუნედ თქვა კაბრალმა და უკან გაბრუნდა.

ყარაულად სნაიპერი ვალტერი და ავსტრიელი პაულუ დანიშნეს. პაულუ ხმელი და ცქვიტი ბიჭი იყო, ხალისიანი ლაპარაკი იცოდა, უშვილოდრო, მდიდარი ბიძის მემკვიდრეობაზე ეჭირა თვალი და ამბობდა: აქედან ტყავი გამატანეთ, თუნდაც ალაგ-ალაგ დახვრეტილი და ჩემს წილ მამულეებზე ხელი დამიბანიარ.

ამაზე კარლი ოთხი კაცის ხმით იცი-ნოდა და ღმერთს ისე თავის მშვიდობით გადარჩენას არ შესთხოვდა, როგორც პაულუს სიცოცხლეს და მდიდარი ბიძის ადრე და მალე გადაბარსა-ლებას.

როცა ჰანსი გამოქვაბულიდან გამოვიდა, პაულუს ხმა არ გაუღია. ამ სადამოს ბილიკზე რომ ორი ჯარისკაცი მოკლეს, ერთი, კლემენი, მისი მეგობარი იყო, ისინი ერთმანეთთან გაუთავებლად საუბრობდნენ. პაულუ ყოველთვის რაღაც სასაცილოს ჰყვებოდა, თუ გულუბრყვილო კლემენს ეჩვენებოდა სასაცილოდ, მუდამ უჩანდა მწყობრი კბილები.

ჰანსმა იგრძნო, რომ პაულუ მტრულად უყურებდა მორჩილა გვირაბის შესასვლელთან ატუხულ ტყვეებს. ქა-

ლებს თავი თავზე ჰქონდათ მიღებული და ერთმანეთის ამონასუნთქით სუნთქავდნენ.

— ფროილიან, — მიმართა ჰანსმა გუცას და თვალთ კლაუსს დაუწყობებდა.

ქალმა თავი ასწია.

— შედით გამოქვაბულში.

ქალი წყნარად მიტრიალდა, მაგრამ ნაბიჯი ვერ გადადგა. იოლი სათქმელია შუალამისას ცხრა გერმანელი ჯარისკაცით გარშემორტყმულ უმწეო ტყვე ქალებს უთხრა, შედით ბნელ გამოქვაბულშიო.

— შედით, შედით, ახლა თქვენი დარდი არავის არა აქვს.

გვირაბიდან წელში მოხრილი ბაუმანი გამოძვრა და თქვა:

— აქ ყველაფერი რიგზეა, რადგან არაფერი არაა რიგზე.

— როგორ...

— როგორ და ისე, გვირაბი სრულიად ცარიელია.

— არაფერია, ქალებს თავიანთი მოსახურავეები ექნებათ. ამ სქელ მატყლში ისევე თბილად შეიძლება გამოიძინო, როგორც დედაშენის ლოგინში.

— დედაჩემი... — დაიწყო კლაუსმა, მაგრამ აღარ დაამთავრა. ახლა სრულიად უადგილო იყო დედაზე ლაპარაკი და თვითონვე მიხვდა.

მორჩილა გვირაბი დაბალიც იყო და ვიწროც. შიგ სამი კაცი ვერ დაწებობდა ფეხგაქიმული, მაგრამ ქალები სიღრმეში ისე მოიკუნტნენ, ქვაბულის მოცულობას თითქმის არაფერი მოკლებია.

სიბნელე ლოდივით იწვა კლდის ვიწრო ხვრელში, რომლის ერთადერთ გამოსასვლელს გერმანელები დაარაჯობდნენ. გუცას კანკალი აუტყდა. ამდენხანს არ ეცალა მტერს, მაგრამ უკვე დაბანაკდა, გამაგრდა და სულთ მოითქვა. ივანშუმბს, იქნებ დასაძინებლადაც მიწვეს, მაგრამ სადაც ქალია, იქ ჯარისკაცს არ დაეძინება.

შტუტე კარებთან ჩაჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო, იარაღი მოიხსნა

და მუხლებზე დაიდო... კლაუსს დაავალა ტყვეებისათვის წყალი მიეტანა.

ქალებს მთელი დღე ხახა უხმებოდათ, მაგრამ ტყვეს როცა სწყურია, მაშინ კი არ ასმევენ და აქმევენ, არამედ მაშინ თუ იგი პურისა და წყლის საფასურად უღირთ.

— ფროილიან, — თქვა ჰანსმა, როცა კლაუსმა ქვაბუნა აიღო და გავიდა — რა გქვიათ?

გუცას სისხლი გაეყინა და თავის ორივე ხელი მოხვია. მტერს ახლა მისი სახელის გაგება არ უნდა მოესურვებია, თუ მას ამაზე დიდი საფიქრალი ჰქონდა. უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ ენა ვერ მოაბრუნა. იცოდა არ უნდა გაჩუქებულყო, არ უნდა გაებრაზებია. ქალს ან კარგი სიტყვით იმორჩილებენ, ან ძალით. ძალას ცოტა დრო სჭირდება, სიტყვა გრძელია. მას, ვინც სილამოს ბილიკზე ორი გერმანელი მოჰყლა, არ სძინავს და არც მტერს დაეძინება. ხსნა როდის იქნება არავინ იცის, მაგრამ უნდა ეცადო უბედურება არ დააჩქარო, თორემ მერე, შველა რომ მოვიდეს, უბედურება ორჯერ უფრო დიდი უბედურება იქნება.

მტერს თუ იმედი გადაუწყდა, სიკვდილის წინ რაზეც ხელი მიუწევდება ყველაფერს გაიძილოებს. რაღაცის იმედი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ისიც უნდა იცოდეს, ტყვეები სიცოცხლედაც და ქალადაც არ გამოადგება, ან ერთი უნდა აირჩიოს, ან მეორე.

ბაუმანი დაბრუნდა. წყლით საცხე ქვაბუნა მოიტანა.

მოედანზე ვიღაც გამოვიდა. კაპრალმა ფეხის ხმაზე იცნო. ობერლეიტენანტს არ ეძინა. მისი უძილობის მიზეზი მარტო მტრის თავდასხმის შიში არ იყო. იქ ობერლეიტენანტმა შევაკებაზე გაიარა და ბილიკის დასაწყისთან ჩასაფრებულ ყარაულთან გაჩერდა. იგი დიდხანს იდგა გაუნძრევლად. მალე ალბათ მაქსი ქალებსაც მოაკითხავდა. ჰანსს ერთი სიცოცხლე ჰქონდა და წინ ვერ გადაუდგებოდა, მაგრამ მანამდე ტყვეებს უნდა მოლაპარაკებოდა.

— ჩვენი უფროსი თქვენ გათავისუფლებას გიპირებთ.

გაქრენული

— თუ თქვენ გზას გაგახსნიან, კარგახანის დუმილის შემდეგ უბასუხა ქალმა.

— რა თქმა უნდა!

— მაგრამ ჩვენ არ ვიცით ვინ იბრძვის ჩვენთვის და ვუღივართ თუ არა ცხრა გერმანელის სიცოცხლედ, ხვალ დილით ალბათ გავიგებთ. ხვალამდე დრო უნდა მოგვეცეთ.

კაპრალი ადგა და მეთაურთან წავიდა.

ჰანსი რომ დაბრუნდა, ლამენატებს და ბილიკებზე უღმერთოდ ნათრევ კლაუსს ფეხზე ეძინა.

დაჯექი, ბიჭო! — შეაღვიძა, ავტომატი მკლავზე გადაიღო, მაზარა მოიხურა და თვითონაც ჩამოჯდა.

ცაზე ვარსკვლავები ჩანდნენ, მაგრამ ამ ვარსკვლავებს ის სილამაზე არ ჰქონდათ, რაც თავის ქვეყანაში უნახავს. არ უფიქრია, რომ აქ უფრო ცუდად ანათებენ ვარსკვლავები.

შორს გრუხუნებდა და თვითმფრინავები ზუზუნებდნენ, მაგრამ ახლა ეს არ ესმოდა, დღეს თითქმის სულ არ გაუგონია შორეული სროლა, ალბათ შეაჩვია ყური, ან აქვე, ბილიკზე რომ ჯარისკაცები დახოცეს, იმიტომ არ ესმოდა, ყველას უწინ თავისი სატკივარი სტკივა.

დღეს კიდევ ორი კაცი დაკარგეს, ხვალ იქნებ მათი ჯერიც დადგეს. ისევ ახელა ცას, უნდოდა გამოეცნო მისი ქვეყნიდან ჩანდნენ თუ არა ეს ვარსკვლავები. რაღაც ვერ მიაგვანა. იქნებ აქ სხვა მნათობებია და იქ კიდევ სხვა?

შტუტემ იცოდა, იმ კლდეს, რომელზედაც ახლა იწვა და იმ ვარსკვლავებს, რომლებიც ზეცაში კიაფობდნენ, გერმანიაში ვერ წაიღებდა. ესენი ამ ქვეყნისათვის იყვნენ გაჩენილნი, მაგრამ ვიღაცას კი უნდოდა მათი წაღება და ჰანსი გამოგზავნა.

ტყვიამ კი არ იცის მტყუანი და მართალი.

მოულოდნელად სადღაც აქვე დაიგ-

რუხუნა და ჯარისკაცები ფეხზე წამოცვივდნენ. ისეთი მუქი ღრუბლები ჩანდა, პანსსაც კი გაუკვირდა, ასე უცრად საიდან გაჩნდნენო. ცაზე კი არა, სველი ნაბადივით მძიმე ღრუბლები იქვე, გვირაბის თავზე იდო, გრუხუნებდა და შავრი ნოტიო ნისლით იქვინებოდა.

თავი მეთექვსმეტი

ცაზე რომ ღრუბლები აირია, ბიჭებს ეგონათ ახლა ისარგებლებს მტერი და წამოვით, აბა მათ რა იცოდნენ ობერ-ლეიტენანტს რა ოქროს ზოდის ფასად უღირდა თითოეული ჯარისკაცი.

დაღლილი თუთარი მოდუნდა, ბილიკის თავს მიშტერებული ქუთუთოები დაუმშობდა, მაგრამ საკმარისი იყო გაფიქრება, არ ჩამეძინოსო და უცებ მოეჩვენებოდა ავტომატებით შეიარაღებული გერმანელები, რომლებიც გადმოსასვლელზე არ ეტია და თვალები უფართოვდებოდა.

შიში საზრიაანია და დიდი თვალები აქვს.

ვახომ გუას რაღაც უჩუროხელა, მერე უკან გაფორთხდა და თუთარს ტუჩი ყურთან მიუტანა.

— რას ამბობ, მაგ ცარიელ გოგრას გაგიხვრეტენ! — წამოიძახა გაოცებულმა თუთარმა.

— რას გაიხვრეტენ, არცერთი ცოცხალი არაა.

— სულელო, დაქრილი რომ იყოს!

— შუბლში ვესროლე.

— შენ შენი ქუჩით კი ესროლე, მაგრამ რა იცი...

— უკან წაიქცა და ისიც ვიცი, მაშინვე სული რომ არ გაეცხო, უკან არ წაიქცეოდა, იქვე ბილიკის თავში აგდია.

— ეთქვათ, მაგრამ შენ ორამდე თელა არ იცი?

— აგერ მეორეც, ვერ ხედავ?

— სად?

— აქვე, ა სულ ახლოს, ათ ნაბიჯზე. მე ათამდე თელაც კი ვიცი.

თუთარმა თვალი გააყოლა გუას თითს, რომელიც ბინდებუნდად ჩანდა, მაინც ვერაფერი გააჩნია.

— ქუჩის კოლოფო, რა იცი რომ მოკვდა?

— გუამ თავისი ვაჭრელებულით ფილთით ესროლა.

— დაპკარგეთ ქუჩა! ასე ახლოს რატომ მოუშვით.

— ვუცადეთ, სანამ მეორე არ მოადგა ბილიკის თავს, ამისათვის რომ მაშინვე გვესროლა, ორამდე თელა მართლა არ გვეცოდინებოდა.

— შე უბედურო, რომ დაესწრო, მერე რედა როგორ ისერიან რომ ეცოდეთ...

— ჩვენ შეღამებამდე მოვედი და, შენი ცხენი რომ ვნახეთ, წინ აღარ წავსულვართ, აქვე ჩავსაფრდი, გუამ არ დამიგვრა თუ არა მე მართლა შტერს კი ბინდოდა...

— რა გინდოდა, რა გინდოდა! — თუთარი წამოიწია.

ახლავე მანდ დავგდე და ფეხი არ მოიცივლო.

— დავწვები, დავწვები და დავიძინებ! — ვახომ ლოყა ბილიკზე დაღო წუხელ მაინც არ მიძინია, გუა კი ბუმბულში გორაობდა, ახლა დაივიროს თოფი და ქანოს თვალები.

— სოფელში გუას მეტი არავინ გინახავს?

— ვინ უნდა მენახა, მე ქუჩა მაინც არ მეკითხება, ბაბუასათვის ხომ არ უნდა ჩამომერთმია ხელი.

— გაჩუმდი, გაჩუმდი! შენგან მაგიც არაა ვასაკვირი...

ჭიხინი მოისმა და ბიჭებმა ხმა გაქმინდეს, ლოყა კონდახზე მიიბჯინეს.

— მე მგონია კაცი არ ჭიხინებს. — ცხენებია, — თქვა ვახომ და თავი ასწია.

— ცხენებია, და ენა ჩაიწყვტე. — გაბრაზდა თუთარი.

ერთხანს ხმა არ გაუღიოთ. ქარი ასისინდა და ცა ხელად ღრუბლებით დაიფარა.

— ამაღამ კი, მაგრამ დილით სადღა წაივალთ და მთელი სიცოცხლე აქ უნდა ვიწვეთ?

— ჩუუ! მალე გაწვიმდება და შენ მაშინ ნახავ!

— თუ ამ უღმერთო ღამეში ღრუბე-
ლი ჩამოწვა რაღას ვნახავ, ცხენებთან
მინც ჩავალ — ხმას ჩაუწია ვახომ —
სანამ ქვეყანა არ დაქცეულა, აქ მინც
არავინ მოდის.

— ცხენი შექვამა მგელმა, მაგის დარ-
დი გაქვს?

— მე არა, მაგრამ გუას ამლავს ორი
კაცის შუკა აქვს და სამგლედ არ გე-
ნანება? — ჩაიჩურჩულა ვახომ, მერე
ტუჩზე ორივე ხელი მიიღო და წინ გას-
ძახა — გუა მოიწი აქეთ და ამას უთხა-
რი რაიმე, დამაქვდა აგერ ამ ქვაზე და
საშველს არ მაძლევს.

გუა უკან მიუხედავად გამოხობდა.

— წავიდეს, — თქვა გუამ, — თუ
ხურგშიც გერმანელებია, სიცოცხლე
მინც არ გვიწერია.

ვახო მაშინვე გაქრა, როგორც კი გუა
თუთარს გვერდით მიუწევა. მადლიერმა
ბიჭმა მხარზე ხელი დაადო.

— გუა შენ მართლა აქ ხარ? სიოში
როგორაა?

გუამ თავი გააქნია.

— რა, არ გადარჩება?

— არა, კაცის მოკვლა იოლია, გა-
დარჩენა კი ძნელი.

ამ დროს ისე იქუხა, ბიჭებს გული
გაუსკდათ, ეგონათ ცა თავზე ჩამო-
გვექცაო. როცა კოკისპირული წვიმა
დაუშვა მაშინ დაიჯერეს, რომ ეს მე-
ხისცემა იყო და თავი ძლივს წამოს-
წიეს.

თავი მანჯიღობა

მთელი ღამე არ ჩაუქვრია ქორა
მახვს ყალიონი. მთელი ღამე ფეხზე
იდგა ხელიხელგადახვეული კოშკების
ძირას თავმეფარებული სოფელი. ძალ-
ლის ერთ შეყვებებაზეც მაჩუბების კა-
რებიდან ჭრაქის უღდეური სინათლე
გამოაჭიტებდა.

მთელი ღამე გრუხუნებდა და ცა ფე-
ხად ჩამოდიოდა. მთელი ღამე ბოლავ-
და ბაბუა ბესლანის ყალიონი.

მთაში ხშირია წვიმა, მაგრამ დიდხანს
არ გასტანს. იმ ღამეს რა ღვთის რისხვა
იყო, რომ არ იქნა და არ გადაიქარა.

მთელი ღამე ძრწოდა სოფელი რა-
ღაც უბედურების მოლოდინში და ვე-
რავის გაეგებდა მოხუცისათვის ნუგე-
შისცემა. გამთენიისას წვიმამ ერთი-
რად იმატა. ისედაც ცოფიანი მდინარე
სახლურებიდან გადმოვიდა და დაზაფ-
რულ სოფელს წაუღევით დაემუქრა.

გათენებისთანავე, როგორც კი წვი-
მამ იკლო, სოფლის თავში ქალი აკივლ-
და. ამას თითქოს ყველა ელოდა, რო-
გორც დიდი ხნის წინათ ლოგინად ჩა-
ვარდნილი მომაცვდავის გარდაცვალე-
ბას ელის სოფელი.

დიდი და პატარა, როგორც ერთი კა-
ცი და ქირისუფალი, გამოკვიდნენ
სახლებიდან და მშვიერ გაწუწუ-
ბულ ძაღლებს კარები დიად მიუტო-
ვეს.

სულ ჩაერეცხა და დაედარა წვიმას
ვიწრო ორღობეები და ნაკელისა და
შარდის სუნის მაგიერ ნოტიოსა და
გველის სოკოს სუნი დაეყენებინა.

უბედურების ადგილზე ყველაზე ბო-
ლოს ბაბუა ბესლანი მოვიდა. ხელები
გულზე ეწყო და პირში ისევ ყალიონი
ეჭირა.

ადიდებულ მდინარის გაღმა ბექგანი-
ერი ვაჟაკისოდენა ლოდისათვის
წყალს შავი ნაბადი მოეხვია და ახლა
ისევ წაგლეჯას უბირებდა.

ხალხი ხიდის თავამდე ამოტოტინე-
ბულ მდინარეზე გაცვივდა. წელში
ბაწარჩაბმული ბიჭი წყალში ნაბდის
ამოსატანად რომ ჩაუშვეს. სოფლის
ბოლოში კუტი ხვარამზე აკივლდა.
ცოდვადიდებულმა მდინარემ დამხრ-
ჩვალი ჯარისკაცი ჩამოატარაო.

ახლა დიდი და პატარა ქვევით დაეშ-
ვა. წყალში ჩაშვებული ბაწარჩაბმული
ბიჭი კინაღამ ღვთის ანაბარად მიატო-
ვეს.

სოფლის ბოლოშიც ყველაზე ბოლოს
მივიდა ბაბუა ბესლანი. ხელები გულ-
ზე ჯვარდინად ჰქონდა დაწყობილი
პირში ისევ ყალიონი ეჭირა.

კუტ ხვარამზეს თავი მოაჯირზე გადამოეცა. სქელი, გიშერივით შავი, დაუვარცხნელი, დაწეწილი თმა სახლის სამირკელამდე ჩამოეყარა და ორივე ხელის გაფარჩხული ათივე თითი „ცოდვაადიდებელი“ მდინარისაკენ გამოეშვირა, ახლო-მახლო კი აღარაფერი ჩანდა.

მამაკაცებმა თავში ხელი შემოიკრეს, ქალებმა ლოყა ჩამოიხოკეს. აღუღებელი მდინარე ქეასა და ლოდს ერთმანეთში ურევდა და ხარშავდა. ახლა ის თავის მსხვერპლს არავის დანებებდა.

წყალმა შინმოუსვლელების კვალი დაღობ წაიღო და თვალატირებული სოფელი დაკარგული შვილებისა და სტუმრის გზას გაჰყვა.

თავი მეთხრამეტი

ინათა, ერთიანად გაზუზული თუთარი უკვე იმ კლდეში იჯდა, საიდანაც წინა დღით სნაიპერები უშენდნენ ტყვიას. ზევიდან ხელის გულივით ხედავს ბილიკს ბიჭების სამალავამდე. მეორე მხარეს წყაროც გაარჩია. წყაროსთან შეეკაცებაზე თავის ცხენი მწვანე ხავსს წიწქნიდა. მალლიდან ორბის თვალბივით იყურებოდა გამოქვაბულები და კარგად ჩანდა ამ გამოქვაბულების წინა მოედანი. აწი იქიდან ბილიკზე სულიერი ფეხს ვეღარ ჩამოადგამდა.

ამ დილით გუას ეახო მარტო უნდა დაეტოვებინა და სიოშისათვის ჩაეკითხა. არავინ იცოდა წუხელ იმ ჯოჯოხეთურ ღამეში, მომაკვდავს რა დაემართა.

მზისფერი ცეცხლი წაეკიდა აღმოსავლეთს. აღრიალებული ხეებიდან თხელი, დაფლეთილი ნისლი მოიწვედა.

ამ ნისლმა ლოდებში გატრუნულ თუთარს ორი წლის წინ იმ გამოქვაბულებში გათეული ღამე გაახსენა. მაშინ თუთარმა არ იცოდა, რა იყო ომი და რა ეგონა, თუ იქ ღამეგათეულებს თოფით დაუდარაჯდებოდა. ორი წლის წინ იგი ცნობილი მონადირეების გვერდით იწვა და ძილი თვალზე არც მაშინ მიე-

კარა. ნადირობის წესით ახალბედა მონადირეს ჰქონდა პირველი ცხარტლის უფლება და არ უნდოდა დაეცა კლდეში. სვანი თუ კარგი მონადირე არაა, არც ნამდვილი სვანია. თუთარს მაშინ ძალიან სჭირდებოდა ზუსტი, უტყუარი გასროლა, როგორც ვუშინ, ბილიკის თავში თავისავე უწყინარ ფაშატს რომ თოფს უმიზნებდა. ორჯერვე გაუმართლა. კიდევ ერთხელ რომ გაუმართლებდეს, გუცა, თავი უგუნებლნი იქნებოდნენ — ბიჭი დიდხანს არაფერს შესთხოვს ჯგერავს და ნადირობის ქალღმერთს — დალის.

იმ ბედნიერ დღეს თუთარმა ყველაზე უწინ შეამჩნია მწვერვალზე ჯიხვის რქები. ჯიხვები ისეთი სიმალიდან ეშვებოდნენ, მათ რქებს ზევით მარტო ღმერთი თუ იყო. იმ დილით არწივებიც კი უფრო დაბლა ფრენდნენ, ხეებში.

თუთარმა დაჭრილი, მომაკვდავი ჯიხვი პირველად მაშინ ნახა. იგი მიწაზე ეგდო. მის გაფართოებულ თვალეზში არც მუდარა იყო, არც ტკივილი. ის არ დარდობდა, რომ დაჭრეს და მალე სიცოცხლეს გამოასალმებდნენ. მისი თვალეზი საოცარი შეუთრევებლობით უცქერდნენ ადამიანებს, ადამიანებს, რომლებიც თავს ადგნენ და ზევიდან დაყურებდნენ. მაშინ თუთარს არავისთვის არ უთქვამს, მაგრამ იფიქრა — დაჭრილი ჯიხვი რომ მალა, მწვერვალზე აეყვანათ, დამშვიდებული მოკვდებოდა.

თავი მეთხრამეტი

მთელი ღამე გადაუღებელი წვიმით ჩარეცხილი და ჩაქცეული ბილიკებიდან გუამ რომ მდინარემდე ჩააღწია, სადაც წყლის პირას, კლდის შერჩევაში, ნაბადში შეხვეული ჯარისკაცი დატოვეს, იქ არც ნაბადი დახვედრიო და აღარც დაჭრილი. წყალს ის ლოდებიც დაეფარა, რაზეც სულთმოპრძავი იწვა. გავეშებული ტალღები ახლა ტინის კედელს ეხეთქებოდა და წალეკვით ემუქრებოდა.

თავი პირველი

კოკისპირულად წვიმდა. გვირაბებს ზევიდან ჩანჩქერად ჩამოდიოდა ნიაღვარი და საყარაულოდ გასული ჯარისკაცი თავიდან ფეხებამდე გასაწური ხდებოდა. გამოქვაბულებშიც ტბორი იდგა.

ობერლეიტენანტმა შავი ღამე გაათენა. დილაშდე იჭდა მეთაური და დამძიმებული თავი ორივე ხელით ეჭირა.

ინათა თუ არა, ობერლეიტენანტმა თვითონ მოისურვა ქალებთან გამოლაპარაკება. კაპრალი გრძნობდა ამ „გამოლაპარაკებას“ კარგი არაფერი მოჰყვებოდა და იქაურობას გაეცალა. მოვიდას ღვთისმშობლის ხატით იყო, დიდ გვირაბში გავიდა.

ზურგანთაზე მიმხობილმა კარლმა მოაბრუნა თავი და ჰანსს თვალი ჩაუკრა, არ გაუცინია. ჰანსმა სახე აარიდა და გვირაბის წინ აფარებული ბრეზენტის ზევით დარჩენილი დია ადგილიდან ცას ახედა.

მორჩილა გვირაბში მეთაური მშვიდად აძლევდა ტყვეს შეკითხვებს, მაგრამ ეს სიმშვიდე მოჩვენებითი იყო და დიდხანს რა გასტანდა. ქალი ობერლეიტენანტს პასუხის დირსად არ თვლიდა, ან სათქმელი არაფერი ჰქონდა.

წუხანდელ ნაყარაულევ ვალტერს ეძინა. ავსტრიელი პაულუს კედლისაკენ პირმიტცეული იწვა, მაგრამ შტუტე გრძნობდა, თვალები ღია ჰქონდა.

პაულუს თავზე ბევრმა ბრძოლამ გადაიარა და სიკვდილის მეტი რა ენახა, მაგრამ შინც ვერ შეეგუა კლემენის დაღუპვას. ისინი უთუოდ ომამდე შეგობრობდნენ, სადესანტო ჯგუფშიაც ერთად მოვიდნენ. მუდამ მხიარულ პაულუს გუშინამდე არაფერზე არ ეტყობოდა, რომ სევდა ასე დაიპყრობდა.

დანიელი უხმოდ, გაუნძრევლად იჭდა. გვირაბის კუნძულში, სადაც ჰერი ყველაზე დაბალი იყო. მწირივით წამე-

ბული და სევდიანი სახე ჰქონდა. ფეხებში ცარიელი ქვაბუნა ედგა. ჰანსს შემდეგ ჯერაც არ აელო. მის ზურგთან მიძინებული კნოპის ხიხინიც არ ესმოდა.

ფერშალი აღფრედი გარეთ იყო ჩასაფრებული, რათა ფრინველის გადაფრენაც ობერლეიტენანტისათვის მოესვენებინა.

ქალების უცარი კივილი რომ ატყდა, ჰანსი ანგარიშმიუცემლად შეტრიალდა, მაგრამ მაშინვე გასასვლელი ვერ იპოვა და თავზე წამოდებული ბრეზენტი თან გაიყოლა, ვიღაცას ძლიერად დაეჭახა. დარეტიანებული უკან ბარბაცით წამოვიდა, გონს რომ მოეგო, ბრეზენტი ხელით გადასწია და სველ მოედანზე გაშლართული ობერლეიტენანტი დაინახა. ბრაზით ანთებულიმა მაქსმა უტეც წამოიწია, მაგრამ როგორც კი ოთხზე დადგა და ადგილმა დააპირა, ესროლეს, მეთაური ერთი შეხტა და დაეარდა.

თოფის ხმა ბილიკის ზევითა კლდისა იყო.

შტუტე გაწვა და წინ გახობდა. მას ნამძინარევი კნოპი მიჰყვა.

გვირაბისპირა ტინზე ჩამხობილი მეთაური გამოქვაბულისაკენ გამოათრის. შესასვლელთან ვალტერი და კარლი მოეშველნენ და როცა მეთაური ბრეზენტს შიგნით შემოიყვანეს, ფეხზე წამოყენება დაუპირეს, დარჩილ ობერლეიტენანტისათვის თოფი უკანალში დაემიზნებიათ, ტყვიას მენჯის ძვალი ჩაემტვრია და მარჯვენა გვერდში ნეტებთან გამოსულიყო.

ყარაულში უთქმელად წახობდა კნოპი და აღფრედი გამოქვაბულში შემოფორთხდა.

ობერლეიტენანტი მაზარაზე დაწვინეს. აღფრედმა მუნდირის სახელოები აიკაპიწა და ამოიღრინა:

— წყალი!

კუთხეში მიმჯდარმა დანიელმა ცარიელ ქვაბუნაში ჩაიხედა და თავის-

თვის ჩაილაპარაკა:

— ღმერთო ჩემო, არ არის წყალი ყველამ თავიანთი მახარები მოძებნეს, ქვაბუნაში გადაწურეს და აღფრედს დაუდგეს.

ჰანსი გავიდა. მორჩილა გვირაბის წინ ჩაცუცქულ კლაუსთან ორი ნახტომით გაჩნდა. მოეფარა. ბიჭი თვალბში შეაჩერდა, მაგრამ არცერთს არაფერი უთქვამს.

გვირაბის კუთხეში მიკუნჭულ ქალებს სახე არ უჩანდათ.

ბაუმანი დაბნეული იყო. მას იმდენად არ აწუხებდა ის რაც მოხდა, მაგრამ ვერ მიმხვდარა იყო, აწი რა მოელოდათ და ეს უფრო აშინებდა.

ამ წუთში შტუტემაც არ იცოდა ამ ამბავს კიდევ რა უბედურება უნდა მოჰყოლოდა. ბილიკი გაეხსნათ კი არა, ნობებიც რომ გაეგოთ, მენჯალაღწილი მეთათრის წაყვანა მაინც გაჭირდებოდა.

ობერლეიტენანტი ისეთი კაცი როდი იყო, თავი ყორნების საძიძვნად დაეტოვებინა და მისი ჭარისკაცებისათვის, თუ ამის საშუალება იქნებოდა, გზა დაელოცა.

სხვა დროს, ამ უცაბედი შეჯახებისათვის, რომელიც საბედისწერო გამოდგა, ჰანსი საკადრის პასუხს მიიღებდა, ახლა კი თუ ობერლეიტენანტი ამ ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევაზე კიდევ ფიქრობდა, კაპრალს უბატონოდ ხმის ვერავინ გასცემდა, მაგრამ ვინ იცოდა იმ წუთას რას ფიქრობდა მაქსი და ამდენ ნაომარსა და ნათრევ ნაცისტს რამდენი ეშმაკი უჯდა ჯირკვავით ჩასკვნილ გვაშში.

თავი ხორბა

ბედი წელში შეუვარდა ობერლეიტენანტს, კისრულით წამოიღო და ორივე ბეკით დააკრა ხალიჩას კი არა, — სიპ ქვას. პირდაპირ პანდურით ამოპკრა ტყვია უკანალში და მენჯის ძვალი დაუშხნერია. მაქსი მოდუნდა, კედლისაკენ ვალაბრუნდა, თვალი გამოქვაბულ-

ლის უსწორ-მასწორო კედელს გაუშტერა.

უკვე ყველაფერი გაქრა; დაწიბურება, მამულები, ჭილღო... რამაც აქ, ამ მიუვალ მწვერვალბში გადმოხვეწა.

ახლა მარტო ბედი კი არა, ჩინი — ობერლეიტენანტიც დასცინოდა მაქსს. ტყვიანაკრავ მაქსს, დაუძლურებულ მძორს, რომელიც გამოქვაბულის კედელთან იყო მიგდებული, როგორც ეზოს კუთხეში მიყრილი ძველმანების და ნაგვის გროვა, რომელიც დღეს თუ არა, ხვალ უნდა გაიტანონ...

მერედა სულ ერთი ცალი ტყვია მოხვდა მაქსს, ერთი კაკალი პაწაწინა ტყვია, ბომბი მაინც დასცემოდა, ან ავტომატის ჯვრით დაეცხრილათ. რამდენი ათასი ტყვია გაუსვრია ობერლეიტენანტს და აქამდე არ უფიქრია, არ უფიქრია, თორემ იცოდა ტყვია თავწამახვეული, ბრჭყვიალა, თითბერგადაკრული სათამამო არაა. ახლა ფიქრობს და ხედავს, რომ ამოდენა ქვეყანა გაქრა. ახლა აღარც მის გვერდითაა ვინმე, არც ზურგსუჯან. დარჩა მარტო ეს ერთი მტკაველი მანძილი, რაც მის ცხვირიდან ამ უსწორ-მასწორო ტიხის კედლამდეა. ახლა ამასაც ვერდებოდა, ამ ერთ მტკაველს ცხვირიდან კედლამდე, მაგრამ მენჯის ძვლის გარდა ცუდად ხშიანობდა გვერდში ნეკნებთან შეშუპებული ნატყვიარი... თუმცა ეს უკვე სულერთია. აქ, ამ დაწყევლილ ბილიკებზე თუ შენი ფეხით არ შეგიძლია სატანასავით ხტომა, მაინც დაღუპული ხარ. ბანაკი რაც შეიძლება მალე უნდა აიშალოს, ვინც გააღწევს უნდა წავიდეს და თავს უშველოს, მაქსს კი ბარე ორი დღე გამოუვლის, სანამ მისი დაღუწილი მენჯი ფეხზე დადგომის საშუალებას მისცემს...

მერე და სულ ერთი პაწაწინა, ფრჩხილისოდენა ტყვია კი იყო...

მაქსს იმდენადაც კი არ გაუშარტოდა, თუ აქ დაღუპვა ეწერა და ამას ვერ აცდებოდა, ბარემ ისე მაინც მოხვედროდა, რომ მაშინვე გაეთავებინა.

მაქსი სხვა დროსაც დაფიქრებულა.

დაფიქრებულა თავის ბედზე, რომელიც ასე დაუნდობლად და შეურთებლად თან სდევდა. მაქსს აუწონ-დაუწონია რაც გაიარა, რა ხიფათსაც გადაყრია, რამდენი ავი და კარგი უნახავს და უფიქრია, ასეთ ვარსკვლავზე დაბადებულს რა შეიძლებოდა მოსვლოდა მომავალში. მაქსი ბედზე მინდობილი კაცი არ იყო, მას თავისი მოსაზრებები ჰქონდა და ზოგჯერ წინდაწინაც კი ხედებოდა, სანამ შეიძლებოდა მიეყვანა მის ავბედითობას.

მაქსს აქამდე რატომღაც სჯეროდა, რომ ის ბედს ჰირდებოდა. ჰირდებოდა, როგორც მოწინააღმდეგე, თუ მეტოქე. მეტი რომ არაფერი, გასართობად, თავშესაქცევად მაინც და მისი ვარაუდით, სასიკვდილოდ არ უნდა გაემეტებინა... მაგრამ ახლა ხედავდა, რომ ბედისწერის წინასწარი შეცნობის ყოველგვარი ცდა ამო ყოფილა. ბედი ბრმაა, მისთვის რაიმე კანონი და წესი არ არსებობს. ისე, როგორც ფარაში შევარდნილი მგელი არ არჩევს მრუდსა და მართალს, ანდა ბედს მოსწყინდა ეს თამაში, ან თავშესაქცევად აღარ ეცალა და მაქსი მოიცილა. მოიცილა, მაგრამ მისი სიკვდილი მაინც გაიხადა სათვალსეიროდ. თუ აქედან დაიძრნენ, ძალიან გულითაც რომ უნდოდეთ, მეთაურს თან ვერაფერ წაათრევს.

მაქსს შეეცვდა...

უნებურად ესმის, როგორ მიმოდინა ჯარისკაცები მის ზურგსუკან. მათ ნაბიჯებში იგრძნობა, რომ აქ არის მაქსიც, მაგრამ უკვე არა როგორც უფროსი, რომლის შიში აქვთ, არამედ ავადმყოფი, მომაკვდავი... ჰრილობას შეუხვევენ, წყალს მიაწვდიან, როგორც უკანასკნელი სურვილის ასრულებას...

მაქსი არავის არ უყვარდა, მაგრამ ეშინოდათ და სძულდათ. ახლა აღარავის აღარ სძულს, მაქსს უკვე ყველაფერი აპატიეს. ალბათ იმ ალქაჯმა ტყვე გოგომაც კი აპატია, მაქსმა სახეში რომ სთხლიშა. ვერ აიტანა ქალების ქედმაღლობა და დუმილი. მაქსი უფრო იმან გააცოფა, რომ ტყვეები მიხვდნენ,

გერმანელები ნაფანგში მოექცნენო... მერე კი გაბრაზებული გამობრუნდა. ინჭარა, უნდა გადაერბინა ის ხუთიოდე ნაბიჯი, ან ზოხვით წამოსულიყო. ბოლოს იყო და, ვიღაცას შუბლით შეასკდა, ამას არ ელოდა და წაიქცა. წაიქცა და ბრახმა თავგზა აუბნია. წამოიწია, წამოიწია და... ტყვიის ხმა არ გაუგონია. ტყვიის ხმა თუ გაიგონე, ნულარ გეშინია.

დაეცა და მაქსში შურისძიების გრძნობაც მოკვდა. მას ახლა აღარც მტერი ჰყავდა და აღარც მოკეთე. აღარც სამშობლო ჰქონდა და აღარც რაიმე ქონება. მაქსს დარჩა ერთი მტკაველი სივრცე მისი ცხვირიდან ამ ტინის კედლამდე, ესეც დროებით, ძალიან ცოტა ხნით...

მაქსი იქნებ მართალი არ იყო და იმიტომ, მაგრამ რაა ეს სიშარბლე, რატომ აქამდე არ უძებნია, იქნებ ის ცოცხალ ადამიანს არც უნდა და მხოლოდ სიკვდილისთვისაა საჭირო?..

ობერლეიტენანტი... მაგრამ ის ახლა არავითარი ლეიტენანტი არ იყო, არც ჯარისკაცი, არც მოქალაქე, აღარც არავინ, მაქსი ერქვა მხოლოდ იმ მძორისა და ძველების გროვას, კედელთან რომ ეყარა.

ჰანსმა ყარაული შეცვალა, მაგრამ მეთაურმა უკვე აღარ იცოდა, ვინ დარჩობდა აქამდე, ან ახლა ვინ გაგზავნეს. მაქსს აღარაფერი ჰქონდა დასაცავი და საღარაჯო. ყარაულში გადიოდნენ ისინი, ვისაც კი სჭირდებოდა, ვისაც რაღაცის დაქარგვა არ უნდოდა.

ჯარისკაცები ახლა მეთაურისადმი სხვანაირ შიშსა და რიდს განიცდიდნენ. ამ შიშსა და რიდს მაქსიც გრძნობდა იმისადმი, რაც მის სხეულში შემოძვრა და თავისი ტყავიდან გამოდენას უშირებდა. მას სხეულში ვიღაც სხვა შემოუსახლდა, მაქსის ტოლი და ორივეს უჭირდათ იმ ტყავში ჩატყვა, რაც ერთისათვის იყო საჭირო. უჭირდათ და ტკიოდათ, ყველაზე მეტად მენჯთან, რადგან ორი მენჯი არ ეტეოდა ერთის ადგილზე. მეორე უფრო ღონიერი იყო,

მაქს ავიწროებდა და ზევით, მუცლის ღრუსაკენ ერეკებოდა.

დაჭრილი თვალსა და ხელს შუა სივდებოდა....

თავი მესამე

კარალმა ყარაულში დანიელი გაუშვა და დანარჩენებს გამოქვამულიდან თავის გამოყოფა აუკრძალა. დანიელი ხოხებით წაივლია გვირაბისპირა მოედანზე და იქ, სადაც ბილიე იწყებოდა, ლოდის ძირში ჩასაფრდა. იწვა ეს გერმანელი გლეხი ამ ცივი ლოდის ძირში და შიშველ კლდეებს უთვალთვალებდა. დანიელს ევალებოდა ყოველი ქვისთვის და ყოველი კენჭისთვის მზერა არ მოეცილებია, მაგრამ თვალი მაინც ცისკენ გაეპარებოდა, გაეპარებოდა რაკი მისთვის ყველაფრის სათავე მამაზეციერი იყო. არაფერი არ ხდებოდა ღვთის გარეშე. ამ ქვეყნად ყველაფერს უფლის ნება განაგებდა. ღმერთის ნდობდა დანიელი. ნდობდა და... ერთი რამ მაინც უყვირდა, ამაზე ფიქრს ვერ ბედავდა, მაგრამ ხომცა ჩუმად, გულთამხილველის ნამალავად რაღაც საშინელს გაივლებ გუნებაში, იცი, ამაზე ფიქრი მკრეხელობაა და დანიელიც ცათა მპყრობელის ნაჩუქრად თავის თავს ეკითხებოდა: რა უნდოდა აქ ამ გაჭირვებულ, ოთხი ქალიშვილის პატრონ გერმანელ გლეხს, როცა მისი ძვალტყავა და სნეული ცოლი ალბათ ყოველდღე ლოცულობდა, რომ შეიღებებს მამა დაბრუნებოდა. უმცროსი გოგონა კი... წელს სკოლაში მისაღები იქნება, თუ ისევ არ ავადმყოფობს. ღმერთმა უკეთ იცოდა, რა იყო საჭირო დანიელის ოჯახისათვის. რაც ობერლეიტენანტი სასიკვდილოდ დაჭრეს, აღარც შინ წასასვლელი გზა იყო, აღარც უკან და სალაციდან გაჩნდა ეს ღვთის მგობი აზრი, არ უნდა გაჩენილიყო, მაგრამ გაჩნდა. მეუფეს უთუოდ დანიელის გამოცდა უნდოდა, მაგრამ იმ დალოცვილმა ზომ იცოდა, — როცა ცოლი მეოთხე შეიღს კინაღამ გადაჰყავა, ღვთის

აუგი არ უთქვამს, ერთი ვაჟიშვილი არ აღირსა — არც ამისთვის უსაყვედურია, სოფელში მასზე ღარიბი და გაჭირვებული არ იყო და გამჩენს არ უჩიოდა. მერე ჯარში გააგდეს, დაიჭრა, მეორედ შეუშუშებული ჭრილობით გააბრუნეს ფრონტზე; დნებარში კინაღამ დაიხრჩო, გონს რომ მოეგო პირველად უზენაესისადმი სამადლობელი ეთქვა, ამ ბოლოს ერთი-ორჯერ თვითმფრინავში ჩასვეს და ძირს ბელტივით გადამოაგდეს, მერე კი ამ მთებში გადმოისროლეს, ასე დამპალი ვაშლი არ გადაუგდია არასოდეს დანიელს. ახლა აგერ ლოდთან ზის და ზევიდან უყურებს ყოვლის მხილველი, რას იზამს დანიელი, უარყოფს შემოქმედს თუ არა, რატომ ჭირდება და დანიელს ამდენი გამოცდა, რატომცაა ღმერთი ასე დაეკვივებული, გაუგებარია.

დანიელის უფროსი ქალიშვილი მეჩვიდმეტე წელიწადშია და გერმანიიდან რაღაც სხვა ხმები ისმის. რა თქმა უნდა, მოგონილია, ჰორი იქნება, მაგრამ მაინც ძნელია ამის გაგონება მამისთვის. „გერმანელმა ქალებმა გერმანია უნდა ამრავლონო?“ როგორ? უქმროდ? ჯვრის დაუწერლად? არა, ეს არ მოხდება, ამას ღმერთი როგორ დაუშვებს, მაგრამ ჰორიც არ უნდა თქმულიყო. ასეთი ჰორი არ უნდა გაჩნდეს, რომელიც ღვთის ნებას ვმობს.

დანიელმა პირველი გადაიწერა:

— ღმერთო, ძლიერო!

თავი მეოთხე

შტუტე ნახევრად ზურგით იდგა მომცრო გამოქვამულის გამოსასვლელთან. მის საპირისპირო მხარეს ბაუშანი ჩაცუქქულიყო და ქვის ნატეხით თავის ფეხებთან კლდის იატაკზე უსწორმასწორო ხაზებს ავლებდა. ჯარისკაცები, რაც ობერლეიტენანტი დასჭრეს, ერთმანეთს ხმას აღარ სცემდნენ, ყველა თავის თავში ჩაიკეტა. ჰანსი იმ ქალს გერმანულად რომ ლაპარაკობ-

და, თუ ომთან არავითარი საერთო არ ჰქონდა, რატომღაც თვალს ვერ უსწორებდა. ის ალბათ ფიქრობდა: ჰანსმა წინასწარ იცოდა რა განზრახვით წამოვიდა მათი მეთაური. იცოდა და დაიმალა, არ გამოექაშა. ამ ქალებს ახლა რაც აქ გერმანელი ყველა ერთნაირი ჰგონია, — შტუტემ ბაუმანს გადახედა, საყვლოში ამომძვრალ მის წვრილ კისერს და მუნდირში ამოჩრილ მხრის სუსტ ძვლებს დააჩერდა.

— კლაუს, — ხმადაბლა თქვა ჰანსმა. ბიჭისკენ არ გაუხედავს.

— გისმენ, ჰანს!

კაპრალმა ხელით ანიშნა, მომიახლოვდით.

ბაუმანი დაცუცქეული წამოვიდა. ჰანსმა კუთხეში მიდებულ ზურგჩანთაზე ანიშნა. კლაუსმა ჩანთას შეხედა, მაგრამ რა უნდა გაეკეთებია ვერ მიხვდა. ჰანსმა ტუჩი ყურთან მიუტანა.

— ამოიღე ჩანთიდან კონსერვი, შაქარი და ორცხობილა... — თავით გვირაბის სიღრმისაკენ ანიშნა. — მიეცი, ჰამონ! — თვითონ წამოიწია, ერთი ნახტომით მეორე გვირაბის შესასვლელთან გაჩნდა, ბრეზენტს მიეფარა.

ბაუმანმა ჩანთას თავი მოხსნა. ამოღავა რაც უთბრეს და გვირაბის სიღრმეში შევიდა. გოგონას თავი ქალიშვილის კალთაში ედო. საულვაშეზე და ნიკაპზე სისხლი მიხმოზოდა. ბიჭმა საჭმელი ერთხანს ხელში ატრიალა, მერე კონსერვზე ორცხობილები დადო, ორცხობილებზე შაქრის ნატეხები და უკან გამოდგორხდა. თავის ჩანთა მიათრია ტყვეებთან, ჩანთაში ჩაჩურთული ხარახურა ხელით დატენა, გაასწორა და ყველაფერი ზედ უნდა დაეწყო, რომ მოაგონდა, თუნუქის ქილისათვის თავი უნდა მოეხსნა. საჭმე რომ გაუჩნდა, თითქოს გაუხარდა. ერთიორად მეტი ღრთ მოანდომა, ვინემ სკირდებოდა. რალაციის თქმაც უნდოდა. ვერაფერი თქვა და უკან გამობრუნებაც ვერ მოახერხა.

— რა გინდა შე საცოდავო! — თქვა ქალომა.

— არაფერი, ფროილიან, არაფერი — თვალი გარეთ გააპარა და დაიხურჩულა — მაგრამ თქვენ იცით?... თავი მოაბრუნა და წვრილი კისერი წამოიგრძელა — „ის“ თქვენებმა დაქრეს.

— ვიცით.

— ცუდადაა, ძალიან ცუდადაა, ალბათ მოკვდება... — თავი გადააქნია მან, ხეირიანად არც კი იცოდა, ამას რისთვის ამბობდა — აგერ, კონსერვი გაციხსენით!

— არ გვინდა. — ცივად უთხრა ქალომა.

კლაუსმა უკან დაიწია და ისევ გამოსასვლელში ჩაცუცქდა. რითაც ადრე ხაზავდა, ის ქვის ნატეხი მოძებნა და ახლა ჩექმის წვერზე დაიკაჟუნა.

ქალი მიაჩერდა ამ უმწიფარ ბიჭს და ახლა, როცა ასე სძაგდა ყველა ჯარისკაცი, მაინც შეებრალა.

ჰანსი დაბრუნდა და ისევ ძველ ადგილზე ჩამოჯდა. კლაუსს ერთი გადახედა, მერე წარბები შეიკუმუხნა და ჩაფიქრდა.

დიდხანს ხმა არავის გაუღია, ამდენი დუმილი ბიჭისათვის ძნელი იყო და თქვა:

— ჰანს! — მერე გვერდით აფარებულ ბრეზენტს მიაჩერდა და ხმას კიდევ უფრო დაუწია.

— ჰანს, ობერლეიტენანტი რას ამბობს?

შტუტემ მოგვიანებით უპასუხა.

— არაფერს არ ამბობს, კლაუს, ობერლეიტენანტი.

— აბა რა ექნათ?

ჰანსმა თავი გადააქნია.

— მე შენთვის მინდოდა მეკითხა.

— ჩემთვის?!

— ჰო, შენ რას იტყოდი?

ბაუმანმა სუსტი მხრები გაიჭინა და ჩექმის სრულ ყელში მუშტი ჩადო, რომელშიც ქვა ეჭირა.

კაპრალმა იცოდა, ქალს ესმოდა მათი ნათქვამი, მაგრამ ამას სამხედრო საიდუმლოების გაცემად არ თვლიდა, ან თუ გაცემა იყო, ამით არაფერი არ იცვლებოდა. ეს ამბავი ქალებისათვის

კი ერთგვარი ნუგეში იყო, თუ მტერს, რომლის ტყვე ხარ, თვითონაც არა აქვს საქმე სახარბიელოდ, ამაზე უკეთესს ვერ იხატრებ.

თავი მესამე

სიოში რომ წყალმა მოსტაცათ, ბიჭები მთლად შურისძიებად იქცნენ და უკვე მერამდენე ღამე იყო, მტაცებლებივით ანთებული თვლებით ბილიჯზე ელოდნენ მტრის გამოჩენას და არავინ ჩანდა. მოლოდინი ტანჯვა-წამებად იქცა.

ინათებდა თუ არა, ერთი მათგანი მაღლა მიფოფხავდა, რომ კლდეზე ჩასაფრებულყო და ფრთხილი, წინდახედული მტრისათვის მაშინვე სული გაეფრთხობინებინა, თუ გვირაბიდან თავს გამოჰყოფდა. დღისით ორი ბიჭი თავისუფალი იყო. შეეძლოთ ცხენები-სათვის მიეხედათ და შორიგეობით თვალს მოეტყუებინათ.

გუშინ თუთარმა ვახო აიყვანა მაღლა, გზის ჩასაქეტად და ათასჯერ გააფრთხილა, არ აჩქარებულობო და თავი არ გაეცა. თოფი სულ ხელში არ უნდა სტყოს. ლოდებს შორის მახათის ყუნწის ოდენა გასახედიდან ეღვევებინა თვალყური და თუ გერმანელები აიშლებოდნენ, ან ვინმე თავს მოიძულეებდა და ჩამოსვლას დაპირებდა, დამიზნებას და სროლას ყოველთვის მოასწრებდა. როცა ქვევით ჩამოდიოდა, ხევგალმა, მწვერვალეებში, ვიღაცა მოეჩვენა, დიდხანს უდარაჯა, მერე ველარსად დალანდა. ბილიჯზე რომ დაბრუნდა, გუა აიყოლა. თავქვე დაეშვნენ.

გზად, იქ, სადაც ბილიჯი უხვევდა, მკვდარი გერმანელი ისევ გულადმა ესვენა, უფსკრულისაკენ თავგადაკიდებული. ქვევით მერე ჩამოხობილიყო, კარგად შეკრეჭილი ქერა თავი უჩანდა. მზეზე ნავდები გასიებულიყო და სიციცხლეში შორეულ საყელის ზევიდან გადმოჭდომოდა გალურჯებული სქელი კისერი...

ხევში გადამალულ ცხენებთან რომ

ჩავიდნენ, მერე გზას ამხედრებულნი გაჰყვნენ.

თუთარმა იცოდა, როგორც ყოველგვარად მოუვლიდნენ და გამოქვაბულებს გაუსწორდებოდნენ, გერმანელ პარაშუტისტს დაინახავდნენ, გაღმა მწვერვალის კედელზე რომ იყო მიკიდებული.

თუ მტრის ახალი დესანტი არ ჩამოსხეს აქეთ არავის არ უნდა გაეელო. უღელტეხილის მხარეს ყოველთვის დაფრინავდნენ ჩვენი თუ მტრის თვითმფრინავები და ბომბავდნენ, რომელიც ყრუ გუგუნად აღწევდა, მაგრამ ამ ახლო-მახლო არავინ გამოჩენილა.

ცხენები უფსკრულის პირს მიყვებოდნენ, ზოგჯერ მდინარემდე ჩადიოდნენ, რომელიც იმოდენა მსხვერპლის მერე თითქოს ცოტათი დაშოშმინდა. მხედრები ხშირად წყალდაწყალ მისდევდნენ აღმართს.

მზე მწვერვალეებზე ავიდა, როცა ბიჭები ალლოთი მიხედნენ, რომ გამოქვაბულებს გაუსწორდნენ. ის კედელიც თავზე წამოადგათ, სადაც თუთარის ვარაუდით პარაშუტისტი ეკიდა, მაგრამ კედელი ცარიელი იყო.

ცხენები შეაჩერეს. თუთარმა მწვერვალს ახედა, თვალთ ის ქიმი მოძებნა, სადაც პარაშუტი იყო გამოდებული. ბიჭმა იცოდა, გერმანელი მკვდარი იყო, მაგრამ ცოცხალიც რომ ყოფილიყო, იქედან სტვის დაუხმარებლად მაინც ვერ ჩამოვიდოდა.

— გუა! — ზევით აახედა თუთარმა, — აი, იქ ეკიდა.

გუამ თვალი ააყოლა მის ხელს და თავი გადააქნია, არაფერი დაუნახავს. მდინარის გაღმა ლოდებსა და ჩამონაშალ მსხვილ ლორღებს იქით ცხენოსნები აქედან ვერაფერს გაარჩევდნენ. გაღმა გავიდნენ. თუთარი ჩამოქვეითდა. ცხენის ლავამი უნაგირის ტახტას მოახვია და ლოდებზე გადაიბრინა.

კელამდე მისვლა არ დაჭირებია. უშველებელ ქვევში სოლივით იყო ჩაჭდილი მწვანე მუნდირიანი, უკვე ვახრწინილი გვამი. მიცვალებულს პარაშუ-

ტი, იარაღი და ზურგჩანთა თან აღარ ჰქონდა.

თუთარს ისევ ექვმა უკბინა. მერე იქვე ჩამოჯდა და დაფიქრდა. როცა უკან მოიხედა, გუა აღარსად იყო. იგი მდინარეს აღმა მიყვებოდა.

ცხენზე რომ შეჯდა დაინახა, გუა გამოჭვავბულის თავზე აღმართულ მწვერვალს ხევიდან მიდგომოდა და შვეულ კედელზე ასავლელს ეჭებდა. თუთარი მიუახლოვდა, გუამ ხელი ხელს დაჰკრა.

— ამ კლდეზე უნდა ავიდეთ!

თუთარმა მწვერვალს თვალი ააყოლა. შეიძლებოდა თუ არა ასულიყო აღამიანი ამ ციცაბოზე?

— ვთქვათ, ავედით!

— არა, უნდა ავიდეთ!

— მერე!

— მეტი არაფერი, ავალთ და მორჩა!

— არ მესმის, — თავი გადაიქნია თუთარმა და ცხენი მოაბრუნა.

— ავალთ და პირდაპირ თავზე მოვექცევით გამოქვაბულებს!

— რა თქვი!

— თავზე მოვექცევით გამოქვაბულებს, ზევიდან დაეჯდებით... ისინი კი ვერასოდეს სანიშნედ ვერ მოგვიხელთებენ.

ისევ ახედა მწვერალს და გუას ნათქვამი ჰკუთაში დაუჭდა. თუ ამ შვეულ კედელს აველიდნენ და მტერს ზევიდან მოექცეოდნენ, იქედან თავდასხმა ბევრად ხელსაყრელი იქნებოდა.

ცხენს მათრახი გადაუჭირა და თავქვე დაეშვა. არ უნდოდა გუას ჩაეკითხა რა დაემართა პარაშუტისტს და ვინ აჰყარა იარაღი.

თუთარმა არ იცოდა, ეს აბი იყო თუ არა, მაგრამ ვიღაც საეჭვო კი დადიოდა მწვერვალზეში.

გუამაც მიუშვა თავისი ნისლა ცხენი და დაწინაურებულ მხედარს გამოუდგა

ბიჭებისათვის ძნელი მისახვედრი, არ იყო, რომ სოფელი სტუმარი ქალისა და სამი მკვიდრის დაკარგვას გულხელდაკრეფილი არ შეხვედებოდა. ამით სიომიცი ემატებოდა. მართალია, მას ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა, მაგრამ უწინარეს ყოვლისა, ისიც მათი სისხლბორცი იყო. ამას გარდა, გუას სოფლიდან გაუჩინარებაც ღიბხანს არ დაიმალეობოდა.

სოფელში ის რჩეული ვაჟკაცები აღარ იყვნენ, მაგრამ კაცის სახსენებელი რომ სულ გაწყვეტილიყო, ქალები — დედები ამხედრდებოდნენ, პირველს გადაიწერდნენ, ჯგერაგს — წმინდა გიორგის, შველას შესთხოვდნენ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ შვილებსა და სტუმარს ღვთის ანაბარა არ მიატოვებდნენ.

მეორე დღეს საღამომდე გზისაკენ ექნებოდათ თვალი, დამით კი, რაკი ცა კინაღამ ჩამოიქცა, ძილგატეხილებს დილამდე იმედის ძაფი არ გაუწყდებოდა, მაგრამ როცა ისევ ინათა და ამბის მომტანი არაფერი გამოჩნდა, მაშინვე გაიტენებოდა თოფი, ცხენებს ნალეებს გაუსინჯავდნენ და მოსართავს გაწყვეტამდე მოუჭერდნენ. გზას დაადგებოდნენ, მაგრამ სოფელში არაფერი იცოდა, საით წაიყვანა სიომმა თანამგზავრები და რა ხიფათი შეემთხვათ. იმდამინდელ ნაკვალევსაც კოკისპირული წვიმა და ღვართქაფი ჩარეცხავდა და ამდენ მწვერვალზეში, მონადირის ერთ ბილყს ადევნებულნი და მიუვალ გამოქვაბულის კარებთან ჩასაფრებულნი სამი ბიჭის მიგნება არაფერს შეეძლო. ამ ამბავზე ბიჭები გულდამშვიდებულები იყვნენ, მაგრამ სავალალო და თავსატეხი სხვაც ბევრი ჰქონდათ. იცოდნენ, რომ არცერთი გერმანელი, რომელსაც პირში სული ედგა, გამოქვაბულს გარეთ არ დარჩენილა, მაგრამ ქალების თაობაზე ვერაფერი გაიგეს. თუ ისინიც მოძალადეს გამოქვაბულში ჰყავდა გამოკეტილი, ამას ალბათ ის ჭობდა,

აღარც ერთი ცოცხალი არ ყოფილყო.

იმ დღეს, თუთარმა რომ ტყვია გაისროლა და მტერს ერთი წაფორხილება საბედისწერო გაუხდა, ვახომ და გუამ საგულდაგულოდ დაიარეს ხევის პირები, სადაც კი თვალი მიაწვდინეს, ქვა არ დაუტოვებიათ გაუსინჯავი, არც უფსკრულებს და ჭურღმულებს დარიღებთან და მაინც ვერავეითარ ავბედით ნიშანს ვერ მიაკვლიეს.

აღმზინი სანამ უბედურებას თავისი თვალით არ ნახავს, იმედს არ კარავს.

თუთარმა კი თავისი თვალთ დაინახა, რომ გერმანელს ტყვია მოარტყა, მაგრამ ვერ გაიგო რა მოხდა. იგი კარგად ხედავდა გამოქვამულის წინ სირბილით გავლილ ჯარისკაცებს და არაფრით თოფის დამიზნება არ ესწრებოდა, მაშინ კი, ის შავდღიანი გამოქვამულში არ შეუშვეს, თუ ვილაცამ უკან უბიძგა, მოედანზე დაეცა, თვალს მოეფარა, თუთარმა თოფი გაუსწორა, მაგრამ არ ეგონა თუ წამოდგებოდა, მოულოდნელად წაქცეული ოთხზე დადგა, ბიჭმა აღარ აღროვა და ჩახმახს ფეხი გამოუშალა, ტყვიანაკრავი შეხტა და დაეცა. ასე არ მოხდებოდა, ნასროლი რომ მიზანს აცდენოდა.

თუთარი მას აქეთ ამაზე ფიქრობდა. ვერაფრით ვერ გაეგო, რატომ ჩაიდინა ეს ფრთხილმა და გამოცდილმა მტერმა. რატომ მუცლით არ გახობდა და თავს არ უშველა?

სალამოს თუთარი ქვევით რომ ჩამოვიდა, ვახო უკვე ბილიყის თავზე იჯდა თოფომარჯვებული. ძმისთვის ერთი სიტყვა არ უთქვამს. ვახოსთვის ძნელია უთქმელობა. ნამეტანი დაღლილი და ყურებჩამოყრილი იცქირებოდა მტრის მხარეზე. გუა მერე გამოჩნდა. ცხენები ჩაეყვანა ფლატის პირას ორთაოღრთ მდელაზე და საბალახოდ დაეტოვებია. შებინდებისას გუამაც აიღო სიოშისეული კარაბინი და წელზე ხელსუშობარა დაიკიდა, თუთარს თავი დაუქნია: მე აგერ ვართ. თუთარმა ნა-

ხევრად სველი ნაბადი ლოდთან მიათრია, შიგ მოიკუნტა, ჭერის პურის ნეტები გაღეპა, მერე ვითომ ძილი დააპირა, მაგრამ თვალი მოხუჭა თუ არა, მაშინვე ენგურის გაღმა შვეულ ტინზე დაკიდებული პარაშუტისტი მოაგონდა... უკვე მალე დაღამდებოდა და გერმანელები ალბათ ისევ ეცდებოდნენ თავის დაღწევას. ჩამოხნულა, ცაზე ვარსკვლავები აინთო, მაგრამ ვარსკვლავებიც ბიჭებივით შიშნაჭამი კრთოდნენ და ცახცახებდნენ. მწვერვალები კი გაშავდნენ, გაავდნენ და მდინარის გუგუნს და შორეული სროლის ვრუხუნს ყური მიუგდეს. მთელი ღამე შუბლი არ გაუხსნიათ მთებს. განთიადზე სიბნელე მოიცილეს, მაგრამ გულისწყრომა ვერ დაიცხრეს და პირქუში ჯანლი მოახვიეს. სამივე შურისმაძიებელი გრძნობდა, ამ ლოდით მძიმე ღამის გათენებას უკეთესი იყო, ბარემაც ის წყეულები გამოჩენილიყვნენ.

გათენებისას კოკისპირული წვიმა დაუშვა და სქელი ნისლით აივსო ხეგები და მწვერვალები.

ბიჭებს გუმანი ჰქონდათ, ასეთ ამინდში მტერი ვერ გაბედავდა გვირაბისპირა ბილიკზე ჩამოსვლას, მაგრამ ეშმაკს თვალი არ უჩანს, იქნებ იმ ოჯახდაქცეულებმაც ამ რძესაგით ნისლში მოინდომონ თავის შველა და რას აძირებ. უკვე აღარაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა, ამან კიდევ უფრო დააფრთხო ისედაც ძილგატეხილი და აძიგძიგებულ ბიჭები.

წვიმამ ერთიანად ჩამორეცხა კლდეები და ბილიკები. აყეფდნენ ნიღვრები, ხეგებში ღორღი ჩაიტანეს, მდინარე აღრიალეს.

მთები წყრებოდნენ... კარგად რომ მისინათლდა, გადაიყარა, მაგრამ უღმერთოდ ციოდა და ჯანლი არ ჩქარობდა ხეგების მიტოვებას.

ბილიყის პირზე გახუხული, მიკუნტული ბიჭები ლოდებს ეფარებოდნენ და დაღლილ, დაწითლებულ თვალებს მხოლოე ნისლს არ აცილებდნენ.

ბურუსით თავშეხვეული მთები გულისწყრომას ველარ ფარავდნენ.

თავი მუხვი

ნადირების უმრავლესობა ტყვეობაში კვდება, გარეული ფრინველები თუ პატარაობიდანვე ვალიაში არ გაზარდენ, უეჭველად დაიღუბებიან. ადამიანი კი ძლებს, ძლებს, როგორ უხეშადაც არ უნდა მოექცე, ძლებს მშვიდ-მწყურვალად, შეურაცხყოფილი და შეგინებული.

ღამით, როცა თავის ჩაეძინებოდა, ტინის კედლისაკენ პირშექცეული გუცა ნაბაღზე ლოყას დაადებდა და ცრემლები თავისთავად ჩამოდიოდა.

ქალს ვერ გაეგო რა მოხდა, ვის დასჭირდა. სიზმარივით ახსოვდა, ღამით ცხენოსანი მოვიდა იმ ოჯახში, სადაც ის ცხოვრობდა. მერე მან გაიგონა, რომ ოჯახის უფროსმა გოცეებით ახსენა მდგმურის სახელი და გადაჭრით იუარა.

გუცამ იცოდა, ქალები ფრონტზე იბრძოდნენ მამაკაცების გვერდით. ის კი ერთგულ დასჭირდათ აქვე, ალბათ ნახევარი დღის სავალზე, რომ რამდენიმე სიტყვა თარგმნოს გერმანულიდან. ამის გაკეთება შეეძლო და რა უფლება ჰქონდა უარი ეთქვა!

— შენ ხომ წამოხვალ ჩემთან, თაჯი? — ჰკითხა მან მაშინ მასპინძლის უშიშარ, თავნება გოგოს.

თაჯის გაუკვირდა.
— სად?
— სადაც მივყავართ.

ლამპის შუქზე თაჯის ცნობისმოყვარე თვალები აუციმციმდა, მას არ სჯეროდა, ახალგაზრდა, ლამაზი მასწავლებელი, რომელიც ცხენზე ჯერ არც კი მჯდარა, დათანხმდებოდა, მთელი ღამის სავალზე წასულიყო და იქ გერმანელს დალაპარაკებოდა.

— შენ თუ არ წამოხვალ, არც მე წავალ!

თაჯიმ მხრები აიჩეჩა და გაიცინა: ვითომ ჩემი ნება რომ იყოს, რა კითხვა

გინდაო, მაგრამ თანხმობა მაინც არ ექვა.

— ბაბუამ იცის! — თავის იხსენებდა, რომ უმისოდ გაგზავნიდნენ მასწავლებელს, არა, მას თვითონ გუცას გაშვება მიაჩნდა შეუძლებლად. როდის-როდის მახვეში დათანხმდა და ის იყო გზას დაადგნენ. მერე კი ჯოჯოხეთი დატრიალდა, გუცა ახლაც გაოგნებულია, როგორ ქვესავით იდგა ის ჯარისკაცი ქალიშვილის წინ, ელოდა სიკვდილს და არ განძრეულა.

პირველი შეკვილების შემდეგ გუცას ერთხანს შიშიც კი გაუქრა. სანამ ის ჯარისკაცი წინ იდგა, შიში თითქოს მაინც შეუფერებელი იყო. როცა ის ცხენიდან გადმოვარდა, ყველაფერი გათავდა...

გერმანელები, წვალუბა, თრევა, გამოქვამულში დაკითხვა...

პანსი და კლაუსი...

ყველაფერი თავდაყირა დადგა. რაც მოსალოდნელი იყო, ის არ მომხდარა, გამოქვამულში გამოკეტეს, თოფიანი დარაჯი დაუყენეს, წამება არ უცდიათ, არც მოსაკლავად გაიმეტეს, ალბათ მძევლებად სჭირდებოდათ, რადგან თვითონაც გაუჭირდათ, გარემოცვაში მოექცნენ და დაღუბვის შიშმა ხელ-ფეხი შეუკრათ.

...ახლა ზის ამ სოროში თავისთან ერთად და არ სჯერა, რომ კიდევაც ხსნის იმედი. ელის, დღეს ან ხვალ შემოკვივდებიან გერმანელები და აწამებენ, აწამებენ უღვთოდ და მერე უფსკრულში გადაუძახებენ.

მას სძულს კლაუსის წამღერებასავით ბავშვური ხმა, პანსის მაღალი შუბლი და ნათელი თვალები, ობერლეიტენანტის ზოგჯერ შემპარავი, ზოგჯერ განრისხებული დაკითხვა. მას არაფერი არ სჯერა: არც დაყვავება, არც მუქარა, არც შტუტესა და ბაუმანის ადამიანური მოპყრობა და არც პაულუს მგლური შემოხედვა. ჰგონია ისინი ერთობიან, რატომღაც არ ჩქარობენ. მან იცის, რომ ტყვეა, რომელსაც ინახავენ რაღაც მოსაზრებით და რამდენადაც

დასასრული არ ჩანს, იმდენად მძიმეა მოლოდინი.

თავი მარტი

კაბალი ხედავდა, რომ მათი ჯგუფი ისეთ უბანზე ჩამოაგდეს, სადაც არც მტერს ჰქონდა საქმე და არც მოყვარეს. როგორც ეტყობოდა, ეს ადგილი ჩრდილოეთიდან მიუვალი იყო, ბუნებრივად დაცული და ჭარბთ გამაგრებას არ საჭიროებდა. ეს ორი დღეა სროლის ხმამ გადაიწია და შტუტე ეჭობდა, „უძლეველმა“ არმიამ უკან ხომ არ დაიხიათ, თუმცა გერმანიას სრული გამარჯვებისათვისაც რომ მიეღწია, აქ მაინც არავინ შემოიხედავდა და ობერლეიტენანტი მაქსის დესანტებს თვითონ უნდა დაეჭვებინა თავი ამ ჭურღმულეზიდან.

ერთი რომ, მეთაურის ჯანმრთელობა უარესდებოდა, მეორეც — არავინ იცოდა, ვის ებრძოდნენ, ორი კაცის გაგზავნა იმ საღამოს, როცა ერთმა ტყვიამ ცხენი ბილიკიდან ვადაავდო, კაბალს სწორად არ მიაჩნდა: ასეც მოხდა, — არცერთი აღარ დაბრუნებულა. ახლა ესა იცოდნენ, რომ ბილიკი ჩაეცტილი იყო. დღისით აქედან გასვლა უჩინმანისის ქუდითაც არ მოხერხდებოდა. ღამით, ძალზე ბნელი ღამით, ნისლში, ან თავსხმაში უნდა ეცადათ, უსისხლოდ არც ეს ჩაივლიდა, მაგრამ ვიღაც მაინც გავიდოდა. აგერ მეხუთე დღეა და მტრის რაოდენობა არავინ იცოდა. მხოლოდ იმდენი ისროლეს რამდენიც საჭირო იყო. ცხენი გამოჩნდა — მოკლეს. ორი კაცი გაუშვეს ბილიკზე გზის დასაზვერავად და ორი გასროლა დასჭირდათ. ობერლეიტენანტი წაიჭყა და ერთხელ გაეარდა თოფი...

ობერლეიტენანტის საქმე წასული იყო ხელიდან. ასე თქვა ალფრედმა. იგი დღე-ღღეზე ფეხს გაქიმავდა. თუ რაიმე გზას დაადგებოდნენ, მაქსი ანგარიშგასაწევი არ იყო. ახლა ვისაც შეეძლო მუხლმავრად დგომა და ბნელში თვალი უჭრიდა, თუ სადმე არ ჩაი-

ჩეხებოდა და ბილიკზე ჩასაფრებული მტრის ტყვია აცდებოდა, ვადაწვედა და ღმერთმა უწყის მერე საით უნდა წასულიყო, მაგრამ შიმშილს და დღეების მოლოდინს მაინც ვადაურჩებოდა. ვინც ვერ ვაატანდა, თუ სიკვდილი გარდუვალი იყო, პირისპირ მაინც შეხვდებოდა.

დღისით თუ ერთი კაცი იყო ყარაულში, ღამით ორი თოფმომარჯვებული ჯარისკაცი დარაჯობდა გამოქვბულის წინა მოედანს. მიმოდიოდნენ თავისუფლად, რადგან იქედან, საიდანაც მეთაურს ესროლეს, ღამით ყოველად შეუძლებელი იყო მათი შემჩნევა. მტერს შეეძლო ბნელში ბილიკზე ამოპარულიყო, მაგრამ დარაჯებს მეტი რა საქმე ჰქონდათ, ამ ერთადერთი ამოსასვლელისათვის უნდა ეთვალთვალათ.

რაც ობერლეიტენანტი დასჭირეს, ფერშალი ყარაულში არ გასულა, არც ბაუმანი. თავიდან ხომ შტუტე და ბაუმანი მეთაურმა ტყვეებს მიუჩინა, მაგრამ უკვე ყველასათვის აშკარა იყო, რომ ქალების დარაჯობას ორი კბილუბამდე შეიარაღებული ჯარისკაცი არ სჭირდებოდა.

ამ საღამოს ალფრედს და კლაუსს უნდა ეყარაულათ.

კლაუსმა ავტომატი გადაიკიდა და მოედანზე გავიდა. უკვე ბნელოდა და შეეძლო წელგამართული დგომა. ციოდა. მუნდირის ზედა ღილი შეიბნია, მერე დიდი ხნის ჯდომისაგან დაღლილმა გაიარ-გამოიარა, შეჩერდა დიდი გამოქვბულის წინ, სადაც მას შემდეგ არ შესულა, რაც იქ მომავლადეი მაქსი ეგულებოდა.

ტუნებმოკუმული ალფრედი ბილიკის ამოსასვლელთან ლოდზე იჯდა. იარაღი მუხლებზე ედო.

ბაუმანი იქვე მიდი-მოდიოდა, მერე ფეხის წვერებზე ქუსლის მიდგმით დაიწყო სიარული.

ცაზე ღრუბელი ირეოდა, თორემ ნათელი ღამე უნდა ყოფილიყო.

პირველ ხანებში მაქსისაგან ნაბრძანები იყო, ღამითაც ისე ჩასაფრებუ-

ლიყენენ, როგორც დღისით, მაგრამ მე-რე ეს საჭიროდ არ ჩათვალეს, რადგან საიდანაც მტერი უშენდა, იქიდან ბნელ-ში კაცის ვარჩევა არ შეიძლებოდა.

ბაუმანი ახლა ამაზე აღარც ფიქრობდა. აღარც დედაზე, რადგან დედაზე ის საერთოდ ბევრს ფიქრობდა. კლაუსს და-მამა არ ჰყავდა. დედამისს არ ჰყავდა მეტი შვილი, თორემ მამას საყვარელთან კიდევ ორი ვაჟი გაუჩნდა. მამა მაინც მოდიოდა მათთან, უფრო ხშირად შექვიფიანებული, შვილის ნახვის მიზეზით, თუ ცოლი არ ეთმობოდა.

კლაუსს არ უყვარდა იგი, თუ დედა იმდენად ძვირფასი იყო, მამისათვის აღარ რჩებოდა გულში ადგილი. კლაუსს ვერ წარმოედგინა, რაიმე ეფიქრა და დედას არ სცოდნოდა. იგი მშობარა და სუსტი ქალი იყო, როცა ქმარმა უღალატა, თუ მიატოვა, შვილის სიყვარულს ამოეფარა, რამოდენა ბიჭი გახდა კლაუსი და სკოლაში მარტო არ უშვებდა. გაკვეთილების დამთავრებამდე სამსახურიდან გამოიბოდა და ბუტერბროტები მიჰქონდა, გაკვეთილების შემდეგ გზაში ელოდა. კინოში ერთად დადიოდნენ და წიგნების მალაზიაშიც. ბიჭი ეზოში სათამაშოდ რომ ჩადიოდა, დედას ფანჯრები ღიად ჰქონდა. დაწოლის წინ ალოცებდა. წიგნს ჯერ თვითონ გადაათვალიერებდა და მერე აკითხებდა შვილს. მამას არ უგინებდა, იმიტომ კი არა, რომ ქმარი უყვარდა, არა, ეშინოდა შვილს კაცობიერ-ლეობა არ გაეგო. შარშანწინ კლაუსმა რომ იგრძნო, მისი კლასის მეგობარი, ულა, ყველაზე უკეთესი გოგო იყო, დედას მაშინვე უთხრა. ეგონა გაახარებდა, მაგრამ იგი ამ ამბავს გულგრა-ლად შეხვდა. კლაუსი მერე მიხვდა, რომ დედას არ სიამოვნებდა, როცა ბი-ჭი გოგოებთან იყო, ან მათზე სიტყვას ჩამოაგდებდა. შვილს მშობლის წყენი-ნება არ უნდოდა, მაგრამ გოგოებიც ძნელი დასათმობი იყო, მით უმეტეს, ულა.

მერე ულას მამა ჯარში გაიწვიეს და

გოგო დედას პროვინციაში გაჰყავდა. ბა-უმანს დაჰპირდა, რომ წერილს მოს-წერდა, მაგრამ არაფერი არ მიუტოლა. კლაუსს ეგონა, ახლაც ჰგონია, რომ დე-დამ დაუმალა და გული ტკივა. იმიტომ კი არა, რომ წერილი არ გამოუჩინა, არა, წყინს, რომ მათ შორის საიდუმ-ლო გაჩნდა. ამის შემდეგ ულას სახელი არ უხსენებიათ, მაგრამ ორივემ კი იცოდა, რომ ცალ-ცალკე საფიქრალი გაუჩნდათ. მერე კლაუსმა სულ მიი-ვიწყა ულა, მაგრამ ახლა, ავერ ამ ტყვე ქალებს რომ ხედავს, აგონდება, აგონ-დება და გული ტკივა, რომ დედას სა-დარდებელი გაუჩინა.

მთვარე ვაცრეცილ ღრუბლებში გა-ვიდა და მკრთალად გაანათა. კლაუსმა ქვევით ჩაიხედა. მოწყვეტილ ჩადიოდა კლდისპირი წყარომდე. მის წინ, ლოდ-ზე, ბაწრის თავი იყო მოხვეული. ეს ბაწარი ჰანსმა გაჰქიმა, ზედ გორგოლა-კით ქვაბუნა დაჰკიდა და ახლა წერი-ლი თოკით დამამობით შეიძლებოდა წყლის ამოტანა. აქედან წასული ქვა-ბუნა წყაროს ორმოში ჩადიოდა, ხეი-რიანად არ ივსებოდა აღუმინის მჩატე ქურქელი, მაგრამ მთელი დამე მეტს რას აკეთებდნენ. კიდევ კარგი, რომ ჰანსმა ასე კარგად მოიფიქრა. ოო, რა ქვეიანია! ის აქ რომ არ იყოს, კლაუსს რა ეშველებოდა. ჰანსმა ყველაფერი იცის და ამიტომაც, რომ ერიდებიან. მისი ობერლეიტენანტსაც ერიდებოდა.

ბაუმანი უკან თუ დაბრუნდა, დე-დას ეტყვის ყველაფერს და არასოდეს არ დაივიწყებს შტუტეს, მასთან ყო-ველთვის იმეგობრებს. მთლად იქ გადა-სახლდება, სადაც ის ცხოვრობს, ჰანსი დედასავით საყვარელი ადამიანია. ახ-ლაც წყურვილით რომ არ იზოცებიან, ისიც მისითაა. დამამობით ყოველ-თვის შეუძლიათ ცივი, ახალი წყლის და-ღევა. აქედან რომ წყაროზე ერბინათ, ვინ იცის ვინ გადარჩებოდა ცოცხალი... მალე საქმელიც გაუთავდებათ, მაგრამ შიმშილი არაა ისე საშიში, როგორც წყურვილი.

ბაუმანმა ლოდზე ჩამოისვენა. ახლა

ფერშალს მოსწყინდა ჯდომა, თუ შესცივდა, წამოდგა და ადგილზე ფეხების ბაკუნს მოაკყვა.

კლუსი წაიხარა და წვრილი თოკის თავი მოძებნა, რომლითაც ქვაბუნა მოკვეებოდა გორგოლაქს. დრო რომ გაეყვანა, იფიქრა: წყალს ამოვიტან, დავლევ, მერე კიდევ ამოვიტან, ვინმეს ენდომება, ჰო, მართლა, გოგოებს მივუტან. — გოგოები... ულა ახლა პროვინციაშია და ალბათ რა ხანია სძინავს. უნდოდა სცოდნოდა, როგორ იწვა ულა და ვერაფრით ვერ წარმოიდგინა.

რა კარგი ქალები ყოფილან აქეთ, თუ მეტი რომ არავინაა, იმიტომ ეჩვენება ასე? კლუსი მაშინვე მიხვდა, რომ ტყვე ქალიშვილმა გერმანული იცოდა...

მალლიდან კენჭი ჩამოვარდა და ახლოს დაეცა. ბუქმანს თავი არ აუღია, თოკით ქვაბუნა ამოჭკონდა მალლა. უცებ გაანათა და ხელი გაუჩერდა, რადგან მთვარიანშიც ერიდებოდნენ წყლის ამოტანას, ისევე გაანათა, მაგრამ არცერთ მთვარის ნათებას არ ჰგავდა და ზევიდან რაღაც დაეცა ბეჭზე. ეს კენჭი არ იყო.

გასროლეს? უჰ, დმერთმა ნუ ჰქნას, აქ ნამეტანი ზუსტად ისვრიან...

თოკისთვის ხელი არ გაუშვია, მაგრამ იგი თითებში გასხლტა, ქვევით წავიდა. ეგონა უჭერდა ხელს, მაგრამ ბაწარი მანც მისრიალებდა.

მთვარე ალბათ ღრუბლებში დაიმალა და ისევე ჩამოხნელდა. ბაწარი აღარ მიცოცავდა. ახლა იგი მაგრად ეჭირა.

ოო, ძალიან ჩამოხნელდა. ნისლი ჩამოწვა უთუოდ. აქ ხშირად იცის ნისლი...

თავი მესამე

ორმა, თითქოს ერთდროულმა, გასროლამ შტუტე ტყვიანაკრავივით წამოავდო. მოედანზე გამოვიდა და შეჩერდა. ხელში ავტომატი ეჭირა, არ ახსოვდა, როდის აიღო, სასახლეზე თითდადებული იდგა. სროლის ხმა ისე ახ-

ლოდან მოესმა, ეგონა ადამიანებსაც დაინახავდა. მარცხნივ, ბრეზენტს უჭი-
თაც, ახსაკუნდა ჩახმახებდა.

— კლუს! — დაიყვირა ჰანსმა. მოედანზე არავინ არ იძროდა. ის ლოდი, რომელზეც წყართდან ამომავალი თოკი იყო გაქიმული, დიდი და მაღალი ჩანდა.

— კლუს, ალტრედ!

პასუხი არავის გაუცია. კაბრალს ჯერ ყურებში ერთბაშად მოასკდა სისხლი, მერე ერთხანს შეუჩერდა და იარაღიანი ხელი დაუშვა.

ამჯერად მხოლოდ ორჯერ გაისროლეს. შტუტემ აცოდა, რას ნიშნავდა მათი გამოზომილი გასროლა. თანაც ასე ახლოდან, თითქმის მათ თავზე.

— კლუს, ბიჭო! — თქვა თავისთვის. კაბრალისათვის ახლა ძნელი იყო რაიმე მოეფიქრებინა. რაღაც ძალა, ადამიანის მეორადი ცნობიერება, თუ სიკვდილის შიში, რომელიც ყველაზე გულადთაც თან დასდევთ, უშლიდა წინ გადაედგა ნაბიჯი. მტერი როგორღაც გამოქვამულის ზემოდან მოექცა, საიდანაც ყველაზე ნაკლებად მოელოდნენ თავდასხმას.

გამოქვამულში გამომწყვდეულელებზე არ იფიქრებდა ამჟამად ჰანსი, იქიდან რაიმე ხმაურიც რომ გაეგონა, მაგრამ იქ სრული მყუდროება და უძრაობა სუფევდა, რაც დიდი შიშისა და დამნეულობის დროს ხდება ხოლმე. შიშს იქ მარტო გასროლა ან ყარაულების დახოცვა კი არ იწვევდა, არამედ ის, რომ არ იცოდა რა ჰქნა. წინ ვერავის ხედავ, უკან დასახვევი არაა. მტერი მოუხერხებელი და უნიათოც თავზარდამცემია, როცა შენსკენ აქვს მომართული თოფის ლულა და რამდენადაც მიუწყდომელსა და შეუძლებელს ვაკეთებს, მით უფრო ამაზრუნია.

შტუტე ახლა მარტო იყო, მისგან ხუთ ნაბიჯზე ეგდო ორი მიცვალებული და ამ ხუთი ნაბიჯის გადადგმა ვერ მოეხერხებოდა. სიკვდილის შიში მას ვერ შეჩერებდა, წინ არ წასულიყო და ბუქმანი გამოქვამულში არ შემოეყვანა...

არსიდან ხმა აღარ იყო. როცა ისე-რიან, ამ სიჩუმესთან შედარებით ბედნიერებაა, რადგან იცი, საიდან მოდის ტყვია, იცი და ეს ისე საშინელი არაა, მაგრამ როცა მახლობლად ისერიან და ისერიან იქედან, საიდანაც ვერ წარმოიდგენ, რა ფანტაზიის გუნებაზეც არ უნდა იყო, გგონია ყოველი მხრიდან გომიზნებენ, ქვევინდანაც კი, რაზეც ფეხით დგახარ. გომიზნებენ და თუ იცი ათიდან ერთს მაინც დავაცილებენ, ადამიანის სიცოცხლისადმი სიყვარული და ლტოლვა იმედისაყენ ისრება და ის იმედი ამოქმედებს, უტყუარ სიკვდილს თვალს ვერავინ უსწორებს.

შტუტეს ჩურჩული მოესმა გაუგებარ ენაზე და გაახსენა, რომ იქ ქალებიც იყვნენ. ამ გახსენებამ ჰანსს უკან დაახევინა. მოძრაობამ გაბედულება დაუბრუნა და აფიქრებინა, რომ წელიდან შეშინდა, შეშინდა, როცა მის ზურგს უკან ქალები იყვნენ, როცა მეგობარი მოუკლეს — პატარა კლაუსი, მეგობარი კი არა, შვილი.

ჰანსმა არ იცის რაა შვილი. მაგრამ იცის, კლაუსს მოვლა, ქუჩის სწავლება, მოფერება და ხელში აყვანა სჭირდება. იგი ისეთი ბავშვია, რომელსაც ღედა უნდა.

ჰანსმა პირველად რაც მოიმოქმედა, ის იყო, რომ დიდ გამოქვაბულზე აფარებული ბრეზენტი ჩამოგლიჯა და ის, ვინც ბრეზენტს იჭით რჩებოდა, შემოიერთა და დანახვა, რასაც თვითონ უყურებდა. კაპრალი ვერაფერს ვერ უყურებდა, მაგრამ თვალში იხედებოდა.

მალე მან გაიგონა, ვიღაცამ ხელში გაშეშებული იარაღი გაისწორა, ვიღაცამ დაიქსტუტუნა... ჰანსი წინ წამოიწია, მაგრამ ქუსლი ძირს მაინც ვერ დადგა. ამან უფრო წააქეზა და პირდაპირ იჭით წავიდა, საითაც კლაუსი ეგულებოდა. მთვარე დაფარული იყო ღრუბლებით. ამის გარჩევა მაინც მოასწრო, მივიდა, ერთი ხელის მოვლებით აიყვანა ლოდზე დამზობილი ბიჭი. ახლა მისი სიმძიმე არ უგრძობია და

არც უფიქრია სად უნდა წაეყვანა.

გამოქვაბულში შეარბენინა და დასვა. ბნელოდა, მაგრამ ეს მატყრა აღევილი, რომლის იჭით ამ დღეებში ფეხი არ გაუდგამთ, უკვე ისე ჰქონდა თავში ჩაქედლილი, რომ გრძობდა, ბიჭი ზუსტად იქ მიიყვანა, სადაც საღარაჯოზე გასვლამდე იჯდა.

კლაუსი ახლა აღარ იჯდა...

მათი მათი

გასროლის ხმა ისე ახლოდან შემოიჭრა, ქალებმა იფიქრეს, რომ მათი ხსნა მოვიდა. ის ორი დაჯერებული ტყვია მიზანს არ აცდენია. გუცა მიხვდა, ბაუმანი რომ არ მოეკლათ, უკან მოიბრუნდა. ამ მოულოდნელმა თავდასხმამ ყველას შიშის ზარი დასცა. კლაუსი უფრო დაფრთხებოდა და ჰანსს შეაფარებდა თავს. გუცას ახლა ეს არ აღარდებდა. ამ თავდასხმამ მტერს ორი ჯარისკაცი წაართვა და მოაახლოვა თავისუფლება, შეამკირა ტანჯვა და შიმშილი.

როცა ყველაფერი მიწყდა და ამაზრუნენი დაძაბულობა გაჩნდა, თავი მობრუნდა და იჩურჩულა:

— თუთარი და ვახო მოვიდნენ.

გუცამ თავი დაუქნია, მაგრამ ეს ამ სიბნელეში არ შეიძლებოდა დაენახა გოგონას, თქმით კი ვერაფერი თქვა, ახლა ლაპარაკი მარტო თავის თუ შეეძლო.

გარეთ, მოედანზე, გაშეშებული კაპრალი შეინძრა. ახლა მისი ნაბიჯიც თოფის გასროლასავით ისმოდა.

მალე ჰანსმა იქ, სადაც აღრე კლაუსი იჯდა, რაღაც მსუბუქად დადო, თუ მიაყუდა და ქვაბულში სისხლის სუნი გაჩნდა...

გუცამ იქნებ არც იცოდა, სისხლს როგორი სუნი ჰქონდა, მით უფრო ადამიანისას, მაგრამ ახლა გვირახში შემხუთავი, მძიმე ჰაერი დადგა.

შტუტემ ჯიბის ფარანი წუთით დაანათა ბაუმანს. ახლა ეს არაფრით არ შეიძლებოდა. ჰანსი თვითონ რომ ყო-

ფილიყო დაჭრილი, არ აანთებდა, მაგრამ კლაუსი საყვარელი და საბრალლო ბავშვი იყო და მისი გასაჭირი უნდა დაენახა. მერე დაჯდა, ფეხები გამართა, აიყვანა, კალთაში დაიწვინა და გულისპირი გაუგლიჯა, კისრამდე რომ ჰქონდა აბნეული მცივანა ბიჭს.

გუცა ამ უკუნეთშიც ყველაფერს ხედავდა. ხედავდა, როგორ მოუსინჯა ჰანსმა მომაკვდავს ათრთოლებული ხელით ჭრილობები. ხედავდა, როგორ მოავლო ხელი პერანგის გულისპირს და გვირახში მჭახედ გაისმა ნაქსოვის ფხრეწის ხმა, ჩვილივით აიტატა, შეხსნილ მუნდირი და ჩახეული პერანგი გააძრო. ახლა მთლად გამოკრთა ბიჭის სუსტი ზედაწელი.

— კლაუს! — გაისმა ხაველი. ქალმა იგრძნო, შტუტე ამას აქამდე გულში ბუტბუტებდა, მერე ბაგეებზე ხაველად გადმოვიდა. ეს ხმა გაძლიერდებოდა და ყვირილით გათავდებოდა, თუ სულთმობრძავს სიკვდილისაგან ვერ იხსნიდა.

— კლაუს, ბიჭო, ბიჭო, ბიჭო! — ისმოდა განუწყვეტლივ.

ჰანსმა წამოიჩოქა ისე, რომ დაჭრილი ძირს არ დაუშვია, თავისი ჩანთა მოძებნა, მიათრია იმ ადგილზე, სადაც ბაუმანმა ქვის იატაკზე უსწორ-მასწორო ხაზები გაავლო. მკლავზე დაიდო კლაუსის თავი და ხელის გაშლილი მტევანი ზურგს უკან ამოუდო, მარჯვენათი ჩანთას თავი მოგლიჯა და დააპირქვავა.

— ბიჭო, პატარა ბიჭო! — დუდუნებდა კაპრალი.

ამით ის საყვედურობდა თავის თავს: უსუსური ბალდი, ჰანსის მეტი რომ არაგინ გააჩნდა, ყარაულში გაგზავნა და თვითონ არ წავიდა, ისე ვერ იზრუნა მასზე, როგორც საჭირო იყო.

წყალი, ახლა წყალი უნდოდა ჰანსს, რომ ჭრილობები მოეხანა ბიჭისათვის, რომელიც ხელში აკვდებოდა. წყალი აქამდე არ მოჰკონებია, როგორც არ მოჰკონებია ჩანთაში შენახული სახვევი. მათარა მოძებნა, მაგრამ სანამ იპო-

ვიდა, გაახსენდა, რომ ცარიელი ჰქონდა, ამაღამ უნდა აევსო და ვერ უწყობდა.

— წყალი, წყალი!...

გუცას გვერდით ედგა ქვაბუნა. წყალი ყოველთვის კლაუსს მოჰქონდა მათთვის. წუხელიც მან მოიტანა, ახლაცაა შიგ ნახევრამდე. ამაღამ ალბათ ისევე აავსებდა...

ახლა მასვე ჰირდებოდა მისი მოტანილი წყალი, რომ სიკვდილისგან თავი დაეხსნა.

ჰანსმა ისეე აიყვანა წელზევით გაშვებული ბიჭი და გამოხოხნა. აქ სადაც კლაუსის მოტანილი წყალი იყო.

შტუტე გულზე მიკრული ბიჭით ქალებს მიუახლოვდა. მას კლაუსის მომარაგებული წყალი უნდოდა, მაგრამ თავგზააბნეულმა ვერ მიაგნო.

გუცა გადაიხარა, მკლავი გაუჩერდა, მაგრამ ხელმა თავისთავად მოძებნა ქვაბუნა, მიაწოდა.

ჰანსმა ჩამოართვა და ხელით ქალის თითებს შეხო. გუცა შეზარა ამ უცაბედმა შეხებამ კაცისა, რომელსაც სისხლით გალუმპული მომაკვდავი ეჭირა.

ჰანსმა უკან წაიყვანა დაჭრილი. მას არ უფიქრია, ქალს უნდა მოეწოდებინა ქვაბუნა თუ არა. როგორ შეიძლებოდა ახლა ვინმეს უარი ეთქვა. იმიტომ, რომ გადამთიელი იყო? ახლა ჰანსმა ხომ არ იცოდა, ვინ ვინ იყო, იგი ახლა არავის არ ებრძოდა, გარდა სიკვდილისა, სიკვდილი კი ყველა მოკვდავის მტერია და ადამიანები ერთად უნდა ებრძოდნენ ამ სულთამხუთავს.

თავი მათარათხივა

კაპრალმა, სანამ შეხვევას შეუდგებოდა, კნობსი და კარლი გაგზავნა ალფრედის შემოსაყვანად. არ გაუფრთხილებია, როცა ძალიან ჩამოხნულდებოდა, მაშინ გასულიყვენენ.

კარლს ხელი არ უხლია ალფრედისათვის, ისე იგრძნო მიცვალებულის სიცივე. კნობსმა გამოათრია, მერე კარ-

ლიც მიეშველა და გამოქვამულთან შეჩერდნენ. არ იცოდნენ, სად წაყვანათ, ან საერთოდ, სჭირდებოდა საღმრთო წაყვანა? ის უკვე წასული იყო. იქვე მიატოვეს და ჰამპელსაც არ მოსვლია აზრად კაპრალისათვის მოესხენებინა. მათ იცოდნენ, რომ ორჯერ გაისროლეს. აღფრედს ერთი მოხვდა, მეორე კლაუსს და ჰანსს ახლა მათთვის არ ეცალა.

უხმოდ შეიძურწნენ გამოქვამულში და თავიანთი ადგილები მონახეს. ისეთი სამარისებური სიჩუმე გამეფდა, ზოგჯერ დანიელის პირჯვრის საწერად წაღებული ხელის მოძრაობაც კი ისმოდა. ახლა დანიელის მხარეს შურის თვალით იხედებოდნენ, თითქოს მას სხვა ღმერთი ჰყოლოდეს, უფრო შემწყვალე და მფარველი. ახლა თითქმის ყველას უნდოდა ელოცა, სწამდა თუ არ სწამდა. ერთმანეთს არ ერიდებოდნენ, მაგრამ ეკრძალებოდნენ თვითონ ღმერთს, რომელიც ახლა ამ გასაჭირში მოაგონდათ და ეშინოდათ — ამით უფრო არ გაენაწყენებინათ. „არა მოილო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამასა ზედა“.

გარდა ობერლეიტენანტისა, ახლა უფალი ყველას სწამდა. უფალი, თურაღაც ძალა, რომელსაც მტერზე და მოყვარეზე ერთნაირი გავლენა ჰქონდა, ამჟამად კი მოწინააღმდეგეს მიემხრო. უკან მოხედვისათვის დრო არ რჩებოდა. იმ ძალას, რომელსაც შეეძლო მათი ხსნა — ეხსნა და ცოდვა-მადლი აეწონ-დაეწონა. არც აღთქმის დადებას აპირებდნენ, როგორც აღსარება არ უთქვამთ. ახლა ყველა ერთნაირად დადებდა თავს მომავალი ცხოვრების სიწმინდეზე და კაცთმოყვარობაზე, მაგრამ აქ იყო დანიელი, მათზე უფრო პირნათელი, და უფლება ჰქონდა, „ეშუამდგომლა“. დანიელი არც განსაკუთრებული მსროლელი იყო და არც არავისი ერთგული, გარდა ღვთისა და თავისი ოჯახისა. არავინ იცოდა, რატომ გადმოაგდეს ამ შერჩეულ სადესანტო 6. „მნათობი“, № 9.

ათელში, დანიელმა მით უმეტეს, არ იცოდა და არ იცოდა.

აქამდე იგი ყველას ზედმეტი ეგონა. ზოგს ისიც კი აბრაზებდა, რომ დანიელი მათ წილ დიდებას დღეს არა, ხვალ დაუმსახურებლად გაიყოფდა. მისი განუწყვეტელი „ღმერთო დიდებულო“ და ფიქრი ოთხ ქალიშვილზე იმში გამოუსაადგარი იყო.

„არა კაც ჰკლა“ — ამბობს მაცხოვარი.

აქ კი ჯილდოს იძლევიან, ვინც მერტს მოკლავს.

ახლა დადგა წუთი, როცა მამაზე-ციერი კითხულობს:

— კაც ჰკალ? — ღმერთს არ უთქვამს, თუ ვინმემ მოგაკვლევინოს, გეპატიოსო.

უფალმა მოჭრა: — „არა კაც ჰკლა“. ობერლეიტენანტმა კი მოკლა, ბლომადაც მოკლა და ჯვარი მიიღო. ის ჯვარი ახლაც გულზე ჰკიდია მაქსს.

ჯვარზე კი ღმერთმა დააწერა: „არა კაც ჰკლა“.

მაქსი უარობს — მე ჩემი ნება-სურვილით არაო, მაგრამ ღმერთი თხოულობს მართო ერთ სიტყვას: ან ჰო, ან არა.

— ჰო — ამბობს ობერლეიტენანტი. ყოვლისმხილველი ახლა კნობსს ეკითხება:

— მე მით უმეტეს, — ხელებს ასავესავებს ჰამპელი, — ჩემი ჭკუით არაფერი არ მიკეთებია, მე ყოველთვის სხვისი იარაღი ვიყავი.

— ან ჰი, ან არა!

— მეტყოდნენ და სიტყვის შეუბრუნებლად ვაკეთებდი.

— ან ჰო, ან არა!

— ჰო.

— შენ, კარლ, ძალიან ხმამაღლა სიცილი რომ გიყვარს?

— მე ღვთის ნებით ვიციხოვრი ყოველთვის.

— ღვთის ნებითაც ჰკალ?

— არა, უფალო, დამიფარე.

— ან ჰო, ან არა!

— ჰო...

— პაულუ, ასე რომ მისტორი მეგობარს, რაჟდენს მოუკალი მეგობარი?

— მე მტერს ვესროლე.

— შენ არ იცოდი ჩემი ნაბრძანები?

— ვიცოდი.

— მერე? ან ჰო, ან არა!

— ჰო.

— თქვენ, ვალტერ და იოჰან, კაც ჰკალით?

— ჰო, ჰო.

— შენ, ჩემო დანიელ?

— „ჩემო დანიელო“ ასე უთხრა ღმერთმა.

— გისმენთ, უფალო, მონა თქვენი და ერთგული, უკუნითი უკუნისამდე.

— კაც ჰკალ?

— არ ვიცი...

— აჰ, არ იცი?

— არა, ზეციერო.

— რა ვქნათ ახლა, რა გიყო დანიელ?

— რომ არ ვიცი, მაცხოვარო...

— მაშინ არც მე ვიცი, რა მსჯავრი დაგლო.

ღმერთს განაჩენი გამოაქვს და ამიტომ თუ სუფევს ასეთი სამარისებური სიჩუმი. ალბათ გათენებასაც ამიტომ თუ ავიანებს. განმგებელს არ ნებაეს დღის ნათელი დაანახოს, ვინც კაც ჰკლა.

მთვარე დიდი ხანია ჩავიდა. ალბათ ღრუბელი გახშირდა და პაერი დანოტიედა. ნისლი ჩამოწვა მწვერვლებში. აღარაფრის გარჩევა არ შეიძლება. ახლა გამოსროლილი ტყვიის ალსაც ვერ დაინახავ.

მსაჯული კი დინჯად წერს განაჩენს. მძიმე ხელი აქვს ღმერთს. იგი არ ჩქარობს. კაცი კი არა, ღმერთიც არ უნდა აჩქარდეს მსჯავრის დადებისას, მაგრამ აჰ იგი დიდხანს არ დაფიქრდება, განაჩენი თავისთავად გამოტანილია.

რამეთუ კაც ჰკალ...

თავი მეთორმედი

შტუტე დაამშვიდა იმან, რომ ბაუმანი სუნთქავდა. სუნთქავდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მაგრამ სული ეღვა. ბეჭში მო-

ხვედრილი ტყვია მარჯვენა ჰუბუხვეტზე გასულიყო. ჰანსმა პირველად მუხტუქვეშა ქრილობა იპოვნა მხელში, კოტუხ დაბნეულმა ვერ მოისაზრა, რომელი მხარე იყო და ეგონა გულში ჰქონდა გავლილი.

— არიქა! — აღმოხდა და ამით თავისი თავი უფრო შეაგულიანა, ვიდრე მომაკვდავი.

ჰანსს არ ეგონა, თუ ასე გულის შემძვრელი სიყვარულით უყვარდა ბიჭი, რომელიც მისი არც ახლობელი იყო და არც თანატოლი.

გარედან სტვენის ხმა შემოიჭრა. ჰანსმა ახლა დაინახა, რომ თენდებოდა, მაგრამ გამოქვამულში ნისლი რძესავით იღვა და გარდა სითეთრისა, არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა.

სტვენაზე ნაბადს მიწოლილი გოგონა წამოხტა და ჰანსმა გაიგონა მისი ნათქვამი:

— ვახო!

მერე ქალიშვილმაც წამოსწია თავი და ყური მიუღლო. მან პირველი დასტვენა კარგად გაიგონა, იცოდა ისევე მოუხმობდნენ და იმის გაგონებაც უნდოდა.

სტვენა განმეორდა.

გოგონა გამოფოტობდა. შეაჩერეს ისე წამოვიდა, თვითონ არ შეჩერდებოდა.

„თავისიანები ეძახიან და უნდა ხმა მიაწვიდნოს“ — დუნედ გაუარა თავში ჰანს. ამის გაფიქრება იყო და თავის სახელი მოესმა... მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვინმე შემოიპარა და სულ ახლოს მოვიდა, აგერ მის გულთან.

— ჰანს! — ხმა თავისი უბიდან ესმოდა.

— ჰო, მე ვარ! — უპასუხა ისე, როგორც თავის თავს ეტყვიან, როგორც შინაგან ძახილს გაეხმაურებთან.

— მე მომკლეს, ჰანს...

შტუტემ მაღლა აფწია თავი დაქრილს, ყურში ჩასძახა:

— ნუ გეშინია, ბიჭო!

— არ მეშინია, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა, მალიმალ სუნთქავდა,

ზევით, ყელთან. — არ მეშინია, ახლა აღარაფერს არ მეშინია.

— კლაუს...

— შენ რომ ხარ ჩემთან არ მეშინია, დედაჩემი რომ იყოს, შემეშინებოდა. დედაჩემს თვითონ ეშინია და იმიტომ.

— ჰო, მართალია... მართალს ამბობ — ამას არ იტყოდა, ბიჭს რომ არ ნდომოდა.

— შენ არ მოკვდები!

— რატომ არ მოკვდები, ჰანს?

— ჰანსი დაიბნა, რატომ არ მოკვდება კლაუსი?

— რატომ, რატომ და რა დროს შენი სიკვდილია!

— აღრეა?

— ჰო, შენ სულ ბავშვი ხარ, ძუძუმწოვარა.

— ჰო, მე სულ ბავშვი ვარ, ჰანს!

— და არც მოკვდები!

— იმიტომ კი არა, რომ ბავშვი ვარ, დედაჩემისათვის უნდა ვიცოცხლო.

— იცოცხლებ, კლაუს, იცოცხლებ.

— მაშინ რატომ მომხვდა, ჰანს?

ერთი ციდაც რომ გადაწეულიყო, ამცდებოდა, ალბათ უნდა მოკვდებოდა. დედა მეუბნებოდა, შენ რომ რაიმე მოგეწიოს, შეტყობინება არ მინდა, ისედაც ვიგრაძობო. მითხარი, მე რომ დამპირეს, დედაჩემს ეცოდინება?

— შენ გინდა, რომ იცოდეს?

— არა, ჰანს, არაფრით არ მინდა.

— არ ეცოდინება და ვერც ვერასოდეს გაიგებს.

— გაიგებს...

ზევიდან ისევ დაუსტვინეს.

— საიდან უსტვინენ, რა უნდათ?

— არ ვიცი.

— მე ვიცი, ქალებს ეძახიან.

ჰანსმა იგრძნო, როგორ შეეცა გუცამის გაგონებაზე.

— კლაუს, შენთვის ბევრი ლაპარაკი არ ივარგებს.

— რატომ, უფრო მალე მოკვდები?

— ნუ ამბობ...

— გულში ვარ დაქრილი, ჰანს?

— არა.

— აბა რატომ მიჭირს სუნთქვა და

მინდა ვილაპარაკო, ასე მგონია, მალე ველარაფერს ვიტყვი.

— კლაუსი...

— რა ვქნა აბა, ასე მგონია და...

— არა, თქმით თქვი, მაგრამ ნუ დაიჭერებ.

ისევ დაუსტვინეს.

— ეძახიან... — ქალებისავენ მიაბრუნა თავი — ფროილიან, თქვენ ეძახიან.

— იციან — დაუყვავა ჰანსმა.

— შე იმათ მესროლეს?

— არ ვიცი.

— ჰანს, ქალები რომ არ დაგვეტყვევებინა, იქნებ არ ესროლათ.

— გაჩუმდი, ბიჭო.

— გაეჩუმდები, მაგრამ აი ის, რომ ეძახიან, მაწუხებს. ამით რომ არ შეუძლიათ უპასუხონ, ვაიგონ რომ ცოცხლები არიან, ჩვენ მათთვის... რომ სცოდნოდათ ჩვენ არაფერი დაგვიშაგებია მათთვის...

აღარ თქვა, იქნებ არ ესროლათო.

— ჰო, რა ვიცი...

— არა, მაინც... მაგრამ თუ ქალებმა არ უპასუხეს, უარესია, ისინი ახლოს არიან.

— მაგრამ უფრო ახლოს ვერ მოვლენ.

— ყუმბარებს ჩამოყრიან, უპასუხონ, ჰანს, უპასუხონ.

— ნუ გეშინია.

— მე არ მეშინია, ჰანს, ჩემთვის სულ ერთია.

შტუტეს ცრემლები მოაწვა, ბიჭი მასზე სწუხდა. ამ წუთში ჰანსისთვისაც სულ ერთი იყო, მაგრამ კლაუსს უნდოდა ასე.

— უპასუხონ — თქვა ჰანსმა დაუღევრად.

— ფროილიან, — თქვა კლაუსმა — მაგ გოგონამ უპასუხოს.

გუცამ რაღაც გადაულაპარაკა თავის.

თაფი ადგილიდან წამოსტა და წამოვიდა.

— გვირახს არ გასცდეს — თქვა ჰანსმა.

— ფროილინ, აქედანაც გააგონებს, უთხრას, რომ კარგად ხართ და ისიც რომ...

აღარ თქვა, გაჩუმდა.

ჰანსი მიხვდა, კლაუსს ისეთი რაღაცის თქმა უნდოდა, თუ არ ჩაეთხავდნენ, ვერ იტყოდა.

— რა უთხრას, კლაუს?

— რა და... ვინ დაიჯერებს, მაგრამ... რომც დაიჯერონ, მინც გვიანაა.

— თქვი, რა გინდა!

— რა და, როცა მომარტყეს, წყალს ვიღებდი, ამ ქალებისთვის მინდოდა მომეტანა, რომ სცოდნოდით, მესროდნენ, ჰანს?

— არ ვიცი.

— შენ მათ აღვიღებ რომ ყოფილიყავი.

— არა.

— არც მე, ჰანს, და მგონია ისინიც არ მესროდნენ, მაგრამ არ იცოდნენ.

— რა იცოდნენ.

უკვე მოთენდა, მაგრამ რძისფერ ნისლში მინც არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა.

— ჰალუ! — თავის ზარივით წყრიალა და მჭახე ხმა გვირაბიდან გაეარდა, ნისლი გაქვედა.

— ჰალუ! — აიტაცეს მწვერვალებმა.

— ჰალუ! — გაიმეორეს ზევებმა.

თავი მეთხუთმე

მოწმენდილი, მთვარიანი ღამე დადგა. შებინდებისთანავე მიწყდა თვითმფრინავების ზუზუნი. უთუოდ ჩამოჰყარეს ამ საღამოსთვის ჩამოსაყრელი ბომბები, დაღვარეს დასაღვრელი სისხლი, მოჰკლეს, ვისაც დღემდე ეწერა სიცოცხლე და მიუტყდნენ.

გამოქვეპულის პირზე გაკიმული ბრეზენტი მთლიანად ვერ ფარავდა შესასვლელს და დარჩენილი ღია ადგილიდან, იქ, სადაც გასიებული ობერლეიტენანტი იწვა, მთვარის ზენიტზე ასვლამდე სინათლე შემოდიოდა. დარიანში მზის შუქიც შემოძვრებოდა. დღეს გვიან გამოჩნდა მზე და აღარ შემოუხედა. მაქს-

მა იცოდა, იგი დღეს რაკი ვერ იხილა, ხვალინდელს ვეღარ მოესწრებოდა. ახლა იგი წინასწარ კითხულობდა ბედის განაჩენს.

ბედმა მის გეგმაში უკვე რა ხანია ჩაასახლა „ის“, ვისთვისაც მაქსს ადგილი უნდა დაეცალა და მერამდნე დღეა ერთმანეთს ებრძვიან. მაქსი ხედავს, რომ იგი უკვე მდგმურია იმ ტყავში, რომელშიც ოცდათექვსმეტი წელი გაატარა. ახლა მოვიდა ნამდვილი პატრონი და ბარგი გადმოაქვს. მაქსმა იცის: ბედისწერამ გაყიდა ერთი კაკალი ტყვიის ფასად და აღარ უძალიანდება, მაგრამ მანამ არ გამოაქვს თავისი ავლადიდება, სანამ ახალი მფლობელი მთლიანად არ დაიკავეს ძველის კუთვნილს. ამიტომ სივიწროვეა და ჰირს.

ბედმა უკვე გააფრთხილა: ამ ღამით უნდა დაეცალა სადგომი...

ახლა მთვარის თეთრი სვეტი შემოდის ბრეზენტის ყურში და იმ ერთ მტკაველ მანძილს, მაქსის ცხვირიდან კედლამდე რომაა, შუაზე სჭრის. დგას თეთრი, ცივი სვეტი. ეს სინათლეა, მაგრამ უიმედო. ანათებს, მაგრამ არ ათბობს. მაქსმა იცის, როცა მთვარე მალა ავა, სხივი კედლიდან მისკენ გადმოიხრება, მერე სახეზე დაადგება, ნელ-ნელა გაიპარება გამოქვეპულიდან და სულთმობრძავს თან გაიყოლიებს.

მაქსის ბარგი გამოკრულია, რაც წასაღებია, წაიღებს, არ წაიღებს და აქ მინც არაფერ დაიტოვებს. ახალი პატრონი არ ეტევა იქ, სადაც ჩამოსახლდა. რა ხანია მენჯიდან მუცელში შემოვიდა და გულ-ღვიძლს აწევა, ჩასუნთქვის საშუალება უნდა მოუსპოს აქაურობის მკვიდრს.

მთვარის სინათლემ კედლიდან ძირს ჩამოინაცვლა. მაქსი ცხვირწინ ხედავს თეთრ, ცივ სვეტს და დარწმუნებულია, რასაც კი შეეხება ეს მკვდრის სინათლე — გაჰყინავს, მაგრამ სანამ სახემდე მოვიდოდეს, უწინ მუცელზე გადმოივლის. დღეს მაქსის მუცელი უსამველოდ დიდია, რადგან უკვე ორი ერთნაირი ზომისა და წონის კაცი სახლობს

ერთ სხეულში. არავინ იცის იმ მეორეს რა ჰქვია. იქნებ მაქსი, შეიძლება. ჰოდა, ორი მაქსი ერთ ტყავში არ ეტევა, სულ გაიჭედა სხეული და პირველს სუნთქვა უჭირს, ნამეტანი უჭირს, ეს ისევე ძნელია, როგორც ორივე ფეხზე ერთი ჩექმის მორგება. არა, აქ გაჩერებას წასვლა სჯობს. სადაც გინდა, ყველგან უკეთესი იქნება. ასეთი სიციწროვე არსად არ შეიძლება იყოს. ამ სულისხმუთვას მაინც გადაჩრება, ამ ჯოჯობხეთური ტკივილებსაგან მაინც დაიხსნის თავს.

მაქსი აღარაა წინააღმდეგი, მაგრამ გზა უნდა, სანამ აქ ეს თეთრი, ცივი სვეტია, ვერ წავა. ეს სინათლე ვიწრო ბილიკია, რომელსაც უნდა გაჰყვეს.

ახლავე უნდა დატოვოს ეს მძიმე, სულის შემსუთველი მძორი. მეტი აღარ შეუძლია, ტყუილად ეგონა, რომ მეორე შემოსახლებული მისი ზომისა და წონის იყო. არა, ალბათ უფრო მსხვილია, მისი ტოლი რომ იყოს, ასე ძალიან არ გაუჭირდებოდათ.

კი, იგი მაქსზე მაღალიცაა, რადგან სხეულში ვერ გაიმართა. ჩექმებიც არ არგია, ტერფებში უჭერს, წვივებიც უფრო მსხვილი აქვს. შარვლის ტოტეზი ასკდებათ. მენჯშიც... უჰ, რა უსაშველო, ქალივით ფართო მენჯი აქვს! მაქსს სულ დაუღეწა ძვლები მუცელში ამოუვარდა და აგერ, კისერთან მოაბჯინა თავი. სულთმობრძავს გული ერევა. ახლა ის უღმერთო მგონი გაჭიმვას, გამართვას აპირებს და საშიშია ეს მძორი არ გაგლიჯოს.

კაცმა რომ თქვას, მაქსს რისი ეშინია, მან ხომ მაინც უნდა დატოვოს ეს ვაბერილი ტომარა. მისმა ახალმა პატრონმა იკითხოს, თუ ვასკდება, თორემ ძველს შეკრული აქვს ბარგი და აგერ, თეთრ ბილიკს გაჰყვება.

აი, მალე გავა თეთრი შუქი, გავა და თუ მაქსი არ გაიყოლა, თვითონ გაეკიდება, ფრჩხილით და კბილით მოეკიდება კლდეს, ტინს და იმდენს იზამს, გაჰყვება ამ მოციხფრო ბილიკს.

სინათლე დაპატარავდა, დავიწროვ-

და, მომაკვდავის თავთან გამოქვაბულს კუნჭულში მიიყუთა.

ახლა კი დროა, მაქსი ჩქარობს.

— ჰეი, ბინადარო! აბა შოდი, მოემველე, შენც ხომ გიჭირს და მაქსს სული აგერ, კისერში აქვს, მოდი, მოაწიქი!

ოჰ, რა ამოუტეველი დაემართა.

ერთხელ კიდევ, თორემ დაიხრჩობა კაცი, ნუ გეშინია, აღარ ტკივა, არაფერი აღარ ტკივა, მხოლოდ ამოდრომა უჭირს...

ე, გადის სინათლე და უნდა გაჰყვეს! არიქა, კიდევ, კიდევ...

მადლობა ღმერთს...

უჰ, არ ამოისუნთქა!...

მთვარე ბრეზენტის ყურიდან გამოძვრა. ობერლეიტენანტის სული გამოიყოლა, საშუაღღოზე ავიდა და ცამდე აზიდულ მწვერვალებს ზევიდან დახედა.

თავი ხეთოთხედა

— ღმერთო დიდებულო! — თქვა დილით დანიელმა და სამაჯერ გადაიწერა პირგვარი, როცა ობერლეიტენანტს დახედა. გულაღმა გადმოაბრუნა ცივი, გაბერილი სხეული და ეცადა მიცვალებულისათვის ხელები გულზე დაეკრიფა, მაგრამ გაყინული მკლავები არ დაემორჩილა.

დიდი გამოქვაბულის დანარჩენი ხუთივე მკვიდრი თავზე წამოაღვა დანიელს, უხმოდ დააშტერდნენ მეთაურის გეგმს.

ობერლეიტენანტის სიკვდილი გარღვეული იყო, ეს ყველამ იცოდა, მაგრამ აქამდე სული მაინც ედგა, ახლა კი იგი აღარ იყო, მაქსი თითქმის ყველას სძულდა და მათი უნუგეშობა საყვარელი ადამიანის დაღუპვისაგან გამოწვეული სევდა არ იყო. ჯარისკაცებმა დაკარგეს უფროსი, რომლის გამოცდილებას, ჰკუას და თუნდაც მისდამი შიშს ნდობდნენ. ამ კაცთან არცერთი მათგანი დაახლოებული არ იყო და მანძილი, რომელიც ობერლეიტენანტს მებრძოლებსაგან აშორებდა, საიდუმ-

ლოებით ფარავდა ბევრ მის ზრახვასა და უნარს, და იმას, რაც მაქსისა არ იცოდნენ, იმედის თვალით უყურებდნენ. მეთაურს ჩინი და ჯილდო მაინც მალა აყენებდა და მისგან მეტს მოელოდნენ, ვიდრე რომელიმე რიგითი მებრძოლისაგან.

ჰამპელი გატრიალდა, ბრეზენტის კუთხე გადასწია, დამფრთხალი ცხოველის გუმანიო დაწვერა ის რამდენიმე ნაბიჯი, რაც ორ გამოქვამულს ერთმანეთისაგან ჰყოფდა. შერე კი გადახტა.

შტუტე იჯდა. თავი კედელზე მიეჭინა და თვლემდა. ფეხის ხმაზე თვალეზი გაახილა, არ განძრეულა.

კნოპსმა ხელი აუღო.

გუცამ შეამჩნია, რომ ჰანსს ზიზლი გაუჩნდა ამ კაცისადმი, რომელსაც გაზეპირებული ჰქონდა უფროსთან შეხვედრის წესი.

— რა მოხდა?

— ობერლეიტენანტი მოკვდა.

— ჩუ! — თითი ასწია კაპრალმა და მის გვერდით ბრეზენტში შეხვეულ მძინარე კლავსს დახედა. ეს არ უნდა გაეგო მომავლად ბიჭს.

რა ეჭნა ახლა შტუტეს, ობერლეიტენანტი რომ მოკვდა? გვერ თავგახეთქილი აღფრედიც აგდია მოედანზე, არა და მიცვალებულს ცოცხლების გვერდით ვერ დატოვებდნენ.

— გამოასვენეთ!

კნოპსი არ შებრუნებულა.

„რატომ არ იძვროდა ჰამპელი?“

ჰანსი დაფიქრდა. ბიჭის დაჭრამ სულ დააბნია. ახლა მოაგონდა გარეთ, მოედანზე გამოსვლა სახიფათო იყო.

— გადაათარეთ მაზარა და საღამომდე იყოს, საღამოს თუ მოიღრუბლა...

არ დაამთვრა, ამდენი ახსნა-განმარტების თავი აღარ ჰქონდა.

კნოპსი უფრო ფრთხილად და მარადად გადახტა უკან და ბრეზენტის მიღმა მიიმალა.

გუცა გააკვირვა იმან, რომ ჰანსი, რაც ობერლეიტენანტმა სული ეშმაკს ჩააბარა, ერთადერთი მბრძანებელი იყო,

მაგრამ ქალი ხედავდა, რომ იგი არაა დახარბებული ჩინსა და დიდებულს, — მირიქით, ამან ხალისი დაუკარგა! ქალს ეჭვი და სიძულვილი ნებას არ აძლევდა მტერს, და ისიც ჰკვიან მტერს ნდობოდა, მაგრამ კაპრალმა რომ არ დაუშალა თავის ბიჭებთან ლაპარაკი, რას ნიშნავს ეს? ხომ არ იცოდა, რას ეტყოდა ტყვე თავისიანებს?

ენაა შტუტე?

გუცა არ ფიქრობს, რომ ეს კაცი ერთ დღეს გავა მოედანზე, გაიტანს თეთრ ცხვირსახოცს და ორივე ხელს ასწევს, მაგრამ ზოგჯერ ჰგონია მობრუნდება მათკენ და ეტყვის: წადით და თავს უშველეთ!

გუცას შერე აშინებდა ეს ფიქრი: მე გულუბრყვილო და მიმნდობი ვარ, ამ ხოცვა-ჟლეტაში რას გავიგებ, მე ათი წლის ბავშვებისათვის ანბანის სწავლება თუ შეეძლო, ესეც ღვთის დიდი წყალობაა.

მაგრამ ბავშვიც მიხედებოდა, რომ ჰანსს უყვარდა კლავსი. ეს მართალი იყო. ამაში იმთავითვე დარწმუნდა ქალიშვილი. უყვარდა ისე კი არა, როგორც ორ ფრონტელს ერთმანეთი: არ იციან, ვინ სად დაეცემა და სად დასჭირდება მეგობრის ხელი. ასეთი მეგობრობის დროს ვინც უწინ იღუპება, ხედავს, რომ მოტყუებულია. საღ-საღამათი ტოვებს და გარბის, რომ თავი გადაირჩინოს.

ამათი სიყვარული ყველაზე მეტად მაშინ გამოჩნდა, როცა ბიჭი დაიჭრა. ჰანსს ალბათ არასოდეს გაჭირვებია და არც ჰქონია იმედი, თუ დაეცემოდა, კლავსს მისთვის ხელი გაეწვდინა.

აქ რომ ანგარება ყოფილიყო, ჰანსი ობერლეიტენანტს მეტს გამოჩნებოდა, ვინემ ამ უსუსურ ჯარისკაცს, რომელიც ხელში და პირში უყურებდა კაპრალს.

ჰანსი მოსაზრებული და ჰკვიანი ჩანდა. ახლა მოდუნდა თუ შეამჩნია იმან, რომ ბიჭი ხელში აკვდებოდა, ერთი მიცვალებული გარეთ ესვენა, მეორემ მეზობელ გვირაბში განუტევა სული და

ასეთ დროს ჰკვიანმა კაცმა იცის, რომ დაბნევა და უმოქმედობა გამარჯვებას არ მოგიტანს. მტერთან რომ ტყვეს ალაპარაკებ დაჭრილის სურვილით შენთვის გაუგებარ ენაზე და თავს საფრთხეში აგდებ, ეს იმას ნიშნავს, რომ ავადმყოფის კინიანობა უფრო ძვირად გიღირს, ვინემ საკუთარი სიცოცხლე.

გუცას კლაუსის აჩქარებული და ზერელე სუნთქვა უკვე გულს ტყენდა.

ბიჭმა თვალები გაახილა და უცებ ფეთიანივით გადაატრიალა.

ჰანსი იმისკენ დაიხარა, მარცხენა ხელზე დაეყრდნო, ხომ არაფერი გინდაო, თავი გააქნია.

— წყალი! — თქვა ბიჭმა და სიცხიანი, დაწითლებული თვალები გაუშტერდა.

ქვაბუნა ცარიელი იყო. მეორე დღეა, წყაროდან წყლის ამოტანა ვერაინ ვაბედა. ჰანსს იქნებ არ დაეხია უკან, მაგრამ წუხელ ცოტა წყალი კიდევ იყო კლაუსის მათარაში.

— მაშინ არ მინდა, — ხიზინით თქვა ბიჭმა და იგრძნო, რომ მისი მზერა ჰანსს გულს უკლავდა. ქუთუთოები დაუმიქიმდა — ჰანს, ისე ძალიან არ მწყურია — ნაშუაღამევს ხომ დაელოე.

— კი.

— მე ვიცი, მწყურვალი ადამიანი ერთ კვირას მაინც ძლებს.

— მეტ ხანსაც, მაგრამ საღამოს წყალი გვექნება.

— არა, ჰანს, საღამოს ნისლი თუ არ იქნა... არა!...

— დაღამდეს და ვნახოთ.

— ჰანს, დამიჯერე, დაიფიცე, რომ თუ ნისლი არა... წყალს არ ამოიღებ, დაიფიცე!

— ვინ დაეფიცო?

— დედა...

— დედა არ მყავს, კლაუს, ხომ იცი!

— ვიცი, ჰანს, მაგრამ მაინც უნდა დაიფიცო, რა გიბოხრა იცი? მე მათი არ მჯერა, ვინც ცოლს იფიცებს.

— მე არც ცოლი მყავს.

— ვიცი, მე ისე ვთქვი, ვისაც მყავს... — ბიჭმა გამშრალ ტუჩებზე გა-

თეთრებული ენა მოისვა და გაჩუქდა. ჰანსმა გვირაბში მიიხედ-მოიხედა. იგი ვერ ისვენებდა, ბიჭს რომ უწყობა ტანჯავდა, ქალებს მიაშტერდა, რა უნდოდა ამ მზერით, გუცა ვერ მიხვდა, თვალი აარიდა, თუმცა ახლა აღარ სწყენია ამ კაცის შემოხედვა.

— კლაუს!

ბაუმანმა თვალები ისევ გაახილა.

— შე შეუბნები?

— შენ გეუბნები.

— რა გინდა, ჰანს, მესმის.

— რა და, არ შეიძლება დედაზე მეტად შეგივყარდეს ვინმე?

— არა, ჰანს.

— აი, ასეთი კარგი გოგო რომ იყოს, მაინც — თავით იმ კუთხისაკენ ანიშნა, სადაც ნაბალში შეხვეული ქალები იყვნენ მიყუყულები.

ახლა კლაუსმა მიაბრუნა თავი და გაიღიმა.

ტყვეს არ სწყენია ჰანსის ნათქვამი. იცოდა, ამით ხახვამშრალ მომაცვდავს იტყევდა.

— არ ვიცი...

— გამოტყდი, — შტუტემ თვალი ჩაუკრა — ვთქვათ ჩვენ გამოჭვდულში არ ვზივართ და... — აღარ თქვა გვესერიანო — სადმე, სხვაგან შეხვდი ასეთ ქალიშვილს.

გუცა მიხვდა, ჰანსმა მარტო იგი იგულისხმა.

— ჩვენთან?

— ჰო, იმ ქუჩაზე, სადაც შენ და დედაშენი ცხოვრობთ.

— დედას სწყინს, როცა მე გოგოებს ველაპარაკები.

— ვთქვათ, მარტო ხარ და ბალის კუთხეში ზის ქალიშვილი.

— თუ არ მოეწონე!...

ჰანსმა ტყვეს გადახედა.

— მოეწონე, ვთქვათ, მოეწონე, დაჯექით და ისაუბრეთ.

— მერე?

— მერე კინოში წახვედით და ორ საათს ბნელში ისხედით.

ბიჭს შერცხვა.

— მოიცა, ჰანს...

— რატომ მოვიცადო, სახლამდე მიაცილე, დამწვიდობებისას იცი რა გითხრა? მოერიდა, გაწითლდა, მაგრამ მაინც გითხრა, მალე, ძალიან მალე უნდა განახო. შენ დათანხმდი.

— მეორე დღესვე მივალ.

— მაგრამ დედაშენმა არ გავიშვა.

— უარი მითხრა?

— ჰო, გითხრა, რომ ვერსად ვერ წახვალ.

კლასმა მალულად შეხედა გუცას დიდრონ, სვედიან თვალებს, შუბლზე ჩამოყრილ დაუფარცხნელ თმებს და თვალი ააბრიადა.

— თქვი, არ წახვალ?

— მესამე დღეს წავალ.

— სულ არ გიშვებს.

— სულ არ მიშვებს?

— არადა იმ გოგოს ძალიან უნდა შენი ნახვა, რომ არ მიხვიდე, ბევრს, ბევრს იღარდებს.

კლასმა ხმა არ ამოიღო და გაიღიმა.

— წახვალ, მე ვიცი, რომ აუცილებლად წახვალ!

— ალბათ წავალ, — ჩუმიდ თქვა, ისე, რომ ქალს არ გაეგონა, მაგრამ მათ შორის ხომ სულ ორიოდ ნაბიჯი იყო.

თავი მეთხუთმედი

ღამით წაეთოშა. დილით კლდეები მზეზე ისე ბრჭყვიალებდა, გეგონებოდათ ზედ შუშის ნამსხვრევები დაბნევიათო.

აქაქაწებულმა ვახომ თვალი გაახილა თუ არა, ნაბიჯიდან გამოძვრა, მალა ახლდა.

— ეს გადარეული რაღაცას მოიწევს — თავი შიბარუნა თოფმომარჯვებულმა თუთარმა — მაგ ნაბაღში სამიშვე მტრებით და შენ რა ჭინკა შემოგიძვრა.

— გუას არ უნდა შევხვდე? — გაუკვირდა სულსწრაფ ბიჭს და ქვევით ჩამოიხედა. პასუხს არ დაელოდა, გზის გაგრძელება დააპირა, მაგრამ წათოშინლზე ფეხი დაუცდა, თუთარმა თოფს ხელი უშვა, გადაწვა და გადაედობა,

რომ ამ შეეკებოდან არ გადაეარდნილიყო, მაგრამ დაცურებულმა ხელფეხი გაშალა, ტინს მოებრუნა, თავი შეიკავა, მუხლზე შარვალი გადაიხია და კვირისტავი გადაიღლიტა, არაფერი შეიმჩნია თუ არა კინაღამ სული გაძვრა.

— აქ დაეტიე, შენ რომ გელაპარაკებიან! — თოფთან ადგილი მიუჩინა თუთარმა.

— დაეტიე, დაეტიე, ვერ დავეტიე! — ამოიყვინრა გამწარებულმა ვახომ და თოფი ხელში აიღო — გადავბტები და ვისაც მოვასწრებ, ვესერი.

— შენ მეტი ჭკუა კი არა გაქვს! ძირს სული არ დაგყვება...

— არ დამყვება და ნუ დამყვება — თავდაღმა გაწვა და მტკივან მუხლს მკლავი შემოხვია.

— ხომ გესმის! — ჩაილაპარაკა თუთარმა, თუმცა უფრო მკაცრად კი უნდოდა ეთქვა და აღმა თვითონ ფრთხილად აუყვა.

— არ მესმის! — გაადევნა ვახომ და ქვევით თვალამდგრეულმა ჩაიხედა.

გუა გუშინ ნაშუადღევს გაუდგა გზას, რომ სახლიდან ჭერის პური, კარტოფილი და ღორის შაშხი მოეპარა.

სხვა დროს, თუ მოისურვებ, მთელ სოფელს გაძარცვავ. სვანებმა კარის საკეტი და ბოქლოში რაა არ იციან, მაგრამ ახლა ომია. ყველას გამაფრთხალი აქვს ძილი, ყველას ოჯახში შიში ჩაუსახლდა, შიშს კი დიდი თვალები აქვს.

ვახომ, როგორც კი თუთარი თვალს მოეფარა, მტკივანი ფეხი მეორე ფეხზე გადაიდო და აწრიალდა. კლდე, რომელზეც იწვა, გვირაბების თავზე ისე იყო გადაშობილი, რამდენი არ გადაიწვია, შესასვლელი მაინც ვერ დაინახა. მერე იფიქრა, მართლა თავდაყირა არ გადავეშვეო და უკან გახლხდა. იმდამინდელი ორი გასროლის შემდეგ გარეთ ცხვირს აღარავინ ჰყოფდა და მოედანზე ღორღისა და ლოდების მეტი...

ჰო, ერთ ლოდზე მოხვეული ბაწრის მეტი არაფერი ჩანდა. ბაწარი წყაროდღე ჩადიოდა. ბიჭებმა ეს, როცა აქ ამ-

ოძვრენ, მაშინაც დაინახეს, მაგრამ თოკი იმსისხო არ იყო, კაცი ჩაპყლოდა, თუ ვინმე თავს მოიძულებდა, მით უარესი, მოედანზე ხომ უნდა გამოსულიყო...

ახლა გამწარებულ ბიჭს მუხლის კვირისტაგი ისე ეწვოდა, არ იცოდა რა ექნა. აღარც თუთარი იყო, რომ ენა მაინც მოეფხანა. აიღო თოფი და ბაწარს მიუშვირა, მაგრამ ჰაერში გავი-

მული თოკისათვის სროლა არ ივარგებდა, ჯობდა იქვე, ლოდზე დეემიზნებინა. ეს უკეთესი იყო, ერთი *რომ* მანძილი ყველაზე მოკლე იყო და მეორეც, თუ ბაწარს ზუსტად ვერ მოახვედრებდა, ტყვიას ქვევით ქვა დახვედებოდა და სანახევროდ რომ გადაეჭრა, ლოდზე გახეთქილი ცერის სისხო ტყვია დანარჩენებსაც დაამორიშორებდა.

ნაწილი მისამი

თავი პირველი

მოხდა ის, რის გულში გავლებაც ყველას ეშინოდა. ზოგჯერ არის იმზელა უბედურება, რაზეც არ გინდა იფიქრო. გგონია, რომ წარმოიდგინო, დააჩქარებ ამ ცოდვის დღეს და ამით ღმერთს, თუ ბედისწერას, გაახსენებ, რომ შეიძლება ასეთი საშინელებაც მოახდინოს, თანახმა ხარ ყველაფერზე იფიქრო, მკრეხელობაზე, განკითხვაზე, წარმოუდგენელზე, მასზე კი არა, რომ გზა აუბნო იმას, ვისაც შეუძლია ეს ჩაიდინოს...

თოფის ქუხილმა, რომელიც კიდევ ერთხელ გაისმა მათ თავზე, გვირახში გამომწყვედულები მიახვედრა, რომ ტყვია არ მოხვედრიათ, მაგრამ ყველა სასიკვდილოდ დაჭრა.

თოფის ხმა როცა ხვეიდან ხევში წავიდა და მიწყდა, ისევ დადგა ამაზრზენი სიჩუმე. ამ ერთი ტყვიით დატრიალდა გუშინღამინდელზე უარესი, ამას ისევ ის ორი გასროლა სჯობდა.

ერთი გასროლა, რომელიც იცი მიზანს მოხვდა, შემზარავია. დუმლის შემდეგ თუ ისევ გახშიანდება, გულზე უნდა იტაცო ხელი. და მარტო სულზე იფიქრო.

გარეთ არავის გაუხვლია. ქუხილის დროს იქ არავინ იყო და ეს ტყვია გამოქვაბულში მოქცეულ მტერს და

მოყვარეს ერთნაირად ერგო. თვალდახუჭულიც ხედავდნენ, რომ წყაროდან მოედნამდე გაკომული თოკის ერთი ნახევარი წყლის პირას ეგდო და მეორე ლოდზე ეკიდა.

შტუტემ გაფართოებული თვალებით გადახედა ბიჭს, რომელიც ამ სროლის ხმამ გამოადგინა. ბაუმანი უაზროდ მიაჩერდა ჰანსს, მანაც იცოდა რა მოხდა, მაგრამ არ შეეძლო დაეჯერებინა.

ქალებმა ეს უბედურება ჰანსისა და კლაუსის თვალებში ამოიკითხეს, მაგრამ მეორე გვირახიდან ექვსი წყვილი ჩექმის ხმა რომ მოისმა, მერე როცა ბრუნენტი გადასწიეს და გამოსასვლელს მოადგნენ, ორივეს უნდოდა დაეცივლა, მაგრამ ხმა არცერთს არ ჰქონდა. მტრის ასეთ შემოხვედვას შეეძლო ქკუიდან შეეშალა ადამიანი. ამ თვალებში რომ მარტო შურისგება ყოფილიყო, რომელიც სიცოცხლის წართმევას გიპირებს, — არაფერია, ეს იყო სხვა, რომელიც სიკვდილზე უარესს გაბრდება.

გუცამ ნაბადი აიტაცა და სახეზე აიფარა. თავი მის ფეხებთან გაწვა და მოიკუნტა.

გამოქვაბულში ჰაერი გამოსრა. ამ თვალებმა ერთბაშად ჩაისუნთქეს ყველა სინესტე, გამოწოვეს ტინებს სინედლე და გამოქვაბული თონესავით გაახურეს.

თავი მერვა

სამი დღის მწყურვალ დაჭრილს ენა გაუხმა, ტუჩები აქერცლა და გაუთეთრა. ზედზედ მზიანი დარები დაიქირა და გარეთ გამოსვენებული ობერ-ლეიტენანტის რუმბივით გასიებული ლეშმა და კვინიხში ტყვიადარტყმული ალფრედის გვამმა ხრწნა დაიწყო.

ბაწრის ჩაწყვეტისთანავე კაპრალმა დესანტებს საკმელი ჩამოართვა, თუ კიდეც ვინმეს რამე ჰქონდა ვადანახული, ორცხოხილა ან შაქრის ნატეხები ერთიორად გააცოფებდათ გვირაბში გამომწყვდეულებს.

ნერწყვგამშრალ ქალებს მკვდრის სუნი თავბრუს ასევვდათ.

ჰანსს დაჭრილის მხარეს აღარ უნდოდა მიეხედა. გამოქვავულის კედელზე რაიმე წერტილს ამოიჩემებდა, უყურებდა, უყურებდა და უყურებდა, იგი აქამდე რალაცაზე ფიქრობდა, ახლა კი აღარაფერზე. ამხელა თავსატეხი ქვეყნად ცოტა ვინმეს თუ ჰქონია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს აღარაფრის მოსახრება არ შეიძლებოდა. ყველაფერი გადაწყდა. თვითონ მამაღმერთი თუ ჩამოვიდოდა, თავის კალთაში შეახვევდა და გადაადრენდა მწყურვალ გერმანელ ჭარისკაცებს, თუ არა ახლა კეთილი ანგელოზის მფარველობაც ვეღარ უშველიდათ. საბრალო კლასისათვის კი მისი საყვარელი დედის უბედურება და უკვდავების წყალიც ამაო იყო.

შტუტეს ძარღვები დაუწყვიტა ამდენმა ღუმილმა. ეს ორი დღეა მათ თავზეც ისე დაცოცავდნენ, კენჭი რაა, ისიც არ ვარდებოდა ზევიდან, აღარც ტყვეებს ეძახდნენ. მას მერე, რაც ბაწარი გაწყვიტა, მტერმა თავისიანებსაც წაართვა წყალი და თვითონაც დაიბნა, ენა გაიკვინდა და ელის, რა მოხდება.

ტყვეებს მოითხოვს ქიქა წყალში?

არა, არ მოითხოვს, რადგან იცის, არ მისცემენ. აქ ეს ქალები რომ არ იყოს, აქაურებს ორი ხელყუმბარა ამოწყვეტს. ტყვეები მათ სიცოცხლეს უღ-

რის: ამის მოთხოვნა წყლის საფასურად არ შეიძლება...

გაქვინული

ქალებს რომ მისცენ წყალი? იმეორედა ტყვეებს ვინ დაანებებს. ეს ჰანსსაც გაუჭირდება, თავისთვის რომ უნდოდეს, მაინც გაუჭირდება. ახლა კი, კლასს ყველაზე მეტად უნდა წყალი... წყალი მას სიცოცხლეს ვერ დაუბრუნებს, ვერ განკურნავს, მაგრამ ჰრილობით მოკვდება და წყურვილი მაინც არ დააბრჩობს. მისთვის ჯერ ერთიც უსამართლობაა და მეორეც... ისიც ასეთი სიკვდილი... სადაა სამართალი!...

ბაუმანს ღია, ამომხმარ პირში, საიდანაც ასეთი წამღერებასავით ბავშვური ხმა ამოდიოდა, ახლა ორი სულთამხუთავი უძერება. ბიჰს, რომელიც ჯერ არც კი მიმხვდარა, რატომ მოვიდა ამ ქვეყნად, ორი სიკვდილი ერთმანეთს ხელიდან გლეჯს, კლასს, რომელსაც მართო დედა უყვარს. მას სხვა ქალი ჯერ ბავშვური სიყვარულითაც არ ჰყვარებია.

დაჭრილის ამომხმარ ზორხში ჰაერი ისე ამოდის და ჩადის, თითქოს დახვეულ, ხმელ ნეშოში უბერავდეს.

ჰანსს შიში გაუჩნდა. შეიძლება შევიშალოო და დაავიწყდა ყველა დანარჩენი უბედურება. ადამიანის გონებას რაც განსაზღვრულ სასოწარკვეთილების ან ბედნიერების ატანა შეუძლია.

ქალები ზურგით მიკვრიან კედელს. ერთმანეთის ცქერით დაოსებული ქუთუთოები ფართოდ აქვთ გახელილი, მაგრამ არაფერს არ ხედავენ.

შტუტე კი ხედავს მათ თვალებს და ხანდახან თავში გაუელვებს, რომ ქალების გულებში გამჭვირვალე გარსი ცისფერი წყლითაა სავსე. ცისფერ სითხეში ცურავს თვალის კაკალი და წყლით სავსე ბურთები დაცურავენ ბუდეებში.

ჰანსმა სახეზე ხელები აიფარა. იგი ხედავდა, რომ სულ ცოტაა უნდოდა გაგიებას. საკმარისია ეს, რაც ახლა იფიქრა, დაიჯეროს, დაიჯეროს, ქალებს თვალების ადგილას აქვთ ცისფერი წყალი და მონინდომოს დალევა...

ნაუცბათევად შებრუნდა და დაჭრილსა და ტყვეებს ზურგი შეაქცია.

გარეთ ორ მყრალ გემს ბრუნენტი ჰქონდა გადაფარებული. ბრუნენტს მზე აღდა და მიცვალეზლებს ცხელი ორთა ასლიოდა, რომელიც ცეცხლის უფერული ენებივით მალლა მიიწვედნენ. ამ ორთაოს შემხუთველი სუნი შემოჰქონდა ტინის მწყურვალ ხვრელში.

საფლავი ყველას ეკუთენის: მრუდსაც და მართალსაც, ეთქვათ, სიცოცხლის უფლება ყველას არა აქვს, მაგრამ ვინც სიცოცხლის ღირსი არაა, საფლავის ღირსია. ამათ არც ეს ერგოთ.

ბაუმანი ისევ ქშულით სუნთქავდა. ჰანსს არ მიუხედია მისკენ. „ამასაც უნდა ამოძვრეს სული, — აღამიანს სანამ სული ვიდგას, თურმე ფიქრს ვერ მოიშლი — მერე მზეზე უნდა დავავდო, ჰაერს მოწამლავს და მისი დანახვა უნდა შემზიზღდეს. ბოლოს კი, როცა აქ ყველაფერი დამთავრდება, სვავები წაიღებენ და მის ძვლებს კლდეზე გადაჰყრიან. სვავებს ალლო აქვთ, კლავისის ძვლებს მალლა არ აიტანენ, ის სუსტია და ადვილად დაიძხვრება.“

— ფროილიანი!...

ქალმა კედლიდან ჰანსზე გადმოიტანა მზერა.

შტუტემ უკან მიიხედა.

— მისმენთ?

— ვისმენთ, — თქვა ქალმა. მის ზმას ადრინდელი სითბო და მომხიბველლობა აღარ ჰქონდა.

— ვიცი, რომ მისმენთ — უპასუხა კაბრაღმა და ისევ ააჩიდა მზერა.

— რაღაცის თქმას აპირებდით...

ქალებს მოთმინების ძაფი გაუწყდათ, მათი უბედურება ბევრად უფრო აუტანელი იყო. ესენი თავიანთ თავს ვერაფერს დააბრალებდნენ. თუ აშაკებ, იცი, რომ სასაქელიც გელის. იცი, ჰირიც უნდა აიტანო, მაგრამ ვისაც არ დაუშავებია ერთი ასად ისაება.

— ჩვენ ყველა ერთ ტაფაში ვიწვით...

— მერე ეს სამართალია?

ჰანსმა თავი გაიქნია, ქალს არ უნდა

ელაპარაკა სამართალსა და უსამართლობაზე. აქ ახლა ეს ძველადე უსამართ იყო.

— მაგრამ ჩვენ მაინც ერთნაირი დასასრული გველის.

— საუბედუროდ, ვიცი...

— არ შეიძლება ახლა ეს ვინმე ჩვენთაგანმა არ იცოდეს.

— თქვენ ყველაფერი იცით...

— თქვენ კი არ იცით, რაა ომი...

— არა, მაგრამ თქვენ ძალიან დამეხმარეთ. ამ მხრივ მართო მე და თაქი კი არა, მთელი მსოფლიო გაანათლეთ.

— ჩვენ ასეთი უბედური როლის შესრულება გვერგო ისტორიის წინაშე... — შტუტემ თავი ჩაჰკიდა.

— „ისტორიის წინაშე“ — მწარედ გაეცინა ქალს, — ეს ბავშვი მაინც დაგეტოვებინათ სახლში — ხელი სულთმობრძავს მიათითა — და ამის საცოდაობით მაინც არ გეწამებინეთ.

გერმანელი გაიხუშდა.

ქალს ამდენი უსამართლობით და ტანჯვით საესე მოთმინების ფილა ხელიდან გაუფარდა.

— კლავს! — ჩასმახა გუცამ ბაუმანს — დამშვიდდი, „ისტორიის წინაშე“.

კლავსმა თვალები გაახილა თავისი სახელის გაგონებაზე.

— ჰაა!... — ამოიგმინა უბედურმა.

— გტკივა?

ბიკს ამ კითხვაზე თვალები გაუფართოვდა.

— შე შეე დღეზე გაჩენილო, გტკივა?

ბიკმა თვალები გადაატრიალა, ეტყობოდა ახლა ერთი-ორად დაშანთა ნატყვიარპა.

— გწყურია?

გწყურიაო! — საცრის ოდენა გაუხდა თვალები.

— მწყურია, ფროილიანი, მწყურია! — იგი შეინძრა, ხელებით დაეყრდნო ქვეშ გაგებულ ფარაჯას, წამოწევა დააპირა. კაბრაღი ეცა, ხელებით მხრებზე დააწევა.

— ჰანს, ვამიშვი, ჰანს! ფროილიანი,

მწყურია... მეტი არაფერი მინდა, მომეცით წყალი, მომეცით და ერთხელ დავლევ, მარტო ერთხელ...

შტუტემ ბრაზით შეხედა ქალიშვილს, რომელმაც სათქმელი არ მოზომა და უღვთოდ იძია შური მომაკვდავზე.

ბიჭი გაათავისუფლებას ცდილობდა, ამაოდ წვალობდა ჰანსის ღონიერ მკლავებში.

— ჰანსი — დაჭრილმა კისერი წაიგრძელა, თავი წამოსწია და საყვარელი მეგობრის ხელებს კბილით მიწვდა. კაპრალმა მიანც არ გაუშვა და მის სახეზე კუნთები ისე დაიძაგრა, ტყვეებმა დაინახეს, სადაც ბიჭი კბილით მიწვდა, ამოქამა.

გუცამ ანგარიშმიუცემლად წამოიჩოჩა და მუხლი წინ გადმოდგა, მაგრამ წელზე მოხვეულმა თავიმ შეაჩერა და უკან, თავის ადგილზე დააბრუნა.

ტკივილისაგან გაშწარებულმა კაპრალმა ამოიგმინა და კბილით ჩაფრენილი მოიცილა. დაჭრილი გულადმა დაეცა და პირიდან სისხლი წასკდა.

— წყალი, ამოიხრიალა და ისევ წამოიწია, ქალებისაგან გადაბრუნდა და გაიმეორა: — წყალი, ფროილან, წყალი! — თავდაღმა დაემხო, კისერი ახლა ქალებისაგან გაიწვდინა და ფრჩხილებით მოეჭიდა კლდის იატაკს, მოწყვეტილი სხეული გაათრია.

ტყვეები კედელს მიეტმასნენ.

დაჭრილი ისევ მოეჭიდა სიბ ქვას ფრჩხილებით, ისევ სადგისივით ჩაუყა-

რა ტინს ძველტყავა თითები და ფარჯიდან გადაფორთხდა.

— წყალი, ფროილან, წყალი...

ნაბადს მიწვდა, დაქაჩა და კვლავ აითრია სხეული, ახლა მარტო ფეხებშია ჰქონდა ფარჯაზე. თავი ნაბადზე დაღო და ხელები ტყვეებისაგან გაიშვირა. გუცა მუშტის ტოლა გახდა. ფეხები შეიკეცა, მაგრამ მომაკვდავი ქალისაგან მიიწვდა.

— წყალი...

ნახევარი სხეული ნაბადზე გადმოითრია, ტყვეს დაკრუნჩხული ხელით მიწვდა კოქის სახსართან და მოეჭიდა. ჩააფრინდა ფეხს და გაუჭიმა, ქალს ცივმა ოფლმა დაასხა, მიტკალივით გაფითრა. დაჭრილმა სისხლიან პირთან მიიტანა ფეხი და ზედ კოცნა დაუწყო ცხელი ტუჩებით.

— წყალი, ფროილან, წყალი...

— წყალი! — შემზარავად იკივლა ქალმა და გარეთ გაეარდნილი ხმა მეორე გვირაბის ბრეზენტს მიაწყდა. მერე ხევებსა და მწვერვლებში გაიჭრა.

— წყალი...

— წყა-ლი!..

— წყა-ლი-იი!

თავი ადგილიდან წამოვარდა, დაქრილს გადაეცლო, ჰანსს წინ გაურბინა, მოედანზე ბრეზენტგადაფარებულ გვამებს გვერდი აუქცია და მალა ასძახა:

— აუუ!

— აუუ! — იყო პასუხი.

— წყალი, ბიჭებო, წყალი...



თეთრი ხაზები

ქალაქს ვარსკვლავები შორით დახედავენ,
ქალაქებს აბრუებს ვარსკვლავთა ექო,
მტკვარი მოაქანებს ფერად საღებავებს,
მტკვარს წამოუღვავს ხავსი და წენგო.

შენ ქუჩის შუაგულს მიჰყვები ღელვით,
არღვევ მოძრაობის წესებს,
დაფარულია ნახაზებით პლანეტა მთელი
და ყველა თავის გზის ასავალს ეძებს.

სად ნებადართული არ არის გაველა,
იქ მოჩანს ზოლები — თეთრი და ფართო,

გადასასვლელი ვართმანეთს გვიან,
წყვეტილი ხაზებია მარტო.

ზოგ ქუჩას სინათლე მიჰყვება არხივით.
ზოგს რუხი კედელი ამთავრებს,
ზოგან მოძრაობა ყოფილა ცალმხრივი,
ან სულ არ უშეებენ მანქანებს.

გაუბამს ოცნებებს ვნებათა ფაცვრი,
არ ემორჩილება კანონებს მკერდი,
და მთელი სიცოცხლე თეთრ ხაზებს
გავცქერით,
რატომღაც ყველაზე აკრძალულს ველტვით.



წრიალებს სული და ოთხ კედელში
ვეღარ ეტყვა და ჭარებს ვედრებს,
რომ განაშორონ, ო, განაშორონ
უერთგულესი ქალაქის კედლებს.

ახლა სიკვდილიც არაფერია,
როცა ვიცი, რომ ვერაფერს შევცვლი,
როცა თვალეზე გადამფენია
შენდამი ტრფობის შრიალა ვერცხლი.

ცად მიმავალმა ჩემმა მნათობმა
მხარი იცვალა და კვლავ ამოდის,
გრძელდება ფიქრთა მუხანათობა
ამ საღამოდან იმ საღამომდის.

ასე მგონია — არაფერს ველი,
და არაფერი აღარ მჭირდება;
ჭიამია მომნახავს სველი,
წითელი ფრთებით დამაფრინდება.

ისე იქუხებს ჩემი აპრილი,
ისე წამოვლენ ლურჯი ღვარები,
შენი სინათლით თვალედაღლილი
სხვას ვეღარაფერს შევუხარები.

შენ ვერ გაიგებ, რა დღეებს ვითვლი,
და რომც გაიგო, ვეღარას შეცვლი.

...და ღრუბელივით ქანაობს ირგვლივ
შენდამი ტრფობის შრიალა ვერცხლი.

მე გეს ღავექებ



მე არც კი ვიცი, რას ვემდურები,
რას ვევედრები იისფერ მარტებს,
მით თვალთა შენთა მედიდურება
და გამომწვევი იერი მართებს.

პატარა ბიჭი აღუჩებს არსევს,
და თუმცა იგი ერთობ ნაზია,
მე შევამჩნევედი მის ბავშვურ სახეს
შენს სიჯიუტეს და ურჩ ხასიათს.

და მისთვის მინდა ყვავილი შქერის,
მე მას დავუძებ, რამეთუ მიყვარს...
ო, ტკივილს ისე საოცრად შევლის,
როდესაც ნდობით გიყურებს ვიღაც.

მე მას გაეანდობ პრომეთეს ამბავს,
მოგაგონდები ხანდახან, ვიცი,
და გაიღიმებს სიზმარში ალბათ.
ჩემი ოცნების პატარა პრინცი.

შემდეგ აიღებს სინათლის ალღოს,
ივლის სექტემბრის ფერებით მთვრალი,
და ჩუმად იტყვის: „ბუნდოვნად მახსოვს,
რაღაცას წუხდა უცნობი ქალი“.

წამით შედგება გაღებულ კართან,
იისფერ ფარდის შეაკრთობს რიდე,
და გაიფიქრებს: „პრომეთეს გარდა
ის გულისხმობდა რაღაცას კიდევ“.

ჩაუმუქდება, როგორც ჩვევია,
შენეულ თვალთა ხაზი და ფერა,
და იტყვის: „არასად შევიმჩნევია,
ისე ღამაზად ჰყვაროდა შქერი“.

და შეეცდება, თითქოს შენს ნაცვლად,
მოსპოს უაზრო ჭრილობის კვალი.
გამიხსენებდეს ნეტავი მართლა:
„რაღაცას წუხდა უცნობი ქალი“...

• • •

არის ნაპირი ისე უზადო,
მედუზას სუსხი, ქვირითის გემო...
შენს დაბრუნებას სანამ ვუცაღო,
უმისამართოდ წასული გემო.

ან ვის ახსოვდა ეს ერთგულება,
ან ვის ატკენდა ღალატი გულსა!
მე შენს კაპიტანს არ ვემდურები,
რომ სადაღაც სხვაგან ჩავეშვა ღუზა.

უბრალოდ ვხატავ სილუეტს მაღალს,
და ზღვისკენ ვუშვებ ოცნების არხით,
და ამწებენ ნავსადგურს ახალს
ჩემი ფიქრები — კეთილი ხალხი.

ნისლში ელვარებს ტუფი და კაეო.
ზღვა ისეთია, სჭირდება მსხვერპლი,
ეს — თოლიები ამლილან ქარში,
თუ მოგონების ნათელი ფერფლი...

ეს — ზღვა შიშინებს, თუ ნაღვერდალი
მლაშე შნეფებით მოურწყავს ნიავს.
ჩანოვარდნილა დაბლა შერცხალი
და უცხო ტალღას ზეიმით მიაქვს.

იქნებ დაცემას სიმშვიდეც ახლავს,
ვით შეჩერებულს ქარბუქში მარბილს...

და ამწებენ ნავსადგურს ახალს
ჩემი ღეჟსები — კეთილი ხალხი.



მეფე დემეტრე მეორე

(ტრაგედია ხუთ მოქმედებად)

მოქმედნი პირნი:

დემეტრე მეორე, საქართველოს მეფე
ირინე კომნენი, დედოფალი
ოლთა, ყაღნის ასული, გადედოფლებული
ფილიპე, სახლთუხუცესი
ერმანოს, დემეტრეს სარდალი
ნათელა, ბექას ასული, გადედოფლებული
რუსუდან, დემეტრე II-ს ასული
ვევგრი, შწიგნობარი
მარადა, ვეგერის ყოფილი საცოლვე, ღვთის გლახა
ჯამბაკე, ხუმარა
აბრაამი, კათალიკოს-პატრიარქი
ანტონ, ტფილელი ეპისკოპოსი
ელიზენდა, მთავრის ასული
სადუნი, ათაბაგი, მთავარსარდალი
ხუტლუ, სადუნის ვაჟი
ლეთონი, სადუნის ვაჟი, ბერი
დავით ნარინი, მეფე დასავლეთ საქართველოსი
ვახტანგ, დავითის მემკვიდრე
გაბრიელ, წმ. ძელის მამიებელი
იაზონ, კარისკაცი
ბასილ ათონელი, მოქადაგე
კახაბერი, გლიზუნდას ძმა, ბავშვი
დიდიმ, წარჩინებული მეომარი
მაქსიმე, ღვთის გლახა
ლუკა, ღვთის გლახა
ტაჩარ, ნოინი
ყაზან, დესპანი



ვეზირი, ყაენის მრჩეველი

თული, ნონინი

გუგუბანი, მტარვალთა უხუცესი

ღვთის გლახები, ბრბო, მეომრები, დარბაისელნი, მოქალაქენი და სხვ.

მოქმედება პირველი

თბილისი. მოედანი. აქა-იქ საეჭირო ხულები. შემოდინ სხვადასხვა მხრიდან და-
ღონებული ღვთის გლახები, მათ შორის მაქსიმე და ლუკა.

ლუკა — დღეს არავინ ვაჭრობს, არც ხელოსნობს, მთელი ქალაქი,
ცუდი ნიშნების დამნახველი, შეიპყრო შიშმა
და მონღოლთაგან დაბრუნებულ მეფეს ხედებიან
შეშფოთებულნი.

მაქსიმე — მე საკუთარ თვალთ ვიხილე,
გუშინ ხვეიდან მოვარდნილმა მეწყერმა, რარიგ
მოულოდნელად მოიტანა აბანოების
ქუჩიდან მგზავრნი და ჩასძირა მძვინვარე მტკვარში.

ლუკა — მას შემდეგ ნურაა გიკვირს, როცა შაბათს დაისხე
გამოჩნდა დიდი კუდიანი ვარსკვლავი, ხოლო
წუნელის დადგა ჯოჯოხეთის კელაპტარივით
თბილისის თავზე.

ლუკა — (შემოდინ შარადა და ევაგრი, ტოლ-გლახაკებით)
დღეს მიწისძვრით ჩამონგრეულა
დიდ აბულეთის აგებული ტაძრის გუმბათი
და მლოცველები უმსხვერპლია.

ევაგრი — ო, ჩვენც იქ გახლდით. --
ვიხილეთ თავის მსასობელ ტაძრის კედლებით
დაგლეჯილები, სულს ვით ლევენ ცის მიმართ კითხვით.

მაქსიმე — ხმა დადის, თითქო მრველენილა იქ ანგელოზი
და ღმერთს გოდებით შენუკვია, გვაკმაროს რისხვა.

შარადა — ეს სასწაული არ მომხდარა.

მაქსიმე — მაშ, რარიგ შეთხზეს?

შარადა — აბულეთელი ელიზენდამ ციურის მსგავსად
მოხიბლა ერი გოდებით და სიმშვენით.

ხმა — ცალთვალას უფრო დაეუჯეროთ,
ვიდრე მრავალ თვალს?

ლუკა — სასტიკ მონღოლთა ბატონობით, ეს ეამი ისე
გამოცრუდებო, მალე წვეგილი თვალის სახეზე
ერთი მეორეს დაუწყებენ მტრობით ცდუნებას —
და თავის თვალთ ნახულსაც კი ადამიანი
მრუდეთ აღიქვამს.

ლუკა — (შემოდინ მოურავი დარაჯით და ერისკაცნი ტიმოთეს მეთაურობით).
ღვთის გლახებო, თქვენ ყველა კაცზე
კეთილი მეფე ვწყალობდათ და სხვისებრ არ იტყვიან,
რომ ტახტის ცოდვით ცხადდება დღეს რისხვის ნიშნები.

მაქსიმე — მეფე საჩუქრით ვერ შეგვბოჭავს. ჩვენ ღმერთს ვავედრებთ
გამოისყიდოს ღვაწლით ცოდვა.



- მთურავი — დღეს ქვეყნის შეძრით
დარბაისელნი დაბნეულან, ჟამი თქვენია,
მისთვის ვმითხბ ცუდ ნაპერწკლად არ შეუნთოთ სიტყვა
ბრბოს განმზადებულს ასაგზნებლად.
- მაქსიმე — თქვენ, ერის კაცო,
რამ დაგაფეთათ?
- ტიმოთე — ტაძრის ნგრევამ. სული ძლიეს შეგვრჩა.
- ლუკა — მძრწოლარე ვინმე იქ ციურად მოგჩვენებიათ.
- ტიმოთე — ბოლოს გაეიფეთ, ვუთანაგრძეთ.
- მარადა — მისარის კიდევ
რომ შეგრჩენია ღირსეულის პატივისცემა.
- მთურავი — რად გოდებს ვგზომ, რა შევმთხვა?
- მარადა — არ ვუწყვი რინთვის
ძრწის ელიზენდა, მხოლოდ ვიცი, როცა მიწაზე
ტირის მართალი, მისი ცრემლი ცაში ეცემა.
- ევანგრი — ო, ოდესმე მეც ვადარებდი ერთ ასულს ციურს.
ის ბოლოს ზეცამ წაიღო ვით თავის ნაწილი,
მე შემრჩა მხოლოდ ლექსი, — ისიც ერმა მომტაცა.
- მთურავი — ტიმოთე, ეს ბრბო მიიყვანე უმთავრეს ბჭესთან,
უახლოდება მეფე ქალაქს და მოწყალეებას
უხვად არიგებს.
- ტიმოთე — მას სიამით ვერ ხვდება ერი,
რა ცამეტის წლის შეილი თათარს, ქაჯს მიათხოვა.
- ლუკა — ეს გვზარაფს, მაგრამ ჯერ არ ვიცით რა ზრახვით სცოდა.
- მაქსიმე — ჩვენ გარეგნული საქმეებით ვცნობთ ადამიანს.
ღმერთი კი გულში ისედება.
- ხმასასახლიდან — ისმინოს ერმა!
- ტიმოთე — ვინ მობრძანდება პალატიდან მწუწარე გუნდით.
- მაქსიმე — დედოფალია. ო, ირინე კონსტანტინი!
- მთურავი — სამგლოვიაროდ შემოსილა. ჩანს რუსუდანის
მავს ბედს დასტირის, ერს აღელვებს. ტიმოთე, ეს ბრბო
აქედან ჩქარა გამაყალღე.
- ტიმოთე — მოქადაგენი
მოიზიდავენ თუ გამოიწინდენ.
(მოისმინა საზიადართა ბორბლების ქრიალი. ასამგზავრებელი ხმაურობა. შემოდის
სახლთუხუცი ფილიპე მტლებლებით)
- ფილიპე — ჩვენი მალალი დედოფალი ტოვებს სამეფოს,
ეტლები ბარგით დასადერელად გამზადებულან,
გამოთხოვების დრტვინვა ისმის.
- მარადა — (ცაღი დგება თავისთვის) ო, მივსლა მტერს!
მე მახინჯი ვარ და ტირილი არ დამშვენდება,
მაგრამ ოცნებით ვისვამ გვერდით ჩემ წარსულ დღეთა
უებრო სახეს, იგი შურის გებით იცინის
და ესალმება ღვთის სამართალს.
(გარედან მოისმის გოდება)
- ფილიპე — დედას მიყვება
ორიე ძე, ერს გული წყდება.
- მაქსიმე — ძმებო, დედოფალს ამ ჟამს რა მართებს.



- დღესის გლახები — მოთმინება, თვინიერება!
- ფილიპე — გლახაკთა უნით ცა დაღადებს.
- მთურავი — აი, ტიმოთე
მოქადაგენი გამოსულან და უამბობენ
ბრბოს ახალ-ახალ სასწაულებს.
- ტიმოთე — ერო, უსმინოთ!
(მთურავი, ტიმოთე და ერისკაცნი მილიან)
- ლუკა — აქეთ მოიწვევს დედოფალი.
(შემოდის დედოფალი ირინე მსლებლებით)
- ირინე — ო, ვერც ძუ ლომი
თავის ნაშიერს ვერ დაიცავს მტაცებლებისგან
ისე მსურვალედ, თავგანწირვით, ვით მე ვფარავდი
შვილებს და, მაინც, დამცეს მუხი.
- მაქსიმე — ვიცით.
- ფილიპე — ჩვენც ვხედავთ.
- ირინე — რეგვენებიც მით ხართ, რომ ხედავთ და ვერ ცნობთ სიმართლეს.
- ფილიპე — რად გვკიცხავ ყველა ქვეშეურდომებს?
- ირინე — როცა ყაენის
ასული მეფემ ტახტს დაისვა მეორე ცოლად
თქვენ გვერნათ, რომ ამით მართო მე ვისჯებოდი.
მაგრამ სასახლის ცოდეა მთელ ერს ედება ჭირად, —
მტერს არგეთ ძალა და ღირსება.
- ფილიპე — დრო და ჟამის ნაკლს
ჩვენ ნუ მოგვახვევ, ღმერთმა ცოდვილ კაცთ დასასჯელად
მთელ მსოფლიოზე მოაგლინა თათართ მძლავრობა
მეფის მშობელი მათ შეეწყო ტახტის შერჩენით
და ძეც სამხედრო კავშირს ისევ მტკიცედ ინახავს,
ამით იცავს ის მშვიდობას, ტახტს, კეთილდღეობას
და ქრისტეს წმინდა ეკლესიას.
- ირინე — მეფე გათათრდა
გულით, — მხვეჭელობს, თავის ძეო სამევიდროს ამხობს
ერის ზნეობის ამოძირკვით.
- ფილიპე — სიფიცხე გიპყრობს.
- მაქსიმე — გული გიღელავს, დედოფალო, და მიხთვის ჩქარობ.
- ირინე — თქვენ მას ამართლებთ, ვინც სამართლის გრძნობა წაგართვათ
ის შემოიჭრა ჩემს ბუდეში და უღმობელოდ
გულის ფიცრიდან ამაგლიჯა პირმშო ასული,
ჯერ ცამეტი წლის რუსუდანი, მოზარდი, მაგრამ
სიმშვენიერით ანგელოზად დასრულებული.
მშობელი მიხთვის გადაიქცა აფთარზე მხეცად,
მოუკლა ხორცთან ერთად სულიც, მან იგი მისცა
ავ თათარს, თავის ყაენის მეკლეღს, მნელ ჯოჯობეთში
მასთან საძრწოლად.
- მაქსიმე — ვუთვლით ცოდეად.
- ლუკა — ცრემლით ვლოცულობთ
გული უბრუნოს კეთილისკენ.
- გლახები — გვისმენს უფალი.
- ფილიპე — ის მართალთა გზას დაადგება.

ხმები და ფილიპე — დიდება მეფეს!

ირინე — ცნობთ ცოდვას, მაგრამ არა შფოთავთ, მიტომ გიცხადებთ აქ ვერ დაფრჩხები. ძეს — მემკვიდრეს სხვაგან აღვზრდი და შემდეგ თათბას მოფერი მეფედ.

ფილიპე — იქ, შორს რას ჭერებთავ.

ირინე — დღეს აქ იმდენი ბოროტია, ვერც ერთი ერთი ვერ იარსებებს ესდენ შუღლით, ხოლო ახალნი თუ ასეთ ყოფას განაგრძობენ, ერთიმეორეს აღმოფხვრიან და გაჭრებიან.

ფილიპე — ჩვენც გული გტკივათ.
ცრემლებს გიერთებთ რუსუდანის დატირებაში, ამიტომ გზას არ გადაგიჭრით, მაგრამ შენს ძეგს ნუ აღმოუფხვრი სამემკვიდრო ერის სიყვარულს.

(დედოფალი ირინე მსულელებით აპირებს წასვლას. მოისმის აქლემების ასამგზავრებელი ხმაურობა. შემოდის კარისკაცი).

კარისკაცი — სახლთ-უხუცესო! უფლის ერო!

ფილიპე — იქ რას გოდებენ!

კარისკაცი — სანდომიანი დედოფალი ოლთაჯ-ხათუნი მთელი მსოფლიოს მკურთხელისა პირში ასული, ვისი სიცილიც ცისკარივით აფრქვევდა შევბას მიეშურება დღეს შორეულ ტრამალებისკენ. მის ცხენ-აქლემებს ჩასდგომიათ მუხლებში ქარი, მაგრამ ოლთაჯი გამზადებულ ვეფხ-მერანზე ჯერ არ შეფრენილა, იკრებს რისხვას ქალ-შევარდენი, გაშმაგებული ურტყამს ფეხებს დემეტრეს მიწას, და პირს იბრუნებს გაქცევის წინ წყველის სანთხევად.

ირინე — ო, სიკვდილი და სასტრელი ერთად მეწეია!

ფილიპე — ვგებ მობრუნდე.

ირინე — გვიან არის. მაინც მიხარის, რომ მთელ მსოფლიოს დამთურგენელის ასული დრტინაჯს.

კარისკაცი — დღეს აცნობეს, რომ ჩასაფრებით მოუკლეს მამა ნოინმა ბუგამ და შეთქმულმა მასთან დემეტრემ.

ირინე — ო, მე ოლთაჯმა არა მარტო წამართვა ქმარი მთხვავა ლოგინი მასთან ისევე გამეზიარა, ამ ცოდვას რა ვერ შევეურიგდი ჩამკირა მეფემ ძველ, ვრუ პალატში. თქვენ კი დუმიდით. ოლთაჯმა ამით გამხნეებულმა, თავის ტახტზე მოიპატიჟა ბექას ასული, ტკბილი ცოდვით აცდუნა მეფე, ხოლო ქრისტეან მორწმუნეთა დასადუმებლად დიდებულთ შორის გაავრცელა მრავალცოლომა შემარყვევლად ქრისტეს სჯულის, მაგრამ ჩანს გაწყდა ლეთის შთომინება. ოლთაჯს მისგან გარყვნილმა ქმარმა მოუკლა, ბოლოს, მამა, ცხვარი მგლად უბრუნდება — გარბის ქაჯ-ცოლი ტრამალებში თავის საშველად.

(მოისმის ხმაურობა)

კარისკაცი — ო, გამოზრძანდა დედოფალი, პირშივე ნათელა, გზის დასალოცად.

ფილიპე — მეგობრობდნენ.



- კარისკაცი — ბრანდებო ოლთაჯ!
- რადგან ნათელა გვლინება ამპარტავენულად.
- ირინე — რამდენად წრფელი მეგობრობა გააჩნდათ, ესდენ თბილი იქნება განშორებაც.
(მემოდის ოლთაჯ-ხათენი)
- ოლთაჯ — მზე, რად მინათებ, როს მომისპე ყაენი მამა!
შენ გადიდებდა იგი კაცის თავთა ყორებით,
იპრობდა ყოველს, რასაც შენი სხივი წვდებოდა
და მთელ ბუნებას, შენგან გამთბარს, მე შევხაროდი,
ვით მშობელ მამის კანონიერ სრულ საკუთრებას, —
და ეს სილაღე გაუყვავი მეფე დემეტრეს,
მან კი უზომო ბოროტებით გადამიხადა, —
გადამაქცია ნექტარის ტბა შხამის შადრევნად
და შენს სფერომდე, მზევ მაღალო, ვანთხვე სიმწარეს,
ცოფით გიბედავ საყვედურს ამ მუხთლობისთვის და
საღამოს წასულს არ გისურვებ ისევე ამოსვლას.
(მემოდის დედოფალი ნათელა მხლებლებით)
- ნათელა — ხაბრალო ოლთაჯ, ბედ-დამწვარი!
- ოლთაჯ — ბედი ვერ გამტებს.
- ნათელა — ქმარს რით დაიჭერ? მამის მკვლელი რარიც გენდობა?
- ოლთაჯ — ჩანს, გულში შხამი გქონიათ და ქებას მასხამდით.
- ნათელა — ჰო, მტარვალის შვილს გიწოდებდით დედოფალს — შიშით.
- ოლთაჯ — შენ და დემეტრე მხოლოდ ბაძავეთ პატიოსნებას.
- ნათელა — არ გისმენ, რადგან ველარ იწმობ ჩემს თანაგრძნობას.
- ოლთაჯ — დაცინვით შემხვდი.
- ნათელა — დედოფლისგან ესეც მაღლია.
- ოლთაჯ — ვინ გყო დედოფლად!
- ნათელა — მე ცარიელ ტახტზე დაგვკეცი.
- ირინე — ცარიელს არქმევ საყდარს ჩემსას!..
- ნათელა — ოლთაჯმა ქმრისგან
რა გაგთიშა, მე შემდეგ დაგვკეცი.
- ოლთაჯ — ო, მზევ ძლიერო!
- ნათელა — მზე რას გიშველის, დღით ჩადენილ ცოდვისთვის თვაითონ
ღამით მიწის ქვეშ იმალება.
- ოლთაჯ — შენ მთლად ცილი ხარ!
- ნათელა — არ მგაადრება შეგვისიტყვო:
- ოლთაჯ — მე კი მსურს გწყველო,
- ნათელა — ჩქარა გასწი შენს უდაბნოში. გიბრძანებ, ფეხი
არ შეაჩერო.
- ოლთაჯ — ო, მზევ, ცეცხლით, ღრუბელო, მეხით
დაწვი, დანაცრე ეს სამეფო ყოველ სულდგმულით.
ზეცავ, ერს ლიქნით და სიცრუით ენამოკანულს,
დავიწყებისკენ მიეც გზა და უსაგზლე ფურთხი!
- მაქსიმე — ღვთის სასოება გვამხნევებს, როს სატანა გწყველის.
(ოლთაჯ-ხათენი არწივის ყვილით გარბის. ეგებება ყვირით თავის აშალა. მიდიან. მოისმის
წველის ყვირია და ცხენ-აქლემთა ფლოქვების თქარ-თქარია)
- მაქსიმე — შავი ცეცხლია.



- ღვთის გლახები — ჯოჯოხეთით ამოსულია.
და იქ ბრუნდება.
- ირინე — ო, რა ვნება მოგვწვია ბილწმა!
- ფილიპე — იოსებ გული, დედოფალო, მტრის გადაკარგვათ.
- ირინე — რა პირით მიჩრევე.
- ფილიპე — გამარჯვებულს ცოდვას უნდობენ.
- ირინე — სჯობს ვერაგობით ქედდაწვეულს გმირულად მკედარი.
ის მოდის შურით: ასული ვით ახალი მთვარე
უმაკოების და სიწმინდის აღმომშუქველი
გასწირა შენი ჩაგონებით, ნათელა, და მე
შიშით გავერბივარ — უარესი არ დამაწიო.
- ფილიპე — სად? შენ ძმასთან, საბერძნეთის იმპერატორთან?
- ნათელა — ვის დედოფლადაც უნს ჩემი და?
- ირინე — მათი საზღვრებთან, —
ჩემს ნაშთით კეთილ სამთავროში.
- ნათელა — რა გვიც გდევნის.
- ირინე — ჩემი შვილები არიან შენს ძეზე უფროსნი,
და ვიცი შენი ძისთვის ტახტის დასამკვიდრებლად
ჩემს შვილებს სიკვდილს უმზადებ, ვით ღვთის გარეგანი.
- ნათელა — ავად მწამებ ცილს... მე კი მაინც დიდად გცემ თაყვანს,
ბედნიერ გვარის ცოცხალო რტოვ, ქართულ ტახტზე... და...
და ვერ გაგებდავდი ჩემს დედოფალს შეგცილებოდი,
მაგრამ შენსა და მეფეს შორის როს ხიდი ჩატყდა
და ოლთაჯ-ხათუნ შემოიჭრა უცხო ზნეობით
შეკრთა ვრი და დამამკვიდრეს ძალად საყდარზე.
- ირინე — შენ შეთანხმე მეფე ბუკას, — მოსპეთ ყაენი
და საზეიმო ცხვრად იმსხვრებლეთ რუსუდან.
- ნათელა — ამით
შენს ძეს საყდარი გავემავრეთ.
- ირინე — ცრუობ უტიფრად.
- ნათელა — სიძულვილიდან სიყვარულში გადაიტანე
მაგ მსურვალემა.
- ირინე — ჰოი, გიცნობ, შენ სიყვარული
პირისკანში გაქვს, ცრუ ღიმილად.
- ნათელა — ო, მეტად მკიცხავ.
- ირინე — გესმით, წამართვა ტახტი, ქმარი, ძეებს მიღუპავს
და პირს მილაგმავს. თქვენ კი დუმხართ. იყვირეთ მაინც!
- ღვთის გლახები — პირში წყალი გვაქვს.
- ირინე — რითი, შიშით? ო, თავხედობავ!
ეს მწამებს, თითქო მე ჩატვხე ხიდი მეფესთან
და ჩემმა ცოდვამ გახრწნა სამეფო.
- მარადა — დიად, პირველი ცოდვა გაძევს.
- ირინე — ეს ვისი ხმაა?
- ლუკა — მართალის ბაგის.
(გლახები თავინ ქნევით ეთანხმებიან)
- ირინე — ჭკუა გედროთ ნათელას შიშით!
(გაისმის ზეიმის ჭმები. შემოდის კარისკაცო)
- კარისკაცი — მეფეს ქალაქი ეგებება.



- ფილიპე — ჩვენი მოვეშხადოთ.
- ნათელა — გავუძღვეთ ქალაქს, დედოფალს!
- ირინე — გასჭედეს ქვესკნელი!
- ნათელა — ვითა აღზრდილი სახარებით მე ლოყას გიშვერ,
შენ კი არ ძღები ჩემი ტყუბით.
- ირინე — მე მიჩრეენია
მართო შენ დარჩე, უნამუსოვ, დედოფლად, ვიდრე
ორივ დავუდეთ ერთ მეუღლესთან და ერი დავცეთ
ბილწ მიაგალითით.
- (მოისმის გარედან შეხვედრის მოპატოეება)
- ფილიპე — მომზადებას დროსე შევეუდგეთ
(ნათელა მხლებლებით აპირებს წასვლას)
- ირინე — შენს თავზე ჩემი გვირგვინი ცამ გკლად აქციოს.
- ნათელა — ჩემ კეთილ თავზე გკლის ღეროც ვარდს გამოისხამს
(ნათელა და ფილიპე მხლებლებით მიდიან)
- ლუკა — (გლახებს) ამ ბრბოს დინებას ჩვენცა გავყვეთ.
- ირინე — მაშ, უბედურნო,
მართალს მტოვებთ და ვეებებით სულით კეთროვანს?
- მაქსიმე — დღეს მას ვით დამხსნელს, ყველა აქებს.
- ირინე — სხეების არ მიკვირს,
თქვენ კი სოფელთან გაბამთ მხოლოდ სჯული, სინდისი
და როცა ვხედავ, ღეთის გლახაკნო თქვენსა წახდენას
გამხმარად მიჩანს ერის ფესვი.
- მარადა — ო, ნეტავ ისე
მართალი იყო, როგორც ქუხხარ.
- ირინე — ყველა განმიდგა
და მოერია მას მაცდური.
- მარადა — ის მახსოვს სათნო.
- ირინე — როს თოთხმეტის წლის გავდედოფლდი, — ის ერთ წლით მჯობდა.
ჩვენი აჯნება მამინ ურიცხე წლებს გასწვდებოდა.
- მარადა — მაღალი გზნება შეუძლია კეთილს, — შენ არა.
- ირინე — მე კი მტრფოდა მეფე გრძელ ეამს.
- მარადი — არ იყავ ღირსი.
- ირინე — რა ცოდვას მახვევ.
- მარადა — მაშ, შემხედე! (გაღიწევს მის წინ პირბადეს)
- ირინე — კოი, მიშველეთ!
უფლის გლახებო!
- მარადა — ვერ შემიცან?
- ირინე — ვინა ხარ, გლახავ!
- მარადა — (აწვდის შეშას) ჰა, ეს იმ შხამის შუშა არის, რითაც
დამიწვი,
ცილის წამებით ტურფა სახე.
- ირინე — ცნობ თავს ცოდვილად?
- მარადა — ხულ არა.
- ირინე — მეფე ხომ აცდუნე?
- მარადა — შენ ის გარყვენი.
- ირინე — მაშ, შენი ქება დემეტრეს მე დავაწერინე?!
ანდა თორმეტი წლის ასული აბულებითიდან



- მე მოგვარე მას გასახრწნელად!
- მარადა — ო, რა ცილს თითხნის!
ღვთის გლახებო, მე ვარ მარადა!
- ხმები — ჰეი, მარადა!
- ვევარი — ჩემი მარადა? თუ სხვა არის? თუ, მკვდრეთით აღდგა!
- მარადა — ო, კალიოპე, ის მკვდარია, მე ის არა ვარ.
- ვევარი — ჰო... ის არა ხარ — ხმა ხმელი გაქვს. მაინც ვერძნობ — ის ხარ.
- მარადა — რა გრძლად გალექე შენი ვნება, ჩემი მშვენება,
ღღეს კი შვერცხვება იმ ღვესების, რომ დაგვენახო.
- მაქსიმი — — გლახები ვიცნობთ ყველას, — ვიცით, რომ მტკსახვლად
მოღვესობაში კალიოპე ერქვა ვევარიო, —
მარადას კვალი მან დაკარგა, შედგა გლახაკად,
თვითონ მარადა კი აქ გყავოდა შემოხიზნული
ამ პირბადით და არ გამხვლდით.
- ირინე — კალიოპე —
ღემეტრე, ხოლო ღღეს მის ცოდვას ფარავთ გლახაკნი.
- ლუკა — ჩვენ სულ ცოტა ვართ, ისიც სუსტნი, ლატაკნი, მაგრამ
ერთად-ერთ სვეტზე დგას ქვეყანა — ჩვენს სიმართლევზე,
ასეთი ძალა აქვს ღვთის თვალში უთვალავ ცრუთა
შორის მართალთა უმცირეს გუნდს.
(შემოდის ეპისკოპოსი თბილელი და ფილიპე ევბიო)
- ტფილელი — მაღლი უფლისა, დედოფალო.
- ირინე — ნეტარო მამავ,
გზის დასალოცად მოგვლოდი.
- ტფილელი — მხურვალედ გლოცავ
და დარიგებას არ მოგაკლებ.
- ირინე — გენდობი გულით.
- ტფილელი — როგორც ტფილელსა ეპისკოპოსს მომთხოვა მეფემ
მეშვეიდრე დავით გაუძღვეს ვრს მის შესახვედრად.
- ირინე — ო, რუსუდანის
დამკარგველი, ძეს ვერ დაუთმობ, — მოვიხმობ მცველად
ძალეებს ზეციურს და მიწიერს. მის ბრბოს გაუძღვეს
მარადა ღია პირისახით!
- ტფილელი — ვინ მარადა?
- ირინე — ტახტის პირველი შემბლაღველი, ვისაც ცრუ სახე
გარდუქმენ მისი სულის ნამდვილ გამოშახველად.
ნახონ, რა ჯოჯობ შეუბილწა საყდარ-ტაძარი.
- მარადა — რარიგად ვიტანს დედამიწა ბოროტ ცილისთვის.
- ვევარი — ზეცა რად ითმენს შენგან ასეთ სპეტაკის ქენჯანს.
- ირინე — სიტყვას მიბრუნებს დედოფალს? თქვენი მით გათავხედდით,
რომ მეფემ თავი დაიმცირა მარადას ხოტბით.
- ვევარი — ვჯიბმა ჩემგან გადასწერა ის ქება; მეფეს
მიართვა, და მან კალიოპე მისთვის მიწოდა.
- ირინე — ვერ გერწმუნები, ვჯიბს ვუცდი.
- ეჯიბი — კალიოპე სრულ
სიმართლეს ამბობს.
- ირინე — მღუდელმთავარო, რა როც ცრუობენ!
მათ სწადიათ დიდ ცოდვის შიშით თავი წოვიკლა?!..



- ტფილელი — მე თავის დროზე ფიცითა და გამოძიებით დავადასტურე, რომ მარადა ჩვენსა მუფუს ლექსით არასდროს შეუქია.
- ირინე — შენ რად შეაქე?
- ევგერი — ერთიმეორის ტანში გვედგა ჩვენი სიცოცხლე.
- ირინე — კაზმული სიტყვა გვირგვინისაან სატრფოებს შევინს, ანდა წოდებით მიურგებელ, შორით მიჯნურებს, თქვენ რა ვნებები გამლურებათ.
- მარადა — როგორც აღმასი უბრალო ნათელს დაიჭერს და ტურფად აღმოფენს, ასე ევგერი ჩემ მიწიერ, უბრალო სახეს გამოსახავდა ზეციურად თავის ლექსებში და ქვეყნის თვალში ამამალა.
- ირინე — თუ თქვენ გიყვარდათ ერთიმეორე, ერთი ჭერი რად არ მოძებნეთ?!
- მარადა — ჩვენი სიმორე კალიობეს ტანჯავდა. მისი ლექსად გოდება ჩაწედა მეფეს. ის შეგვიბრდა, რომ ხელს შეგვიწყობს და გვაქორწინებს, მაგრამ მიწიერ თანაცხოვრებას ვეკრძალვოდით ირგვლივ ძვინვარე სიბილწის შიშით. მაშინ შეფემ გასამხნევებლად გაგვიმქლავნა, რომ თვის დედოფალ კომნიანოსთან აქვს სიყვარული სამუდამოდ დაუცხრომელი, როგორც ზეციურ უკვდავ არსთან. მათი სიამე შეუვალა მოსაწყველელად იჭვისთვის... ესაი ვერ აზინებთ და ერთმანეთის სხეული მათთვის წმინდათ-წმინდაა ვით ტაძარი.
- ირინე — გაეს, და ძლივს მახსოვს.
- ევგერი — გაგვიქრა ვჭვი. ჩვენ დაერწმუნდით, რომ სამოთხისკენ ერთი კიბეა — სიყვარული, და იმ ერთად-ერთ კიბის ძირია დაყრდნობილი ცოდვილ მიწაზე, რასაც უშიშრად უნდა აფყვეთ ღვთის საფერხმდე.
- ირინე — რაარეგ მამნევენ. მერე ხელი ვინ შეგიშალათ?
- მარადა — შენმა სიმმაგემ.
- ირინე — მაინც იცან ვისთან საუბრობ.
- მარადა — მაშინ ვით მფარველ ღვთის მშობელთან მოველ მე შენთან გაბრწყინებული სიხარულით, რადგან მეუფემ გამხნევებასთან ფასუთქმელი ქვა მიწყალობა და მღვდელმთავარმა გამიხვნა ღვთის სახლის კარები გვირგვინის სკენისთვის ევგერისთან, მაგრამ შენ უცბად დამეც რისხვა და მომწვი სახე.
- ირინე — დამიცი, მამავ, ბნელ ბრალდებიდან.
- ტფილელი — შენ უყვარდი დემეტრეს, გარნა გული ეცვალა იმ დღიდან, რაც სპეტაკ მარადას და მის საყვარელს მოუშხამე ქვეყნად ცხოვრება. შენი საშინელ საქმეებით გულგატეხილი დემეტრე აყვა მაცდურს, ტახტი ცოდვით შებღალა და, თუმცა, იგი დღეს ბრუნდება გამარჯვებული,



ი რ ი ნ ე — ხეალ მაინც ციკება არ აცდებდა ვკლესიისგან.
 — ო, აწ ნათლად ვცნობ, რომ მეხოტბე არის ევაგრი და არ ჰქონია მარადსთან მეფეს ტრფიალი, მაგრამ მას მაინც უსამართლოდ დასჯილად ვერ ვცნობ, რადგან დემეტრეს გადაჰქიდა მან ელიზენდა აბულეთელი, თორმეტი წლის მშვენიერება. გაახრწნევიანა მეფეს, შემდეგ დაზიანებულ ბავშვს დაღუპვისგან დასახსნელად თავს დაახვია დემეტრემ ყველა ექიმები და ლოცულობდა სამ დღე და ღამეს მის სიცოცხლის გამოსათხოვად... მჯერა, ძვირი ჰქვაც, განკუთვნილი ეკლესიისთვის, მეფემ მარადას უწყალობა როგორც მაჭანკალს, მიტომ ჩენს დასჯილს ავაგლიჯე იგი მკერდიდან და მით შევამეკე მოწინააღმდეგეთა ღვთისმშობლის ხატი.

ტ ფ ი ლ ე ლ ი — მასეთი ვეჭვით ჩაისახა შენში სატანა.

ი რ ი ნ ე — რარიგ სასტიკად მვიცხავ, მამავ!

მ ა ქ ს ი მ ე — ცოდვაც დიდი გაქვს.

ი რ ი ნ ე — სწორად ვერ მსჯელობთ.

ტ ფ ი ლ ე ლ ი — ღვთის გლახები ცის თვალუბია.

მ ა რ ა დ ა — რა სული გიდგა, რარიგ ჰირდავ ესდენ სიწმინდეს. ელიზენდა ჯერ ბავშვი იყო, ოდეს აქ მყავდა, გარდაილი ჩემი დედის რძით, და მე გადავწყვიტე მეჩვენებინა მეუფისთვის, ვით სასწაული. წარმოუდგინე დიდ დარბაზში და წავაკითხე როგორც ანგელოსს საჭარება იოანესგან... შეგვიტხა ბავშვს ალტყენილი მეუფე, რა სურს თავის ოჯახის გასახარად და ელიზენდამ ბავშვური ღმერთი თხოვა მეფეს წმინდა მაცხოვარის წამების ჯვარი გამოისხნას მტრის ტყვეობიდან და წმინდა ჯვარზე გაეფინოს ქრისტეს სამოსი დასვენებული მცხეთის ტაძრის საკურთხეველში, მამინ ყოველი მიწიერი ნივთი უფლისა ჩვენთან დარჩება, უთხრა ბავშვმა, გარდა ხორცისა, — რადგან ამაღლდა ის სხეულით.

ი რ ი ნ ე — ეს რა ვუწყობდი.

მ ა ქ ს ი მ ე — ქვევრში ხარ და უსმენ შენ სიზმრებს.

ტ ფ ი ლ ე ლ ი — ჩვენ გვაგონდება, რომ მის თხოვნით მეფემ შეკრიბა და აღმოსავლეთს გააგზავნა რჩეულთა გუნდი, ვით დიდ თამარმა სცადა იმ ჯვრის სალაღინისგან ოთხმოც წლის წინათ მოპოვება.

ლ უ კ ა — ახლაც მოგვესმის იმედი ჩვენი დესპანთაგან.

მ ა ქ ს ი მ ე — მიტომ ბავშვს ღვთისგან შთაგონებულად ვალიარებთ.

ლ უ კ ა — დღეს გავიგეთ, რომ უმანკობამ იმავე სახით დაასრულა ზრდა.

- მარადა — მან თქვა, რომ ქალაქს ესტუმრება, ოდეს წმინდა ჯვარს მოახვეწებენ. მას შემდეგ დღეს პირველად ვნახეთ მშობლის აგებულ მიხელთ თვალს, რომ ვარჩევ დავბრმავდე.
- ირინე — ისეთ ცოდვაზე მიხელთ თვალს, რომ ვარჩევ დავბრმავდე.
- ტფილელი — შენ ამ ქვეყნად არ გაქვს სახელი.
- მარადა — ვწიშობ არ შემხვედ ვლიზუნდას და კალიოპეს ღვთის საყვედრებლად.
- ირინე — მეფეს ერეუნი?
- მარადა — დიად.
- ირინე — განრისხდა?
- მარადა — გწყველა ფეხვით.
- ირინე — რით დაგამშვიდა?
- მარადა — ვერ გავუმხილეთ კალიოპეს და განძი მისცა.
- ირინე — მან ისარგებლა?
- მარადა — არა, ოდეს მე ვერ მიხილა გასცა ქონება და გოდებით შედგა ღვთის გლახად.
- მაქსიმი — (ორინეს) ეს ვიცოდით და არ შეგადრეთ დედოფალს კიცხვა.
- ირინე — შეიღებს მაინც ნუ დამიწყველით.
- მარადა — აქეთ მობრუნდი, სახეზე შემრჩა ტურფა თვალი გრძელ წამწამებით ჩაიხვედ მის ლაქვარდში, სად სული დგას ჩემი.
- ირინე — (შეშო) ღმერთო მიშველე! ერთად-ერთი თვალი სახეზე ვით ანგელოზი ჯოჯოხეთში დატყვევებული!
- მარადა — მე მიჯნურს ვნადღობ, ვინც თბილ ლექსებს მღეროდა ჩემზე. მის ნატიფ სიტყვებს იტაცებდა ერი და მე აქ ჩემი სახელი მომწამოდა უტებეს პანგებში. შენ, ევაგრი, ვერ მერძნობდი დღემდე თუ აქ ვსუნთქავდი, მე კი ყოველ წამს შენი ოხვრა მენიშნებოდა. აწ გთხოვ, საფლავში ნუ ჩამყვები ქვეყნიდან წასულს, ჩამოგვმორდი და მიეშველე მეფე დემეტრეს. მას ყავს გამართობად უარმყოფი ყოველ სიწმინდის, სატანის კერძი. მეგობრობა მათი გათიშე და დაუბრუნე სიბრალული თავის ასულს და სინანული მის დაღუპვის.
- ირინე — ნუთუ იმდენი ვიბოროტე, ჩემს დაღამებულს არ უწერიო გათენება!
- ეჯიბი — არ ჩანს საყდარზე, არც სამეფოში მბეჭეტავი სხივი.
- მარადა — ელიზუნდა რა ვიხილე დღეს მომაგონდა, რომ ჯერეთ ბავშვი შთაგონებულად აღიარეს, აწ კი პასაკით დასრულებულმა ეგებ დემეტრეს შთაგონოს სამეფოს დახსნა უფლის რისხვისგან.
- ტფილელი — სჯობს ის მცველად დაუდგეს რწმენას და შეიკვეცოს რა მონაზუნად ქალთ მონასტერში, ადგეს ქადაგად ანგელოზის სახით, მეხის ხშია და მოითხოვოს სინანული, მარხვა, გოდება.



მეფე დედოფლის რუსუდანის დაღუპვისათვის და დიდუც მცირეც ააშხედროს თათრის კირთისგან გამოსასწნელად.

- ირინე — კმარა, მივდივარ, არა ნაშჩივთ ჩემ სამთავროში, — ვტოვებ ტახტს, შვილებს, თანმზღებლებს და ყოველ საგზაას. მივეშურები სამარტვილოდ უდაბნოს ქვაბში. ჩემს ნაცვლად მეფემ ჰოვოს სათნო თანამეცხედრე აღმდგენი მისი ღირსების და დაშობილ ერის. ო, რარიგ მკბუნენ სულში ფიქრნი, კანში ეკლები.
- ტფილელი — ამღერულად გცნობ, დედოფალო, მეტ მღელვარებით.
- ირინე — რა თქვი, მამაო?
- ტფილელი — ძლივს გცნობილობ, სახე გაცვლება.
- ირინე — ვერ გავიგონე.
- ხმები — შეაშველეთ ხელი დედოფალს.
- ირინე — რარიგ დაგყრუედი, საკუთარი ხმაც აღარ მესმის.
- ლუკა — ჩვენ არარა ვართ, ყოვლად შემწყე ღმერთი გვიშველის.
- ირინე — ჩემგან დემეტრეს მიაწუდინეთ, რომ ელიზენდა ყველა ნიშნებით ვიცან მართალ, სინდისიერად და მწამს ჩვენს ძეებს ანგარებით ის არ გასწირავს.
- ტფილელი — ასეთ ჯაშში ტახტს ვერ შეგკადრებთ ბრძენთა საქებას.
- ირინე — ჩემს ძეებს იხსნის მხოლოდ მისი გაძლიერება.
- მარადა — დღეს ვიგრძენი, რომ დაგვინიშნა იგი თვით ღმერთმა, შეპრულ ბრბოს მისთვის მოეჩვენა ცის ანგელოზად.
- ირინე — ო, სამარტვილოდ, უდაბნოში მიმალწვევინეთ! იქ მოვიყარო მუხლი ლოცვით დიდმა ცოდვილმა!
(დედოფალი ღონეშხილი მიყავთ. მოისმის წუხილი, ურმების კრიალი გამგზავრების ხმაურთა)
- ტფილელი — მამ, კარისკაცნო, ჩაიბარეთ მეუფის ძენი.
(შემოდის საბლთუხუცესი ფილიპე)
- ფილიპე — მეფეს მომავალს გაუგია აქ მოვლენილი ცუდი ნიშნები და დედოფლებს ურჩევს მოთმენას, მაგრამ ოლთაჯი კარს უსწრებს, ყურს იხშობს ირინე.
(ქვაგრი უახლოვდება ღვთის გლაზებს, რომლითაც ეფარება მარადა)
- მაქსიმე — ჩვენ შორის შენ არ გაქვს ადგილი.
- ლუკა — სხვა სამოღვაწეთ გზა გვსახება.
(შემოდის შაყრაცი)
- მიკრიკი — ორმოც დღის ლოცვა-მარბვის შემდეგ კათალიკოსი დაბრუნდა მეუდრო უდაბნოდან.
- ხმა — შემობრძანდა მეუფე ბჭეში.
- ხმები — მამ, შევევებოთ და მიულოცოთ დაბრუნება დიდ გამარჯვებით.
(ყველა აპირებს წასვლას)

ფარდა

მე და მხნეა

მოთხრობა

წეროებმა მწვანე გაის გადაუფრინეს და სამხრეთისაკენ გასწიეს. ლესია აივანზე, საწერ მაგიდასთან იჯდა და დიდხანს უცქეროდა წეროებს, ვიდრე ღრუბლებში არ მიიმაღლნენ. მერე კალამი აიღო და უბის წიგნაკში ჩაინიშნა: „სიცივისა ეშინიათ და თბილი ქვეყნისკენ მიიჩქარიან, რომელი დარჩება იქ და რომელი დაუბრუნდება ბუდეს?“

ლესიას გამგზავრების დროც ახლოვდება. ექიმები უკრაინაში დარჩენის ნებას არ აძლევენ, მაგრამ წლევუს შორს არ წავა. მობეზრდა იმ გატყეპნილ გზით სიარული. გადაწყვიტა ზამთარი საქართველოში გაატაროს. ამბობენ, იქ თებერვალში ხანდახან ატამიკ ყვავისო. ასეც რომ არ იყოს, საქართველოს წარსული და თანამედროვე ცხოვრება აინტერესებს. კარგა ხანია ამაზე ფიქრობს.

მაგიდა სავსე აქვს დამთავრებული და დაუმთავრებელი ნაწერებით, იქვე აწყვია ლექსების კორექტურა. ისე გაირბინა დღემ, რატომღაც კორექტურას გული ვერ დაუდო, ვერ დაამთავრა.

სხვა დროს, ირგვლივ თავისი გმირები ახვევია, ახლა კი წასვლაზე ფიქრობს. პროფესორ კრიმსკის სოჭში წერილს გაუგზავნის, მას საქართველოს ისტორია შესწავლილი აქვს და უარს არ

ეტყვის, დაათვალიერებინებს თბილისს და მის ისტორიულ ძეგლებს. ერთადერთი ის აწუხებს, რომ დედას არ უნდა მისი გასტუმრება. აჯანყება და გაფიცვა ისე მოედო სამხრეთს, ოღენა კოსაჩს ეშინია ავადმყოფი ლესია ამ ქართველმა არ ჩაითრიოს. ლესიას კი ეს იღუპალი ცეცხლაც იტაცებს. უსათუოდ უნდა წავიდეს...

რამდენიმე დღის შემდეგ ლესია ოდესის ნავსადგურში იყო, ძმა — მიშა კოსაჩი აცილებდა. ლესია ზღვის ჰორიზონტს მისჩერებოდა. მიშა გრძნობდა, ლესია განგებ არიდებდა თავს, რომ გამგზავრების წინ აშლილი დარდი შესამჩნევი არ ყოფილიყო. ძმა თვითონაც შემფოთებული იდგა. ავადმყოფი ქალი მარტო მიდიოდა საქართველოსაკენ. მიშა კოსაჩმა სიჩუმე დაარღვია:

— მე მგონი, ჩვენები მოახერხებენ ბათუმში პატარა ავარაკს გიყიდიან.

ლესიამ ძმას ცისფერი თვალები შეანათა.

— არ იქნება ცუდი, ზამთარს ყოველთვის პალმებსა და ზღვასთან ახლოს

გავატარებ. ფრინველებიც ასე ცხოვრობენ.

— ოღონდ, ისინი მზიარული ყივილხივით მიფრინავენ ხოლმე თბილი ქვეყნისაკენ. — გაიცინა მიშამ. — ლესია, ხუმრობა ხუმრობად იყოს, თავს გაუფრთხილდი, შენებურად არ იმუშაო. მაგრამ არც ის ვარგა, რომ მთლალ ობლომოვს დაემსგავსო.

კოსაჩები ერთმანეთს მხურვალედ გამოეთხოვენ. ისინი მეგობრები იყვნენ, ერთად იზრდებოდნენ — მიშა მათემატიკოსი იყო, უკვე პროფესორი, მაგრამ ლიტერატურაც იტაცებდა. შეიძლება დაჰმის მეგობრობას ესეც უწყობდა ხელს.

— დრო ისე გარბის, სულ მალე მოვა გაზაფხული, ისევ შეგხვდებით ერთმანეთს. ლესია, საერთოდ, სამხრეთს ბაცი ფერები უხდება, ნუღარ ჩაიცვამ ამ მუქ ტანსაცმელს.

ლესია გაჩუმდა. იმის შემდეგ, რაც საქმრო, სერგეი მერქინსკი გარდაეცვალა, მზიარული ფერის ტანსაცმელი აღარ ჩაუცვამს.

კოსაჩი წასვლას აპირებდა, რომ დაგვიანებულ მეზავრს მოჰკრა თვალი. მეზავრი პორტში მსუბუქი ბარგით შემოვიდა. იგი ახალგაზრდა იურისტი, კლემენტი კვიტკა იყო. კოსაჩი შორიდან შეეხმიანა. მიშამ იცოდა, რომ კვიტკამ თბილისში დაიწყო მუშაობა, ისიც იცოდა, რა ძალიან იყო იგი ვატაცებული ლესიას პოეზიით, გაუხარდა, ლესიას ამ დიდ ვაზზე თანამეზავრი რომ ეყოლებოდა.

თბომაველი ნავსადგურიდან გავიდა. არც ისე მშვიდად მიდიოდა, როგორც მოსალოდნელი იყო. ზღვას პატარა ქარიშხალმა გადაუარა. ლესია ცუდად გახდა. მარტო ყოფნას ცდილობდა. ხანდახან კვიტკა მოაკითხავდა ხოლმე. სოხუმში კი ისევ გამოჩნდა, დილით გემბანზე გამოვიდა, მშვიდი სახე ჰქონდა, მაგრამ თვალებს სიმკაცრე შეჰპაროდა. ეტყობოდა, დიდი ტანჯვა გამოცემო. ცდილობდა თავის მძიმე მდგო-

მარეობა სხვისთვის შესამჩნევი არ ყოფილიყო. კრიმსკის ელოდა, სწორედში უნდა შეხვედროდა, მაგრამ ვერ შეხვდა! სამაგიეროდ, მან ყვავილები გამოუგზავნა. შიგ პატარა ბარათი იღო: „ავად ვარ, გამომინებლდება სიცხე და თბილისში თქვენი მეგზური ვიქნები“.

ლესია თავის კაიუტაში შებრუნდა. სადღაც, შორს, ლესიამ შეტეტრას შესწრო თვალი. იცოდა, ეს ბათუმი იყო. იმ შექს რატომღაც იმედით მისჩერებოდა. ბერლინში ერთმა ცნობილმა ექიმმა უწინასწარმეტყველა, ნუ გეშინიათ, ხუთმეტ-ოც წელიწადს კიდევ იცოცხლებო. მაშინ ლესია ოცი წლისა იყო. ეს წლები ისე დიდ დროდ მოეჩვენა, რომ გაუხარდა. იმის შემდეგ თერთმეტმა წელმა გაირბინა. რამდენი წელია დარჩა? ათი ან ხუთი. იქნებ ბათუმმა სიცოცხლე გაუხანგრძლივოს!

სამეზავრო გემი პორტში გათენების ხანს დადგა. ვარეთ გრილობდა. როცა მზე გამოჩნდა, ლესია გემიდან გადმოვიდა. კიბესთან კვიტკა ელოდა. ქუჩები სველი იყო, ოდნავ მოეწვიმა. პორტში მუშები ირეოდნენ, ჭკუფ-ჭკუფად მოდიოდნენ, სახეშეკმუხულნი იყვნენ. ჩუმად რაღაცას ლაპარაკობდნენ. მათს დანახვაზე პოლიციელი მიიმალა.

— როტშილდის ქარხნის მუშები არიან. ამ ზაფხულს დიდი გაფიცვა მოაწყვეს. — უთხრა კვიტკამ.

ბათუმი უკვე იღვიძებდა, ჩადრიანმა ქალებმა კალათებით ხილი ჩაატარეს.

— ამ ჩადრის ქვეშიდან ქართველი ქალის თვალები მოგჩერებიათ. — უთხრა კვიტკამ.

— ვიცი, — თქვი დაუქნია ლესიამ. — მე ვფიქრობ, ბათუმს როდისმე ერთგული იერი დაუბრუნდება. ის ხალხი, წელან რომ შეგვხვდა, შეძლებს ამას. აბა ჩვენ რა შეგვიძლია, „მისჯილები“ ვართ, — და კვიტკას შეხედა, იცოდა, იმ დილით ქუჩაში სიცხიანი დადიოდა.

ბათუმში ჩასვლისთანავე ლესიას უნდოდა გაეგო, არის თუ არა ამ ქალაქში

ციებ-ცხელუბა. შეიძლება პატარა სახლი უყილოს მამამ, აქ იცხოვრებს. მაღარიის სპეციალისტი ექიმი ინახულა.

— აქ ბევრია ციების კოლო. მერე ისეთი მოურადებლები არიან, არ დაგინდობენ, ისევე თქვენ უნდა მოერიდოთ. ზაფხულობით ბათუმ-ქობულეთის მცხოვრებნი თავიანთ სახლ-კარს სტოვებენ და მთებში მიდიან ხოლმე. — თავაზიანად აუხსნა მოხუცმა ექიმმა.

ლესია მშვიდად უგდებდა ყურს ექიმს. მერე, სკამიდან აღგომა გაუჭირდა, ხელი ასტიკვდა, მძიმედ წამოდგა ერთი იმედიც თითქოს ვიღაცამ ხელი დანჯ გამოაცალა.

პირდაპირ ზღვისკენ გაემართა. გადაწყვეტილი ჰქონდა საღამო იქ გაეტარებინა. უნდა ენახა როგორ ჩაიღოდა მზე ბათუმში. გახურებულ ქვიშაზე დაჯდა ცხელი ქვიშა და მზე ხელის ტკვილს უმსუბუქებდა. დიდხანს ფიქრობდა მერქინსკიზე. მისჩერებოდა როგორ მიიწევდა ზღვისკენ გაავარდნებული მზის ბურთი. ჯერ მომწვანო სივრცე ვარდისფრად შეილება, მერე თანდათან ჩაშუქდა წყალი. ლესია ფეხზე წამოდგა. კვიტკა მოშორებით იდგა. ეტყობა, არ უნდოდა მისი მყუდროება დაერღვია. ლესიამ ქამართან დაბნეულ პატარა საათს ხუფი ახადა.

— უჰ, რა შეუძნეველად გასულა დრო! — უთხრა კვიტკას.

— რატომ ღელავთ ასე ძალიან? — შეეკითხა კვიტკა.

— ვერ ვითმენ, ბედი ასე რომ გამიწყურება ხოლმე. თუმცა რატომ უნდა მქონდეს პრეტენზიები! აბა, მაჩვენეთ, სად დაიწერა, ლარისა კოსაჩი ბედნიერი უნდა იყოსო. — გაიცინა ლესიამ და კვიტკასთან ერთად სადგურისკენ წავიდა. უნდოდა ფოსტიდან დეკამა გაეგზავნა თავის მეგობარ მარია ბიკოვსკაიასთვის. თბილისის სადგურზე დაბნედიო, მაგრამ გადაიფიქრა. მისი შეწყუბება არ უნდოდა.

მარია ბიკოვსკაია მატარებელს მაინც დაუხვდა — ოღუნა კოსაჩმა კივიდიან

შეატყობინა: ლესია საქართველოში წამოვიდა, აბა, შენ იცი, თუ სიმპარტოვებს არ აგრძნობინებო.

მარია ღელავდა, არ იცოდა ლესია რომელი ვაგონით ჩამოვიდოდა.

მატარებელი გაჩერდა. მოშორებით, ვაგონის ფანჯარაში, თეთრმა, გამხდარმა ხელმა ცხვირსახოცი ააფრიალა. მეგობრები ერთმანეთს შეხვდნენ. ლესიას უძილო, მოღლილი სახე ჰქონდა.

— როგორ მეშინოდა ცუდი ამინდი არ დაგხვედროდა, — უთხრა მარიამ. ლესიას მარიას ხელი ეჭირა ხელში და ოჯახის ამბავს ეკითხებოდა. მათ ბავშვობა ერთად გაატარეს. როცა ლესია ლოგინად იყო ჩავარდნილი, მეგობრებმა თარგმნას მოჰკიდეს ხელი. გოგოს და კოროლენკოს თარგმნიდნენ უკრაინულად.

— შენი ამბავი მითხარი, მარტო იმგზავრე?

ლესიამ მიიხვდა, კვიტკა მატარებლის კიბეზე ჩამოდიოდა.

— ხომ იცნობთ ერთმანეთს?

— როგორ არა, — უთხრა მხიარულად მარიამ, — ამას წინათ თბილისშიც შემხვდა. — კვიტკას ხელი გაუწოდა. — რა კარგია, რომ ერთად გიმგზავრიათ!

ახმაურებულ სადგურს მალე გასცილდნენ. მოედანზე შეიცადეს. მარია ქმარს ელოდა, ეტლით უნდა მოსულიყო. ლესია კი წასვლას სულ არ ჩქარობდა. თბილისის მზეს ეფიცებოდა.

მოედანზე ეტლი გაჩერდა. ეტლიდან მარიას მეუღლე ბელიაევი გადმოვიდა. ახალგაზრდა იყო, სამხედრო ექიმის მუნდირი ეცვა. ლესიასთან მივიდა.

— უნდა მაპატიოთ დაგვიანება, პირდაპირ ოპერაციიდან მოვდივარ.

ლესიამ მომხიბლავი ღიმილით გაუწოდა ხელი.

— ისეთი გამარჯვებული თვალუბა გაქვთ, ალბათ, ოპერაციამ მშვიდობიანად ჩაიარა.

ბელიაევმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და კვიტკას მიესალმა.

— ახალგაზრდა იურისტია, მაგრამ როგორც იურისტს, ჩვენ არ ვიცნობთ. ჩვენთვის ყველასათვის მუსიკოსი და ეთნოგრაფია — ვააცნო მარიამ.

კვიტკას იმ ეტლით წასვლა არ უნდოდა. ლესიამ თითქოს უსაყვედურა:

— ჩემი მფარველობა იცისრეთ, ახლა კი არ გინდათ ნახოთ, სად და როგორ დავბინავდები.

კვიტკა დაჰპირდა, სასტუმროში უსათუოდ გინახულვებო.

სადგურის ქუჩით მიდიოდნენ, ბელიაევი ბევრს ლაპარაკობდა, ლესიას ეუბნებოდა, კარგია საქართველოში რომ ჩამოსვდები, აქ არაჩვეულებრივი შემოდგომა იცისო.

ეტლი გოლოვინის პროსპექტზე, სასტუმროსთან გაჩერდა. ბელიაევა სასტუმროს პატრონი ინახულა, კარგად იცნობდა, ოდესელი ებრაელი იყო: სთხოვა, ორი ოთახი გამოქებნე, ოღონდ ოთახები მზის მხარეს იყოსო.

— უკრაინის სახელგანთქმული პოეტი ლესია უკრაინკა ჩამოვიდა. — უთხრა ჩემად. — ოღონდ აქ ინკოგნიტოდ იცხოვრებს, ხალხს მაინც და მაინც არ შეხვდება. — გააფრთხილა ბელიაევი.

სასტუმროს პატრონი შეიშმუნა, შეშინებული თვალები ფართოდ გაახილა:

— თქვენ ხომ იცით, არეულობის ქარი სწორედ სტუდენტებისა და პოეტებისაგან უბერავს. ახალგაზრდა ქალი ჩანს, რატომ იმალება? რატომ უნდა იცხოვროს ფარულად თუ არავისი ეშინია?!

— ავად არის, ზამთარს თბილ ქვეყნებში ატარებს, წლებულს ეჭიმებმა თბილისი ურჩივს. დრაგოშანოვები და კოსაჩები ხომ გაგიგონიათ, იმათი ქალიშვილია.

სასტუმროს პატრონმა სიამოვნებით ქვედა ტუჩი მოიკვნია.

— თვეიდანვე ასე გეოქვათ, ეს პოეტიო, ეს ინკოგნიტოო. ბრწყინვალე გვარიშვილის ქალს რა სჭირს დასამალავი!

— აბა შენ იცი, — უთხრა ბელიაე-

მა და თვითონ ლესიასთან დაბრუნდა, რამდენიმე წუთში ყველაფერთმობავარდებაო უთხრა.

მალე სასტუმროს პატრონმა ისინი ორ პატარა, მაგრამ მზიან ოთახში შეიყვანა.

— ერთ ოთახს ისე მოვაწყობთ, როგორც თქვენ კეთილშობილებას შეეფერება, — უთხრა ლესიას.

— ესე იგი სარკვებითა და გობელებით? არ გინდათ, — გაიცინა ლესიამ.

— ჩემთვის მთავარია საწერი მავიდაკიდევ ის, რომ საშუალება მქონდეს ხანდახან ფორტეპიანოთი ვისარგებლებო.

სასტუმროს პატრონი დაჰპირდა, რომ ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც პანა კოსაჩი ინებებდა, და ოთახიდა გავიდა.

ლესიამ ფანჯრის ფარდა გადასწია, მთაწმინდას და მის მიხვეწულ-მოხვეწულ ბილიკებს შესცქეროდა. ზურგშეკეცივით იდგა, წელში გამოყვანილი საზაფხულო პალტო ეცვა, წვრილი წელი და მაღალი კისერი მოუჩანდა. ცოტა ხნის შემდეგ შემობრუნდა, მოღლილი იყო სუნთქვა უჭირდა.

— რატომღაც ამ მონასტერმა ამალელება, ისე მღუმარედ დასჩერებია ქალაქს, რომელ საუკუნეშია აშენებული?

მარიამ გადაიკისკისა და ქმარს შეხვდა — ლესიას ვერ გადავურჩებოთო, ჩაილაპარაკა და ისევ მეგობარს მიუბრუნდა:

— ორიენტალისტი პროფესორი საგანგებოდ ამიტომ მოდის, — უთხრა მარიამ.

— ამის გაგებას კრიმსკი არ უნდა.

ლესია იქვე, სავარძელში ჩაჯდა. მის საზურგეს თავი მიაყრდნო, ისე დაღლილი იყო, თვალები თავისთავად ეხუჭუხოდა, მარიამს ჩამომხვებულ ხელს ხელი წაავლო.

— მარია, შენ იმ კნი-კნიებს ხომ არ ემსგავსები, ოჯახის ვიწრო სარკმლიდან რომ იყურებიან? იმ მოელგარეთვალეზიან გოგონას აღარა ჰგავხარ?!

— მეტი არაფერი დამჩნენია, აქედან უნდა გავიქცეთ. — უთხრა მარიამ ქმარს და დამნაშავე ბავშვივით გაიცი-
ნა. ლესიას სთხოვა, სადილად მოდიო. მაგრამ ამ უკანასკნელმა დადლილობის გამო უარი უთხრა. მეგობრები დაპირდნენ, ხვალ დილით უსათუოდ გინახულებთო.

მეორე დღეს, საღამოს შერდ საათზე კლემენტი კვიტკამ სამსახურიდან სასტუმროში გამოიარა. ლესია სასეირნოდ უნდა წაეყვანა. ლესიას ოთახში არ შესულა, ფანჯრიდან ჩემად შეიხედა. ლესია ბალიშზე იყო მიწოლილი, სიციხიანი, ატყრეცილი სახე ჰქონდა, ალბათ, ხელის ტკივილი აწუხებდა. მთლიანად ბალიშს მინდობოდა. კვიტკა ფეხბაკრეფით გამობრუნდა, და მეორე ოთახში შევიდა. იქ უკვე პიანინო შეეტანათ. ერთხანს დაფიქრდა. ტყავის პორტფელი ტახტზე მიადლო და კლავიშებს ხეფი ახადა. შემანის სონატის რამდენიმე აკორდი აიღო. ეს ლესიას საყვარელი სონატა იყო. ამას უკრავდა, როცა ტკივილები აწუხებდა. უფრო კი მაშინ უყვარდა, როცა კვიტკა ასრულებდა. — წერიტა და მუსიკით ვებრძვი ჩემს შინაურ ბტერს, ტუბერკულოზსო, იცოდა თქმა.

კვიტკამ გადაწყვიტა ლესიასათვის მუსიკით შეემსუბუქებინა ტკივილები, მთელი მონღომებით უკრავდა. იგრძნო, როგორ წამოდგა ფეხზე ლესია, როგორ მოიარა ოთახი მსუბუქი ნაბიჯით. ზურგთან მისი კაბის შრიალიც შემოესმა, გაჩერდა, მძიმედ სუნთქავდა. კვიტკა უკრავდა გატაცებით. მუსიკა ხელის ტკივილზე უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო. კვიტკა მორჩა დაკვრას და სკამიანად შემოტრიალდა. ლესია თითქოს მხრებში ოდნავ მოხრდილიყო, ლამაზი, ცისფერი თვალები უელავდა.

— არ არის კარგი, ფანტიკური, გრძნობები მაქვს. — უთხრა კვიტკას და ტახტზე ჩამოჯდა. მის ტყავის პორტფელს გადახედა და შეეკითხა: — ამ მუსიკის შემდეგ მეცოდებით, კლომ!

— ლესია, ამ ქალაქებში პერსია არსობისა, აბა, რა ვქნათ? — უკრავდა ისინი სასტუმროდან გამოვიდნენ. ნიერ პროსპექტს შუქი ციციანთელე-ბივით ანათებდა. მარტო ეკლესიები და მეფისნაცვლის სასახლე იყო გაჩირა-ლდნებული. ლესია წელი ნაბიჯით მოკყვებოდა კვიტკას და უკრაინაზე ლაპარაკობდა.

— როგორც ჩვენთან უკრაინულ წარწერას ვერ დინახავთ, ისე აქაც ქართული წარწერა არსად არის.

პროსპექტზე ეკლესიის ზარები ხმაურობდა. კვირადალი იყო. ხალხი სალოცავად ეშურებოდა.

— ძალიან მინდა ხვალ მზე იყოს, სიცხეც არ მქონდეს, რომ სიარული შევძლო. ხომ წამოხვალთ ჩვენთან ერთად? კრიმსკი ჩამოვა.

— ვნახოთ, სადმე შეგხვდებით. — უთხრა კვიტკამ.

კრიმსკი თბილისში ჩამოვიდა, მოძებნა ლესია სასტუმროში და სადარბაზო ბარათი შეუფხავნა. ამინდი კარგი იყო. თუმცა სექტემბრის დღეს ოდნავ სიგრილე შეჰპაროდა, მაინც ცხელოდა. სასტუმროს ღია ფანჯრები მზით იყო სავსე. ლესიას უხაროდა მზე, მისი სამუშაო მაგიდა მზის მხარეს იდგა და როგორც ყოველთვის სავსე იყო დაუწერელი და დაწერილი თაბახებით. სტუმრად მარია ბიკოვსკაია ჰყავდა, მეგობრები მზიარულად ლაპარაკობდნენ:

— სწორედ დღეს შეხვდა გიორგი ვაჩნაძე, შენი ჩამოსვლის ამბავი ვუთხარი, უსათუოდ გინახულებს, მშვენიერი ქალი ჰყავს ცოლად. ნესტორ ღამბარაშვილი ვლადიკავკავში მოწყობილა სამუშაოდ, — უთხრა მარიამ.

ოთახის ზარის ხმა გაისმა. ლესიამ გააღო კარი, კრიმსკი შემოვიდა. ლესიას გაუხარდა მისი ნახვა, მაგრამ წუხდა, რომ სოჭიდან მისი გულისთვის ჩამოვიდა.

— თქვენ გაეწყდებოდა, რომ ჩემსავით ავადმყოფი ხართ, ჩემსავით არა.

ღმერთმა დაგიფაროთ... — უთხრა კრიმსკის.

— თქვენ გავიწყდებათ, რომ ჩვენ მოუღრეველნი ვართ. — გაიცინა კრიმსკიმ და ლესიას შეხედა. კარგად იცოდა; ვიდრე ამ ქალის ცისფერ თვალებში შექი იდგა, ავადმყოფობა ვერ დაჯახნიდა.

ლესიამ მარია გააცნო. ბავშვობიდან მეგობრები ვართო.

— პანა ლესია, თქვენი მეგზური გამოცხადდა. თუ ენდობით ჩემს ცოდნას, — უთხრა კრიმსკიმ.

ლესია ენდობოდა კრიმსკის ცოდნას, ოცდათერთმეტი წლის კრიმსკი ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორი იყო, მთარგმნელი — არაბისტი, პოეტი, მეცნიერი-ორიენტალისტი. ეს ახალგაზრდა კაცი ლესიასავით ავადმყოფობდა:

— თქვენს მეგობრებს ყველა პირობა შეუქმნიათ, რომ დაისვენოთ და იმუშაოთ, — კრიმსკიმ ღია ფანჯრიდან გადაიხედა, — ეს მზე, ეს ლურჯი ცა, მთაწმინდა პირდაპირ თქვენ სამუშაო მაგიდას გადმოჰყურებს.

— ოცნება შეიძლება, — გაიცინა ლესიამ, — წუხელ მთვარე ანათებდა და მიეჩერებოდი, სულ ისე მეჩვენება, რომ ეს მთა რაღაც სულ სევდიანად დაჰყურებს ქალაქს.

— ქართველები ქვეყნისათვის თავდადებულებს ასაფლავებენ ამ მთაზე. როგორც მეგზურმა, აქედან უნდა დავიწყო, არა? — გაიცინა კრიმსკიმ.

— მე უკვე მივიღე ჩემი მეგობრისაგან შენიშვნა. არაფერი ვიცოდი ამ მონასტრისა, — თქვა მარიამ.

— მეჩვიდმეტე საუკუნეში მონასტრის სამი ახალგაზრდა და შეეფარა. მათი მფარველობა მღვდლის ცოლმა იკისრა. როდესაც შაჰ-აბასი შემოესია ქართლ-კახეთს, მისი მეომრები აცივდნენ მთაზე და მღვდელსაც და ქალებსაც მოსთხოვეს რჯული შეიცვალოთ. ვერაფერს გახდნენ. ხუთივენი წამებით მოკლეს. ხალხმა წამებულები მთაწმინდაზე დაასაფლავა, — დანარჩენი გზაზე ვილაპარაკოთ, — უთხრა კრიმსკიმ.

მსკიმ და ქალები წასასვლელად დაიქარა. — ნარიყალის ციხემდე კარგა დიდი მანძილია, მერე დაცხება, სიარულით გავიძინელებათ.

ლესია წასასვლელად მოემზადა — პატარა შავი ქუდი დაიხურა, შავი კოსტუმი ეცვა. ისევე ისე მუქი ფერის ტანსაცმლით დადიოდა — ჩემი ცხოვრების ფერიოთ — ამბობდა ხშირად. გოლოვინის პროსპექტზე მარიას ეტლი უცდიდა, მაგრამ ფეხით არჩიეს წასვლა. აბანოებთან აღმართს აუყენენ.

— თბილისის დაარსების ამბავი იცით?

— ვიცი, ჩაწერილიც მაქვს, — უბასუხა ლესიამ და წინ წავიდა.

თბილისი საკვანძო ქალაქი იყო ევროპასა და აზიას შორის და დიდი საქარავნო გზის მთავარი პუნქტი, — ისმოდა კრიმსკის ხმა, — ყველა დამპყრობი მის ხელში ჩაგდებას ოცნებობდა.

ნარიყალის ციხესთან პირველი ლესია ავიდა. მარია უკან რჩებოდა, გველებისა ეშინოდა.

შორიდან ნანგრევებსა ჰგავს, ახლოს მიხვალ და მათს სიდიადეს იგრძნობ. — ჩაილაპარაკა ლესიამ და იქვე დულაბით ამოყვანილ ბურჯთან ჩამოჯდა. გამხდარი, გრძელი ხელები მუხლებზე ეწყო. ქვევით გაშლილ ქალაქს დასჩერებოდა.

— უკანასკნელად როდის ისმოდა ამ ბურჯებთან ზარბაზნების ხმა? — ჰკითხა კრიმსკის.

— 1795 წელს თბილისს აღამაჰმადხანი შემოესია. 78 წლის მეფე სამკედრო-სასიცოცხლოდ შეებრძოლა მტერს: სპარსელებმა აიღეს ქალაქი და ცეცხლს მისცეს. ორიენტალისტი პოტოს ასეთი ჩანაწერი აქვს.

— მეფეებზე ნურაფერს მეტყვიოთ, ხალხზე თუ რაიმე ჩაწერა პოტომ? — ჰკითხა ლესიამ.

— მე მივიწყდება, რომ საქმე მაქვს ლესია უკრაინკასთან და არა ლარისა კოსაიტან, — გაიცინა კრიმსკიმ და განაგრძო, — პოტო წერს: „დამპყრობ ქაფარბეგს ქართველი ქალი ამ კოშკში ამოუ-

ყვანია. ქალს ალერსიანი კილოთი უთქვამს ირანელისათვის: — გინდა შენს ხანჯალს სასიკვდილო ძალა გამოვაცალო? მომეცი, შევულოცავ და ნახავ როგორ უყენებელს გავხდიო, გოცმებულ ირანელს ხანჯალი გაუწვდია, ქალს შეულოცავს, წვერი გულზე მიუბჯენია და უთქვამს — აბა ტარს ხელი დაჰკარი, თუ რაიმე მავნოსო. ჭაფარ-ბეგს ტარისათვის დაუკრავს ხელი და...“ როგორ ფიქრობთ? რა მოხდა?

— მტრის დანებებას სიკვდილი არჩია, — ჩაილაპარაკა მარიამ, ლესია ფეხზე წამოდგა. ცისფერი თვალები უღვავდა.

— ასეთი ქალები ახლა შეგხვდებით სადმე?

— ეგ მდგომარეობას და პირობებს გააჩნია, — უთხრა კრიმსკიმ. ლესია ისევ იმ კენძზე ჩამოჯდა, ისევ ისე უცქეროდა ქალაქს. ამ გვერდებშეღწილ ციხესთან შედარებით ქვევით, ქალაქში, დიდი სასაოცხოლო ძალა იგრძნობოდა, ლესია შემობრუნდა კრიმსკის შეხედა.

— გაუმარჯოს სიცოცხლეს! — აღტაცებით წამოიძახა პოეტმა.

ნარიყალიდან მძიმე ნაბიჯით ჩამოდიოდნენ, თათრის მოედანთან კვიტკა უცდიდა. გვერდით უცნობი ახალგაზრდა კაცი ედგა.

ლესია დაწინაურდა. კლემენტი კვიტკას ნახვა გაუხარდა.

— ლესია, ქართველი მუსიკოსი და ეთნოგრაფი ფალიაშვილი უნდა გაგაცნოთ.

ახალგაზრდა კაცს ფართოდ ვახელილი თვალები ჰქონდა. ლესიამ დიმილით გაუწოდა ხელი.

— მე შეიძლება თავი შეგაწყინოთ ამის შემდეგ, — უთხრა ფალიაშვილს, — ბატონი კლემენტი გეტყვოდათ ჩემს გატაცებას.

— თქვენი გატაცება პოეზიაა.

— ეგ პროფესიაა — გაიცინა ლესიამ — ვოცნებობ დაღესტნის ხალხური მელოდიები მოვისმინო, ქართული სიმღერები ხშირად მომისმენია.

— უსათუოდ მოგასმენინებთ ჩვენს მელოდიებს. — უთხრა ფალიაშვილმა.

კრიმსკის მოუთმენლუბა ეტყობოდა დაღლილი იყო, ქალებს შესთავაზა, ყავახანაში შევიდეთ, აღმოსავლურ ყაიდაზე ვისაუბროთო. მეტეხის ციხის პირდაპირ პატარა რესტორანი იყო. მას აღმოსავლეთური ბევრი არაფერი ეტყობოდა, მისი პატრონი გაურკვეველი ერთენების კაცი იყო. დაფაცურდა, უცხო სტუმარი საგანებოდ ზევით აიყვანა, ბანის მსგავს ვერანდაზე.

— აქ ყველა საეპრო, ეტყობა, არა ქართველებს ჩაუგლიათ ხელში. რატომ მოხდა ასე? — ჰკითხა ლესიამ ფალიაშვილს.

— ვაჭრობის ტრადიცია არ იყო ჩვენში, ქართველები ამ საქმეს ეხლა იწყებენ.

ფალიაშვილმა და კვიტკამ მწვადი და ქართული საუზმე შეუკვეთეს.

ლესია სვამდა ყავას და ვერანდიდან მეტეხის ციხეს გასცქეროდა.

ფალიაშვილი და კვიტკა შეუმჩნევლად გავიდნენ. ლესია სხვებთან ერთად ბანზე იჯდა და გადააჰყურებდა მდორედ მიმავალ მტკვარსა და მეტეხის ეკლესიას — უყურეთ, — მოუბრუნდა კრიმსკის, — რა ბუნებრივ სიმაგრეზე დგას ეს ისტორიული ციხე! შეიძლება ქართველმა ხალხმა ამიტომ გაუძლო ამდენ დავიდარებას, რომ ასეთ მყარ მიწაზეც დასახლებული.

ფალიაშვილი და კვიტკა კვლავ დაბრუნდნენ. სადილი ჩვეულებრივად გრძელდებოდა. რესტორანში გიორგი ვაჩნაძე შემოვიდა, თან ახალგაზრდა ქალი შემოჰყვია. ლესიას გიორგის ნახვა გაუხარდა. მერე კრიმსკის მოუბრუნდა და გიორგი ვაჩნაძე გააცნო.

— ეს ბობოქარი ქართველი სტუდენტი ჟანდარმერიამ კიევში ციხითა და სასჯელით რომ ვერ დააწყინარა, უმაღლესმა ინსტანციამ „გაასაღდათა“, მაგრამ დერჰტის უნივერსიტეტში მიიწვი მოხვდა. დაამთავრეთ, გიორგი? — შეეკითხა ვაჩნაძეს.

— სტუდენტობას მოვრჩი, ცოლაი

შევირთე, — უთხრა გიორგიმ და თავისი ახალგაზრდა ცოლი ლელი გააცნო. იქ მყოფნი ლელის ალტაცებით მიიჩვირდნენ. ლესიამ პირდაპირ უთხრა:

— ძალიან მასიამოვნეთ, რომ ამ უღამაზო რესტორანში ასეთი ლამაზი ქალი შემოიყვანეთ. კი, მაგრამ ამ მოუსვენარ სტუდენტს როგორ გაჰყვებით?

ლელი ჯორჯაძე ოდნავ გაწითლდა და თავი მოხდენილად შეარხია.

ფალიაშვილი გარეთ გავიდა, რაღაც მოუსვენრობა ეტყობოდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოჩნდა.

— ქალბატონო ლარისა, მესტიერე კარებთან გვიცდის. შეიძლება შემოვიყვანო?

— ლესია ფეხზე წამოდგა.

— რომ იცოდეთ როგორ მასიამოვნეთ!

შემოიყვანეს ბრვე, ტანადი ვეჟაკაცი. მესტიერის პატარა წვეწარს ოდნავ ქალარა შეჰპაროდა. მან იქ მყოფთ დარბაისლურად დაუკრა თავი და სტივრი მოიძარცვა.

— ერთი, არსენას ლექსი ჩააბერე! — შეუყვეთა ფალიაშვილმა. რესტორნის თხელი კედლები სტივრის და სიმღერის ხმით ავისო.

ფალიაშვილი დეღავდა, უნდოდა მოსწონებოდათ სტუმრებს ეს ხალხური საკრავი და ხალხისაგან გამოთქმული არსენას ლექსი, უთარგმნიდა მათ. მესტიერეც გახალისებული მოსთქვამდა, უკვირდა, რატომ იჩენდა ასეთ დიდ ყურადღებას უცხო ენაზე მოლაპარაკე. ცისფერთვალემა ქალი და, როგორც კი შეეძლო, არსენას ბედს დასტიროდა. მესტიერემ დაამთავრა, სტივრი გაჩუმდა.

ლესია ახლოს მივიდა, სტივრის დააქტირდა.

— რა სრულყოფილი გმირი შეუქმნია ხალხის გენიას, — უთხრა კვიტკას.

— ჩვენ კარმალიუკს არ მოგაგონებთ?

— როგორც ჩანს, ცხოვრებითაც ერთსა და იმავე დროს უცხოვრიათ.

კრიმსკი დაიღალა, წასასვლელად მო-

ემზადნენ. ლესია სასტუმროს შესასვლელამდე მიაცილეს.

— კიევში ჩვენებთან აღბათ შეიქოლოთ, უთხარით, რომ ასე კარგად დიდი ხანია არ ვყოფილვარ. — უთხრა ლესიამ კრიმსკის.

მეორე დღეს ლესიამ სადგურზე გააცილა კრიმსკი. ცოტას ლაპარაკობდნენ. ლესიას თვალებს დარდი ეტყობოდა. რკინიგზის მოხელემ ზარი მეორედ ჩამორეკა.

— ლარისა, ბედთან მებრძოლი პოეტის სახელი გაქვთ და მარტოობა კი ასე გაშინებთ. — უთხრა კრიმსკიმ.

— თქვენ ფიქრობთ, ისეთი მშვიდი ვარ, როგორც გარეგნულად ვჩანვარ? მე და ჩემ ავადმყოფობას, როცა მარტონი ვრჩებით, ერთმანეთისა ვვეშინია. რატომღაც ახლა ჩემი ბავშვობა მომაგონდა. შემოდგომობით, როცა მიშა კიევში მიჰყავდათ, მე კოლოდიანოეში ვრჩებოდი ხოლმე. ტყის ფერია მაკვითი ვიყავი გატაცებული, იმას ვბაძავდი, ხის ფულდუროში შევძვრებოდი ხოლმე და მიშას წასვლას ისე ვტიროდი, როგორც მაკვას შეუძლია ტირილი.

— ეგ ბავშვური ამბავია. — გაიცინა კრიმსკიმ და გამოსამშვიდობებლად ხელზე აკოცა ლესიას.

— ბავშვური გული სიბერემდე გაჰყვება კაცს, — უთხრა ლესიამ. მატარებლის გასვლას აღარ დაუცადა, გამობრუნდა. თბილი და მშვიდი საღამო იყო. ადვილად შეიძლებოდა მარტოობის გრძნობას აპოლოდა და უცნობ ქუჩებში ევლო დიდხანს, მაგრამ განწყობილებას ლესია ყოველთვის კალმით ებრძოდა. ამიტომ იყო, რომ იმ წუთშიც ჩაჭდა კონკაში და სადგურიდან წამოვიდა. არსენაზე ფიქრი არ ასვენებდა, მოსწონდა, ხალხმა უბრალოდ და სრულყოფილად რომ გააცნო შთამომავალბას მისი გმირობა. თვითონაც უთუოდ უნდა დაწეროს რამე არსენაზე, მაგრამ მოქმედება უკრაინაში უნდა გადაიტანოს, მთავარ გმირს კარმალიუკი უნდა დაარქვას.

სასტუმროში დაბრუნდა, იქ უსიამოვნო ფაცი-ფუცი იყო, სასტუმროს პატრონი ბაქოდან ჩამოსულ ბურჯუებს აბინავებდა. თავის ნომერში შექი აანთო. მსახური ქალი შემოვიდა. დეპეშა შემოიტანა. მამა მიშა კოსახის უეცარ სიკვდილს ატყობინებდა შეილს, ლესია მოულოდნელმა მწუხარებამ გააქევა, თვალედაბუქული, გაუნძრევლად იწვია. სასტუმროს თანამშრომლები ფეხზე დადგნენ. მათ პირველად მაშინ ვაიგეს, რომ ლარისა კოსახი უკრაინაში განთქმული პოეტი — უკრაინკა იყო. მარია და მისი ქმარი მოვიდნენ, ბიკოვსკაჟა წუხდა:

— ღმერთო, ჩემო როგორ კარგად იყო, ეს უბედურება საიდან გამოვარდა, ასეთი ძმის სიკვდილს როგორ გადაიტანს!

სულ მოკლე ხანში სასტუმროში ლაპარაკობდნენ, მიშა კოსახი, დრაგამანოვებისა და კოსახების გვარში ვარსკვლავი იყო.

მოგვიანებით კვიტკა მოვიდა. ლესიასთან მთელი დამე გაათენეს. სასტუმროში მისი მარტოდ დატოვება არ შეიძლებოდა. კვიტკამ გადაწყვიტა იმ სახლში გადაეყვანა, სადაც თვითონ ცხოვრობდა. სახლის პატრონს წინასწარ მოელაპარაკა — ორი ოთახი დაეთმო ავადმყოფი პოეტისათვის. ლესია დათანხმდა. გადავიდა სასტუმროდან. აქამდე სიმარტოვეს და ავადმყოფობას ნებისყოფით ერეოდა, ახლა მწუხარებამ ეს ნებისყოფაც გამოაცალა და ეჩვენებოდა, რომ ამის შემდეგ ყველაფერი სულ ერთი იყო, მაგრამ მეგობრებს როგორმე უნდა გამოებრუნებინათ. სიკვდილისათვის ხელიდან უნდა გამოეტაცათ. კლემენტი კვიტკა თავგამოდებით უვლიდა ქალს.

მარია და მისი ქმარი ავადმყოფთან დღეში რამდენჯერმე შიდიოდნენ.

* * *

ავადმყოფი ლესია ფალიაშვილმა ინახულა. პატარა შვიი ყუთით მივიდა მასთან

— პანა ლარისა! — უთხრა წესელისთანავე, — ფონოგრაფით მოვედოთ თქვენთან, ქართულ ხალხურ სიმღერებს მოვასმენინებთ. ისეთს კი არა, კიევში რომ მღეროდნენ სტუდენტები, ნამდვილ ხალხურს, ძარღვიანს.

— ძალიან დამაავალბთ! — უთხრა ლესიამ. მის გაყვითლებულ სახეს ღიმილი მაინც უხდებოდა, — ისე არაფერი მინდოდა, როგორც პრომეთეოსის კავკასიონის ნახვა, მისი ბინადარი ხალხის მელოდიების მოსმენა. რატომღაც ამ ავადმყოფობის დროს ხშირად ჩემთვის ვიჭურჩულებდი შეგჩენკოს სიტყვებს:

მთების იქით მთები,
შებურული ნისლით,
მწუხარებით სავე
და მორწყული სისხლით.

ფალიაშვილმა ფონოგრაფი ჩართო, ხალხური სიმღერის ძლიერი ხმა დიდხანს გაისმოდა ოთახში.

— გამადლობთ! — უთხრა ლესიამ. — როგორ მინდოდა მაშინ, ძველ თბილისში რომ შეგხვდით დაღესტნის ხალხური მელოდიებიც მომესმინა.

— ქალბატონო ლარისა, უსათუოდ ავალთ დაღესტნის აულებში მე და კლემენტი, იმ სიმღერებს ფონოგრაფით ჩამოვიტანთ, — დამშვიდა ფალიაშვილმა.

ლესია რამდენიმე დღის შემდეგ ფეხზე წამოდგა. იანვრის პირველი დღეები იყო. ოდნავ მოთოვა, თოვლი პატარა ბაღს გაიქვირვალე მოსართავივით გადაჰფენოდა, გარეთ ვაეიდა. თოვლის დანახვაზე უკრაინის ნახვა მოუნდა. ბაღში მალე კლემენტი კვიტკაც გამოჩნდა, უკან თავისი დედა ფოქსტიტა მოჰყვებოდა. კვიტკა სასამართლოში აპირებდა წასვლას. დედა მეტისმეტად დაჰკანკალებდა თავს ავადმყოფ შვილს. სამსახურში მიმავალს ყოველთვის ჰკერამდე აცილებდა.

კლემენტი კვიტკა ლესიასთან ახლოს მივიდა.

— დღეს როგორ კარგად გამოიყურები! — უთხრა ქალს.

— მეგობრებო, თქვენ რომ არ ყოფილიყავით, ახლა მე მეორე ქვეყანაში ვიქნებოდი, — გაიცინა ლესიამ და ფეოქსტიტას გადახედა.

კვიტკას დედამ შემკრთალი თვალებით შეხედა მას. თქმას ვერ უხედავდა, მაგრამ ყოველთვის ასე უცქეროდა ხოლმე, აგრძნობინებდა, რომ არ ჩარეულიყო მისი შვილის ცხოვრებაში.

„არ არის ვასამტყუნარი, ჩემი ავადმყოფობისა ეშინია“ — გაიფიქრა ლესიამ და გადაწყვიტა გაეეღო ქალაქში კვიტკასთან ერთად. მზიანი დღე იყო. თბილისში ხანდახან იცის ასეთი დღე იანვარში. ქვეით მოკირწყულულ პროსპექტზე თოვლი დნებოდა, ისინი სასამართლოს ქუჩამდე ერთად მივიდნენ. ლესია ალექსანდრეს ბაღისკენ წაიდა, იქ ერთხანს გაჩერდა. პატარა ბავშვები ერთმანეთს ხის ნიჩბისათვის წაეკიდნენ. ლესიამ გააშველა და ბავშვებთან კარგა ხანს დარჩა, მერე ფეხით გაუყვა გზას და ხილთან გაჩერდა. მტკვარს მუქი ლურჯი ფერი გადაჰკრავდა. საიდანღაც დიდი ყინულის ნაჭერი წამოეღო წყალს. ყინულს ტალღები ათამაშებდა. მზეში ეს ისე ლამაზად მოეჩვენა, რომ უბრალო სანახაობას გატაცებით დააცქერდა.

— პანა ლარისა, პანა ლარისა: — რატომ დგახარ აქ.

ლესიამ მოიხედა, სასტუმროს პატრონი იდგა, შეშინებული თვალები ფართოდ გაეხილა.

— გავხეთებმა ახალი ამბავი მოიტანა — ომი დაიწყო, იპონიასთან — უთხრა ლესიას და უცებ გაქრა.

ლესია გამობრუნდა, აერჯოლებდა. ალბათ ხილთან დიდხანს მოუხდა დგომა. გოლოვინის პროსპექტზე მეგავხეთები ხმამაღლა გაჰკიოდნენ:

— იპონელები ვერაგულად დაესხნენ წყნარ ოკეანეში რუსეთის ესკადრას და სიმაგრე პორტ-არტურს.

ლესიამ გაზეთი იყიდა, შინ დაბრუნდა. ეშინოდა ავადმყოფობას ისევ ლოგინად არ ჩავდო. მაშინვე კალამი აიღო, დიდხანს იჯდა და მუშაობდა, ებრძოდა თავის შინაურ მტერს.

ომმა თბილისს ცხოვრება მეორე დღესვე შეუცვალა, სურსათის ფასებმა აიწია. შეშინებული ხალხი ნაუხრისა და შაქრის საშოვნელად დარბოდა. დიდუბის სადგურზე ფარჯაში გახვეული მობილიზებულები მთელი დამე სიცივისაგან კანკალუბდნენ. გათენებისას მატარებელმა ისინი შორეულ აღმოსავლეთისაკენ წაიყვანა.

მობილიზაციამ ისეც გაჭირვებული სოფლები სულ გააპარტახა — მუშახელი გამოეცალათ. უბატრონოდ მტოვებულ ოჯახებს დახმარება სჭირდებოდათ. ერთერთი დამხმარე და იმედი საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იყო. მაგრამ არც იმას ჰქონდა საიმედო ძალა, რომ ამდენ გაჭირვებულს დახმარებოდა. ამ საზოგადოების ფონდის გაძლიერება იყო საჭირო. მთელი სიმძიმე თბილისის მუსიკალურ წრეს დააწვა. ძმები ფალიაშვილები მომღერალ გუნდთან ერთად ხან ავქალაში დადიოდნენ, ხან ნაძალადეგში, ხან მუშტიადში და მღეროდნენ. ამ მუსიკალურ წრეში კვიტკაც შევიდა, კონცერტებში ისიც იღებდა მონაწილეობას, მაგრამ შემოსავალი ცოტა იყო. გაჭირვებულ ხალხს მეტი და მეტი სჭირდებოდა. მუსიკალურ წრეში კლემენტი კვიტკამ წინადადება შეიტანა ადგილობრივი ძალებით დაეღათ მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვი“. ეს ოპერა მასურებელს მიიზიდავდა.

არტიტულ საზოგადოებაში რეპეტიციები დაიწყო. როიალის პარტიას კლემენტი კვიტკა ასრულებდა. გვიან ბრუნდებოდა შინ. დაღლილი ამოვივლიდა იზმაილოვის ქუჩას და ლესიას ოთახს შეხედავდა. იქ მუქი გვიანობამდე ენთო. ლესია ფილოსოფიურ ნარკვევებსა წერდა ომის შესახებ.

ომის ამბავი ამოძრავებდა ხალხს. შორეულ აღმოსავლეთიდან მარცხის ამბავი მოჰქონდა გავხეთებს. ხალხი დილიდან უკვე გავხეთების რიგში იდგა. ლესიაც ამ საერთო მდგომარეობამ უცებ შეცვალა, უკრაინის თავისუფლება ისე ახლოს ეჩვენებოდა. მწუხარ-

რება თანდათან გაეფანტა. წუხდა, რომ ავადმყოფობისა და უღონობის გამო არ შეეძლო ამ მოძრაობაში გარეუღიყო, სამაგიეროდ, მისი კალამი არ ისვენებდა.

ლამის ათი საათი იყო. კლემენტი კვიტკამ ლესიას ოთახის კარზე ფრთხილად დააკაკუნა. ლესია საწერ მაგიდასთან იჭდა, ჩვეულებრივად მუშაობდა.

— ლესია ამ ბოლო დროს მეტიმეტად უღიერად ექცევიო თავს, ბევრს მუშაობო, — უთხრა კლემენტიმ ქალს.

— რას ვიზამ, კლონ, ესეც ჩემი ქრონიკული ავადმყოფობაა. — სკამზე აჩვენა, აქ ახლოს დაჯექიო. — იცი, კლონ, უფრო ხშირად ვოცნებობდი ხოლმე ჩემ გმირებთან, შენც გიყვარს ოცნება, არა?

კვიტკამ ხელი შემოხვია, ქალის ოქროსფერი თავი და სიციხიანი ტუჩები მიიზიდა.

— რამდენი წელიწადია ჩემი ოცნება ლარისა კოსანიჩი, ლესია უკრაინკასი კი ხანდახან მეშინია.

ლესიამ კვიტკას მხარს თავი მიადო, მერე თითქოს რაღაც იგრძნო, აიხედა, ფეოქსტიტა კვიტკა მოპირდაპირე ფანჯარასთან იდგა და მისჩერებოდა მათ. ლესია უცებ წელში გასწორდა. თვალბეშში სიმკაცრემ გაუელვა. კვიტკასთან ლაპარაკი უბად შეეცვალა: — კლონ, მე მგონია, თქვენი კონცერტი კარგად ჩაივლის, როგორც პიანისტს, ხალხი გაგიცნობო, მერე თანდათან გაიკავფეთ გზას და მიზანს მიაღწევო. — უთხრა ლესიამ და თვალბეშში დარდი ჩაუდგა.

— კლონ, — გაისმა ფეოქსტიტას მორთოლვარე ხმა.

— კლონ, შენ როცა ჩემთან ხარ, დღე-ღამეინ ისეთი თვალბეშით მოსჩერებია ამ ოთახს, შეგეცოდება. ჩემი ეშინია. საერთოდ ჩემი ავადმყოფობისა ეშინია.

— შენ ეს გაწუხებს? არაფერია. დედა ამას შეურიგდება. — უთხრა კვიტკამ.

ფეოქსტიტამ შვილს მეორედ დაუძახა, კვიტკა ოთახიდან გავიდა. ლესიამ

გადაწყვიტა იმ ბინიდან უსათუოდ გადასულიყო.

მაგრამ რატომ მოხდა ასე, რომ უკრაინეთში უფრო დასაწყობად უკრაინაში წასვლის დროც მოვა? ჩაილაპარაკა ლესიამ და სახეზე ხელი აიფარა. ყავისფერი ნაოჭიანი კაბა ეცვალამპის მკრთალ შუქზე მისი ჰაეროვანი ტანი ნაოჭებში ძლივს მოჩანდა.

„უჩემოდ ცხოვრება არ შეუძლია, მაგრამ ჩემი დღეები დათვლილია, ამიტომ აქედან უნდა გადავიდე, მერე უკრაინაში წასვლის დროც მოვა“. ჩაილაპარაკა ლესიამ და სახეზე ხელი აიფარა. ყავისფერი ნაოჭიანი კაბა ეცვალამპის მკრთალ შუქზე მისი ჰაეროვანი ტანი ნაოჭებში ძლივს მოჩანდა.

კლემენტი კვიტკა სასამართლოს უწყებამ მივლინებით ცხინვალში გაგზავნა. ლესიამ ისარგებლა ამ შემთხვევით და ტერგუკასოვის ქუჩიდან სასტუმრო „ვიქტორიაში“ გადავიდა. ერთი იაფფასიანი ოთახი იქირავა. თბილისში ცხოვრება ერთობ გაჭირდა, ლესიაც უფულოდ იყო. „კიევსკი ვესტნიკი“ პონორარი გადმოუგზავნა, მაგრამ ეს ხარჯებისათვის ცოტა იყო.

მარია თბილისში აღარ იყო, ლესია თავს მარტოდ გრძნობდა. ცხოვრება ისე რად მოეწყო, რომ კვიტკასთან განშორება ასე უჭირდა? ძველი თბილისისკენ მიდიოდა. აღმართზე ავიდა.

აქედან უყვარდა ქალაქის ცქერა, მაგრამ დიდხანს არ გაჩერებულა. გზა განაგრძო და ბოტანიკურ ბაღში შევიდა, გაკვირვებულმა მიიხედ-მოიხედა. იცოდა რომ თბილისში ბოტანიკური ბაღი იყო, მაგრამ ასეთ სიღამაზე არ მოელოდა. მიმე ნაბიჯით მიდიოდა. აყვავებულ ნუშებსა და ატმებს მზეში ისამინის ფერი დაჰკარავდა. ფრინველების სტვენა და ჭახჭახი ესმოდა. ბაღში ცხელოდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ლესიას გამგზავრების დროც ახლოვდებოდა. ექიმი თბილისში დარჩენის ნებას არ მისცემს, უნდა წავიდეს — ზაფხული უკრაინაში გაატაროს, მერე

ისევ გამგზავრებაზე უნდა იფიქროს, ვიდრე განკითხვის დრო მოახლოვდება. მისი ყურადღება ვარდისფერად აყვავებულმა ხემ მიიქცია. ატამი არ იყო, სხვა რაღაც უცხო ხე ყვავდა. აღმართზე აფოფხდა, რომ ახლოს ენახა. ვიღაც ხანშიშესულმა კაცმა ჩამოიარა, შინაურულად იყო გამოწყობილი, სამუშაო ჩექმები ეცვა. ალბათ ამ ქალის პოეტური სულისკვეთება იგრძნო, ჩალის ქული მოუხადა — მიესალმა.

— ჩვენს ბაღში ალბათ პირველად ხართ — უთხრა უცნობმა — თბილისში უცხოდ იქნებით ჩამოსული.

— მე ლესია უკრაინკა ვარ — თქვა ხმაშალდა და თვითონვე გაუკვირდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, თბილისში თავის ფსევდონიმი რომ გამოამყვანა. მერე მიხვდა, ალბათ იმიტომ უთხრა, რომ არ უნდოდა ამ დიდებულ სანახაობაში მეტისმეტად პატარად მოსჩვენებოდათ, კლდეზე მფოფხავი ავადმყოფი ქალი.

— მე ამ ბაღის დირექტორი ვარ, მეღვეღვეი, — უთხრა უცნობმა და ლესიას ხელი მიაშველა, ჩამოსვლაში მოეხმარა, — თქვენ რომ მოგეწონათ, ეს იუდას ხეა, ამბობენ იუდამ ამ ხეზე ჩამოიხრჩო თავიო.

— ეს ლამაზი ხე აირჩია? — იკითხა ლესიამ

— ხმელთაშუა ზღვიდან არის შემოტანილი, პალესტინიდან ყოფილა წამოღებული. საერთოდ, იუდას ხეს ყუნწი არა აქვს, ყვავილი პირდაპირ ტოტზე აბია, მაგრამ აქ ჩამოტანილს სახე შეუცვლია, პატარა ყუნწი გაუკეთებია. ბოტანიკოსებმა არ აპატიეს და ცრუ კაული ფლორია უწოდეს. — ეუბნებოდა მეღვეღვეი.

ლესია იცინოდა:

— სიღამაზე და სიცრუე ერთად მოთავსდა?

მეღვეღვეს ეჩქარებოდა, ლესიას კი დარჩენა უნდოდა. ასეთი ლამაზი კუთხის დატოვება ენანებოდა. დირექტორს სთხოვა, ამ პატარა ტოტს წავიდებო.

— ტოტა კი არა მთელ ხეს ვაგა-

ტანთ, — უთხრა მეღვეღვემა და წასასვლელად მოემზადა, — ალბათ ჩემს დაბრუნებადღე აქ იქნებით.

ლესია აყვავებულ გრაკალთან ჩამოჯდა. ხან ჩანჩქერის ხმაურს უგდებდა ყურს, ხან კი კლდეზე პირქუშიად ვაღმომღვარ ბურჯებს მისჩერებოდა. მერე საფულოდან პატარა წიგნაკი ამოიღო და ჩაწერა: „იუდა ისკარიოტელი“. მის სამუშაო გეგმას კიდევ ახალი თემა მიემატა. მეღვეღვეი დაბრუნდა. ლესია ახლა ხაწლოვან ნაძვებში დადიოდა. დირექტორი ქალთან ახლოს მივიდა, ბოტანიკური ბაღის რამდენიმე ფოტოსურათი მიუტანა — ამ ბაღის სახსოვრად შეინახეთო, და შინ წასასვლელად ეტლი შესთავაზა.

ეტლით დაბრუნდა სასტუმროში. კლემენტი კვიტკა შესასვლელთან ბოლთასა სცემდა. მის ყოველთვის მშვიდ სახეს გაოცება ეტყობოდა, სამაგეროდ. ლესია მხიარულად შეეგება.

— კლონ, გული მიგრძნობდა, რომ დღეს უსათუოდ გნახავდი.

— მე სულ არ მიგრძნობდა გული. თქვენი დაცარიელებული ოთახი რომ ვნახე...

— კლონ, ისეთი ხმაური იყო! სახლს აკეთებენ, იქ მუშაობა არ შეუძლო.

— თუ დედაჩემი ხმაურობდა?

— ერთიცა და მეორეც!

კვიტკა შუბლშეკრული იდგა გრძელ და ვიწრო ოთახში.

— ამ ოთახში როგორ იქნებით, ლესია?

— უკრაინაში მივდივარ.

— რასაკვირველია, წახვალთ. ახლა ჩინებული იქნება თქვენი მწიანე ავარაკი — კვიტკას ხმას დარდი დაეკყო. რამდენჯერმე ჩაახველა. ლესია ახლოს მივიდა, ცისფერი თვალები შეანათა — არ მინდოდა, ისეთი მძიმე ტვირთი, როგორც ჩემი ავადმყოფობაა, გეკისრა და ისე გველო, კლონ, მეცოდებოდი. — კვიტკამ მისი ჩამომშვებული ორივე ხელი ხელში აიღო და თითები, სახე, თვალები სულ დაუკონა.

— უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია,

რამდენიმე წელიწადია ასე უხმოდ და უსიტყვოდ დაგყვება ჩემი სიყვარული, — უთხრა კვიტკამ ქალს.

რამდენიმე დღის შემდეგ კლემენტი კვიტკამ სადგურზე გააცილა ლესია.

— მწვანე გაიაში ალბათ ახლა აყვავილდება ალუბალი და ნუში, — უთხრა ლესიას.

— ჩემი ძმის შემდეგ იქ დიდი მწუხარებაა. — თვალები დახარა ქალმა.

— ლესია, ფალიაშვილი სვანეთსა და ლჩხუმში მიდის. ზომ იცი, მუსიკალურ საუნჯეს ეძებს, მეც გადაეწყვიტე იმასთან ერთად წავიდე, იქ მუსიკალური ოქროს ფონდი ხელშეუხებელია. ბევრს ვიმუშავებ და დრო უფრო მალე გაირბენს.

— ო, რა ბედნიერებაა იმ მწვერვალებთან სიახლოვე! — თქვა ლესიამ, თვალეში დარდი ჩაუდგა, ხელი გაუწოდა კვიტკას ჩამოსართმევად და კიბეზე ასასვლელად შეტრიალდა, მაგრამ კლემენტი ისევ მიუბრუნდა. მატარებლის გასვლას წამები აკლდა.

— გული მიგრძნობს, რომ უსათუოდ ჩამოვალ — უთხრა ძალიან ჩუმი ხმით ლესიამ და ვაგონის კიბეზე ფეხი შედგა.

ზაქარია ფალიაშვილი და კლემენტი კვიტკა, პატარა ეთნოგრაფიულ ექსპედიციასთან ერთად, სვანეთში წავიდნენ. ზაქარიამ თავისი ფონოგრაფი ჩაიტანა იქ და სვანები გააოცა. ისინი გაკვირვებულები შესცქეროდნენ პატარა ყუთს, რომელიც იტევდა მათს ძლიერ, სასიმღერო ხმას. კვიტკამ შევებულება იქ გაატარა. მერე ექსპედიციით აღტაცებული დაბრუნდა თბილისში. ზაფხულმა შეუმჩნევლად გაირბინა. თითქმის მოახლოვდა ლესიას დაბრუნების დრო.

თბილისი ისე გამოკოცხლებული ჯერ არავის ენახა. მეფის მარცხით გახარებული თბილისელები ერთმანეთში მოურიდებლად ლაპარაკობდნენ: — აჰა ესეც შენი რუსეთის დიდი იმპერია, ერთი შეტევა და მეფის ტახტი დაინგრევა! ყოველ დღით კედელზე ვაყ-

რულ პროკლამაციებს კითხულობდნენ. სწორედ ამ დროს ჩამოვიდა შიო ჩიტაძე საქართველოში და ლესიას წინაშე ჩამოუტანა კლემენტი კვიტკას. ლესია სთხოვდა ბინა მიშოვნე სადმე, სწრაფი თბომავალით მოვდივარ, თბილისში 20-21 რიცხვებში ვიქნებიო. კვიტკამ დედას და ნათესაებს ბინის შოვნა დაავალა და თვითონ 21 სექტემბერს ლესიას დასახვედრად სადგურზე გავიდა. მატარებელი გაჩერდა.

— ამხანაგო კლემენტი, — შემოესმა მხიარული, ნაცნობი ხმა და ლესია მომღიმარი სახით კიბეზე ჩამოვიდა. კვიტკას ხელი გაუწოდა.

— ესეც თბილისი! — ჩამოსკლისთანავე მოშორებით ლელის შეასწრო თვალი, დაუთახა:

— ლელი, თქვენი მოუსვენარი ქმარი ჩამოვიყვანე, ბარგის თაღარიგს იჭერს.

ლელიმ მიირბინა:

— როგორ მიხარია, რომ თბილისს ისევ დაუბრუნდით. აქ ახალი ამბავი ძალიან ბევრია, შიო ჩიტაძე ჩამოვიდა. ამბობენ კიდევ ბევრი რამ არის მოსალოდნელიო. ხალხი ევლარაფერო ითმენს, ვნახოთ რა იქნება.

ლელი გაიქცა ქმართან.

ლესია და კლემენტი კვიტკა ეტლით მიდიოდნენ. ახლა თბილისი უკვე ნაცნობი იყო.

უკვე ბინდი იყო, მამადავითის ქუჩაზე ეტლით რომ ავიდნენ, ლესია აღტაცებული იყო სახლით.

— სწორედ ამ ადგილზე ვოცნებობდიო, — უთხრა კვიტკას, აივანზე გავიდა. უმთავრო დამე იყო. კლდეზე მიკრული თეთრი ეკლესია ისევ ისე დასჩერებოდა ქალაქს.

— ქართველი პოეტების მუხათა სადგურია, გრიბოედოვმა ანდერძი დატოვა, მთაწმინდაზე დამასაფლავეთო. ბარათაშვილი აქ ამოდიოდა ზოლმე, აქ ოცნებობდა. უკრაინის მიწა რომ არ მელოდებოდეს, იქნებ მეც გამებედა, აი, ზევით..

— ლესია დღეს არფერი თქვა. —

შეაწყვეტინა კვიტკამ და ოთახში შევიდა. იქ წინასწარ შენახული ჰქონდა ექსპედიციიდან ჩამოტანილი სალამური. ოთახს ლამპის მკრთალი შუქი ძლივს ანათებდა, კვიტკამ სალამური მოიმარჯვა, ჯერ ჩუმი კენესა გაისმა, მერე თანდათან გალაღდა ხმა. კრუანტელის მომგვრელად მოისმოდა ხალხური მელოდია. კვიტკა თვალმოუშორებელივ მისჩერებოდა კედელთან გაჩერებულ ქალს. მკრთალ შუქზე მისი ცისფერი თვალები ისე ელავდნენ, რომ, სადღა იყო ლესია უკრაინკას „სექტიკური გონება“ ან „ელასტიური თავნებობა“! პოეტი მთლიანად დაიმორჩილა მუსიკამ და კლემენტი კვიტკას სიყვარულმა.

კლემენტი და ლესია მამადავითის ქუჩაზე ცხოვრობდნენ. ძალიან გახარებულები იყვნენ. შიო ჩიტაძე მათთან ახლოს დაბინავდა, ქართული გიმნაზიის დირექტორად დანიშნეს. ერთმანეთთან ხშირი მიმოსვლა ჰქონდათ. მაგრამ ცხოვრება თბილისში ძალიან გაჭირდა.

ლესიას კოსაჩები აღარ ეხმარებოდნენ. კერძო სამუშაოები აიღო, უცხო ენიდან თარგმნიდა სხვადასხვა საფინანსო კონტრაქტებს, საბუკლი მანქანა შეიძინა და კლემენტის სასამართლო საქმეებს უბეჭდავდა; კიევში დედას წერილებს წერდა, ატყობინებდა, წლიულს თავს არაჩვეულებრივად, კარგად, ვგრძნობო, იმდენად კარგად, რომ მზად ვარ, თურნალ „ოუენი ზაპისოკის“ რედაქტორობას დავთანხმდებ და ზამთარში საცხოვრებლად ოდესაში გადავიდეთ.

ახალი წელი მოახლოვდა. თბილისის დიდი სამზადისი ეტყობოდა. სახაზინო თეატრში ბანკეტს მართავდნენ — შეიღასი კაცისათვის გაიშლებოდა სუფრა. იქ განიხილავდნენ მეფესთან გასაგზავნ კონსტიტუციურ მოთხოვნის, მეფისაგან შეღავათებს მოითხოვდნენ. ახალგაზრდობამ უარი თქვა, იმ ვახშამს ვერ დავესწრებითო. შიო ჩიტაძემ ლესია, კლემენტი, ლელი, გიორგი

და რამდენიმე მასწავლებელი ოჯახში მიიპატიჟა. 1905 წლის შემოსვლას ყველა მოუთმენლად დასტუმრობდა. ეს წელიწადი რატომღაც საიდუმლოებით მოდიოდა და შიში და იმედი მოჰქონდა თან.

თორმეტ საათზე შიო ჩიტაძემ ღვინით სავსე ჭიქა აიღო ხელში და ახალწლის საღვებგაძელო შესვა. — დიდი ამბების მომსწრენი ვხდებითო — თქვა მან.

— ეს წვეთია ზღვაში, რაც ახლა ხდება — სიტყვა ჩამოართვა გიორგი.

— მეგობრებო, წვეთი კლდეს არღვევს — თქვა შიომ.

— ვინც თავისუფლებისთვის იბრძოდა, ყველას იარაღი ეჭირა ხელში, სპარტაკის ბრძოლებიდან დაწყებული... — თქვა ლესიამ ჩუმი ხმით.

— მერე? ჩვენ სისხლისა არ გვეშინია? — ფეხზე წამოდგა გიორგი.

— უსათუოდ სისხლზე უნდა დაიწყოს ლაპარაკი! — გაჯავრდა ლელი. — დღევანდელ ღამეს მაინც გაჩუმდი, მოითმინე. მე მინდა ქალბატონ ლესიას დევიზით ვისარგებლო, გაუმარჯოს სიცოცხლეს! — ლელიმ პატარა ღვინის ჭიქა ასწია ხელში და ლესიას ჭიქას მიუჯახუნა.

ახალგაზრდები გამზიარულდნენ. ვიხსენებს სტუდენტური სიმღერები:

„ვინ იცის, რა გველის, ან დღეს ან ხვალე-
მამ ხუხუ, ძმობილო, სულ გამოკალე“.

შიო ჩიტაძემ კიდეც ასწია ჭიქა და უკრაინის გამოჩენილი პოეტის საღვებგაძელო შესვა. ყველანი ფეხზე წამოდგნენ, შიოს საღვებგაძელოს თავიანთი სურვილები შეუერთეს, ლესიას ოცნება შესრულებოდესო, თავისი ქვეყნისა და იმ პატარა ქვეყნის თავისუფლებას მოსწრებოდეს, სადაც ახლა სტუმრად იმყოფებაო. ლესიას სავსე ჭიქა ეჭირა. ღვინოს არ სვამდა, მაგრამ მის მოლივლივე ფერს ნაღვლიანი თვალებით დასჩერებოდა.

ღამის პირველ საათზე ოთახში ლელის დედა შემოიჭრა, — სახაზინო თე-

ატრიდან მოვდივარ, ჩვენი ბანკეტი დიდი უსიამოვნებით დაიშალაო. ახალგაზრდა რევოლუციონერები შემოცვივდნენ, ჩვენი აზრი მიწასთან გაასწორეს, შეიარაღებული ბრძოლები მოითხოვესო, ვინ რომელი კარებიდან გამოდიოდა არ იცოდა, ქუჩებში უსიამოვნო მღელვარებაა, მე ლულისთან გამოვიქეცი, უნდა წავიყვანოო.

— ჩემ ცოლს არ მანდობს, ეშინია. — გაიცინა გიორგიმ.

— არცა ხარ სანდო! — უპასუხა შიომ.

ლელო ჯორჯაძე ვერაფრით ვერ გააჩერეს. დანარჩენებიც წამოიშლნენ. საახალწლო სუფრა ნაადრევად დაიშალა.

მეორე მესამე დღე და მთელი კვირა ჩუმი მოლოდინით ცხოვრობდა მთელი ქალაქი. ხანდახან თითო ყუმბარა გასკდებოდა სადმე და მერე ისევ მიუჩნდებოდა. ათ იანვარს პეტერბურგიდან ცნობა მოვიდა, ზამთრის სასახლესთან ათასზე მეტი მუშა მოჰკლესო. ხუთიათასამდე დაჭრილია. პეტერბურგის მუშები ქუჩებში იბრძვიანო.

თბილისს მოსვენება დაეკარგა — თბილისი მიტინგების ქალაქად იქცა. ყველანი იფიცებოდნენ.

ქალაქი სიბნელეში იყო გახვეული შიო ჩიტაძემ ლესიასთან მოიბრინა, გააგებინა: მთავარი სახელოსნოს მუშები დემონსტრაციისათვის ეშვადებიან. პროსპექტზე რამდენიმე ათასი მუშა გაივლის წითელი დროშებით და მიტინგს დიდუბეში გამართავენო.

ლესია დღეაღდა, უნდოდა დაენახა დაკოტრებულ ხელებში როგორ ეჭირათ მუშებს დროშები, როგორ მიდიოდნენ თავაწეულნი და დამიზნებული ტყვიისაკე არ ეშინოდათ. კვიტასთან ერთად გავიდა სახლიდან. სასამართლოს ქუჩაზე ლული და გიორგი შეხვდნენ. ლულის წავის მოკლე ქურჭი ეცვა, გულზე წითელი ლენტი ჰქონდა დამაგრებული. გიორგისთვის ხელი ჩაეჭიდა, ლურჯი თვალები სულ სხვანაირად უბრწყინ

ნავდა. ეჩქარებოდა, ლესიას ხელი დაუქნია — დემონსტრანტებთან ერთად დიდუბეში მივდივართ, გვიგვიანდებოდა და გაიქცა.

იმ დღეს სიგრილე იყო. ლესია შინ მიბრუნდა, რომ თბილად ჩაეცვა. ცოტა ხნის შემდეგ გოლოვინის პროსპექტზე ყუმბარების აფეთქების ხმა გაისმა. ამას თოფების გამუდმებული სროლა მოჰყვა, ცხენების ფეხის თქართქური ერთმანეთში აირია. ყველგან ხიშტებამოწყვდილი კაზაკები დაჰქროდნენ. მერე მიწყნარდა ყველაფერი. ამ სიჩუმეში მარტო დაჭრილების კვნესა და გოდება მოისმოდა. ლესიამ და კვიტამ მამადავითის ქუჩაზე ჩაიბრინეს. იქვე, რესტორან „პურ-ღვინოსთან“ სისხლის დიდი გუბე იდგა. ხალხს საკაცეებით მიჰქონდა დახოცილები.

— შეხედეთ, აი ის ცოლ-ქმარი ერთად დახოცეს; — თქვა ვილაძემ, — ქალს გულზე წითელი ლენტი ჰქონდა დამაგრებული, ხიშტი პირდაპირ ატაკეს გულში.

ლესიამ წინ გაიწია. ერთ საკაცეზე გიორგი იწვა, მეორეზე — ლული. ლულის ძვირფასი ქურჭი აღარ ეცვა, იქვე გაურკვეველი ფერის ლენტი ეგდო, როგორც საბუთი მისი მკვლელობისა. ოდნავ ღიად დარჩენილ თვალებში შიში და გაოცება ეტყობოდა. ლესიამ თვალებზე ხელი აიფარა და კარგახანს იდგა. მერე მამადავითის აღმართს მძიმე, ავადმყოფური ნაბიჯით აუყვა. ყველაფერი უცვლელი იყო. ქალაქს ისევ ისე მღუმარედ დაჰყურებდა მთაწმინდა.

ლესია შინ დაბრუნდა. დიდხანს იჯდა გარინდული, გულხელდაკრეფილი. მერე კალამი აიღო:

„თბილისში იყო ერთი ისეთი გაზაფხულის დღე, როდესაც ადამიანის სისხლის ტბორები სადამომდე იდგა ქვაფეფენილზე.“

ასეთ ვითარებაში მშვიდი თემებისაკენ გული არ მიმიწევს“.

სწერდა იგი თავის დედას უკრაინაში.

ს ა ლ ე ბ რ ი ე ლ ი

ხან მტკვარი არი, ხან რიონია,
რომ შემღერიან ზეცას იცოდე,
სამშობლო ჩემი ამბიონია,
სადაც ლოცვებში უნდა ვიწვოდე.
თითქოს ჩასუნთქვით მეტევი სულში,
რძისფერი ნისლით მთებო მოსილო,
შემაძლებინა ამ სიყვარულში
უგულწრფელესი სხივით მოგსირმო.
ტანდალარულო მთით და ხევებით,
მწვანე ველებით ნაფარდაგებო,
შემოგებვით სუფთა ხელებით,

სახლო სისხლით და ცრემლით ნაგებო.
მინდა ყოველთვის როგორც თამადა
სადღეგრძელოს თქმის წინ რომ
ვღელავდე.

ფრთები შემახოს შენმა ქარმა და
ასე მატაროს ზღვის ტალღებამდე.
ხან მტკვარი არი, ხან რიონია,
რომ შემღერიან ზეცას იცოდე,
სამშობლო ჩემი ამბიონია,
სადაც ლოცვებში უნდა ვიწვოდე.

ოზი წლის პეჩა

მე ამ ქალაქის სიერცემ გამფურჩქნა,
როგორც ეს ალფა და ნეკერჩხალი,
ოცი წლის წინათ ზაფხულის ქუჩის
ერთი დღე დამრჩა გულში ვით ბრჭყალი.
მას შემდეგ ის დღე მაწუნებს ზოგჯერ,
წამილეს წლების იარუსებმა,
თვალების ფსკერი დანამეს როგორც
ქრისტეს ხელები ჯვარზე ლურსმნებმა.
მას შემდეგ ის დღე პატარავდება
და მზიბლავს როგორც სცენა შორიდან,

ის ნეკერჩხალი ხშირად ყვავდება,
იმ ზაფხულის დღეც ისევ მოვიდა.
წინათ იცვამდი ფერად სამოსელს,
სალამობით რომ ადევს ზაფრანს
და მფორმოცე იარუსიდან
გიყურებ სხვა ქარს გაყოლილ აფრას,
იმ ბრჭყალივით დღეს მზე დაეფერა,
ქუჩებს ჩრდილების სუსტი რხევანი,
გთხოვ დაიფინო წლებზეც ეს მზერა,
მომუშებული ქრისტეს მტევანი.



იკრძიონ მარქსი

ბერტიის XXIV ყრილობა და საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში კომუნისტური პარტიის როლის ზრდის ობიექტური კანონზომიერება

სკკ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები ფართო პერსპექტივებს სახავენ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების შემდგომ განვითარებაში. მთელი საბჭოთა ხალხი დღეს ცხოვრობს და შრომობს ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების უდიდესი შთამაგონებელი გავლენის ქვეშ. ჩვენი ქვეყნის შრომელთა დიდი ენთუზიაზმი, შემოქმედებითი ინიციატივა და შრომითი აღმავლობა მიმართულია ამ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისაკენ. კომუნისტური პარტიის გარშემო დარაზმული შრომელი მასები დაუღალავად შრომობენ სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე, რათა კიდევ მეტად განამტკიცონ ჩვენი დიდი საშობლოს ძლიერება და ამაღლონ მისი, როგორც ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის ბუჩქის, საერთაშორისო ავტორიტეტი.

მიმდინარე ეტაპზე, კომუნისტური მშენებლობის ერთობი და მხიბვლელი ნიშნის წარმოადგენს კომუნისტური პარტიის როლისა და მნიშვნელობის შემდგომი ზრდა. რაც უფრო ფართოა ჩვენი შემოქმედებითი საქმიანობის გაჯანება, — ამბობდა აშ. ლ. ო. ბრეჟნევი პარტიის XXIV ყრილობაზე, — რაც უფრო რთულია პრობლემები, რომელთა გადაჭრა გვიხდება, მით უფრო მაღალია როლი და პასუხისმგებლობა კომუნისტური პარტიისა, რომელიც სათავეში უდგას მასებს¹.

საზოგადოების განვითარებაში დადგება ისეთი პერიოდი, როცა კომუნისტური პარტია თავის მხარე ზელმძღვანელს და წარმართველ როლს მთლიანად ამოსწორავს. ამ პერიოდის დადგომა დაევიწროებული იქნება კლასების სრულ გაქრობასთან, კომუნისტური აშენებასთან. კომუნისტური საბოლოო გამარჯვების ამ გზაზე შესაძლებელია პარტია, საბჭოები და პროდუქციები თანდათან დაკრისტალდნენ შრომელთა ორგანიზაციის ერთიან ტიპად.

ამ პერიოდის დადგომამდე კი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდა და მნიშვნელობა განპირობებულია რიგი ობიექტური ფაქტორებით, რომლებიც განსაზღვრავენ პარტიის პასუხისმგებლობას კომუნისტურ მშენებლობის ბედისაღმდეგ.

კომუნისტური პარტია თანამედროვე ეტაპზე შემოქმედებითად ავითარებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას პარტიის შესახებ. სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების, საბჭოთა საზოგადოების ერთიანობის განმტკიცების შედეგად მუშათა კლასის კომუნისტური პარტია გადაიქცა სახალხო ავანგარდად, გახდა მთელი ხალხის პარტია, რომელმაც გააღმართა თავისი წარმართველი გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე.

ეს მნიშვნელოვანი, ახალი, თეორიული დასკვნა ასახავს საბჭოთა საზოგადოების სოციალ-პოლიტიკურ და იდეური ერთიანობის განმტკიცებას, რომელიც მიღწეულია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის მრავალი წლის თავდადებული და შეუპოვარი ბრძოლის შედეგად. იგი აღნიშნავს

¹ ლ. ო. ბრეჟნევი. სკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება სკკ XXIV ყრილობას. თბილისი, 1971, გვ. 126.

აგრეთვე პარტიის სოციალური ბაზის არანა-
ზულ გაფართოებას, საბჭოთა საზოგადოების
ცხოვრებაში მისი როლის გაუგონარ ზრდას.

პარტიის აბლენობი განსაზღვრა იმის სა-
ფუძვლად არ იძლევა, რომ ვინმემ აქედან არა-
სწორი დასკვნა გაეკეთოს იმის შესახებ, რომ
თითქოს კომუნისტური პარტია აღარ წარმო-
ადგენს მუშათა კლასის პარტიას, რომ მუშათა
კლასი აღარ ეკუთვნოდეს წამყვანი მდგომარე-
ობა საბჭოთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ლ. ი. ბრეჟნევი ამ საკითხთან დაკავშირებით
პარტიის XXIV ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ
„მუშათა კლასი იყო და არის საზოგადოების
ძირითადი მწარმოებელი ძალა. მისი რვეულ-
ეულობა, დისკალინანობა, ორგანიზებულობა
და კორექტიუზმი განსაზღვრავენ მის წამყვან
მდგომარეობას სოციალისტური საზოგადოებ-
რივი ურთიერთობის სისტემაში“.

სკვ უოველმზრავ უწყობს ზელს, რომ მუ-
შათა კლასის გაღვრა ჩვენი საზოგადოების
სოცარების ყველა სფეროში ოზრღებოდეს და
მტოცდებოდეს, რომ მისი აქტიობა და ინიცია-
ტივა იდევ უფრო ნაყოფიერ შედეგებს გვა-
იღვდეს. ამდენად, კომუნისტური პარტია იყო
და რჩება მუშათა კლასის კომუნისტური იდე-
ების გამოხატველად. ამასთანავე კომუნისტურ
პარტია ჩვენი ქვეყანაში ვახლა არა მარტო
მუშათა კლასის ინტერესების გამოხატველ
პარტიად, არამედ მთელი ხალხისა, რადგან
მთელმა ხალხმა ათთვისა მუშათა კლასის მარ-
ქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, მისი
იდეალები.

კომუნისტის მშენებლობაში კომუნისტური
პარტიის როლისა და მნიშვნელობის ზრდა წა-
რმოადგენს ობიექტურ კანონზომიერ პროცესს.
კომუნისში შეიძლება აშენებულ იქნას, მხო-
ლოდ მარქსისტულ-ლენინური პარტიის ზელ-
მძღვანელობით, რომელიც წარმოადგენს საბ-
ჭოთა ხალხის ზელმძღვანელ და წარმმართველ
პოლიტიკურ ძალას.

პარტიის ზელმძღვანელი როლის გაძლიერება
არ ნიშნავს მშრომელთა სხვა ორგანიზაციებ-
თან დამოკიდებულებაში პარტიის უფლებას
ზრდასა და გაძლიერებას, არც იმას, რომ პარ-
ტია თავის თავზე ლებლობდეს, რაღაც ადმი-
ნისტრაციულ-საკანონმდებლო ფუნქციებს, არა-
შედ იმას, რომ ფართოდება პარტიის მოვალე-
ობა, მისი მოღვაწეობის მასშტაბები, საზო-
გადოებისადმი მეცნიერული ზელმძღვანელობა,
ხალხის ფართო მასებს შორის პარტიის ორგა-
ნიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ფი-
რმებისა და მეთოდების სრულყოფა და სხვ.

კომუნისტურ მშენებლობაში სკვ პარტიის
როლისა და მნიშვნელობის ზრდას, განამარტო-
ბებს კომუნისტური მშენებლობის მასშტაბების
ზრდა და ამოცანების ზართულე, რაც პოლი-
ტიკური და ორგანიზაციული ზელმძღვანელო-
ბის უფრო მაღალ დონეს მოითხოვს.

სოციალიზმიდან კომუნისმზე გადასვლის
მთავარ და იმავე დროს რთულ ეკონომიურ
წინამძღვარს წარმოადგენს კომუნისმის შექ-
ტვისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა,
რაც ნიშნავს: ჩვენი ქვეყნის სრულ ელექტრო-
ფიკაციას, საწარმოო პროცესების კომპლექ-
სურ მექანიზაციას, სახალხო მეურნეობაში ქი-
მისი ფართო გამოყენებას, წარმოების ახალი,
ეკონომიურად ეფექტიური დარგების, ახალ
სახეობათა ენერჯისა და მასალების უოველ-
მზრავ განვითარებას, ბუნებრივი, მატერიალურ
და შრომითი რესურსების უოველმზრავ და
რაციონალურ გამოყენებას, წარმოებასთან მე-
ცნიერების ორგანულად შეგრთებას და მეც-
ნიერულ-ტექნიკური პროგრესის სწრაფ ტემ-
პებს, მშრომელთა მაღალ-კულტურულ-ტექნი-
კურ დონეს, შრომის ნაყოფიერების ისეთი მა-
ღალი დონის მიღწევას, რომელიც მიუღწევე-
ლია ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური
ქვეყნისათვის.

კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის
შექმნა შესაძლებლობას მოგვცემს უზრუნველ-
ყვით მატერიალური სიკეთისა და საყოველ-
თაო კეთილდღეობის სიუხვე.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების
თანამდროვე ეტაპის ერთერთ თავისებურებას
წარმოადგენს სახალხო მეურნეობის განვითარ-
ების სრულიად ახალი მასშტაბები. შექმნი-
ლია უზარმაზარი ეკონომიური ძლიერება, რო-
მელსაც საფუძვლად უდევს მრავალდარგოვანი
ინდუსტრია და მსხვილი სოციალისტური სო-
ფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება; იეს
არის ეკონომიკა, რომელიც ერთ დღეში აწარ-
მოებს თითქმის ორი მილიარდი მანეთის სა-
ზოგადოებრივ პროდუქტს, ესე იგი 10-ჯერ
მეტს, ვიდრე 30-იანი წლების დამლევს აწარ-
მოებდა უოველდღიურად¹. ამოცანების სიდი-
დებე და დიდ მასშტაბებზე მოუთითებს აგრეთვე
შედეგი ფაქტობრივი მონაცემები. მარტო ერთ
— 1970 წელს გამოშვებულ იქნა დაახლოებით
ორჯერ მეტი სამრეწველო პროდუქტია, ვიდრე
ყველა ომაგდელი ზეთწლედის განმავლობაში
ერთად². პირველ ზეთწლედში გამოდ-
ნობილი იქნა 26,4 მილიონი ტონა ფოლა-
დი, ხოლო მარტო 1970 წელს კი —116; 1975

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, სკვ ცენტრალური კომი-
ტეტის საანგარიშო მოხსენება სკვ XXIV ყრი-
ლობას. თბილისი, 1971, გვ. 53.

² იქვე, გვ. 46.

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, სკვ ცენტრალური კომი-
ტეტის საანგარიშო მოხსენება სკვ XXIV ყრი-
ლობას. თბილისი, 1971, გვ. 100.

წელს ფოლადის ყოველწლიური გამოდნობა მი-
აღწევს 150 მილიონ ტონას. ამავე პერიოდში
(ე. ი. პირველ ხუთწლიურში) მოპოვებულ იქნა
87,5 მილიონი ტონა ნავთობი, ხოლო მარტო
1970 წელს — 353 მილიონი ტონა. 1975 წელს
კი მისი მოპოვება 500 მილიონ ტონას მიაღ-
წევს. პირველი ხუთწლიურის ხუთი წლის
განმავლობაში გამომუშავებულ იქნა 44 მილი-
არდი კილოვატ-საათი ელექტროენერჯია, ხო-
ლო 1970 წლის განმავლობაში — 740, 1975
წლისთვის კი გათვალისწინებულია 1070 მილი-
არდი კილოვატ-საათი.

კომუნისტური პარტია ახალი, მე-9 ხუთწლი-
ანი გეგმის მნიშვნელოვან ამოცანად სოფლის
მთელი საზოგადოებრივი წარმოების ინდუს-
ტრიულ განვითარებას, რათა მისი ეფექტიანო-
ბისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების
საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას სამრე-
წველო წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა,
სოფლის მეურნეობის განვითარების სწრაფი
ტემპები და ყოველივე ამის შედეგებით მიღ-
წეულ იქნას ხალხის ცხოვრების დონის არსე-
ბითი ამაღლება, ყველა საბჭოთა ადამიანის
მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილე-
ბათა უფრო სრულად დაკმაყოფილება.

კომუნისტური პარტიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის
შექმნა და მასთან დაკავშირებული ძირეული
ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს პარტიის
პოლიტიკური და ორგანიზაციული ზღვრულ-
ვლობის უფრო მაღალ დონეს, როგორც სა-
შინაო განვითარების თვალსაზრისით, ასევე სა-
გარეო ურთიერთობის თვალსაზრისითაც.

საგარეო ურთიერთობის ისეთი საკითხები,
როგორცაა სოციალიზმის მსოფლიო სისტე-
მის განმტკიცება, ეროვნულ-განმათავისუფლე-
ბელი მოძრაობისადმი მხარის დაჭერა, სხვადა-
სხვა სოციალური წყაროს სახელმწიფოთა შო-
რის მშვიდობიანი თანაარსებობა, აგრესული
ძალებისადმი კოლექტიური წინააღმდეგობის გა-
წევა, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილე-
ბა და სხვ. საკითხები ითხოვენ მუდმივ ყურა-
ღღებას, მოზინდასაზღვრულ მოქმედებას, სწორ
პოლიტიკურ მიდგომას და გალაყვანებას. ამ-
დენად დიდია სკკპ რაღი და პასუხისმგებლო-
ბა საგარეო ურთიერთობის საკითხების გადა-
ჭრაში.

ამრიგად, კომუნისტური მშენებლობაში სკკპ
ზღვრულვალადი როლისა და მნიშვნელობის
ზრდა თანამედროვე ეტაპზე განმარტებულია
სახალხო მეურნეობის განვითარების უზარმა-
ზარი მასშტაბებით, გაზრდილი ეკონომიური
შესაძლებლობებით. სამეურნეო მუშაობის
დონის ამაღლების აუცილებლობით, ეკონო-
მიკის ეფექტიანობის ზრდით, საერთაშორისო
ურთიერთობის არენაზე პარტიის მოღვაწეობის
გაფართოებით და სხვ.

კომუნისტური მშენებლობაში სკკპ პარტიის

როლისა და მნიშვნელობის შემდგომ ზრდას
განპირობებს, აგრეთვე მასების შემოქმედებ-
ით აქტიუობის ამაღლება, ახალი მატერიალური
მშრომელთა რაზმა სახელმწიფო საქმეებსა და
წარმოების მართვაში.

ე. ი. ლენინი კრიტიკის ქარცეცხლში ატა-
რებდა ყველა მათ, ვისაც მიაზნდა, რომ კო-
მუნისტური საზოგადოების აშენება მხოლოდ
კომუნისტების ხელითაა შესაძლებელი, „სოცი-
ალიზმი არ იქნება ზევიდან ბრძანებით —
წერდა ე. ი. ლენინი. მის სულს ეუცხოება კა-
ზინო-ბიუროკრატიული ავტომატიზმი; კო-
ცხალი, შემოქმედებითი სოციალიზმი თუთ
ხალხის მასების ქმნილება... მასების კოცხა-
ლი შემოქმედება — აი ახალი საზოგადოების
ძირითად ფაქტორი“¹

კომუნისტური პარტია მშრომელი მასების
მკირე ნაწილს შეადგენს. ამ ნაწილს არ შეე-
ძლია მხოლოდ საყუთარი ძალებით შესარუ-
ლოს ის ამოცანები, რომელთა განხორციელე-
ბისათვის მოწოდებულია იგი. პარტიამ რომ
წარმატებით გადაჭრას მის წინაშე მდგარი ამო-
ცანები მან უნდა თავის მხარეზე მიიშროს
მშრომელთა მასები, დაარსდოს ისინი მათივე
საარსებო ინტერესების წარმატებით გადაჭო-
სათვის ბრძოლაში. პარტიტარიატის რვეოლე-
ციურმა აენგარდმა, — წერდა ე. ი. ლენინი,
მისი კომუნისტური პარტიის სახით უნდა მი-
იშროს და თან გაიყოლოს არა მარტო მთე-
ლი პროლეტარიატი, ან მისი უდიდესი უმრავ-
ლესობა, არამედ მთელი მშრომელი და კაპი-
ტალის მიერ ექსპლოატირებული მასაც: გა-
ანათლოს, შეაკეშიროს, აღზარდოს, დისკო-
პლინირებული გახადოს ისინი ექსპლოატატორე-
ბის წინააღმდეგ თავდადებულად შეუბოგარი,
უღობილად მტკიცე ბრძოლის მსეულლობაში“²

ე. ი. ლენინი პარტიის ასწავლიდა, რომ რაც
უფრო დიდია გაქანება, რაც უფრო დიდია ის-
ტორიულ მოქმედებათა მოცულობა, მით უფ-
რო მეტია ამ ადამიანთა რაოდენობა, რომლე-
ბიც ამ მოქმედებებში მონაწილეობენ, და პი-
რქით, რაც უფრო რიზმა გარდაქმნა, რომ-
ლის მოხდენაც ჩვენ გვსურს, მით უფრო უნ-
და გავაძლიეროთ მისადმი ინტერესი და შე-
გნებელი დამოკიდებულება, დავარწმუნოთ ამ
აუცილებლობაში ახალ-ახალი მილიონები და
ათეული მილიონები“³

სოციალისტური წყობილება ჰქმნის მატერი-
ალურ და სულიერ წინამძღვრებს, იმისათვის,
რომ სრულყოფილად გამოვლინდეს ადამიანე-
ბის ტალანტი, ნიჭიერება, გონიერება, რომე-
ლიც სახალხო მასებში დაუშრობელ წყარო-

1 ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 334.

2 ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 215.

3 ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 612.

სავით მოედინება. კომუნისტური შეგნებულობის ზრდა, მასების საწარმოთ და პოლიტიკური აქტიობა, პოლიტიკისადმი მილიონიანი აღაშინების დიფინება და ინტერესი სახელმწიფო საქმეებში მათი უშუალო მონაწილეობა იწყებს მასებზე პარტიული გავლენის გაძლიერებას და. მაშასადამე, პარტიის როლისა და მნიშვნელობის ზრდას. სულ უფრო მეტად ფართოდება სოციალისტური დემოკრატია, სულ უფრო მეტი მილიონიანი მასები ებმებიან სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეებში. ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა პარტიის XXIV ყრილობაზე, რომ „სოციალისტური სახელმწიფოს საფუძველს და მისი დემოკრატიული ხასიათის ყველაზე სრულ განსახიერებას ჩვენში... წარმოადგენენ სახალხო ზელისუფლების ორგანოები — მშრომელთა დებუტატების საბჭოები...“ ამ საბჭოებში „...დღეს ორ მილიონზე მეტი დებუტატია, ისინი განაგებენ მთელი ჩვენი საერთო-სახალხო სახელმწიფო საქმეებს თავიდან ბოლომდე. მათთან ერთად კი თავდადებით მშრომობს ნებაყოფლობით თანაშემწეთა არხში — საბჭოების 25 მილიონი აქტივისტი“¹. მასების მაღალი შეგნებულობის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს კომუნისტური შრომისათვის გარდებული მოძრაობის ზრდა.

კომუნისტური შეგნებულობის მასშტაბის ზრდასთან ერთად იზრდება ამ შეგნებულობაში უშუალო მონაწილე ადამიანთა რიცხვი, რომელთა შრომითი და პოლიტიკური აქტიობა, სოციალისტური დემოკრატიისა და კულტურის განვითარების დონის შესატყვისად, სულ უფრო ფართო და მასობრივ ხასიათს იღებს. მასების აქტიუობისა და მათი შემოქმედებითი საქმიანობის ამაღლება კი წარმოადგენს კომუნისტის წარმატებითი შეგნებულობის დიდმნიშვნელოვან აუცილებელ პირობას.

კომუნისტური პარტია მასებისადმი თავის ზელმძღვანელ მოღვაწეობაში ეყრდნობა მასების აქტიობას, მხარს უჭერს და ავითარებს მის, უზრუნველყოფს მშრომელთა მოქმედებისა და ნებისყოფის ერთიანობას. რაც უფრო დიდია და ფართო მასების მონაწილეობა საზოგადოებრივ გარდაქმნაში, მით უფრო დიდია კომუნისტური პარტიის როლი მასების პოლიტიკურ ზელმძღვანელობაში.

კომუნისტურ შეგნებულობაში სკკპ როლისა და მნიშვნელობის შემდგომ ზრდას განაპირობებს ამასთანავე სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ამაღლება, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების უფლებათა გაფართოება.

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ საანგარიშო მოხსენება სკკპ XXIV ყრილობას, თბილისი, 1971 წ. გვ. 105.

კომუნისტური შეგნებულობის შეზღუდვა ხასიათდება სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი აყვავებით, საზოგადოებრივ ტანჯვინიზაციების როლის ამაღლებით, მოკავშირე რესპუბლიკების და ადგილობრივი ორგანიზაციების როლის ამაღლებით, მოკავშირე რესპუბლიკების და ადგილობრივი ორგანიზაციების უფლებების გაფართოებით. პარტია მთელ თავის მუშაობას ეკლავა წარმართავს საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისა და ჩვენი საზოგადოების მთელი პოლიტიკური ორგანიზაციის მუშაობის მეტად სრულყოფითათვის. ამ საქმიანობის მთავარი მიმართულება — კომუნისტური შეგნებულობის ამოცანების შესაბამისად — იყო და არის სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება* — მიუთითებდა ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXIV ყრილობაზე.¹

სოციალისტური დემოკრატია გამოხატავს მშრომელი მასების სურვილებს და ვისახურება ჩვენი საზოგადოების დაქარბული ტემპებით განვითარების კეთილშობილურ საქმეს. ამასთან ერთად არ შეიძლება დავივიწყეთ, რომ ნამდვილი დემოკრატია, თავისუფლება ითვალისწინებს მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის მშრომელთა პასუხისმგებლობის, ორგანიზებულობის და დისციპლინის შემდგომ ზრდას და განმტკიცებას. დემოკრატიული საზოგადოება არ შეიძლება იყოს დემოკრატიული. მთელი საზოგადოების სოციალისტური ორგანიზებულობა და სოციალისტური დისციპლინის კიდევ მეტად განმტკიცება, თვითუფლო პიროვნების და ორგანიზაციის გაძაღდებელ ამოცანას შეადგენს სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფისათვის ბრძოლის საქმეში. სოციალისტური დემოკრატია არის და შენაარსი ის არის, რომ სულ უფრო ფართო მასები ლებულობდნენ მონაწილეობას ქვეყნის, საზოგადოებრივი საქმეების მართვაში. „საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემა, — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXIV ყრილობაზე, — მშრომელთა განუწყვეტელი მხარხარ ინიციატივა ჩვენში კომუნისტური შეგნებულობის საქმეს ემსახურება. ასეთი დემოკრატია ჩვენთვის საარსებო მოთხოვნილებაა, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების აუცილებელი პირობა.

პარტია დაუცხრომლად ზრუნავს იმისათვის, რომ სოციალისტური დემოკრატია განუხრელად ვითარდებოდეს, რომ ყველა გრძნობდნენ თავს მოქალაქედ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მოქალაქედ, რომელიც დაინტერესებუ-

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება სკკპ XXIV ყრილობას, თბილისი, 1971, გვ. 105.

ლია საერთო სახალხო საქმით და თავის წილ პასუხს აგებს ამისათვის. პარტია კვლავაც თანამიმდევრულად განახორციელებს სწორედ ამ ძინს¹.

კომუნისტურ მშენებლობაში პარტიის როლისა და მნიშვნელობის ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ამაღლება. კომუნისტური პარტია თავის პოლიტიკას ახორციელებს მშრომელთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი სისტემის მეშვეობით.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების თავისებურება სახელმწიფოებრივი ორგანიზაციებთან შედარებით, იმაში მდგომარეობს, რომ მათ არა აქვთ აღმინისტიკული ფუნქციები და მოქმედებენ დარწმუნებისა და აღზრდის მეთოდით. ამ მეთოდების გამოყენებით მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციები უნდა აღწეოდნენ თავიანთი საქმიანობის გაფართოებასა და გაუმჯობესებას, მასების შემოქმედებითი ენერჯის, ინიციატივის განვითარებას, ჩვენი ქვეყნის ყველა ზალხის ერთიანობისა და შეგობრობის განმტკიცებას.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი კომუნისტურ მშენებლობაში, სახელმწიფო მშართველობაში იზიდავენ მშრომელთა ფართო მასებს და რამზევენ მათ კომუნისტური პარტიის გარშემო. ამასთან ერთად ყოველ საზოგადოებრივ ორგანიზაციას აქვს თავისი განსაკუთრებული ამოცანები, თავისი მოვალეობის სფერო და უფლებამოსილება. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო მოღვაწეობის ხასიათით და მასშტაბებით, არამედ ორგანიზაციული მშენებლობის თავისებურებებით. მაგრამ როგორც არ უნდა განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან, ყოველი ცალკეული მასობრივი ორგანიზაცია განუყოფლად დაკავშირებული სხვა ორგანიზაციებთან და საბოლოო ანგარიშით ისახავს საზოგადოების საერთო ინტერესებს, რომელიც პარტიის პოლიტიკაში გამოიხატება. პარტიის პოლიტიკას ეს მასობრივი ორგანიზაციები ატარებენ თავისი მოღვაწეობის სფეროს ფარგლებში, მათთვის დამახასიათებელი მეთოდებით და საშუალებებით. ამის შედეგად პარტიის პოლიტიკა ხდება სახალხო მასების საქმედ.

სკკ პარტია, ახორციელებს რა მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციებისაღმე ხელმძღვანელობას, თავისიწინებს მათ თავისებურებებს. იმ როლს, რომელიც ეკუთვნის ყოველ მათგანს საბჭოთა საზოგადოების საერთო პო-

ლიტიკურ სისტემაში. მშრომელთა ასეთ მისობრივ ორგანიზაციებს მიეკუთვნება: საბჭოები, პროფსაკაემობები, კოპკაემობი და სხვანაირი მელთა ყველა ორგანიზაციისათვის. სკკმტნსსტური პარტიის ხელმძღვანელობის გაძლიერების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მათ შორის ფუნქციების სწორი გამოყენება.

ვ. ი. ლენინი ვასწავლის, რომ კომუნისტური პარტია ახორციელებს ყველა საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციებისაღმე პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. ამდენად ის არ ეჩვევა მათ ფუნქციებში, მათ შავიერობას არ წევს. ყარ კიდევ პარტიის მეტვ ყრილობაზე მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციებისაღმე თავისი დამოკიდებულება შემდეგნაირად განსაზღვრა: „კომუნისტური პარტია ამოცანად ისახავს გადამწყვეტი გაეუნე და სრული ხელმძღვანელობა მოაპოვოს მშრომელთა ყველა ორგანიზაციაში... პარტიული კონტრელებების ფუნქციების აღრევა სახელმწიფოებრივი ორგანოების ფუნქციებში, როგორც საბჭოებია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება... თავის გადამწყვეტილებებს პარტია უნდა ატარებდეს საბჭოთა ორგანოების მეშვეობით, საბჭოთა კონსტიტუციის ფარგლებში. პარტია ცილლობს უხელმძღვანელოს საბჭოების საქმიანობას, მაგრამ არ შეცვალოს ისინი“¹.

მშრომელთა ორგანიზაციებისაღმე პარტიის ხელმძღვანელობა უნდა გამოიხატებოდეს შემდეგნაირად: განსაზღვრავდეს პოლიტიკურ მიმართულებას, მათი შემოაობის ორგანიზაციულ ფორმებს და მეთოდებს, მათი მოღვაწეობის ძირითად შინაარსს, ახდენდეს მათ ორგანიზების კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად, ახორციელებდეს კადრების შერჩევასა და გასაწილებას, შემოწმებასა და კონტროლს იმისა თუ როგორ ასრულებენ მშრომელთა მასობრივი ორგანოები საღირებეტივო მითითებებს და სხვ.

საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციებისაღმე პარტიის სწორი ხელმძღვანელობის განხორციელება წარბატების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს.

ბოლოს პარტიის როლის ამაღლება საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში განაპირობებს აგრეთვე მეცნიერული კომუნიზმის თეორიის, მისი შემოქმედებითი განვითარებისა და პროპაგანდის მზარდი მნიშვნელობა და ის, რომ საბჭოთა გაძლიერდეს მშრომელთა კომუნისტური აღზრდა და ბრძოლა ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონათების დაძლევათვის.

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, სკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, სკკ XXIV ყრილობას, თბილისი, 1971, გვ. 113.

¹ სკკ... რეზოლუციებსა და გადამწყვეტილებებში, ნაწ. 1, მეშვიდე გამოცემა, თბილისი, 1954, გვ. 569.

კომუნისტური მშენებლობის პერიოდში განუხორციელდა იზრდება პარტიის როლი მასების აღზრდასა და პოლიტიკური განათლების საქმეში. ეს იმით აიხსნება, რომ კომუნისტურ გადასასვლელად აქტივობები არა მარტო განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არამედ ამასთან ერთად ყოველი მუშაის პოლიტიკური მშენებლობის მალაღობა დღე. ამავე პერიოდში სულ უფრო იზრდება ზნობრივი საქმიანობის როლი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, ფართოდდება მორალური ფაქტორების მოქმედება სფერო და შესატყვისად მტკიცდება ადამიანებს შორის დამოკიდებულებაში აღმინისტრაციული რეგულაციების მნიშვნელობა.

ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXIV ყრილობაზე აყენებს ამოცანას, რათა ყოველი ღონისძიებით განვითარდეს იდეოლოგიური მუშაობის ყველა ფორმა, ავამაღლოს მასების პოლიტიკური აღზრდა და ხალხის კულტურული დონე. „ღიად საქმეს — კომუნისტური მშენებლობის — წინ ვერ წავედით, თუ ყოველმხრივ არ განვითარდით თქვენ ადამიანი. ადამიანთა კულტურის, განათლების, საზოგადოებრივი მშენებლის, შინაგანი სიმწიფის მალაღობის დონის გარეშე კომუნისტური მშენებლობის იდეა, როგორც შეუძლებელია იგი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე“¹.

კომუნისტური მშენებლობის წარმატებისათვის ბრძოლაში იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. რაც უფრო მეტია საზოგადოების წევრთა მშენებლობა, მით უფრო სრულად და ფართოდ იშლება მათი შემოქმედებით აქტივობა კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, მით უფრო დაჩქარებით და წარმატებით წყდება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანები. „პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობის მთლიანად მშრომელთა ფართო მასების კომუნისტური მხოდმხედველობის ჩამოყალიბება, მათი აღზრდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით“².

თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური მუშაობის მთავარ ამოცანად პარტია აყენებს უწყვეტ მშრომელის აღზრდას მალაღობის იდეურობით და კომუნისტურად ერთგულებით, შრომისადმი და საზოგადოებრივი პერსონისადმი კომუნისტური დამოკიდებულებით. ამასთანავე პარტია მთლიანად ადამიანთა მშენებლობაში და ყოფაში წარსულის გადმონახულების ლიკვიდაციას, პირთების პარამონულ განვითარებას და

სულიერი კულტურის სიმდიდრის შექმნას. ყოველივე ამის წარმატებით განხორციელება მაშინ არის შესაძლებელი, როცა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია ეფუძნება „მასების“ და მთავარებს მათ აქტიურ მოქმედებას, განსაზღვრავს მათი ყოველდღიური ქცევის ნორმებს.

კომუნისტური მშენებლობის პერიოდის იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს ახალი ადამიანის აღზრდა; ასეთი ახალი ადამიანის ფორმირება კი განუხორციელდა დაეყვინებული ჩვენი ქვეყნის შემდგომ წარმატებებთან განათლების, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში. განსაკუთრებით დიდა ხელოვნებისა და ლიტერატურის როლი ახალი ადამიანის მსოფლმხედველობის, მისი ზნობრივი მრწამსის, სულიერი კულტურის ჩამოყალიბებაში.

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში მოითხოვენ ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებთა ხარისხის ყოველი ღონისძიებით ამაღლებას, ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის საქმის გაღვივებით გაუმჯობესებას, ზეგულ შინაარსის და უფერული ფორმის ნაწარმოებთა პრინციპულ კრიტიკას. პარტია და ხალხი — მთლიანად ლ. ი. ბრეჟნევი, — არასოდეს არ შეუვრდებიან ცდებს დააჩუქნონ ჩვენი იდეური იარაღი, ჩირქი მოსტონ ჩვენს დროშას. ლიტერატორი, რომელიც ცოცხლად სწამებს საბჭოთა სინამდვილეს, სწამებს ემპირიას ჩვენს იდეოლოგიურ-მორალურ-აზროვნებას, აყვარებს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას, ახალი ადამიანის ფორმირების პროცესს. ასეთი ადამიანები საზოგადოებრივი ზიზის ღირსნი არიან.

პარტიის XXIV ყრილობა მოითხოვს უკომპრომისო ბრძოლა გამოცხადოს წარსულის გადმონახულებას, ყრილობაზე ახ. ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: „კომუნისტური მორალი ვერ გაიშარქვეს, თუ მტკიცე ბრძოლა არ გამოუცხადდა მის ისეთ ანტიპოდებს, როგორც არის მომხმეებლობა, მექრთამეობა, ცილისწამება ანონიმური წერილების წერა, ლობობა და სხვ. ამგვარი გამოვლინებანი. ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რასაც ჩვენ ვუწოდებთ წარსულის გადმონახულებას ადამიანთა მშენებლისა და ქცევაში, — არის საქმე, რომელსაც მუდმივად ყურადღება უნდა დაუთმონ პარტიამ, ჩვენი საზოგადოების მთელმა მშენებელმა მოწინავე ძალებმა“³.

წარსულის გადმონახულების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებაზე ძნელ ბრძოლად მიიჩნევა. იგი მოითხოვდა მის წინააღმდეგ წა-

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, სკვპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება სკვპ XXIV ყრილობის, 1971 წ. გვ. 113—114.

² იქვე, გვ. 114.

³ „მინათობა“, № 9.

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, სკვპ ც. კის საანგარიშო მოხსენება სკვპ XXIV ყრილობის, თბილისი, 1971, გვ. 116.

ბრძობელი ყოფილიყო შეერთებული ბრძოლა.

ჩვენ შეუნელებლივ უნდა ვიმუშაოთ, — წერდა ლენინი, — „...რათა აღმოვფხვრათ წყევლი წესი: „თავითელი თავისთვის, ღმერთი — ყველასთვის“. ...ჩვენ ვიმუშავებთ, რათა მასებში შეგნებაში, ჩვეულებაში, ყოველდღიურ საქმიანობაში დავერგოთ წესი: „ყველა — ერთისათვის და ერთი — ყველასათვის“, წესი: „თვითელი — თავისი უნაბის მიხედვით, თვითელს“ თავისი მოთხოვნების მიხედვით“, რათა თანდათან, მგრამ განუხრებლად შემოვიღოთ კომუნისტური დისციპლინა და კომუნისტური შრომა“.¹

იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა თანამედროვე ეტაპზე ამავე დროს ნაყარანხევია საერთაშორისო მდგომარეობიდანაც. ბურჟუაზიის იდეოლოგებმა კარგად იციან, რომ ვერც სამხედრო და ვერც ეკონომიური გზით კომუნისტური მშენებელ ქვეყანასთან ვერას ვახებუბან. ისინი სსრკ-ის წინააღმდეგ მთელ თავის ძალებს მიმართავენ იდეოლოგიურ ფრონტზე. კაპიტალიზმი ყოველ ღრუბს ხმაობს შეაჩეროს მსოფლიო რევოლუციური მოძრაობა და ამ მიზნის მისაღწევად ბრძოლის მნიშვნელოვან საშუალებად მიიჩნევენ ანტისოვეტიზმს.

ანტისოვეტიზმი, როგორც რეაქციული იდეოლოგიური მიმართულება, თავის მიზნად ისახავს დისკრედიტაციას უფრო სოციალიზმისა და კომუნისტური გამოცდილების საბჭოთა კავშირში, დაყენების სეკ პარტიის თეორიული და იდეოლოგიური საფუძვლების, სსრკ-ის ეკონომიური, სოციალური ღონისძიებების, საბჭოთა სახელმწიფოს და საზოგადოების ისტორიის, საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობა.

ანტისოვეტიზმისა და ანტიკომუნისტური იდეოლოგიები თავის მახვილს პირველ რიგში მიმართავენ სსრ კავშირის წინააღმდეგ, რადგან მათ იციან, რომ სსრ კავშირი უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიოს პროგრესული და რევოლუციური ძალების განვითარებაზე.

იმპერიალისტების აგენტებს სურთ ანტისოვეტიზმის მეშვეობით მასშობილურად გაართულონ კომუნისტური მშენებლობის საქმე საბჭოთა კავშირში. მათი რეაქციული იდეოლოგიის სტრატეგიულ ზანაფიქრებში დიდი ადგილი უჭირავს სსრ კავშირისადმი უნდობლობის ატმოსფეროს შექმნას, სოციალიზმის მსოფლიო სისტემაში შემავალი ქვეყნების ერთმანეთისაგან გათიშვის ცდას, კომუნისტური მოძრაობის შემდგომი განვითარებისადმი ხელისშეშლას, ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანი ბლოკის გაფართოების წინააღმდეგ ბრძოლას.

სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური

ქვეყნების წინააღმდეგ იდეოლოგიური ომის მასშტაბებზე წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი ციფრბრძოვი მონაცემები. 1969 წელს შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოში, რომელიც წარმოადგენს ამერიკის პროპაგანდის შტაბს, მუშაობს 12 ათასი პროპაგანდისტი. საინფორმაციო სააგენტოს აქვს 105 ქვეყანაში — 239 განყოფილება, რადიოსამსახური „ამერიკის ხმა“ 87 ძლიერი ვადამცემით, კინოსამსახური — 98 ქვეყანაში, 176 მიმლიონე — 80 ქვეყანაში. საინფორმაციო სააგენტოს ყოველწლიური ბიუჯეტი შეადგენს 150 მილიონ დოლარზე მეტს. უკანასკნელ პერიოდში სააგენტომ გამოაქვეყნა 50 ენაზე თითქმის 60 მილიონი ეგზემპლარი ანტისაბჭოთა, ანტისოციალისტური ხასიათის წიგნი.¹

საბჭოთა სინამდვილის შესწავლის ამერიკელი „სპეციალისტები“ ავტორი, გეორგი, მაისვერი, ტალხაიმი და სხვები ენერგიას არ იშურებენ გაყალბებული, ფალსიფიცირებული სახით წარუდგინონ მკითხველს საბჭოთა ხალხის ცხოვრების დღევანდელი სინამდვილე. ანტისოვეტიზმის დამსახურშია ჩაყენებული მრავალრიცხოვანი საყველავი ცენტრები. ისეთები, მაგ., როგორიც არის აშშ-ში „ომის, რევოლუციისა და მშვიდობის“ გუვერის ინსტიტუტი, პარევარდის უნივერსიტეტის რუსეთის გამოკვლევების ცენტრი, კოლუმბიის უნივერსიტეტის რუსული ინსტიტუტი და სხვა მრავალი. მსგავსი დანიშნულების საყველავო ინსტიტუტებია შექმნილი მიუნხენში, კელნში, ლონდონში და სხვ. ანტისოვეტიზმის და ანტიკომუნისტური მთავარ ბაზას კი წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის საინფორმაციო სააგენტო დამაყმებულია მშობლივ იმისათვის, რომ აწარმოოს იდეოლოგიური ომი საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ. აშშ-ის შემდეგ ანტისოვეტიზმის პროპაგანდის საქმეში აქტიურ როლს ასრულებს დასავლეთ გერმანია.

ანტიკომუნისტური და ანტისოვეტიზმის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა და მათი თვალსაზრისის ბოლომდე გამოაშკარავება მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანის მნიშვნელოვან და გადაუდებელ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს. საბჭოთა ადამიანებში კი მაკ-სიმალურად უნდა დამაბონ თავიანთი ენერგია, რათა ამრავლონ სოციალისტური სახელმწიფოს წარმატებანი, რადგან ანტისოვეტიზმი და ანტიკომუნისტური წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი ადგილი მაინც მიეკუთვნება საბჭოთა ხალხის მიერ კომუნისტური მშენებლობაში მოპოვებულ გრანდიოზულ წარმატებებს. ეს წარ-

¹ „სკკ ბელმძივანელი ჩოლის ზრდა კომუნისტური მშენებლობის პერიოდში“. მოსკოვი, 1969, გვ. 285 (რუსულ ენაზე).

მატებები ყველაზე დიდ ყუბმარებს წარმოადგენენ ანტიკომუნისტური და ანტისოციალისტური ბურჟუაზიული იდეოლოგია გამაფხიზლებლისა და განებულ მოყვანის საქმეში.

ამრიგად, მზარდი ამოცანები ეკონომიკის, პოლიტიკის, იდეოლოგიის და სფეროთაშორისო ურთიერთობის დარგში, მშრომელთა სულ უფრო მეტი რაოდენობის ჩაბმა კომუნისტური მშენებლობის საქმეში, ზრდიან კომუნისტური პარტიის როლისა და მნიშვნელობის, სწორედ ამიტომ პარტიის XXIV ყრბობის გადარწმუნებლებებს წითელ ზოლად გაპყვება იღვა თანამედროვე პირობებში პარტიის ხელმძღვანელი და წარმართული როლის გაძლიერების შესახებ.

პარტიული ორგანიზაციების, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანოების როლის ამადლება, უწინარეს ყოვლისა, ვლინდება აგრეთვე კადრების შერჩევის, განაწილების, აღზრდისა და შესრულების შემოწმების საკითხებისადმი უფრადღებში გაძლიერებაში.

კომუნისტური მშენებლობის პირობებში, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ობიექტური კანონების შეგნებულ გამოყენებას კიდევ უფრო მეტი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როცა შემოქმედებით შრომაში მრავალმილიონიანი მასებია ჩაბმული, სუბიექტური ფაქტორის როლი, ხელმძღვანელობის როლი განუზომლად იზრდება. ამიტომ ლენინმა კადრების შერჩევის პარტიის უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციულ ამოცანად თვლიდა. მას მიაჩნდა, რომ „...თავი და თავია ადამიანები. ადამიანთა შერჩევა“¹.

ხელმძღვანელი კადრების ფორმირება რთული და ძნელი ამოცანაა. პარტიის XII ყრბობაზე ი. ბ. სტალინი თავის საინგარიშო მოხსენებაში მიუთითებდა, რომ „პარტიის ხელმძღვანელთა შექმნა მეტად ძნელია იმისათვის საჭიროა წლები, 5-10 წელი, 10-ზე მეტი“² გაცილებით უფრო ადვილია — შენიშნავდა სტალინი — ამხ. ბუდიონის კავალერიის საშუალებით, რომელიმე აგრესიული კაპიტალისტური ქვეყნის დამარცხება, ვიდრე ქვედაფენებიდან მომავალი 2-3 ხელმძღვანელი, რომლებსაც მომავალი შეჭრებით ქვეყნის ნამდვილი ხელმძღვანელები გახდნენ. ჩვენს პარტიას ახლა ამ მხრივ გაცილებით უკეთესი პირობები აქვს. გაიზარდა მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის პოლიტიკური შეგნებულობა, განათლებულობა, პროფესიული მომზადება. შედარებით გააძვირდა ხელმძღვანელი კადრების ფორმირება, მაგრამ მათთან სისტემატური და დაუღ-

ღივი მუშაობა, კვლავ პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება.

ხელმძღვანელობის ხელმძღვანელობის იმაში, რომ გულმოდგინედ ვსწავლობდეთ თეთიელნი შემავის ღირსებას და ვიჩინედეთ იმის უნარს, რომ შესაფერის ადგილზე ეაწინურებდეთ და ყოველდღიურ კონტროლს უწყველდეთ მათ თუ როგორ ასტულებენ ისინი პარტიისა და მთავრობის დირექტივებს. პოლიტიკური ხელმძღვანელი პასუხს აგებს არა მარტო იმისათვის, — შენიშნავდა ვ. ი. ლენინი, — თუ როგორ ხელმძღვანელობს იგი, არამედ იმისათვისაც, თუ რას აკეთებენ მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფნი. უკანასკნელ პერიოდში დიდი უფრადღება ეკველა პარტიულ მუშაობის მცენარულ საფუძველად დაყენების საქმეს. ეს ვარაუდობა კი პარტიული კადრების წინაშე აყენებს ამოცანას ღრმად დაეუფლონ საზოგადოების ხელმძღვანელობის მუცნიერულ საფუძველებს. მიზნინარე ეტაზე ფართოდ გაიშალა საზოგადოების განვითარების ეკონომიკური, სოციალ-პოლიტიკური და სულიერ სფეროში ძირეული პროცესების შეცნიერული კვლევა. მხოლოდ მუცნიერული მიდგომის, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ობიექტური კანონების ცოდნისა და გამოყენების საფუძველზე, საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტული პირობების ღრმად ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე, პარტიულ ორგანოებს შეუძლიათ ვითარების ობიექტური შეფასება, მოვლენათა გაქეში ძირითადი რგოლის სწორად განსაზღვრა, რომელზედაც დაუარდნობით ისინი წარმართავენ კომუნისტებისა და ყველა მშრომელისადმი სწორ ხელმძღვანელობას.

კომუნისტური მშენებლობის გეგმატური ამოცანების წარმატებით გადარწმუნება პარტიისაგან შიითხოვს შინაპარტიული ცხოვრების და პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფასა და განვითარებას. პარტიის ხელმძღვანელი როლი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში მით უფრო მაღალია, რამდენდაც აქტიურად მუშაობენ მისი ორგანიზაციები, ყველა კომუნისტური, რამდენდაც სწორადაა ორგანიზებული მისი შინაპარტიული ცხოვრება. პარტიის ხელმძღვანელობის დონეზე, მის სწორ პოლიტიკაზე, მის უნართან ორგანიზატორულ და აღმზრდელობით მუშაობაზე, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციებისადმი მისი ხელმძღვანელობის ხელკონტაქტზე, ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოების წინსვლა. პარტია განუწყვეტილედ უნდა აუწყობეს ბედებს თავის მოღვაწეობის ფორმებსა და მეთოდებს, რათა საზოგადოებისადმი მისი ხელმძღვანელობის დონე შეესაბამებოდეს კომუნისტური მშენებლობის ეპოქის მზარდ მოთხოვ-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 355.

2 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 242.

3 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 242.

ნებს. „პარტია წინ უნდა მიდიოდეს თავისი წინაპარტიული ცხოვრების ორგანიზაციაშიც, გვიგუნებდეს კომუნისტური საზოგადოებრივი თეორიამართველობის ვეულაზე სრულყოფილად ფორმების შემუშავების მაგალითსა და ნიმუშს“¹.

პარტიის XXIV ყრილობა მოითხოვს შინაპარტიული დემოკრატიის, ხელმძღვანელობის კოლექტიურობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის პრინციპების ყოველი ღონისძიებით განვითარებასა და ცხოვრებაში გატარებას. ყველა რეკლუციური პარტია, რომლებიც აქამდე იღუბებოდნენ, — შეინშნავდა ვ. ი. ლენინი, — იღუბებოდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ თავგასულთა რიგებში აღმოჩნდნენ და არ შეძლოთ დანახათ თუ რაში მდგომარეობდა მათი ძალა და ეშინოდათ ელაპარაკათ თავის ნაკლოვან მხარეებზე. კომუნისტური პარტიის ძალა იმაშია, რომ მის არ ეშინია ნაკლოვანებათა შეგარა აღიარების. ნიკოლოზ ოსტროვსკი წერდა: კრიტიკა, — ეს სისხლის სწორი მიმომქვევა. კრიტიკის ვარგე არ არსებობს შობარაობა წინ. აღამანი, რომელსაც კრიტიკის ეშინია, ღაჩარია, საბჭოთა ხალხს არ შეუძლია ასეთ აღამიანს სცეს პატივი. მაქსიმ გორკი სთვლიდა, რომ სადაც მეტია კრიტიკა, იქ ბევრი აზრია, იქაა სიცოცხლეო.

ხელმძღვანელის ხელოვნება იმაში მდგომარეობს რომ შექმნას ორგანიზაციაში განსაღი ატმოსფერო კრიტიკისა და თვითკრიტიკისათვის. შარალის თქმა, შეცდომაზე მოითება ხელმძღვანელისაღი მტრბად კი არ უნდა შევიზნოთ, არამედ ერთგულბად და დახმარების გაწვეად.

პარტია მხარს უჭერს და ყოველღონისძიებით ხელს უწყობს პრინციპულ კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას და მიიზნეს მას არაკომმუნური ხასიათის ლოზუნვად. ამავე

ღრის პარტია სასტიკად გმობს ისეთი აშხანაგების მოქმედებას, რომელთაც მინაღ დღუსახეთ გადააქციონ თვითკრიტიკა! სეკენ-სამეურნეო მუშაკების დევნად! მუშაკის კლასის თვალში მათთვის სახელის გატეხად“. პარტია გმობს აგრეთვე იმ აშხანაგების მოქმედებას, რომლებიც გადაღიან კრიტიკაზე კრიტიკისათვის, კრიტიკას აქევენ სპორტად, რომლის მიზანია სენსაცია“¹ ასეთ „კრიტიკოსებს“ ი. ბ. სტალინი შეინშნავდა: „გააკრიტიკეთ ჩვენი მშენებლობის ნაკლოვანებანი, მაგრამ ნუ გაუხამსმეთ კრიტიკის ლოზუნგს და ნუ გადააქცევთ მას საჯუკლამო ვარჯიშის იარაღად... იაფფასიანი სენსაციების მოსამზადებელ სმზარეულად“².

ლ. ი. ბრენენევი სამართლიანად აღნიშნავდა პარტიის XXIV ყრილობაზე, რომ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ განვითარება იმის საუკეთესო ნიშანია, რომ პარტიული ორგანიზაცია პოლიტიკურად განსაღია, რომ ამ ორგანიზაციის და მის წევრებს სწორად ესმით თავისი მოვალეობა პარტიისა და ხალხის წინაშე.

ამრიგად, სკვპ-ის ზარისხობრივი ზრდა, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარება, კომუნისტთა აქტიუობის ამაღლება, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარების თანამედროვე მოთხოვნილებების დონეზე ამაღლება, კადრების სწორად შერჩევა, დისციპლინის განმტკიცება და სხვ. სკვ პარტიის რიგების შემდგომი განმტკიცების, მისი როლისა და მნიშვნელობის ზრდის, შინაპარტიული ცხოვრების სრულყოფის შესანიშნავი გარანტიას წარმოადგენს.

ასეთია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ამიორბებენ თანამედროვე ეტაბზე სკვ პარტიის როლის ზრდას, მის პასუხისმგებლობას კომუნისზმის მშენებლობის ბედისაღი.

¹ ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 11, გვ. 150.

² ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 11, გვ. 152.

³ ლ. ი. ბრენენევი, სკვპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება სკვპ XXIV ყრილობას. თბილისი, 1971, გვ. 130.

¹ საბჭოთა ყვეშორის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მასალები, თბილისი, 1962, გვ. 526).



ძართული დრამატურგია და თეატრი უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე

დღეს, მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ჩვენს ქვეყანაში, სადაც კულტურის სრულყოფილი განვითარებისათვის ყველა პირობა არის შექმნილი, ერთი სინქრონული პროცესი შეინიშნება: დრამატურგია სულ უფრო და უფრო განუყოფელი ხდება თეატრისაგან. თუ ჰვლად იქმნებოდა ე. წ. „საკითხავი“ დრამატურგიაც, რომელსაც არა ჰქონდა სცენაზე დადგმის პრეტენზია და წმინდა ლიტერატურულ ენაზე რჩებოდა, ახლა დრამატურგიაში ნიშნები, როგორც წესი, სცენისათვის იწერება. სწორედ ამით არის გაპირობებული დრამატურგიის მთავარი სიბრტლე, რომელიც კულტურის ორი სხვადასხვა დარგისადმი ერთდროულ სამსახურში მდგომარეობს: სიტყვიერი ხელოვნებისა, ე. ი. ლიტერატურისა და სცენიური ხელოვნებისა, ე. ი. თეატრისადმი. ორი ბატონისადმი ერთდროული სამსახური, აბრთლებს მის ტექნოლოგიასაც და იმათ საქმიანობასაც, ვინც მას ეზიარება.

დრამატურგიისა და თეატრის სინქრონიზაციის ხელს უწყობს თანამედროვე თეატრის საოკრად გაზრდილი შესაძლებლობანიც. თეატრის შესაძლებლობათა ზრდა გამოიხატება არა მარტო თეატრალური ქსელის ვიგანტურ გავრცობაში, არამედ დღევანდელი თეატრის სამდგომელო წარმადობის სწრაფ ზრდაში, რის გამოც, იგი სულ უფრო მეტი როდენობის დრამატურგიულ პროდუქციას მოითხოვს.

ამგვარი პროცესი ძალიან მკაფიოდ შეიმჩნევა საქართველოშიც:

თუ 1928 წლამდე რესპუბლიკაში მხოლოდ ერთი დრამატული თეატრი გვექონდა, დღეს, 20 სახელმწიფო დრამატული თეატრი და ორმოცამდე სახალხო თეატრი მუშაობს. ეს ციფრები თავისთავად ცხადყოფენ რაოდენ გაიზარდა ქართული ორიგინალური დრამატურ-

გიის სასცენო-თეატრალური ასპარეზი. ასეთ პირობებში საშუალო ლირების თითქმის ყოველი ახალი ბიესა თავის თეატრალურ მომხმარებელს პოულობს, რაც ხელს უწყობს ავტორთა გარკვეულ სტიმულირებას. მაგრამ ამას თავისი ჩრდილოვანი მხარეც ატარებს; გაზრდილი მოთხოვნების წყალობით სცენისაგან გზას იკაფავენ არა მარტო კარგი და საშუალო, არამედ სუსტი და ზოგჯერ ძალიან მძარე პიესებიც.

თანამედროვე ქართული პიესების სცენური ფუნქციის ზრდას, სცენისაგან მიმავალი გზის გაყვავა-გაადვილებას (მათი ლიტერატურული ლირების დაკნინების ხარჯზე) იმანაც შეუწყობელი, რომ 1969 წლამდე დრამატურგები ფაქტიურად განდევნილი იყვნენ ქართული ეურნალ-გაზეთებიდან და დრამატურგიულ ობზულეების მხოლოდ წიგნებსა და კრებულებში თუ შეხვდებოდა.

მიუხედავად ამისა, ზაზგასმით უნდა იფიქროს, რომ უკანასკნელი ხუთი წელი ჩვენი დრამატურგიისათვის საკმაოდ ზეგარეული და ბარაქიანი აღმოჩნდა შეიქმნა არაერთი საყურადღებო და სინტერესო დრამატურგიული ნიმუში. უფრო მეტიც: ქართული დრამატული მწერლობა, ისევე როგორც პროზა, ამ ხუთწლიან მონაკვეთზე უცნალო აღმავლობას განიცდიდა. ეს გარემოება განსაკუთრებით მაშინ გახდება ცხადი, როცა თანამედროვე ეროვნული დრამატურგიის ხარისხობრივ მაჩვენებლებს შევხვებით. მაგრამ მანამდე საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი რიცხობრივი მონაცემის წარმოდგენა, რათა რამდენადმე ნათელი გახდეს ჩვენი დრამატურგიის მასშტაბი და ფარგლები, მისი გეოგრაფია და წარმადობა.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ე. ი.

1966-1971 წლებში. საქართველოს დრამატიული თეატრების მიერ 150-მდე ახალი პიესა დაიდგა. თუ ამ რიცხვს დაუმატებთ თეატრების მიერ ადრე მიღებულ, მაგრამ ჯერაც დაუდგმელ პიესებს, ასევე იმათაც დასადგმელად რომ ამზადებენ და ავრთვებ დაბეჭდილთ, მაგრამ სცენაზე წარმოდგენილ — მაშინ ახალ პიესათა რიცხვი 200-ს მიაღწევს.

მაგრამ ახლად შექმნილ პიესათა საერთო რაოდენობის დასადგენად დაწინებულებიც უნდა მივითვლოთ. დაწინებულთა რიცხვი კი ერთობ დიდია: მაგალითად, მარტო კელტურის სამინისტროს სარეპერტუარო კომისიამ (რომელიც მაინცა და მაინც არ გამოირჩევა დიდი სიმკაცრით), მარტო 1968 წელს დაიწერა ორმოცამდე პიესა, ხოლო 1969 წელს — 31. წინა და მომდევნო წლებშიც — დაახლოებით ამაღნივც. თუ ამას მივათვლით იმ პიესებსაც, რომლებიც თვით თეატრებმა უარყვეს, გამოდის, რომ ამ პერიოდში საქართველოში დაიწერა რა თეატრებს წარედგინა სულ ცოტა 300 პიესა, ლა წელსწინადაც დაახლოებით 60 ახალ პიესას ნიშნავს.

ეს არა თუ დიდი, პირდაპირ სავანავაშო რიცხვი, არც ერთ მოკავშირე რესპუბლიკაში (რუსეთის ფედერაციის გარდა, სადაც მოსახლეობა რამდენიმე ათეულჯერ მეტია ჩვენსაზე და შესაბამისად, თეატრებიც უფრო მრავალი), არ არის ამდენი ახალი პიესა რეგისტრირებული. აქამდე ერთი უზედურება გვპირდა — ყოველი მეათე კაცი საქართველოში ლექსებს წერდა, ახლა მეორე უზედურებაც დაგვეჩოო, ყოველი მეოცე — პიესებსა თხზავს.

ჩვენ ბედნიერნი ვიქნებოდით, რომ ამ 60 პიესიდან ერთი მეთათი, მაინც ყოფილიყო ღირსეული ნიმუში. მაშინ ქართული დრამატურგია საკავშირო მასშტაბით კი არა, მსოფლიოშიც ერთ-ერთი მოწინავე გახდებოდა.

მაგრამ დაეუბრუნდეთ ისევ იმ 200 ახალ პიესას, რომლებიც ან უკვე დაიდგა, ანდა დასადგმელად არის მიღებული თუ ნაერაუდევია. ეს ნიშნავს წელიწადში საშუალოდ 50 ახალ პიესას. მაშასადამე, თვითული ჩვენი დრამატული თეატრი ერთ წელიწადში დასადგმელად იღებს დაახლოებით სამ ისეთ ახალ პიესას, რომელსაც ამ თეატრის მეტი სხვა არავინა ღვაშს. ისმის კითხვა, რად გვიწდა ისეთი პიესა, რომელიც მხოლოდ ერთი რაიონული თეატრისათვის არის ვარგისი და ისიც მხოლოდ რამდენჯერმე წარმოსადგენად? სამწუხაროდ ასეთ პიესათა რიცხვი ერთობ დიდია.

ჩვენი აზრით, დაუშვებელია ისეთი პიესის მიღება, რომელიც თავისი ღირსებების წყალობით სულ ცოტა სამ-ოთხ თეატრში მაინც ვერ

დაიდგება. ერთი და იგივე პიესის სხვადასხვა თეატრის სცენაზე დადგმას თვითიც დიდებითი მხარეები მოიპოვება: ეს გარეულებიც უწევს თეატრალური კოლექტივების შემოქმედებით შეჭირბის, ამალღებს მათ სადამდგმლო პასუხისმგებლობას, ზრდის სპექტაკლის მხატვრულ ხარისხს. როდესაც რესპუბლიკის ოცივე თეატრი ისე აიღებს თავის რეპერტუარს, რომ არც ერთი ახალი პიესა არ იდგება ორჯერ მაინც მაშინ გარდუვალად სუსტდება თეატრების სადამდგმლო ყურადღება და შემოქმედებითი შეჭირბის ფარგლები მნიშვნელოვნად ვიწროვდება.

ერთი და იგივე (მაგრამ არა სუსტი და უსახური, არამედ რთული და საინტერესო) პიესის დადგმა კი აუცილებლად იწვევს შემოქმედებითი შეჭირბის, იწვევს პიესის „სხვაგვარად“. — ე. ი. განსხვავებულად წაიკითხვის სურვილს. თავის თავად ცხადია, რომ ეს იძლევა დიდ ეკონომიურ ეფექტსაც. ამასთან, თუ თეატრებუყოფელმხრივ გააზრებულად, შემოქმედებითად მიუღღგებიათ ერთი და იგივე პიესის დადგმას, ერთფეროვნებისაგან აუცილებლად დაზღვეული ვიქნებით.

არ უნდა შეგვაშინოს იმ მდგომარეობამ, რომ ჩვენს რაიონულ თეატრებს ე. წ. ჩვერედინი გასტროლები უზღებიათ, როცა ერთი თეატრი მეორე რაიონული თეატრის სცენაზე დგამს თავის სპექტაკლებს. ჯერ ერთი, საქართველოში ბევრი გვაქვს ურთიერთ დამორბეული თეატრები და მეორეც, გაცელითი სპექტაკლების დაგეგმვისას საბერაო ძირითად თვით რეპერტუარისაგან ამოვიღოთ. რა თქმა უნდა თუ ჰიათურის თეატრი მორავ გასტროლებზე როგორც ამბობენ, იქვე უურისძირია, ქუთაისში ან ზესტაფონში გავაგზავნეთ (ერთნაირი რეპერტუარით) მაყურებელთა რიცხვმა შეიძლება მართლაც იკლოს, მაგრამ ვინ გვიშლის ასეთ პირობებში ჰიათურის თეატრი, თელავის, გორის, სოხუმის ან მხარაპის თეატრების შევანაცვლოთ? გაცელითი სპექტაკლების და ე. წ. ჩვერედინი გასტროლების გამართვის საჭიროება არამც და არამც არ უნდა ნიშნავდეს ერთი და იგივე (მაგრამ საინტერესო, კარგი) დრამატურგიული ნიმუშების დადგმაზე ზელის აღებას და უფრო მეტი მაყურებლის მოზიდვის საბაბით სხვადასხვა, ამასთან საეკვო ღირსების პიესებისადმი გამოდგენებას.

არანაკლებ საინტერესოა საკითხი თუ ვის ეკუთვნის ის 200 ახალი პიესა, რომელიც 1966-1971 წლების პერიოდში იქნა დასადგმელად მიღებული. წარმოიდგინეთ, რომ აქედან მხოლოდ 1/3 ეკუთვნის მწერლებსა და ამრობირებულ ავტორებს. დანარჩენი ორი მესამედი კი სხვა და სხვა კატეგორიის მოზველებს: აქ არიან დრამის ხელოსნებიც, ბედის მამიებელი ლიტერატორებიც, თეატრთან სამსახურებრივად დაკავშირებული პირებიც და გურჯევიც

1 ქვემოთ უვლგან ეს წლები ავტოლისხმება, 1966, 67, 68, 69, 70 და 1971 წლის პირველი კვარტალი.

პროფესიის მოხალისეებიც. ამ ქრელი კატეგორიის ავტორთა შორის არიან ისეთი აღმზიანებიც, რომელნიც ერთ სუბანსში სხვადასხვა რაიონულ სუბანს სამ და ზოგჯერ მეტი პიესის აღდგმასაც კი ახერხებენ.

დღეს, ქართულ დრამატურგიასა და თეატრს არა ყავს უფრო საშიში მტერი, ვიდრე უნიკო დრამისმკეთებლები, რომელთაც თეატრებისაკენ მიწისქვეშა მისასვლელები გათხარეს და თავებოვით ხრადვენ კულტურის სამინისტროს ისეც ღარიბ სალაროს.

ჩვენ არ გამოვდივართ არსებული წესის წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც თეატრებს ახალი პიესის მიღების უფლება აქვთ. ეს უფლება მათ კვლავაც უნდა ჰქონდეთ. პირიქით, ასეთი უფლება მოწონებელი პიესის შექმნისა (სარეპერტუარო კომისიის თანხმობით), რაც შეიძლება უფრო ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც სასარგებლო, რამდენადაც იგი ხელებს უხსნის თეატრს, ზრდის მის ინიციატივას, ამცირებს მანძილს, რომელიც პიესამ სუბანზე დასადგმელად უნდა გაიაროს.

მაგრამ ეს უფლება ამავე დროს დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებს თეატრს. განსაკუთრებით მის ლიტერატურულ ნაწილს და ამ ნაწილის გამგეებს, რომელნიც მაღალი კვალიფიკაციის ლიტერატურები უნდა იყვნენ, რათა ჯეროვნად გაართონ თავი რეპერტუარული პროდუქციის ერთი მთავარი წარმართველის მოვალეობას. სამწუხაროდ, ეს რეალი საქართველოს თეატრებში ყველაზე ჩამორჩენილი უბანია და ჩვენი თეატრების ლიტერატურულ ნაწილის გამგეებად, უმრავლეს შემთხვევაში, ლიტერატურულად არა კომპეტენტური, ან არასპეციალისტი პირები მუშაობენ. ზოგჯერ თეატრს სულაც არ ყავს ლიტერატურული ნაწილის გამგე, ზოგან კი ეს სამტარო ერთეული არადანისწულებიანებარ არის გამოყენებული.

არც ის თანხა მიგვაჩნია საჭიროვე დიდად, რასაც კულტურის სამინისტრო ყოველწლიურად იღებს ახალი დრამატურგიული ნაწარმოების შესაქმნად (75000 მანეთი), ბოლოს და ბოლოს, ეს ერთადერთი მატერიალური სახსარია ჩვენი ჯეროვანი დრამატურგისა. მაგრამ საჭიროა მეტი კონტროლი, მეტი კორინციანია, მეტი მომთბოვნელობა. ჩვენ უნდა მაღალი ჯეზირები აღვმართოთ ლიტერატურულ-დრამატურგიული საქმისნების წინააღმდეგ, ვადაუქმტოთ მათ გზა სუბანსა და სტამბისაკენ.

აქამდე ყურადღება შევაჩერეთ დრამატურგიული პროდუქციის, ასე ვთქვათ, **მოხმარების საკითხებზე**. ახლა გვიჩნდა ვადავიდეთ მთავარზე, მგვემთავთ ვინაი რომ ვთქვათ, დრამატურგიული პროდუქციის **წარმოების საკითხებზე**, დრამატურგის შემოქმედებით პრობლემებზე. რა უნდა მივიხილოთ თანამედროვე ქართული დრამატურგის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად 1966-1971 წლების პე-

რიოდში? ეს არის დრამატურგიაში ახალი კატეგორიის, ახალი შექმნის, ნამდვივქმნელების ნამდვილი საიმედო ცვლის დამკვედრებელი კვიდრებათ — იმიტომ ვამბობთ, რომ ქართველ დრამატურგთა ამ ახალი თაობის წარმომადგენლები პირველად ამ 5-10 წლის წინ გამოჩნდნენ სარბიულზე. მაგრამ მიუხედავად პირველი წარმატებისა, მასინ ჯერ კიდევ ძნელი იყო თქმა, შეჩინებოდნენ თუ არა ეს ახალბედა დრამატურგები მათთვის ჯერ კიდევ შეუჩვენლსა და აუთვისებელ თანარს.

ბოლო ხუთწლიანმა მონაკვეთმა ცხადყო, რომ ახალმა თაობამ არა თუ ფეხი მოიკიდა, არამედ ქართული საბჭოთა დრამატურგის წინააღმდეგ ძალდაღი იქცა დღეს. შეიძლება უყვიოთქვას, რომ ახალი, საშუალო და ძველი თაობის წარმომადგენელთა ერთობლივი, ნაყოფიერი შეშაობის წყალობით, ქართული საბჭოთა დრამატურგია ქართული პროზის მშავესად აღორძინების გზაზე შედგა, თუმცალა ქრონიკული ჩამორჩენა სავსებით ჯერ კიდევ ვერ აღმოფხვრა.

ქართულმა ლიტერატურულმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ დრამატურგები მრავალ შემთხვევაში დრამატურგობით როდი იწყებენ თავიანთ მხატვრულ-ლიტერატურულ საქმიანობას. ისინი ჯერ სხვა თანში ვაჯაყდებიან, შემოქმედებითად ყალიბდებიან და მხოლოდ შემდეგ ვადადიან დრამატულ თანარზე. სწორედ ამ გზით მოვიდნენ დრამატურგიაში პოეტები — ს. შანშიაშვილი, ი. ვაკელი, კ. კალაძე, ილ. მოსაშვილი. გ. რ. აბაშიძე, მ. ბარათაშვილი, დ. ვაჩევილი; პროზაიკები — შ. დღიანი, მ. მრგვლიშვილი, ლ. ვითუა. ასეთი მავალითის მოყვანა კიდევ მრავალი შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, ეს გარემოება კანონამდე არა მალდდება: სხვა გზებით არსებობს დრამატურგთა რიგების შეყესებისა, ამის მავალითად პოლივარპე კავებამის შემოქმედებაც გვეყოფა.

ეს თავისებურება მხოლოდ ანალოგიისათვის მოიყვანეთ, რამდენადაც ქართველ მწერალთა ის ახალი თაობა, რომელიც ამ უკანასკნელი 5-10 წლის მანძილზე დრამატურგიაში ფისვამდგარად და მტკიცედ დამკვიდრდა, ძირითადად პოეზიიდან და პროზიდან მოვიდა.

ამ ახალი თაობის წარმომადგენლებმა რამდენიმე დიდად საველისსში და დიდად საინტერესო პიესა შექმნეს, რომელთაგან ზოგიერთი ფრიალ საყურადღებო მხატვრული ნიმუშია. როცა ბოლო ხუთწლიდის დრამატურგიულ პროდუქციის ვებებით უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ამ თაობის წარმომადგენელთა პიესებმა საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა მოიბოგეს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნოღარ დემბაძის — „მზიანი დამე“ და „ნუ ვეშინია, ლედა“; ოტია იოსელიანის — „მოყადობელი მწვერვალი“ და „სანამ ურემი ვადაბრუნდებამ“;

არჩილ სულაჯაურის — „სალამურა“ და „როცა რეპუტაცია მთავრდება“; თამაზ ჭილაძის — „აქვარაჟში“ და „სურათები საოჯახო აღზომიდან“; აკაკი გეგაძის, „წმინდანები ქაოხებითში“, „ჰარამიანი ყანთელაძე“, „პაემანი ცაში“, მერაბ ელიოზიშვილის — „მეხერი მუხურხევა“ და „დათვები“; გიორგი ხუხაშვილის — „გზები“ და „მდიდრდენ ქაჩისკაცები“; რ. ეზერაძის — „წენ მისი უდიდებულესობა“ (ს. დოლიძესთან ერთად), სულაია ქვინციას — „მიწის შვილები“ და სხვ.

ის ვარაუდობდა, რომ ნ. დუმბაძემ დრამატურგიაშიც ისეთივე საყოველთაო აღიარება ჰპოვებდა, როგორც პროზაში, საცუბით კანონზომიერია ეს არის შედეგი მისი მხატვრული მალაქის შედეგებისა, პროფესიონალური ისტაბილურობისა, წერის იმ ე. წ. „დრამატურგიული მანერისა“, რომელიც დიდი ვნებებით, შინაგანი წყით, მოვლენა ექსპრესიული ხედვით არის გამოხატებული. ნამდვილი სრულყოფილობა გამოკვეთილი ხასიათებით — მართალი და კლორინტული, ბრწყინვალე დიალოგი — სხარტი და პანდემიკური, განუყოფელი იუმორი შერწყმული პოეტურობასთან, უშუალობასთან ფსიქოლოგიურ სიღრმესთან ნ. დუმბაძის მივსებს არა მარტო ქართული, არამედ მთელი პირველყოფიანი საბჭოთა დრამატურგის სასიხარულო მონაპოვრად ხდის. ამიტომ იმერბენ ეს პიესები სულ ახალ-ახალ თეატრებს საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ. ჯერ არც ერთი ქართული დრამატურგი არ გასულა ასე ფართოდ მოაქვს რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთ, როგორც ნ. დუმბაძე. მისი პიესების გავრცელება კიდევ უფრო გაიზარდება, რადგან ადამიანისადმი ჰუმანობითი სიყვარული, ფილოსოფიური სიღრმე, ფორმისეული სრულყოფილება მხატვრულ მოვლენაშიც ამაღლება მათ. ასეთი მალაქის ლიტერატურული და სცენიკური ღირსებებით გამოირჩევა ნ. დუმბაძის მიერ შექმნილი ორი პიესა „მზიანი ღამე“ და „ნუ გეშინია, დედა“, ორი ნამდვილად მაღალმხატვრული დრამატურგიული ნიმუში.

სულაია ის, ენაც ფიქრობდა, რომ დუმბაძის წინსვლა დამუხრუჭდა ეს ორი პიესა (ისევე როგორც შესაბამისი რომანები) შვედრის მხატვრული ისტაბილურობის შეუნელებელი წინსვლის მარჯვენაგანია. შეიძლება ცალკეული ეპიზოდური რეაქციები შევსაძლიერებთ იმევედნენ, მაგრამ ეს ყოველ შემთხვევაში ინდივიდუალობას ახასიათებს. განსაკუთრებით საუბრობს-მო ის არის, რომ ნ. დუმბაძის შემოქმედების მოთავსი მარტო რაც დრო გადის სულ უფრო მეტი ძალითა და ენერჯით მტკიცდება (ზოლო ეს მოთავსი მარტო ჩვენი აზრით არა იმდენად კომპლექსი სახეებისა და სიტუაციების შექმნის ნიჭით მდგომარეობს, რამდენადაც მშაფრად დრამატურგიული ხასიათებისა და ვარაუდებების მხატვრულად წარმოსახვის უნარში. ყოველდღე

ეს მომავალ ვამარჯვებთა მტოცე საწინააღმდეგო ხეივრიგად, ლაღად, საკეთარი მწერლობრი სხით შემოვიდა ქართულ პროზაში მტრე უმწველიანი. ასევე ძალდატანებლად და მტრე უმწველიანი დრამატურგიაში და თავისი ღონიერა ნიჭის წყალობით ადვილად შექმნა ხუთამდე პიესა. მართალია, ორი ბოლოდროინდელი პიესიდან ერთიც, „მოკვდივადელი მწვერვალი“, იგი დიდად ვერ დიქტანდის. მაგრამ მეორე — „სანამ ურემი გადაბრუნდება“ უდაოდ მისასაღებელი და საყურადღებო მიზანდასახულობის დრამატურგიული ნაწარმოებია.

ოტია იოსელიანის ფიქრი ქართული სოცლის აწმყისა და მომავალ დასტრიალებს და არც იუ ტყუილად. ქართული სოცლის ყოველთვის იუი ერთეულბობის ბალავარი, ქართველი ბალხის ნაციონალური თვითშეგნების მთავარი წიბია. სოცლის თემა ქართულ მწერლობაში, თითქმის ყოველთვის პირველობდა. დღეს ასე აღარ არის; სოცლი თანდათან ცარიელდება ამ პრობლემას დიდი საზოგადოებრივი და ერთეული მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამით არის გამოიხატებული ო. იოსელიანის პიესის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ რეზონანსი. მოვლენათა ორიგინალური მხატვრული აღქმით, მთლადი საკეთარი მიდგომით, დინჯი, შორსმკვრეტელობით აზრით მოვიდა ქართულ მწერლობაში პოეტი და პროზაიკოსი აჩილ სულაჯაური. ხასიათების შიგნიდან გასწინსა და მათი ფსიქოლოგიური მოტივების ჩინებული უნარი მწერლისათვის იმ ბერტეტიდ იქცა, როგორც დრამატურგიაშიც დააღვინა მრავალი სიმწილე. ზღაპრულ სამოსელში გახვეული ა. სულაჯაურის „სალამურა“ შეიძლება მეორე საზღვრულბობითაც მოგვენათლა „ადამიანი. მიემყველ ადამიანი“. თუ ამ პიესაში უკეთავთაღმმარების, ამბობს იდეა ავტორმა სიმბოლური საშუალებებით გვიქადავა, მეორე დრამატულ ნაწარმოებში, — „როცა რეპუტაცია მთავრდება“ (სამწუხაროდ იგი მარტო თელავში დაიდგის) მტრედ სუსტად დიდი სიმჭაჭრით დააყენა მორალური პრობლემა: პრობლემა ადამიანთა ურთიერთობისა, ანტიადამიანური საქციელისათვის მსჯავრის გამოტანის აუცილებლობისა, დანაშაულის ზღვევისა.

პოეტს, პროზაიკოსს, დრამატურგს აკაკი გეგაძეს და მასთან ერთად კიდევ ორივედ მწერალს უნდა ექმნაღვალდეთ, რომ სამამულე ომის თემა არ ჩამყვარა ჩვენს დრამატურგიაში. ეს თემა მარად უნდა ეღვრდეს ერთეულ მწერლობაში, რადგან გარდა უდიდესი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობისა ამ სისხლისმღვრელ ომს არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ბალხის მორალური და პოლიტიკური სახის შემოსაყვეთად, სოციალისტური სისტემისადმი მისი ერთეულბობის ცხადსაყოფად. ამიტომაც გაიღო მან ასეთი უზარმაზარი მსხვერპლი, დამა, ძალიან

ეჭიერად დაუქდა ქართულ ხალხს სამამულო ომში გამარჯვება.

მაგრამ იმათ უკუდავსაყოფად, ვინც დღევანდელი დღე დადგომიერად და ფაშისტური მოზიხისაგან გვიხსნა, მარტო ტუე-პარკების გაშენება და შინოუსვლელოთა ძეგლების აგება არა კმარა. პირველყოფლისა, სწორედ ლიტერატურამ, როგორც ხალხის სულიერი ცხოვრების ქუშმარტმა საჩუქმ, ერთს შუბლში და გონებამ უნდა უკუდავსოს ისინი.

აქ გეწამის პიესას „წმინდანება ქოჯობეთში“ გვაგონობინა ვმირ მიმულიშვილთა სიმამაცე და გულს თათოლუა, საბჭოთა ხალხის ქედუბრელობა, მისი მორალური ძლიერება. საინტერესოა ა. გეწამის მეორე პიესაც — „პაემანი ცაში“, რომელიც ზენე ქალების სულიერ სიმტკიცეს გვიხატავს საშაშელო ომის ცხარე დღეებში. ავტორმა ახლებური დისკოლოგიური და ფილოსოფიური ასპექტი მოიზარცვა: იგი ცდილობს გვიჩვენოს, რომ ქალები, ეს ერთი შეხედვით სუსტი არსებანი, მძიმე განსაცდელის გამს თავიანთ ქალურ არსებობაზე კი მძლღებდინ და ქალთა სქესისათვის ნიშნულ სისუსტეებს სორგუნდან. ეს რამდენადმე ახალი კუთხეა სამამულო ომის პერსონის გადმოცემისას.

ფილოსოფიური ჩაფიქრებულობით, ფორმისეული სიახლით, სტილური ხერხების ახლებური მომარჯვებით გამოირჩევა თამაშ კილამის ორიგინალური და ძალზე თავისებური პროზა, ასეთივე ღრმა აზრით არის აღბეჭდილი მისი დრამატურგიული ნიმუშებიც. მეკეთრსა და აფორიაქებულ „აქვარიუმს“ მოჰყვა გონებრივად და ემოციურად არანაკლებ დამძაბვი „მკვლელობა“, ანუ „სურათება საოქაბო აღბომიდან“. ავტორი არ მოერიადა თანამედროვეობის ჩრდილოვან მხარეთა მძაფრად გაიციხვას. ჯანსაღი კრიტიციზმი, რომელიც ესოდენ დამაშასიათებელია თ. კილამის სამწერლო პროფესიისათვის, ვერ ეგუება შემარაგებლობასა და ლიბერალიზმს. თამაშ კილაძე უარყოფითთან ბრძოლის გააქტიურებისაგან მოგვიწოდება და ეს მისი შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი მარტია. მართალია, ამ პიესაში ფერთა ჭარბი გამოქვეყნა იგრძნობა, მაგრამ ნაწარმოების მიზანდასახულობა, ავტორის პოზიცია სრულიად ნათელია, ხოლო იდეა კმედიით და მეტაქოლო. ამ დრამის უკომპრომისობა მალად იდებურ შინაარსობრივი ამოცანებით და მორალური მოთხოვნებით არის გაზარობუებული.

განუშვორებელი სერენდება, ხალხურობა, ერთეული კოლორიტი მოსდგამს მერამ ელიოზიშვილის პროზაულ თხზულებებს, რომლებიც როგორც წესი თითქმის ყველთვის არიან შედევრი ღრმა აზრისა და საგანთა ფილოსოფიური კვებრისა ცხოვრების სწრაფ წარმეულობაზე მოგვიხატობენ, ადამიანურ სითბოსა და მორალურ სიწმინდეს ქადაგებენ მისი ერთი

შეხედვით, თითქოს, პასიურ მჭერეტელობაში გადასული „ბებერი მეზურნეები“. მაგრამ რამდენი გულისამბატოცებელი აზრად და გულად მათში. უბრალო ადამიანებისადმი ვუღრმისმინებრებასა და სიყვარულს აღმარავენ ისინი. მ. ელიოზიშვილის ყოველ ნაწარმოებს ადამიანის ვამეკთელშობილუბელი თვისება მოსდგამს და სწორედ ესაა მისი ყველაზე დიდი ღირსება. შენელებული ტემპი, თითქოს რაღაც შინაგანი მოშვეულობა გულგრილობის შედევვი კი არ არის, არამედ ფსიქოლოგიური დრამის სპეციფიკურობიდან მომდინარეობს.

მრავალფეროვანებით, ოპტიმისტურა ხედვით, საზოგადოებრივი უღერადობით გამოირჩევიან გიორგი ხუბაშვილის პიესები. პოეტმა, კრიტიკოსმა, კინოსცენარისტმა დრამატურგიაშიც შევიდრად მოკაიდა ფეხი და თავის ორ ცნობილ პიესას „ზღვის შეილებსა“ და „მოაწმინდის შთერეს“ მიუშატა ქართული მეშათა კლასის ცხოვრების ამსახველი, და ამდენად, მეტად საგულისხმო დრამატურგიული ნაწარმოები — „გზები“. ანუ „ცხოვრება კაცისა“. მისსავე კლამს ეკუთვნის უკანასკნელ ხანს დაწერილი და სამამულო ომის თემისადმი მიძღვნილი პიესა „მიდიოდენ ქარისკაცები“. პროფესიული დახელოვების, ნათელი იდებური მიზნდასახულობის, მძვილი თემატური მიგნებების და შინაარსიანობის წყალობით გ. ხუბაშვილი თანამედროვე ქართული დრამატურგიის აქტიურად მოშქმედ და მეტად საჭირო ძალას წარმოადგენს.

ზემოაღსახელებულ მწერალთა შემოქმედებაზე შედარებით დიდხანს იმტომ შევიჩრდიო, რომ ქერ ერთი, უფროსი თაობების დრამატურგიაგან განსხვავებით (ვისი ხელწერაც და ღვაწლიც უფრო სრულადაა ჩვენს კრიტიკის მერ დახასიათებელი) უკანასკნელ მეტო კრიტიკული ნათელყოფა სჭირდებათ, და მეორეც, ამ მწერლების დრამატურგიული მოღვაწეობა როგორც უკვე ვთქვით, აღნიშნულ პერიოდის ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიგვჩანს, რამდენადაც მათ საგულისხმო სიახლე შემოიტანეს ჩვენს დრამატურგიაში და საგრძნობლად გააფართოვეს მისი კონეჯანი.

რა თქმა უნდა, ზემოთ თქმული ოდნავადაც არ ნიშნავს, თითქოს ამ მწერალთა დრამატურგიული თხზულებანი თავისუფალია ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისაგან. ანუ, მეგალითმე, ზოგიერთ მათგანში შეინიშნება ნატურალისტური ელემენტური და ყოფითი დეტალებით გატაცება (ასეა, კერძოდ თ. იოსელიანის პიესაში „სანამ ურემი გადაბრუნდება“); მხატვრული დეტალების პრაბიტივიზაციისა და ხასიათების გეგისმტერი სწორბზოვნობის კუთხით მოჩანს ა. გეწამის პიესაში „წმინდანება ქოჯობეთში“; საზოგადოებრივი უღერადობის ლოკალიზაცია და კამერული ტონები მოისმის მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები“ში, თემის დაწვრილმანება

და უსაგნო ფუნქციონირების ახასიათებს „მოქალაქე-ბულ მწვერვალს“; ემოციონალური ინდიფერენტობა და ზედმეტი გონებისმიერი ელემენტები იგრძნობა გ. ხუბაშვილის „გზებში“; პლაკატური პირდაპირობისა და ზედპირულობის იერი დაკარავს რ. ებრაღბის პიესის „ჩვენ, მისი უდიდებულესობა“; ფერთა ქარბი გამუქების კვალი და აქტიური დადებითი საწყისის სისტონალულობა იგრძნობა თ. ტილაძის „სურათები სიოქანო ალბომიდან“; — ვნის ზედმეტი გიგანტობისა და ხალხური სალაპარაკო ენით გატაცების ნიშნები აქ-იქ იგრძნობა ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედაში“; სტატიურობა და უმოქმედობა ახასიათებს მ. ელიოზიშვილის „დათვლებს“.

მაგრამ თანამედროვე ქართული დრამატურგიის იდეურ-მინიარსობრივი და მხატვრულ-ფორმისეულ დიაბაზონის ზრდა მართკო ახალი თაობის წარმომადგენელთა საქმიანობასთან როდია დაკავშირებული. ეს არის შედეგი ყველა თაობის მწერალთა ერთობლივი და მიზანდასახული შემოქმედებითი მუშაობისა.

ამასთან დაკავშირებით, მოკლედ გვინდა შევეხოთ შედარებით უფროსი თაობის წარმომადგენელთა დრამატურგიულ მოღვაწეობას. ამ თაობის მოღვაწენი უკვე ცნობილი და აღიარებული მწერლები იყვნენ, როცა დრამატულ ძარში მუშაობა დაიწყეს. ასეთია, მაგალითად ბელეტრისტი ოთარ ჩხეიძე, რომლის 50-იანი წლების თხზულებები ახალი ეტაპის დასაწყისად მოგველონენ თანამედროვე ქართული დრამატურგიის განვითარებაში. ო. ჩხეიძემ აღმოიჩინა იგრძნობა და პრინციპული სითამამით ასახა ის დიდნიშნული გარდატეხანი, რაც 50-იანი წლების შუა წლებიდან აღინიშნა ჩვენს ყოფაცხოვრებაში.

ლიტერატურული დახვეწილობა, ეროვნული ფორმის გამაზივლებელი გრძნობა, მძაფრი ხალხური კლორითიტი მოიპოვებინა მან დრამატურგიისა, რის წინაპეტი ნიშნებია ტრადიციული ხასიათის ისტორიული დრამა „თედორე“, მართლაც რომ დიდი პატრიოტული და მოქალაქეობრივი ელერგის ნაწარმოებია. აღნიშნულ პერიოდში ო. ჩხეიძემ დაწერა მეორე პიესაც. „ძველი რომანები“, სადაც ახალგაზრდობის უფლისა და მორალის მტკიცეულ საკითხებს ძალზე ფაქიზად და ღრმავარაოვნად შეეხო.

საქართველოს მეორე დედაქალაქის ქუთაისის თეატრალურ ცხოვრებაში ახალი სიო შეიტანა დავით კვიციანიძის ღრმა განცდილი და შინაგანი შფოვარებით დაწერილი ორმა პიესამ — „როცა სიოცხელ გეძახის“ და „ომგადახდილი“. დ. კვიციანიძე თავის დრამატულ ნაწარმოებებში კარგად ახერხებს ლირიული უნაღობისა და დრამატუზუბული სახეების უნაღობის შერწყმას. ცნობილი პოეტისა და პროზაიკოსის წარმატებითი მუშაობა დრამაში ფრიალ მისასაღმებელი და იმედისმოძვეცია.

სასიხარულოა ცნობილი ქართველი პოეტის ალექო შენგელის დრამატურგიული დახვეწილი. მისი პიესა „ციმბირის პაპა“ სახელგანთქმული ქართველი რევოლუციონერის ნ. კალანდარიშვილის ცხოვრებას ეძღვნება და პოეტურად წარმოსახავს სამოქალაქო ომის გმირულ რომანტიკას. მართალია, ამ პიესას სცენიური თვალსაზრისით გარკვეული ნაკლოვანებები მოსდევამს, მაგრამ სასიხარულოა, რომ პოეტმა და ნაცადმა პუბლიცისტმა, რომელსაც კარგად ემარჯვება პოეტური თქმა და შინაარსეული მომენტის სადა, სიღრმისეული გადმოცემა, დრამაშიც სცადა კალამი და პირველი შედეგი იმედის მოძვეცია მიიღო.

კიდევ უფრო განამტკიცა თავისი დრამატურგიული პოზიცია პოეტმა ოთარ შამფორიამ, რომელმაც თავის ცნობილ პიესას „მეტეხის ჩრდილში“ ახლა „იეთიმ გურჯია“ ამოუყენა მხარში. ამ პიესაში სახალხო პოეტი სახალხო მოძრაობასთან კავშირშია წარმოდგენილი, რის წყალობითაც ავტორი რევოლუციური წარსულის პოეტურ სურათს წარმოსახავს. ლიტანიის შერწყმა პუბლიცისტურ პათოსთან და განსილ კრიტიციზმთან ო. შამფორიას პიესათა ძირითადი თავისებურებაა.

ორიოდ სიტყვა გვინდა დავძინოთ იმ სახელოვან ქართველ დრამატურგთა შესახებ, რომელთაც ათეული წლობით ერთგულად სწოვს ქართული დრამატული მწერლობის მძიმე კაპანი. მართლაც სასიხარულოა, რომ აღნიშნულ პერიოდში ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას დებულობდნენ უხვეცი ქართველი დრამატურგები სანდრო შანიშვილი და პოლიეარხე კაკაბაძე, რომელნიც შალვა დადიანთან ერთად ქართული საბჭოთა დრამატურგიის ფუძემდებლები არიან. არანაკლებ სასიხარულოა ლიტერატურული საქმიანობა თანამედროვე ეროვნული დრამატურგიის სახელოვან ამავადროთა და მის პირველმწვენებელთა — სერგო კლდიაშვილის, დემნა შენგელაძის, იონა ვაყელის, ალიო მირცხულავას, კარლო კალაძის, ალექსანდრე ქუთათელის, გუგული ბუხნიკაშვილის.

მაართალია, მათი უმეტესობა აქტიურ დრამატურგიულ მოღვაწეობას კარგ ხანია ჩამოსცილდა, მაგრამ აღნიშნულ ზედიზედში გამოქვეყნდა მათი დრამატურგიული ნაწარმოებები და დრამატულ თხზულებათა კრებულები, ამის გარდა სცენაზე არაერთხელ იქნა წარმოდგენილი ზოგიერთი მათგანის პიესებიც და, ამდენად, მათი მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის თეატრალურ-დრამატურგიულ საქმიანობაშიც არ შეწყვეტილა. საბჭოთა საქართველოს 50 წლობის იუბილეს ზეიმის წელიწადს (1971 წელი კი სწორედ ასეთი საიუბილეო წელია), არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ მათი სახელები.

არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწო-

რედ სანდრო შანშიაშვილის, ქართული პოეზიის ამ ერთ-ერთი განმახლებლის და ქართული დრამატურგიის ფუძემდებლის პიესებმა შეუქმნა ზელი ეროვნული დრამატურგიის აღორძინებასა და რუსთაველის თეატრის იმ მონუმენტურ-რომანტიკული პროფილის გამოკეთებას, რომელმაც ამ თეატრს მსოფლიო სახელი მოუტანა. ამ თეატრში ს. შანშიაშვილი ათეული ორიგინალური და ათეულზე მეტი გადმოკეთებულ-გადმოთარგმნილი პიესა დაიდვა. შეიძლება ითქვას, რომ ს. შანშიაშვილი იყო ის ერთადერთი დრამატურგი, რომლის ორიგინალური თუ თარგმნილი და გადმოკეთებულ პიესებში არა ერთი ათეული წელი კვებავდნენ სარეპერტუაო მასალას რუსთაველის თეატრს. სასიხარულოა, რომ სულ ახლახან ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატულმა თეატრმა მისი სახელგანთქული „ანზორი“ წარმოადგინა.

პოლიკარბე კაკაბაძე, ქართული საბჭოთა დრამატურგიის ერთი ფუძემდებელი, მთელი პრავალურობანი საბჭოთა დრამატურგიის პიონერიც არის. 1918 წელს რევოლუციურ ბაქოში დაიღვა პ. კაკაბაძის პიესა „გზაჯვარედინზე“, რომელსაც ბაქოს გიმრი კომისრები — სტ. შაუშიანი, ალ. ჭავჭავაძე, მ. აზნავეცივი და ი. ფილიპოვი დაესწრნენ. მას აქვე პ. კაკაბაძემ ორ ათეულამდე დრამა, კომედია და ტრაგედია შექმნა, რითაც ქართულ დრამატურგიას მეტი სიღრმე, სიმწლე და გაქანება შესძინა. მისი „ყვარყვარე თუთაბერი“, რომელიც დიდი ერის ენაზე რომ დაწერილიყო მთელ მსოფლიოს დააყრბდა. ეს პიესა ვასაოცარი ფილოსოფიური სიღრმისა და განმარგადებელი ძალის ნაწარმოებია.

აღნიშნულ პერიოდში პ. კაკაბაძემ ორი მაღალმატრული პიესა შეგვქმნა (საბოლოო ვარიანტს): თანამედროვეობის ამსახველი „ცხოვრების ჯარა“, აწ გამსვენებული შესანიშნავი ქართველი მსახიობის აკ. კვანტალაიას მიერ მარჯანიშვილის თეატრში ნიჭიერად დადგმული (შთავარი როლიც მანვე განასახიერა) და ისტორიული დრამა „ბავარტ VII“. სამწუხაროდ, ეს ორივე ნაწარმოები არ არის ჯერჯერობად დაფასებული. ფაქიად ვასაყვირია, რომ თბილისის თეატრები აქამდე არ დაინტერესდნენ „ბავარტით“, რომელიც მხოლოდ ქუთაისში დაიდვა.

კარლო კალაძის სამმა პიესამ, კოტე მარჯანიშვილის მიერ სცენაზე დადგმულმა, ახალი თეატრით, სახეებით, რევოლუციური პათოსით გამდიდრა იგი. ბოლო წლებში ჩვენი მწერლობის ეს ევტერანი აღარ წყალობს დრამატურგიას, რომელიც თავისი შინაგანი კონფლიქტურობით, სახეთა სიმძაფრით და სიუჟეტურობით, ასე რაც ორგანულია მისი პოეტური შემოქმედებისათვის.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ იმათი სახე-

ლებიც, ვინც დღეს ჩვენი თეატრი არის, მაგრამ ვისა შემოქმედებამაც თავისი წარუშლელი კვალი დატოვა ეროვნულ დრამატურგობაში და ვისი პიესები დღესაც იდგმება ქართულ სცენაზე. ესენი არიან — გ. შატბერაშვილი, ვ. გაბესკირია, ს. თვარაძე, ვ. პატარაია, გრ. ბერძენიშვილი.

ვ. გაბესკირია და ს. კლდიაშვილი იყვნენ პირველი ქართველი დრამატურგები, რომელთაც პირადულ-ინტიმურ თემას მოქალაქეობრივი უფლება მოუპოვეს ომისშემდგომი პერიოდის ქართულ დრამატურგიაში და ლირიკული პიესის შემოტანით გაამდიდრეს ქართული დრამატურგიის იდეურ-შინაარსობრივი და თემატიკური პოზიციონირება (სეთი, პიესება „აღბრუნება“ — ს. კლდიაშვილისა, „უფსკრულთან“ — ვ. გაბესკირიასი). გ. შატბერაშვილი პირველი ქართველი დრამატურგია, ვინც სათავე დაუდო ომგადაბლით მშვიდობიანი შრომითი ცხოვრების მხატვრულ-დრამატურგიულ ჩვენებას. არა ერთი სარეპერტუარო პიესა შესძინეს ქართულ თეატრს ვასო პატარაიამ, სიმონ თვარაძემ, გრიგოლ ბერძენიშვილმა. მათი დრამები — „სანაპიროზე“, „თეატრათ“, „დაქრალი არწივი“ განუყოფელია ქართული თეატრის ისტორიისგანაც და ორიგინალური ეროვნული დრამატურგიის ისტორიისაგანაც.

უფროსი თაობის ქართველ დრამატურგთა ნაწარმოებების საფუძველზე ქართულმა თეატრმა არა ერთი საეტაპო სექტაკალი შექმნა, რომელთაც ეროვნული სცენური კლასიკის ოქროს ფონდი შეადგინეს. ძალზე სამწუხაროა, რომ რიგი პიესები დრამატურგებისა, ვის სახელთანაც დაკავშირებულია ქართული თეატრის წინსვლა, სახელი და დიდება პიესებისა, რომელთაც მსოფლიო აღიარება მოუტანეს ჩვენი თეატრის, დღეს, სრულიად მივიწყებულია. შეიძლება ითქვას, რომ არაერთ ისე დაუნდობლად, უმადურად არ ეტყება თავის სცენურ კლასიკას, როგორც ჩვენ.

ახა, გადავხედოთ მოსკოვის მცირე ან სამხატვრო თეატრების პრაქტიკას; არ ყოფილა შემთხვევა, რომ მათ ერთი სუბონი მაინც ჩაეტარებინათ თავიანთი სცენური კლასიკის იმ ნიმუშთა დაუდგმელად, რომელნიც ჯერ კიდევ გასულ საუკუნის 80-იან და 90-იან წლებიდან მომდინარეობენ. რა გავირდა ისეთი, რომ არა თუ ყოველ სეზონში, ხუთ-ათ წელიწადში ერთხელ მაინც არ გაევიწყლოთ, არ გავიხსენოთ „ლამარა“ და „ანზორი“ ან „ყაიღები“ და „ოტლო“ — რუსთაველის თეატრში; „მზის დაბნელება“ და „ყვარყვარე თუთაბერი“ ან „ურთულ აკოსტა“ და „კაკალ გულში“ — მარჯანიშვილის თეატრში.

სცენური კლასიკისადმი უუფრადღებობის ერთერთი მიზეზი ის არის, რომ საქართველოს თეატრები ცუდად იბრძვიან სექტაკლთა ნაადრევი სიბერის წინააღმდეგ. ხშირად, ჩინებულ

სპექტაკლს, რომელიც თავისუფლად გასაღებ-
და სცენაზე შემოქმედებით კონსტრუქციასა და
აღმონსტრაციის მისაღმე გარკვეულ ყურად-
ღების პირობებში) რამდენიმე ათეულ წელს,
ნაიდრეად „ბერდება“ და რაღაც 5-7 წლის
შემდეგ დაიწყებას ეძლევა პირობა სპექტაკ-
ლთა ნაიდრეად „დაბერებისა“ და „ამოწყრის“
წინააღმდეგ (ახალ შემსრულებელთა შეყვანით,
დემორაციო-რეკლამის იდეგენა-განახლე-
ბით, ახალი ელემენტების შემატებით. მეტი
მხატვრული და სამშენებლო სრულყოფით
და სხვა) არა მარტო კლასიკის შენარჩუნების,
არამედ შრავალფეროვანი რეპერტუარის შექ-
მნის ერთი მძლავრი და უაღრესად ქმედითი სა-
შუალებაა.

ახლა კი ოროდეს სიტყვა იმათზე. ვინც, ქარ-
თველ დრამატურგთა რაზმებში დიდი ხნის
წინ ჩამოყალიბდა, უმცროს თანამოკალმებთან
ერთად აქტიურად იბრძვის ქართული დრამა-
ტურგიის წინსვლა-აღმავლობისათვის.

1966-1971 წლების პერიოდში გამოქვეყნდა
და დაიდგა არა ერთი ღირსშესანიშნავი პიესა
ჩვენი ცნობილი დრამატურგებისა — მ. ბარა-
თაშვილის, მ. შრავალშვილის, ვ. ბუაჩიძის, ვ.
კანდელაკის, ვ. ნახუციანიშვილის, ო. ჩიქავაძის,
გ. ქვლავიანის, ა. ილაძის, ა. აფთხიაშვილის,
რ. თაბუკაშვილის, რ. ებრაძის, ლ. სანიკიძის,
დ. თაყაიშვილის, ირ. ჭავჭავაძის, ა. შერვაში-
ძის, ლ. ქუბანაძისა.

ისინი არ ერთი ათეული წელია მოღვაწეო-
ბენ ერთნაირი დრამატურგიის საზოგადოებრივ და
ქართულ საზოგადოებრივობა კარგად იცნობს
მათ შემოქმედებით სახესაც, მხატვრულ უნარ-
საც, დამახტვრებასაც, ძირითად ნამუშევრებ-
საც. ამიტომ ჩვენ არ გამოვუდგებით თვითნაირი
შემოღმავლებელის ატესტაციას და ზოგიერ-
თი მათგანის ორიოდ, ამასთან საყურადღებო
ნაწარმოების დახასიათებით დავაკმაყოფილე-
ბით.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ პერიოდ-
ში ამ გამოცდილ დრამატურგთა წელიწადი ქარ-
თული ლიტერატურის სავრთო საღაროში, გა-
ნაყოფრებით კი დედაქალაქის თეატრების აქ-
ტივში, იმაზე ვაცილებით მცირეა, ვიდრე ეს
მოსალოდნელი და საქმრო იყო. შეიძლება ეს
იმის შედეგია, რომ ზოგიერთი ჩვენი რეჟისო-
რი და სათეატრო ზელმძღვანელი „ახალგაზრ-
დომანიაში“ და „ორაგინილომანიაში“ შეიპყრო
ამის შედეგად, ჩვენი რეჟისორები (განსაკუთ-
რებით ახალგაზრდები) დამწყებ დრამატურგებ-
ზე ნადრობენ, გასაშუკრებულ მოთხოვნებზე

ეტანებიან და მოდერნიზმის წელსკებით დაე-
ღებულნი უფროსი თაობის დრამატურგებთან
მუშაობას ეცხვლეოთ გავრბიან. რა თქმა უნ-
და, დამწყები დრამატურგები, შემუშავებულ
უფრო დამყოლი, თენიანი და მორჩილი, მა-
გრამ სწორად ავტორთა სწორედ ეს ზედმეტი
მორჩილება და დამთმობიანობა აყენებს უხერ-
ხელ მდგომარეობაში თეატრსაც და რეჟისო-
რსაც.

მიუხედავად თბილისის თეატრების გაუმართ-
ლებელი ინდიფერენტობისა უფროსი თაობის
შეწვრლებიანდში, დასახელებულ დრამატურგთა-
გან არაერთმა შექმნა საინტერესო და საყურა-
დლებო ნაწარმოები. ასეთია, მაგალითად, მ.
ბარათაშვილის ქართულ სცენაზე ქერაც დაუ-
დგმელი „სართლები“ (რამდენადაც საკვირ-
ველი არ არის ამ პიესის დადგმა ქართულ
თეატრის სომხურმა დასწორი). მისივე „ქართი
მატარებელი“ და ვ. კანდელაკის — „დრო —
24 საათი“.

ვალერიან კანდელაკი კარგა ხანია რაც თა-
ნამედროვე ქართულ დრამატურგთა მოწინავე
რიგებში ჩადგა. ნიჟისა და გამოცდილების შე-
ხამებამ მისი არაერთი პიესის პოპულარობა
განაპირობა. „მთა წყნეთელი“ პირდაპირ სახალ-
ხო დრამად იქცა, ხოლო „სართლის ჩირაღ-
ნებმა“ და „ოქროს საწმისმა“ შრავალი თეა-
ტრის სცენა მოიარა. ვ. კანდელაკის არაერთი
პიესა დღესაც წარმატებით იდგმება საქართვე-
ლოს თეატრებში. ასეთია — „ერთხელ დახო-
ცილები“, „ნაკრძალში“, „დადამთავრებელი
თამაში“, „პროკურორის სასიძო“. მაგრამ ვ.
კანდელაკის მიერ ბოლო წლებში შექმნილი-
დან განსაკუთრებით აღსანიშნავია დრამა „დრო
— 24 საათი“.

დრამატურგმა მიზნად დაისახა გვიჩვენოს,
რომ ქართული ხალხის ღირსეული შედეგები
თვით მენშევიური დიქტატურის ავადმოსავო-
ნარ წლებშიც კი ახერხებდნენ ხალხისა და
ქვეყნის სასარგებლო საქმიანობას. რომ ქარ-
თულ ხალხს არასოდეს, არც ერთ გარემოებაში
არ დაუკარგავს ჭანსილი პატრიოტიზმის მალა-
ლი გრძნობა.

სწორედ ამ ასპექტით შეხედა წარსულს ვ.
კანდელაკმა და ფრთხილ საყურადღებო ნაწარ-
მოებიც შექმნა. ეფექტობთ, ზოგიერთი ადგი-
ლად დასაძლავი ნაკლოვანების აღმოფხვრის
შემდეგ ეს პიესა ღირსეულ ადგილს დაიჭერს
ქართული თეატრის რეპერტუარში.

თბილისური თეატრების დაუშვებელი ინდი-
ფერენტობაში უფროსი თაობის ცნობილი დრამა-

მატურგებისადმი მარიკა ბარათაშვილის შევლითხედვად მტვიცდება. დრამატურგმა, რომელსაც მთელს საბჭოთა კავშირში იცნობენ როგორც ხალხიანი კომედიისა და ღირსიყოლი დრამის ნიჭიერ ოსტატს, მწერალმა, ვისი მშვენიერი ნაწარმოებები „კრიტიკა“ და „ჩემი ყვავილეთი“ ქართული საბჭოთა დრამატურგიის სუვერენო ქმნილებათა რიგებში შედის, მთელი რიგი წლების მანძილზე თბილისშია არა თუ თავისი ახალი პიესების თბილისში დადგმის, არამედ იმას, რომ თეატრის ხელმძღვანელობამ ეს პიესები წაიკითხოს.

მ. ბარათაშვილის პიესები, განსაკუთრებით მისი „სართულები“, არ არის უგულოდელსაყოფი. ჩვენმა გამოჩენილმა დრამატურგმა-ქალმა ამ პიესაში შექმნა დრამატურგის სიმბოლო: ინგრედა ძველი თბილისის ფარალაღა ხუხულები. შიშობიანი სარდაფების მკვიდრნი მზით განახლებულ შალალ სართულებში გადადიან. მაგრამ ზოგიერთ მათგანს თან მიჰყვება ეს საშინელი ძველი სენი, სენი შიშობისა, ობსესი, სინესტისა. სენი, რომელიც ამ ოჯახებს ახალ სამოსახლოზე მოწყობილ მდიდრულ ბინაშებშიც მიჰყვება, ბნელი წარსულის მეტყველი ატრიაბურია, რადგან თვით მკვიდრთა არსებია ერთმანეთსავე მოიხიბობს, მუშინაობს, ანტიკონვენულობის შიშობიანი სენით გაფლენილი.

როცა თეატრებს დრამატურგიისადმი უუურადღებობას უსაყვედურებ, მაშინვე მოგაძახებენ, აბა დავისახელე თუნდაც ერთი პიესა, რომელიც ღირსი იყო და არ დავდგითო! ჩვენი შევეჭლო დავგვსახელებინა არა ერთი დაორი. მაკალითად მოვიყვანოთ ონა ვაკეისი პიესას „ზღაშვილების ოჯახს“, ჯანსაღი კრიტიკიზმით ილსავსე ნაწარმოებს; ლეიან ვითუას საოცრად კოლორიტულ „თუთის პატარაქალს“ — ქართული გლეხკაცობის ცხოვრების ამსახველს და მისსავე „დაბირულ სოფელს“; სიკო ადამას პიეტურ დრამას „მსახიობის სიკვილის“, გამოჩენილი ქართველი მსახიობის არადელიზნელის ცხოვრების მასალაზე; მარიკა ბარათაშვილის „ქარ მატარებელს“, მ. კაკაბაძის „ბაგრატი VII“, რომელიც მხოლოდ ქუთაისში დადგა და კიდევ ბევრ სხვას.

რა თქმა უნდა, თვითველი მათგანი არ არის კლასიკურად სრულყოფილი პიესა; კიდევ ბევრს მუშაობაა საქირო, რათა ისინი დრამატურგულად დაიხვეწონ და უფრო სცენიურნი გახდნენ, მაგრამ ეს მუშაობა უკვე ერთობლივ ხასიათს უნდა ატარებდეს (დრამატურგისა და თეატრის), რამდენადაც აღნიშნული პიესები იმ სახით როგორცაა ისინი არსებობენ, სწორედ ასეთ ერთობლივ მუშაობას მოითხოვენ. მაგრამ როგორ დაიწყებოდა ასეთი მუშაობა, თუ თეატრები ვერ გაერკვნენ შეტად მომგებთან ლიტერატურულ მასალაში, თუცა გარკვეული სცენურ-დრამატურგული ნაკლოვანე-

ბების მქონე, მაგრამ დიდად პერსპექტიულ მასალაში.

საწყენია, როცა ამ შინაარსიანი, ორიგინალური და ეროვნული კოლორიტით აღბეჭდილი პიესების ნაყელად სცენაზე ვხედავთ ისეთ არაფრისმთქმელ დრამატურ ნაწარმოებს როგორცაა აღტრედ მიუსეს „სიუჟარული სახე-მართო არ არის“, ისეთ წმინდა ვასარობო ტანრულ სცენათა კრებულს, როგორცაა — „ღვოლა“, ანდა კინოსცენარს „მიწის შეღებვა“. შექანიერად გადმოტანილს თეატრის სცენაზე. განა ყველასათვის ნათელი არ უნდა იყოს, რომ ყოველგვარი კინოსცენარის, როგორც ზელოვების სრულიად სხვა დარგის პროდუქტი, რა ღირებულისაც არ უნდა იყოს იგი, მიუღებელია თეატრისათვის? რომ კინომატორგის ენაზე შექმნილი ნაწარმოები ყოველთვის გამოშრალ-გამოფიტული და შექანიერ-სქემატურია თეატრის, სცენის თელსახრისით.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი, რადგან ასეთი შემთხვევები არც თუ იცე ხშირია, ქართული დრამატურგიის განვითარების ყველაზე დიდი ხელშეშლელი ის მღერეი ნაკადია, რომელსაც დრამისმეფეთებელთა პიესები ჰქმნიან. ვაუგება-რია, რამ აიძულა ჩვენი თეატრები დადგან ისეთი აშკარად სუსტი და არაპროფესიონალური პიესები, როგორცაა ე. ვოხალიშვილის — „ჩემი მეგობარი ეტრნალისტი“, ა. ეტრელის — „პროკურორის ქალიშვილი“, მ. შოდებაძის — „მეგობრის ნაშობობა“, ა. ვასილიანის — „მამა, დავადე თოფი“, მ. შახარობლიძის — „ღანგრეული ბული“, თ. ფერაძის — „მთის ლეგენდა“, ნ. ნიშნიანის — „ვისთან არის მკაო“, მ. ჩხავას — „მზე კვლავ აცხუნებს“, ს. ახალაძის — „დიდი ვანში“, ე. ქირიას — „იქვიანი ცოლი“, მ. ზეთასის „სიმღერა გრძელდება“, ნ. დადიანის „წარსულის შემდეგ“, ა. ჩიტაშვილის — „ღანიცხებული ჩაღმა“, მ. ზუნდაძის — „მერვე ჯარისკაცი“ და კიდევ სხვა პიესები, სულ ცოტა — ორი ამდენი.

არც ის არის მისასალმებელი, რომ ილ. ჩხაბაძის საშუალო ღირსების დრამატურგიული ნაწარმოები, ლამის უცხოური ყაიდის ბესტსელერად გადაგვექცეს. გარდა რუსთაველის თეატრისა იგი იდგმება გარბიბოფისის სახელობის თეატრში, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, თელავის თეატრებში და მგონი კიდევ სადაც. არა ნაკლებ გასაკვირია, რომ ამავე ავტორის კიდევ უფრო სუსტი პიესები — „მომავალ შეხვედრამდე“, „იზუზენი ფეტკარი“, „სიბრძნე სიკვდილისა“ (სათაურს დაუცვირდით — „სიბრძნე სიკვდილისა“?) და „ზღაპარ იყო“ — ერთდროულად რამდენიმე თეატრში იდგმება. მათ შორის მარჯანიშვილის თეატრშიც, სადაც სპექტაკლი „მომავალ შეხვედრამდე“, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩაეარდა.

ჩვენ არ ვიცით არც ერთი შემთხვევა, რომ საქართველოში რომელიმე დრამატურგის (მათ შორის — შექსპირის და შილერის) ხუთი პიესა ერთდროულად დადგმულიყო და ისიც ათეული თეატრის სცენაზე. სად არის აქ კულტურის საბინძურის სათანადო უწყებების წარმართველი და მარგველარებელი ხელი?

ანდა ავიღოთ ვოდონი ბერიაშვილის პიესები, ყველა, როგორც წესი, სუსტი, არამხატვრული, არაპროფესიონალური, არც ერთ სახელოვან ქართულ დრამატურგს არ ღირსებია გ. ბერიაშვილისთანა პათვი: მოკლე შეაღწეში მისი ოთხი პიესა დაიდგა და თვითელი — რამოდენიმე თეატრში. (აღმნიანი თქვენს გვერდით, „მეზაიეშული კაკალი“, „სადახარ ჩემი მებაღეო“, „ბიჭო ვოგია“). ბერიაშვილის ზოგიერთ გმირს მიმერტროფიზებული სექსუალური ჭკნუნებადობა ახასიათებს. შესაძლოა ეს ერთობაინა რომელიმე ნაბახუვე მყურებელს გულს მოუფხანს, მაგრამ თეატრების მესვეურთა პირდაპირ ვადგებულაა ჩვენი მყურებელი სხვა თუ არაფერი ფხანის, ღიბინისა და ჩემეტისაგან მიიღვ დაიცვან.

ჩვენ დათურ სამსახურს ვეწვეთ მყურებელს, როცა აშკარად სუსტი, ეკლექტიურ, ვასართობ პიესებს სცენისაყენ გზას ვუკავავთ. არც ის არის კარგი, როცა გულმოსაყრებელი მულოდრული (მავალითად შ. როყვის „დღეა“) ერთდროულად რამდენიმე თეატრის სცენაზე იდგება და მყურებელს მხატვრულ ორიენტაციას უკარგავს.

შენიშნულია ათამდე ვადრამატურგი, რომელიც ერთი წლის მანძილზე რამდენიმე პიესის დაწერასა და სცენაზე დადგმას ასრუებს. მათთან შედარებით უწყინარად მიგვიჩნია, მავალითად, შ. პაპიაშვილი და გ. კალანდია, რომლებმაც ერთ სეზონში ორ-ორი თავისი პიესა დადგეს.

ცალკეულ დრამატურგების თუ ნაწარმოებების ამ ნაწვერ-ნაწვერით და სქემატურად დახასიათებდნ, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ მისახვედრი უნდა იყოს, რომ თემატურად ჩვენი დრამატურგთა საშობოდ მრავალფეროვანია, თუმცადა პიესათა უმრავლესობა ქალაქური ცხოვრებით არის შემოფარგლული და ძირითადი ინტელიგენციის ყოფის ასახავს.

ამ შემთხვევაშიც კი, თუ პიესა საკოლმურნი სოფელს ეძღვნება წინა პლანზე, უმრავლეს შემთხვევაში, სოფლის ინტელიგენციაა წამოწვეული, ხოლო თვით უშუალო მხენელ-მთესელი, მევენახე თუ მესაქონლე ამ მათ დანამატად არის ქვეყლი, ანდა მხოლოდ კოლორიტისათვისაა პიესაში შემოყვანილი. ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა გვაქვს პიესები, რომლებიც ჩვენი სოფლის აქტუალურ პრობლემებს ეხმარებოდნენ და ვაჩვენებდნენ სოფლის მშობრულებს არა მარტოდ პირადულ-ინტიმურ ურთიერთობაში, ჭარჩილსა და ღრეობაში, არამედ მათი

აღმანიური არსობის მთავარ გამოვლინებაში — შრომაში.

იგივე შეიძლება ითქვას ქართველი მწიგნობარ კლასის ასახვებზედაც. ქართველ დრამატურგთა მიერ შემნილი პიესების უმრავლესობაში მუშები დიდზე დიდ შემთხვევაში ინჟინერ-ტექნიკოსთა უბრალო დანამატად გვევლინებიან. მათი სახეები მკრიალია და ნაკლებ დამუხტულია ენებით, აზრით, განცდით. დადებითობის შემთხვევაშიც ასეთი სახეები ნაკლებ ემოციურია და ვერ აღუღვებენ, ვერ იტაცებენ, მავურებულს.

იყო დრო, როცა ეპოქის ახალი იდეალების საყვირად, ინტელექტუალური პრობლემების წამოსაყენებლად და გადასაქრლად შეშაბელოსანი და გლეხაკი ვერ გამოვლენობა თავისი ბუნების შედარებით სიენწროვისა გამო. ახლა მოწინავე მუშებსა, ერთი მხრივ, და ინჟინერ-ტექნიკოსთა შორის, მეორე მხრივ, ისევე, როგორც სოფლის მოწინავე მშრომლებსა და სოფლისმეურნეობის სპეციალისტთა შორის, ზღვიანი საოცრად შემიცარდა, ზოგიერთ მთლიან წაიშალა და გაქრა.

ინტელიგენციის თემის დამუშავების დროსაც არანაკლები შეზღუდულობა იგრძნობა. ბოლო ხანებში ინტელიგენციის ცხოვრების ჩვენებისას საწორი ახალგაზრდა ინტელიგენტებისაყენ ვადამარა (რაოდენობრივად). დრამატურგები ახლა უპირატესად სწორედ მათ უთმობენ მეტ ყურადღებას და ე. წ. დადებითი გმირებიც და უარყოფითი პერსონაჟებიც მათი წრიდან გამოჰყავთ. აღმათ ამტომ არის, რომ რაღად მეტისმეტად მომრავლდნენ ჩვენს სცენაზე ქრეყული ვოგონები, კონიაკის რემ წრუპავენ საჩვენებელი თვითმყოფილებით, ბრახიანი ბიჭები, ყველას რომ ქედმაღლურად დასცქერაინ; ყვეუჩი პროფესორები, შეილები რომ გაუჯიბვირდით და საშიში საქმისნები, შეილები რომ კარგი დეპარდათ. თითქმის ყველა პიესისათა სადღერაქლო (აეცილებლად ქეუს მასწავლებლური, პატრიოტული და პარტიული), ცეკვა და სიმღერა. ავიწყდებათ, რომ კარგი სიმღერა იგივე ლოცვაა — ყოფილთვის ვერ იტყვი და არც იტყვი.

თანამედროვეობაზე აგებულ პიესათა უმრავლესობა მორალურ-ეთიკურ პრობლემებს ეძღვნება. ამასთან, ეს პრობლემები ხშირად თვითმინურ ხასიათს ატარებენ. მაგრამ მთავარი ცოდვა მიიღვ ის არის, რომ ჩვენს პიესებში ბერიაშვილის წერილთემიანობა, კამერულობა, პირადულ-ინტიმური ქარბი გატაცება. ჩვენ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტა გვაქვს მაღალი საზოგადოებრივი ძღერადობის, დიდი მხატვრული გავანების, ფართო მასშტაბის მათერკონფლიქტიანი დრამები.

ორიოდ სიტყვით გვინდა შევეხოთ ზოგიერთ სხვა ნაკლოვანებასაც.

ბოლო ხანებში ქართველ დრამატურგთა ნა-

წარმოებებში შეინიშნება სალიტერატურო ენის ხალხური-სალაპარაკო ენით შეცვლის მანერ ტენდენცია. სულ უფრო და უფრო გაზარდა შემთხვევები ენის გაუბრალოებისა, კილოვანობა და ჭარბობით მისი დანაგვიანებისა. ხშირად ყოველივე ამას ენის „გასადაცვლის“, მისი ვითომდა მეტი „გაბალასტიკურების“ მიზნით ახდენენ. არსებითად, კი ყოველივე ამის შედეგად ენის ტიხვას, მის წაბიწვას და დანაგვიანებას ვიღებთ.

დღეს მრავალი დრამატურგი, ნებისთი თუ უნებლედ, უგულებელყოფს ერთიანი სალიტერატურო ენის როლს, მის მნიშვნელობას. უნდა ითქვას, რომ ასეთი ცდუნება დრამატურგებისათვის გაცილებით უფრო დიდი და საშიშია, ვიდრე ვთქვათ პოეტისათვის ან ბელეტრისტიკოსის; დალოკური ფორმა, ენობრივი დახასიათების მეტი შესაძლებლობანი ხშირად იმ ძალად გველეწება, რომელიც დრამატურგს ენობრივი ნატურალიზმისა, ხელოვნურობისა, ქარბი დიალექტიზმისა და ეარგონისაყვ ეუბიძგებს.

ჩვენმა თეატრებმა კი ლამის ტომობრივ დიალექტიზმზე გადავიყვანონ. კუთხურობა ენაში ისევე სააუგო და საზიანოა, როგორც კუთხურობა ქვეყანასა და აზროვნებაში. სამწუხაროდ, კუთხურობა ჯერ კიდევ გაგრეცლებული სენია საქართველოში და კილოვანების მეტისმეტი მოძალეხაც ამის მაჩვენებელია.

თვითმყოფი და უმდიდრესი ქართული ეროვნული კულტურის მრავალრიცხოვან დაჩუბთან მხოლოდ ლიტერატურა და თეატრი ეყრდნობა ერთენულ ენას. ამიტომ იყო ქართული მწერლობა და ქართული თეატრი ნაციონალური და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის უზრკელი დროშა, ჩვენი დამოუკიდებლობის, ჩვენი ეროვნულობის ორი დედა ბურჯი. ამიტომ გამოიყენა ისინი რევოლუციონრმა აზრმა, ამიტომ გაიხადა ეს ორი ბურჯი მსუენის გარეკოლუციონერების მძლერ ფაქტორად, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ნაცად იარაღად, სოციალისტური გარდაქმნების ერთ ყველაზე უფრო ეფექტურ და ქმედობი საშუალება.

მოდით, ნუ გამოვუთხროთ ძირს ამ ბურჯებს. დიდი ხანია დადგა დრო, რათა ერთიანი საქართველო ენითაც ერთიანი იყოს. სცენიდან კი რა არ გვისმის, — დიალექტიზმის უტარიება, სიტყვიერი კომიზმის შესაქმნელად ენის დაუშვებელი ტიხვა და ლგარქნა, ქართლკახური, იმერული, გურული, რაქული, კინტოური დიალექტიზმის დომხალი. ჩვენი მსახიობების

მეტყველება, მკირე გამოხატვისის გარდა, რომ პირდაპირ აუტანელი ვახდა ვაგლობ. რომ ამის წინააღმდეგ თეატრში საჭირო ძიარისა და ტენდენციით არავინ აიბა იბრძვის.

ქართული თეატრის ამჟამინდელი, რეტი რომ არა ვთქვათ, მძიმე მდგომარეობის შესახებ კიდევ უფრო მეტის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ მართო საყვედურებით ჯერ არავითარი სავმე არ გაყვიებულა. მიუხედავად ამისა კიდევ ერთი საყვედური უნდა ითქვას: ჩვენი თეატრები ჯეროვანი ყურადღებით არ გვიდებინ ქართველ დრამატურგთა პესების დადგმას. ვინ იცის რამდენჯერ ვიყავით მოწმენი, რომ თეატრი არა მართო გაცილებით მეტი ყურადღებით, მონდომებით და შემოქმედებით გზნებით მოკლებული უტოურ ამ კლასიკურ პეისის დადგმას, არამედ მატერიალური სახსრებიც ბევრჯერ მეტი გაუღია ვიდრე თავისი თანამეშაველის ნაწარმოების დადგმასზე. ეს უყანასენელი გარემოება კანონად იქცა.

უნდა გვახსოვდეს, რომ თანამედროვე პეისის დადგმას არა თუ ნაკლები, პირიქით, მეტი ყურადღება სჭირდება. არ უნდა შევუშინდეთ თანამედროვეობის ხელშესაწყობად ენერჯისა და სახსრების ხარჯვას. საბოლოო ანგარიშში, ყოველივე ეს აუცილებლად ანაზღაურდება, რამდენადაც მხოლოდ ასეთი გაზრდილი, შემოქმედებით პრინციპად ქვეული ყურადღებით შევძლებთ თანამედროვეობის ღირსეულად მსახველი დრამატურგისა და თანამედროვე პეისებზე დაფუძნებული რეპერტუარის მქონე თეატრის — ე. ი. ნამდვილად თანამედროვე თეატრის შექმნას. ეს კი ჩვენი მხატვრული პოლიტიკის უპირითადესი ამოცანაა.

უნდა წავახალისოთ რეჟისორები, რომელთაც თავიანთი შემოქმედებითი მუშაობის ქვეყთხედალ, პირველ რიგში, თანამედროვე ეროვნული დრამატურგის, ხოლო შემდეგ მრავალეროვანი საბჭოთა დრამატურგის საუკეთესო ნაწარმოებთა სცენასზე დადგმა მიანჩიათ, ხოლო უტოურ კლასიკასა და მოდერ უტოურ რეპერტუარს მხოლოდ მას შემდეგ კიდებენ ხელს, როცა ღირსეულად მოიხლიან ვალს თავიანთი ეროვნული დრამატურგის წინაშე, საბედნიეროდ, ჩვენ არა ერთი რეჟისორი გვყავს, რომელიც მართლაცაა ჯეროვან ყურადღებას აქცევდა თანამედროვე ქართულ დრამატურგის, მავალითად, გ. ლორთქიფანიძე, მ. თუმანიშვილი, ლ. იოსელიანი, ხოლო კობა უფრო ადრეულ პერიოდში აკ. დვალაშვილი.

თეატრი და დრამატურგია მართლაც ერთენლის სფეროებია აღმნიანს მხატვრული პრაქტიკისა. ამით არის გამოიბეზებული სიძნელე მათ შესახებ წერისაც, ე. ი. ლიტერატურული

და თეატრალური კრიტიკისაც. ამ ორ დარგა ბევრი რამ აქვს საერთო. საერთოა თუნდაც ის ზოგადი კანონზომიერება, რომელიც თვით ამ დარგების არსებობასა და სჭირებებს განაპირობებს: ისევე როგორც წარმოდგენელია მალაქანგიითარებული მხატვრული ლიტერატურა მალაქანგიითარებული სალიტერატურო კრიტიკის გარეშე, ასევე წარმოდგენელია მალაქანგიითარებული ერთგვარი თეატრი სათანადო თეატრალური კრიტიკის გარეშე.

თუ მხატვრულ პრაქტიკას მხარდაშეხარ არ მიაყვება და წინსვლის არ უაღივლებს სათანადო დონეზე მღვართი თეორიული აზროვნება (ხოლო კრიტიკა სწორედ ამ თეორიული აზროვნების გამოხატულებაა, თეორიული ხასიათის კანონზომიერებათა კონკრეტული მასალისა და ეპოქისადმი მიყენების პროცესია) მაშინ მას მდგობლი და ხანგრძლივი წარმატებების იმედი არ უნდა ჰქონდეს.

რა შეიძლება ითქვას აღნიშნულ პერიოდის თეატრალურ კრიტიკაზე? კარგი ვერაფერი! ასეთი ზანტი, მოუქნელი და სიტყვაძუნწი იგი იშვიათად თუ ყოფილა. ისევე როგორც სალიტერატურო კრიტიკაში, ისევე მოკლე, მებრძოლა, დროულად კრიტიკული სტატიები გამერიღმა და ხშირად არაფრისმთქმელმა წიგნებმა თუ ვრცელმა ნარკვევებმა შეივალა, კრიტიკაშიც სხარტი, მახელი, დროულად გამოქვეყნებული რეცენზია სიტყვაძრავალი თეატრალური გამოკვლევებით წაილეკა. ზეწ, რა თქმა უნდა, არ უარყოფთ თეატრალურ გამოკვლევათა საჭიროებას, მაგრამ ამ საქმეში კრიტიკის სხვა ყან-

რი არ უნდა შეიწიროს, რეცენზია კი თეატრალური კრიტიკის უსაჭიროესე, ვერცხე, მკამყველ მონოგრაფიულ გამოკვლევებთან ერთად უნდა იქნას, ამიტომ, მასზე დიდი ზრუნვა, მისთვის დიდი ხელშეწყობა გვმართებს.

რად სიტყვა გაავარგელოთ, როცა უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ჩვენს სამ თურნალში — „მნათობსა“, „ცისკარსა“ და „ლიტერატურაშია გრუნიაში“ არ გამოქვეყნებულა არც ერთი კონკრეტული რეცენზია კონკრეტულ ქართულ სპექტაკლზე. მართალია, ამ არის წყაროები თეატრის ისტორიისა და თეორიის საკითხებზე. მსახიობთა პორტრეტებიც, თეატრ-მცოდნეობითი გამოკვლევებიც, მაგრამ რეცენზია, როგორც კრიტიკის მთავარი სპექტაკლის (და მასთანამე, თვით თეატრის) შეფასების გველანზე უშუალო, ოპერატიული და მობილური ფორმა თვალსა და ხელს შუა გავეიქრა. და ეს მაშინ, როცა საქართველოში თეატრალურ კრიტიკოსთა მრავალიცხოვანი და ძლიერი რაზმი არსებობს. პირუთენელი თეატრალური კრიტიკის ასეთი დამუნეების ფაშს, გასაკვირიც კია, რომ ჩვენს თეატრს უარესი ნაკლოვანებები არ მოსდგამს.

დრამატურგია და თეატრი უზარმაზარი გამადიდებელი შუშაა, გიგანტური კოგრია, რომელსაც მთელი ერი გააყურებს და გაზრდულ მასშტაბში ზედავს თავის დღევანდელობას, თავის წარსულს, თავის მომავალს. ყოველ ჰკვიან, შორისმჭვრეტელ და მალაქვლტურულ ხალხს ეს კოგრი მუდამ ზელთ უნდა ეპყრას, წესრიგში ჰქონდეს და გონივრულად იყენებდეს. ჩვენც ეს გვმართებს და ფრიალ ერთგულად.



ქართული ზარმართული საკულტო ტაძრები კამბეჩოვანში

ანტიკურ ხანაში კამბეჩოვანი (იგივე კამბი-
ზენე) ეკონომიურად და კულტურულად განვი-
თარებულ მხარეს წარმოადგენდა. ამას მეტყვე-
ლებენ მის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეო-
ლოგიური ძეგლები, რომელთა ერთი ნაწილი
პრეისტორიის ხანით თარიღდება, და ის წერი-
ლობითი ცნობები, რომლებიც ქართულ და უც-
ხოურ ლიტერატურულ წყაროებს შემოუნ-
ახავთ. განსაკუთრებით საყურადღებოა ბერძენი
გეოგრაფის — სტრაბონის (I სუექ.) „აღწერა
იბერიის ქვეყნისა“, რომელიც ნაწილობრივ აღ-
ბანეთსა და კამბიზენსაც ეხება. ამ აღწერილ-
ებით, აღმოსავლეთ საქართველოში კლასიკულ და
ნაწილებული საზოგადოება ყოფილა და ეკონო-
მიკად შალად დონეზე მდგარა. ეს კი იმის მა-
უწყებელია, რომ მაშინდელი ქართული მოსახ-
ლეობა კულტურულადაც დაწინაურებულა. იბე-
რნი და პერ-კახნი უხსოვარი დროიდანვე ეწეოდ-
ნენ მევენახეობას, მიწათმოქმედებასა და მესა-
ქონლეობას. კამბეჩოვანის მკვიდრნი მკაცრ ბუ-
ნებრივ პირობებში, „უწყლო და ოღრო-ჩოღ-
რო“ ტრამალებზე ბინადრობდნენ; მათ ალანის
ნოყიერი ველი ასაზრდოებდათ. ამიტომაც ქა-
ლაქებისა და სოფლების რაოდენობა თანდა-
თანობით ველად მატულობდა. უკვე აღრეული
ფეოდალიზმის ხანაში, როდესაც საქართველო-
ში ქრისტიანობა ახლად იღვამდა ფეხს, კამბე-
ჩოვანი დიდ საქრისტიანო ცენტრად იქცა. მაშინ
ბოდი (ანუ ბოდბე) მკვიდროდ დასახლებული
დაბა ყოფილა. „მეფეთა ცხოვრებაში“ ლეონტი
მროველი იმორქუმებს ნინო განმანათლებლის სიტ-
ყევებს — „ერისა სიმრავლე არს ამას (ბოდბა
ი. ლ.) შინა“-ო!

საერთოდ ქართველთა და კერძოდ კამბეჩო-
ვან-ბოდბელთა აღრინდელი სარწმუნოება იყო

კერბთოყვანისმცემლობა. ეთნოგრაფიული,
ფოლკლორული და ტოპონიმიკური მასალების
ანალიზი ცხადყოფს, რომ კამბეჩოვანის მხა-
რეში რამდენიმე წარმართული საკულტო კერა
არსებებდა, სახელდობრ: მზის, მთვარის, ლაზა-
რის, კებეღას (=კოპალას), ბოჩისა და სხვა
ღვთაებათა ტაძრები (თუ სამსხვერპლოები).

იყო დრო, როდესაც აღამიანი აღმერთებდა
ბუნებრივ ძალებსა და მოეუენებს. შუე და
ციცხლი მის არსებობას ანიჭებდა, ორივე ერ-
თად კი ცხოვრებას უადვილებდა, ხელს უწყ-
ობდა სასიცოცხლო პირობების შეცვლასა და
გაუმჯობესებაში. ამიტომაც შუე და ციცილი
აღამიანის წარმოდგენით ითვლებოდა წმიდათა-
წმიდა ძალად და მათ, როგორც ღმერთებს,
თაყვანსა სცემდნენ. აღამიანის სული და სხეუ-
ლი შინებელი იყო უწყმინდურად, რისთვისაც
აზიის ზოგიერთ ტომში სასტიკად იყრძალებო-
და (უკეთ: ღვთაების შეურაცხყოფად ირაცხე-
ბოდა) მიცვალებულთა დაწვა. საქართველოშიც
ამის მოქმედი მკოდელოდ ცხადდებოდა. არქე-
ოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ ქარ-
თველი ხალხი უხსოვარი დროიდანვე შარბავდა
მიცვალებულს ქვის აკლდამაში, მიწის ქვეშ.
ამასთან, არ შეიძლება, რომ აღამიანის სული
(ამონასუნთქი) შერეოდა ციცილს. მის სიახ-
ლოვეს ყველა ქართველი პირს იხვევდა, რომ
თავისი ამონასუნთქით არ წაებლიწა ეს წმინდა
სტიქია. და აი ეს უძველესი ჩვევა, რომელიც
ქართველ ხალხში დამკვიდრებულა ციცილ-
თაყვანისმცემლობის დროიდან, დღესაც კი შე-
მორჩენილა ქიზიყის მხარეში: როცა ქალები
პურს აკრავენ გავარეარებულ თონეში, პირს
იხვევენ მოსახვევით. ახლა ყველა ამბობს, რომ
ციცილის მხურვალეებისაგან თავს ვიცავით, მაგ-
რამ, უდავოა, ამ ჩვევაში შემორჩენილა უძვე-

ლესი სარწმუნოებრივი წარმოდგენაც, როგორც ამას სწორად შენიშნავს ი. ჯავახიშვილი.

სტრაბონი საინტერესო ცნობას გვაწვდის აღბანელთა რელიგიურ რიტუალებზეც. რაკი აღბანელნი კახელთა მგზობლად ცხოვრობდნენ, მათ ბევრი რამ ჰქონდათ საერთო და უნდა ვიფიქროთ, რომ აღბანელებსა და პერკახელებს საზიარო ჰქონდათ სამლოცველოებიც. ამიტომ სტრაბონის ცნობა კამბიზან-ბოდელთა სარწმუნოების მიმართაც უნდა გაავსრცელოთ. აი, რას გვთხვობთ „გეოგრაფიის“ მეოთხედივე წიგნში (თავი IV, მე-7 მუხლი):

„(აღბანელები) აღმერთებენ ჰელიოსს (=მზეს), ზეუსსა და სელენეს (=მთვარეს), განსაკუთრებით კი სელენეს, რომლის ტაძარი მდებარეობს იბერიის მახლობლად. ქურუმის მოვალეობას ასრულებს მეფის შემდეგ ყველაზე პატივცემული კაცი. იგი არის დიდი და მჭიდროდ-დასახლებული წმინდა მამულის მფლობელი და იგივე განაგებს ტაძრის მონებასც, რომელთაგან მრავალი ჰადაგად არიან დაეკუთვნული და წინასწარმეტყველებენ. მონათაგან ყველაზე მეტად გახელებულ ჰადაგს, რომელიც მარტო დაეხებება ტყე-ლარეში, ქურუმების ბრძანებით იჭერენ, ჰკარვენ წმინდა ჯაჭვით და წლის განმავლობაში ზეარაკად ასუქებენ. შემდეგ მას, ქალღმერთისათვის სამსხვერპლოდ გამზადებულს, სცხებენ მირონს და სხვა საღმრთოებთან ერთად მსხვერპლად სწირავენ. ხოლო მსხვერპლის შეწირვა ხდება შემდეგნაირად: ერთი კაცი, რომელმაც კარგად იცის ეს საქმე და მას ჩვეულებით თანახმაა აქვს აღამინის მსხვერპლის შეწირვის უფლებაც, ხალხიდან გამოირჩევიან წმინდა შუბით ხელში და მსხვერპლს გვერდიდან სტოკისკენ გულში, როცა ის, ლაგვარ-ნაკრავი, დაეცემა მიწაზე, მის დადარდნის მიხედვით იწყებენ ქურუმები მითხარაბს და შედეგს ყველას უცხადებენ. მეგრე გვაიმ დანიშნულ ადგილას მიაქვთ და მას მლოცველები ფეხს ადგამენ, რომ ცოდვებისაგან განაწმინდონ“.

ი. ჯავახიშვილმა გამოარკვია, რომ მთვარისადმი ასეთი თაყვანისცემა ქრისტიანობის ხანაში იქცა წმინდა გიორგის დღესასწაულად. იგი წერს: „თეთრი გიორგის ხატობის ჩვეულება მთვარის ძველი, წარმართობის-დროინდელი დღესასწაულის ნაშთია“-ო². და მართლაც, წმინდა გიორგის მონები, ისინი, ვინც ხატს

¹ ესარგებლობ რუსული თარგმანით: Страбон. География, 1964, გვ. 477. შდრ.: თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 134-135; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 50. Г. Мелкишивили, К истории древней Грузии, 1959, გვ. 408.

² ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 52.

თავიანთ თავის სამსახურს აღუთქვამენ, თეთრი გიორგის ქადაგად დაეცემა და ხალხს ხატის ნებას უცხადებენ. საღამო ხანს როცა მწვერპლის ზარი დაიჭრება, ერთი მონათაგანი ეკლესიის კარების წინ დაეცემა და ტაძარში შემავალი ხალხი ამას ზედ აბიჯებს და, რაც უნდა ძალიან დაეპრონ ფეხი, მონამ უნდა მოითიმინოს და ხმა არ დასძრას. ამ მოწინააღმდეგე გიორგის ყუმბასეთი, მავთლის შანა აბია ყვლიზე“ (იქვე). ი. ჯავახიშვილი ამ რიტუალის ანალიზისას სწორად ასკენს, რომ მონის დაეცემა ეკლესიის კარებთან ანარეკლია მთვარის ტაძარში შუბით განგებრული მსხვერპლის დადარდნისა და ეს „შითაოდ მტკიცედება, რომ, რაც უნდა ძალიან დაეპრონ ფეხი ეკლესიაში შემავალმა მლოცველებმა, მონამ მიიღო არ უნდა დაევიწყოს. რათა? სწორედ იმიტომ, რომ იგი შეკვარია, შეწირულს მსხვერპლს წარმოადგენს“... ასე რომ, თეთრი გიორგის მონათა ქადაგად დაეცემა, მასზე მლოცველთაგან ფეხის დაღვამ, დათრგუნელი ქადაგისგან ხმის ამოუღებლობა, ამასთან დღესასწაულობა ღამით 14-15 აგვისტოს, როცა მთვარის აღსვლა ხდება, უდავოდ მოწმობს, რომ თეთრი-გიორგობა „წარმართობის-დროინდელი მთვარის ხატობის აღგას-არის და თეთრი გიორგის უკაიო მთვარის ღვთაების, მთვარის მაგიერი ადვილი“.

სტრაბონის ცნობით, მთვარის ტაძარი, სადაც აღამინის მსხვერპლად შეწირვა ხდებოდა, ყოფილა იბერიის მახლობლად (აღბანეთის ჩრდილო-დასავლეთით, ხოლო იბერიის აღმოსავლეთით მსხვერპლზე მხარეში). რაკი გზა იბერიიდან აღბანეთისაკენ ვადიოდა „უწყლო და ოდრო-ჩოდრო კამბიზენეზე“ (კამბიზენეზე), ი. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ეს მთვარის ტაძარი „შეიძლება სწორედ კახეთში ყოფილიყო“. ამასთან „შეშველია, ეს ტაძარი უმთავრესად, განსაკუთრებით განთქმული სამლოცველო უნდა ყოფილიყო“ (გვ. 51). მართლაც, კახეთში (სოფ. აწყურის მახლობლად, თელავიდან 12 ვერსის მოშორებით) მდებარეობს ეკლესია „თეთრი-გიორგი“, რომელიც აგებული უნდა იყოს X-XIII საუკუნეებში¹. ამ ეკლესიას სიმბოლურად შემოუნახავს მთვარის ღვთაებისადმი მსხვერპლის შეწირვის ის ტრადიცია, რომელსაც სტრაბონი აღწერს.

14 აგვისტოს საღამოთი აქ მოდიან მლოცველები ქართლიდან, კახეთიდან, ქიზიყიდან, თუშეთიდან-ხევისურეთიდან და იმართება დიდი დღეობა, რომელიც სამ-ოთხ დღეს გრძელდება. 3 ჩუბინის ცნობით, 1903 წელს თეთრი გიორგის დღესასწაულზე დაუკლავთ 1050 ცხვარი და 3 ხარი, ხოლო ეკლესიისათვის შეუწირავთ დაკლული ცხოველების ტყავები, ოთხი ცოც-

¹ Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии 1959, გვ. 405-407.

ხალი ცხვარი და ასამდე ქათამი.¹ მისივე გადმოცემით, ამ წმინდანს „თავსა სწირავენ“ ქალები, რომელთაც „თეთრი ვიორგის მონებს“ უწოდებენ. ისინი „შეწირულობას“ პერიოდში სპოტირობენ გელესის ახლოს ამ მეზობელ სოფელში, ღადიან თეთრი ტანისამოსით, მკითხაობენ წმინდა ვიორგის შეწყალების საიდუმლოებს და იღებენ აღსარებას. ამათთან მწუხარების გასაზიარებლად მიღიან ღვთისმლოცველი ქალები, რომელთაც მონები ადებენ საკანონოს. ეს უკანასკნელი იკვებებიან მლოცველთაგან მიტანილი შეწირულებით. ცხოველთაგან თუთრ ვიორგის სწირავენ ცხვარს; უმეტესად მას ჰქვავენ და ღვთაების მიწიერ წარმომადგენელს (ე. ი. მღვდელს) აძლევენ დაჯული ცხვირის ტყავს, ბეჭსა და ფეხებს. ერთხელ შეწირულ ცხვარს ათლიან მარჯვენა ხელს, რის შემდეგაც ის ითვლება „კერატად“ (ე. ი. შეწირულად). ეს კერატი ზღვრუბზედღია, მისი დაკვლის უფლება არაჲს არა აქვს. დათქმულ ღვს კი იგი მღვდელთან მიჰყავს; მღვდელი შუბლზე მატყლს შეუტრუსავს და ათავსებს შედომობილში, როგორც საეკლესიო საკუთრებას. საყურადღებოა ერთი დეტალიც: თუ ვინმე თეთრი ვიორგის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობს, შეწყალების წინით ეკლესიის ვარშემო დაბობავს როგორც მონა, რომელიც არ არის ღირსი მფლობელის წინაშე იდგეს. ასეთი საკანონოს მოქმედნი ზოგჯერ კისერზე იყიდებენ ქაჭეს, რომელიც სიმბოლოთ ფუთხავერამდეც კია, და ასე უფლიან ხობიით ეკლესიას. ზოგიც შესასვლელ კართან პირქვე ვიორგისმევა და მლოცველები ზედ ადგამენ ფეხს, ისიც სულმოუთქმულად იტანს ამ მონურ დამკირებას, რათა მრისხანე ღმერთის შეწყალება დამოსახუროს (იქვე, გვ. 13-16).

გ. ჩუტსინი ამ რიტულებს საგანგებო ყურადღებას აქცევს და გონებაშამოღერი დაკვირვების შემდეგ საინტერესო მისაზრებას გამოსთქვამს: თეთრი ვიორგისადმი მონად თავმეწირვა არის აღამიანის მსხვერპლად შეწირვის გამოძახილი. იმგვარი დამკირება და დამდაბლება, რომელსაც იხენენ მლოცველები ღვსასწაულზე, შეუძლებელია კაცთმოყვარე ღმერთის წინაშე გამოვლინდეს. ჩანს, ეს მეუფე არის არა საეყრდნოს ქრისტიანული ღმერთი, არამედ მრისხანე დესპოტი, რომელიც შექმნილია აღმოსავლეთის მიწიერი დესპოტურა მეუფის მსგავსად“ (იქვე). მაგრამ გ. ჩუტსინმა ვერ განსაზღვრა, რომ თეთრი ვიორგე არის მთვარის ღვთაების გვიანდელი ქრისტიანიზირებული სახე, რაც ასე დამაყრებლად გააჩვენა ი. ჯავახიშვილმა.

კითხვა ისმის: ქრისტიანული ხანის საეკლტო ცენტრები — „თეთრი ვიორგე“ (თელავის მახლობლად) და მისი მსგავსი საეკლტოები,

რომელთაც შემოგვიანებს წარმართული ხანის მსხვერპლშეწირვის გადმონაშთები, თავიდან ძველ სამსხვერპლოებზე აღმოცენდა, თუ ეს ხატიობები ახალ გეოგრაფიულ პუნქტებში წარმოიშვა?

ამ კითხვაზე ვაკრეველი პასუხის ვაცემა ძნელია, რადგანაც მათი წინაპრისტიანული საბელები არ ეიცით, რომ როგორმე ტოპონიმიურად მონაცემებით მიიწე ვაეარკეიოთ, იყო თუ არა „თეთრი ვიორგის“ ადგილას წარმართობისდროინდელი მთვარის ტაძარი, სტრაბონი ვაეაღვებს ზოგად ცნობას — „სელენეს ტაძარი მღებარეთის იბერიის მახლობლად“. მაგრამ ასეთი ცნობით ძალიან ძნელია განსაზღვრა, თუ საბელებობრ ეს ტაძარი ვეოგრაფიულად სად მდებარეობდა. ი. ჯავახიშვილი რომ წერს, იგი „შეიძლება კახეთში ყოფილიყო“, დსაყრებელია, რადგანაც აღბანეთისათვის იბერიის მახლობელი მხარეა კახეთი. თუ „თეთრი ვიორგე“ არ არის ადგილგადინაცვლებული საეკლტო და წესებულება, მაშინ შეიძლება ვარწმუნოთ, რომ მთვარის ტაძარს თეიდანვე ამ ხატობის მიღამოში არსებულა. გამოთქმულია სხვა მისაზრებაც, რომელიც ვ. მელიქიშვილს ეკუთვნის. ეს ისტორიკოსი ვარაუდობს, რომ მთვარის ტაძრის ადგილსამყოფელი უნდა იყოს იქ, სადაც I საუკუნეში იბერია და აღბანეთი ერთმანეთს ეხებოდადენე უმეალოდ, ე. ი. აღბანეთის ჩრდილოეთით, „სადღაც მდინარე ალაზნის შუა დინებისთან“. თეი სტრაბონის მიერ ტაძრის ტერიტორიის დაბასიათებაც — „დიდი და მჭიდროდაბასიათება მამული“ — ალაზნის ეულს უნდა მიუთითებდეს. რაც პირველ საუკუნეებში შიდა კახეთის მხარე შედიოდა იბერიის აღმინისტრაციულ ვეოტიანებაში და მერმეც იგი წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოს ორგანულ ნაწილს, ცხადია, აღბანეთს ეს საეკლტო ტაძარი თეი იბერიაში მოექცეოდა. ამიტომაც სრულიად ვსაგებია, რომ კახეთში დიდხანს შემობრბა აღბანური წარმართული ღვსასწაული.¹

ამ მისაზრების თანახმად თითქოს უნდა ვიფიქროთ, რომ სტრაბონის დროს მთვარის ტაძარი მღებარეობდა კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში კამბეჩოვანის სიახლოვეს, შემდეგ იგი გადაუტანიათ თელავის მახლობლად, ხოლო მისი ძველი ადგილსამყოფელი ვეუქმებულა. მაგრამ ასეთი ვარაუდის დაშვებას აბრკოლებს ის, რომ ზოგი დიდი წარმართული საეკლტო ტაძრის ადრეულოდღიობის ხანაშივე შეიკვალა ქრისტიანული საეკლტოეობით, ზოგიერთი მათგანის ტერიტორიაზე კი ქალაქი აღმოცენდა. ამიტომ შეიძლება კახეთის „თეთრი ვიორგის“ ადგილას ძველად მართლაც არსებობდა მთვარის ტაძარი, რომელსაც სტრაბონი აღწერს. ხოლო

¹ Г. Ф. Чурсин, Народные обычаи и верования Кавказии, Тб., 1905, გვ. 14-15.

¹ Г. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 409.

თუ მის ადგილსამყოფელს დაედებთ კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მაშინ მისი კვალი უნდა ვეძიოთ იქაურ სარწმუნოებრივ თქმულებებსა და ტოპონიმიაში. ვინ იცის, იქნებ მართლაც გამოჩნდეს ისეთი ძველი სახელები, რომლებიც შეგვაძლებინებენ წარმართობის-დროინდელი სამსხვერპლოების ლოკალიზაციას? მაგ., ამ მხარიდან სავანებზე ყურადღებას ამაჩრობს სამი გეოგრაფიული სახელი — „ბოდი“, „ხორანბუჯი“ და „ხორანთა“, რომლებიც წარმართულ საეკლტო ტაძართა სახელწოდებებს უნდა მიუთითებდნენ.

• • •

1. ბოდი resp. ბუდი.

ვის არის ძველი ბოდის სახელწოდება; იგი პირველად იხსენიება IX საუკუნის ძველში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“; აქ სამგვარი დაწერალობით გვხვდება: ბოდი, ბუდი და ბუდისი.

„მოვიდეს და დაჰკრძალოს ძლევით შემოსილი გუამი მისი [ნინოასი] ადგილსავე თჳსსა ბოდს, სოფელსა კუბეთისასა“ (ძვ. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 90); „მოიწია ქუეყანასა ქუბეთისასა, დაბასა ბუდს“ (გვ. 104); „მოიწია ქუეყანას კუბეთისასა, დაბასა, რომელსა ჰქვანს ბოდისი“ (გვ. 104); „დაბა დიდი ბოდისი“ (გვ. 99).

ლონტი პროვების „მეფეთა ცხოვრებაში“ გვხვდება სხვაგვარი დაწერალობით: „ვიხილეთ ვარსკვლავთ აქათ მომავლი და დაადგრა დაბასა ბოდესა კუბეთისასა“ (I, გვ. 121); „რამეთუ ბოდი, დაბა კუბეთისა, არა წინა-აღუდგეს ქალაქსა მეფეთას... ბოდის კელა დაბაჲ თუთ იბილოს, სათხო იგი ადგილი ღმრთისა... მივახლა კუბეთსა დაბასა ბოდისასა“ (გვ. 126); „დამარბეს ძლევით შემოსილი გუამი მისი ადგილსავე ზედა კუბეთს, დაბასა ბოდისასა“ (გვ. 128).

„ნინოს ცხოვრების“ არსენისეულ მოკლე რედაქციაში დაცულია ფორმები „ბუდე“ და „დაბა დიდი ბუდისი“ (ჩვენი საუნჯე, I, 1960, გვ. 431, 433).

ყველა ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ „ბოდი“ არის მჭიდროდ დასახლებული დაბა. „ბოდი/ბუდი“-სგან მიღებულია „ბოდისი/ბუდისი“ ისევე, როგორც ტფილიდან — ტფილისი, შინდიდან — შინდისი და მსთანებში. მერმე იგი გადაეყოფებოდა გეოგრაფიულ სახელად. საყურადღებოა ისიც, რომ სიტყვა „ბოდი“-სთან ყოველთვის გვხვდება „დაბა“, რომელიც განსაზღვრავს დასახლების ხასიათს: „დაბა ბოდისა“, „დაბა ბოდისი“ და „ბოდის დაბა“. უკანასკნელი სინტაქსური ერთეულიდან (ე. ი. „ბოდის დაბა“-დან) ფონეტიკური ცვლილების შედეგად მიღებულია სახელი „ბოდბე“: ბოდის დაბა — ბოდბე დაბა — ბოდბიდაბა — ბოდბობა —

ბოდბა — ბოდბე — ბოდბე. „ბოდბა“, რომ გაჩენილა „ბოდის დაბიდან“, ეს ირკვევა კახეთის ერთი გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებიდანაც — „ქუშლდაბა“ („ქუშლის დაბა — ქუელი დაბა — ქუელდაბა“).

ი. მარკვარტი გეოგრაფიულ სახელს „ბუდ“-ს აკავშირებს ქართულ სიტყვასთან „ბუდე“ (Nest) და დასძენს, რომ ბოდის ნაფუძარზე აღმოცენდა ქალაქი სიღნაღი, ხოლო „ბოდბე“ მას მიანიჭა „ბუდ“-ის მრავლობით ფორმად (ბოდ-ბე)!. მგვრამ ამგვარ ეტიმოლოგიას სინამდვილესთან საერთო არა აქვს რა.

„ბოდი/ბუდი“ უნდა იყოს ფალაურა (სამუჟალო სპარსული) წარმოშობის სიტყვა — Buth, რაც ნიშნავს კერას. ქართული საისტორიო წყაროებით დასტურდება ეს ეტიმოლოგია. ყველგან დაბა ბოდი ჩანს წარმართობის-დროინდელი რომელიღაც დიდი ღვთაების საეკრძოდ, სადაც სალოცავად (თუ მსხვერპლის შესაწირავად) მიდიოდნენ ქართლელი და ჰერ-კახელი. „ნინოს ცხოვრების“ არსენისეულ მოკლე რედაქციაში გვითხრობთ, რომ მოვიდა ნინოსათა ბუდეს „ღელფლადო კახეთისა სუჯი და მის თანა მთავარნი და მკვდრები და მონა-მკვეალთა სიმრავლე“ და „მთ სიხარულით შეიწვნარეს სწავლაჲ ნინოასი“ (ჩვ. საუნჯე, I, გვ. 431), ამ ამბავზე ნინო განმანათლებელი მეფე მიჩიანს სწერს: „ქსენებულმცა არს საუკუნოდ კეთილთა შინა ღმრთისათა დედოფალი სუჯი, რამეთუ მოვიდა ჭეშმარიტსა ქრისტეს სარწმუნოებასა და დაჰუსრნა კერანნი და მოუძღვა და მოიყვანა ერან ღმრთისანი ღმრთის მსახურებად“ (იქვე, გვ. 431). მაშასადამე, სუჯი დედოფალს ქრისტიანობა მიუღია ნინოსგან ბოდბეში, წარმართულ სამლოცველოში, და მას იქვე და, ალბათ, სხვაგანაც დაედგრა კერაები. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ „დაბასა შინა ბუდისასა“ არსებულია წარმართული ღვთაების ტაძარი, რომელიც IV საუკუნეში, მიჩიან მეფის დროს, ტყველად დიდ საქრისტიანო ცენტრად.

2. ხორანბუჯი resp ზუარანბუჯი

სტრამონი იუწყება, რომ ალბანელები აღმერთებდნენ აგრეთვე ჰელიოსს (ე. ი. მზესო). ეს ცნობა შეიძლება ჰერ-კახელთა მიმართ და საერთოდ ქართულ ხალხზეც ვაიერცელოთ, რადგანაც მის ნამდვილობას ადასტურებენ ქართულ ენაში შემორჩენილი ფიცის ფორმულები: „მზის მადლმა“ და „ჩემმა მზემ“, აგრეთვე ფოლკლორული გადმოცემები ღვთაება მზეზე და ქართული წერილობითი ძეგლები. დიოდორე

¹ J. Markwart, Die Bekehrung Iberiens., Caucasicca, 7, 1931, Leipzig, გვ. 164.

სიცილიელი ამბობს, რომ კოლხიდაში იყო მზის ღვთაების ტაძარი. როცა კოლხეთის მეფე აიტმა, პელიოსის ძემ, თავის ქალიშვილს მუდამ ზედამხედველები დაუყენა მოსალოდნელი შეთქმულებისაგან თავისდაზღვევის გამო, „მეფე გიციო და თავი შეაფარა ზღვის პირად მდებარე პელიოსის ერთ წმინდა ადგილს“ (ანუ ტაძარს). მუცს თაყუანსა სცემდნენ აღმოსავლეთ საქართველოშიც. ლეონტი მროველის ცნობით, ალექსანდრე მკედონელმა თითქოს „დაურტყა ქართლის ერისთავად აზონ“ და მის უბრძანა, „რათა პატრიუსკემდენ მზესა და მოოვარესა და ვარსკვლავთა ხუთთა“ (I, გვ. 18). ემვი არაა მაშინ საქართველოში უფრო განმტკიცდებოდა მნათობთა თაყუანისცემა, რაც მოწმდება ხალხური ლექსითაც „მზე დედაა ჩემი“ და ა. შ. თეთი შვიდულის დღეთა სახელებიც წარმართობის-დროინდელი ჩინს და დაკავშირებულია მზის, მთვარისა და ხუთი ცთომილის სახელებთან. კვირა ითვლებოდა მზის დღედ (მეგრული „ვაშხა“, ქართული „ბუვაშხა“ და სვინური „მომადღედ“ ქართულად ნიშნავს „მზის დღეს“) და ამ დღიდ მნათობის პატრიუსკემდენ ძველიდანვე ქართველი დედა ჩვილ ყრმას აყვანაში ასე დამღეროდა: „მზეც მინა და მზეც ვარეთა, მზეც, შინ შემოდიო“¹.

ცხადია, ამგვარ ვითარებაში ქართველებს ექნებოდათ მზის ტაძრებიც. როგორც ითქვა, ერთ-ერთი ასეთი ტაძარი კოლხეთში ყოფილა. ანალოგიური საკულტო დაწესებულება აღმოსავლეთ საქართველოშიც უნდა არსებულებოდა, სწორედ იქ, სადაც საქართველოს აღმოსავლეთი სარკმელია — კაპეზოვანის მხარეში, ქალაქ ხორნაბუჯში, რომელიც მდებარეობს ცივის მთის ბოლოს „კლდესა ზედა“. ეს ძველი ციხე-ქალაქი იქედან ამჟამად გადაწყურებს ვერცლადგამილ ველს ალაზნისას და ყოველდღიურად უთვალთვალს აღმოსავლეთიდან ცხრათავა მზის ამოსვლას. ენაყ ხორნაბუჯი უნაბავს, არ შეიძლება მან თავისი თავი მზინთში არ წარმოიდგინოს. მას ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს იგივე გრანდიოზულ კლდეთა შორის მზის თანაზიარი იყოს. მაგრამ ეს პოეტური წარმოდგენა, რასაც ვერცელია, არ შევლის საქმეს: ხორნაბუჯში წარმართული მზის ტაძრის საკულტო-ვეტოლად საჭირთა მყარი მეცნიერული წინამძღვრები და, ელქრობით, ერთ-ერთი მთავანი თვით ციხე-ქალაქის სახელწოდებამაა საძიებელი.

სიტყვა „ხორნაბუჯი“ გვეხდება „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელ თხზულებებში სხვა-

დასხვანიური დაწერილობით. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში მიღებულია წაკითხვა „ხორნაბუჯი“ (I, გვ. 199, 298, 312, 373; II, გვ. 61) და „ხორნაბუჯელი“ (II, გვ. 231), ხოლო სქოლიოებში ნაიყენებია ხელნაწერთა ვარიანტები: ხორანბუჯი, ხორანბუჯისა (I, გვ. 199), ხორანბუჯსა (I, გვ. 312), ხორანბუჯელი (II, გვ. 231), ხუარნაბუჯი (I, გვ. 199), ხუარნაბუჯს, ხუარნაბუჯს, ხუარნაბუჯს (I, გვ. 312), ხორანბუჯი (I, გვ. 298), ხარნაბუჯს (I, გვ. 373) და ხორანს ბუჯი (II, გვ. 61).

ამ სიტყვის განმარტება პირველად სცადა ისტორიკოსმა მ. ჯანაშვილმა. იგი წერს: „ხორნაბუჯი-ხორ-ნაბუჯი: მეგრ. ხორთა — სახლება, დასახლება (დოხოტე — სასახლე; ინგ. დახალი — მიწური სახლი). შეად. ქართ. ქორი (სახლი), ხორი, ხურვა, ხუროთმოძღვარი. ნაბუჯი მიმღობაა სიტყვიდამ ბუდე, ბუდობა (დ-ქ: ხიდი-ხინვი). ხორ-ნაბუჯი=ხორ-ნაბუჯი, ე. ი. სახლი (ქორი) ნაბუჯი, სახლი სატფური (სამეგრელოში არის სოფელი ობუჯი, ქართულ გამოთქმით — საბუჯი). შეადარე: ბუდი-ბუდინი-ბოდუბე“¹.

ივ. შანიშვილი „ხორნაბუჯს“ სხვაგვარ ახსნის უქმნის, წერს: „ხორნაბუჯი (ტომონი) უნდა იყოს დედა ბუდისა ბერძნული თარგმანი: ბერძნული ხორთინა, რაც უდრის გამაგრებულ პუნქტს, ან ხორთა, რაც მხარეს, სოფელს უდრის, და დაბის სახელი ბუდი. მავალითები დას გადაქმნისას ბუგრა ჯ-ლ საკმაოდ მოაბუჯება“².

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამგვარ ეტიმოლოგიებს.

„ხორნაბუჯი“ არის ორფუძიანი კომპოზიტია: ხორან+ბუჯი. პირველი ნაწილი მიღებულია ახუარანს სიტყვიდან. ძველ საქართველოში უა (=ვა) ხორად იცელება ო-თი: ხუასრო (ხუასრო) — ხოსრო, ხუარაზმი (ხუარაზმი) — ხორეზმი, ხუარაშან (ხუარაშან) — ხორეშან, ხუ-ამლი (ხუამლი) — ხომლი, ხუამალდი (ხუამალდი) — ხომალდი, ხუარბალი (ხუარბალი) — ხორბალი და სხვა. ასევე ვაჩინილი „ხუარან“-იდან „ხუარან“ და „ხორან“ ხოლო აქედან ბუგრათა მეტათეზისის შედეგად — ხუარანა და „ხორანა“. ასე, რომ „ხორნაბუჯის“ ადრინდელი სწორი ფორმაა „ხუარანბუჯი“ და, რაკი ამგვარი წაკითხვის შესაძლებლობას იძლევიან „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელი ნუსხები, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენამდე არმოღწეულ ძველ ხელნაწერებში სწორედ „ხუარანბუჯი“ ეწერებოდა.

1 ა. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი, 1964, გვ. 389.

2 მზისა და სხვა მნათობთა თაყუანისცემის შესახებ ვერცლად იხ. ი. ყაუხჩიშვილის წიგნში „ქართველი ერის ისტორია“, I, 1960, გვ. 48-76, 116-147.

1 ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ ბ შ ტ ი, საქართველოს გეოგრაფია, 1904, გვ. 153.

2 ი. შ ა ი შ ვ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, კაპეზოვანი, ხორნაბუჯი, ქიზიუი (ჭეგლის მეგობარი, № 17, 1969, გვ. 46).

სიტყვა „ხუარან“ არის მრავლობითი რიცხვი ფალური „ხუარ“ (Xuar) სიტყვისა, რომელიც ნიშნავს მზეს. იგი დაკულია ეხტანგ ვორგასლის დის სახელში, რომელ არს „ხუარანმე“: მიუღდა დედოფალი საველხე და შვა ასული, და უწოდა სახელი მისი „ხუარანმე“ (I, გვ. 143). აქედან ქართული გააზრების შედეგად მიღებულია „ხუარანმე“. „ხუარა“ ერქვა სახელად შირიან მეფის ცოლის — ნანა დედოფლის ძმას, სპარსთა ქურუმს, რომელიც ნინო განმანათლებელმა განკურნა სნეულებისაგან, ხოლო „ხუარან-ხუარა“, ე. ი. შვეთა-მზე (შდრ.: „შამან-შამ“ — შეფეთ-შეფე) ეწოდებოდა სპარსთა მეფეებს — „სად არიან მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუარან-ხუარა“².

„ხუარანმე“ მეორე ნაწილი „ბუჯი“-ც ფალური წარმოშობის სიტყვად ჩანს. ხელნაწერებით ცნობილია მისი სამი ვარიანტი — ბუჯი, ბუჯი, ბუჯი, რომელთაგან ორი უკანასკნელი პირველს ფონეტიკური ცვლილების (ქ-ჩ-ჰ) შედეგია. შეიძლება ვინმემ პირველად წაიკითხა „ბუჯი“ („ბუჯი, ბუჯი“) ივარაუდოს და მასში დანახოს ლეილება „ბოჩი“, საწარმოთი კერპი, რომელიც, ეფთვიან მთაწმინდელს ცნობით, ქრისტიანებმა მოსპეს, მაგამ „ბოჩი“ მამალი ცხრის სახელია და მისი დაეკვირება შვესთან რაღაც არაბუნებრივი ჩანს. საფიქრებელია სხვა ვარიანტიც: ძველ ქართულში ხშირად ივარგება ფუძისფული რ: გამზრდელი — გამზელი, ბძიანება — ბძიანება, ურჩულ — უჩულ და რაც ხანტუტრესთა, პატრიარქი — პატრიარქი, კვარცხლ-ბუჯი — კვარცხლ-ბუჯი.³ ამიტომ ისმის კითხვა: ხომ არ იყო „ხუარან-ბუჯი“ და მერმე პირველი რ-ს გავლენით ხომ არ დაიკარგა მეორე რ, რის შედეგად მივიღეთ „ხუარანმე“? ხშირია შემთხვევა, რომ ორი რ ერთად ვერ თავსდება და ერთ-ერთი მათგანი სუსტდება ან იკარგება. თუ ეს ვარიანტი მისაღებია, მაშინ „ბუჯი“ აქ უნდა გავიგოთ ზოდიაქოს მნიშვნელობით: „ხუარანმე“ ანუ „შვეთა ეტლი“. რაკი შითო-ლოგოური წარმოდგენით მზე ცახე ეტლით მოგზაურობს (ანუ ყოველთვიურად იგი ახალ ზოდიაქოში შედის), დასაშვებია ამ სახელის

ასეთი გააზრებაც. მაგრამ უფრო საერთოდ, რომ „ხუარანმე“ მიღებულ იყოს „ხუარანმე“-დან, რომლის მეორე ნაწილი „ბუჯი“ (—ბუჯი) დაკავშირებული ჩანს კერპის ფალური სახელწოდებებთან ისევე, როგორც „დაბა ბუჯი“. ამ შემთხვევაში ჰ განვითარებული უნდა იყოს და-საფუძვლებული ისევე, როგორც სახელის „იარაგ“ ფორმიდან („მოკლეს ორთა ძმითა იარაგ, შაბა შაო“) წარმოიქმნა „ერაგ“ („აქა მუხთლად სიკვდილი ერაგისა ძმითაგან; სალიძისა და თურისაგან“). ამგვარი ფონეტიკური მოვლენა დადასტურებულია ქართულ და ქართულურ ენებშიც⁴ ა. შინძე განიხილავს ჰ ბგერის წარმოქმნის რამდენიმე შემთხვევას ქართულურ ენებში და მერმე დასძენს: „ჰ ბგერა კოლხურში შეიძლება სხვა ვითარებაშიც მივიღოთ. მაგ., ცნობილია, რომ ქართული კილი მეგრულში აქვანდა ხ(ნ)-ჯ-ის სახით არის წარმოდგენილი (სადე ნ ჟ-ის წინ განვითარებული ბგერაა). ამისგან ნაწარმოებია სოფლის სახელები: ხინჯიკარი („ხილისკარი“) და ჟუბ-რხინჯი („წაბლის ხილი“). ქართ. ლერღვეს (რაც ბაქის სახელი იყო ძველად) მეგრულად ლორღინჯი შეესატყვისება, ტრედს — ტორნჯ-ი... თით ქართულში უჩვენებენ და-ჯ-ს მონაცვლეობას (მაშთად-ი — მაშთაჯ-ი), მაგრამ მიზეზი ასეთი ცვლილებისა არ არის გამოკვეთილი“ (გვ. 232). ეს მონაცემები (განსაკუთრებით „იარაგ“-ის შეცვლა „ერაგ“-ით, ხოლო „მაშთად“-ისა — „მაშთაჯ“-ით, რომელთაგან პირველი დადასტურებულია ძველ ქართულში, მეორე კი — ქიზიურში) გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება „ხუარანმე“-ს ყველაზე ძველი ფორმა იყოს „ხუარანმე“-ი. თუ ეს ახსნა მისაღებია, მაშინ ამ გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობა ყოფილა: „შვეთა კერპია“.

ასე რომ, ორივე ვარაუდი — „ხუარანმე“¹ და „ხუარანმე“-ი გაპირობებულია იმ ფონეტიკური მოვლენებით, რომლებიც გვხვდება ქართულ ენაში და მათ სათანადო მეცნიერული ახსნად მოუპოვებთ. მათგან უფრო სწორია და სარწმუნო ჩანს მეორე წყაიბება, რომელიც დაკავშირებულია კერპ „ბუჯი“-თან. საერთოდ კი ორივე ეტიმოლოგია ადასტურებს იმას, რომ ხორნაბუჯში უნდა ექიმით მზის ტაძარი — წარმართობის-დროინდელი საკულტო ცენტრი,

¹ Hilfsbuch des Pehlevi, II, Glossar von H. S. Nyberg, 1931; მზი ანდრონი-კაშვილი, ნაკვეთები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, 1966, გვ. 511.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 131-134; ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 113.

³ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 86-87; მისივე, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 217.

⁴ მ. ძმინაშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, 1960, გვ. 106-107.

¹ ქართლის ცხოვრება. I, გვ. 13; შამ-ნამე, II, 1934, გვ. 409 და შემდეგ.

² ს. ელენტი, ქართული ენის ფონეტიკა, 1956, გვ. 65-66; ა. შინძე, ჰ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართულურ ენებში (სგმ მოამბე, 1960, № 2, გვ. 225-233), შდრ.: ეახ უშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, 1904, გვ. 153. (მ. ჯანაშვილის კომენტარი და და-ჯ-ს მონაცვლეობის შესახებ); სტენთეშაშვილი, ქიზიური ლექსიკონი, 1943, გვ. 105 (სიტყვა „მაშთაჯ“).

რომლის საფუძველზე შემდეგში აღმოცენებულა ფეოდალური ციხე-ქალაქი და ქრისტიანული საეპისკოპოსო კათედრალი.¹

3. ხორანთა

ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში პერეთის ერთ-ერთ უძველეს ქალაქად იხსენიება **ხორანთა**. ლეონტი მროველის ცნობით, როცა თარგმოსმა სამფლობელო დაუწაწილა თავის შვილებს, „პეროს მისცა ქუეყანა მტერისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა (ე. ი. ივრის, ი. ლ.) შესართავითგან ედრე ტყუბამდე, რომელსა აქ ჰქვან გულველა. და ამან პეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაგრებელთა შორის ორთავე აღზანთასა, და უწოდა სახელი თვის პერეთი. და მის გამო ჰქვან პერეთსა პერეთი. და აქ მას ადგილსა ჰქვან **ხორანთა**“ (I, გვ. 5). ადრე-ფეოდალიზმის ხანაში ეს ციხე-ქალაქი მნიშვნელოვნად დასახლებულ პუნქტად ქცეულა, მაგრამ იგი ყერ მოლოზრებთა შერვან ყრულ (VIII ს.), ზოლო შემდეგ — ბერქა ყენი (XIII ს.), ახლა იქ ქალაქის ნაყოფიელთა შეიმჩნევა. როგორც ლ. კილაშვილი იფუძევა, ზედაპირული არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ იგი ძველად აერთ-ერთი დიდი და მდიდარი ქალაქი უნდა ყოფილიყო.² ზოგიერთ ისტორიკოსს ხორანთასა და ხორანბუჯი აიგივებს. შავ., თეიმურაზ ბაგრატიონი ფიქრობდა, რომ ამ ორ სახელში იგულისხმება ერთი ქალაქი. იგი წერს: „შესაყარსა საშუალ სრუტისა ორთა ამათ მდინარეთასა (იგულისხმება იორი და ალაზანი, ი. ლ.) არს ციხე **ხორანთასა**, ესე იგი **ხორანბუჯი**, რომელიცა უძველესთა დროთა შინა იყო ქალაქი დიდი ციხითა დღითავე. და ამის აღშენებასა იტყვიან მომთბარებელნი ივერიისანი უწინარეს ყოველთა შერნობათა და მოსახლეობათა სრულიად ივერიისა ქვეყანას, ქალაქთა და დაბათა“³. ზოლო იქვე სწოლიაში შენიშნავს: „**ხორანთა ანუ ხორანბუჯი**“ იყო „ივერიისა სოფელთა, დაბათა და ციხე-ქალაქთა შორის“ ყველაზე ადრინდელი, „ფრიად დიდი და ერ-მრავალი ქალაქი და ციხე“, რომელიც ააოხრა მერვან ყრუმო (გვ. 14). თეიმურაზი სცდება მან არ იცის ხორანთის ადგილსამყოფელი და ურევს მას ხორანბუჯში, ღღეს უკვე გარკვეულია, თუ სად მდებარეობს

გეოგრაფიულად ხორანბუჯი და სად — ხორანთა. საისტორიო წყაროების მიხედვით, ეს ადრევე შეიძლება დადგენილიყო. სამწუხაროდ, თეიმურაზის მცდარ მოსაზრებებს ერთგვარ შეცნირულ საყრდენს უძებნის ს. კაკაბაძე: „ხორანთა“-სიტყვაში **თა** „არის ადგილის დაბოლოება (მცხე-თა, მოგე-თა), ხორან/ხორანა წარმოდგენილია სიტყვაში **ხორანბუჯი**, რომელშიაც ბუჯი ბ-ის დაბოლოებით ფ-ში და ქართულ ნიადაგზე **ქ-ს** მ-ში ვიდასვლით... უდრის ქართულს ფუჟე-ს“. რაკი ხორანბუჯი ყოფილა კამბეჩოვანის ქალაქი, მდებარე ვითომდა „იორის შესართავსა და მტკვარს შუა, ალაზნის მარჯვენა სანაპიროს“, ამისი ძველი სახელი უნდა ყოფილიყო ხორანთა“-ო. ამ მსჯელობაში გასაზიარებელია შოლოდ ის, რომ „ხორანბუჯის“ და „ხორანთას“ საერთო აქვთ „ხორან/ხორანა“; სხვა ყველა ვარაუდი უქუსადგებია. ყოველად შეუძლებელია სიტყვა „ბუჯი“ ფონეტიკური ცვლილებების შედეგად გადაკეთდეს „ფუჟე“-დ. ამასთან **თა** არ არის აქ ადგილის დაბოლოება და, რა თქმა უნდა, ხორანბუჯი არ არის აღმოცენებული ხორანთას ნაფუძარზე.

ს. კაკაბაძე „ხორანთის“ ეტიმოლოგიას იძლევა ძველქართული საეპისკოპოსოების ადგილსამყოფელია დადგენს ღაროს, კაშინ, როდესაც ის „ეპისტოლითა წიგნის“ ცნობით შეეცადა გავრკეცა, თუ სად უნდა ყოფილიყო „ქორჩონის“ საეპისკოპოსო. იგი ფიქრობს, რომ „ქორჩონა“ დამზინებული სახელია და შეიძლება მასში იგულისხმებოდეს „ხორანთა“-ო. ამ ვარაუდს იზიარებს ე. კეკელიძე: „ქორჩონა—ქორჩანენე resp. ხორანთა — ხორანბუჯი“, და ისიც ფიქრობს, რომ „ხორანთა“ და „ხორანბუჯი“ ერთი და იმავე საეპისკოპოსოს სახელებია.² ი. კაკაბაძე ილი „ქორჩონის“ ნაცულად კოხულობს „ქორჩანისა (ქორჩანისა?)“, მაგრამ მის შესატყვის საეპისკოპოსოს ვერ ასახელებს.³ მას ვერც ი. მარკვარტი და ს. ყანაშია უთითებენ. თეიმურაზი აცხადებდა წიგნში, რომელიც 1968 წელს გამოცა ქართული თარგმანითურთ ზ. ალექსიძემ, იკითხება „ესტგენ ეპისკოპოზი ქორჩონისა“ (გვ. 98), მაგრამ გამომცემელი არაფერს ამბობს, თუ სად მდებარეობს ეს „ქორჩონა (ქორჩონა)“, „ქორჩანა (ქორჩანა)“ თუ „ქორჩანენე“. არა მგონია, რომ ამ სახელის ქვეშ „ხორანთა“ იფარებოდეს, რადგანაც გავრკვეველია მისგან როგორ უნდა მიღე-

¹ ამ ქალაქის შესახებ ვაყრით იხ. პ. იოსელიანის წიგნში *Города существовавшие и существующие в Грузии, 1850*, გვ. 71. მის საერთო ისტორიულ მიმოხილვას ვაძლევს ლ. კილაშვილი („ქალაქები ფეოდალურ საქართველოში“, I, 1968, გვ. 62-63).
² ლ. კილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, 1968, გვ. 59-60.
³ თ. ბაგრატიონი, ისტორია საქართველოვსა, 1848, გვ. 14.

1 ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, I, 1924, გვ. 51-52.
 2 ეტიუდები, IV, გვ. 333.
 3 ივ. კაკაბაძე ილი ქართული ერის ისტორია, I, გვ. 300.
 4 J. Markwart, Die Bekehrung Iberiens, გვ. 158-164.
 5 ს. ყანაშია, შრომები, I, 1949, გვ. 20.

ბულიყო „ქორჩონა“ ან „ქორზანენ“. ვფიქრობ, იქ უნდა ივარაუდებოდეს გეოგრაფიული სახელი „ხორზენე“, რომელსაც იხსენიებს სტრაბონი კამბიზენესთან ერთად, და მას არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეს ხორანთსთან.

ხორზენე (Chorzene) იყო იბერიის ერთ-ერთი პროვინციათაგანი. სტრაბონის თქმით, „ხორზენე“ და კამბიზენე უკიდურესი ჩრდილოეთის მხარეები არიან და განსაკუთრებით თოვლიანი. ისინი ეკვრიან კავკასიის მთებსა და იბერიასა და კოლხიდას¹. შერმე ეს პროვინცია იბერიის ჩამოაჭრა სომხეთმა და თავის კანტონად აქცია. უნდა ვივარაუდოთ, რომ სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების დროს ხორზენეს ეპისკოპოსი ესტგენ, ალბათ ექვემდებარებოდა ქართლის კათალიკოსს, რაკი იგი ქართველ ეპისკოპოსთა შორისაა მოხსენიებული.

რაც შეეხება ხორანთს, იქ საერთოდ საეპისკოპოსო კათედრალი არა ჩანს და ჩვენი მკვლევარები ამოდ ეძებენ ანტიკოლონთა წიგნში² მის შესატყვის დამახინჯებულ სახელს. მართალია, ეს ქალაქი ადრე-ფეოდალურ ხანაში ეკონომიურად და კულტურულად ძლიერ იყო დაწინაურებული, მაგრამ იქაური სამღვდლოება, ვფიქრობ, ექვემდებარებოდა ხორანბუჯის საეპისკოპოსს.

ს. კავბაძე სწორად მოიქცა, როდესაც მას „ხორანბუჯის“ პირველი ნაწილი „ხორანა“ ეტიმოლოგიურად დაუკავშირა „ხორანთას“, მაგრამ მან მისი მნიშვნელობა ვერ ახსნა. „ხორანთა“ ისეთივე კომპოზიტია, როგორც „ხუარანბუჯი“, და ორი სიტყვისგან შედგება: „ხორან+თა“ „ხორან“ იგივეა, რაც „ხუარან“ (=შხეთა), ხოლო თა ნაჩენია ქართული სიტყვისა „შთა“. ასე რომ, ჯერ უფროა ფაქტურ-ქართული სიტყვისაგან შემდგარი სახელწოდება — „ხუარანბუჯი“, ხოლო აქედან მიღებული ხორანბუჯი³. შემდეგ კი 68 ბეგრათა კომპლექსში დაკარგულა მ და წარმოქმნილა „ხორანთა“. მაგრამ შემოღება ეს უკანასკნელი ფორმა წარმომოხილეთურ ასეთი ფონეტიკური ცვლილების შედეგად: ხუარან შთა — ხუარან — შთა. ხუარანთა — ხუარანთა, — სადაც 5 გაჩენილა მ-სთან ბეგრათშენაცვლების შედეგად (შდრ: ფიქვის შთა — ფიქვიშთა — ფიქვიშთა/მიქვიშთა, რომელიც მართლაც ფიქვიშთან შთას წარმოადგენს). ერთი სიტყვით, „ხორანთა“-ში დაფაქტულია ფაქტური სახელწოდება შხისა და ქართულად ნიშნავს: „მშეთა შთას“ (თუ „შხის შთას“). ეს ეტიმოლოგია გვაძლავს საფუძველს ვივარა-

უდოთ, რომ ძველად ხორანთის ტერიტორიაზეც, სანამ იქ ქალაქი აშენდებოდა, არსებებდა მხარეები (თუ ტაძარი), რომელსაც ქართველთა სალოცავს წარმოადგენდა, ხოლო ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მის ნაფუძარზეც აღმოცენებულა ციხე ქალაქი⁴.

• • •

აი, ამ გეოგრაფიულ სახელთა („ბოდბის, „ხორანბუჯისა“ და „ხორანთას“) ეტიმოლოგიურ ძიებას წარმართული ლმერეთის პანეონში გადავყავართ. ამით ჩვენს წინ იშლება ახალი კულტურული სამყარო — ქრისტიანობის წინაღობისწინა ვარგისი, რომელზედაც ფსევდები გაიღდა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ.

ჯერ კიდევ 1901 წელს ნ. შარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ძველი მეფეები წარმართ ლმერთა პროტოტიპები იყვნენო: „შეიძლება ოდესღაც თვითონ მეფეებმა აღმართეს თავიანთი ძეგლები, ან იქნებ მათ ისინი სხვებმა დაუდგეს და ხალხმაც ამ კერპებს, როგორც ლმერთებს, ისე დაწვეეს თაყვანისცემა. ცრუ მელიქონის ცნობილ ასურულ ფრაგმენტში ამგვარი წარმომოსხილ სთვლიან მთელ რიგ ლმერთებს — ზევს, ნანის, ნაბოსა და სხვებსო“⁵.

ასეთი შესაძლებლობა არ არის გამორიცხული ჩვენს სინამდვილეშიც. ვინ იცის, იქნებ „ხორანბუჯი“ (— ხუარანბუჯი) ეტიმოლოგიურად დაკავშირებული იყოს იმ მეფეთა სახელებთან („ხუარან“-სა და „ხუარან-ხუარან“-სთან), რომელთაც იხსენიებს „ნინოს ცხოვრების“ რედაქციები? იქნებ ხორანბუჯში აღმართული იყო რომელიღაც ხუარან (თუ ხუარან-ხუარანს) ძეგლი და შერმე იგი, როგორც სათაყვანებელი კერპი, წარმართულ ლმერთად იქცა? ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: ვახილულ სამ გეოგრაფიულ პუნქტში იყო წარმართული საკულტო ტაძრები; იქ იდგნენ ლმერთთა კერპები და საღმრთო დეობებზე ქართველები მათ გარშემო იყრიდნენ თავს. განსაკუთრებით დიდ საკულტო ტაძარს (ე. ი. კერპთ სათაყვანო სამლოცველოს) წარმოადგენდა „ბოდბის დაბა“ (ანუ ბოდბე), „სათნო იგი ადგილი ღმრთისაა“, რომელიც ნინო განმანათლებლის მეოხებით დიდ საქრისტიანო ცენტრად ქცეულა მთელ საქართველოში.

¹ შდრ: ვ. ინგვოროყვა, ვიოტაგი მერხული, 1954, გვ. 147-148. ქართულში მას რომც ენაცვლება, დასტურდება სხვა სიტყვებშიც მავ: სტამბა-სტანბა, ალაქდარი—ალანდარი, მუშამბი-მუშანბი, მეფე-მეფე და ა. შ.

² Н. Марр, Боги языческой Грузии по древнегрузинским источникам, ЗВОИРАО, I, XIV, 1901, стр. 2.

¹ Страбон, География, гл. 497; თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 188; ს. ჭანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 93; ვ. ინგვოროყვა, ვიოტაგი მერხული, 1954, გვ. 433; Г. Меликишвили, К истории древней Грузии, I, 1959, гл. 51, 123, 137, 300, 327.

„სიბრძნე არჩენს გველად“

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გველის ვაზონა ხალხში იწვევს დიდ შიშსა და შეშფოთებას. გველის უკიდურებო, წაგრძელებული სხეული, ვაშტერებული თვალები, რომლებსაც არ ახამხამებს, თითქოს მომწუსხველი გამოხედვა, შავი და წერტილი ორკანი ენა, რომელსაც მოკუშული პირიდან ან ფართოდ გაღებული კბილებიანი ხახიდან გამოჰყოფს ხოლმე, შემადრწუნებელ შიშს ჰგერის ადამიანს. ეს ერთადერთი არსებაა დედამიწაზე, რომელიც სიხშირითა და მხოლოდ შეხედვით თავზარის სცემს მტერს. ადამიანს უმძიმს მის წინააღმდეგ მარტო ბრძოლა. ამიტომაც, რომ იგი გველის დანახვისთანავე ისტებს ისტერიაულ ყვირილს: „გველი, გველი, გველი“. ამ ძახილზე დიდი თუ პატარა კეტებითა და ქვებით იქით გარბიან, სხდაც გველია, ყველა ცდილობს შემზარავ არსებას თავში მარჯვე დარტყმით ვაცხებინოს სული.

გველის არა თუ დანახვა, მისი ხსენებაც კი ზოხსა და შეშფოთებას იწვევს ხალხში. ამ შემთხვევაში ამბობენ, ვიღაც „გამძრახავსო“, და, რომ ბოროტი, შვირდები კაცის ზრახვებს ძალა დაუტარონ, სამაგიეროს მიზღვევის მიზნით, ნათქვამს ქართლში აყოლებენ, „ცეცხლი ჩვენს მძრახავსო“, ან ქვეს ვადამბრუნებენ და თან დასძენენ, „ქვის ქვეშ იყოს მისი ხსენებაო“. ქართლში გველს „მეურავსაც“ ეძახიან, გურიში — „უხსენებელს“, მთის რაქვაში გველის ხსენებას ძალზე ფრიდებიან, მაგრამ თუ სიტყვამ მოიტანა და ახსენეს, „უნდაი“, „წყველი“, „სისო“ იტყვიან, თან ზიზღით დააყოლებენ: „ფო, დაწყველოს ღმერთმა მისი გამჩენი და ჩვენი ცუდად მახსენებელიო“.

იბადება კითხვა, მუდამ ასე საშიში და საზოგადოებრივი გველი ადამიანისათვის? სად უნდა ვეძიოთ საწყისი ამ ქვეწარმავლის ბოროტად გამოცხადებისა?

საინტერესოა, რომ ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება უმეტეს შემთხვევაში გველს კეთილ არსებად, სიბრძნის სიმბოლოდ მიიჩნევს. მთის რაქვაში დღესაც სწამთ, რომ გველს შეუძლია ადამიანს მისცეს სიბრძნე და ამასთან ბედნიერება, რომ გველი არის ადამიანის მფარველი და ოჯახის მცველი.

გველზე გაორებული შეხედვლება დღემდე აინტერესებს ადამიანს და გაკვირვებით კითხულობს — ეს ერთი მხრივ საზოგადოებრივი და ვერაფე არსება, მეორე მხრივ როგორ იქცა კეთილია და სიბრძნის განსახიერებადო.

კარლ ჰავენბეკი ამბობს: „რაც უფრო დიდნის და მეტს ვაკვირდებოდი გველებს, უფრო გუგებარი ხდებოდა, თუ რატომ არის მიჩნეული ეს ქვეწარმავალი სიბრძნის სიმბოლოდ“.¹ საკვირველიაო, წერს პროფ. ნ. რეხვიავილი, რომ გველი, რომელიც ერთ შემთხვევაში ბოროტი საწყისის განსახიერებად წარმოვიდგება, მეორე შემთხვევაში ადამიანის მფარველი და მისი კეთილმყოფელი ანგელოზია.²

საინტერესოა, რომ ძველს მითებსა და საისტორიო წყაროებში გველი მოხსენებულია, როგორც გონიერი, კეთილი არსება. ბიბლიის თაფურცელზე, ხის ძირას მჯდომ ადამ და ევასთან მყოფ სხვა ცხოველებსა და ფრინველებთან ერთად, გამოსახულია მოსაუბრე ადამ და ევასაყენ მიბრუნებული, ხეზე შემოხვეული, პირლია გველი, ქვეწარმავალი თითქოს რაღაცას მინიშნებს ადამსა და ევას. იქვე კითხულობთ — „ხოლო გველი იყო უგონიერეს“.

¹ კ. ჰავენბეკი, მხეცებსა და ადამიანებზე, 1966, გვ. 228

² ნ. რეხვიავილი, სალოცავი „მზიერი“ (გიუნე), მეზუემის ძოამბე, ტ. 24 B, 1964, გვ. 207.

ყოველთა მხეცთა ქვეყანასა ზედა, რომელი შექმნა უფალმან ღმერთმანა.¹

ქართლში გვირგვინებულ ლეონდა დედამიწაზე სიოცხლის გადაჩენას გველს შიწერს. აი, როგორ მომხდარა ეს; შორეულ წარსულში დედამიწის თავს დატყდომია წარღვრად წოდებული კოკსპირტული წვიმები, რომელი დღე და ღამე გადაღებულად წამოიკრა ამ დროს წყლის დაუფრავს ყველაფერი და უოველგვარი სულიერი დაღუბულა გადაჩენილამხოლოდ ერთი კაცი, რომელიც კილობანში მჯდარა და ზღვაში ტრეტრებდა თურმე და ამ კაცთან კილობანში თავმოყრილი ყველა სულიერის თითო-თითო სახე. მალე კილობანში წყალს დაწვეს შევინა და ეგ იყო, უნდა დაღუბულიყვნენ, რომ ამ დროს გამოცოცხებულა იქ მყოფი გველი ანკარა, ზეჯელს კედლი დაეცოდა და კილობანში წყლის დენა შეუწყვიტა. ასე გადაურჩენია გველს კილობანში მქოლში ყველა სულიერი, რომელთაგან შემდგენ სიოცხლზე ხელმოკრედ დაწყებულა, მომარაგებულა ადამიანი და ყოველი სულიერი. ამ სიკეთისათვის ღმერთს გველისათვის მზისფერი გვირგვინი დაუდგამს, მას შემდეგ ანკარა კეთილ, წმინდა არსებად ითვლება. მზისფერი გვირგვინი და საფურეები მას დღემდე არ მოუშორებიათ.

ზოგან დღესაც წმინდა არსებადაა მიჩნეული ანკარა. მისი მოკვლა ან გალახვა დიდ ცოდვად ითვლება. ადამიანს არ ერისის, პირიქით, მისი მფარველი და მცველია, შხამიან გველს სიოცხლს არ გაუშვებს თუ საფურე დაინახა.

მთის რაჭველები გველს რომ მოკლავდნენ, ბასლის სამხლარში დამარხდნენ, პირტყვიან სიმრავლედ და ნაწველ-ნაღლეების ბარაქა იცისო. გველის პერანგს ნაჭერში გაჯავდნენ და სახლის კუთხეში დაკიდებდნენ; ოჯახს დაიცავს ყოველგვარი ავი სულებისა და ბოროტებისაგანო.

გველი კარგ წინადახმებლად ითვლებოდა, მონადირეს ან სხვა მგზავრს წინ გველი თუ შეხვდებოდა, იმ დღეს წარმატებაში დამედებულ ხალხსით შრომობდა და ნადირობდა.

საყურადღებოა სიანური „შეზარი“, რომელიც აქ ოჯახის მცველ ღვთაებად იყო მიჩნეული. „შეზარი, სვანის რწმენით, შეიძლება კაცს გამოცხადებოდა ხმოს, ბუყერს, გველისა და სხვათა სახით, ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა ხაზი გავესვლა იმ ამბავს, რომ გველის სახით შეზარის გამოვლენება იმის შარვენებულად არის, რომ ქართული ხალხის ძველი რწმენაწარმოდგენების მიხედვით გველი „კეთილი ძალა“. „კეთილი სული“ ჩანს.²

ქართულ ხალხურ თქმულებებსა და გადმო-

ცემებში განსაკუთრებული ძალა გველს ენას ენიჭება. მთის რაჭაში სწამდათ, რომ გველის ენის საშუალებით კაცს შეუძლია მკურნალებული და ზრახვი გახდეს. ამასთანავე დაკავშირებით, აქ მეტად საინტერესო ჩვეულება არსებობდა: დაიჭერდნენ გველს, ენას ამოაცილდნენ და გახმობდნენ; გველის გამხმარ ენას ლურჯ ნაჭერში გაჯავდნენ და შეინახავდნენ სოფელში თუ ვინმე სისამართლოზე წარსდგებოდა, გველის ენას, ნაჭერში გახვეულს, მისცემდნენ. მას გველის ენა სისამართლო პროცესზე ჩიბეში უნდა სდებოდა. ასეთი კაცი, რაჭველების რწმენით, მტუქანიც რომ ყოფილიყო, მინიმუმ გამართლებოდა, მიუთმეტეს, მართალი და მტკიერი დანაშაულის ჩამდენი. გველის ენა კაცს მკურნალებული ხდებოდა, ძალღონესა და გამბედაობას მატებდა.

ლურჯ ნაჭერში შეხვეული, ჯიბეს მელა ენა გველის, სადაც წაველ-წამოველი, ყველგან გამარჯვება მელის, სისამართლოზე წავდექი, გავხლი მკურნალებული ზრახვი, გველის ენა მომეშველა, სულს გატრნდა საკენსელი...

გამოვინიო, ამბობს ეალენტია რეხვიაშვილი, თუ მკორეწლოვან ბავშვს ყელზე გველის წიწილის ენას შევამს, ბავშვი ენამტყვეული გამოვაო.

მსგავსი თქმულება დამტკიცებდა ქართლშიც. საგულისხმოა შელოცკით გველის შეყრობის აქაური ჩვეულება. როცა გველის დაჭერა გვიწოდოდა, ამბობს ატენელი ვერა ჯაფარიძე, დაეინახავდით თუ არა, შეველოცავდით:

„კო-კო, კო-კო, კისბანახი, ანანახი, ბანანახი, გველო, შენ გამოარაკადი, თხილის კოხვიით გაშეშდი“.

სიმღერად თქმული ეს შესალოცი გველს გამეშებდა, დავიჭერდით და ნესტარს ამოვაცილიდითო.

ადამიანის ოაჯირკვებულ თვალს კარგად შეუშინებია ქვეწარმავლის ტყბილი ხმით გატაკება და ეს თავის სასარგებლოდ გამოუყენებია.

ტყბილი ენა, საამო ხმა რომ მომარადოვებულად მოქმედებს ღრინველებზე, ცხოველებსა და გველებზე, ამაზე მრავალი გადმოცემა არსებობს. მკვლევართა და მეცნიერთა შრომებიც მიუთითებენ ამის შესახებ. ტყვილად კი არ ლტქვამს რუსთაველს.

„გველსა ზერელით ამოიყვანს ენა ტყბილად მოუბარი“-ო.

¹ ბიბლია, თბ., გვ. 5-6.
² ნ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშ., გვ. 207.



...უდავოდ მიმჩნია, რომ, სხვა ცხოველების მსგავსად, გველიც სიამოვნებით ისმენს მუსიკას — წერს ა. ჰაგენბეიკი.¹

რომ არაფერი ვთქვათ მრავალფეროვან ქართულ ხალხურ ზღაპრებზე, სადაც ხშირად იხსენიება გველი, საქართველოში ყველა კუთხეში შევხვდებით გველთან დაკავშირებით საინტერესო თქმულებებსა და გადმოცემებს, აგრეთვე, ადამიანებს. რომლებიც ამ არსებებს. თან დაკავშირებით სრულდებოდა. აი, ეს მდიდარი ქართული ხალხური საუნჯე იყო წყარო ვეა-ფშაველას პოემა „გველის მკამელისა“.

ვეა-ფშაველა წერდა: შეიძლება ჩემი სიკვდილის შემდეგ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ვერ ამოიცნონ ჩემი ნაწარმოების საიდუმლოებანი და გამაყრიტყონ, ამიტომ ჩემი ნაწარმოების საიდუმლო რომ ვისმე თავსატეხად არ გაუხდეს, ახლავე უნდა ვიღიარო, რომ ჩემი პოემისათვის ხალხის თქმულებებმა მომცეს მასალა...²

ვეა ჰატირაობიდანვე ხალხში ტრიალებდა, ისმენდა ხალხურ ლექსებსა და თქმულებებს, მოსმენილ ამბავს იგი „საკუთარ სულიერ ქურაშა“ აწრთობდა. მას მოსწონებია ხალხში მრავალ ვარიანტად გაბნეული თქმულებები ხოვანის მინდიაზე, მისი პოემად დაწერაც გადაუწყვიტია იგი თავად ამბობს — „ამ პოემისათვის ხალხის თქმულებამ მომცა მხოლოდ შემდეგი მასალა: მინდია ქაქეთს იყო ტყვედ; დამტყვევებელთ მოუხარშეს გველი და აკამეს, რომ მოეწამლათ, მაგრამ საწამლავემა, ზიანის მაგვარად, არცა მინდიას; ხევსურა შეიქმნა ბრძენი, იმას ესმოდა ყველა მცენარეთა — ყვავილების ენა. ამის წყალობით იმან შეისწავლა ექიმობა და პირველი ქანაოზი დადგა; ყველა მცენარე შესასხოდა, მე ამა და ამ სნეულების წამალი ვარო, ამ ყვავილებს აგროვებდა და ყოველგვარ სნეულს ირჩენდა“³ დღეს ყველასათვის ნათელია, რომ ეს, ერთი შეხედვით, წმინდა ფოლკლორული მასალა ვა-ენ დიდ მხატვრულ განზოგადებამდე აიყვანა „გველის მკამელში“.

ვეა-ფშაველას პოემიდან ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა ეს ადგილი, სადაც ნათქვამია:

შეიგნო, ქამა გველისა
ქაქთაჲან იყო ზანება.
სიბრძნე არეწეს გველად,
რომ ჰზიზღებოდა საქმელად,
თუმც „შენე ქამო, მინდიაე“.

არა ზარობდნენ სათქმელად.
შეიგრძნო სიბრძნე ქაქეთის
ამიერიდან ტყვეობა;
მას შესაიფო დაუწყო
ცამ, დედამიწამ, ტყემიო.¹

გველის ენის შეხებით ადამიანის ბრძნად ქცევის მრავალი თქმულება არსებობს საქართველოში. მისი რაქული თქმულება „გველი და გლეხი“ ამბობს: გლეხს ეზოში თავის ზეინი ედგა, ერთ დღეს მას ცეცხლი წაეკიდა და იწვოდა. თავის ზეინში გველი ყოფილა დაბუდებული. უნასმა ცეცხლი რომ იგრძნო, სარს აქცა და მის წვერში გაიჭრა. ცეცხლი მჭერწარება მალღამალა მიიწვება. გველი შიშით იცლანებოდა, არ იცოდა, რა ექნა, როგორ გადაეჩინა თავი. ამ ტანჯვაში იყო ქვეწარმავალი, რომ ეზოში შენიშნა გლეხი. გველმა გლეხს მუდარით მოაძახა: არიქა, კაცო, მიხსენი დაღუპვისაგან და ბედსა გწევო. გლეხმა იფიქრა, რა ბედი უნდა მწიოს ამ წყევლმაო, და ყურადღება არ მიაქცია. კიდევ დაუძახა გველმა, კაცო, მიხსენი ვასაჭირიდან და ბედსა გწევო. ახლა კი დაფიქრდა გლეხი, გუნებაში თქვა, შიდი ვედი, ვადაეარჩენ, ვნახოთ, რა ბედს მწევსო. გლეხმა იღო ცოხი და გველს გაუწოდა, შეშინებული ქვეწარმავალი სწრაფად შეაცოცხა ცოხზე და გამოჰყვა. დანვას გადაიჩინებდა გველმა გლეხს უთხრა შიდი, ახლა ენა ენახე მომადე, და ვველაფერიც მოცუნე შეიქმნებია. გლეხმა დაუჭერა გველს, ენა ენახე მიადო და სულ გამოიკვლია. აქამდე ბრძენი“⁴ და გაუნათლებელი, ბრძენი შეიქმნა, ირგვლივ ყველაფრის ენა ესმის. ცხოველები, ფრინველები, ქვეწარმავლები, თევზები თუ ბალახებიც ერთმანეთს რას ეუბნებიან, ამიერიდან იგებს გლეხი. მიდის ტყეში, ყვავილები იძიხან, მე წამალი ვარო. ზოგი მათგანი იძიხან, მე საწამლაე ვარო. გლეხი წავებს იმ ყვავილებს, რომლებიც ამბობენ, წამალი ვარო და მით სნეულთ მყურნალობს. გლეხმა მთელ ქვეყანაზე გაითქვა სახელი, როგორც კარგმა მყურნალმა და გამოდიდრდა, ასე მისცა გველმა ბედნიერება გლეხს.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი თქმულებები არსებობს სვანეთშიც და, საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

ვარდა ზეპირი გადმოცემებისა, ჩვენში გველის თაყუანისცემისა და მისი კელტის არსებობაზე მიუთითებს, აგრეთვე, ის ფაქტიც, რომ „უძველესი ხანის ნიეთერი კელტურის ძეგლებზე ხშირია გველის ნახატი“⁵

¹ ა. ჰაგენბეიკი — მხეცებსა და ადამიანებზე, 1966, გვ. 230.
² ვეა-ფშაველა, ჩემი პოემების შესახებ ტ. 7, 1956, გვ. 336.
³ ვეა-ფშაველა, დასხ. ნაშრომი, გვ. 336.

⁴ ვეა-ფშაველა, „გველის მკამელი“, სს., 1957, გვ. 249.
⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1, 1928, გვ. 16.

ქართველი კათალიკოსების კვერთხის თავსაც კი, როგორც სიბრძნის სიმბოლო, გველის გამოსახულება ამშვენებდა თურმე. განსვენებულ მფეფ ერეკლეს ცხედართან წყის ასაგებად მისული ანტონ კათალიკოსი იდგა საკურთხეველში, „როგორც კვლავ შემოდო გამობრწყინებულიყო სამკვეთლოს გვერდით, თავისი სამეუფეო კვერთხით თავზე გადახალართული სიბრძნის სიმბოლოთი — თქრის ორი გველით“.¹

საქართველოში გველს, როგორც ოჯახის მცველსა და ადამიანის მფარველ ღვთაებას, სახლის კედლებსა და კარიბჭეზე გამოსატყუდნენ, სწამდათ, რომ ავი თვალისა და ბოროტი სულებისაგან ოჯახი დაცული იქნებოდა. ჩვენში ჯერ კიდევ შეგვხვდებით სახლებს, რომლებსაც გველების გამოსახულება შერჩენიათ. სოფელ გერგეტში (ყაზბეგის რაიონი), იაგორა სუჯაშვილის სახლის კარიბჭეზე გამოსახული ორი გველის ფიგურა ბოლო დრომდე შემონახულია. თბილისის სახელმწიფო ბანკის ძველი შენობის ფასადს ამშვენებს ორი წრისებური ფიგურა. შიგ გამოსახული გველებით. ამ შემთხვევაში ამჟამად საქმე გვაქვს გველის აბულტის გაღმონაშთთან.

საქართველოში გველის გამოსახულება წმინდა ქვის სვეტებზეც გვხვდება. ამ მხრივ საყურადღებოა მდინარე ქციის ანუ ხრამის მარცხენა ნაპირზე მიკვლეული, „გიუნედ“ წოდებული წმინდა ქვის სვეტი.

აღნიშნულ გველის გამოსახულებიან საკულტო ქვისა. რეზევიშვილი „ფალოსური ხასიათის საგნად“, მიიჩნევს. ფალოსის ქვა ნაყოფიერების მომნიჭებელ საკულტო აფრიად ითელეზოდა, სადაც წარმოებდა უშვილო, გასათხოვარი ქალებისა და სუსტიადრებიანი ბავშვების გამოლოცვაჲ საინტერესოა, რომ ნაყოფიერების კულტთან გველის დავაგმირება მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების რწმენა-წარმოდენებშიც დისტურდება. „აღმოსავლეთის რელიგიაში (ბაბილონი) გველს ნაყოფიერების ღვთაებას უკავშირებდნენ. მას ქაღალმერთან იშტრას ცხოველად თვლიდნენ. ინდურ მითოლოგიაში გველი ვიტრა წარმოდგენილია, როგორც მტერი ღვთაება ინდრასი. ვიტრასთან ბრძოლაში ინდრას ვაუჯარდა თესლი, რომელიც დაცა დედამიწაზე და აქედან გაჩნდა მცენარე“.⁴

ინდონეზიისა და მექსიკის ტაძრებში ხშირად

შეგვხვდით სვეტებსა და ბარელიეფებს გველის გამოსახულებებით.¹

მექსიკის უძველესი ცივილიზაციის დღევანდელ ტერიტორიასთან მიღმობრებში ტაძრების დროს ხშირად ნახულობენ პირამიდებისა და ტაძრების ფასადებზე ჭვირფასი ქვებით მოჭედილ მღრინავი გველის გამოსახულებებს. გველს, რომელიც აქ კულტურისა და ცოდნის მფარველ ღვთაებად ყოფილა მიჩნეული, ტაძრებსაც უგებდნენ თურმე. ტოტეშუკანის შემოიჩრევთ, — ამბობს ისტორიკოსი ე. გულიაევი, — უდიდესი და უმშვენიერესი ტაძარი ღვთაება კეცელკოატლიასი — მღრინავი გველის საპატივცემულოდ აგებულია.

ვიღოთ კაცულ თავის ვეოგრაფიაში აღწერს ამერიკის ერთერთი ველური ტომის ადამიანებს. ტომს ტოტეშად გვიღი ჰყოლია და ამდენად თავყანს სცემდნენ თურმე ამ ქვეყნარეალს, რომ ბელადის საფლავზეც კი აღმზარათვთ ხის სვეტი გველის გამოსახულებით.

წმინდა არსებულ მიჩნეულ გველს ვეგობებში ჯერ კიდევ უძველეს დროს ფარაონის დამცველ ძეგლებზე, გამოსახავდნენ. ა. კაქდანი აღნიშნავს, რომ — „სამარხის საყნის დახშულ შესასვლელს, სადაც სამ კუმოსა და ხუთ სარკოფაგში ტოტანამონი ესვენა, იცავდა თვით ფარაონის ორი ქანდაკება, გიურხითა და შეხით შეიარაღებული. დღებულ მცველთა შუბლს წმინდა გველების მისხსანე გამოსახულება ამშვენებდა“.²

ზემოაღნიშნული ამჟარად მეტყველებს გველის თავყანისცემის ფართო ხასიათზე, რაც უძველესა გაიარებულელი უნდა ყოფილყო ამ ქვეყნარეალის ადამიანისათვის სასარგებლო ნიშნა-თვისებებით.

საქართველოში გველს, როგორც დედამიწისა და წყლის ირსებას, დოვლათიანობას უკავშირებდნენ. ს. მაკალათას მიერ ხევისა წაწერილი გადმოცემა ამბობს: „ზოგერთ ოჯახში აქ დასადგურებულა ფუძის გველი ან ალაღა გველი (ანყარა), რომელიც, ხალხის რწმენით, ბედნიერ ფუძეში ამყოფება. ფუძის გველს დიდის მზარუნელობით უვლიან და, რომ ის არ გააჯარონ, მას რქეს უდგამენ, ერბოსა და კარაქს ნებისას აქმევენ. და ა. შ. ხალხის რწმენით, ვინც ამ გველს ზელს შეუწყობს, მის ოჯახში ბარაქა დატრიადდება. თუ გააჯარდა ფუძის გველი, ოჯახიდან წავა და ოჯახიც დიულუება.“

ფუძის გველის გამოსაცნობად, ის ალა-

1 დ. კასრაძე, ერეკლეს ხმალი, 1966, გვ. 175.

2 ნ. რეზევიშვილი, დასახ. ნაშ., გვ. 195-196.

3 ა. ვახეილიძე, დასახ. ნაშ., იხ. ლონგა, „მითოლოგია“, გვ. 136.

4 ა. გორბოვსკი — უძველესი ისტორიის გამოცანები, 1966, გვ. 16.

1 ვ. გულიაევი — ღმერთების სამყოფელო. ძურ. „ნათეა ი ეიზნ“, № 2, 1968 წ.

2 ა. კაქდანი, სუქენეთა კვლადაკვალ, 1967, გვ. 14.

ლია თუ არაში, მისი დანახვისთანავე იტყვიან: „გველი იყო ბიავო, თოლ ლამაზო და ჭიკაო“. ამ სიტყვებზე გველმა ენა თუ გამოყო, ის აღალია, თუ არა და არამიო (შხამიანი). შხამიანი გველი იქვე მოკლავენ, ვნას ამოაცლიან და შეინახავენ. ვისაც გველი დაკბენს, მას ამ ენას წაუსვამენ. ზოგჯერ შეძლებულ ოქაზე იტყვიან, ამ სახლში ფუძის გველია, „მადლი და ბარკა ტრიალტსა“. აბდნიარანო თქვენსა ფუძი გველი არისო“. ფუძის გველის გადმობირება არ შეიძლება და, თუ შეზობელმა ეს გაბედა, სახლის ანგელოზი მას დაამიზეზებს. გველიც იქ არ დადგება და უკანვე გაბრუნდება. ფუძის გველის დამიზეზების გამოცნობა მხოლოდ დეიანოზს შეუძლია. დეიანოზი სანთელს აანთებს და მას ხანგრძლივად უცქერის. შემდეგ იტყვის, ფუძის გველის მიზეზია თუ არა. დამიზეზებულის ოქაზე აცხობს ქადას, ანთებს სანთლებს და სახლის ანგელოზს შეეცდრება, რომ შეიკიდება ანტიოსს და ფუძის გველმა მათი ოქაზე არ დატოვოს, მაგრამ გველი მაინც არ მობრუნდება.¹

გველი სვანეთშიც ოქაბის მცველად და კაცის მხსნელად ყოფილა მიჩნეული. სვანის რწმენით, გველის სიყვდილი ოქაბის მეთაური მამაკაცის სიყვდილის მომასწავებელი იყო. აი როგორ ავგიწერს ამ ამბავს მხატვრულად კონსტანტინე გამსახურდია: როცა სვანურ მაჩუბში შეხიზნული არხაყანი გადაწყვეტს ოქაბში მოულოდნელად გამოჩენილ გველის მოკვლას, ემხება მას ეუბნება: „ეს სვანური მებირია, აღბნო, ამ ოქაბის მფარველადაა იგი მიჩნეული, არ ესროლო, არხაყან. მებირის მოკვლა დიდ უბედურებად ითვლება სვანის ოქაბში“. მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, არხაყანი ჰკლავს გველს, რასაც დიდი წუბილი და უბედურება მოჰყვება სვანის ოქაბში.

ქართლში მამაკაცებს თუშური ქუდის ნაოჭში გველის პერანგის ნახვეის ჩადება და ტარება სიკვდილითა, ყოველგვარი ავი სულისა და ფათურაისაგან დაცული ვიწვნებით.

გორელი ბაზა მურღოლი ამბობს, გველის კანს საფულე მოხშით ახლავ ვატარებ, ის მფარველობს და მიცავს ბორბტი სულებისაგანო. კარგად მახსოვსო. გადმოგვეცეს ატენელი ვერა ჯაფარიძე, რომ ჩვენს ოქაბში წინათ გველი თავისუფლად შემოსულა და გასულაო. მას არაინ არ ერჩოდა, რადგან იტოლდნენ, ეს ოქაბის ვინ არეული, კეთილი ანგელოზიაო. ოქაბის გველი დადის ვენახში, ბაღში, ეზოში და იცავს კარშიდამოს, ეს გველი თუ მოკალი, დიდი უბედურება დატრიალდება ოქაბშიო.

ჩვენმა მეზობელმა ატენში, — ამბობს თამარ მახარაშვილი, შეამჩნია, რომ შავი, დიდი გველი ორ ბავშვს შორის წევს და სძინავსო.

ამის დანახვად შეშინებულმა კაცმა ატენი ეწერა რილი. გველმა ხმაურზე გამოიღვინა და თავის გზით წავიდა ისე, რომ ბავშვებისთვის არა უცხნია რაო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კაცის მანაც მოუვლავს. ამასობაში ქალიც მოსულა სამშუაოდან და, რა უხილავს მკვდარი გველი, თავში ხელები დაუშენია და კეთილით უთქვამს:

„უი, ეს რა ბორბტება ჩავიდენია, კაცო, ფუძის გველი მოგვიკლავს, ოქაბისათვის კარგი არ არისო“. მართლაც, ამის შემდეგ სულ უკნელმა დატრიალდა ამ ოქაბის ბედ-იღბალიო.

სოფ. ჩიქურაულთაქარის (არაგვისპირა, დუშეთის რ-ნი) მცხოვრებნი იაკობ გაბოს ძე სალინაშვილი (80 წ.) და ბესო შორს ძე შიიღლიშვილი (70 წ.) მოგვიხსობენ — „მამა-პაპიდან გავვიცნინა, რომ ყველა სახლსა ჰყავს ოქაბის“, „სახლის გველი“.

ჩვენს სახლში სახლის გველი იყო და მედამ, დილა-საღამოს დილით ვუდგამდით რძესა სახლის გველი თვინიერია. არ შერობს კაცს, გავზოავდება და აილიოყვებს ისე, უბრალოდ ენას. რის გველი, რომელსაც „ნატერის თვალი“ აქვს. დამე ათამაშებს. ის რომ კაცმა ჩაივდოს ხელში, ჩადა უქირს, რასაც სიბოჯს, იმას აისრულებს.¹

მთის რაჭაში დღემდეა გავრცელებული აზრო, რომ არის გველი, რომელსაც ხვითო (ნატერის თვალი) აქვს. ასეთი გველი გამოირჩევა სიღამაზით. ყელ-უჭრი მას ოქრო-ვერცხლის სამკაულით შერევიანებული და დაშვენიებული აქვს, აღმანის არ ერჩის და მისი მოკვლაც არ შეიძლება. თუ შეგხვდა, და სურვილი გაქვს ხვითო ხელში ჩაივდო, გველი რომ ხვითოს შეათამაშებს, უნდა მოახერხო და მოასწრო გველის თავსა და ხვითოს შორის ხანჯლის პირის გატარება ან გველის გზაში წითელი შილათა (ერთგვარი ქსოვილია) უნდა გაუფინო, გველი რომ გაივლის, ხვითოს წითელ შილაზე დატოვებს, თვითონ კი თავის გზით წავა და ნატერის თვალი შენ დაგრჩებაო. ამ შემთხვევაში მოთავრია სიიღმელოვანი მკაცრად შენახვაო, თუ გათქვი ნატერის თვალის მოპოვებისა და მისი სამშუალობით გამდიდრების მიზეზი, გველი შეიტყობს ამას და ხვითოს და მასთან მთელ ღოვლათს ზეულიდან გამოტაცებსო.

ტასო რეხვიამვილი გადმოცემით, „არის ოქაბის გველი, რომელიც ბოხელში ძროხის მიეჩვევა და სწოვს ძუძებს, როგორც ბავშვი. ასეთი გველის მოკვლა არ შეიძლება, აღმანის სიყვდილი და უღოვლაობა იცისო“.

მთის რაჭველის რწმენით, არა თუ გველის მოკვლა, მისი ვალახვაც კი არ შეიძლება. თუ ვინმე უყოლინარობით გველზე ხელს აღმართავს, უმჯობესია მოკლას იგი, ვიდრე ვალახული და

¹ ნ. რეხვიამვილი, სალოცავი „მზიარი“ (ვიუნე), მეზემის მოამბე, ტ. 24-B, 1964, გვ. 210-211.

შეურაცხყოფილი გულშეას, რადგან გალახული გველი აუცილებლად ბორბიტი კაცის კვალს მოძებნის, ოჯახში შეიპარება და შერის იძიებს. გადმოცემით ეს ზღვება ასე: გალახული გველი სტლის მოთქვამს თუ ანა, ადამიანს კვალში ჩაუღვება და მისდევს მას, გველს გზაში რაც შეეზღვება ზე, ბუჩქო, ბალახი, ყვავილი, ქვა, თუ სხვა რომ, უვლადურს ევითება, აქ რომ კაცი მიდიოდა, რა იქნაო? ისინი უპასუხებენ, — მინაის კაცი და მისდევო. მდინარის პირთან ჩერდება გველი და ახლა მას ეკითხება, აქ რომ აკაცი მიდიოდა ნეტა რა იქნაო, მდინარე უპასუხებს, რა ვიცო შე, კაცი რა იქნა, შენც მოდიხარ და შეც მოვდივარ. ამიტომ როგორც შენ იცი მისი გზა და კვალი, ისე შე ვიცოო. მდინარე გზა-კვალს უბნებს გველს და კაცს ვასპირს ამოიღებს თაიდანო, ამიტომ კაცი თუ გველს გალახავს, მან აუცილებლად მდინარე უნდა გადაკვეთოს, თუ უნდა, რომ უბედურებას გადაარჩესო, თუ გველის გამლახავი ადამიანი მდინარეს ვერ გადაკვეთდა და ისე მივიდოდა, შენ, მისალოდნელი უბედურების თაიდან აცილების მიზნით, ოჯახში სრულდებოდა მეტად საინტერესო წესი. უფროსი მამაკაცები სამ დღე და ღამეს ყარაულობდნენ. სახლის საძირკველზე მამალს დაბამდნენ, ის უფრო მალე შეიძვრობს გველის გამოჩენას და თავისებური კატერით შეგატყობინებსო. ყარაულად მყოფი მამაკაცები მოელ ღამეს თეთრად ათენებდნენ გველის მოლოდინში, ფხიზლად ადევნებდნენ თვალურს მამლის ქვეყასა და სხვა საგნებს ფაი-ფურს. თუ ამ სამი დღე-ღამის განმავლობაში გველი არ მოვიდოდა, შერე ის სამიში აღარ იყო, ყარაულობაც წყდებოდა და ოჯახში შვიიდად იძინებდნენ.

გველის მიერ ადამიანის კვალის მიკვლევისა და მისგან შიშადკაცის მსგავსი წეს-ჩვეულება ვერიაშიც დასტურდება. ლიხურული თედო შავიშვილის გადმოცემით, „მოხუცი ნიკოლოზ დობორჭვინიძე ბალახ-ბუღალის ნახარშით „პარჩილა“ უსენებლის მიერ დაკბენილ ავადმყოფს. ზედი უღელ-ღამის განმავლობაში ხანჯლებს ხელში ფხიზლად დარჩაობდნენ ვეჯაკები თონებით ქერში ჩამოყიდებულ, ლოგინზე დაწვენილ ავადმყოფს, თერზე, დაკბენის შემდეგ, გონს მოსული გველი დაადევნებოდა მის მიერ დაშხმულ ადამიანს შხამის დასაბრუნებლად და, თუ მიაგებდა და შხამს ამოსწოდა, ავადმყოფი აუცილებლად მოკვდებოდა. უველაფერი — ქვა, ბალახი, ფოთოლი, ფიჩხი, გვიმრა აცნობებდა გველს, თუ სად გაიარა დაკბენილმა მარტო მდინარესთან ებნეოდა გზა-კვალი ქვეწარმავალს. თუ ავადმყოფი მოკვდებოდა, ეს იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ გველმა მიკვალბუღლის შეურმნეველად დაიბრუნა შხამი. მეც მომიხდა ქერში გამობმულ ლოგინზე წოლა, ათი-თორმეტი წლისა ვიყავი, ფეხზე რომ მივბ-

ნა გველმა ყოვლის ტყეში. თითქმის ერთი თვე მიკვადნენ შეიარაღებული მასკობლები გველისაგან“.

ქართულ ხალხურ თქმულებებშია და გადმოცემებში გველი გვევლინება, როგორც ბავშვის მისიყარულე და დამცველი. ერთი მთის რაჭული თქმულება ამბობს, — დედამ აყენით წაყვანა ბავშვი სამკალში. ყანაში რომ მივილა, აყენაში შწოლაზე, მძინარე ბავშვი იქვე, ზის ძირას, დატოვა, თეითონ კი დაიწყო პერის მკა. შრომაში გაართულმა დედამ ბავშვს დროზე უტარალება რომ ვერ მიაქცია, ბავშვს მოშვიდა და ატირდა. საღ იყო და საღ არა, ამ დროს ვანდა გველი; მტირალ ბავშვთან მივცოცდა, ვითომდა ძუძუთო, ვუღის წვერი პირში ჩაუღო. ბავშვი გაიშედა და მალე შშვიდ ძილს მიეცა. დედა მიეღა, დახედა მძინარე ბავშვს, და, რა დარწმუნდა მის სიმშვიდეში, გუნებოიერად ვააგრძელა მკა.

ბავშვის მოსიყარულე ყვავებულ (საყურებებითა და მძივებით სახეშემკობილი) გველის მოკვლა დიდი ცოდვია.

კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის მკობრებო შაქრო ამირიძე გადმოგვცემს, რომ ჩემი თვალთ მინახავს, ჭინჭარაძეებს ჰყავდათ ოჯახის გველი, რომელსაც სათუთად უვლიდნენ, რბეს ასმევდნენ. გველი არავის არ ეჩრთადა. აყენაში რომ ჩააწვენდნენ ბავშვს, გველი მივიდოდა მასთან და გვერდზე მიუწევებოდა. დილით ერთად დგებოდნენ, გველი თავის გზით მიდიოდა, ეზოში დაკოცავდა და კარშიღამოს უვლიდაო.

გველებე ანალოგიური რწმენა-წარმოდგენები დასტურდება საქართველოს მოსახლეურ ჩრდილო კავკასიულ მთიელებში — ყარაჩაველ, ბალყარულ და ოს — ხალხებში. გაბა თემდარის ძე გულაივის (90 წ., ზემო ბახსანი) გადმოცემით, ოჯახის გველის მოკვლა არ შიშობებოდა ზარალი იცისო.

გველებეშაებში, ქართული ხალხური თქმულებების თანახმად, დაკავშირებული არიან განსაკუთრებით წყალთან, რომელსაც ფლობენ და ნებისმიერ განაწესებენ. ამ მხრზე მათი ხელმწიფობა თანახმად ვრცელდება როგორც ეთერ, ისე მიწიერ წყალზე.

კოსმოგონიური მითები სხვადასხვა ხალხის ამტკიცებენ, რომ ზველეთის წარმოქმნადე, როცა ყველაფერი დაფარული იყო წყლით, არსებობდა რაღაც პირველი საწყისი, გველის განსახიერებით, ამასთანავე გველი განასახიერებდა კოსმოსურ ქაოსს, ე. წ. ქაოსურ მდგომარეობას სიკოცხლის წარმოშობამდე. ძველად, ქართველი ხალხის რწმენით, გველი მინერული იყო წყლის უშხალეს განშვებლად.

ამავე დროს გველი დაკავშირებული იყო გველესთანაც ქვეწარმავლის ადრე განაფხულზე გამოჩენა გვალვის მომასწავებელია. გვიან შე-

მოდგომაზე შისი ხილება — თოვლის გვიან მოს-
ვლასა და თბილი ზამთრის დადგომის შეტყუე-
ლებს.

1966 წლის მარტის მზიანი დღია გათენდა, გო-
რიდან ცხინვალში წაყვილი, არემარე ვერ ისევ
თოვლიანი იყო დაფარული, მხოლოდ აქა-იქ მოს-
ჩანდა რილო-პრილო. ალაგ-ალაგ თოვლის პირი
გაქვსნა. ცხინვალში რომ შევიდო, ხიდზე ხალხს
თავი მოეყარა და ყველა აღიდგმულ ლიპავს გა-
დაპურებდა. შევც წამილა სულმა, ხალხს შე-
ვერთე და დაბლა, მდინარისკენ მივაპყრე მზე-
რა, უზარმაზარი ჩუბი ფერის გველი წყლის
პირას რილოზე გაქმულიყო, მზეზე თიკიდებო-
და, ადგილიდან არ იშორებოდა, მხოლოდ თავი მა-
ილა ავიწია და ენას პირში ისე ასასევებდა, თით-
ქო მუტურებელს ტარაცას ვეღარებოდა, ეუმ-
ბეზოდა. გველის შემხედვარე ხალხი ჩოჩქო-
ლობდა, აქა-იქ გაისმოდა ხმები — წელს გაზა-
ფხული აღარ დადგება, წელსწადი გვაუღიანა
და შეტად ცხელი იქნებაო.

ეს სანახაობა და ხალხის გამოხატვაებში
ღრმად ჩამჩხა გულში და, საცყარია, ისრულდა
მათი წინასწარგონობა, აღრე გაზაფხულზე გვე-
ლის გამოჩენასთან დაკავშირებით თქმული. მა-
რტოვც, იმ წელიწადს მთელს საქართველოში
საშინელი სისხე და გვალება იდგა.

ქართული წარმოდგენების ანალოგები სხვა
ქვეყნების სინამდვილეშიც დასტურდება. ცნო-
ბილია, რომ გველს თავყანს სციმდინე როგორც
აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. გველის თავ-
ყანისცემა განსაკუთრებით გავრცელებული
ყოფილა ეგვიპტეში, საბერძნეთში, ინდოეთში,
ჩინეთსა და ამერიკის ზოგიერთ ქვეყნებში.

„ძველ ეგვიპტეში გველს უწოდებდნენ „წელის
შემხანველს“, „წელის მელანავს“ და სხვ. სამხ-
რეთ ამერიკაში გველას გველს შიარწრდნენ.
ამიტომაც გველს ღროს ზოგიერთი ქვეყნის
მოსახლეობა ხშირად მიმართავდა ვედრებით
გველს. ძველად იპონიაში ჩვეულებად ქეონ-
დით: გველს გააზობდნენ და მოთავსებდნენ
უფთოში. ფიჭობდნენ, რომ ამით წყალდიდობი-
სა და ციკხლისაგან თავს დაიცავდნენ“¹.

უხსოვარ ღარიდან აღამიანი გველის შხამი-
სა და კანისაგან ამზადებდა საუკეთესო წამ-
ლებს. აღმათ ამიტომაც ვაღმეროა მან ეს ქვე-
წარმავალი, სწორედ ამ უძველესი რწმენა-წარ-
მოდგენების საფუძველზეა სამედიცინო ემბლე-
მა და მიღებული ეპაზზე შემოსვეული გველი,
რომელიც თასში შხამს აქცევს.

ძველ საბერძნეთში მედიკინის ღმერთს —
ესკულაპს გამოხატავდნენ კვერთხით, რომელ-
საც გველი ეხვია.

მურწანალები ავადმყოფებს ურჩევდნენ ცოცხ-
ალი გველი მთელი ტანით დაეღოთ სხეულის იმ

ნაწილზე, რომელიც სტეიოდათ. ხშირი ყოფილა
შემთხვევა, სხვა წამლები მისი მიღებდნენ, აღნიშ-
ნული სამედიცინო ავადმყოფის რწმენებზე
მთის რაქვაში დღემდე გამოიყენება „ტაქსის სტეი-
ელის ბაყაყით მურწანაობა. ცოცხალ ბაყაყს
გადაახვევენ ნაქურში და თავმტკიან ავადმყოფს
შუბლზე შემთავებენ, ტყვილები გაუტრებიაო.

როგორც ქართულ ისე სხვა ხალხთა ფოლკ-
ლორში არსებობს მრავალი თქმულება, რომ-
ელთა თანახმად გველის სამუდამო ავად-
მყოფთა განკურნება ხდება.

მთის რაქული ლეგენდა ამბობს: ერთი ბიჭი
ტლქით ვახდა ავად, ეს საშინელ, მოურწრნელ
და გადამდებ სენად ითვლებოდა. მის ყველა
ურადებოდა, ამიტომ, მამიდელე ადათის მი-
ხედვით, ავადმყოფს სოფლის გარეთ მოუწ-
ნეს რაქვა და იქ დააწინეს. დროგამოწვებით
უხიდავდნენ საქმელს, ერთ დღეს დედინაცვა-
ლმა იმ ღროს მიიტანა ფაცხაში საქმელს, რო-
ცა ბიჭს ეძინა. ქალმა იფიქრა, ავადმყოფს
ძილს არ დადევნებობო, და ერთი ქამი რაქ-
ვიეს იქვე. ხის ტუნაზე დაფიდა და თვითონ
შინ წაიქცა. საიდანაც განხდა გველი, რძით
სუსვე ქამთან მიცოცდა, დალია, შემდეგ გამში
ჩანთობა და წაიქცა თავისი გზით. ამ ღროს
ავადმყოფს გველია, მის ძალიან შიოდა და
ხარბად დააწინა რძეს. ქლქიანმა ბიჭმა ამის
შემდეგ კარგად იგრძნო თავი და მალე სულ
გამოჯანმრთელდა.

საინტერესოა, რომ მსგავსი ამბავი აღწერი-
ლი აქვს ს. ორბელიანს თავის „გაგე-არაგეი“
— „მტრობით განუტრნებული“ აქ ნათქვამია, რომ
სინელ ბატონს თავმობებრებულმა მონამ
იმ მაზნით, რომ ბატონი მოეკლა, გველის
ნანახევი შეჯამა მალულად, ამან სწულთ კ
არ მოეკლა, პირიქით, განუტრნა.

ბაზუსისგან გამოვიწინაო — ამბობს სერგო
გნატოს ძე გოგარციანი, წითელი გველის ნან-
ახევი ტლქიანებს მურწანლობდნო. ცოც-
ხლად დაქვრალი წითელ გველს თოფის ლუ-
ლში ნიაბერდნენ და იქ ამყოფებდნენ. ამ
ღროს გველი გამოყოფს ზეთის მავარი სით-
ხეს. აი, ეს სითხე და ნერწყვი ტლქით დაავა-
დებულთა სიფეთესს სამკურნალო სამუდამ-
ად ითვლებოდაო.

ნ. რეხვიაშვილის გადმოცემით მამამისი,
თურმე, წითელ გველს რომ დაიჭერდა, რაც
იშვიათია მთის რაქვაში, ღრღერტოიან ბალახ-
ში ან, როგორც აქ ამბობენ, ბუატში ცოცხ-
ლად ჩააბერენდა და ჩრდილო კავკასიაში მი-
ტკინდა გასასყლად, იქ წითელი გველისაგან წა-
მალს ამზადებდნენ და დიდად ფასობდაო.

გილის „რქის“ წყალში ვაულებადი და
ესაზმით მუცლის ტყვილის ღროს. ასეთი წა-
მალი ტყვილებს გვიყურებდა და გვარჩენდაო,
ამბობენ რაქველები. ქართლში კაცს რომ
თვალი ასტყებდებოდა, ქეთუთოებზე გველის

¹ ა. ვაჩიჩილაძე, „ხოჯაის მინდია“, ვურ
ცისკარი, 1959, № 3, გვ. 116.

კანს უსვამდნენ და აჩრდენდნო, ამბობს ატენელი თამარ მახარაშვილი. ვორელი იამა მურადოვის ვადმოცემით, ციხის დროს აქ გველი კანის ჩაებუნა სცოდნიათ, აღარ გააცემბდათ.

გველის კანს დაენაყვადით და დოს აფრეველით. ასე დამზადებულ წამალს საქმელთან ერთად ვადმოდით ჰირით დაადებულ ქათმებსა და ღორებს. შემდეგ ტანში ჰირი აღარ გაუვლიდათ. ასე ნაშადი წამალი ბნელიანების საუფეთესო სამკურნალო საშუალებადაც ითვლებოდათ, — ამბობს მედრეკისელი ივლიტა მისიაშვილი.

ოლია ბათოს ასე რეზივაციონის ვადმოცემით, მთიბელს წყალი რომ აფისია, ჰურპელს გველი ამოყოლია. ჰურპელი ციხელზე დაუდგამთ, წყალი აუღლებით და გველიც მოუხარწავთეს ნახარში მთიბელს დაუღვია. ამის შემდეგ მას იღლებს ქვეშ დიდი კორძები გამოშვია. ძირმავარსამავარი კორძები გაუყვითათ და იქიდან ცოცხალი პატარა პატარა გველები ვადმოცევილია. ამის შემდეგ მთიბელს ტინიდან ყოველგვარი ავადმყოფობა ვანოუერია.

ბოლნისში ჩაწერილი თქმულება ამბობს — ოდესღაც ყოფილა მკურნალი ლუხმანი, მას ღრინველთა და ყვავილ-ბაღახთა ენაც კი სცოდნია. ასე, ბუნების ენაზე ავროვებდა ის თურმე წამლებსა და ყოველგვარ ტვივებს აჩრდებდა ერთხელ მასთან მისულა მხარშემზარი ვაკი და ტვივით გამწვარებულს ვედრებით მოუშარათეს; ოღონდ მომარჩინე და ჩემს წონა ოქროს მოკცეო. მკურნალს უნახავს მხარი, მთლად ვაშაგებელი და შესიებული, ავადმყოფისთვის მკურნალობაზე უარი უთქვამს, მავ სატვივის მორჩენა შეუძლებელია და წაღი დროზე, ცოცხალი მისაწარი შინო. მწარე სიტყვა არ დაურდებია ლუხმანს ვანწირული კაცისათვის. საბრალთ ავადმყოფი წასულა, ერთ ადგილზე დაღამებია და მწყემსებთან მისულა ღამის ვასათევად, მწყემსებს დაუბატონებელი სტუპისთვის პურის ნატეხი და ერთ კამი რძე მიერთმევიათ, ავადმყოფს ნახევარი კამი რძე დაუღვია, ნახევარი კი დოლისთვის შეუნახია, იქვე, გვერდზე დაუდგამს და ჩასძინებია. დილთ აღდგ შობალის ხმას ვამოუღვიძებია, მიუხედავს და რას ზედავს, ავერ გველი მოსრიალებს, ვამთან მივიდა და დარჩენილ რძეს დაწაფა, გველმა რძე მოსვა, მერე ისევ ვადმოანთხია, კამში ჩაანთხია და წავიდა თვისთვის. ავადმყოფმა იფიქრა, ხომ მაინც ვადღებო და მოდი დავღვე გველის ნანთხესო. დალია კამში ნარჩინი რძე გველის ნანთხევთან ერთად, მალე უკეთ და უკეთ ყოფნა შეეცყო, მხარი დაუცხრა და თანდათან აუშორავდა, ტვივილიც ვაქტრა, სრულიად რომ ვამოწმარბოდდა, ლუხმანთან მივიდა და

უსაუვედრა. აი, რომ მთხარი შენი მორჩენა შეუძლებელია, მე უკვე მოვირა და კარგად ვარო. ამაზე ლუხმანმა მიუგო: „სად შენვად ცალ ძებუ შევი ცხვარი, გველი როგორც სმუძელებინა მისი რძე დალია, მერე ისევ წამოენთხია და ის შენთვის დამუღვეინებინაო. ავადმყოფის ვაკვირებებს საზღვარი არ ჰქონია, რომ მიხვდა, ლუხმანისათვის გველის ნანთხევით მკურნალობის არც წესი ყოფილა უცხო.“

ღღეს საყველოთად ცნობილია გველის შხამის სამკურნალო მნიშვნელობა. აი რას ამბობს ამის შესახებ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი თ. ტალიზინი: „მომაკვინებელი შხამი ვადამუშაგებელი სახით ადამიანისათვის წამალია. პრეპარატი ვიზრალგინი აუტრებს ტვივლებს რეპარატივისა და ნერვების დაავადების დროს. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქვივის გველგესლას შხამისავან ამაღებენ მალამო ვიზრალიტს, რომელიც შევლის იშაახს, რეუმატიზმს და ნევრალგიას. იყო ცდები კეთობის მკურნალობის ჩხრალა გველის შხამით. თურმე კეთობიანი ზოგერ ადვილად ვადიატანს ზოლზე ვანწირული ადამიანისათვის მომაკვინებელ დოზას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ეს კიდევაც შევლის შხამს იყენებენ სისხლის შესაჩერებელ საშუალებადაც; იგი, მავალითად, ზრდის სისხლის შეღებდების უნარს კემოზილის დროს. ტვივლისაყური პრეპარატობის უმრავლესობა (მორფინი, ოპიუმი) საშინია იმით, რომ შეიძლება ავადმყოფი მიეჩვიოს მათ. სათვალაანი გველის შხამი კი, როგორც საბუკოლმა და ამერიკელმა ექიმებმა ვამოარკვეეს, ანულებს ტვივლს და არ წარმოშობს ნარკოზიანას.“

ნათქვამია საკმარისია იმისათვის, რომ ზოგიერთმა მეითხველმა სხვა თვლით შეხედოს გველებს*.

„დიდი ხნის ვანავლობაში ვაბატონებელი იყო ახრი, — ამბობს თ. მუსხელიშვილი, — რომ ქვეწარმავლებს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვთ. მაგრამ უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა ვამოკვლევებმა ძირფესვიანად შეცვალა ეს მცდარი წარმოდგენა. ცხადი ვახდა, რომ ქვეწარმავლები, როგორც ერთ-ერთი ლანდშფტურტი ჩვეუდი, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ბიოცენოზებში და ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობაში. ამის ნათლესავიდად საკმარისია ვავიხსენოთ, თუ რაოდენ დილია ქვეწარმავლების როლი მვენე ენტომოფუნის ვანადგურების საქმეში...“

...ვაცილებით უფრო ტრასკურტია ვირუზას, ცხვირქოსანი გველგესლის და ვაკასიორი გველგესლის შხამი და საშინია ადამიანისა და შინაურ ცხოველთა სიცოცხლისათვის. პირველ

* თ. ტალიზინი, გველთა ქება, ვახუთი „ქომუნისტი“, 13 ივლისი 1967 წ.

როგორ, ეს ეხება გურჯას — ჩვენი ფაუნის უველაზე შხამიან გველს. მართალია, გურჯა სპობს მანე მტარს. განსაკუთრებით, მემინდერებს. მაგრამ მის მიერ მოტანილი ზიანი გაცილებით აჭარბებს ამ მცირეოდენ სარგებლობას...

...ნიშნავს თუ არა ეს, რომ შხამიანი გველები მთლიანად უნდა მოისპოს ბუნებაში, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია? არაერთარ შემთხვევაში გველის შხამი სულ უფრო მეტ გამოყენებას პოულობს მედიცინასა და ბიოქიმიკაში...

საბოლოო კავშირში გველსმუნები შექმნილია შუა აზიის სამ ქალაქში — ტანჯენტში, ფრენესა და თერმეზში. აქ ინახავენ შხამიანი გველების ხეუ სახეობას... ამ გარემოებამ გამოიწვია შუა აზიაში გველების მარაგის საგრძნობი შემცირება. უნდა ეფიქსიოდეთ, რომ ახლო მომავალში შხამიანი გველებს მოპოვების ცენტრი ამიერკავკასიაში გადმოინაცვლებს... მეორე ამიერკავკასიაში გველების საერთო ბიომასა გაცილებით ნაკლებია ამიტომ ჩვენ ვაღპირით უნდა ვფქვით უარს შხამიანი გველებების მოსპობაზე. საჭიროა ეცოდეთ ელემენტარული სიფრთხილე და ეცოდეთ დაზარალების შემთხვევაში სასწრაფო დახმარების აღმოჩენის წესები!

გველთა ქების კიდევ მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკმარისია იმ დღილ სარგებლობის გასათვალისწინებლად, რასაც გველი აძლევს ბუნებასა და ადამიანს. რაოდენ დასანანია, რომ გვეწარმავლთა სამყაროს უცოდინარობის გამო სწორად უსაფუძვლო შიშისა და შეშფოთებას ვამოვთქვამთ გველის დანახვისას, ზოგჯერ კეტსაც მოვედარებთ და გველთ ამ უმეტესდ არსებას, არც კი ვაუფიქრებთ, რა დიდად ეცოდეთ ბუნების წინაშე.

ხალხი ბრძენია, დაუმსახურებლად არავის შეაქებს და ადიდებს. გველის სარგებლიანობას რომ ხედავდა, ამიტომ ხალხს ვერ კიდე უსსოვარ დროს გაულმერობია იყო. შემდეგ დროთა ეთიპობაში, სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობათა შეხლა-შემოხლის პერიოდში, გამარჯვებული მიმდინარეობა თავის სათაყვანებელ ღვთაებებს აყენებდა პირველ ადგილზე, წინამორბედ წმინდანებს კი, რაც შეიძლოს, სახელს უტეხდა და ამცირებდა.

ჩვეულებრივ ყოველთვის, როდესაც ერი ძველ საწმენოებს ტოვებს და ახალს ითვისებს, ძველი საწმენოების კეთილი ღვთაებანი ბორბტ სულხად არიან ზოლზე მიჩნეული! — ამბობს ივ. ჭავჭავიძე. „ირაკუნა“

რომ გველის მიმართ ანტიპათიური განწყობლება და მისი ბორბტ, მანე სულად მიჩნევა უფრო გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს. რაც უძველესა იხსნება ახალი კულტურის განქონისა და მათი ძველისადმი დაპირისპირებით. სხვაგვარად აუხსნელი რჩება საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემინახული გველის კელტის გადმოხანშიობი, რომელთა ანალიზის საფუძველზე ნათლად ჩანს გველის ძველი კელტი და მასთან დავაგშორებული ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი შეხედულებები, ხოლო, მეორე მხრით, იმავე კელტის საპირისპირო მსოფლმხედველობის საფუძველზე გამოქმნეული საწინააღმდეგო შეხედულება და გველისადმი სამიწელი სიტუელი! უერს ნ. რეხვიაშვილი.

გველის კელტი იმდენად ძლიერი ყოფილა ფესვგადგმული ხალხში, რომ ქრისტიანული რელიგიის მესვეურნი, პირველ ხანებში, წარმართობასთან ბრძოლაში მორწმუნეთა წინააღმდეგობას რომ აწყდებოდნენ, ხალხის დასამშვიდებლად სხვადასხვაგვარ თვალთმაქცობას მიმართავდნენ: ამ მიზნით ქრისტიანულ წმინდანებთან ერთად წარმართულ ღვთაებებსაც სატავდნენ.

წარმართული წმინდების ადგილზე ეკლესიებს აგებდნენ. ამ ხერხით ცდილობდნენ ხალხში ქრისტიანული რწმენის უფრო ადვილად დაწერგვა-გაერცელებას.

მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ინახება გულზე ჩამოსაკიდი პატარა ხატი, რომლის ერთ მხარეს გამოსახულია ღვთისშობელი უფლისწულია, მეორე მხარეს კი — გარიჟღად შეკრული, ერთმანეთში მჭიდროდ გადახლართული გველები. მუზეუმის მეცნიერი მუშაკი — ტუტინა აღნიშნავს, რომ მსგავსი მრავალი საეკუნის წინანდელი ხატები ვხვდება აგრეთვე სხვა მუზეუმების კოლექციებშიც, ასეთ ხატებს სლავები ვულზე ატარებდნენ, სწამდათ, რომ ისინი მათ იცავდნენ ავადმყოფობისა და სიკვდილისაგან.

ღვთისშობლის გამოსახულება აშკარად მტრეველებს, რომ ეს ხატი ქრისტიანულია, მაგრამ რა შუაშია აქ გველი? გველი ხომ წარმართობის სიმბოლოა?!. როგორ მოხდა ორი ურთიერთ მტრულად დაპირისპირებული ქრისტიანული და წარმართული რელიგიების ღვთაებები ერთ ხატზე? ამის შესახებ ისტორია ამბობს: ვერ კიდე მორეულ წარსულში მრავალი მიწათმოქმედი ხალხი გველს თვლიდა უხვი მოსავლის სიმბოლოდ უხვი მოსავლის ღვთაებებს ხწორად გამოსახვდნენ გველებთან ერთად წარმართობის დროინდელი სლავები, როგორც ძირითადად მიწათმოქმედნი, თაყვანს სცემდ-

1 თ. მუსხელიშვილი, ქვეწარმავალიც სასარგებლოა, საქართველოს ბუნება, № 7, 1967 წ., 2 ივ. ჭავჭავიძე, დასახ. ნაშ., გვ. 148.

1 ნ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშ., გვ. 207.

ნენ გველს. ამის გარდა ისინი ეთაყვანებოდნენ დედამიწისა და ბუნების სხვა მოვლენებსა.

ამრიგად, ხალხი რომ დაემშვიდებინათ, ქრისტიანები, თავის ღვთაებებთან ერთად, ხატზე ყველაზე ავტორიტეტულ წარმართულ წმინდანებსაც გამოხატავდა. ამ მიზნით უნდა იყოს გელზე დასავლდ მოსკოვერ ხატზე გამოსახული ორი დაპირისპირებული რელიგიის კულტები.

წარმართულს ქრისტიანულთან შერწყმის მსგავს მოვლენაზე პეტრეველს მთის რაჭაში დღემდე შემორჩენილი საყურადღებო ჩვეულება: ახალწლის წინა ღამით „ბიკვეყებად“ წოდებულ სხვადასხვა ცხოველების ფიგურებთან ერთად, გველს გამოსახულბანი რიტუალური პურის გამოცობა, რაც უემპეღია საშურნეო მავის საფუძველზე აღმოცენებულ წარმართულ-საყურატო ცხოველთა თავიანისცემიდან უნდა მომდინარეობდეს. ამ წესებში აშკარად შეიმჩნევა „ქრისტიანული“ და „წარმართული“ ელემენტების შეხამება, რასაც ხანგრძლივი წარსული აქვს, ამიტომაც, რომ მათ ღრმა კვალი დაუმჩნევიათ ხალხის სტლიერ ცხოვრებაზე და დღემდე შეუნახავთ თავი.

ქრისტიანული რელიგია როდესაც მიხანს აღწევდა და ხალხში თავის მდგომარეობას განმტკიცებდა, წინამორბედ ღვთაებებს თანდათან დაეიწყებას აძლევდა. მიუხედავად ამისა, უძველესი რწმენა გველს თავიანისცემისა ბირ-ფესვიანად მაინც ვერ აღმოუფრებია და ხალხის მეხსიერებად დღემდე შემონახა გველთა ქება. შესაძლებელია ეფიქტროთ, რომ გველის თავიანისცემა ბიბლიიდან მომდინარეობდეს. აქ ხომ გველი „უგონიერეს“ არსებდადა აღიარებული. ამევე ღროს იქვე წერია, თუ ღმერთმა როგორ შეაჩვენა და წყურულად როგორ გამოაცხადა გველი იმის გამო, რომ მან შეაცდინა და ღმერთის მიერ აკრძალული ხელი აქამა ევას, რომელმაც შემდეგ ადამიც გააბრძოვა — აქამა ხილი და ამის შემდეგ ორავს ვასციელებათ ნათელი.²

საკობაევი, იქნებ გველის პოროტ სულად გამოცხადების სათავეებიც ამ ღრთოდან მომდინარეობდეს.

¹ ნ. ტუბტინა, ვურ. „რაბოტნიკა“, № 1, 1967.

² ბიბლია, იქვე.

უნდა აღინიშნოს, რომ თქმულების ქართულ ხალხურ ვარიანტებში საწინააღმდეგე პოზიცია გამოთქმული აქ მაკდერად გველი კი არა, ეშმაკია გამოყვანილი, რომელიც ეშმაკებთან ერთად და გააბრძოვებს გველს. მთის რაჭული ლეგენდა ამბობს: ღმერთმა ადამსა და ევას ზეხილით დატუნდულ ხალხში მისცა ბინა. თან ასე დაარბავ: სანამ შე არ გირჩიოთ, ბაღში ხილი არ ქამოთ, თვარა ნათელი ვაგვეცოდებათო. ღმერთმა ადამისა და ევას სახლის კარს საგლოლად გველი გაუყარა, ამ ქვეწარმავალს ენდო და ასეთი დავალებაც მისცა — ადამსა და ევას კარი მხოლოდ და მხოლოდ ზემს ხმაზე გაუღე, სხვა სახლში არავინ შეუშვაო. ყოველდღე მოდლოდა ღმერთი, ადამსა და ევას თვალს გადაავლებდა და ისეც მიდიოდა. ერთ დღეს ეშმაკი მიადგა მათ კარს და დაიძახა: ადამ, ადამ, გზამდე კარი, ღმერთი მოვედო. გველმა ენო, რომ ეს ხმა ღმერთის არ იყო და გაძახა, ხმაზე გეტყობა შენ ღმერთი არ ხარ და წელი აქედან, კარს არ ვაგლეებო. ისე რამდენჯერმე ვიშვებო ეშმაკმა, მაგრამ ვერ იქნა, და გველი ვერ გააბრძოვა. მაშინ ეშმაკმა მიმართა სერბს: წავიდა, ღმერთს უფრი დავგდო, ვადილო მისი ხმა და ახლა მის მსგავსად დაიძახა კარზე. ხმა ისე მიმსგავსებელი იყო, გველს ღმერთი ეგონა და თავისუფლად გაუღო კარი ეშმაკს. ეშმაკმა შეაცდინა ადამი და ევა, აქამა აკრძალული ხილი. ღმერთმა მაკდერად მაინც გველი ჩათვალა და ის დასწყევლა დედოკაცთან ერთად.

სვანური თქმულების მიხედვით, „ეშმაკი გველს შეუძარა მუცელში და ასე შეჭვა სახლში შეაცდინა ადამი და ევა, აქამა მათ აკრძალული ხილი“. ქართლში ვაგრცელებული თქმულება კი ამბობს: ეშმაკი წყლით შეჭვა გველს ადამისა და ევას სამუდამებოში და შეაცდინა ისინიო.³

ამრიგად, ირყევა, რომ გველს თავიანისცემისა და მის კეთილ ღვთაებად მიჩნევას ბიბლიამდე დიდი ხნით ადრე, უფრო შორეულ საუკუნეებში უნდა ქონდეს ფესვები ვადგმულია. ვაჩვილამის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეს პროცესი დაკავშირებული უნდა იყოს ხალხის ძველ რწმენასთან, როდესაც გველს უძმროდნენ, როგორც დედამიწის ძალის, ნყოფიერების ღვთაების ცხოველს“.

³ ა. ვაჩვილამე, დასახ. ნაშ. ვე. 15.



მართი „საგვალდებულო მოვალეობის“ გავით

„მნათობის“ გასული წლის № 11 გამოქვეყნებულ „ქორექტივებში“, სხვათა შორის, „ულოლიკოს“ ვინაობასაც შევეხეთ და, იმის დასამტკიცებლად, რომ „ციცკრის“ 1863 წლის № 9 ამ ზღწმწერით დაბეჭდილი ფრიალ მნიშვნელოვანი სტატიის ავტორი ჩვენი სასიქადულო ისტორიკოსი დიმი. ბაქრაძეა, ოცდაათე მეტი არგუმენტი (საარქივო დოკუმენტი, ზელნაწერი, ძველი ეურნალ-გაზეთი, ტექსტის შინაარსობრივ-სტილისტური ანალიზის მონაცემები და სხვ.) წარმოვადგიინეთ:

1) საკითხის ისტორია, რომელიც შექს ჰუნს დაე. ყიფიანისა და „ულოლიკოს“ პოლემიკის მიზეზებს და ცხადყოფს, რომ დაე. ყიფიანს უსათუოდ დიმი. ბაქრაძე უნდა გამოკამათებოდა; 2) მასალები, რომ დიმი. ბაქრაძის 1860 წ. („წიგნი მიწერილი ალ. ორბელიანისადმი...“), დაე. ყიფიანის 1863 წ. („ორიგანი ქართული გრამატიკის შესამუშავებელ მასალებად...“) და „ულოლიკოს“ წერილების — მასასადამე, პოლემიკის არსს — ის დაქტი განსაზღვრავდა, რომ დიმი. ბაქრაძე იმ დროს კატეგორიულად უარყოფდა გრამატიკის აუცილებლობას; 3) „საქართველოს მოამბესა“ და „ციცკრის“ შორის გამწვავებული პოლემიკის დროს, დიმი. ბაქრაძეს, როგორც „ციცკრის“ ერთ-ერთ მესვეურს, თერგდალუფლთა ეურნალი განსაკუთრებული სიმწვევით აკრიტიკებდა და „ულოლიკოს“ წერილი ამ კრიტიკის პასუხია; 4) მკაცრად უარყოფს რა დიმი. ბაქრაძის შეხედულებებს გრამატიკისა და ლოგიკის შესახებ, დაე. ყიფიანი, არავრთვან დიმი. ბაქრაძეს „ულოლიკოს“ უწოდებს და „ციცკრის“ ავტორის ფსევდონიმიც ზუსტად ამ ასპექტშია გააზრებული; 5) დაე. ყიფიანს მრავალი ამონაწერი მოჰყავს დიმი. ბაქრაძის 1860 წლის წერილებიდან, რომელთაც „ულოლიკოს“ იცავს თავის სტატიაში; 6) გრამატიკის საჭიროებაზე ისეთი თვალსაზრისი, რომელიც „ულოლიკოს“ წერი-

ლის დედნაზის შეადგენს, XIX ს. ქართულ პრესაში, გარდა დიმი. ბაქრაძისა, არავის გამოუთქვამს; „ულოლიკოს“ სტატიაში სიტყვა-სიტყვით შეორდებდა დიმი. ბაქრაძის 1860 წ. სტატიის მტკიცებანი; 7) „ულოლიკოს“, მართალია, მესამე პირში ექომაგება დიმი. ბაქრაძეს, მაგრამ ეს პოლემიკური ხერხია, რადგან, როგორც მოტანილი ციტატები გვიჩვენებს, ეს თვითონ დიმი. ბაქრაძე იცავს თავს; შიგადაშიგ კიდევ ავიწყდება, ან, უფრო სწორად, ამას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს, რომ ფსევდონიმიც გამოდის და აშკარად აშხვლს თავის ვინაობას; 8) იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც დაე. ყიფიანმა თავისი უხეში ტონით დიმი. ბაქრაძეს მიაცუნა, „ულოლიკოს“ პირად სატისფაქციას მოითხოვს მისგან, სამაგიერო ვებზეთ უმსაბინსლდება; დიმი. ბაქრაძის ღირსების დასაცავად კი ასეთ დედელანტურ რისკს სხვა პირი არავითარ შემთხვევაში არ განსწევდა; 9) თავის ვრცელ სტატიაში „ულოლიკოს“ ისეთ ფართო და დრმა ისტორიულ-ფილოლოგიურ, ლიტერატურულ-ლინგვისტურ ცოდნისა და ერუდოციას ამქლავებს, როგორც „ციცკრის“ თანამშრომელთა შორის (და საეროთოდ, მაშინდელ ქართველ ინტელიგენტთა შორის) მხოლოდ დიმი. ბაქრაძეს გააზნდა; 10) იმავე ხანებში, როცა „ულოლიკოს“ პასუხია დაწერილი, დაე. ყიფიანის საღისეუსიო სტატიის წინააღმდეგ ალ. ორბელიანსაც დაუწერია ორი წერილი, რომლებიც მოგვიანებით გამოქვეყნდა „ციცკარში“; რადგან დაე. ყიფიანმა „საშუალო ენის“ თიობაზე, ალ. ორბელიანი და დიმი. ბაქრაძე, როგორც თანამაზრენი, ერთობლივად გააკრიტიკა, ალ. ორბელიანი „ულოლიკოს“ დიმი. ბაქრაძესთან აიგივეებს და მზარს უქრია მას; 11) წერილში — „ზოგიერთი შემენევა“ — ალ. ორბელიანი გარკვევით ამბობს, რომ „ულოლიკოს“ დიმი. ბაქრაძეა და ენერგიულად ექომაგება; ალ. ორბელიანი მკაფიოდ წერს, რომ „ციცკარში“

დომ. ბაქრაძემ („ულოლიკომა“) ღირსეული პასუხი ვასცა დაე. ყიფიანს; 12) როგორც აღნიშნული წერილებიდან ჩანს, „ულოლიკოს“ ვინაობა იმ დროს საიდუმლოდებდა არ წარმოადგენდა; ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ დაბეჭდვით თუ იცოდა, რომ „ულოლიკო“ — და, ბაქრაძე ერთი და იგივე პირი იყო; 13) 1863 წელს დაე. ყიფიანის აღნიშნული წერილის წინააღმდეგ დომ. ბაქრაძეს, როგორც ეურნალის უახლოეს თანამშრომელს, ანტ. ფურცელაძეც გამოეხატა „ციცქარში“; 14) გამოქვეყნებულ ზღაპრებში ანტ. ფურცელაძე ხშირად აღნიშნავს, რომ 1863 წ. სექტემბრამდე დომ. ბაქრაძე „ციცქარს“ ერთ-ერთი მირითადი თანამშრომელი იყო. — და, — რადგან არც მიითვებულ პერიოდში, არც შემდეგ, ვარდა „ულოლიკოს“ წერილში, დომ. ბაქრაძეს „ციცქარში“ სხვა არა დავაბეჭდავს რა, აშკარაა, რომ ანტ. ფურცელაძეს სწორედ ეს წერილი აქვს შეხვედრობაში; 15) ანტ. ჭობრავასთან პოლონეისას, „ულოლიკოს“ ვინაობასთან დაკავშირებით, ანტ. ფურცელაძე, რომელიც 1863 წ. სექტემბრამდე „ციცქარს“ ფაქტობრივ რედაქტორი იყო, — უარყოფს რა თავის ავტორობას, იქვე ეურნალის ერთ-ერთ შეხვედრად დომ. ბაქრაძეს ასახელებს და ა. შ.

იშვიათი შემთხვევაა, რომ სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ამდენი არგუმენტი ასე ერთხმად მიესადაგოს ერთმანეთს და კატეგორიულად დასკვნისთვის ასეთ მტკიცე საფუძველს იძლეოდეს. ყოველგვარ შრომას თავისი, ასე ვთქვათ, სპორტული ინტერესი გააჩნია; თუ ზოგი ამ გატაცებას ასანთის კოლოფების ან საფოსტო მარკების შეგროვებაში პპოვებს, რა ვასაკვირბა, რომ ის ლიტერატურულ კვლევებშიც იბრუნებოდეს. ხშირად მკვლევარი მთელ თვეებს ატარებს ახალი ცნობის, ერთი შეხედვით, რაღაც უმნიშვნელო დეტალის ძებნაში, და, როცა წააწყდება, უსახლერო აღფრთოვანება იბერობს. ზოგჯერ „შესაძლოა, ათეული წლებით ამოვლ დამტყუნ... როცა ამ ძნელი გზით მოპოვებულ ცნობა იშარჩებეს, უხარბა; როცა წამოყენებულ დეტალებს ახალი კონტრასტებით უცაბეკვრებენ, გული სტკივა, მაგრამ, მალე, იძულებულია ან ნაღვლიანი ღიმილით შეურიგდეს მარცხს. — ან, თუ კიდევ რაიმე ეტევი ეპარება, დამატებით ძიებას მიჰყოს ხელი, მოთმინებით ელოდოს ახალი ცნობებს და ამ მოლოდინში განიცადოს კვლევა-ძიების მოუსვენარ დღეთა ზემა სიხარული.

„მნათობის“ მიმდინარე წლის მე-4 ნომერში „ულოლიკოს“ ვინაობის თაობაზე პროფ. ჯ. ჭუმბურიძის სასაუბრო წერილი რომ დაეინახე სწორად ასეთმა გრძნობამ შემიძებურა: ნუთუ, ასე ერთხმად აღმოჩნდა ჩემი ოცდაათი არგუმენტის საწინააღმდეგო მასალა?! ნუთუ, ასე ერთი ხელის დაკვრით დაიბრუნა ამდენი, თითქმის, სიმელო საბუთზე დაფუძნებული დასკვნა?! მაგრამ,

ეს გრძნობა ერთხმად დასკვნის ძიების იმ კინმა, ჭუმბურიძის გაგების ინტერესმა, რომელზედაც ზემოთ მოვახსენეთ; შაბტერეცხვლა, რა ზღადა ეწია ჩემს თვითმულ საბუთს ცალ-ცალკე; ასე მოვლოდნელად სულ რაგორ აღმოჩინა ჩემმა მომაქტრემ ამდენი ახალი კონტრასტუმენტი; რა მასალით, რა საშუალებით დააღწია თავი ამ მრავალრიცხოვანი, ერთმანეთთან შედრელებული ფაქტების ლოცვას?!

წაგიოთხე, და, როცა ჯ. ჭუმბურიძის „პასუხში“ არათუ კონტრასტებით, არამედ ჩემი თუნდაც ერთი არგუმენტის უბრალო ხსენებასაც ვერ წაეაწყდი, ვაოცებულნი დავრჩი. საკვირველია, როგორ მოახერხა მომაქტრემ, ვრცელ „პასუხში“ თავი აერიდებია ჩვენი გამოკვლევის ოცდაათივე არგუმენტისთვის თითქმის, არგუმენტები და, სავთრად, ჩემი ამოკვლევა ანუ ეს არსებობდეს, ჯ. ჭუმბურიძეს შორის წასვლა არ დასკვირებია, — „პასუხისთვის“ თითქმის უცვლელად გადმოთხუქდავს „ციცქარს“ 1966 წ. № 1 გამოქვეყნებული თავისივე წერილი; მაგრამ, რაკ ეს ძველი წერილი ჩვენი ნაშრომის ახალ საბუთებზე არავითარ პასუხს არ იძლევა, ვანა შეიძლება იყოს ამ საბაბით მისი ზღადავრედ დაბეჭდვა? თუ, მეცნიერს უნდა ვახარებოდა, რომ ჩვენი არგუმენტების გასაქარწყლებლად ევრავითარი საბუთი ვერ იბოვა და, ამრიგად, დამტკიცდა, რომ სადავო ნაშრომის ავტორი დომ. ბაქრაძე, რომ ამით შეუქი მოეფინა 60-ანი წლების ქართული კრიტიკის, ლიტერატურის, ეურნალისტიკის ცალკეულ საკითხებს? ჩვენი თბონენტი კი, გამაბათილებელი არგუმენტების ექონლობას უფრო გაეცხარება. რატომ ჩაივლო ჩვენმა მომაქტრემ თავი ასეთ უხერხულ მდგომარეობაში? ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ეს აქტუალური საკითხი რომ არა, შეგვეძლო ჯ. ჭუმბურიძის „პასუხი“ სრულიად უფერადლებოდ დაგვეტოვებინა. ამ ბოლო დროს ძალიან ვახშარდა ელვისებური „პასუხები“, „პასუხის პასუხები“, „პასუხის პასუხის პასუხები“ და ა. შ. ზოგიერთი მკვლევარი თავის სავალდებულო მოვალეობად თვლის უპასუხოდ არ გაუშვას არავერი, დაუყოვნებლივ, სათანადო გახარების გარეშე ეკვეთოს „მოწინააღმდეგეს“, საჩქაროდ ვაგებინოს საზოგადოებას, რომ „საკადრისად“ დაუხვდა მას, რა თქმა უნდა, ძნელია, როცა გამოშვლავდებოდა, რომ ის თხზულება, რომელზედაც ვრცელი ნაშრომი დავიწყებია, წაიხთხული არ გქონია ან ზერეულედ წაგვიხთხეს, — ავტორი და დასკვლიანი (ერთი და იგივე მწერალი) ერთმანეთისთვის დაგვიბრისპირებია, რაკ რომელიმე მწერალს საკეთილი ზღადავრით დაუბეჭდავს, ედიდებს პროგრესულ ფაქტად გამოცხადებაში, ხოლო, როცა მას იგივე აზრი ფსევდონიმით გამოუთქვამს — რეაქციულ მოვლენად ჩაგითვლია, — მაგრამ უსაბუთოდ არეინაზე გამოუსვას,

ასეთ შემთხვევაშიც კი, გაჩუქება სცოხს. არ ეძინა, რომ ურჩაღის გვერდები სასტამბო ნიშნებით ავაგოთ. არც იმის იმედი შეიძლება ვიჭონოთ, რომ ჩვენს „პასუსს“ არაფერ წაიკითხავს, ხოლო, თუ წაიკითხავს, ვერაფერს გაიგებს, ხმა კი გავრცელებს; დაუფრენებლივ „პასუსი უთავაზო“. არა თუ კვალიფიციურ მკითხველს, ფართო საზოგადოებასაც მშვენივრად ესმის, რა მიზანი და ღირებულება აქვს ასეთ „პასუსებს“; როგორი საქციელია შეინიერული ნაშრომის ათობით არგუმენტის წაყრდნობით მკვლევარის დასკვნებში ეჭვის შეტანა.

ვინც ჩვენს გამოკვლევას წაიკითხავს, უთუოდ, დავვიდასტურებს, რომ პატივცემული მომაქვრისთვის ჩვენდამი უხეში დამოკიდებულების არაფერითაა საბაბი არ მიგვიცია. მისაწონი არაა, რომ ლიტონის განცხადებებით შედგენილ „პასუსს“, რომელშიც ყველა საბუთს გვერდს უვლის, ოპონენტი „ულოგიკო კორექტივს“ უწოდებს. ან, რით უნდა აეხსნათ ასეთი საბაბო მდებლო ტონი: — „აღ. კალანდაძის... ამ ციტატაში შეგნებულად (?) დამკვიდრებული არის სიმე შეცდომა“; „აღ. კალანდაძემ მოგვანერა (?) ახ. რი...“; „ა. კალანდაძეს. „რამდენიმე ნებისმი“ (?) თუ უნებლიე შეცდომა დაუშვა“; „მწელი მისაზვედრი არ არის, რატომ ცდილობს ა. კალანდაძე გაიგივივოს...“ (რადიც ბორტგანზრახვას!); „ტყუილად ჰგონია აღ. კალანდაძეს; ჩვენ ამ საკითხებს აღ. კალანდაძეზე „გაცილებით უფრო ადრე მივაქციეთ ყურადღება (იგულისხმება პარაფრაზები და ანოტაციები)... ეს არ უნდა დააიწყედეს“ (?)“. აღ. კალანდაძეს (ცითომ, პლ. გიატასაც ვგაბრალებს და გვემუქრება). „აღ. კალანდაძე შრათალს არ ეუბნება მკითხველს“ (ისევ ბორტგანზრახვას!) და ა. შ.

ჩვენი მომაქვრის გაღიზიანებას სრულიად გარკვეული მიზეზი იწვევს: საქმიანი პოლემიკისას, როცა საბუთები და არგუმენტები მეტყველებენ, მოკამათენი ერთმანეთს მტრულად არ ექცევიან, — თავიანთ თავს საერთო საქმის, მიცნებული შეშინაობების მსახურებად თვლიან, და ურთიერთობაში პატივისცემით არიან გამსჭვალულნი. მაგრამ ჯ. ჭუმბურიძეს, მართლაც სანერგოლო ამოცანა აქვს: — ოცდაათი არგუმენტის საწინააღმდეგოდ ერთი საბუთიც არ გააჩნია და „სავალდებულო პასუსი“ როგორმე, მაინც უნდა შეთხზას. ჩვენ დიდი ხანია დავრწმუნდით, რომ ჯ. ჭუმბურიძეს ვერაფერს დაუშვტყეობთ, ვერავითარი არგუმენტებით ნათქვამს ვერ გადავათქმევიანებთ. მან ერთხელ და სამუდამოდ შეადგინა ქართულ კრიტიკოსთა განლაგების სქემა, რომელშიც XIX ს. თვითველ ქართველ მწე-

რალსა და მოაზროვნეს, მათ შორის, დეგ. ურფინის „აღ. ორბელიანს, „აღიმიელს“, აღ. ცაგარელს (ესენი, ცხალი, სამირისპირი, მხარეებზე არიან განლაგებული) დამ. ბაქრაძეს, „ულოგიკოს“ (ამათვე, ცხალი, სამირისპირი გრაფები აქვთ მიჩნეული), თავისი ავლდამა აქვს გამოკვეთილი და ამ საუკუნო განსასვენებლადან რომელიმე მათგანის გამოხსნა სქემის ავტორის ქვეყნის დაქვევად ეჩვენება. მაგრამ, ჩვენ ამ „ოდილიური საქალის“ მუდღეროების დარღვევის ინტერესი არ გვაშოქმედებს!

თუ მომაქვრემ ჩვენს წერის მთლიანად გვერდი აუარა და ოცდაათი არგუმენტიდან ერთსაც ახლოს არ გაეკარა, მამ, რას წარმოადგენს მისი ეს საყმოდ ვრცელი „პასუსი“?

ჩვენ ვწერდით: „ჯ. ჭუმბურიძე... საკითხის ისე სვამს, რომ, შესაძლოა, სადავო მწერიის ავტორად აღ. ორბელიანი ვიგულისხმოთ“. ამჟამად, რაკი ჩვენი წერილიდან ვაიგო, რომ ეს სრული უზბრობაა, ჯ. ჭუმბურიძე აღმუფოთებით აცხადებს, რომ ეს მოსაზრება ჩვენ „მივაწერეთ“ მას, თორქე მის სტატიაში. ასეთი მინიშნების ნიშანწყალიც არ არსებობს; ამის დასამტკიცებლად, სოფისტური პოლემიკის შესაფერისად, თავისი სტატიიდან თვითონვე მოჰყავს სწორედ ის ადგილები, საიდანაც ვარკვევით ნანს, რომ „ულოგიკოს“ და აღ. ორბელიანს შორის თითქმის „ეკრავითარი განსხვავებას ვერ ამჩნევდ: „ულოგიკოს“ ა. ორბელიანის თვალსაზრისს იმერობებს (იგულისხმება 1860 წ. თვალსაზრისი) და მის—ულოგიკოსი პოზიციის პრინციპულად არაფრით განსხვავდება ა. ორბელიანის... პოზიციისგან“1 და ა. შ.

„პასუსის“ მთელ დანარჩენ ნაწილში ჯ. ჭუმბურიძეს უხეშად გადმოუწერია ციტატები და პარაფრაზები თავისავე ძველი ნაშრომიდან იმის დასამტკიცებლად, რომ „ულოგიკოს“ სტატიაში გატარებული აზრი არამც თუ არ ემთხვევა (?) დამ. ბაქრაძის ენობრივ პრინციპებს, რომლებიც მან 1860 წ. დაბეჭდილ წერილში ჩამოაყალიბა, არამედ ეწინააღმდეგება კიდევ მათ“ ზუსტად ისე, როგორც თავის ნაშრომებში, ჯ. ჭუმბურიძე ტენდენციურად უპირისპირებს ერთმანეთს აღ. ორბელიანისა და დამ. ბაქრაძის შეხედულებებს ე. წ. „საშუალო ენის“ თაობაზე, რათა დავკარწმუნოს, რომ „აღ. ორბელიანს ნათლად არ ჰქონდა წარმოდგენილი ენის განვითარების ხასიათი“, ხოლო დამ. ბაქრაძე „ენის განვითარების თვალსაზრისზე იღგა“2. აკვიტებულნი აზრები და ფაქტების მიმართ ძალმომერობა გამოუვალ წინააღმდეგობებს იწვევს. ახლა ისიც ემატება, რომ მომაქვრეს სურს, თავისი ძველი მოსაზრება როგორმე შეუმჩნეველად მოარგოს

1 ქვესათაობი: „კურიოზები და ფაქტები“ სწორად გამოხატავს კვლევის საგანს და რომელიმე პირს კი არ შეეხება, არამედ საქმის ვითარებას.

1 „მნათობი“, 1971, № 4, გვ. 117; „ცისკარი“, 1966 წ., № 1, გვ. 131.
2 „მნათობი“, 1971 წ., № 4, გვ. 118.

ჩვენი გამოკვლევების არგუმენტებსა და დებულებებს. მისი აზრით, ალ. ორბელიანი ენის განვითარების პოზიციებზე იმიტომ არ დგას, რომ უარყოფს რა „გლუბაკეების“ ენას?, ამით „თანამედროვე სალიტერატურო ენას თავის საფუძველს, საყრდენს აცლის, რომდენადაც სალიტერატურო ენა ცოცხალ მეტყველებასთან, სისაუბრო, სახალხო ენასთან ურთიერთობის გარეშე ვერ განვითარდება“.¹

ორიოდებ აბზაციის შემდეგ, ოპონენტს ავიწყდება ეს ძირითადი დებულება და წერს: დიმიტრი ბაქრაძემ: „მართებულად მიიხნია ალ. ორბელიანის მიერ მოწოდებული ქართული ენის „დაყოფა“... ალ. ორბელიანის ცვალებად, დაბეჭდვით უარყო „საეკლესიო ენა“. მაგრამ (?) ასევე კატეგორიულად უარყოფდა „გლუბური ენაც“ (ზაზი ჩვენია ა. კ.). ავტორი „ულოლიკოსაც“ ამ მიზეზის გამო თვლის ძველი თაობის მოაზროვნედ: „ამ „სამშელო ქართულს“ თეორიის მომხრეთა უმრავლესობა... საეკლესიო უფლებებელთაგანდენ „გლუბაკეების“ ენას“ ე. ი. ცოცხალ, სახალხო მეტყველებას, რომელთანაც კონტაქტის გარეშე, როგორც ცნობილია, ახალი სალიტერატურო ენა ვერ განვითარდება. „ულოლიკოს“ ასეთ პოზიციებზე მდგომი კრიტიკოსია“.²

ამრიგად, ერთი და იგივე ნიშნის მიხედვით — „გლუბური ენის“, უარყოფის გამო, — ალ. ორბელიანი და „ულოლიკოს“ ენის განვითარების პოზიციებზე არ დგანან, „ჩამორჩენილი მოაზროვნეები“ არიან, ხოლო დიმიტრი ბაქრაძე „ენის განვითარების პოზიციებზე დგას“, მოწინავე მოაზროვნეა ე. ი., რაც ერთსთვის ცოდნა (ალ. ორბელიანისთვის, „ულოლიკოსისთვის“), მეორესთვის — შადლი უფილა. ნუთუ, სამეცნიერო ტრუტულება საჭიროა, რომ ანაზნური კემპარიტეზის დასადგენად ეთხვი დავსაყვი: თუ „გლუბური ენის“ უარყოფის გამო ალ. ორბელიანი ენას „თავის საფუძველს აცლის“, მაშინ დიმიტრი ბაქრაძე, რომელიც „ასევე კატეგორიულად უარყოფს „გლუბურ ენას“, როგორცაა „დგას ენის განვითარების პოზიციებზე“? ამზე იტყვიან, მარჯვენა ამ იცის, მარცხენა რასა იქნის.

იტყობა, ჩვენს ოპონენტს თვითონაც არ სჯერა ეს უცნაური მოსაზრება და მომდევნო გვერდზე ალ. ორბელიანისა და დიმიტრი ბაქრაძის თვალსაზრისის არსებით განმარტებულ ნიშნად მას აცხადებს, რომ: „დიმიტრი ბაქრაძემ არ ვაძიარა ალ. ორბელიანის ძირითადი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც საერთო სალიტერატურო ენად რუსთაველისა და, საერთოდ, ძველი ქართული საერთო მწერლობის ენა უნდა მიეჩნიათ და აღდგინათ იგი XIX. 60-ან წლებში“... დ. ბაქრაძე კი „უკეთესი საზოგადოების“ ენად ახალი ქართული ლიტერატურის

წარმომადგენელთა ენას მიიჩნევს (სახალხოებს კიდევ ა. ჭავჭავაძეს, ნ. ბარათაშვილს, გ. ორბელიანს, გ. ერისთავს, დ. ურდიაშვილს) და ახალი ქართული მწერლობის წარმომადგენელთა ენასა და იმეამინდელი ინტელიგენციის მეტყველებებზე იღებს ორიენტაციას. ამ მხრივ იგი პრინციპულად დაუპირისპირდა ალ. ორბელიანის თვალსაზრისს! (ზაზი ჩვენია ა. კ.).

ნურას ვიტყვი ამის გამო, ალ. ორბელიანის მიერ სალიტერატურო ენის ნიმუშებად „გლუბისტიკოსის“, „სიბერძნე სიცროსისა“, „რუსულიანიანისა“ და სხვათა დასახელება მართლა მათი ენის ძველი სახით აღდგენის გული-სხიზობდა. თუ არა (ჩვენი ოპონენტის სქემაში ამას დიდი ადგილი უკავია), ნურც იმაზე, ბოლოს და ბოლოს, ყველაზე არსებითი ეს არის თუ „გლუბური ენისადმი“ დამოკიდებულების საკითხია, — და დაუფეროთ მომპატივებს. თითქოს, უმთავრესი სწორედ ის არის, რომ დიმიტრი ბაქრაძე სალიტერატურო ენის საფუძვლად „უკეთესი საზოგადოების“ ენას ე. ი. ახალი ქართული ლიტერატურის წარმომადგენელთა ენას მიიჩნევს და ნიმუშებად ა. ჭავჭავაძეს, ნ. ბარათაშვილს, გ. ორბელიანს და სხვ. ასახელებს. რატომ უშალავს მოაპატივებე მკითხველს, რომ „ულოლიკოს“ ქართული ენის საფუძვლად „ახალი ქართული ლიტერატურის წარმომადგენელთა ენის მიიჩნევს“ და 1860 წ. დასახელებულ ნიმუშებს (ა. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი და სხვ.) იმეჩრად ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებსაც უმატებს? მაშასადამე, „ულოლიკოს“ დიმიტრი ბაქრაძის 1860 წ. შეხედულებებთან შედარებით წინ წასულა და არა უკან. ამ საკითხშიც პრინციპულად დაპირისპირებია ალ. ორბელიანს; ეს არის, მოაპატივებე რომ ბრძანებს: „ულოლიკოს“ ალ. ორბელიანის თვალსაზრისის იმეორებს... მისი ენობრივი პოზიციის პრინციპულად არაფრით განსხვავდება ალ. ორბელიანის... პოზიციისაგანო?² ეს არის, რომ ბრძანებს, — თუ „ულოლიკოს“ დიმიტრი ბაქრაძედ მივიჩნევთ, გამოვა, რომ მას სამიოდე წლის მანძილზე კავშირითად შეუცვლია თავისი ენობრივი პრინციპები და ძველი თაობის პოზიციებზე დამდგარო?! ეს არის, რომ ბრძანებს: „ულოლიკოს“ კატეგორიულად მოითხოვს ძველი ქართული საერთო ლიტერატურის ენის აღდგენას და მის აღიარებას თანამედროვე მწერლობის საფუძვლადაო?³ საოცარია, ამ საკითხზე მწველობისას, როგორ ახერხებს ქ. ჭუმბურიძე მთლიანად გვერდი აუაროს ჩვენს შესაბამის არგუმენტს და ილია ჭავჭავაძეს არც კი ახსენებს? იქნებ, ჩვენს მოვიგონეთ ეს და „ულო-

¹ „მნათობი“, 1971 წ. № 4, გვ. 118.

² „ცისკარი“, 1966 წ., № 1, გვ. 131.

¹ „მნათობი“, 1971 წ., № 4, გვ. 118-119.

² „მნათობი“, 1971 წ., № 4, გვ. 117.

³ იქვე, გვ. 119.

ლიკოს“ წერილში ილია ქვეკვიციანის ხსენებაც არ არის?! დიახ! მოავეჭრემ შესანიშნავად იცის, რომ ამ ერთი არგუმენტის ოდნავი შეზღუდვა კი ერთბაშად თავდაყირა დააყენებს მთელ წილადობილას. იქნებ, „ულოდიკოს“ არ გვეუთვნის ეს სიტყვები: „ჩვენ გვაქვს მშვენიერი, მდაბიური, ხალხური ენა, რომელსაც მშვენივრად ხმარობს პროზის მწერალი ვამშვირძებ“ (ი. ქვეკვიციანი) და ა. შ.

რა უეჭოდით ამგვარ „გულშემაფეობას“? ნუთუ, ჩვენი ოპონენტი ვერ ამჩნევს, რომ ათობით არგუმენტის წყარუებამაც ვერაფერი უშველა და მისივე ყველა დებულებით, ყველა ციტატით საერთოა აზრებს თვითონვე ძირს უთხრის?! რომ მისი „საბუთები“ მისავე დასველებს ეწინააღმდეგება?

აღ. ორბელიანისა და „ულოდიკოს“ ჩამორჩენილობის მთავრის უმთავრეს მიზეზად ქ. ჭუმბურიძეს ის მიიჩნია, რომ ისინი ახალი ქართული ენის საფუძვლად ძველ საერო ლიტერატურის ენას აცხადებდნენ (რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, დ. გურიამიშვილი, „რუსუდანიანი“ და ა. შ.), რომ, ჩვენი ოპონენტის სიტყვით, ამტკიცებდნენ: „აღნიშნული ძველების ენა საცხებთ თანადროულია და გასაგებია დღევანდელი მკითხველისათვის“.¹ მაგრამ, ყველა წიგნიერ ქართველს მოეხსენება, რომ ეს ჩამორჩენილი თვალსაზრისი კი არ არის, არამედ სწორი, დღეს საყოველთაოდ აღიარებული, მეცნიერულად დამტკიცებული შეხედულებაა, რომელიც, სხვათაშორის, დადასტურებულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში“² განა, ასტრულიერ არა მტკიცება, თითქოს, აღ. ორბელიანი და „ულოდიკოს“ ძველი ქართული საერო მწერლობის ენის პირდაპირ, უშუალო გამოყენებას მოითხოვდნენ მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში?³ ან თუნდა, „ულოდიკოს“ ილია ქვეკვიციანის, „საქართველოს მოამბის“ ენის არ საზავს ყველაზე ცოცხალ მაგალითად? განა ი. ქვეკვიციანი და აღ. ორბელიანი ერთნაირად აღტაცებული არ იყვნენ ივ. კერესელიძის „სალაგბო ფერკლებს“ ენით? განა აღ. ორბელიანი თანმიმდევრულად არ ასახელებს ქართული ენის წინმეუბნს XII საუკუნიდან (რუსთაველის) XVIII საუკუნემდე („რუსუდანიანი“)? ეს არის, აღ. ორბელიანს ენის განვითარების სპირობება არ ენმოდო? საერთოდ, როგორ შესძლო, ჩვენმა მოავეჭრემ, რომ ვრცელ პასუხში თავი აერიდებინა არა თუ ჩვენი არგუმენტების, არამედ დავ. ყიფიანის. მისი წერილისა და პოლემიკის ხსენებისთვისაც კი?

აღ. ორბელიანისა და ღმ. ბაქრაძის მიერ ახალი ქართული განვითარების საფუძვლად ძველი ქართული საერო მწერლობის მიწერება (ივეფხისტყაოსანი“, „ამბროსიანისა“, „ვისრამიანი“, „სამბრძენ-სიკრისი“, „რუსუდანიანი“ და სხვ) ენის გამოცხადება ისტორიულად პროგრესული მოვლენაა, რადგან ის მიმართული იყო იმ დროს გაბატონებულ ანტიკონს სკოლის ხელოვნური, კლასიციტური, „საეკლესიო ენის“ წინააღმდეგ; ხოლო „გლეხური ენისადმი“ მათი დამოკიდებულება სალიტერატურო ენის ცოცხალ მემკვიდრეობასთან კავშირის ვაწვევებს კი არ გულისხმობდა (გაფიხსენოთ, რა მაღალ შეფასებას აძლევს „ულოდიკოს“ ილია ქვეკვიციანს ენას), არამედ ენობრივ ნატურალიზმთან ბრძოლას (ლიტერატურული კრიტიკის ისტორიკოსი ასეთ ჩამეში უსათუოდ უნდა ერკვეოდეს).

არგუმენტებზე მსჯელობის ნაცვლად მოავეჭრე ცდილობს, რაღაც შეცდომაში მიანიჭ დაგვიჭიროს და ამ შეცდომებს ჩვენს სრულად სხვა ნაშრომებში დაეძგეს; მიიტყვებდ დასაშავლად გვითულის, მაგალითად, რომ „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის ნარკვევებში“ პ. უშიაკვილიშის ერთ-ერთი ხელნაწერის შესახებ ნათქვამია, დღემდე არ არის გამოქვეყნებული; რომ ერთ-ერთი ციტატი შეცდომებით არის დაბეჭდილი.⁴ კეთილი და პატიოსანი მაგრამ თქვენ თუ ამ 10-15 წლის წინ დაბეჭდილ ჩვენს რომელიმე წიგნში ერთი-ორი კორექტურული შეცდომა იპოვეთ, ამით ღმ. ბაქრაძის ავტორობის სასარგებლოდ ჩვენს ათობანთ არგუმენტს რაიმე ძალა ავლდება? ეერ ვიტყვით, რომ ქ. ჭუმბურიძეს არ შეეშინოს ეს არგუმენტები; რომ, ჩვენი გამოკვლევა არ წყითობს; რომ ღირსად არ ჩათვალოს ამ არგუმენტებზე ყურადღების შეჩერება; რომ არ ენმოდეს თვითელი მათჯანის ძალა და მნიშვნელობა; რომ ამ დარეგბნოს, რისი დაძებნაც მოკლე დროში მისთვის ხელმისაწვდომ ადგილებზე (თავისივე გამოქვეყნებულ ნაშრომებში) შეიძლებოდა. პირიქით, „პასუხიდან“ მჯიჯილ ჩანს, რომ ამ არგუმენტებისგან ბევრი უბან-წყვეტა დადგომია, მაგრამ, რაი ვასაბათილებლად იოტისოდენაც ვერა უპოვია რა, ხელი ჩაუვლია ყოველი წვილმანისთვის, რომელზედაც ჩასაც ვინდა, და რაგორც ვინდა, იმას იტყვი, მიუვთოთებულად რა იმ გამომგებაზე, რომ „ულოდიკოს“ ფსევდონიმით, ღმ. ბაქრაძემ გრამატიკის უსარგებლობაზე 1860 წელს გამოქმული თა-

¹ „მნათობი“, 1971 წ., №4, გვ. 119.
² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1950 წ.
³ „ცისკარი“, 1966 წ., № 1, გვ. 131; „მნათობი“, 1971 წ., №4, გვ. 119.

⁴ კურიოზია, რომ იგივე ციტატი ჩვენს ოპონენტსაც შეცდომებით მოჰყავს: „ორიოდე წელი“ (დღედანია მომყავი); „სომხური“ (დღედანია სომხურის); „ქვეყანაში“ (დღედანია მიმე არ არის). „ცისკარი“, 1865 წ. №4, „მნათობი“, 1971 წ., №4, გვ. 121.

ვისი შეხედულებანი დაიცვა დაე. ყიფიანის წერე კრიტიკისაგან, — კითხვა ესეამდო: იმდროინდელ პრესაში, ვარდა დიმი. ბაქრაძისა სხვა ვინ უარყო გრამატიკის პოცილობა, რომ ახლა, დღე ყიფიანთან პოლიმიკაში, ამ შეხედულების დასაცავად თავი გამოედო? „სისკარის“ 1966 წ. № 1 გამოქვეყნებულ თავის-სავე წერილში შობაქრეს ამ არგუმენტზე პასუხის გასაცემად, რაღაც ცნობა უპოვნია და ეს ცნობა სანუგეშოდ მოსჩვენებია: „ტყუილად ჰგონია ალ. კალანაძეს. — წერს ის, — რომ დ. ბაქრაძე ერთადერთი კაცი იყო, ვინც გრამატიკის სპირიტებს უგულვებულყოფდა. იმავე ხანებში პ. უმიკაშვილიც აცხადებდა, რომ „ენას კაცი ვერც ღრამატიკით ისწავლის, ვერც არა თეორეტიკითა. ენას კაცი ერთივე სწავლის ცხოვრებაში“. მგარამ, ჟერ ერთი: პ. უმიკაშვილის ეს წერილი არსად დამბეჭდილა და, მამასადავ, ვერც 60-ანი წლების ლიტერატურულ დაქადაგაი თვალზე; მეორეც; დღე ყიფიანის და პ. უმიკაშვილი 1863 წ. ერთ ჟურნალში („საქართველოს მოამბეში“) თანმშრომლობდნენ. თანამოაზრენი იყვნენ და ვიარუდიც არ შეიძლება, რომ პ. უმიკაშვილი იმ დროს „სისკარის“ დღე ყიფიანის წინააღმდეგ ვაილაშქრებდა მესამე და მთავარი კი ის არის, რომ პეტ. უმიკაშვილის ამ უღიმიანთ ფრაზას გრამატიკის აუცილებლობის უარყოფასთან არავითარი კავშირი არ გააჩნია, ისიც გრამატიკის ისეთ გმწილ კრიტიკისთან, როგორიც დიმი. ბაქრაძის (1860 წ.) და „ულოლიოს“ წერილებშია.

ამ „სახუთის“ უსუსერობა ჩვენს მოკამათსაც შეუტენია და, ამიტომ, მასზე მსჯელობას დაუყოვნებლივ წყვეტს. ბოლოს და ბოლოს, ძალიან კარგად იცის, რომ თავისი „პასუხით“ ვერც ვერაფერი დაამტკიცა და ვერც ვერაფერი უარყო. თუ „სავალდებულო პასუხს“ უწინადადებო ჩვეუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ავტორი ვერც კი მალავს თავისი პოზიციის უმწიობას და, ფაქტორად, შინც იძულებულია აღიაროს დიმი. ბაქრაძის ავტორობა. ერთგან ის მამიტურად გვეკითხება: „ჩვენ რა უნდა გვეჩინდეს იმის საწინააღმდეგო, რომ თუნდაც დ. ბაქრაძე იყოს სადავო სტატიის ავტორი?!“ (თქვენი სქემა?! მუნდირი?! „უჩვენიოდ ვინ იმდერეთა“?). საყუთარი პოზიციის სრული უმწიობა და უნებლიე აღიარება კიდევ უფრო ამჟღავნად მელავნდება „პასუხის“ დასკენითს ფრაზაში: „ასეთია ზოგიერთი ფაქტი (?), რომლებიც ეწინააღმდეგება ა. კალანაძის კატეგორიულ მტკიცებას (ახა! ზაზი ზეენია ა. კ.). ამ ფაქტებს (ე. ი. ჩვენი ოპონენტის გაუთავებელ, უსაფუძვლო რეპლიკებს: „ნუ-

თუ?!“, „რატომ?!“, „როგორ“?! ა. კ.). ახსნა სპირიტება და არა მიქმალა“ (რომელი, უნდაც ერთი ფაქტის მიქმალაზე ობიექტურად დათი არგუმენტის, მთელი ჩვენს გამტკიცების მართლა მიმქმალველი ბროფ. ჟ. ჭუმბურიძე?!).

როგორც ვნახეთ, ვარდა ეკვიანი შეძახილებისა, უარწმუნობის გამომხატველი რეპლიკებისა, რომელია მსგავსი ყოველგვარი მეცნიერული მონამოგრის მიმართ ყოველ მოკვდავს ასობით და ათასობით შეძალია წამოისროლოს, მოკამათეს არავითარი ფაქტი და მოსაზრება არ წარმოდგენია. ვფიქრობთ, ნათელია, რა ფასიც აქვს მის ასეთ ეკვიან წესამბლეს: „თუ „ულოლიოს“, მართლაც დ. ბაქრაძის ფსევდონიმი, მაშინ უნდა მივინიოთ, რომ ამ უკანასკნელს სამიოდ წლის განმავლობაში არსებითად შეუცვლია თავისი ცნობრივი პრინციპები (ეს ჟ. ჭუმბურიძის „სქემის“ მიხედვით, თორემ, როგორც ვნახეთ, არავითარი პრინციპები არ შეუცვლია, პირიქით, მტკიცედ იცავდა თავის პრინციპებს! მგარამ, ეს მინც რა საბუთია?! რატომ არ შეეძლო კაცს სავა წლის მანძილზე შეეცვალა „თავისი ცნობრივი პრინციპები“?), რაც მწელად დასაჩერებელია“, ან კიდევ: „მწელად საფიქრებელია, რც ფსევდონიმი დიმი. ბაქრაძის ეკუთვნის“.

მართლაც დამაფიქრებელია, რომ მეცნიერებას, არგუმენტებს, კვლევითებს ეკვიანი შეძახილებით უპირებენ შეცვლას!

რაც „ულოლიოს“ ვინაობის საკითხი ანე იოლად „მოავგარა“, იმავე ნაყალი ზერხით, ბროფ. ჟ. ჭუმბურიძე გვეჩინებს უფლის ათობით ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ არგუმენტს და ორიოდ ლიტონი რეპლიკით ცდილობს უუთავლოს ჩვენს მიერ სარწმუნო საბუთებთან და ანალიზით გამოყვანილი დასკვნა, რომ „ულოლიო“ და „ან. ხუციშვილი“ აღკავარლის ფსევდონიმებია, პატრეცემულ ოპონენტს შეუძლია (და ვის ვის არ შეუძლია?) მთელი ჟურნალი გაავსოს ისეთი ემოციური შეკითხვებით, როგორიცაა: — „თუ პირველი წერილი ა. ცაგარელმა საყუთარი ხელმოწერით დაბეჭდა, მისივე ვაგარელმა რატომღა უნდა გამოეჩვენებინა „ულოლიოს“ ფსევდონიმი?! ან, რალა აზრი ჰქონდა ასეთ შენილბებს?!“ — მგარამ ამით ვერც ერთ არგუმენტს ვერ შეარყვება.

ჩვენ, სხვათა შორის, ვწერთ, რომ 1866 წლის შემდეგ, რაც ალ. ცაგარელი რუსეთს გაემგზავრა, ხელმოწერა — „ან. ხუციშვილი“ ქართული პრესის ფურცლებზე აღარ გვხვდება. ნაცვლად იმისა, დავკვდასტუროს ან უარყოს?

1 „მნათობი“, 1971 წ., № 4, გვ. 121.

2 „მნათობი“, 1971 წ., № 4, გვ. 121 (ჟ. ჭუმბურიძის ფიქრით, ფსევდონიმებს მხოლოდ შესანიღბავად იგონებენ).

1 „მნათობი“, 1971 წ., № 4, გვ. 120.

2 „მნათობი“, 1971 წ., № 4.

გვდება თუ არა ეს ზელოწერა ქართული პრესის ფურცლებზე, ჯ. ჭუმბურიძე დაინიჭით მოგვმართავს: „ეს... ფსევდონიმია?“, „ან... მაინც და მაინც, „ანტონს“ გულისმობს და არა... „ანთიმოსს“, „ანდრიას“ და ა. შ.“¹ საკვირველია, პატივცემული მოაქვრე ჩვენ რატომ მოგვმართავს ამ შეიოზებით; ჩვენ გარკვევით გვაჭვს გამოთქმული ჩვენი მოსაზრება; ხოლო ამონენტს რომ „ცისკარი“ ან საერთოდ ქართულ პრესაში აღმოეჩინა „ანტონ ზუციშვილი“, „ანდრია ზუციშვილი“, ან „ანთიმოზ ზუციშვილი“, ა. მ. შინ შეეძლო ნიშნის მოგება და შეცდომაში მხილება, თორემ ასეთი ოხუნჩობა ისევე არ გამოადგება მეცნიერულ არგუმენტად, როგორც ჭიუტობა და „ემოციური“ რეპლიკები. ესეც ერთ-ერთი საბუთია იმისა, თუ მეცნიერული გამოთის, პოლემიკის რა მეთოდი აურჩევია პატივცემულ ჯ. ჭუმბურიძეს.

„ქორექტივებში“ ჩვენ ანალოგის ვაგლებთ „ღვიშელისა“ და „ანტონ ზუციშვილის“ წერილებს შორის; ჯ. ჭუმბურიძე გვაფრთხილებს, რომ: „ეს ანალოგია არ გამოადგება... (რადგან) ღვიშელი დაუარღებლად აძაგებს დ. ჩუბინაშვილს... ან. ზუციშვილი კი... დადებითად აფასებს დ. ჩუბინაშვილის „ქართულ ქრესტომათიას“² (ხაზი ჩვენი ა. კ.). ამის დასამტკიცებლად, ჯ. ჭუმბურიძეს მთლიანად გამოუტოვებია „ბიბლიოგრაფიული ფურცლის“ დასაწყისი, სადაც „ქართული ქრესტომათიას“ უაღრესად პრინციპულ ნაკლოვანებებზეა საუბარი, და რეცენზიის ბოლო — ე. წ. „მობოდიშებითი ნაწილიდან“, სადაც რეცენზენტი აქებს გამოცემლის ენერგიულობას, ჭაღალდს, სტამბას და მისთ...—ამოუგლგეჯია ორიოდ ფრაზა „ამ შრომის ღირსებებიც (1), რომელნიც შეირდნი არ არიან, არ უნდა დაევიწყოთ“ და ა. შ. ბირითად ნაწილში კი, ანტონ ზუციშვილი წერს: „ამ ქრესტომათიაში არის უმეტეს ძველი მწერლების შრომები, ახალი „შეშლილია“ გ. ერისთავისა, რომლის გვარაც არც კი არის მოხსენიებული. არ ვციით, რათ? ეს ერთი ნიშნული ჩვენი დროების ქართული ენისა საგაობ

არ არის. დაეჭვით, ისე წახდ და დავა ჩვენი დროების ქართული ენა, რამ არაჩვენებ დროების ქართული მწერალი ღირსი არ არის, იმისი ენა დედნათ იხმარონ რომელმე ახალ მოზარდ-მწერლებმა?!

ანტონ ზუციშვილის სწორედ ეს დებულება არის ღვიშელის იმ წერილების ლიტერატურული, რომლებშიც დაე. ჩუბინაშვილის „ქრესტომათიას“ ეხება, რატომ დაამახინჯა ეს ფაქტი ჯ. ჭუმბურიძემ? ამისთანა საქციელს რაღა სახელი დაეარქვათ?!

დასასარულ, დრად საგულისხმოა, რომ ჯ. ჭუმბურიძე არავითარ პოზიტიურ აზრს არ გამოთქვამს იმის თაობაზე, თუ ვინ შეიძლება იყოს „ულოლიყო“, „ღვიშელი“, ან. ზუციშვილი“ და სხვ. ესეც ტაქტიკური დემილია, თორემ, წარმოუდგენელია, რომ 60-ანი წლების ლიტერატურის, კრიტიკის, ეურნალისტიკის მკვლევარს სრულზეთ არავითარი ვარაუდი, არავითარი ეჭვი არ დაეხადოს ასეთი მნიშვნელოვანი ავტორების ენაობაზე.

ჩვენ იმ სკეპტიკოსთა რიცხვს არ ვეუბნებით, რომლებიც საბუთიანობას, ლოგიკურობას, კანონზომიერებას, სიზუსტეს, ჭეშმარიტებას მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათათვის მიიჩნევენ საგაღდებულად, ლიტერატურათმცოდნეობაში კი რისამე ისე დამაჩერებლად დამტკიცებას, რომ საყოველთაოდ მისაღები და საგაღდებულო იყოს, შეუძლებლად თვლიან.

ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ბევრი რამ არაა შესასწავლი, დასაზუსტებელი, გასასწავრებელი. ეს სწემებთან, ამბიციასთან, ავჯიტებულ აზრებთან შეზღა-შემობლასაც გამოიწვევს, მაგრამ ჩვენ თუ არა, მეცნიერთა ახალ-ახალი თაობა მაინც არ დასტოვებს ამ შეცდომებს უუარადღებოდ. ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქმიან, პატიოსან პოლემიკას, როცა მოაქვრეთა სახელი, ყოველი საბუთი სრულ ნდობას იმსახურებს, კინკლაობაზე მოცდენას კი, რა თქმა უნდა, აჭობებს ეს დრო უშუალოდ კვლევამებამს მოვახმაროთ.

¹ „მნათობი“, 1971 წ., №4, გვ. 121.
² იქვე.

¹ „ცისკარი“, 1865 წ., № 9.



რამდენიმე საკითხი ქართული ენის ისტორიიდან

ქართულ „მნათობს“ 1969 წლის № 5-ში დაბეჭდა დიდად პატივცემულ აკადემიკოს აკაკი შანიძის წერილი „მრულ საჩქეში დანახული“, რომელშიც განხილულია ჩემი მონოგრაფიის პირველი ტომი — „ქართული ენის ისტორიისათვის XII-XVIII სს“ (გამოცემა 1964 წელს). რეცენზიაში, ზოგ საყურადღებო შენიშვნასთან ერთად, გამოთქმულია სადავო და არასწორი თეზისებიც, რის გამოც აუცილებლად მივუვანია წარმოუადგინოთ რამდენიმე განმარტება.

1. თავისი შენიშვნის ერთ ნაწილში პატივცემული ა. შანიძე გვება საშუალო ქართულის ფიქტების წემ წაგნში წარმოადგენილ ანალიზს. მიგალითად, საცილობლად არის მიჩნეული „ცმ-თგი“ და შმ-ს წარმომავლობის ახსნა. უნდა აღინიშნოს, რომ ნ. მარისა და ა. მარტიროსოვის შრომებში უფრო ერთგულად და დასაბუთებულად არის განხილული ეს საკითხი. თანაც კერძო საგან „ცმ-ცენ თანდებულის მიღება ასე გადაღობულად არაა წარმოდგენილი, პატივცემული რეცენზენტის ვაგებას კი რიგი წინააღმდეგობა ეწოდება, სახელდობრ: „ცე თანდებულის წყაროდ შეიძლება ყოფილიყო კეღარი“ („შხარე“, „კოდე“) და ამით ახსენება, რომ ხეცურულ პოეზიაში გვხვდება შინისკედ (გვ. 277). ჩვენ ვახდენთ უკვე არსებული „ცენ ფორმის სტატეფურ ანალიზს და ვგვლისხმობთ - ნ ბოლოსართის დეკარტვას. დამახასიათებელია სურათი საშუალო ქართულის ძეგლებში, მათ შორის ყველაზე ადრინდელ „ვეფხისტყაოსანში“; ტაროლისკენ (1330,2) ჭაქეთისკენ (1351,2) და ქვაბისკენ (916,1).

საშუალო ქართულში - ნ მეტე კი არ ერთვის ამ ფუქვს, როგორც პატივცემული რეცენზენტი აღნიშნავს, პირიქით, უფრო ხშირად ძველთაგან არსებულ ფუქეში იკარგება ბოლოციდურ ბოზიციამი. - ნა ნაწილიკი ხშირად მონაცელობს

კოდეც იმავე მნიშვნელობის და მასთან ფონეტიურად მახლობელ ელემენტებთან, რომელთაც გარკვეული ფუნქცია ეძებნებათ (შდრ. ზეღა, ზეგა, ზენა; სადამდი, საანამდი, საარამდი...), ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას - თეი (-თეის) და მე სიტყვების წარმოშობასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, ბატონი აკაკი უნდა იზიარებდეს ნ. მარისა და ვ. თოდურობას მოკვლევებში მიღებულ დასკვნებს, რომლებშიც დადგენილია უძველესი დიალექტური ფენა ქართულ სახელთა ბრუნებში კერძოდ, გამოყოფილია ნათესაობითის - ი ნ ფორმანტი ისეთი ტიპის სახელებში, როგორიცაა გეში-ი (გეშე აღნიშნავს „ღამეს“), შდრ. ხეცურული გეში-ი; მე-ურთმეტე საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში იკითხება: სიტყვა მლიდართათე ი ნ თდენ თქმულ არს (Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, გვ. 72). - ი ნ დაბოლოება არ ჩანს ძველ ქართულ ლიტერატურულ ტექსტებში, მაგრამ თანამედროვე დიალექტებში (აგრეთვე სვანურში) და საშუალო ქართულში იგი გვხვდება და ახალწარმოქმნი სიტყვებითაც არაა. მაშასადამე, ჩვეულებრივია შენიშვნა, სოფლამდი-ი ნ... ამით გვერდით რომ დრიდონის-თეინს ფორმა გვხვდება XII-XVIII სს ძეგლებში, ეს სწორედ ამ ორი სხვადასხვა, მაგრამ ტოლმნიშვნელოვანი, დიალექტური ერთეულის შეჯერადინების შედეგია, თანაც იქ - ი ნ უფრო ძველია.

¹ ი. ნ. ვ. თოდურობა, ნ და ზ ფუნქციისათვის ქართულურ ენებში: სმმ, II, № 1, 1941, გვ. 189-196; მისივე, ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართულურ ენათა ბრუნებთან შედარებით: იქვე, V, № 3, გვ. 339-348; შდრ. ასევე ჩემი წიგნის გვ. 20.

საშუალო ქართულს ტექსტების მიხედვით არ შეიძლება ბოლო პოზიციებში სს იმგვარი დი-კარგვა, როგორც დღეს არის ცნობილი დი-ალექტებიდან (ქართურ-კახური, შიუღურ, ინგოლოური) მუცლი ტკივილი (მუცლის ტკივილი) ტიპის სახელებში, მაშასადამე, სადაც უცნობია ეს ფორმა (მუცლი ტკივილი, ამის ნაც-ვლად: მუცლის ტკივილი), იქ სავარაუდო და მოსალოდნელი არ არის, რომ თვის ფორმამ მოკვეცს -თვი-თვი მიღებულია -თვ-ინ ფორ-მისაღარ ნს დაკარგული. ამით აიხსნება, რომ შიუღურ-გუდამაყრულ-მობეურში იხმარება ბებრისთვი||შებრისთვი.

რაც შეეხება შენ-ა-ს, — წერს დიდად პა-ტივეშვილი ა. შანიძე — აქ ა განვითარებულია და ნ კი წარმოშობით იგივეა, რაც ვინ-ში, სა-დაც, როგორც პირველად ჰ. შეხარბია აღნიშნა, ნ მოთხრობითს ნიშნაა, რომელიც შემდეგ სა-ხელობითში გადავიდა*.

შენ-ა შესაძლებელი და მოსალოდნელია მველ ქართულში, მაგრამ არ გვხვდება (ამით აიხსნება, რომ, როგორც გამოჩნდა ვადაბე-ვა*, ოთხთავის ტექსტის გამოცემის შენიშვნაში აქვს იგი ერთიანი ა. შანიძეს: ქართული ოთხ-თავის რიკი ძველი რედაქცია... 1945, გვ. 364, შენ. 1; შერ. ი. იშანაშვილი, სახელთა ბრუნე-ბა... 1957, გვ. 488, შენ. 1). შენ (ა) იმგვარივე აღნაგობისაა და ისევე ძველია, როგორც შე-ნ (ა), ოქვე-ნ (ა), ზე-ნ (ა), წი-ნ (ა), ში-ნ (ა), შრდ-ში-გ(ა), ში-და(ა), ზე-ნ (ა), შერ. ზე-გ(ა), ზე-დ(ა), დილექტური საღან-ა, აქან-ა, მადან-ა აქ არა-ვითარ მოთხრობითზე ლაპარაკი არ შეიძლება: ნ (ა) ოდინდელი ნაკვალსახელებური წარმოშობის ნაწილაკია, რომელსაც ფუძის დეტერმინაცია ექისრება. უდავოა, რომ ამგვარი ნაწილაკები და-ვიდა საფუძვლად ბრუნელთა ნიშნებს, კერძოდ, შე-ნ, ვინ-ნაკვალსახელებში და წარმოიქმნა მოთხრობითი, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ -ნა (შენა, ზენა, შენა...) ყველგან მოთხ-რობითის ნიშნად გამოეცხადათ.

ყოველივე ამის შემდეგ ნათელია, რომ შენ-ა-ში -ნ ||-ნა ნაწილაკები ისევე დაკარგა (ოღონდ ყველაზე ადრე, ვერ კიდევ V-VII სს), როგორც შე-ნ-ა ტიპის სიტყვებში სახლს შენა—სახლს-ში—სახლში. მაგრამ ეს დაკარგვა ყველგან ერთ-დროულად და სწორახზობრივად არ გაერცლე-ბულა. ამით აიხსნება, რომ შემოგვრჩა წი ნ||წი-ნ-ა, თქვენ, შენ||თქვენ-ა, შენა (მაგ-არამ: თქვენი დალოცვილებში, შე კი კაცო...). ამგვარად, იყო შე-ნ(ა), ჩამოშორდა -ნ და მი-ვიღეთ შე-ნ—შე. ჩვენი დასკვნა სავსებით შე-უფერება სიტყვის ისტორიას.

პატრიკეშვილი რეცენზენტი საცილობლად და საეკვიად მიიჩნევს ზოგი სხვა ფორმის ანალიზს, ასეთებია: ცხოვრება, მწყვესი, ყმა-მ-ვი-ვილ, გეოგრაფიული სახელები ბარდ-ა-

ვი, ხიზაბაერა, გვარი დოლიძე, მიუ-ყვეთ ცალ-ცალკე.

ცხოვრება-ში რომ ვ დაკარგულნი არა ვყ-ჩანს, ცხოვრება კი — კონტამინაციით მიღბე-ლი, ამის საფუძველს გვაძლევს წარმოებულა ერთეულები. ცნობილია, რომ ერთი ცხ ძირი-საგან გვაქვს სხვადასხვა აფიქსით ნაწარმოები სამი ფუძე: ა) ცხოვ, აქედან არის: მაცხოვ-არი, სა-ცხოვ-არი—||ცხოვარი, ცხოველი-ი; ბ) ცხო-რ, აქედან მიღებულია ცხოვრება; ვ) ცხო-რ, საიდანაც იწარმოება ცხოვნება, ცხოვნა (— ცხოვნა). ფუძის ამგვარ ანალიზს სარწმუნოს ზღის ამავე ძირის სიტყვა ცოცხალი (აქედან: სი-ცოცხლე), რომელიც რეფლექსივაციით მიღ-ბული ჩანს (მდრ. შერ. ცხორცხალი), თუმცა რეგრესული ასიმილაციის ოდინდელი წესის მოქმედების შედეგად არა არის უფუძვლებლს-ყოფი (ცოცხალ—სი-ცხ-ალ). ფუძეთა ამგვარი ანალიზით ირკვევა, რომ ცხოვნდი ზნა (აქა-იქ გვხვდება ძველსა და საშუალო ქართულში. უფრო ჩვეულებრივია ცხოვნდი „ციცხლ“) და ცხოვრება, დღეს რომ ნორმია და ძველ-სა და საშუალო ქართულში შედარებით იშვიათი, მიღებულია განზილულ ფუძეთა კონტამინაციით და; მაშასადამე, ვ განვითარებულია ცხოვრე-ბა-ში. ჩამდენდემ სხვაგვარია ამ ფუძეთა გ-დეტერმინაციული ანალიზი, თუმცა -ნ და -რ აფიქსებს ისიც გამოყოფს.

ბ. ავაკი ფიქრობს, რომ მწყვესი უძველეს-სია, იგი წარმოადგება მ-მწყვესი-საგან. რა-მველიც ერთი მ ფუძისეულია (მწყვესი იხმარება ძველ ქართულში), მეორე მიმღებისაა, მაგრამ წყ კომპლექსთან მისი გამოთქმა ძნელია და ფუ-ძის შიგნით გადასვლა: მ-მწყვესი—მწყვესი.

მს. ფუძისეულობა ლაზურისა და ძველი ქარ-თულის მიხედვით ადრე აღნიშნა ე. კლიმოვა (ЭСКЯ, გვ. 142), მაგრამ პატრიკეშვილი რეცენ-ზენტ არ ამგვარად ახსნა ელოდება. ცნობილია, რომ რაც ძველ ტექსტებში გვხვდება, ყოველ-თვის როდია ენის საერთო სისტემის სიძველის მაჩვენებელი. პატრიკეშვილ რეცენზენტს კარგად მოეხსენება, რომ უფრო ძველი ვითარება ზოგ-ჯერ დაუღია დილექტებში (ვაგულსაშობა ამ მხრივ ვურთი აწყვესი ბედა; დილექტორ-1. 425; იმერული წყვესავს, მწყვესი და წყვესი). წყ კომპლექსის წინ რომ შეუძლე-ბელი ყოფილიყო მ-ს გაძლება, მაშინ არ უნდა გვეჩონოდა: მწყვეზარი, მწყვეზარე, მწყვეარი, დამწყვედვა მწყველი, დამწყველი... რომელსაც მ-ს დარითავად არ გვხვდება ძნე-ლი დასაფერებელია, რომ დაკარგვის შიშით გა-დაისმ-გადმოსიმოდეს სიტყვაში ფონემები მთა-ვარი ის არის, რომ მეგრულია და სეანურის მიხედვით მ ამ ფუძეში არ ჩანს, რაც შეეხება ლაზურს, მისი ისტორია უცნობია და უფრო

შესაძლებელია მ ისევე განვითარებულიყო, როგორც ქართულში: ან მიმდგომასთან ანალოგიით (მ-წყნ-ი), ან ძნელდწარმოხატულ ზღუდათა კომპლექსის ეოკალიპტიკის გაძლიერების საკურობითი, რასაც თან სდევს სონანტების განვითარება. მაშასადამე მ-ს პირველადობის საკითხი, მისი განვითარებულად მიჩნევის საწინააღმდეგოდ, დამაჯერებლად არ გვეჩვენება.

არ არის დამარწმუნებელი პატრიცეზულ ა. შანბის მხედრობა, თითქოს ყმაწვილი წარმოდგარი იყოს ყ(რ)მა წულილის ანუ, ყ მ ი წ უ რ ი ლ-ისაგან (ეს მოსარება მან გაიმართა ერთნაღ „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 2, 1969). რეცენზიაში ნათქვამია: „როდესაც ყ(რ)მა მ ი ი ლ „მოყმის“, რაინდის“ მნიშვნელობა, „მაყმის“ აღსანიშნავად დარჩა იგი, მაგრამ დავითო წულილი (წერილი) და მივიღეთ ყ მ ა წ ვ ი ლ ი ო.

ეს რომ ვაგვიზაროთ, ვერ ამ კითხვებზე უნდა გვმონდეს პასუხები: 1. როდესაც ყ (რ) მ ი ი ლ „მოყმე-რაინდის“ მნიშვნელობა, იმ ეპოქაში განა ზუნებრივი იყო წინა ეპოქის გრამატიკული ნორმების მიხედვით შეწყობა საზღვარულ-მსაზღვრელისა? რა თქმა უნდა, არა! ენა უკვე ადგა პრეპოზიციური წყობის გავრცელების გზას: უცხო მოყმე, შავი ცხენი, დიდი ომა, თეთრი ყელი, კარგი მოქურთი, გრძელი სიტყვა... მაშასადამე, ახლად წარმოქმნილი განსაზღვრების ხმაურება ახლ წესს უნდა დამორჩილებოდა და გვეჩონდა (წულილი—) წ ვ რ ი ლ ი ყ მ ა, ყ მ ა კ ი უ ც ნ ო ბ ა ტ ე მ ა ტ ე ბ ი ა ნ; 2. ყ მ ა წ ვ რ ი ლ ი საზღვარულ-მსაზღვრელია, მაგრამ მისთვის ნიშანდობლივი პრეტენზიის წესს არ მიჰყვება, არა: ყ მ ა მ ა წ ვ რ ი ლ მ ა ნ, ყ მ ა მ ა წ ვ რ ი ლ ს ა და ა. შ. როგორ მოხდა ასე ერთმანდალ მისი გაკომპოზიტება? 3. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აიხსნას, როდის, როგორ და რატომ მივიღეთ წ ვ რ ი ლ-ისაგან წ ვ ი ლ ი. რ აგვირ პოზიციამო უფრო ზიარად ეთარდება, აქ კი ფუძისეულია და იკარგება, რამ გამოიწვია ეს, თანდა რამ განპირობა ტოლმნიშვნელოვან ფორმათა — წ ვ რ ი ლ ი — წ ვ ი ლ ი — თანაარსებობა?

ღამისულ კითხვებზე პასუხის გაცემლად ამ სიტყვის ერთგობის შემოთავაზებული გაგების ვაზიარება ძნელია. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, თუ რას გვეუბნება XII საუკუნისა და შემდეგდროინდელი ტექსტები, შეიძლება თუ არა ასეთ კონტექსტში წ ვ რ ი ლ ი (—წული) გვემონდეს მსაზღვრელად. რეცენზიაში ერთადერთი, ისიც თავისთავად ასახსნელი და სახუთად გავმუსხადეგარი მაგალითი მოყვანილი „ვეფხისტყაოსნიდან“ და არ არის ნათქვამი, თუ როგორ არის მიღებული საუთნოვ ყ მ ა რ წ ვ ი ლ ი.

წ ვ რ ი ლ ი (და არსად წ ვ ი ლ ი) ერთ-ერთი იმ ინიკათ ქართულ სიტყვათაგანია, რომელსაც მთელი თხემოვები საუკუნის განმავლობაში, მცირეოდენი ფინტიკური ცვლილებების გარ-

და (წულილი—წურილი—წერილი), შინაარსობრივი ცვლილება არსებითად არ განტყუდებულა და ახლაც აღნიშნავს: *მყურე, მტარე, ცოტა; ვიწრო; გამხდარი; დეტალური* — და უბრისპირდება დღეს, მსხვილს, ფართოს. ამავე ფურისაგანა გაწლობილი (ეტ. 1962, 4) და წ ვ ლ ო ბ ა, ე წ ვ ლ დ ე ბ ი (ეტ. 963, 2):

წ უ ლ ი ლ გ ზ ა მ (მთ 7,14); კ მ ა ნ ი ა ე - წ უ ლ ი ს ა მ (111 შეფეთა, 19, 12); თ მ ა წ უ ლ ი ლ ი (ლევიტ. 13, 13); მ ტ ე რ ი წ უ ლ ი ლ ი (ესაია, 27,3); მ ო ე ე ლ ე ს წ უ ლ ი ლ ი დ ი ა კ ა ნ ი (ცხ. გ. მთაწმ. აღმ. 345,25); დ ლ ს ა და წ ვ რ ი ლ ს ა ე ე ე ლ ა ს ე რ გ ლ ი ლ ს ი (ეტ 1582,3); დ ლ თ ა და წ ვ რ ი ლ თ ა წ ყ ა ლ ო ბ ა (ეტ 49,2); კ ა კ ი წ ვ რ ი ლ ი და ზ ზ ე ლ ი ი ე ო ს (წიგნი საქიმ. 86,27); დ ლ ი ნ ი ი ე ე ე ს თ ე წ ვ რ ი ლ ე ბ ი (ნ. ციციშვილ. 20,2); წ ვ რ ი ლ დ უ ა მ ო ბ (ეტ 689,4; 906,1; 1064,1; 1283,2; 1273,3).

წ ვ რ ი ლ ს ი ტ ყ ვ ა მ რ ა ე ლ ო ბ ი თ რ ი ც ე მ ი ზ მ ო რ ა დ მ სა ზ ზ ვ რ ე ლ ს გ ა რ ე მ ე ა, გ ა ა რ ს ე ბ ი თ ე ბ უ ლ ი ა: წ ვ რ ი ლ ი ა ნ წ ვ რ ი ლ ე ბ ი ი ე ე ე ა, რ ა ე პ ა ტ ა რ ე ბ ი. ამავე აზრით არის ნახმარი წეროლუხი, წერილუხობა, წერილშვილი, წერილშვილიანი.

ამოვეყვიდენ წ ვ რ ი ლ ი ნ ი შ ე ი ლ ი (ეტ 1103,1); მ ა ს უ ს ხ ე ნ წ ვ რ ი ლ ი ნ ი მ ო მ ს წ უ ლ ი ნ ი (ეტ 1221,3); ე ბ ე ე წ ე ბ ო ლ ი ა ნ წ ვ რ ი ლ ი ნ ი ძ ე ნ ი (რუსულ. 13,3); ს ა ნ მ წ ვ რ ი ლ ი ნ ი ი ე ე ე ს, ზ ა ნ ე რ ო ს ა ე ი კ ა დ ე ბ ლ ი, ზ ა ნ — მ ე ო რ ე ს (რუსულ. 585, 16); მ ს ხ ე ი ლ შ ვ ი ლ ე ბ ს ე ე ლ დ ა მ ო რ ა მ, წ ვ რ ი ლ ე ბ ი უ ე ხ ბ ი მ ის რ ს ა (დ. გურამ. 107,580,2); მ ა მ ა ნ ე მ ა თ ე ე ე ნ ი პ ო რ ი წ ა ო ლ, ჩ ე ე ნ წ ვ რ ი ლ ე ბ ი დ ა ე რ ა ჩ ი თ (საქ. სიძე. II, 536,7. 1793-95 წწ).

ამგვარად, კონტექსტებში არის წულილი გზა, თმა წულილი, წულილინი დიკეიანი, წერილინი შვილინი... მაგრამ ძველ ქართულში არც ერთხელ არაა ყ რ მ ა წ უ ლ ი ლ ი, რადგან იგი სემანტიკურად და სტილისტიკურად უხეიროა; ყ (რ) მ ა წ ვ რ ი ლ ი ერთზე არ თქმის (თუ მაინც საღმე იხმარება, ის აღნიშნავს „გამზარდა ახალგაზრდას“, შდრ. წერილ-წერილი, ზმელ-ზმელ...); როგორც ენახელ, ის ჩვეულებრივია მრავლობითში, ყ (რ) მ ა ს თ ა ნ ა მ შ ი ნ ა რ ს ი თ კ ი ი ხ მ ა რ ე ბ ა ჩ ჩ ე ლ: ყ რ მ ა ჩ ჩ ე ლ.

საშუალ ქართულში პოსტპოზიციურად ეს განსაზღვრება, ჩვეულებრივ, არ გვხვდება. ირკვევა, რომ ყ მ ა წ ვ ი ლ ი ს ლ ს ზ ე ა ო დ ე ნ ო ბ ა, აქ წ ვ ი ლ მ ო მ ო ლ ი ნ ი რ ო ბ ს წ უ ლ-ისაგან.

ჩემ წიგნში წარმოდგენილი ახსნა (გვ. 184) უმთხვევა ნ. მარისა (TP, VII, გვ. XIX) და

1 შემოკლებათა განმარტება იხ. ჩემ წიგნებში: „ქართული ენის ისტორიისათვის XII-XVIII სს“, I, 1964, გვ. IX-XV; „ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში“, 1954, გვ. XI-XV.

ვ. თოფურიას („არალი“, გვ. 136). ვაგებას: ყრმაა წული—უმარწული; მამასადამე, აქ ვაგებებს რ-ს ვალსამა წ-ს წინ (უფრო ნაკლებად მოსალოდნელია, თუმცა სავსებით შესაძლებელია რ განვითარებულიყო წ-ს წინ, როცა ყრმა-საგან მივიღეთ ყმა. რ-ს ასეთი განვითარების შემთხვევები ნაჩვენებია ჩემ წიგნშიც).

ყრმა ძველ ქართულში (ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, ბალავარიანის, სინური მრავალთავისა და სხვათა მიხედვით) აღნიშნავს როგორც ჩველ ბავშვს, სქესის განურჩევლად, შემდეგ ასევე ბავს, ვაჟს, საერთოდ ახალგაზრდას, კბაბუს, ხოლო „იოიანეს და ეფთჳმეს ცხოვრებაში“ იმხარება დიდი კაცებისადმი მიმართვაში (გვ. 146). რამდენადღაც ყრმა, ძე, შვილი, უფრო საერთო სახელი იყო, ამდენად საჭირო გამხდარა, მიემატებინათ ამ სიტყვებისათვის ვაჟის აღნიშვნელი სიტყვა წული, რომელსაც ძველ ქართულში და შემდეგ საერთოდ შეიღალა აღნიშნავდა. ასე წარმოიქმნა ძისწული, დისწული, უფლისწული, დედაწული („ცოლ-შვილი“), სახლისწული, შვილისწული, ჭალწული, ძისწული... ამგვარად, ძველ ქართულში ვაჟს აღნიშნავს ძე წული, ყრმა წული, ნაწილობრივ ასეა XII საუკუნეშიც, მაგრამ მერე ყრმაწული ფორმაციი იცვლის და შენაარსო უფროთოვდება. უამრავი მაგალითებიდან წარმოვადგენთ მხოლოდ რამდენიმეს:

რაჟამს იშვის ყრმაა, დახედნის ამქმეღმან მან, წული-ძი არსა ყრმააიგი ანუ ჭალი (ეფთჳთა, IX 84, 24); ურეთუ წული იყოს, მოპკლით იგი, უჯფეთ ჭალი იყოს, განარინეთ (გამოსლგ. I, 16); შობად უც მას ყრმაა წული (ცმ. I, 218,12); ესუა შვილი ყრმაა წული (ხანით, VII, მგ-5); ესუა ყრმა წული მცორე (ლ. მროვ. 123,1); მიუღდა ჭალი იგი და შვა ყრმა წული (ახ. ქც. 448,1); არა ესუა მას წული შვილი, არამედ ერთი ხოლო ასული (ი. აბულ. ლიტ. ურთ. 80,7).

თი ეს ყრმაწული, ჟერ ვაჟი, შემდეგ შვილი საერთოდ, იცვალა საშუალო ქართულში დიალექტებში უმარწულად და ყმაწვილად. დიალექტების უმეტესობაში ეს უკანასკნელი იყო და კიდევ დამკვიდრდა ქართულში. ერთადერთი დაბრკოლება აქ თითქმის ის არის, რომ ყრმაწული დეჟექშია უ, ხოლო ყმაწვილში ვ, მაგრამ ამას ან წმინდა ფონეტიკური საფუძველი აქვს (ეწვი, შდრ. ხერყინი-ხეივრჩინი, იხ. ამ ტიპის მაგალითები ჩემ წიგნში, გვ. 11), ანდა ფსიქოლოგიური — იგი მსგავსი აღნაგობის სიტყვებთან ანალოგიით არის მიღებული. ასეთი სიტყვებია: ა) წული-წული-წერილი; ბ) არასწორად გავებული მწულილი (მარკ. 12,42 „შესაწირავი“...)—წულილი (ქართვეისა წულილი: ზარზ. 182,19) — წულილი; გ) გამსაყუთრებით კი

ჩხვილი-ჩვილი, რომელიც ხშირად იყო ნაშთი ყრმის მსაზღვრელად: ყრმაა ჩხვილი.

ამის შედეგია, რომ საშუალო ქართულში სიტყვებში ძველი ყრმაა წული — ყმაწვილი — ყმაწვილის ნაკვალად იმხარება სულ სხვა, მისი ანალოგიით ნაწარმოები ყმაწვილი (წიგნი სააქიშა, 38,10; 139,33) და წვრილი ყრმა (და არა წილი ყრმა); უმანი დიდნი და წვრილები (ნ. ციციანი. 127,4); ორნი ყმანი წვრილები (საბა, მოგზ. 185,22).

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ყმაწვილი მოდის ყრმაა წული-სიგან, ხოლო წვრილი ყმა ან ყმა წვრილი (უბიარტესად წერილი მრავლობითი და „წერილ-შეილი“ ნიშნულთა აქვს) მერიანიდელია, მიღებულია სხვა სახელთა მსაზღვრელად (ყვრილი, შვილ-თან) გამოყენების ანალოგიით და ახალი გააზრიანებით. არ დასტურდება წერილ-წვილ ფორმით თანაარსებობა: „ყმათა წვრილთა მჟასანი (ე. ი. პატარებს, ბავშვების ბელსი) ფიცხელ და წვრილი (ე. ი. სუსტი) იქნების და მიწეთ ფეთქს. ყმათა კაცთა (ე. ი. კბაბუსს, მოწიფული კაცის) მჟასანი უძლიერესი და უფროახსი იქნების... მსცე შერეულთა მჟასანი ყმათა კაცთა მჟასისგან უფრო უსუსური იქნების და ბერთა კაცთა მჟასი გვიანად ფეთქს და იქვეყნის. და დედათა მჟასი ურმათა და ბერათა... უფრო... უსუსური იქნების“ (წიგნი სააქიშ. 38,10).

ამ ფუძეთა სხვადასხვა წარმოშობით (ყმაწვილი-ყრმაა წული; ყმა წერილი-ყმა წვრილები) აიხსნება, რომ ნაკვიანებ ტექსტებში გვხვდება: ხელში დასაქვრი წვრილი ყმაწვილები იყავით (ი. ქართველიშ. მეფეთ. 86,11), წვრილი ყმაწვილები (კალმას. 252,4), პატარა ყმაწვილები და ა. შ. ყმაწვილი რომ ისე ვაგვეთ, როგორც პატრიკემულ რეცენზენტს ესმის, ეს გამოითქმა დიდად საბოთრო ტერეოლოგია და კატახრეა იქნებოდა (წვრილი ყმა წვრილი), მაგრამ, თუ ბუნებრივი და გასაგებია, იმიტომ, რომ ყმაწვილის წვილი მოდის წული-სიგან.

პატრიკემულ რეცენზენტს ეეძვება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო დეკალიძისაგან წარმომდგარყოფილი ოლიძე. საბუთი? — დოკუმენტები ვერძლებია და გურამთა ვა კომპლექსის ოს არასოდეს არ გვაძლევდა,

გურულ კილოში ვა დღესაც იძლევა ოს-ს: „გვიაროთ სხოგან“ (ლალითა, გვ. 23), „სხო მის შუა“ (ს. ელენტი, გურული კილო, 1936, გვ. 57); ვა კომპლექსის ოლ ქვევის საგულისხნი მავალითებ გვხვდება ე. ნინოშვილის თხზულებებში (მომართოს „მომართვას“, დ. ეშო „დაეშვა“, გვ. 59), მაგრამ უფრო სარწმუნოა დღევანდელი პეტრეველების ფაქტები: ამოტბილი, ამოქვამული, გახევაშნა („გადარჩენა“, „გამოსხნა“, სოფ. მამათი), შდრ.

გ ა ხ თ შ ნ ა (სოფ. ლიხური). ამ მხრით ანალოგიური ვითარებაა აქართველშიც: თავად—თ ა რ დ და ა. შ. წინა საუკუნეებში ამგვარი ცელილიბა კიდევ უფრო გავრცელებული უნდა ვოფილყო, რადგან გურულ შერყველებაში დღესაც შესამჩნევია მსგავსი პროცესები ვ-ს შემცველ ხმოვნთან კომპლექსებში: ვე—ო, ვი—უ: ქ ო ყ ა ნ ა (ქართული დიალექტ 1, 425), კუპი შ ე წ ო ჰ ა (იქვე, 417) წაპყევაა—წ ა ხ ო ჰ ა, კ ო მ ო ტ ი, გ უ მ ბ რ ა... ამ მოვლენებს ყველგან ერთნაირი ფონეტიკური კანონზომიერება განაპირობებს და მატ-საქლებად თითქმის ყველგან გვხვდება. ესეც რომ არ იყოს, განა პარალელურად არსებული ფორმები გვარის სახელებში კ ო მ ო ტ რ ი ძ ე || კ ო მ ო ტ რ ი ძ ე (შდრ. გეოგრაფიული), დ ო ნ ა ძ ე || დ ე ა ნ ა ძ ე, კ ო თ უ ა || გ ე ა თ უ ა ამ მოვლენის შედეგი არაა, თუნდაც აქ წინაუკმო პროცესი (ო-ს დამლა) ვიეარაუდოთ? ბოლოს, დოლიძეების დღევანდელი გურულობა აქ საბუნთად მოსატანი არაა: ეს გვარი არც დღეს და არც ასი წლის წინათ ვახერხებ, არც, მის ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს (ამჟერად ზელში მოშვედა XVII ს. საბუთი, სადაც დოლიძეები იხსენიებიან: Hd—10345. 1689—1717 წწ. იხ. დოკ. საქ. სოც. ისტ. 1, 1940, გვ. 475) და, თუ რომაზმტიკის ტოპონიმისათან გენეზისურ კე-ფარში განვიხილოთ, მაშინ იგი IX-X საუკუნეშიც ვადაჩქევს. ამასთან დაკავშირებით ქართველი ტომების მიჯრაციულ ძვრებსაც უნდა ვითვალისწინებდეთ (გურულები დღეს ქაყვლებიც არიან...).

პატრიცეზულ რეცენზენტის შენიშვნაში ლაპარაკია აგრეთვე გეოგრაფიულ სახელობა — ბ ა რ დ ა ვ ი ს ა და ხ ი ხ ა ბ ა ვ რ ა ს — იმ გავების შესახებ, რომელიც ჩემ წიგნშია წარმოდგენილი (გვ. გვ. 174; 254-5).

ცნობილია, რომ ბ ა რ დ ა ვ ი (ისტორიულ რაში) და მისთანა სინაზები პერჯბის საეპოფრისი იყო, პერები კი ერთ-ერთ უძველეს ქართულ რ ტომად არის მიჩნეული და, ბუნებარიად, სახელიც მათი იყო (ამ საკითხს სპეციალურად უხება ისტორიკოსი თ. შაუთაშვილი: IX-XII სს პერეთის პოლიტიკური ისტორიიდან, „მაცნე“, № 3, 1967, გვ. 78-80 და სხვა შრომები). შემატინე გვაძინობს: „ხოლო ბ ა რ დ ო ს მისცა მტურარი სამკრით, ბერდუქის მდინარითგან, ვიდრე სიდა შეკრებებან მტურარი და რაქსი. ამან ბარდოს აღაშენა ქალაქი ბ ა რ დ ა ვ ი და დაეშენა მენე“ (ქტ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. 1955, 5,5), ხოლო „ისტორიანი და აზშანი შარაქანდელთანი“ ვვაუწყებს: „შიშპართეს ბ ა რ დ ა ვ ა დ. დიდად და ძველად ქალაქად... გამოიღეს... პეროსის მძინა ბ ა რ დ ო ს ის მიმული“ (ქტ. II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. 1959, 130,8). სავარაუდოა, რომ ამ ფრაქში ავ და -ოს საწარმოებელია, ბარდ ძირია. ბარდავ ტომონის მსგავსადღვი ნაწარმოები ზან-ავ-ი, მან-ავ-ი,

თელ-ავ-ი... ავ სუფიქსის დიალექტური ვარიანტები ჩანს -ევ (ზოსლ-ევი), -ოვ (ვოცხ-ოვი) და მათი ქართულობა უძველია.

ჩემ წიგნში რამდენიმე ადგილას ეხებები (გვ. 23, 48, 53, 63, 101, ხოლო სპეციალურად 6-6) მ ნინის ხმაარების თავისებურებებს და მის წარმოშობასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნულია, რომ მ იხმაარება მ-ს ფუნქციითაც (გვ. 15). მაგრამ შემდეგ საქმე ეხება ზოგად ფუნქციის თვალსაზრისით საყვარლ რთულ, ენათმეცნიერულად ახალსა და აქტუალურ საკითხს: დადგენილია, რომ უძველეს პერიოდში გარკვეული რიგის თანხმოვანთა არტიკულაციის თანხმობად უნდა ყოფილიყო ლაბიო-ველარიზაცია და ლარინგალიზაცია, რაც საფუძვლად დასდებია, ერთი მხრით, წყ, ცხ ტიპის კომპლექსთა წარმოქმნას და, მეორე მხრით, მოვლენათა თვისებური სახე ქართულურ ენათა ბგერათმსახტყვისობაში.

შე ეყებოდი ამ მოვლენის გადმოწამობებს საშუალა ქართლის დიალექტებში. ყურადღებას იქცევდა მ ბგერის ხმაარება ვ resp. უ ბგერის ადგილას ქართულურ ენათა მასალაში და ქართულიდან შეზობულ ენებში ნახსებებ სიტყვებში: ქართული ჭეპარი, ჩახტური ჭეპარი, ინგუშური ჭეპარი. და აქ ვსამ საკითხს: ეგებ მართაოდენ ჩახტურ-ინგუშურის გამოთქმის სპეციფიკა არ იყოს ეს და შემორჩენილი ვჭეპარდეს ქართლისათვის დამახასიათებელი ოდინდელი ვლარინგული არტიკულაცია. ამასთან დაკავშირებით არის მოხსენებული ძველი ქართულის ორნაირი ფორმის — იოვანე და იოჰანე ან იოჰანა — გამოთქმის საკითხი: ხომ არაა იოჰანაში მ-ს უძველესი ვლარინგული არტიკულაციის ნიშანი, ხომ არ ჰგავდა უძველესი ვ resp. უ ბგერის არტიკულაცია მ ბგერისას. თუ ეს ასე იქნებოდა, მაშინ ტექსტებში ნახშირი იოჰანე ან იოჰანა არტიკულაციით ტოლფარდი იქნებოდა იოვანე-ში (სხვაგვარად არ შეგვიძლია ვიშაქვოლოთ ათასბუთისი და მეტი წლის წინანდელ წარმოთქმაზე). ასე ხდებოდა ენათული წარმოშობის იოჰანან სახელის ადაპტაცია ქართულში და გვიანდელ ბერძნულში, ვითარდებოდა ე (რომელმაც შემდეგ დასაბამი მისცა ქართულ ფორმის ვანო, ხოლო ზოგ ევროპულ ენაში დარჩა ძველი მ: ჰანს). ასეთია მსგავლობის შინაარსი, ხოლო იოჰანა და იელიანა რომ ქალის სახელია, ეს არაიცი უარუყვია: ეს ყველაფერი შეეხებოდა მოსახრებას არტიკულაციის პროცესში თანხმოვანთა ლაბიო-ველარიზაციისა და ლარინგალიზაციის მოვლენებთან დაკავშირებით. ასეთივე ხასიათის არის ზოგიერთი მონაცვლეობის ისტორია ქართულში, რომელზეც ამჟამად შექმნილია მნიშვნელოვანი გამოკვლევები, ჩემ წიგნშია და წინანდელ მონოგრაფიაში („ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში“, თბილისი: 1954, გვ. 170-75) აღნიშნავ, რომ

და რი და მისი ვარიანტები შუა რ და რ ი შუ რ და რ ნაწილობრივ ემორჩილება ქართულ შესაფერის აუტსტიკურ შთაბეჭდილებას, არის ცდა სხვადასხვა ვარიანტიდან დამედიანდეს ერთი, თუმცა ამ ცდას გადამწყვეტი შედეგი არ მოჰყოლია და ეს სიტყვა სულ უარყო ქართულში.

2. ჩემ მონოგრაფიაში საკმაო ადგილი უჭირავს უცხო ლექსიკური ფონდის სიტყვათა ფონეტიკურ დახასიათებას. როგორც აღნიშნული მაქვს, საშუალო ქართულის განვითარება შედარებით უფრო მეტად თავისებურ გარემოცვაში ხდებოდა, ვიდრე ძველი და თუნდაც თანამედროვე სალიტერატურო ენისა. ვარდა იმისა, რომ საშუალო ქართულის შემადგენლობაში დღისა სხვადასხვა დიალექტური ჩვენის გრამატიკული ფორმები და მათი ფონეტიკური სისტემისათვის დამახასიათებელი მოვლენები, ამ პერიოდს ენას უხდებოდა ინტენსიური ურთიერთობა სხვადასხვა იყავის ენებთან (თურქული, ინდო-ირანული, არაბული, ბერძნული), რაც თავის კვლას ანიჭებს ქართული ლექსიკის განვითარებას. ამ ფაქტების გათვალისწინება აუცილებელია ცალკეულ თავისებურებათა ისტორიის შესახებ მსჯელობისას და ეს შეძლებისდაგვარად არის მხედველობაში მიღებული (იხ. გვ. VIII).

ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვა ხშირად გვხვდება სხვადასხვა ფორმით, რომელშიც ცვლილია ხმოვანი თუ თანხმოვანი ან ორივე ერთად (მაგ. ფეროზი|ფირუზ, თადარივი|თადარიქი...), ამ ვითარების გასათვალისწინებლად საგულისხმია წიგნის ერთი ადგილი: „გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთივ იმას, თუ როდეს და რომელი ენიდან (ან სათანადო ენის რომელი დიალექტიდან, ზემოთი თუ წიგნური გზით) შემოვიდა ესა თუ ის სიტყვა ქართულში“ (გვ. 250, შტრ. იქვე, შენ. 2; გვ. გვ. 247, 257-9, 267).

შეორე მხრივ, ცალკეული ლექსიკური ფორმების ანალიზისას მხედველობაშია მიღებული ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ „XVI-XVIII სს საბუთებს ადგენდნენ და მწიგნობრობას ეწეოდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც (სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ოსები), ბევრი მათგანი იმდენად იყო განსწავლული და დაწინაურებული, რომ ამ მხრივ რაც საბატიო სამეცნიერე უყვთადენ და ანლოდნენ“ (გვ. 11, შტრ. შენ. 1; შტრ. გვ. 35, შენ. 1). თქმულა ზოგმა მთლად გამართულად არ იცოდა სალიტერატურო ენის ნორმები და საგრძნობ შეცდომებით უშვებდა, რაც ასახულია თითო-ორილა საბუთში.

ყოველთე ზემოთქმულით აიხსნება, რომ ქართულში უფრო ძველად გვაქვს ქულბაგი (შშ. სწავლ. 331, 34; ლიშ. 124,8; კიშ. I, 166,37), შემდეგ ქულბაქი (ქართ. სპარს. ისტ. საბ. 207,27.1648 წ.; შშ. 5466,4; ოშიან. 225,4; რუ-

სულ. 538,13) და აგრეთვე ქულბაკი (რუსულ. 48,26-30). მამასადამე, ფილარეტსპარსული ფორმა ქულბა, ქულბაგ სწავლასხვა ლოკოს შემოსულია და ცვლილა ქართულში; ვერც ქართულ ლექსიკონში ვერ იპოვიეთ ამ ვარიანტებს: თადარიგი (საქ. სიძე. II, 543,8. 1793-95 წწ.; კალმასობა, II, 20, 34; 47, 34; 56,33; ი. ბარათ. ცხ. ანდ. 40,28), თადარიცი (ი. ბარათ. ცხ. 45,30; კალმასობა, I. 57,36). ისინი არაბული თადარიქი ფუძის სახეცვლილებათა სხვა ენათა გამოთქმაში, რომელმაც სალიტერატურო ქართულში მოგვცა აგრეთვე თადარიქი (კალმას. I, 153,5; საქ. სიძე. III, 313,10; 1716-17 წ.).

ამგვარად, უცხო სიტყვა (უპირატესად აღმოსავლური ენების მასალა) ან პირდაპირ არის ნასესხები რომელიმე კონკრეტული ენიდან, ან მეორე ენის ფონეტიკური წესების შესაბამაი ცვლილებით არის შემოსული, იშვიათად კი ორენოვანი პირის (მწერლის, მდივან-მწიგნობარის) შეტყულებაში შემოსული ენის ნორმათა ერთგვარი გავლენის შედეგად იქნება განსხვავებულ ფორმას. ამასთან მთავარი კიდევ ისიც არის, რომ დროთა განმავლობაში ხდებოდა ენის ფორმათა სათანადო დახვეწა, დადულება, ქართულის საწარმოთქმო ნორმებისადმი მისი შეგუება, რასაც შედეგად მოსდევდა სიტყვის განდევნა და რამდენადმე ერთიანი ფორმების გაბატონება; ამის ფაქტები მრავლად იცის ქართული ენის ისტორიამ. შემოსული სიტყვები ძალიან დამორდა მსესხებელი ენის ფორმებს და შეიძლება ითქვას, გაქართულდა.

პატივევმულ რეცენზენტს იღბათ გამოჩინა ჩემი წიგნის ეს მთავარი დებულებები (ეგრძოდ, ისიც, რომ ისტორიულად ქართულში ხდებოდა ძველ ნასესხობათა კორექცია სხვა ენის მასალების მიხედვით: შტრ. არაბული ფეროზი, ვაქილი, სპარს. ფირუზი, ვეჭილა...) და, სამწუხაროდ, გარკვეული საკითხი საკამათო შეიქნა. ასეთებია: ბინა—ფანაქი (გვ. 337), ფეროზი—ფირუზი (გვ. 258) და სხვა. სწორედ აქ, ამ გვერდზე, არის მსჯელობა არაბული გრძელი e-ს გადმოცემის შემთხვევებზე ქესაქქისა და მისი ტაპის ბევრ სიტყვაში. წიგნში, როგორც ზევით ითქვა, ხაზი ესმის იმ ფაქტს, რომ საშუალო ქართულში ერთი ეპოქის ძველებშიც კი არის სხვადასხვაგვარი ფორმა: ფეროზი (შშშ 2442,2; საბა, 112,267,3)|ფირუზი (შშშ 242,4; რუსულ. 109,39), მაგრამ აქედან საბოლოოდ შევიძრდება ერთი და ეს არის ქართული ენის შინაგანი ძალის, მისი განვითარების ობიექტური კანონის შედეგი. ასე რომ, თუ ქესაქქისაზე ნათქვამი არ იქნეეს კამათს, ცხადია, იგივე გრძელდება ამ გვერდზე გარჩეულ მეფლის სიმედიის, შეჩიტიმეჩეტი და ბევრ სხვაზე, რომელთაც შესაფერისი ენის (არაბული, სპარსული, თურქული) წყაროც და

ტრანსკრიფციაც მიწერილი აქვს. რატომ მი-
ინდამიანე გამოყოფა ფ რ ა ზ ი | | ფ რ ა ზ ი ?
ჩემი წინა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსი-
კონი არაა, არამედ სიტყვები ცალკე იყოს
მსჯელობა. ამიტომ იქ საკითხები განხილულია
იმ მოცულობით და მიზნით, რაც მასში დასმუ-
ლი ამოცანის მიხედვით არის საჭირო და აუ-
ცილებელი (მდრ. გვ. 250, შენ. 2). მაშასადამე,
აღნიშნული სიტყვების ცვლილებაში ქართულს
უძვეს ვარკვევლი წლი.

ამის გარდა, ამ ნაწილში პარტიკულ რეცენ-
ზენტის შენიშვნებში არის რამდენიმე არასწო-
რად გაგებული ადგილი. ერთი ეხება რუსული
არ კომპლექსის შემცველი სიტყვების ქართუ-
ლად ლათინი გადმოცემის წესს, რომელიც უკვე
XVIII საუკუნეში გვეხვება შემოსულ სიტყვა-
ში შ ლ ა პ ა, მდრ. шлагба (გვ. 38-9). მე მხო-
ლოდ ამას ვუსვამ ხაზს და ამასვე ადასტურებს
ბევრი სხვა მაგალითი, რუსულის შემწვობით
ზეპირად თუ წიგნური გზით შემოსული.

რუსული გზით შემოსული არ, აიო კომპლექ-
სით შემცველი უბრალო სიტყვების ქართუ-
ლად ლ ა ლ უ მარცვლებით გადმოცემის ამ
ტრადიციულ წესს დაემყარა ქართული სალი-
ტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმ-
წიფო კომისია 1936 წელს, როცა დააკანონენ
ამ ტიპის სიტყვის ერთიანი მართლწერა. პა-
რტიკული ა. შანიძე იქ იხსენიებს გ. ახვლე-
დიანის რუსული ენის გრამატიკას (მოითხოვული
აქვს 1933 წელი, როცა გ. ახვლედიანს ამგვარი
გრამატიკა არ ჰქონია დაბეჭდილი), სადაც ეს
საკითხი ამ ასპექტში არ დგას. თანაც იგი იქვე

ასეთ დებულებას გვთავაზობს: სიტყვა შე-
ნით მ გამოითქმის ა-ლ. რუსულიდან შემოსულ
სიტყვებში მ სიტყვის შეცნობა არაა შესაძ-
ქარბული ა-თი ვადმარის: **КУХНЯ** და **КОЛОДЦ**
КОННАКЪ ხნა, **КОЛЯ** კოლა, **ТЕПЯ** დილაქტ-
(ქართლ.) „ტოტა“ და სხვ.

იქვე უნდა შევხვით ფ ი ლ ა ს ო ფ ო ს სიტყვის
ახსნას.

ცნობილია, რომ ძველი ქართული შეწინა-
რება უცხო სიტყვებს ხშირად თარგმნიდნენ.
მაგრამ, თუ სიტყვა-ტერმინის საერთაშორისო
გაერთიანების ტენდენცია ჰქონდა და ქართუ-
ლად ზეირიანი შესატყვისი არ ეძებნებოდა, მას
უთარგმნილად ტოვებდნენ (ეს ტრადიცია ვარ-
კველი შემზღვრით დღემდე გრძელდება):
ძველ ქართულში გვაქვს სიბ რ ძნ ის ს ი მ ე ტ რ-
უ ე ე ლ ე ბ ა - ს ი ბ რ ძნ ის ს ი მ ო ყ ე რ ა ტ ო ბ ა ე
და ფილოსოფია-ფილოსოფოსიც (მგ. ხანძთ.
ცხ. VIII, გვ. 43), ასევეა „ვეფხისტყაოსანშიც“.
მაგრამ XVIII საუკუნეში ეს სიტყვა ამ ფორ-
მითაც არის: ფ ი ლ ა ს ო ფ ი ა, ფ ი ლ ა ს ო-
ფ ო ს ი (საბას ლექსიკონში—„სიბრძნის მოყე-
რა“). ამის თაობაზე წიგნში ვწერ: XVIII საუ-
კუნეში იყო ცდები ერთგვარად დაცული უო-
ფილიყო შემოსული სიტყვის ფონეტიკური იერი
სათანადო ენის არტიკულაციის შესატყვისად
(მგ. ფილოსოფია და ამ ტიპის სიტყვები გადმო-
იცემოდა ძ ნ ი შ ი თ).... მაგრამ ამ ცდას რაიმე
კვალი ქართული ენის ისტორიაში არ დაუტო-
ვებია (გვ. 35). შემდეგ ვებუი ხმოვანთა ცვაღე-
დაობის სახეებს სხვა სიტყვებში, მაგალითებს
ვარჩევ ობექტურად, რამდენადაც შეიძლება
სრულად და სქოლიოში შევინშნავ (გვ. 252,
შენ. 1), რომ ფ ი ლ ა ს ო ფ ო ს ი რუსულის
გამოთქმის გავლენა ჩანს. სხვაგვარი ახსნა ჩვენ
არ ეციით. XVIII ს. გაძლიერდა რუსულთან
კონტაქტი და, ბუნებრივია, პირველი მართალი
გავლენა თუ მობაძეა რუსულიდან დასტობოდა.

პარტიკულმა რეცენზენტმა ამ ახსნას და-
უპირისპირა შემოკითხვა და უარყოფა: „ვი-
თომ? არა მგონია“... და დაბრკოლებად რუ-
სულის მახვილი გამოიყენა. მაგრამ ბ. აყვის
შეხსენება, რომ ამ სიტყვის მახვილი რუ-
სულშიც და ბერძნულშიც მოძარავია: **ΦΙΛΟ-
ΣΟΦΙΑ**, მაგრამ **ΦΙΛΟΣΟΦΙΑ**, **ΦΙΛΟΣΟΦΙΑ** (იხ. რუ-
სული ენის ჩვიდმეტომეული ლექსიკონი, ტ.
16, სვ. 1387) და სავა ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა - ს ე ხ ე ბ ა
ა-ურთბა, იქ ანალოგიური გამოთქმა ფ ი ლ ა ს ო-
ფ ო ს ო -ზე გავრცელებულია; ეტყობა, ასე გამოთ-
ქვადნენ ამ სიტყვას XVIII საუკუნეში (**ΦΙΛΟ-
ΣΟΦΙΑ**) და ზეპირი გზით შემოსულა იგი ქარ-
თულში (მდრ. დღევანდელი **МУЗЫКА** და პეშ-
კინის დროინდელი **МУЗЫКА**).

რაც შეეხება სიტყვისა და ქუ რ თ ი ს
წარმოშობას, აქ საქმე შემდგენია. ქუ რ თ ი ს
თუ სომხურიდან შემოსულად მივიჩნევთ, ამაში
შეიძლება არაფერი იყოს მოულოდნელი, თუმ-
ცა ეს მაინც არაა ერთადერთი გზა ქუ რ ლ

1 ერთგან (გვ. 399) უადგილოდ არის მოხსენ-
ებული გვარი თუ შ მ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, რომე-
ლიც იგივეა რაც მ ზ ა რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი.
რაც შეეხება გავიყრევებას იმის შესახებ, რომ
ამაიერი ეტიმოლოგია რა ფურად მოსასაღღე-
ლიაო, უნდა მოვასხენოთ მეტიც: ვერ ერთი,
გაანჩია, ვისგან შეერქმევა გვარი: გვარის სახე-
ლია გამცემრი შ ვ ი ლ ი (იხ. 1673 წ. პი-
რობის წიგნი: დოკ. საქ. სოც. ისტ. I, გვ. 49-104)
და გამცემლიძე, რომლებიც ისტორიულ
სახელებში აზნაურად იხსენიებან. სამშობლოს
გაყეშაში მათ, ცხადია, აზნაურობას არაიენ
უბოძებდა. ეტყობა, ეს მათ დახარალებულთაგან
(მტრისაგან) აქვთ შერქმეული. ასევე გაყოფი-
ჩებული დამპყრობელის დარქმეული ჩანს დ ო-
ლ ე ნ ჯ ი შ ვ ი ლ ი, დ ო (მ) ლ უ ზ ა შ ვ ი ლ ი, რომე-
ლიცა ეტიმოლოგია პარტიკულად ა. შანიძეს
კარგად მოეხსენება. საკუთრივ დ უ შ მ ა ნ ა შ ვ ი-
ლ ი დიდი ხანია ქართველთა გვარია. დ უ შ მ ა ნ ი-
შ ვ ი ლ ე ბ ი | დ უ შ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ცხოვრობენ თელავ-
ში, თბილისში, ყვარელში (სოფ. ენისელში).
გვარის ეტიმოლოგიაში ბევრია სენსაიფორაც
და სპეცილისტს ეს არ უნდა უყვიროდეს
(მდრ. რუს. კუბუზოვისა და გოდუნოვის ეტი-
მოლოგიები).

ქუთო პაროქისა, რადგანაც ხალხის სახელის იმავე სახელწოდების „მპარაფთან“ დაშორების მოთხოვნის შემთხვევაში ქართლისავე ნიადაგზე ქუთო რაი აქცია ქუთოად, როგორც ამას ზანს ფოტოტი ვარაუდობდა.

სტეფი რომ სომხურიდან შემოსულად მიანდათ ნ. შარს (იხ. XB, 11, 1913, გვ. 26 შმდგ). და მერე ცნობილ სომეხ ქნათმეცნიერს პრაიხი ავარიანს (სომხური ენის ეტიმოლოგიათი ლექსიკონი, IV, გვ. 432-3), ეს იმთავითვე იყო ცნობილი. მაგრამ ყურადღებას იქცევდა ამ სიტყვის ავარიანისეული ნაკლებ დამაყრებელი დაკავშირება სანსკრიტულ და ბერძნულ **σταν** [σταν] „მეწიარის ფესვები“ და **σταν** [σταν] „ქინძის კა... ნა“ სიტყვებთან, ქართული სტეფი ეს დამატებული სომხურად, საფიქრებელია, არ ნიშნავდეს მათს წარმოშობის ერთიანობას, რამდენადაც ვეღვან, ძველ ქართულ ტექსტებშიც და ლექსიკონებშიც (სულხან-საბა ორბელიანის, სომხურ ლექსიკონებშიც და თვის ავარიანისაშიც) ხაზი ესმის, რომ სტეფი აქლმის ბეწვია, ხოლო ძველ თურქულში, ჩრდილო ირანულში (აქედან ოსურში) და ქართულ დიალექტებში (ინგილოურში) ეს სიტყვა აღნიშნავს „აქლმს“ (ეს უკანასკნელი, როგორც ვ. წერეთელმა გამოაკრია, შემოსულია ეზრადიდან უძველეს ბერძნულში). მაშასადამე, აქლმის ძველი დიალექტური სახელი ისევე შეიძლება დასდებოდეს საფუძვლად მისი ბეწვისაგან მოქსოვილ სამოსს, როგორც თხის ბაზნის აღნიშვნელია თხისურა.

მონოგრაფიის 95-ე გვერდზე შე ვეხები უმარცვლო უს ხმარების თავისებურებას საშუალო ქართულში. აღენიშნავ აგრეთვე, რომ სვანურს დღემდე აქვს დაცული ეს ამგვარი გამოთქმა, როცა ვასილ-ის ნაცელად ამბობენ უასილ. შემდეგ საბუთებზე დაყრდნობით ის აზრია განიხილებული, რომ ისტორიულად ქართულში ვ იყო წველაბაგისმიერი (ამის დამტკიცებას ეძღვნება § 12, გვ. 85-99) და სხვათა შორის ეიგონებ: ბასილი და ბიქტორი რომ შესაძლებელი გახდა ვასილ, ვიქტორ ფორმების დამკვიდრებულყო, ამ შესაძლებლობას ნიადაგი მზად დახვდა ქართულში, სადა გვქონდა უცხო ბ-ს შესაბამისად რამდენადმე გამოსადეგი წველაბაგისმიერი ვ ანუ უ (უბრუნ), თუმცა რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, იქვე (გვ. 95, შენ. 6) ვწვრილი: „უფრო მოსალოდნელია ამ რაიის სახელები ქართულში სხვადასხვა გზით და სხვადასხვა დროს მოდიოდეს“ (იგულისხმება ლათინური, ძველი და ბიზანტიური ხანის ბერძნული).

საფულისძემა ამ მხრივ ჩემი მონოგრაფიის 208-ე გვერდიც, სადაც ამ რიგის საკითხი სპეციალურად არის განხილული (§ 26): „ბერძნულ-ლათინურიდან შემოსულ სიტყვებს შეეძლო ბ-ს გარდა ვ-ც მოეცა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ლათინურში ბაგისმიერი ბ აღრევე

გადვიდა სპირანტ ვ-ში, რომელიც ისტორიულად ნახევარბმინიდან (წველაბაგისმიერიდან) მომდინარეობს. აღჩინდელ ძველქართულში შენსძენულია აღრევა მათ (ხV) ხმარებამა... (ქართულში) ბულია მ. ნიდგრმანის ლათინური ენის ისტორიული ფონეტიკა და სხვა). მაშასადამე, ბასილი, ბიქტორ, ვიქტორ რომ ბერძნულიდან და ლათინურიდან შემოსული სხვადასხვა დროს, ეს არ ყოფილა ჩემთვის უცნობი. თანაც ლათინური წარმოშობის ვიქტორ არ იყო აუცილებელი ბერძნული გზით მიგვედო, რადგან ბიქტონი მონაცვლობა ლათინურშიც დადგენილი უძველესი ფაქტია. დასანინია, რომ პატივემული რეცენზენტი ამის შემდეგ ჩვენ ვასაგონად წერს: ბასილი ბერძნული სახელია, ვიქტორი — ლათინური, რომელიც ბიქტორის ფორმით ჩვენ ბერძნულისაგან მივიღეთ.

ჩემი წიგნის 242-ე გვერდზე (რეცენზიაში მითითებულია 142) განვიხილავ წინაენისმიერთა აფრიკატიზაციის და სპირანტიზაციის. ორდინალური ფაქტების ვერდიო, საკომხის სისრულით შესწავლის მიზნით, ვეხები ზოგიერთ საინტერესო გამონაკლისს, რომელსაც, როგორც ცნობილია, თავისი ისტორია და თავისი კანონზომიერება ეძებნება. ასეთია, მაგალითად, წ-ს შემდეგ სიტყვაში ხ-ს ხმარება და ემოქმებ, სხვათა შორის, ევლია ჩელების ჩანაწერებიდან წვეიდეს ნაცელად ნახმარ სევიდეს. პატივემული რეცენზენტი წერს: ახლია ჩელები თურქი იყო. მის ენაში არ იყო არც წ და არც ე და მან ქართული სიტყვა იშვარებად გადმოსცა, როგორც ამის ნებას აღწევდა მისი სმენა და არაბული ანაბანი“.

ახლა ვნახოთ, სად ეწერა წე, რომ ევლია ჩელები არ იყო თურქი: „სინამ ამ ცელილებათა კონკრეტულ მაგალითებს განვიხილავდეთ, გარკვეული უნდა შევინათოთ, რომ სწორად ამა თუ ამ სიტყვის ცვლილება ემორჩილება არა ქართლის ფონეტიკური კანონზომიერების მოქმედებას, არამედ წარმოადგენს ორენოვანი პირის მეტყველებამში ძირითადი (მშობლიური) ენის გავლენის შედეგს, მის კალს სხვა ენაზე მეტყველების დროს. ამ კონტრასტში სახეცვლილი ზოგი ქართული ფორმის წარმოშობის გასაგებად საინტერესო მასალებს შეიცავს თურქი მოგზაურის ევლია ჩელების ჩანაწერები, რომლებშიც ქართული და მეგრული მელორები გადმოცემულია ყრ ფონეტიკურებით...“ (გვ. 322-23).

ევლია ჩელებისა და იტალიელი მისიონერის, ქართული გრამატიკის პირველი ავტორის — მაჯოს მასალების თავისებურებაზე ვზაღაგა და სხვათა შორის (რადგან, როცა უმძიდრესი და მრავალფეროვანი ტექსტები ვაქცევთ, ქართული ენის ისტორიისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მქონე, მათ ჩანაწერებს გადაწვევებში შევნიშნავთ არ ვანიშნებთ), სხვაგანაც არის მითითებული (გვ. 216, 218), სხვადასაქმონდათ

არც, კერძოდ, ჩელების წინაწერებზე მსჯელობა. ცნობილია, რომ ზებირი მოსმენა და აღქმა ზოგჯერ განსაჯებულად ეტობით ასახავს ამ თუ იმ ბევრის ბუნებას და თავისებურებას. წარცხელ ბერძნებს ჰქონდათ და ევლან ჩელებისაგან დამოუკიდებლად მათ წიწამური გადაიტანეს სევისამორად, სწორედ ს ბევრით; საეულისსმოა წინაუკმო ფაქტორ: ლათინური Scala გურულში გადავიდა ბქაოლად, ნავარაუდელია აგრეთვე, რომ ლათინური Signum არის ქართული წიგნი, რატომ? იმიტომ, რომ წ და ს ბგერების არტიკულაციის ბუნება იმდროულად ვარკვეულ შემთხვევაში ისეთ აკუსტიკურ შთაბეჭდილებას, რომ შეიძლებოდა ერთი შენაცვლებოდა მეორეს (შდრ. მსგავსი მგავლითები ჩრუსულში, სადაც წ და ქ ბგერების გადამოცემა „წესს“ არ მისდევს: Боржомი, маджарин „მაქარი“. სწორედ ეს არის საფუძველზე იმისა, რომ ქართულ წ-ს და სეანურ ს-ს შორის დადგენილია კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობა.

3. ჩემ მონოგრაფიაში გამოყენებულია მასალები ისეთი ძეგლებიდან, როგორცაა „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „ამირანდარეჯანიანი“, „ისტორიანი და ახმანი შარავანდილთანი“, სხვადასხვა დროის მითაინები, „შანაშექს“ ქართული ვერსიები, ფორმინების მწერალთა თხზულებები და სხვები.

პატივემული ა. შანიძე წერს: „თუ როგორ ესმის ი. ქეთთარაძეს ქართული ენის ისტორია, ეს, სხვათა შორის, იმიტომ შეგვიძლია გავითვალისწინოთ, თუ როგორ ეპყრობა იგი „ვეფხისტყაოსანს“ ენის.

შინე როგორ ვეპყრობი? სულ უბრალოდ „ვეფხისტყაოსანს“ ხელნაწერთა ვარიანტების მგავლითებს ეიმოწმებ ამ თუ იმ ფონეტიკურ პროცესის საილუსტრაციოდ. „ვეფხისტყაოსანი“ ვარიანტებს დიდი მნიშვნელობა აქვს ძირითადი ტექსტის ზოგი საცილობელი აფიგის გავება-დადგენისათვის, ამ ვარიანტებში იმეორნახულია ქართული ენის ფონეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკის ძალიან საინტერესო ფაქტები, რომლებიც ზემოხსენებული და აგრეთვე ბერძნული ქართული ტექსტის მასალებთან ერთად გვექმნის შესაძლებლობას თვლი ვადგენით ენობრივ თავისებურებათა დინამიკას, გავიგოთ დღევანდელ ქართულ დიალექტებში მოქმედი პროცესების წარმომგავლობა და ისტორია (შდრ. გვ. 292).

შეგრამ ყველაფერი, რაც კი ვარიანტებშია წარმოდგენილი, რუსთაველისა არაა და მათ მიხედვით რაიმე დასკვნის გაცეობა რუსთაველის ენის შესახებ არ შეიძლება. პატივემულმა რევენენტმა უნდობლობა გამოუცხადა ჩემ წიგნი დამოწმებულ მგავლითებს, რომელთაგან ზოგი ხელნაწერთა ვარიანტშია, იმავე დროს, ერთმანეთს შიაყოლა სულ სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა სამოწმოდ ნაშრომის სხვადა-

სხვა ადგილას მოყვანილი მგავლითები სხვადასხვა დროის ტექსტებიდან (შდრ. ჩემ წიგნი გვ. გვ. 169, § 18; 240, § 33; 278, § 43; 292, § 48; 303, § 51) და გაყელდა შეუფერებელ დასკვნას: ეს ვერც რუსთაველის ენაზე მოგვეცემ წარმოდგენას და ვერც ქრონოლოგიურ ფარგლებზე, რომელშიც ის ხდება (გვ. 183, სვ. 2).

პატივემული რევენენტები აღნიშნავენ, რომ „ვეფხისტყაოსანს“ D1 ხელნაწერი XIX საუკუნეშია გადაწერილი და იქიდან დამოწმებული ფორმა ვორგული საშუალი ქართულის ისტორიისათვის ვერაფერს მოგვეცემს. ეს თარიღი დიდი ხანია ცნობილია, რევენენტს არ უნდა გაეცინებოდა ამ ხელნაწერის გამოყენება ჩემი წიგნის ამ ადგილის გაცნობისას: საანალიზოდ ჩვენი დამკვეთისათვის გამოვიყენოთ XII-XVIII სს კანონზომიერი მრავალფეროვანი და მდიდარი მასალა, „ზოგჯერ ეყენებთ აგრეთვე XI და XIX საუკუნეების საბუთებსაც, რომელთა ენა და სტილი მოიქცევა საუკუნეთა საბუთების ენის ტიპობრივია“ (გვ. VI).

ამგავსად, XIX საუკუნის რაიოდებ საბუთიდან მასალა სხვაგანაც მაქვს ვაანალიზებულ და ეს უფურადღებობით კი არ მომსვლია, შეგნებულად მივმართე, რადგან ზოგი ფონეტიკური მოვლენით, ენით, სტილით და საერთო გრამატიკული მიმართულებით ამ საუკუნის ზოგიერთი ტექსტი საშუალი ქართულის თავისებურებათა რაკაში უფრო იქცევა. მართლაც, 60-იან წლებამდე, ილია კვაკავაძის რეფორმამდე, ხომ არ იყო ჩვენი წიგნის მეტყველება ისეთი, როგორც ეს შემდეგ გახდა!

ახლა კონკრეტულად იმის შესახებ, თუ როგორ ვეპყრობი „ვეფხისტყაოსანს“, თი ასე: „გინეზობილია ამ მხრივ (ქართული ენის ისტორიისათვის) ქართული პოეზიის მარგალიტის „ვეფხისტყაოსანს“ მნიშვნელობა, მან შექმნა მთელი ენობრა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებებში და განსაზღვრა მისი მიმართულება (კერძოდ, პოეზიის დარგში) მთელი ოთხი-ხუთი საუკუნის განმავლობაში. საერო პოეზიამ ვათათიესოფელა ქართული ენა სქოლასტიკური ტყვეობისაგან და ცალმხრივი განვითარების მგვეტენდენციებისაგან, თამამად შემოიტანა და დანერგა მწერლობის ენაში ხალხური ფორმები, უფრო ტყველი, ფართო ენოლოგიისა და მოქნილი გახდა იგი. „ვეფხისტყაოსანს“ ავტორიტეტის დიდი გავლენის შედეგია ის, რომ მომდევნო საუკუნეების (აღორბინების ხანის) მწერლებმა ფართოდ და გავლელად გაუღეს კარი წიგნის ენაში მათეობლებულ ხალხურ ნაკადს და მასზე დააფუძნეს ქართული ენის განვითარება“ (გვ. 13), იქვე აღნიშნავ XII-XVIII სს ქართული ლიტერატურის ძეგლების ენობრივ თავისებურებათა ადგილს ქართული ენის ისტორიაში და განვარტობა: ქართული პოეზიის მდიდარსა და მრავალფეროვან ძეგლებს XII-XVIII სს, „ვეფხისტყაოსანს“ ძირითადი (სავარაუდ-

ბელი XII საუკუნეებზე) ტექსტის გამოკლებით, მაგრამ XVII-XVIII სს მრავალრიცხოვანი ხელნაწერი ვარიანტების დამატებით, რაც ერთობ საყურადღებოა, სხვათა შორის, ისტორიული დიალექტოლოგიის ინტერესებისათვის, ენობრივად ახასიათებს ერთი ძირითადი ნიშანი: ეს არის კლასიკური ხანის სტილიზებული მემკვიდრეობა, დიალექტებისა და ინდივიდუალური სიტყვაწარმოების ნარევი". აი ეს უკანასკნელი ეხება სწორედ იმ ვარიანტების ენას, რომელსაც თოქოს რუსთაველის ენასთან ვთვლივთ.

შემდეგ, მე აღვნიშნავ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არაერთი ფუძემეცემული და ფუძემეცემი ფორმების გამოყენების შემთხვევებია! წიგნში რედუქციასთან დაკავშირებით ნათქვამია (გვ. 155, § 17), რომ შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმები ხშირად ერთი ემოქის ძველებშია, ზოგჯერ კიდევ ერთ ტექსტშიც კია. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ხ ა მ და და ხ მ და (ძველ ქართულში აქ იწერებოდა კ), რომლებიც თანაბარი მნიშვნელობით არის „ვეფხისტყაოსანში“.

ბ. აკაკი ამბავ შენიშნავს: ხ ა მ და შაბლონურად ნაწარმოებია ხ ა მ ს ფორმისაგან, როცა ეს ზნა უკვე გადაეარდნილი იყო ხმარებიდან (183, სვ. 2). არავითარ შემთხვევაში ვერ არის და—ეს ზნა სრულებითაც არაა გადაეარდნილი, იგი შემონახულია „ვეფხისტყაოსანის“ შექმნის ემოქისმიც და მთელ საშუალ ქართულში, ვიდრე სულხან-საბა ორბელიანამდე. ჩვენ ზელთა გვაქვს ამ ზნის სხვადასხვა ფორმით ხმარების ასზე მეტი ნიმუში სხვადასხვა ტექსტიდან; მეორე: რას ნიშნავს შაბლონური წარმოება? თუ გადაეარდნილი და დაიწყებული იყო ხ ა მ ს, როგორღა აწარმოეს მისიგან? შესაძვე: ვანა აწმყოს ხ ა მ ს ფუძისაგან არ უნდა იწარმოებოდეს ნამყო უწყვეტელი და, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა იკუმშებოდეს აქ ეს ფუძე, რომელსაც მოსდევს თანაბრებით დაწყებული სუფიქსი — ნამყო უწყვეტელის ნიშანი — და კუმშვას კი იწყებს უშუალოდ მომდევნო ან წინამდევნი ბოვნიანი აფიქსი და არა აფიქსის მომდევნო მესამე პირის ა ნიშანი. ქართულში უცნობია დისტანციური რედუქციის შემთხვევა! ამგვარად, გვაქვს: ს-წ ა მ ს — ს-წ ა მ-და, ზ ა მ-ს — ი-ზ ა მ-და (ახალ ქართულში) და ასეთ ვითარებაში ბუნებრივად ზის: ხ ა მ ს — ხ ა მ და.

სამაგიეროდ, როგორც კი ხმოვანიანი აფიქსი უშუალოდ დავრთავს ფუძეს, ფუძისეული ხმოვანი იყარვება: ხამ-ს, მაგრამ: გვქმან (მარკ. DE, 14,63); უქმს; წამ-ს, მაგრამ: მო-წმ-ე; მრწამს-ს — მრწმენა; ზამ-ს, მაგრამ: ზემ (კომ. 11, 213, 26), ზმ-ილი (ვტ 526,1).

¹ იხ. ჩემი წერილი: რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“, ვერნ. „ციცქარი“, № 11, 1968.

მაგრამ საქმე ის არის, რომ არც ძველსა და არც საშუალ ქართულში ფაქტები ასე სწორხაზობრივად არ ლაგდება, გვაქვს რთვე გამოწვლისი (შდრ. გვავე ფუძე: უ-ზს, ვაგამ, უ-ზს), რომელთა ასსნის რამდენიმე ცდა არის ცნობილი სპეციალურ ლიტერატურაში (იხ. ჩემი წიგნი, გვ. გვ. 152-167, § 17). „ვეფხისტყაოსანშიც“, ცხადია, არაა ამ მხრივ თანამიმდევრობა და ამითაც ეს ძველი მრავალ სხვა ტექსტთან ერთად ასახავს ქართული ენის საერთო მდგომარეობას: ხოლმეობითისაგან ნაწარმოებ ფორმაში და მრავლობითში შეკუმშული ფუძეა: ზამ—ზმ: ზმილი: ევრას მ ი ზ მ ე ნ (1039,1), ქცივის პრეფიქსიანი ფორმა კი უკუმშველია: არას ვუ-ზამ (279,3), არას ვი-ზამ (233,4), ევრას მ ი ზ ა მ ს (164,2) და სხვა.

ძველ ქართულშიც არ იყო მოსალოდნელი და ამდენად მთლად ნათელი არაა ნამყო უწყვეტელში შეკუმშული ფუძე კ მ და, რომელიც იხმარება ტექსტებში: ასწავლა, რამ-იგი კ მ და (ბალავარ. 98,22), სადა კ მ და (კომ. 11, 210, 25). საშუალ ქართულში, მეტე კი განსაკუთრებით ახალ ქართულში უფრო და უფრო ერყნდლება შეუკუმშავი, რივ შემთხვევაში უფრო თანამიმდევრული და ნათელი წარმოება. ამით აიხსნება, რომ კ მ და გამოწვლისია (მაგ., „ეისრაფიანი“: 125, 25), კ ა მ და კი ჩვეულებრივია:

კ ა მ და მისთვის დიდი კირის ნახვა (ვისრ. 60, 17; 199, 12; 263,10; 264,9; 267,1; ასევეა ეს ფორმა: ისტ. და აზმ. 35, 13; 44, 10; ამირანდარეჯ. 312, 18; 349, 28; 373, 37; 30, 34; 386, 28; 397, 15; 440, 37; ასევეა არილის, თეიმურაზ მეორის, სულხან თინაშვილისა და სხვათა თხზულებებში); კ ა მ დ ე ს (ვისრ. 95, 33. ასევეა ეს ფორმა: ამირანდარეჯ. 356, 3; 415, 27; საბა, 11, 2; 87,10; 134,11).

ხამლა ფორმა არის ნახმარი „ვეფხისტყაოსანის“ 21 ხელნაწერში, აქედან ყველაზე ძველი (H—599) 1646 წლისაა. ამ ფორმას ტოვებდა პოემში მისი თითქმის ყველა ძირითადი გამოცემული (მ. ბროსე, გ. ქართველიშვილი, დ. ჩუბინაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ს. კაკაბაძე, ი. აბულაძე, პ. ინგოროყვა. იხ. ვეფხისტყაოსანის ძირითად გამოცემათა ვარიანტები: რუსთველოლოგიური ძიებანი, 2, 1964, გვ. 186), მაგრამ ბ. აკაკიმ შეცვალა იგი ხ მ და ფორმით 1957 წელს:

შესთვალა ზემბრ, რაცა ხ მ და სულად, მართ ვითა გია მან; 1324, 3, შდრ. შესთვალა ზემბრ

რაც ხაზდა სულად, მართ ვითა ვია მან: ვარ. III, გვ. 807-808.

უდავოა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივი ფორმების ანალიზს უნდა ვახდენდეთ პოემის შექმნის ეპოქასთან ახლო მდგომი (XI-XIII სს) ისეთი ავტორებისა და ძეგლებისათვის ნაშანდლოდელი ძირითადი ენობრივი თავისებურებების მიხედვით, როგორცაა „ვისრამიანი“, „ამირანდარეჯანიანი“, მხოტბენი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ლაშა გიორგისდროინდელი შემართავი, ეპოქა აღმწერელი, ისტორიანი და ამხანი შარავანდედიანი“ და სხვ.

ჩემი წიგნის ერთ ადგილას, სულ სხვა საკითხთან დაკავშირებით, ვეხები „ვეფხისტყაოსნის“ ერთ გამონათქვამს, რომელიც პოემის დამატებაშია („მოსულა ავთანდილისა და ფრიდონისაგან ტარაგელის შველად“; ვარიანტები, ნაკვ. IV, გვ. 1081-1087), გამოვლევამ მოსაზრებას, რომ 1945-ე სტროფის მესამე სტრიქონში „ბუქსა იყრეს“ გრამატიკულ-სტილისტიკურად უფრო ბუნებრივი იქნებოდა გაგვეგო ასე: „ბუქსა ჰყრეს“.

ამის საბუთს მამლედა ანალოგიური ფონეტიკური ცვლილების ფაქტები საშუალო ქართლის ტექსტებიდან და თანამედროვე დიალექტების ერთი ჯგუფიდან (იხ. ჩემი წიგნი, გვ. 53). ეს ლოგიკური გვგონია: როგორც ზემოთ ითქვა, რომელიმე ეპოქის მეტყველების თავისებურება, ასახული ენის ძეგლში, უნდა შეფასდეს ძირითადი იმავე ეპოქის ენობრივ სინამდვილის საერთო ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მიჩვენებლებს მიხედვით.

პატივიმულმა რეცენზენტმა ჩემს მოსაზრებას ასეთი საბუთი დაუბრისბინა: ბუქსა ჰყრეს შეუძლებელია, ლექსი დავით აღმაშენებლის ერთი მარცხლის დაკლებას გამოი (184, ლ. 2). არა! ტექსტის მითითებულ ტაქტში სადაც ბუქსა ჰყრეს იკითხება, იმავე ხელნაწერში არის ავთანდილისა, ასე რომ მარცვალთა რაოდენობა მაღალი შარის შესაფერისია:

ბუქსა ჰყრეს და ავთანდილს, ფრიდონს სძლენიან, მოდგენს თავნი: 1945,3.

შდრ. ბუქსა იყრეს და ავთანდილს, ფრიდონს სძლენიან, მოდგენს თავნი: ვარ. IV, 1087.

1 ეს ზნა პოემაში სხვაგანაც იხმარება და ასევე საცილობელია: თუ ეს[ე] ხმ და (604, 1), შდრ. თუ ეს ხამდა (ვარ. II, 393). ყურადღება მოაქციეთ აღდგენილ ვარ. ნაცვალსაგელში და ამით მარცვალთა რაოდენობის საკითხს!; კაცო ხდელს[კაციმ] ხამს (613, 3; ვარ. II, 398). მესამეგან კი არ უჩანს ვარიანტი: თუცა ხმა (557, 4). რუსთაველი იმის რუსთაველია, რომ სადაც საჭირო იყო ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა, იქ სხვაგვარად ეთქვა, ხოლო სხვა შემთხვევაში შეემოკლებინა ქართული, ესმარა სიტყვაშიკობა.

საერთოდ ბუქსა იყრეს გამოთქმა ნაკლებ მოსალოდნელია, რადგან ბუქსა იყრეს იგივე გვარი იხივქტი, როგორც ვეფხისტყაოსნის მკერდი, სადაც ამგვარი შესამება ვარისია. რუსთაველი ასეთ კონტრასტში ამბობს: მკერდსა ხელნი იყრან (222,3), წამწამ იყრან გულსა ლოდი, თავსა კტი (269,3), ფტმან იყრან პირსა ხელნი (1137,1), მკერამ ბუქსს, ტაბლაკს ჰყრეს: ბუქსა ჰყრეს და წინწილანი დაატეზბდეს მათთა ხმათა (46,3; 1618,3), იხანდეს და ბუქსა ჰყრესა (1038,1), ჰყარით ბუქსა და ნიხასა (420,1), ქოს-წინწილასა ჰყარითო (1630,1), ჰყრეს ტაბლაკსა, გახდა ზარი (1178,3).

ასევეა სხვა ძეგლებშიც: ჰყრეს... ბუქსა (ისტ. და აზმ. 27,4; 59,1), ბუქსა ჰყრეს (ამირანდარეჯ. 394,21; 439,12; 418, 7; 336 39,44,4; ს. თანიშვი. 1592,2; 244,7); და ჰყრეს ბუქსა და დუშუტსა (არჩილ. 835,4); დავ-ჰყარით ბუქსა (336 3328,2) და ავი ხალხიც ასე ამბობს: ბუქსისიხეს ბუქი დაჰყრეს...

არის სხვა ზნაც: დაუწყეს ბუქსა და დაბდაბს ცემა (ამირანდარეჯ. 447,34); ბუქსა და დაბდაბს სცემდენ (ს. თანიშვი. 257,1); დასცემდეს ბუქსა და დაბდაბს (რუსულ 346,33; 352,6; 399,25); სცემდეს ბუქსა (ვისრ. 60,12; 186,24; 293,35; ასევე: ისტ. და აზმ. 70, 17); უცემდა ბუქსა (ამირანდარეჯ. 357, 20), მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ზნეები ჩვენთვის საინტერესო არაა.

„ვეფხისტყაოსანში“ სულ ორჯერ ვეხვდება ჰყრეს ზნა ბუქსთან (ასევე ძალიან იშვიათია ეს ფორმა საშუალო ქართულში ამ სხელთან). ერთი სათავისო ქვეყისა ჩანს (1414,4). მეორე კი უნდა გავიგოთ არა სათავისო ქვეყით, არამედ ენების მიწვევლობით: ბუქსა იყრას (169,3), ე. ი. ბუქი (ბუქზე) დაიყრას, ბუქზე დაყრა შესრულდეს.

საერთოდ, ჰყრეს ზნა თავისი სინტაქსური ფუნქციით ისტორიულად დაჰპატიჟა, მოჰხადა ტაბის ზნებს ჰყავს.

ჰყრეს იხმარება ადრინდელ ხელნაწერებში, სხვაგვარი გასწორება, ეფიქრობოთ, თვით ტექსტისა და საშუალო ქართლის ჩვენების, ასევე ბუნებრივი, მყარი და გავრცელებული ფრაზეოლოგიური შენიტყვევის გაუთავალისწინებლობა იქნებოდა.

4. პატივიმული ა. შანიძე რამდენიმეგან ეხება ანტონ კალათიკოსის მოღვაწეობის შეფასებას და სალიტერატურო ენის ვანიუთარებაზე მისი გავლენის საკითხს. ერთგან იმასაც ამბობს, თითქოს ვერ შეენიშნე ანტონ კალათიკოსის მოქმედებით გამოწვეული ცვლილება ქართული

1 ბუქის აღწერილობა შდრ. ივ. გაგუბიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1939, გვ. 182-3.

სამწერლობო ენის ისტორიაში, როცა ვმსჯელობთ უ ნიშნის ხმარებასთან დაკავშირებით.

სინამდვილეში ამის თაობაზე წიგნში ამომწურავად მაქვს ნათქვამი, სისრულით არის დახასიათებული უ ნიშნის ხმარების, მისი წარმოშობისა და გავრცელების ფაქტები საშუალო ქართულში (გ 12). მითითებულია, რომ ერთი ეპოქის ძველებშია ნახმარი ვ||უ||ტ, მათ შორის სხავე ვერ იცავს ერთგვარობას, პარალელურად ხმარობს ძველ (ხლუა) და მის თანაგვარად, ახალ ფორმებს (ხლუა).

ანტონის შემდეგ, მოლოდინის წინააღმდეგ, იშვიათი როდია უ-ს და კ-ს ხმარება უ ნიშნის ნაცვალად. არ რას გვიჩვენებს ხელნაწერები: ანტონის ორთოგრაფია რამდენიმე ისეთ ხელნაწერშია, რომელიც ან მისივე ავტოგრაფული ნუსხაა, ან მისი მოწაფე-მომწერის ხელიდანაა გამოსული (შდრ. თ თ უ მ ს ა მარტას აქუს დღე: H-1340. 1788 წ.; სხვათა: H-1343. 1783 წ.; პირვეტეუ მ ლ თ ა; მერ რ უ მ ს ა; ზ რ ა ხ უ ა თ ა მ ა ნ; ჩ უ მ ს; S-129. 1781 წ. და ა. შ.). მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს ასე არაა და გვაქვს: საკვირველთმოქმედისა; სტანჩეულთაგან; გუშემა; ძარღვითა; ჰეგამდეს; გვარდუ ჩვენ; პრუთა; თვსა ავსოსტას; შეეშთხეოდეს, მრავალმოდუნე, მღუღელ-მოდღართა, შეუნერთა (S-300, ავოგრაფული-მოდღარასტული კრებული 1779 წ.); ქვეყანისა, თვით გამოგვიცხადებს (S-187, აღმილახვრის კერასი ღიღმარის საყოველთაო ისტორიის თარგმანი 1776 წ.); მოყვლა; თივსა (S-281, ვახუშტის ისტ. და გეოგ. 1774 წ.); ეთაყვანა; სიტყვა; წაუძღვს (S-956, 1788 წ.); გაქეთ, თქვენი (H-1230, 1778 წ.). დავით რემტორიასა და ვაიოს არქიდაიკონის ხელნაწერებშიც კი არ არის თავიდან ბოლომდე გატარებული ანტონის ორთოგრაფია და იხმარება: ქვეშე, სიტყვი და მისთ. (იხ. H-1230. 1778 წ.; S-100. 1767 წ.). მეორე მხრივ, იოვანე ბატონიშვილის კალმასობის ტექსტებშიც (Q-720; 577) ხშირია ე||უ||ტ ხმარება.

პატივიმულ ა. შანიძის აზრით, ანტონის ორთოგრაფია თანდათან იკლებს ზვს და მკვიდრდება ეს ზეპირი განცხადებაა. არ მკვიდრდება ვერც ადვილად შეგირდებსა და მიმდრეებს ვარდა, ანტონს ჰყავდა სერთოზული და ძლიერი იღუბო მოწინააღმდეგეებიც, რომლებიც ყველაფერში არ ეთანხმებოდნენ და არ იზიარებდნენ მის სუბიექტივიზმს. ამას ანტონაც გრძნობდა, როცა „ღვთისმეტყველების“ შესავალში წილობ: არიან ისეთებიც, რომლებიც სქლოზენ და სიწმარით გარემოქცევიან ბრწყინვალეობასა ფრასისასათ. ეს ვასაგებიცაა: შეუძლებელი იყო ანტონის ხელაგნური და ბუნდოვანი დებულებებით ხელმძღვანელობა.

იქვე პატივიმული რეცენზენტი ამტკიცებს, თითქოს ანტონის შემოღებული იყოს ორი კ-ს

წერა ეკატესიაში და მე „საქმის ვითარება“ შეზრუნებულად მაქვს წარმოდგენილი. არა ჩემ წიგნში აღნიშნულია, რომ „ქართულს ძველთაგან ახასიათებდა ორი ზედხედ მრავალერთიანი თანხმოების დაქარგვა ან გამარტოება (მეტათვისისა და ამნილცია-დისნილცია-ის გზით) ყველა პოზიციით“ (გვ. 106-107, შდრ. შენ. 1) და მითითებულია უტყუარ მაგალითები, მაგრამ იქვე მე დებულების საწინააღმდეგო ფაქტებს კი არ ვჩქმალავ და გვერდს კი არ ვუვლი, პირიქით, მომყავს და ახსნას ვიძლევი. მაგალითად, აღნიშნული დებულების მიხედვით, უნდა იყოს და არის კიდევ ეკატესია (ხანმოცულს ცხ. VII, ლ-5), მაგრამ იმავე ეპოქის თვლში არის ეკატესიანი (ზარზმ. ცხ 174,3), ეკატესიისა (ქ. კეკელიძე, IV, 179, 30, იქვე 179,4).

ტრადიციულ ქვეული ეს გამოწყობის გრძელდება საშუალო ქართულშიც. ეკატესია იხმარება XI-XVII სს ტექსტებში (იხ. ქრონიკები, 1,160,7. 1027 წ.; ქრონიკები, 11,409, 34. 1568 წ.; იქვე, 418, 4. 1578 წ.; იქვე, 439,9. 1610 წ.; ქართ. სამ. ძველ. 1, 434,11) და სულხან-სახბას „მოგზაურობაში“ (214,4; 214, 11-15-31). ერთი სიტყვით, ეკატესია იწერება ანტონიმდე ძალიან დიდი ხნით ადრე. მეორე მხრივ, დიდ უმეტეს შემთხვევაში ერთი კ იხმარება ანტონის ეპოქაში და მის შემდეგ: ეკატესიათა (H-1343. 1783 წ.; S-342. 1773 წ.).

შამსადაძემ, განცხადება — „ეს სიტყვა წინათ ყოველთვის ერთი კანით იწერებოდა, მხოლოდ ანტონ I-მა შემოიღო რივი კანის წერა“ — ვერ ასახავს სწორად „საქმის ვითარებას“. ამგვარად, ჩემ წიგნში ობიექტურად და სრულად არის შეფასებული ანტონისა და მისი სკოლის მოღვაწეებით გამოწვეული ცვლილებები სალიტერატურო ენაში (იხ. გვ. 37; აგრეთვე: თქვ. შრ., ტ. 54, 1955).

სხვა ადვილას ჩემ წიგნში საუბარია ანტონის სახელით ცნობილი სამი სტილის თეორიის გავლენა-გავრცელების შესახებ (გვ. 8-9), როცა გარჩეული და მოკლედ დახასიათებულია ერთი და იმავე ეპოქის სხვადასხვა ენითა და სტილით, განსხვავებული გრამატიკული ფორმებით შედგენილი სახუთები. პატ. ა. შანიძე წერს: „აქამომდე ვიცოდით, რომ ანტონ კათალიკოსის „ნაში სტილის მოძღვრებამ“ პირველად 1754 წელს შედგენილ გრამატიკაში იზინა თავი (მეორედ ვიღამუშაებულში, 1767 წ. ამ თეორიამაც არა ფერია ნათქვამი“).

ტრამატიკის პირველი რედაქცია ანტონმა დაამთავრა არა 1754, არამედ 1753 წელს. სოლო

1 A. Цагарели, О грамматическом литературе грузинского языка, СПб, 1873, გვ. VII-X; ქ. კეკელიძე, ქართული მწერლობის ისტორია, 1951, გვ. 355.

სამი სტილის თეორიაზე სრულებით გარკვეული მითითება არის ჯერ კიდევ საბერძნეთისა და რომის რიტორიკების სახელმძღვანელოებში. ეს თეორია ფართოდ გავრცელდა საშუალო საუკუნეებში, როცა მოდალ იქცა კლასიკურისადმი მიბაძვა, ჯერ იტალიაში, შემდეგ ევროპის სხვა ქვეყნებში და რუსეთში (დღეი ლომონოსოვის მეშვეობით).

ჩვენი წინაპრები იმათათვის იცნობდნენ ანტიკური სამყაროს და ცივილიზებულ მსოფლიოს ძირითად მიღწევებს. სხვათა შორის, სამი სტილის მოღვაწეების კურსშიც. უოფილან, რაც უდავოდ ჩანს ნაწილობრივ არჩილის, შემდეგ ვახტანგ შექვესის, სულხან-საბას და ზოგა სხვა მდივან-მწიგნობრის სალიტერატურო მოღვაწეობის პრაქტიკით. ასე, რომ ანტონს ამ მოძღვრების არსი უშუალოდ ქართული სალიტერატურო სინამდვილიდანაც შეიძლება სცოდნოდეს; თუმცა სამი სტილის თეორია ანტონის სახელით არის ჩვენში ცნობილი, რამდენადაც ამ მოძღვრების სათანადო მოთხოვნები პირველად მან ჩამოაყალიბა ძირითადად სომხურ წყაროზე დაყრდნობით. ასეთია მოკლედ ჩემს წიგნში წარმოდგენილი მსჯელობის შინაარსი (გვ. 36-37).

მე მაინც კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი მონოგრაფია მთლიანად წაუციოთხავს ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელს, ჩვენ სასაქაღდლო მეცნიერს აკადემიკოს აკაკი შანიძეს მის რეცენზიაში არის საგულისხმო და გასათ.

ვალისწინებელი შენიშვნები, ოღონდ გულდასაწყვეტია, რომ მას არ გაუხსენებია პლინიუს უფროსის სიტყვები: „არ არის ისეთი ცნობილი წიგნი, რომელშიც რაიმე კარგი არ იყოს“. კარგი და სასარგებლო კი აღინიშნა იმ ექვს რეცენზიაში, რომლებიც ჩემი მონოგრაფიის გამო დაიწერა (სამი მათგანი დაიბეჭდა: ვახუთები: „ლიტერატურული საქართველო“, № 45, 1965; „სახალხო განათლება“, № 11, 1966; კურნი, „სკოლა და ცხოვრება“, № 7, 1965). დანანია აგრეთვე, რომ ბ. აკაკიმ არაფერი თქვა იმ სიმარტელების შესახებ, რომლებიც მკვლევარს ავგვარი მუშაობის დროს ელოდებოდა: არა გვაქვს ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონები და დიდმნიშვნელოვანი ძეგლების სიმფონიები. გვაკლია ძველი და საშუალო ქართულის სანდო და სრულად გამოცემული ტექსტები, არაა მონოგრაფიულად დამუშავებული ცალკეული საკითხები...

პირველ ნაბიჯებს ქართული ენის ისტორიის შედარებით ნაკლებშესწავილი პერიოდის დამუშავების უპრეტენზიო ცდაში შეიძლება პქონდეს ზარგვებზე, მაგრამ ვინც ასეთ სამუშაოს ეწევა, მას გულწრფელად ინტერესებს ჭეშმარიტება, მიზნად ახლის ძიება აქვს დასახული და საქმის სიყვარული ამოძრავებს. ასეთ შემთხვევაში მიღწევა მდოგვის მარცვლისოდენაც რომ იყოს, ნილიღმს და უნდობლობას მაშინაც არ უნდა ჭქონდეს ადგილი.



გამარჯობათ, უსიერო ტყეებო!

ეგრანალ „მნათობს“ ფერკლებზე დაიბეჭდა მწერალ დავით კვიციანიძის რომანი „მშვიდობით, უსიერო ტყეებო“ რომელიც ასახავს საერთოდ დიდი სამამულო ომის ამბებსა და მოვლენებს, ეგრძოდ კი ბელორუსიაში პარტიზანული რაზმების გმირული ბრძოლების სურათს.

ქართული ლიტერატურა არც ისე მდიდარია საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის ყველაზე მძიმე და ამასთან ყველაზე გმირული პერიოდის ამსახველი მხატვრული ნაწარმოებებით. ამ ხარვეზს მეტ-ნაკლებად ავსებს სარეცენზიო რომანი.

დავით კვიციანიძის ნაწარმოებს ზოგიერთი ნაკლოვანება ხელს ვერ უშლის და თავიდან ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

რა ანიჭებს ამ რომანს მიზიდველობას? მოვლენების სიმართლითა და მხატვრული ძალით წარმოსახვა. ომის საშინელებათა გამოხატვის აქაც გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი, მაგრამ მწერალი მხოლოდ ამით როდი აწყობფილდება. იგი შთამბეჭდავად გეიჩვენებს არმიისა და ხალხის მტკიცე სულიკეთებას, გამარჯვების ურუვე რწმენას. რომანი გამსჭვალულია ხალხის ძლიერებისადმი რწმენით, მასობრივი გმირობის შთამაგონებელი ძალით. ამ ნაწარმოებით ავტორი მკითხველს უღვივებს პატრიოტიზმს, ზრდის მას კომუნისმის დიდი იდეებისადმი ერთგულების გრწმობით.

დიდი ვამბედაობა, სიმაჰაცე და გმირობა არ არის მხნედ ვრწმობდვ თავს, როდესაც ის არმია. რომლის ყარისკაციც ხარ, წინ მიიწევს და წარმეტებებს აღწევს. ნამდვილი გმირობა ის არის, რომ შეინარჩუნო გამარჯვების ურუვე რწმენა, როცა მტრის მოულოდნელი და მუხანათური თავდასხმის გამო იძულებული ხარ დაიხიო უკან, როცა სტოვებ მშობლიურ მიწაწვალს, როცა შენი ხელით ცეცხლს უკიდებ ფაბრიკა-ქარხნებსა და პურის ყანებს, რათა ისინი ხელში არ ჩაუვარდეს მტერს.

დავით კვიციანიძე გულის მთელ მგზნებარებას ახმარს პარტიზანული რაზმების გმირული

ბრძოლების სიმართლით წარმოსახვას. იგი ფაქტებზე დაყრდნობით გეიჩვენებს, რომ ვერც ზარბაზნებისა და ტანკების ვრუხუნმა, ვერც პრიფოციებმა და ვაუგონარმა სიძნელეებმა ვერ შეაჩუია და ვერ გატეხა საბჭოთა არმიისა და ხალხის მტკიცე ნებისყოფა და გამარჯვების რწმენა.

მწერალს ომმა ბელორუსიაში მოუსწრო, როცა ის არმიაში იმყოფებოდა. ბელორუსიის ოკუპაციისთანავე დაიწყო სახალხო შურისმაძიებელთა საყოველთაო მოძრაობა, ფართოდ ვაიშალა პარტიზანული ბრძოლები მტრის ზურგში. ერთ-ერთ რაზმს თავით დავით კვიციანიძე მეთაურობდა. ომის მრისხანე წლებში მისმა რაზმმა ბევრი საგმირო საქმით გაითქვა სახელი და ხელი შეუწყო საბჭოთა არმიის მოესპო მტრის დაჭვფებები და ტექნიკა ჩეშალა ფაშისტთა ბევრი ვერაგული განზრახვა.

ავტორი არ აღამაზებს სინამდვილეს, არ ფრავს, რომ პარტიზანებსაც ჰქონდათ წარუმატებლობანი მტრის წინააღმდეგ სისხლისმღვრელ ბრძოლებში, ვიდრე გამოცდილებას შეიძენდნენ, მაგრამ ისინი გულის მაინც არ იტებდნენ, შედვრად იტანდნენ ომის აურაკებულ სიძნელეებს. ბუნებრივია, რომ დავით კვიციანიძის რაზმი ამ მხრივ გამოწკლისი არ იყო და ავტორი ამას დაუფარავად, დიდი გულისტკივილით გვაშცნობს. ეს მატებს რომანს ლირსებას და დამაყრებლობის ძალას.

მწერალი განსაკუთრებით უსეამს ხაზს იმას, რომ სამამულო ომი ჩვენი ქვეყნისათვის უსასტიკესი და უმძიმესი იყო ყველა ომითაგან, რომლებიც კი ოდესმე გადაუტრინია ჩვენს ხალხს, საერთოდ, კაცობრიობას. მაგრამ ომი ჩვენთვის ამასთან ერთად ადამიანების შემოწმების დიდი მკაცრი სკოლაც ვახლდით. კითხულობ რომანს და ვჯერა, რომ სწორედ იმ ადამიანებს, რომლებსაც თავი არაფრით გამოუჩენიათ და თავიანთ საქმეს ჩუმად, უხმაუროდ და უპრეტენზიოდ აკეთებდნენ, როცა საშობლობი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიდი მონაპოვრის დაცვამ მოითხოვა, იარაღი აესხათ და გამბდარიყვნენ

დევნილები. მართალია, საბჭოთა ხალხების დიდი ოჯახი უმძინვროდ არ იძვებოდა, წითელი არმიის დროებითმა წარუშტეტლობამ, ფაშისტების მიერ უკლამო ხმების გავრცელებამ, ზოგიერთი დიდგვარა და უნებბისყოფის ღებერტიკობისაკენ უბიძგა, ხოლო ღებერტიკობამ — ჯამუშობისაკენ, მაგრამ სწორედ ამ ერთეული არაშაბდების ფონზე უფრო შეკეთად ისახება ხალხის ერთგულ შეილთა მალალი მოკალური თვისებები და სიმტკიცე, რწმენა, სამშობლოს ყველაზე საბედისწერო განსაცდელის ეამსაც კო.

გერმანელმა ფაშისტებმა ბელორუსიის უსიერ ტყეებში, სადაც პარტიზანები იყოფდებოდნენ, ფურცლები ჩამოყარეს. პარტიზანებმა სწრაფად აკრიფეს და კოცინი დაანთეს, მაგრამ დილით პარტიზანებს ერთი მეტბედილი სვისტუნოვი დააკლდათ სათვალავში. იგი ვადავიდა მტრის მხარეზე. პარტიზანები შურისთვის ვრძნობამ შეიპყრო. რაზმმა სვისტუნოვის დაბერების დიდგენილება მიიღო. ვაიხილა მწვევი ბრძოლები, პარტიზანებმა ადვილი გამოიკვალეს. ავტორი კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით გვიჩვენებს, რომ ფაშისტური გერმანია ომში არ ერთდებოდა არავითარ მსხვერპლს, არ უფრთხილდებოდა თავისი ჯარისკაცების სისხლსა და სიცოცხლეს და ახახალი ძალები ვამოპყვავდა მწყობრივად ვამოსულთა შესაცვლელად. ფაშისტის კაცობა იდეოლოგიამ წლების განმავლობაში გონება დუბნელა მილიონობით გერმანელს და ისინი ბრძანებათა ბრძმა შემსრულებლებად აქცია, წაართვა საღად აზროვნების, კრიტიკული ანალიზის, მდგომარეობის სწორად განსჯის უნარი. პიტლერის აზრით, ჯარისკაცი ავტომატად უნდა ქცეულიყო, მისი საქმე იყო არა განსჯა, არამედ ბრძანების, მითითების უყოყმანოდ შესრულება. „მოკალით, დაწყით, განადღურით, თქვენ პასუხს არავენ მოვთხოვთ, ამისთვის პასუხს მე ვეცებ“ — თ პიტლერის ბარბაროსული თეორია. „ადამიანი, — ამბობდა პიტლერი, — ცოდვილია დაბადებითვე, მისი მართვა შესაძლებელია მხოლოდ ძალის შემწეობით“. ფაშისტები ყველა სამუალებით ნერვიულად ძალმომრეობის, ადამიანთა დანადგობელი ელექტის, მატერიალურ ფასეულობათა განადგურებისა და ნგრევის რეჟიმს.

ისტორიას ახსოვს შრავალი ომი, მაგრამ სამშულო ომი მათგან არსებითად, პრინციპულად განსხვავდებოდა. აქ საქმე უბრალოდ ორი არმიის შეტაკებას კი არ ეხებოდა, არამედ ორი იდეოლოგიის შეტაკებასაც. დღის წესრიგში იდგა მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველყოფილობის, სოციალიზმის ძალისა და ძლიერების, მისი სოციალისტურიანიანობის გამოცდა. სწორედ ეს იყო ამ ომის მთავარი დამახასიათებელი ნიშანთვისება და ამიტომაც აღსდგა მთელი საბჭოთა ხალხი თავისუფლებისა და დამოუკიდებ-

ლობის დასაცავად, მოჭხდურს ვაჯავიერად დახედა, ძალას ძალა დაუბრისასპირა. ომის დაწყების შემდეგ, მ ვეღვსა, რეზისტანტული გამოცედა რადიოთი და მთელი პარტიზანობით უმხბია ხალხს სიმართლედ, აუხსნია ხალხს ის საშინელი საფრთხე, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრებოდა, ხზგასმით აღნიშნა, რომ მოჭხდური მტრის განსაზღვრებულად ყველაფერი ახალ სამიარ ყაიდაზე უნდა გარდავექმნა; მან საბჭოთა ხალხს კონკრეტული ორინსძიებები დაუსახა. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება მტრის მიერ დაჯავებულ რაიონებში პარტიზანული რაზმების შექმნა, ღებერტიკობისა და ჯამუშების განადგურება იყო:

რომანში დიდი ფაქილოგიური განცდით არის დახატული პარტიზანთა საბევები. სინელებებში ვლინდება მათი ხასიათი. ნაწარმოების ვმირები, პარტიზანები ალიოშმა ტარანეყო, ანტონ ხუხოლოუსკი, მიშა ლიზუნოვი, ვასო თორაძე, ვალოდა შორაბი, კოლა მსლენიკოვი, სტიოპა სენევიჩი, პეტრე ტრინოვი, კოწია ეორგოლიანი, ვასო ბოიკო, ფელია კომლევი და სხვები სამშობლოს ერთგული შეილები არიან. ისინი ახასოდეხს არ კარგვენ სულიერ მზნეობას, თავგანწირვით და ვაჯავიერად ერთგობან მტრის ვთავებდებულ ურღონებს, რთავე პირინთლად ასრულებენ თავინთ მოქალაქეობრივ ვალს. მწერალი დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ რით სუნთქავდნენ პარტიზანები ბელორუსიის უსიერ ტყეებში, რა შთავგონებდა და ალაფროთვანებდა მათ, რა უბიძგებდა ვმირობისაკენ.

ავტორი კარგად იცნობს ომის წლებში მომხდარი ამბებისა და მოვლენების ამსახველ მეშუარულ ლიტერატურასაც და საარქივო მასალებსაც, არ ვიცი რამდენად ისარგებლა დავით კვიციანიძემ ამგვარი დოკუმენტებით, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ყველაფერი, რაც მან წარმოგვიხსახა, უჭეალოდ აქვს ვანციდილი და ვადატანილი, ყველაფრის თვითმხილველია და ყოველ ფურცელს მწერლის სულიერი ვანცდის ბეჭედი აზის. ამ მზარე უაღრესად დამახასიათებელია ნაწარმოების ის ადგილი, სადაც ნაჩვენებია ღებერტიკობისა და ვამიქმის სვისტუნოვის შემყრობისა და დაბერების ამბავი.

ვადიუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ისეთი სისამაველი და ცილისწამება, რომელიც მოლაღატე სვისტუნოვმა ვამოიყენა პარტიზანული რაზმის მეთაურის მიმართ, შეუძლებელია შეუძმრუნებლად წაიკოხოს ადამიანმა.

ხალხის მოლაღატე სვისტუნოვი პარტიზანებმა შეიპყრეს და სისიყვილო ვანაზნი ვამოტრანეს. სვისტუნოვმა თავის ვადასარჩენად მიშართა საზიზღარ ცილისწამებას, ერთგული სიქულილის ვაღივევის ცდას. რაც უთოოდ პი-

ტლერული იდეოლოგიის არსენალიდან ჰქონდა ნასესხები, თავს წებას მიგვემ შეითხველს გაეახსენო ეს ადგილი და მოვიფინო ნაწყვეტი: „ინათა თუ არა, სვისტუნოვს ფეხები გაეუხსენით. იგი აღმდა, თითქოს დამუჩეხებულიყო. თვალებს ვარეული მხეცივით ასისსიმალედა, ტურნებს ისე იცნებდა, სისხლი ზოლად ჩამოსდოდა და მკერდზე ეწვეთებოდა.

ზექნარში ოცდაორი მებრძოლი იდგა და ხეშს ბრძანებას ელოდა. გუხსენი ხელები — ვუხობარი ღიზუნოვს, რომელიც ავტომატომობარკვებელი იქვე იდგა. მიშამ ხელები გაუხსნა, მე რამდენიმე ნაბიჯით წინ წაიწივი.

— შენ უნდა მოკვდე, სვისტუნოვო, შენ ღეზურტრის და მოლაღატე ხარ, შენ პირშივე და ვარეწიარი ხარ, შენ უღალატე და ვაყვიდე ამხანაგები და მათ სამართლიანად გამოვიტანეს სიკვდილის ვანაჩენი. დაე აღსრულდეს!

სვისტუნოვი უცებ გამოოცხლდა, ერთი ღრმად ამოიხსნოქა. თითქოს ფეხის წვერებზე აიწია და იყვირა:

— ძებო, ბიჭებო, კორპეშევი, ღიზუნოვო, ტარანეკო, მომისმინეთ, ძებო. — უვიროდა ბოღმით, ღვარძლით, არნახული გამოხატებით, თან თითო ნაბიჯით წინ მოიწვედა.

— ვინს მოღით, ბიჭებო, ვის ესურით? თქვენანს? რუსს? მერე და რატომ? რა დაგიმავთ? რას მერჩიით?

— ამას უქვრით? — ხელი მომიშვირა. — ამას? ამ ქართულ ბანდიტს? დაფიქრდით, დამიყვრეთ და მომინდეთ, ძებო, საბჭოთა ხელისუფლება ადარ არსებობს, დანაგრა ის ხეხედა. კივი და ლენინგრადი დეცია, მოსკოვშიც ვერმანელები არიან. მე მომყვიეთ. ოღონდ ჯერ ამას ესრით. ამ სისხლის მწოველთა მოღმას... რას დავდილათ პირი? ესრითელ მაგის დედაც...

იტვიან, ისეთი სიჩუმეა, საკუთარი გულს ბაგა-ბუფი მესმისო, მაგრამ შე არც ეს მესმის. გულიც ღუმს, მიწა მქანავს, ფეხებზე ლოდები მჯილია. გული არ ხმაურობს, ოღონდ ზევით ამოდის და ყელს აწევბა...

არა, ახლა მე არაფერს ვიტყვი, არც ვავინძრევი, თვალსაც არ დავახამხამებ. ასე უნდა ვიდეგ ვაჯავებული. თუ ეს არის ჩემი ბოლო, თუ ამ მწითურა ღოს ანაცვალეს ზემო თავი, კსტრიც მიტეხია. დიასი ვყოფილვარ ოღონდ არ ვავინძრე, ოღონდ ამართის ვაგამყვალვარ, რომ ვეღვავ.

ვაი, რომ ასეთმა ფიქრმავე ვამიელვა მაშინ. მერე და ვინ უნდა მესროლოს? კორპეშევი, ღიზუნოვა თუ ტარანეკომ? იქნებ სუხოლოლსკიმ ან სტიომა სენკევიჩიმ?

გამოიტრდებით, ზურგი მაინც შეწეოდა.

და უცებ ელიცამ ისროლა.

ვაეარდა ტყვია. მე სვისტუნოვს ვუცქერი, მერე, მწამს, რომ მას ესრითეს, ან კორბუ-

შეშმა ესროლა. ან ღიზუნოვმა, ან თვით სუხოლოლსკიმ.

ვასო?

ღმერთმა ნუ ქნას. თუ მან ვაბედა, სჯობდა ჩემთვის დაეხალა ტყვია.

სვისტუნოვი კი დგას, ოღონდ ერთი შეიარბა, შეუღლებუ ხელი იტაცა. ჯერ მოიყუნტა, მერე უცებ გასწორდა, კბილები დააღრჭიალა.

— ღორებო!

ვიღაც წინ ამიღდა, მთელი ტანით დამფარა, ვერაფერს ვხედავ. ვინ არის ეს ახმაი? კორპეშევი თუ ტარანეკო? ალბოთმა ყოფილა, იგი სულ ახლო მივიდა სვისტუნოვით და მე ვავიგონე: — მოკვდი, შენი... მერე ტყვია გაეკარდა, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ* (ფურ., მინათობა" № 12, 1970 წ., გვ. 68—69).

ხალხთა მეგობრობის ლენინტრმა იდეამ გაეკარწულა დეზურტრის ბოროტი ზრახვა, ვაიმარჯვა ერების მქიდრო შეკავშირებისა და შრომის იდეამ, რის სულისკვეთებითაც ზრდის პარტია ჩვენს ხალხს.

დავით კვიციანიც ისეთი მწერალია, რასაც თვითონ ფიქრობს და განცდის, შეითხველსაც იმას აფიქრბინებს და განაცდევინებს. რომანში პარტიზანთა მთელი გაღვრეაა დახატული. ზოგი პარველხარისხოვანი პერსონაჟია, ზოგიც ეპიზოდური. მაგრამ ნაწარმოების ერთერთი ღირსება ის არის, რომ არცერთი მთვინი შეითხველს არ დავაიწვდებ. თუნდაც წუთიერად ვაღვებული სახეიდან კი იმდენად ცხოვრებისეულნი არიან, რომ ადამიანს უფროდ ახსომდებ. მწერალი ყოველი პარტიზანის სახეს გულმოდგინედ და ფაქიზად ძეკაწავს და მათიხველს ღრმად ახედებს მათს სულში.

დავით კვიციანის რომანი „მშვიდობით, ესიერო ტყეობა“ ემსახურება პარტიოტული სულისკვეთებით, სიძნელეებთან შეკაცინების, წინააღმდეგობათა დაძლევის გრძნობით აღამიანთა, განსაცუთრებით კი ახლავაზრდობის აღზრდას. იგი უფროდ ღირსეულ ადგილს დამიურს სამაბულო ომის თემამე შექმნილ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

კრიტიკოსები ალბათ მხატვრულადაც ვაარჩევენ ამ რომანს, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მათი შენიშვნები არსებობდა არ იმოქმედებს ნაწარმოების ღირსებებზე. მე კი მინდოდა უფრადლება ძირითადად რომანის მხატვრულ მხარეზე კი არ ვამემახილეინა, არამედ მის ცხოვრებისეულობაზე, რითაც ავტორი უფრო მეტად ვაეკარებს მოქმე ბელორუს ხალხს, მათ ტყვიელებს და განცდებს ჩვენად ვიღებთ მის მდიდარ ბუნებას ზეინად აღვიქვამთ, მის შრომისმოყვარე ადამიანებს დიდად ვაფასებთ. ამიტომაც ვამბობთ ჩვენი რეცენზიის სათაურში: „გამარჯობათ, ესიერო ტყეობა“.

ნაშრომი ილია ჭავჭავაძის იურიდიული საქმიანობის

შ ე ს ა ხ ე ზ

საქართველო
ბიბლიოქონია

ამ კოტა ხნის წინათ გამოვიდა ნ. კველიშვილის პატარა წიგნი. იშვიათად თუ მოიპოვებოდა ჩვენში ისეთი მკითხველი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე, ან მასზე დაწერილი ნაშრომი არ აინტერესებდეს, მით უმეტეს, თუ შრომა ეძღვნება გამოჩენილ ქართველ მწერლისა და საზოგადო მოღვაწის საქმიანობის ნაელბად შესწავლილ მსარგს. ნ. კველიშვილსაც ეს დაესახავს მიზნად.

წიგნი სამი თავისაგან შედგება. პირველ თავში განხილულია ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფია, მეორე თავში—ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი, ხოლო მესამე თავი ი. ჭავჭავაძის პრაქტიკულ საქმიანობას ეძღვნება.

ნაშრომში ყველაზე ვრცლად ილია ჭავჭავაძის პრაქტიკულ საქმიანობაა განხილული და უნდა ითქვას, რომ, სხვა თავებთან შედარებით, ეს თავი უფრო კარგადაა დამუშავებული. აქ ნ. კველიშვილი ეხება ისეთ ნაკლებად ცნობილ საკითხებს, როგორცაა: ილია ჭავჭავაძე მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ, ილია ჭავჭავაძე — მომრიგებელი მოსამართლე, მომრიგებელი შეამაველი, ნაფიცი ვეჭილი და ბოლოს მოკლედ მიუთითებს ი. ჭავჭავაძის შვედრამენტულებზე.

მორწინებას იმსახურებს ნ. კველიშვილის მიერ გაშუქებული ილია ჭავჭავაძის მომრიგებელ შეამაველად მუშაობის საკითხი. უნდა ითქვას, რომ დღემდე ასე სრულად არავის არ გამოუცვლევია თუ რა საქმიანობას ეწეოდა ი. ჭავჭავაძე მომრიგებელ შეამაველად მუშაობის პერიოდში. ნ. კველიშვილმა შედარებით კარგად აჩვენა მომრიგებელი მოსამართლის კომპეტენცია და ამის შესაბამისად ჩამოაყალიბა ი. ჭავჭავაძის, როგორც მომრიგებელი მოსამართლის, მოღვაწეობა.

გარკვეული მუშაობა გაუწევია ნ. კველიშვილს ი. ჭავჭავაძის ნაფიცი ვეჭილად მუშაობის შესასწავლად, მაგრამ სამწუხაროდ, აქ თითქმის ვერაფერს ვხედავთ ახალს.

ნ. კველიშვილის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ მან პირველმა სცადა ამ შრომაში ისეთი საკითხების შესწავლა როგორცაა: ი. ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, ილია ჭავჭავაძე საოჯახო-საქორწინო ურთიერთობის შესახებ და ილია ჭავჭავაძე მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ნ. კველიშვი-

ლის ნაშრომი დაზღვეული არ არის ნაკლოვანებებისაგან, ამასთან, ეს ნაკლოვანებები ზოგჯერ არსებითი ხასიათისაა.

წიგნის სახელწოდება — „ილია ჭავჭავაძე იურისტის“ მკითხველს ადრეტიბინებს, რომ წიგნიში განხილული იქნებოდა ილია ჭავჭავაძის იურიდიული შეხედულებანი მთლიანად, სინამდვილეში ილია ჭავჭავაძის იურიდიული შეხედულებების მხოლოდ მცირე ნაწილია განხილული და ისიც ზედამიერულად. სხვა რომ არა იყოს რა, არც ერთი სიტყვა არ არის თქმული ილიას სამოქალაქო სამართლებრივ შეხედულებებზე.

გაევირეებას იწვევს ერთი გარემოება: ავტორი ხშირად სინაწულს გამოთქვამს, რომ ზოგიერთი საკითხი უფრო ვრცლად ვერ გააშუქა წიგნის მოცულობის შეზღუდულობის გამო. თუ ეს ასეა, რაში დასჭირდა ავტორის ნაშრომში ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიული ცნობების შეტანა, მაშინ როდესაც აქ ვერაფერს ახალს ვერ ვპოულობთ. წიგნი გაცილებით მიიგებდა, რომ ავტორს, ბიოგრაფიული ცნობების ნაცვლად, ილიას მსოფლმხედველობის საკითხი განეხილა, რაც დღემდე საკამათოდ რჩება, ამასთან, თავს დააღწევდა ამ ქვეთავში დამუშავდ რამდენიმე შეცდომას თუ უზუსტობას, რომელთა შესახებაც მინდა მოგახსენოთ: მე-7 გვერდზე ავტორი წერს: „1848 წელს... ილია მიიბარეს პედაგოგ რაევსკის პანსიონში“. ალბათ აქ ავტორი ხელმძღვანელობს პ. ინგოროვსკის ნაშრომით. სინამდვილეში პანსიონი იწოდებოდა არა როგორც „რაევსკის პანსიონი“, არამედ როგორც „ჰაყეს პანსიონი“. ავი თვით ილია იგონებს, რომ „პანსიონის მაშინ განაგებდა მხოლოდ ერთი ჰაყე“, ან „მეთერთმეტე წელში რომ გადავღვეთ, მამამ ქალაქში წამოყვანა და მივიტოვე რაევსკის და ჰაყეს პანსიონში“.² ამის საწინააღმდეგოდ კი ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფი გ. ყიფშიძე მიუთითებს, რომ ილია მიიბარეს ი ა ნ ი შ ე ს კ ი ს ა (ხაზი ჩვენია, ვ. მ.) და ჰაყეს პანსიონში, თუმცა ილიას იანიშვესკის გვარი დაიფიქრებია და მის ნაცვლად რაევსკის წერსო.³

ნაშრომის მე-7 გვერდზე ნ. კველიშვილს მოყვას ილიას თხოვნა გაგზავნილი პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორის ე. ლენცისდმი ტარულ ენაზე. ჟერ ერთი, ე. ლენცე ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორი არ ყოფილა, რექტორი იმაჟამად იყო პლურენკო, მეორეც, ნ. კველიშვილი ილია ჭავჭავაძის მიერ

1. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. I, გვ. 24, 1951 წ.
2. ჟურნ. „განათლება“, 1908 წ. № 1, გვ. 18.
3. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1914 წ. გვ. 13.

რუსულად წარდგენილ თხოვნას არაზუსტად თარგმნის და მაინც წინწკლებში ათავსებს.

ნ. კველიშვილი თავისი შრომის მე-8 გვერდზე წერს: „როგორც ირკვევა, ილია სტუდენტობის წლებში დაახლოებული ყოფილა ნ. ჩერნიშევსკისთან, სევაგადღებელია, რომ ილია იცნობდა აგრეთვე ნ. დობროლიტოვსკას და ნ. ნეკრასოვს...? მეტად საინტერესო ვარაუდია, მაგრამ რას ეყრდნობა ავტორი, როცა ვარაუდობს, თითქოს ილია ნეკრასოვს იცნობდა? ვაან-ნია მას რაიმე პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი? ნეკრასოვთან კი არა თვით ნ. ჩერნიშევსკისთან ილიას პირადი ნაცნობობის საბუთიც არ მოგვეპოვება. ვარაუდი კი რაიმე საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს.“

ნაშრომის მე-9 და მე-10 გვერდებზე ნ. კველიშვილი ეხება ი. ჭავჭავაძისა და სპასოვიჩის „ურთიერთობის საკითხს, კერძოდ 1914 წელს გამოცემულ ი. ჭავჭავაძის თხზულებებიდან მოკაყეს გ. ყიფშიძის მოგონება (თუმცა არასწორად მიუთითებს გვერდებს), თუ როგორ შეხვდა ილია ვ. სპასოვიჩს პეტერბურგში და დასკვნას: „იგი ამ დროს ისეთ ავტორიტეტებსაც კი არ ეუბებოდა, როგორც პროფესორი სპასოვიჩი იყო“ (გვ. 10).

ი. ჭავჭავაძის პროფ. სპასოვიჩთან შეხვედრას ვერ უარყვით. მიუხედავად იმისა, რომ იგი სხვისი მოგონებით საბუთდება. მაგრამ რით საბუთდება ნ. კველიშვილი, რომ ვ. სპასოვიჩი იცნობდა ი. ჭავჭავაძეს, რა დამამტკიცებელი საბუთი გააჩნია ამისათვის? გაკვირვებას იწვევს ნ. კველიშვილის მსჯელობა, თითქოს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ილია „არ ეუბებოდა“ ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისტლის სამართლის კათედრის ვაჟებს პროფ. ვ. სპასოვიჩს. საინტერესო იქნებოდა გაერკვია ავტორს, თუ რაში გამოიხატება ეს „არ ეუბება“.

ცოცა ქვემოთ ნ. კველიშვილი განაგრძობს: „როგორც ირკვევა ილია სტუდენტობის პერიოდში წინადად ხედებოდა სპასოვიჩს კერძო საუბრებში, ისწავდა მის ლექციებს, კითხულობდა სპასოვიჩის მეცნიერულ ნაშრომებს“ (გვ. 10). ბოლოს კი ამბობს: „თუ როგორ წარმართა შემდეგში წლებში ამ ორი პიროვნების ურთიერთობა ამის შესახებ ცნობები სამწუხაროდ არ მოგვეპოვება“ (გვ. 10).

საქმეშია ნათხედავ მეთხველს ეს სიტყვები ავტორებინებს, თითქოს ილია და სპასოვიჩი ახლო ურთიერთობაში იყვნენ ერთმანეთთან, სინამდვილეში საქმე ასე არ არის. ილიასა და სპასოვიჩის „შეხვედრები“, „კერძო საუბრები“ ნ. კველიშვილის ფანტაზიის ნაყოფია, ამ რაში დასწრად ნ. კველიშვილი ილია ჭავჭავაძისა და სპასოვიჩის ახლო ურთიერთობის დასაბუთება? ალბათ იმისათვის, რომ აჩვენოს თუ რამდენად იყო გატაცებული ილია იურისპრუდენციით.

მაგრამ ვანა უამისოდ არ არის ცნობილი ილია ჭავჭავაძის საფუძვლიანი იურიდიული განხილვა, მისი ინტერესი სამართლებრივ საქმიანობაში?

ნ. კველიშვილი ძალიან მოკლედ ეხება ილია ჭავჭავაძის გამოსვლის საკითხს სახელმწიფო საბჭოში სიყვდილოდ დასჯის თაობაზე. „როგორც ვარაუდობენ, ილია ამ სესიაზე გამოსვლა სიტყვით სიყვდილოდ დასჯის წინააღმდეგ“ (გვ. 20). სად არის აქ ნ. კველიშვილის აზრი? ან იმის მიუთითება, რომ ვარაუდობს: „ვარაუდისა“. არსებობს მტკიცებაც, რომლის მიხედვითაც ი. ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოში სიყვდილოდ დასჯის გაუქმების საკითხზე მოხსენებით არ გამოსულა. საჭირო იყო ავტორის გაენალიზებია სხვადასხვა მოსაზრებანი ამ საკითხზე და თავი-ის აზრით გამოეთქვა.

პირველ თავში დაშვებულ შეცდომებისა და უზუსტობათა დეტალურად განხილვა შორს წაგვიყვანდა. ამიტომ ჩვენ მხოლოდ მათი ნაწილის ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით. ილია იყო „... გამოცხიზლებული საზოგადოებრივი შემეცნების წარმომადგენელი საქართველოში“ (?! გვ. 3), „საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საერო პოლიტიკის მიმომხილველი“ (გვ. 4), „1868 წელს რუსეთის იმპერიაში გატარდა სსამართლო რეფორმა“ (გვ. 15), სინამდვილეში სსამართლო რეფორმა 1864 წელს გატარდა რუსეთში, „1872-1873 წლებში ილიამ თავი დაანერგა სამსახურს“ (?! გვ. 17) და ს.ვ.

ნაშრომის მეორე თავი ეძღვნება ი. ჭავჭავაძის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების შესწავლას. ძალიან გვიმძიმს ამ თავის ავტორიანობაზე ლაპარაკი, რადგან ამავე საკითხებზე ჩვენ გამოქვეყნებული გვაქვს რამდენიმე ნაშრომი (ი. ჭავჭავაძე სამართლის წარმომოხისა და არისის შესახებ. ეურნ. „საბჭოთა სამართალი“, № 3, 1968, ილ. ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოს შესახებ, ეურნ. „საბჭოთა სამართალი“, № 6, 1968. ილია ჭავჭავაძის შეხედულება პირობით მსჯობზე, ეურნ. „საბჭოთა სამართალი“, № 6, 1969, ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, სსკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1969; Взгляды И. Г. Чавчавадзе на государство и право, автореферат. Тбилиси, 1969 г.), რომლებშიაც სარგებლობს ნ. კველიშვილი, მაგრამ არასდ არ იხსენიებს მათ.

იქნება შთაბუკნალება, თითქოს ნ. კველიშვილი პირველმა გამოთქვა ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე. საქმე ის არის, რომ ვინც მეცნიერულ საქმიანობას პუბლიცს ხელს, თავისი მუშაობის სახელმძღვანელო პრინციპად უნდა ვიხიბდოს მეცნიერული სიწმინდე უმწიველობა, პირდაპირობა, სამართლიანობა და კეთილსინდისიერება, რაც საზოგადოებრივ ნაშრომში არ იგრძნობა. აქ

ჩვენს თავზე ლაპარაკი უზერხულად მიგვახინი, ამიტომ მეითხველს ვახოთ თვისონ შეადაროს ნ. კველიშვილის წიგნის ძველთა — „ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური შეხედულებანი“ (გვ. 21-38) ზემოდასახელებულ ჩვენს შრომებს და სათანადო დასკვნამდე უშეალოდ მივა.

გარდა ამისა, აღნიშნულ ძველთაში ნ. კველიშვილი შეცდომებს უშვებს, როდესაც ცდილობს გაარკვიოს ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოს ფორმის საკითხზე. იგი ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებს სახელმწიფოს მმართველობისა და წყობილების ფორმებს. მაგალითად: 26-ე გვერდზე ნ. კველიშვილი წერს: „მმართველობის ფორმების მიხედვით იგი (ილია ვ. შ.) ერთმანეთისაგან განსხვავებს თეოკრატიულ და რესპუბლიკურ მონარქიულ, წარმომადგენლობით და რესპუბლიკურ სახელმწიფოებს“¹. 33-ე გვერდზე კი იგი ავრძელებს: „ამრიგად მმართველობის ფორმების მიხედვით ი. ჭავჭავაძე სახელმწიფოებს ჰყოფს ორ ძირითად ჯგუფად — ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ სახელმწიფოებად“. როგორც ვხედავთ, ნ. კველიშვილი ამ წინააღმდეგობაში ვარდება, მას არ ესმის, რომ სახელმწიფოთა დაყოფა ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ სახელმწიფოებად მმართველობის ფორმის მიხედვით კი არ ხდება, არამედ სახელმწიფოს წყობილების ფორმის მიხედვით. ხოლო თუ ილია ჭავჭავაძე ლაპარაკობს ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ მმართველობაზე, მას მხოლოდ მმართველობა აქვს მხედველობაში და მიხნდა არ ისახავს სახელმწიფოს ფორმის საკითხის გარკვევას.

ამრიგად, ნ. კველიშვილის წიგნის მეორე თავში არაფერი არ არის ახალი ნათქვამი ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ შეხედულებებზე, პირიქით, ავტორი იმეორებს ამ საკითხზე უკვე ჩამოყალიბებულ მოსახრებებს.

ნაშრომის შესამე თავი ძღვნიება ილია ჭავჭავაძის შეხედულებას სამართლის არსის საკითხზე. ავტორი ცდილობს გაარკვიოს სამართლის ცნების ილიასეული გაგება და მართებით, რომ „ილიას გაგებით სამართალი ეს არის უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა“ (გვ. 38). ისმება კითხვა, რის საფუძველზე აყვარებს ნ. კველიშვილი ასეთ დასკვნას? ილია ჭავჭავაძის სინამდვილეში ზომ არ ჩამოყალიბებია სამართლის ასეთი ცნება? რა თქმა უნდა, არა!

ნ. კველიშვილს მოჰყავს ილიას ციტატა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ და ჰყოლია, თითქოს ილია სამართლის ცნებას უფლებათა და მოვალეობათა ჯამით განმარტავდეს. უფრო ჭეშმით ამევი საკითხზე ნ. კველიშვილი წერს: „მართალია ი. ჭავჭავაძე არ იძლევა ცალკე სამართლის ცნების სრულ განსაზღვრას, მაგრამ იმ გამოთქვამიდან სამართალზე, რო-

მელსაც ასე ხშირად ვხვდებით მის თხზულებებში, ძნელი არ არის დავინახოთ, რომ ილია სამართლის ცნებას გულისხმობს სამართალზე ნორმების (კანონებში გამოხატულ უფლებამოვალეობათა, როგორც აღმინათა ურთიერთობის „პირველი და უკანასკნელი საგნის“ ერთობლიობას, რაც დადგენილია, „ხალხის კანონმდებლობის ძალითა და ნიჭით“ და რომლის შინაარსიც განმარტებულია საზოგადოების ეკონომიური საჭიროებით“ (გვ. 41).

კითხვობა ამ სტრატეგიებს და გვიყვარს: რა თვისუფლად ემტევა ნ. კველიშვილი ილიას ციტატებს, რა თავისუფლად აყალიბებს ცნებებს და აცხადებს, თითქოს იგი ილიას იყოს, ან ილიას სურდა ასე გამოეყვება და ვერ შესძლო ნ. კველიშვილის დაუხმარებლად. ილია ჭავჭავაძე სრულიად არ იძლევა სამართლის ასეთ განმარტებას. უკვე დასაბუთებულად უნდა ჩითვალოს, რომ ილია ერთმანეთისაგან განსხვავებს პოზიტურ ანუ ფორმალურ სამართალს და ბუნებით სამართალს, რომელსაც „მართლებასთან“ და „სიმართლესთან“ აიგივებს (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 6, გვ. 93)². ი. ჭავჭავაძე სამარ-

¹ ნ. კველიშვილი გვთავაზობს განმარტებას თუ რა მიანიია ილიას ფორმალურ სამართალად: „ფორმალური სამართალი, ილიას აზრით, ეს არის სახელმწიფოს შიგრი დადგენილ კანონებში და გაქარგულებებში გამოცემული სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, ანუ „კანონმდებლობა საერთო“ (გვ. 41). რას ნიშნავს გამოთქმა „ფორმალური სამართალი არის კანონებში და დადგენილებებში გადმოცემული სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა“, „კანონი ხომ სამართლებრივი ნორმის ნაცვლია? და თუ სამართლის ნორმის ნაცვლად კანონს ჩავსევამთ, მივიღებთ: „ფორმალური სამართალი არის კანონებში და დადგენილებებში გადმოცემული კანონების ერთობლიობა“, რაც უზარობაა.

² კველიშვილის მტკიცებით ილია ჭავჭავაძე ბუნებით სამართალს ჩვეულებით სამართალთან აიგივებს. ესეც არასწორი ბრალდებაა ი. ჭავჭავაძის მიმართ. ილია არსად არ წერს, რომ ბუნებითი სამართალი და ჩვეულებითი სამართალი ერთი და იგივეა. პირიქით, ილია ერთმანეთისაგან ასხვავებს მათ. ნ. კველიშვილი ამ დასკვნამდე იმიტომ მიდის, რომ არ იცნობს სათანადოდ ბუნებითი სამართლის მოძღვრებას. ბუნებითი სამართლის არც ერთი წარმომადგენელი არ აიგივებს ჩვეულებით სამართალს ბუნებით სამართალს. თვით ილია ჭავჭავაძე კი გარკვევით წერს, რომ „ჩვეულებითი ეგ დედაბობი ბუნებრივი სამართლის“ (ტ. 6, გვ. 96). ილიას ბუნებითი სამართლის მიღწევის გზად მიანიია ჩვეულებითი სამართალი, რომელსაც შიშობივებელი მოსამართლეები გამოიყენებდნენ.

თალს არ განმარტავს, როგორც უფლებამოსი-
ლებათა ქამს, ეს ნ. კველიშვილის ფანტ-
ზის ნაყოფია.

ი. ჭავჭავაძე რომ განმარტავდეს სამართალს,
როგორც უფლებამოსილებათა ქამს, მაშინ იგი
წინააღმდეგობაში ჩაეარდებოდა, რადგან სხვა
ადგილზე ისე აღნიშნავს: „უფლება და მოვალე-
ობა რომელიც არიან პირგულნი და უკანას-
კნელნი საგანნი ურთიერთშორის განწყობი-
ლებისა, დაიდგინება და განსაზღვრება მხო-
ლოდ ზაღის კანონმდებლობის (ხაზი ჩვენია ვ. შ.) ძალითა და ნიჭით.“¹ ამ ციტატადან
ნათლად ჩანს, რომ ილიას აზრით უფლებამოსი-
ლებათა ქამი სამართალი კი არ არის, არა-
მედ სამართალი ანუ კანონმდებლობა იდგენს,
განსაზღვრავს უფლებებსა და მოვალეობებს.

აღნიშნულ თავში ნ. კველიშვილი მეთითყვის
თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ი. ჭავჭავაძე სა-
მართალს: „რომ ილიას ღრმად სწამდა სამართ-
ლის პროგრესული დანიშნულება და მისი გარ-
დაშქმენელი როლი“ (ხაზი ჩვენია, ვ. შ.),
მართლაც ილია ჭავჭავაძე სამართალს გადაჭარ-
ბულ მნიშვნელობას ანიჭებს და ეს ილიას
შეცდომად უნდა ჩითვალოს, მაგრამ ნ. კველი-
შვილი არა თუ აღნიშნავს ილიას ამ შეცდომას,
არამედ თვითონეე რიზარტებს და წერს: ილიას
„ღრმად სწამდა სამართლის პროგრესული და-
ნიშნულება და მისი გარდაშქმენელი
როლი“ (გვ. 38)², „სამართალში პხედადეა...
საზოგადოების წინსვლისა და აყვავ-
ების შიდაურ საშუალებას“ (გვ.
40, ხაზი ჩვენია, ვ. შ.).

ამვე თავში ნ. კველიშვილი ეხება საციობს
თუ რომელ სამართალს — დაწერილს თუ დაუ-
წერილს — ანიჭებდა უზარატიესობას ი. ჭავჭავა-
ძე. ავტორი მეთითყვის: „ლიტერატურაში
რატომღაც გავრცელებულია აზრი იმის შესა-
ხებ, რომ თითქოს ილია ჩვეულებითი სამართ-
ლის მოტრიალედ იყო და მას ფორმალურ ანუ
დაწერილ სამართალზე წინ აყენებდა“ (გვ. 42).
ნ. კველიშვილი არ მეთითყვის თუ ვინ გამოიჭ-
ნის ასეთ შეხედულებას. უნდა ვიფიქროთ,
რომ იგი ჩვენს სტატიაზე აყვავებს მინიშნებას
(ყურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1968 წ. № 3,
გვ. 66), მაგრამ აღნიშნულ სტატიაში ჩვენ
ვუპასურობთ ილიასთან არა ჩვეულებითი სა-
მართლისა და ფორმალური სამართლის შეზი-
რისპირებაზე, არამედ ბუნებითი და ფორმალურ
სამართლის შესაბამე და მეთითყვის, რომ „პო-
ზიტურ სამართალს ილია გარკვეულ მნიშვნე-
ლობას ანიჭებს, მაგრამ პრიორიტეტს მასთან
შედარებით ბუნებით სამართალს მიაკუთუ-
ნის“³. კველიშვილი კი ფიქრობს, თითქოს ჩვენ
მიეწერდით ი. ჭავჭავაძეს, რომ ეს უკანასკნელი
ჩვეულებითი სამართალს უფრო წინ აყენებდა

დაწერილ სამართალთან და ეს იმიტომ რომ,
როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ნ. კველიშვილი
ერთმანეთთან აიგივებს ჩვეულებით და ბუნე-
ბით სამართალს.

არკვევს რა ი. ჭავჭავაძის შეხედულებას სა-
მართლის აზრზე, ნ. კველიშვილი აღნიშნავს:
„ი. ჭავჭავაძის შეხედულებები სამართალზე
რამდენიმე ენათესავება ბუნებითი სამართლის,
სამართლის ისტორიული სკოლის და სოციო-
ლოგიური მიმართულების წარმომადგენელთა
შეხედულებებს (გვ. 44). ი. ჭავჭავაძე ნამდვი-
ლად ენათესავება ბუნებითი სამართლის სკოლას,
მაგრამ ავტორს არავითარი საბუთი არ მოაქვს,
თუ რაში გამოიხატება ეს „ენათესაობა“. ხოლო
იქ, სადაც მათ ვანსხვავებზე ლაბარაქობს, ამა-
კარა შეცდომებზე უწყობს. ასე, მაგ., ნ. კველი-
შვილი წერს: „ბუნებითი სამართლის სკოლის
წარმომადგენლებსაგან განსხვავებით
(ხაზი ჩვენია, ვ. შ.) ილიას ბუნებრივი ანუ სა-
ხილბო სამართალი ფორმალური სამართლის
წყაროდ შიანია“ (გვ. 45). საიდან აიღო ნ. კვე-
ლიშვილი ის მოსაზრება, რომ ბუნებითი სა-
მართლის სკოლის წარმომადგენლები ბუნებით
სამართალს არ თვლიან ფორმალური სამართ-
ლის წყაროდ? იგი გერ დაასახელებს ბუნებითი
სამართლის ვერც ერთ წარმომადგენელს, რო-
მელიც ამას უარყოფდეს.

ნ. კველიშვილის აზრით, ი. ჭავჭავაძე სამარ-
თლის არის საციობში სამართლის ისტორიულ
სკოლასაც ენათესავება. ჩვენი აზრით, ი. ჭავ-
ჭავაძე არა თუ ენათესავება სამართლის ისტო-
რიულ სკოლას, არამედ დამეტრულად საწი-
ნალმდეგო მოსაზრებებს გამოიჭნა. კველი-
შვილის არგუმენტი, რომ ილია დიდ მნიშვნე-
ლობას ანიჭებდა ადათებს და სამართლის შესა-
სწავლად შედარებით — ისტორიულ მეთოდს
იყენებდა — ამ „ენათესაობის“ დასამტყიცებლად
ვერ გამოდგება, ვერ გამოდგება იმიტომ, რომ
ილია ადათებს არ აღმერთებს, ფეტიმად არ იხ-
დის, მათზე წინ ეპონებს აყენებს: „იგი ადათე-
ბის იდეალიზაციამდე არასოდეს არ უყვება, რი-
თაც სამართლიანად ემიჯნება სამართლის ის-
ტორიულ სკოლას“.⁴

ასევე სწორი არ უნდა იყოს ნ. კველიშვილის
მოსაზრება: „ერთადერთი, რაც ილიამ ისტო-
რიული სკოლასაგან გამოიყენა, იყო კვლევის
ისტორიულ შედარებითი მეთოდი“ (გვ. 47).
რით ასაბუთებს ნ. კველიშვილი, რომ ილიამ
ისტორიული სკოლისაგან გამოიყენა აღნიშნუ-
ლი მეთოდი? ამ მეთოდის შემოღებას ვერ კი-
დეგ რამდენიმე წლით ადრე — როდესაც არც
კი არსებობდა სამართლის ისტორიული სკო-
ლის მოძღვრება — ქადაგებდა ბუნებითი სა-

¹ ს. კორბენაძე, ილია ჭავჭავაძის სამართ-
ლებრივი შეხედულებანი, ყურნ. „საბჭოთა სა-
მართალი“, 1957, № 1, გვ. 6.

² ი. ჭავჭავაძე, ოზნ. ტ. 6, გვ. 8.

მართლის ცნობილი გერმანელი წარმომადგენელი გოტფრიდ ვილჰელმ ლეიბნიცი, რომელმაც სპეციალური გეგმაც კი შეადგინა სამართლის შესასწავლად შედარებით ისტორიული მეთოდის გამოყენებით.¹ საკვირველი ის არის, რომ ნ. კველიშვილს თვითონ მოაქვს რამდენიმე საბუთი, რითაც ადასტურებს თუ როგორ ემიჯნება ილია სამართლის ისტორიულ სკოლას. მიუხედავად ამისა, მათ ნათესაობაზე ლაპარაკობს (გვ. 46).

ნ. კველიშვილის ეს მოსაზრება საფუძველზე შედარა, რადგან ილია ჭავჭავაძე მუდამ ქადაგებდა განახლებას და პროგრესს, მაშინ როდესაც სამართლის ისტორიული სკოლა დროშოკმული ფეოდალური ურთიერთობების შენარჩუნებისათვის იბრძოდა. სამართლის ისტორიული სკოლის მოძღვრება მარქსიზმის კლასიკოსების მიერ შეფასებულია როგორც რეაქციული მოძღვრება, რომელთანაც ი. ჭავჭავაძეს არაფერი საერთო არა გააჩნია აქაც კიდევ ერთხელ მტკიცდება თუ რა ზეგრდელ იცნობს ნ. კველიშვილი აღნიშნულ მოძღვრებას.

ნ. კველიშვილის აზრით, „ილიას შეხედულებებში სამართალზე ეპოქობით აგრეთვე სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა ზოგიერთ თვალსაზრისს“ (გვ. 47), რასაც ასე ასაბუთებს: „ილია ჭავჭავაძე სოციოლოგიურ ფაქტორს მნიშვნელოვან როლს ანიჭებს სამართლის წარმოშობის საკითხში“ (გვ. 47), რა საერთო უნდა ჰქონდეს ი. ჭავჭავაძის მოძღვრებას სამართალზე იმ რეაქციული სკოლის მოძღვრებისთან, რომლის დანიშნულებას იმპერიალიზმის პერიოდის გახრწნილი ბურჟუაზიული კანონმდებლების დაცვა და გამართლება შეადგენს? ილია ჭავჭავაძის შეხედულებებში სამართალზე თუ სოციოლოგიური სკოლას რაიმე თვალსაზრისი აღმოჩნდება, ეს ისე როდი უნდა აეხსნათ, როგორც ნ. კველიშვილი გვთავაზობს — „ილია, როგორც თავისი დროის დრამატიკული განწყობილი იურისტი სრულყოფილად იცნობს სახელმწიფოს და სამართლის შესახებ ბურჟუაზიულ თეორიებს, კრიტიკულად ითვისებს, რაც კარგი და მისაღებია ამ თეორიაში“ (გვ. 48. ზუსტ ჩვენია, ვ. მ.), არამედ აქ უბრალოდ აზრობრივ დამხმევეს შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

სამართალზე ი. ჭავჭავაძის შეხედულების გასარკვევად აუცილებელი იყო ავტორი შეხებოდა ილიას თვალსაზრისს სამართლის განვითარების, ადითისა და ადითობრივი სამართლის საკითხებზე.

ნ. კველიშვილი იხილავს, ასევე, ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისს დანიშნულსა და სასჯელზე, იგი სწორად მიუთითებს, რომ ი. ჭავჭავაძეს დანიშნულის ძირითად მიზეზებად ადამიანთა ეკონომიური სიღვივროვე, ბიუროკრატიზმი და დაუდევრობა მიანიჭა, მაგრამ იგი ვერ ახდენს ი. ჭავჭავაძის კრიმინოლოგიური თვალსაზრისის მცენიერულ ანალიზს და ფაქტურად ილიას გამონათქვამებს იმეორებს, ან მათ მოკლე შენაარსს გვაწვდის.

ნ. კველიშვილი ილიას შეხედულებას როდესაც არკვევს, დანიშნულის ცნების საკითხზე მოკლევან ციტატა: „დანიშნულობა, რომელიც წარმოსდგება ჩხუბისა და ერთმანეთის წაყიდებისაგან ჭერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ დამინავე ავაზაკი, გულთ შეზღადარი კაცია. ესევეარი დანიშნულობა შეიძლება ფაქტურად შეემათვეს ყოვლად პატროსან კაცსა და ამიტომ ამისთანა დამინავე საშიში არ არის საზოგადოებისათვის“ (გვ. 53). აღნიშნული ციტატიდან ნ. კველიშვილი იმ დაცვანამდე მიდის, თითქოს ი. ჭავჭავაძემ დანიშნულის ცნების განსაზღვრისას შეიტანა ერთი არსებითი ნიშანი — ქმედობის საზოგადოებრივი სამიშრობა.

მართლაც, თუ კარგად ჩაუვყვირდებით ზემოთ აღნიშნულ ციტატას, კერძოდ „ესევეარი დანიშნულობა შეიძლება ფაქტურად (ვ. მ.) შეემათვეს ყოვლად პატროსან კაცსა და ამიტომ ამისთანა დამინავე საშიში არ არის საზოგადოებისათვის“ — აქ ქმედობის საზოგადოებრივი სამიშრობაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ გაუდრთხილებლობით (ფაქტურადა) ჩადენილ დანიშნულზე და პიროვნების (და არა ქმედობის) საზოგადოებრივი სამიშრობაზე.

ნ. კველიშვილი იხილავს ილიას შეხედულებას სასჯელზე, კერძოდ სიკვდილით დასჯაზე. სამწუხაროდ, იგი ახალს ევრაფერს გვთავაზობს და იგივე დებულებებს იმეორებს რაც პროფ. ს. ქობინაძემ კარგაბანია ჩამოაყალიბა.¹

1. ს. ქობინაძე ილია ჭავჭავაძე სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მებრძოლი, მსუ შრომეა, ტ. 69, გვ. 223—252.

¹ История политических учений, М., 1963, стр. 244.

ამავე თავში ნ. კველიშვილი ეხება ილია ჭავჭავაძის შეხედულებას საქორწინო-საოჯახო ურთიერთობის საკითხზე, მაგრამ შეცდომას უშვებს, როდესაც დაასკვნის: „ილია ჭავჭავაძე არ აუწინებს საკითხს შამაკაცებთან ქალების იურიდიული თანასწორობის შესახებ“ (გვ. 74). სინამდვილეში ილია შამაკაცისა და ქალის იურიდიულ თანასწორობას ქადაგებს, რის შესახებაც თავით ნ. კველიშვილი თავისსავე წიგნის 72-ე გვერდზე მიუთითებს.

შრომის შესაშვ თაღი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედარებით კარგადაა შესრულებული, მაგრამ აქაც მრავალი შეცდომა თუ უზუსტობაა დაშვებული. მაგ., მოსამართლეობა ანუ „მსჯელობა“ ადამიანის „ერთ უდიდეს მოვალეობად მიიჩნია მას“ (გვ. 80). გაუგებარია რას ნიშნავს სიტყვა „მსჯელობა“, ცოტა ჭვემოთ ნ. კველი-

შვილი წერს: „ილიას გაგებით მოსამართლე ერის განხორციელებული ნამუსი და სინდისი უნდა იყოს...“ (გვ. 80), ნუთუ ეს ილიას სიტყვაა? რა თქმა უნდა, არა. ილია ასე ლაპარაკობს: „მართლიერება, სამართალი მთელი ერის განმწმენდელი სინდისი და ნამუსი უნდა იყოს“. როგორც ჩანს, ნ. კველიშვილმა სამართლის ნაცულად ჩასვა სიტყვა „მოსამართლე“ და უცნაური შედეგი მიიღო.

ამრიგად, სარეცენზიო ნაშრომში, დაღებოთთან ერთად, გვხვდება მრავალი ნაცლოვანება ავტორს შეეძლო ზოგიერთი უზუსტობის ან შეცდომის თავიდან აცილება, რომ მას მეტი გულსხმიერება გამოეჩინა.

3. შიბრაძეძელი



813/187



ფან 80 333.

ИНДЕКС
76128

«МНАТОБИ»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ